მეორე გამოცემა

სწავლება 101

საკლასო სტრატეგიები დამწყები მასწავლებლებისთვის

ჯეფრი გლანცი

წიგნი ითარგმნა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ“ Tempus-ის (ევროკომისია) საერთაშორისო პროექტის „მულტილინგვურ მასწავლებელთა მომზადების პროგრამების შექმნა და დანერგვა საქართველოსა და უკრაინის უნივერსიტეტებში“ ფარგლებში.

პროექტის ნომერი: 530360-TEMPUS-1-2012-1-GE-TEMPUS-JPCR

DIMTEGU
Development and Introduction of Multilingual Teacher Education Programs at Universities of Georgia and Ukraine
Tempus

პროექტის კოორდინატორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კონსორციუმის წევრები: გოეთეს ფრანკფურტის უნივერსიტეტი (გერმანია); ფრაიბურგის პედაგოგიური უნივერსიტეტი (გერმანია); ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია); ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიტვა); ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო); სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო); „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (საქართველო), ოლეს ჰონჩარის სახ. დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი (უკრაინა); ლვოვის ივან ფრანკოს სახ. ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა), ყირიმის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (შეუჩერდა პარტნიორის სტატუსი 2014 წლის 3 ნოემბერს).

მთარგმნელები: თამარ ანთაძე, ელენე ჯაჯანიძე

რედაქტორი: შალვა ტაბატაძე

ყველა საავტორო უფლება დაცულია. კორვინის (Copyright © 2009 by Corwin) გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია ამ გამოცემის ნებისმიერი ნაწილის კოპირება, შენახვა საძიებო სისტემაში, გადაგზავნა ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული, მექანიკური, ფოტოასლი, ჩანაწერი თუ სხვა.

ქართული თარგმანის საავტორო უფლებას ფლობს:

© *სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი;*

მთავარი რედაქტორი კახა გაბუნია.

მისამართი: ქ. თბილისი, მცხეთის 8/90; ვებგვერდი: www.cciir.ge

ISBN

თბილისი, 2016

მეორე გამოცემა

სწავლება 101

ვუძღვნი ჩემს სტუდენტებს, რომელთაგანაც ვისწავლე უფრო მეტის,

ვიდრე ჩემი კოლეგენისა და მასწავლებლებისგან

მეორე გამოცემა

სწავლება 101

საკლასო სტრატეგიები დამწყები მასწავლებლებისთვის

ჯეფრი გლანცი

CORWIN
A SAGE Company

საავტორო უფლებები @ 2009 კორვინი

ყველა უფლება დაცულია. წიგნში მოცემული ფორმებისა და ნიმუშების გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ მასწავლებლებს, სკოლებსა და სხვა არაკომერციულ ორგანიზაციებს, რომლებმაც წიგნი შეიძინეს. ამ შემთხვევების გარდა, არ შეიძლება წიგნის შემადგენელი ნაწილების გავრცელება ნებისმიერი სხვა ელექტრონული თუ მექანიკური, ფოტოასლის, ჩანაწერის, საძიებო სისტემის ან სხვა სახით, გამომცემლობის ნებართვის გარეშე.

ინფორმაციისათვის მიმართეთ:

Corwin SAGE ინდოეთი
A SAGE Company B 1/I 1 მოჰან კოოპერატივის ინდუსტრიული ზონა
2455 თელერ როუდ მარტურა როუდი, ნიუ დელი 110 044
საუზენდ ოუკსი, კალიფორნია 91320 ინდოეთი
(800) 233-9936
ფაქსი: (800) 417-2466
www.corwinpress.com

SAGE აზია
1 ოლივერ იარდი 33 პეკინის ქუჩა #02-01
55 City Road Far East Square
ლონდონი EC1Y 1SP სინგაპური 048763
გაერთიანებული სამეფო

დაიბეჭდა აშშ-ში

Library of Congress Cataloging-in-Publication Data
გლანცი, ჯეფრი

სწავლება101: სწავლების სტრატეგიები ახალბედა მასწავლებლებისათვის /ჯეფრი გლანცი. მეორე გამოცემა
მოიცავს ანოტირებულ ბიბლიოგრაფიას და სარჩევს
ISBN 978-1-4129-6714-3 (cloth)
ISBN 978-1-4129-6715-0 (pbk.)

1. დაწყებითი კლასის მასწავლებლები—ა,შ,შ,—სახელმძრვანელო. 2. ეფექტური სწავლება—
ა,შ,შ,—სახელმძღვანელო. I. სათაური.
LB2844.1.N4G53 2009
371.1—dc22 2009007521

წიგნი დაბეჭდილია ეკოლოგიურად სუფთა ფურცელზე.
09 10 11 12 13 10 9 8 7 6 5 4 3 2 1

ტექნიკური რედაქტორი: არნი ბურვიკოვიში
რედაქტორის თანაშემწეები: დესირე ა ბარტლეტი და მეგან ბედელი
გამოცემის რედაქტორი: ემი შროლერი
ტექსტის რედაქტორი: თრეი სოლკე
მბეჭდავი: სუ ენდ ემ დიჯიტალსი
კორექტურა: გაილ ფეი
ტერმინოლოგია: ჯუდი ჰანტი
ყდის დიზაინი: სკოტ ვან ატა

შინაარსი

წინათქმა წიგის მეორე გამოცემისათვის VI

მადლიერების გამოხატვა XIII

ავტორის შესახებ XVI

აქტივობა 1 XVII

1. რატომ არის სწავლება მნიშვნელოვანი? 1

კითხვები 1

გაანალიზეთ პასუხები 3

კითხვები/აქტივობები 10

აქტივობა 2 11

2. რა არის საჭირო იმისათვის, რომ იყო კარგი მასწავლებელი? 12

კითხვები 12

იდეები სწავლებისთვის #1: ხართ თუ არა კარგი მასწავლებელი? 14

იდეები სწავლებისთვის #2: კვლევაზე დაფუძნებული შვიდი მიგნება წარმატებული მასწავლებლის მახასიათებლების შესახებ 20

იდეები სწავლებისთვის #3: რა არის საჭირო იმისათვის, რომ იყო წარმატებული მასწავლებელი? 21

იდეები სწავლებისთვის #4: სწავლების შესახებ სამი მიდგომა 22

იდეები სწავლებისთვის #5: ოთხი ყველაზე აუცილებელი კონცეპტი, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის მიღწევებზე 24

იდეები სწავლებისათვის #6: კარგი მასწავლებლის აუცილებელი მახასიათებელი 25

იდეები სწავლებისთვის #7: კარგი მასწავლებლის კიდევ ერთი აუცილებელი მახასიათებელი 29

იდეები სწავლებისთვის #8: კარგი მასწავლებლის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი 31

იდეები სწავლებისთვის #9: კარგმა მასწავლებელმა მოლოდინის დრო ეფექტურად უნდა გამოიყენოს 33

იდეები სწავლებისთვის #10: კითხვის დასმის სტრატეგიები 34

იდეები სწავლებისთვის #11: კარგი მასწავლებელი ყოველთვის, როცა შესაძლებელია, კითხვის სტრატეგიებს იყენებს: კითხვის ხუთი ქმედითი სტრატეგია	35
იდეები სწავლებისთვის #12: კარგი მასწავლებელი იყენებს სწავლების თეორიულ და პრაქტიკულ მიდგომებს	37
იდეები სწავლებისთვის #13: კარგი მასწავლებელი იყენებს „რა ვიცი, რა მინდა ვისწავლო, რა ვისწავლე“ სტრატეგიას	39
იდეები სწავლებისთვის #14: კარგი მასწავლებელი ხელს უწყობს მშობლების ჩართულობას სწავლების პროცესში: ათი ხერხი	40
დასკვნა	41
კითხვები/აქტივობები	42
აქტივობა 3	42
3. ვინ არიან ჩემი მოსწავლეები?	44
კითხვები	44
იდეები მოსწავლეების შესახებ #1: რა უნდა ვიცოდე ჩემი მოსწავლეების შესახებ?	45
იდეები მოსწავლეების შესახებ #2: ყველა მოსწავლეს აქვს ხუთი ძირითადი საჭიროება	46
იდეები მოსწავლეების შესახებ #3: ბავშვებს სჭირდებათ ყურადღება და უფრო მეტიც...	48
იდეები მოსწავლეების შესახებ #4: რასის, სქესის სექსუალური ორიენტაციისა და სოციალური ფენის როლი	49
იდეები მოსწავლეების შესახებ #5: სიძულვილი, ფანატიზმი, სტერეოტიპი	50
იდეები მოსწავლეების შესახებ #6: ბულინგი	52
იდეები მოსწავლეების შესახებ #7: შეზღუდული შესაძლებლობებისა და განსაკუთრებული საჭირეობების მქონე მოსწავლეები	54
იდეები მოსწავლეების შესახებ #8: ასწავლით თუ არა არსებული კულტურული გარემოს შესაბამისად?	61
იდეები მოსწავლეების შესახებ #9: სწავლის სხვადასხვა ხერხები	65
იდეები მოსწავლეების შესახებ #10: დიფერენცირებული სწავლება: როგორ გამოვიცნოთ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები?	68
იდეები მოსწავლეების შესახებ #11: ინკლუზია, როგორც გამოწვევა	76

დასკვნა	85
კითხვები/აქტივობები	86
აქტივობა 4	86
4. როგორ მოვამზადო გაკვეთილის გეგმა?	88
კითხვები	88
იდეები გაკვეთილის გეგმისათვის #1: რა არის გაკვეთილის გეგმა?	88
იდეები გაკვეთილის გეგმისათვის #2: წარმატებული გაკვეთილის მნიშვნელოვანი კრიტერიუმები და კომპონენტები	91
იდეები გაკვეთილის გეგმისათვის #3: გაკვეთილის გეგმის ნიმუშები	108
დასკვნა	128
კითხვები/აქტივობები	128
აქტივობა 5	131
5. შევძლებ კლასის ეფექტურად მართვას?	133
კითხვები	133
იდეები კლასის მართვისთვის #1: ძირითადი ცნებები და ელემენტები	136
იდეები კლასის მართვისთვის #2: შექმენით დისციპლინის პერსონალური სისტემა	137
დასკვნა	147
იდეები კლასის მართვისთვის #3: დისციპლინის გეგმის ნიმუში	148
შეკითხვები/აქტივობები	159
აქტივობა 6	160
6. როგორ დავეხმარო მოსწავლეებს, ისწავლონ?	161
კითხვები	161
იდეები მოსწავლეების დასახმარებლად #1: მარტივი სტრატეგიები დაწყებით საფეხურზე სწავლებისთვის	168
იდეები მოსწავლეების დასახმარებლად #2: მარტივი სტრატეგიები სწავლის გაუმჯობესებისათვის	169
იდეები მოსწავლეების დასახმარებლად #3: მარტივი სტრატეგიები სასწავლო უნარების გასაუმჯობესებლად	171
იდეები მოსწავლეების დასახმარებლად #4: კითხვის მარტივი სტრატეგიები	179

იდეები მოსწავლეების დასახმარებლად #5: თანამშრომლობით სწავლა	181
დასკვნა	185
კითხვები/აქტივობები	190
აქტივობა 7	190
7. როგორ შევაფასო მოსწავლე?	192
კითხვები	192
იდეები შეფასებისთვის #1: შეფასების საფუძვლები	193
იდეები შეფასებისთვის #2: შეფასების ზოგიერთი ძირითადი პრინციპი	198
იდეები შეფასებისთვის #3: ტესტების მომზადება	209
იდეები შეფასებისთვის #4: პორტფოლიოს შეფასება	217
დასკვნა	223
კითხვები/აქტივობები	223
აქტივობა 8	224
8. როგორ ვიმუშაო კომბინირებულად *სახელმწიფო და რეგიონალური სასწავლო გეგმის სტანდარტების მიხედვით?*	225
კითხვები	225
იდეები სტანდარტის შესახებ #1: რას ნიშნავს სასწავლო გეგმის შექმნა?	228
იდეები სტანდარტის შესახებ #2: რჩევები სტანდარტების იმპლემენტაციისათვის	235
დასკვნა	246
კითხვები/აქტივობები	246
აქტივობა 9	246
9. როგორ გამოვიყენო ტექნოლოგიები სწავლების პროცესში?	248
კითხვები	248
იდეები ტექნოლოგიის გამოყენებისთვის #1: რამდენიმე რჩევა დამწყებთათვის ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ	252
იდეები ტექნოლოგიის გამოყენებისთვის #2: ვებგვერდების შეფასების კრიტერიუმები	259
იდეები ტექნოლოგიის გამოყენებისთვის #3: კომპიუტერული პროგრამების შეფასების კრიტერიუმები	261

იდეები ტექნოლოგიის გამოყენებისთვის #4: Microsoft Office-ის გამოყენების რამდენიმე პრაქტიკული გაკვეთილი	264
იდეები ტექნოლოგიის გამოყენებისთვის #5: Power Point- ის გამოყენება კლასში	267
იდეები ტექნოლოგიის გამოყენებისთვის #6: ახალი ტექნოლოგიები	271
დასკვნა	279
კითხვები/აქტივობები	280
შეჯამება	280
დანართი 1: ანოტირებული ბიბლიოგრაფია	283
დანართი 2: ვებგვერდები მასწავლებლებისთვის	294
დანართი 3: თვითშეფასების ინსტრუმენტი	296
დანართი 4: აზრთა გაცვლის ფორუმი მასწავლებლებისათვის	306
გამოყენებული ლიტერატურა	307

ავტორის წინათქმა

წიგნის მეორე გამოცემისათვის

სულელთა აზრით, ეს დამამცირებელი, მაგრამ რეალურად
უკეთილშობილესია პროფესიათა შორის
- ერაზმუსი

მომიყვები და დავივიწყებ, მაჩვენებ და შეიძლება დავიმახსოვრო, გამაკეთებინებ და გავიგებ
- *ჩინური ანდაზა*

განათლების მიზანი ცარიელი გონების გახსნილი გონებით ჩანაცვლებაა
- მალკოლმ ს. ფორბსი

ეს გახლავთ მეორე გამოცემა წიგნისა ***სწავლება 101***. მოხარული ვარ, რომ მკითხველისათვის იგი ღირებულ და პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ იქცა. მეტი სრულყოფილებისათვის წიგნი განვაახლე. მისი მეორე გამოცემა ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს, რომლებიც ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან გამომდინარეობს. პირველი - *მასწავლებლობა* საპატიო პროფესიაა. იამაყეთ, რადგან თქვენ ხართ მასწავლებელი და თქვენი ზეგავლენა უსაზღვროა! ალბათ იმაზე მეტიც, ვიდრე თქვენ ფიქრობთ... მეორე პრინციპს *სწავლების აქტიური მეთოდი* წარმოადგენს. წარმატებული მასწავლებლები სცილდებიან გაკვეთილის ტრადიციულ გაგებას. ისინი მოსწავლეთა დაინტერესებას მათი სასწავლო პროცესში ჩართვის გზით ახერხებენ. წიგნში მკითხველის ჩართულობის მიზნით მრავალი ინტერაქტიული აქტივობაა მოცემული. და ბოლოს, მესამე პრინციპი - *კრიტიკული აზროვნების გზით პიროვნების ინტელექტუალური თვალსაწიერის გაზრდა* და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისადმი გახსნილობის ჩამოყალიბებაა.

კიდევ რას გეუბნებათ ეს ციტატები?

პასუხი:
_____
_____
(გაუზიარეთ კოლეგებს)

ქვემოთ ჩამოთვლილია წიგნის ***სწავლება 101*** მეორე გამოცემაში შეტანილი ცვლილებები:

1. განახლდა ციტატები და წყაროები, ვებ-გვერდების მითითებით;

2. გადაიხედა მთლიანი ტექსტი (დაემატა ან/და გამოაკლდა ზოგიერთი მათგანი);
3. დაემატა რელევანტური ციტატები, განმარტებები და სავარჯიშოები;
4. ყოველი თავის დასაწყისში დაემატა გაცნობითი ხასიათის ფურცელი, რომელიც გვამზადებს განსახილველი თემისათვის;
5. შეფასების შესახებ თავი უფრო წინ გადმოვიდა და გამოაკლდა პორტფოლიოს შესახებ თავი, რომელიც დამწყები მასწავლებლისთვის კრიტიკული მნიშვნელობის მქონე არ არის;
6. მესამე თავში დაემატა პარაგრაფი ძალადობის პრევენციის შესახებ;
7. მეოთხე თავში დაემატა გაკვეთილის გეგმის ორი ვრცელი და თვალსაჩინო ნიმუში.
8. დეტალურად გადაიხედა **თავი 8** ეროვნული სასწავლო გეგმის შესახებ და თავი 9 ტექნოლოგიების შესახებ;
9. დაემატა ახალი დანართი (დანართი 4: იდეების ურთიერთგაცვლა მასწავლებლებს შორის).

ვიმედოვნებ, მოგეწონებათ აღნიშნული ცვლილებები. თავისუფლად შეგიძლიათ მომწეროთ (glanz@yu.edu) რეკომენდაციები წიგნის გასაუმჯობესებლად.

* * *

გაკვეთილის პირველ დღეს ჩემი კოლეჯის 30 ენთუზიასტ სტუდენტს ისტორია ვუამბე. კარგი მასწავლებლები ხომ ასე იქცევიან? დიახ, ისინი ამბებს ყვებიან. ეს ცნობილი ამბავია, დავიწყე მე. ამბავი ჰარვარდის სამართლის სკოლაში პირველ ლექციაზე მოხდა, სადაც 175 მონდომებული, თუმცა აღელვებული პირველი კურსის სტუდენტი თავისი პირველი ლექტორის პირველ ლექციას ელოდა. საშუალო ასაკის, ლურჯ კოსტუმში გამოწყობილი აკადემიური გარეგნობის ჯენტლმენი აუდიტორიაში შემოდის ისე, რომ არც კი უყურებს აუდიტორიას, დებს დავთარს მაგიდაზე და ირჩევს მსხვერპლს - სტუდენტს. „შენ“ - მიმართა ყმაწვილს, “დაასახელე ფაქტები უკვე განხილული კაზუსიდან“. ნერვულად და სწრაფად, სანამ პროფესორი ყურადღებას არ აქცევს, 174-ვე სტუდენტი კაზუსს კითხულობს, პროფესორის მიერ შერჩეული სტუდენტი კი ვერაფერს ამბობს. პროფესორი კიდევ ერთხელ იმეორებს მოთხოვნას. სტუდენტი კვლავ გაშეშებულია. კვლავ მიმართავს პროფესორი სტუდენტს: „დაასახელე ფაქტები უკვე განხილული კაზუსიდან.“ სტუდენტი არაადეკვატურად პასუხობს. პროფესორი მშვიდად და აუღელვებლად უახლოვდება, ჯიბიდან დაუდევრად იღებს ათცენტიანს და ამბობს „გამომართვი ათცენტიანი, დაურეკე დედას (ეს ძველი ისტორიაა) და უთხარი, წაგიყვანოს აქედან - შენ ვერასდროს გახდები იურისტი“. გაოგნებული, მაგრამ იმ ფაქტით გახარებული 174 სტუდენტი, რომ თავად არ აღმოჩნდნენ ბიჭის ადგილას, აღელვებული ელოდება სტუდენტის რეაქციას. პასუხი არ ისმის. „გაიგე, რაც გითხარი? დაურეკე დედას და სთხოვე, წაგიყვანოს.“ სტუდენტი დგება, ნელ-ნელა მიდის გასასვლელისკენ. აუდიტორიაში სიჩუმეა. უცებ სტუდენტი ჩერდება და პროფესორს უყვირის: „თქვენ

ნაბიჭვარი ხართ!“. პროფესორი თვალის დაუხამხამებლად უყურებს ბიჭს და ეუბნება: „დაუბრუნდი შენს ადგილს; შენ იწყებ აზროვნებას, როგორც იურისტი“.

მე ჩემს კლასს მივმართე: „ეს ამბავი აღწერს სამართლის სკოლას, რომელიც სტუდენტში თანდათანობით აღვივებს სკეპტიციზმს, ვერბალურ აგრესიას და მზაობას, გამოზარდოს სახელოვანი იურისტი... ჩემი კურსის მიზანი კი, რა თქმა უნდა, ჰარვარდის პროფესორისგან ძალიან განსხვავებულია. მე მსურს, დაგეხმაროთ *იაზროვნოთ და იმოქმედოთ,* როგორც მასწავლებლებმა... პატივი სცეთ მასწავლებლობას, როგორც საპატიო პროფესიას.“ ანალოგიურია ჩემი მიზანი წიგნის მკითხველის მიმართაც: იფიქროთ, იმოქმედოთ და იამაყოთ მასწავლებლის პროფესიით. როგორც ახალბედა მასწავლებელი, თქვენ შეხვდებით მრავალ საშიშ ამოცანასა და გარდაუვალ გამოწვევას. პრობლემები, რომლებსაც შეხვდებით, უნიკალურია. ყოველ ჯერზე, შესაძლოა, გახდეთ კრიტიკის, დამცირებისა და დაუფასებლობის მსხვერპლი. ვინც არ ასწავლის, ვერასოდეს მიხვდება, რეალურად რას განიცდით. ისევე, როგორც ჩემი ერთი ნაცნობი, რომელმაც ერთხელ მკითხა: „როგორ შეიძლება, ეს რთული იყოს? მხოლოდ ნახევარი წელი ასწავლი, გაქვს დასვენების დღეები და არდადეგები, სამუშაოს ამთავრებ, როცა ჯერ კიდევ მზე ანათებს?“ განაგრძეთ კითხვა. გრძნობთ თუ არა იმავეს? უპასუხეთ ლიკერტის შკალის მიხედვით კითხვარს ფორმა 1-ში, იმისათვის, რომ გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება პროფესიისა და მიზეზებისადმი, თუ რატომ ასწავლით.

ფორმა 1.პასუხი

ა=აბსოლუტურად ვეთანხმები

ბ=ვეთანხმები

გ=არ ვეთანხმები

დ=კატეგორიულად არ ვეთანხმები

	ა	ბ	გ	დ
1. გული მტკივა, როდესაც აკრიტიკებენ ან აკნინებენ მასწავლებლის პროფესიას ან სწავლებას.				
2. მასწავლებელი მოსწავლეების სიყვარულის გამო გავხდი.				
3. მასწავლებელთა უმეტესობა საქმისადმი ერთგულ და თავდადებულ ადამიანად მიმაჩნია.				
4. თუ სურვილი ექნებათ, ჩემს შვილებს მასწავლებლობას ვურჩევ.				
5. უმეტესწილად ემოციური დამოკიდებულების გამო გავხდი მასწავლებელი.				
6. მაღიზიანებს, როდესაც მედია მასწავლებლის პროფესიის ან სწავლების მნიშვნელობას აკნინებს.				
7. ჩემს თავს ექიმების და იურისტების გვერდით პროფესიონალად მივიჩნევ.				

8. თავს უხერხულად ვგრძნობ, როდესაც მტკიცება მიწევს, თუ რატომ გავხდი მასწავლებელი.				
9. მასწავლებლებმა მეტი აღიარება და ანაზღაურება უნდა მიიღონ.				
10. მასწავლებლობა გადავწყვიტე იმიტომ, რომ მოსწავლეთა ცხოვრებაში ცვლილებები შემეტანა და არა იმიტომ რომ ზაფხულში არდადეგები მქონოდა.				

თუ კითხვების უმრავლესობას აბსოლუტურად ეთანხმებით (ა), თქვენ აფასებთ თქვენს პროფესიას, გესმით, თუ რატომ არის ის საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და გაღელვებთ, როდესაც სხვებს არ ესმით ან აკნინებენ მასწავლებლის პროფესიას. ახლა კი სხვა ამბავზე გადავიდეთ.

მრავალი წლის წინ, როდესაც მეოთხე კლასს ვასწავლიდი და მასწავლებლობის მცირე გამოცდილება მქონდა, ტეხასის შტატის ქალაქ ოსტინში დავესწარი კონფერენციას, რომელიც განათლების საკითხს არ ეხებოდა. სესიებს შორის შესვენებაზე, კოქტეილის დასალევად, კონფერენციის სამ, აქამდე უცნობ, დამსწრესთან ერთად მოვხვდი. ერთ-ერთი პირველი კითხვა, რაც დამისვეს, ჩემს საქმიანობას უკავშირდებოდა. ათლეტური აღნაგობის, მაღალმა, მზემოკიდებულმა ჯენტლმენმა, რომელსაც საკმაოდ ძვირადღირებული შავი კოსტუმი ეცვა, ამაყად თქვა, რომ ანესთეზიოლოგი იყო. მეორე ჯენტლმენის რიგი დადგა, რომელმაც თავხედურად და ქედმაღლურად განაცხადა: „მე *წარმატებული* ადვოკატი ვარ“ (ყურადღება გაამახვილეთ ზედსართავ სახელზე); „ვმუშაობ უოლ სტრიტზე“. ჯერი მესამე კაცზე მიდგა და დაბალმა, კუნთმაგარმა, საშუალო ასაკის მამაკაცმა, გადაწყვიტა, ორივესთვის ეჯობნა; მან დამაჯერებლად განაცხადა: „მე ვფლობ მაღალტექნოლოგიური კომპანიების ქსელს ჩრდილო ამერიკის მასშტაბით“ (მისდა საბედნიეროდ, ეს საუბარი მრავალი წლით ადრე შედგა ამგვარი ტექ. კომპანიების დაშლამდე). ჩემი ჯერიც დადგა. უნდა ვაღიარო, რომ დავიბენი. ნერწყვი გადავყლაპე და ვთქვი იმდენად დამაჯერებლად, რამდენადაც შემეძლო, „მე მასწავლებელი ვარ“. ისინი საბედისწერო დუმილით მომაშტერდნენ. წამები წუთებად იქცა. შემდეგ, მგონი, ადვოკატმა ჩაილაპარაკა: “აჰ...“. ყელი ნერვიულად ჩაიწმინდა და საუბრის თემა ამინდზე გადაიტანა. უხერხულობა საგრძნობი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ სიტუაციებში მორიდებული ვარ, იმ დღეს ბრძოლისთვის განვეწყვე. შესაძლოა, ეს იყო სურვილი ან საჭიროება, „მიმეზღო“ იმ სნობი, ელიტარული ჯენტლმენებისათვის ან, შესაძლოა, ვიგრძენი ვალდებულება ჩემი საყვარელი პროფესიის მიმართ. გარკვევით და ხმამაღლა დავიწყე: „მაპატიეთ, მაგრამ შეიძლება გკითხოთ, როგორ გახდით იურისტი?'' მომენტალურად თავზარი დაეცა და პასუხი გამცა: „რა თქმა უნდა, დიახ, საუკეთესო სამართლის სკოლა დავამთავრე“. „და ვინ გასწავლათ კვლევის ჩატარება, შინაარსის დაწერა და ზოგადად „იურისტობა“? - განვაგრძე შეკითხვა. „რა თქმა უნდა, ჩემმა

პროფესორებმა!“ - მიპასუხა მან. „აჰ, თქვენ ხომ მასწავლებლებს გულისხმობთ!“ - სწრაფადვე ვუპასუხე. ამ დროს ჩემი სასმელი ახლოს მდგარ მაგიდაზე დავდე და მედიდურად გავედი თამბაქოს კვამლითა და ნეგატიური ენერგიით სავსე ოთახიდან.

მასწავლელობა, როგორც ერაზმუსი ამბობს, უდავოდ კეთილშობილური პროფესიაა. მასწავლებელს აქვს პრივილეგია, იზრუნოს ახალგაზრდა თაობაზე, დაეხმაროს მათ აკადემიური და სოციალური უნარების განვითარებაში, რაც აუცილებელია წარმატებული ცხოვრებისათვის. განათლების კრიტიკოსი ელიოტ აისნერი სწორად აღნიშნავს (გთავაზობთ პერიფრაზს): “სწავლების მიზანი არ არის მოსწავლეთა დახმარება, იყვნენ წარმატებულნი სკოლაში, არამედ იყვნენ წარმატებულები ცხოვრებაში“. მასწავლებლები ოპტიმალურ, გავლენიან პოზიციაზე არიან იმისათვის, რომ შეცვალონ მოსწავლეების ცხოვრება. სწავლებას განსაკუთრებული დანიშნულება აქვს და სათანადოდ დაფასებას იმსახურებს.

ეს წიგნი იმიტომ დავწერე, რომ მწამს მასწავლებლობის სულიერი და ინტელექტუალური მოწოდებისა. სწავლება არის როგორც მეცნიერება, ისე - ხელოვნება. მჯერა, რომ კარგ მასწავლებლებად იბადებიან, მაგრამ ასევე მჯერა რომ კარგი მასწავლებელი შეიძლება გახდე. არ არის ადვილი, უპასუხო კითხვას, როგორ გახდე კარგი მასწავლებელი. ამის შესახებ უამრავი წიგნი იყიდება. ბევრი მათგანი მომავალი მასწავლებლების მოსამზადებლად გამოიყენება. თუ ყველა არა, მათი დიდი ნაწილი სქელტანიანია და მრავალ ისეთ თემას ეხება, რომელიც საშუალო სკოლის მასწავლებლისათვის კრიტიკულად საჭირო და მნიშვნელოვანი არ არის. საჭიროა ახალი წიგნი, რომელიც ახარისხებს სწავლების შესახებ ძირითად პრინციპებსა და იდეებს და გვაწვდის მას მარტივი, მოკლე, მაგრამ ლოგიკური და ყოვლისმომცველი ფორმით. *სწავლება 101* სწორედ ასეთი წიგნია. შევეცადე, ძირითადი იდეები და წესები ერთ, მარტივად გასაგებ, პრაქტიკულ, მოკლე ტექსტში გამეერთიანებინა.

შენიშვნა: ეს წიგნი, რა თქმა უნდა, ვერ შეეხება „ყველაფერს“ რისი ცოდნაც სწავლებასთან დაკავშირებით გაინტერესებდათ. აქ წარმოდგენილია საკითხები, რომლებიც ყველაზე საჭიროდ მივიჩნიე დამწყები მასწავლებლისათვის. კარიერულ ზრდასათან ერთად, თქვენი ცოდნა, გაგება და გამოცდილება უფრო და უფრო გაღრმავდება. როგორც მასწავლებელი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში უნდა სწავლობდეთ. წაიკითხეთ ისეთი ტიპის საგანმანათლებლო ჟურნალ-გაზეთები, როგორიცაა, მაგალითად, *„საგანმანათლებლო ლიდერობა“.* გაწევრიანდით „ზედამხედველობისა და კურიკულუმის განითარების ასოციაციის“ (ASCD - http://www.ascd.org/) მსგავს ორგანიზაციებში, დაესწარით პროფესიული გავითარების ტრენინგებს თქვენს სასწავლებელში, სკოლაში, რაიონულ ოფისში. ***სწავლება 101*** განსაზღვრავს, აღწერს და განმარტავს წარმატებული მასწავლებლისა და საუკეთესო სწავლების შესახებ თეორიასა და პრაქტიკას. ეს წიგნი, პირველ რიგში, დამწყები მასწავლებლებისთვისაა განკუთვნილი: მათთვის, ვინც ჯერ მხოლოდ ფიქრობს

მასწავლებლობას, სულ ახლახან, ან მხოლოდ რამდენიმე წელია, რაც დაიწყეს მასწავლებლის კარიერა. ეს იდეები და პრინციპები საჭიროა და ზოგადია ყველა საშუალო სკოლის ნებისმიერი კლასის მასწავლებლისათვის. ***სწავლება 101*** სამუშაო რვეულის ფორმატშია დაბეჭდილი, რაც მის კითხვას და გამოყენებას ამარტივებს. ჩარტები, ფოტოები, ტექსტბოქსები, კითხვარი და პრაქტიკული სავარჯიშოები კითხვას ადვილს, სახალისოსა და აზრიანს ხდის.

სწავლება 101 მოიცავს შემდეგ თავებს:

- *რატომ არის მნიშვნელოვანი სწავლება?* სწავლებისა და განათლების მნიშვნელობისა და მასწავლებლის როლის შესახებ მოკლე და ეფექტური დასაწყისი.
- *რა არის საჭირო იმისთვის, რომ იყო კარგი მასწავლებელი?* კარგი მასწავლებლისთვის საჭირო სპეციფიკური ცოდნის, უნარებისა და თვისებების პრაქტიკული მიმოხილვა.
- *ვინ არიან ჩემი მოსწავლეები?* ზოგიერთი განსხვავება სწავლების სტილსა და მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ.
- *როგორ მოვამზადო გაკვეთილის გეგმა?* ძირითადი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენება სწავლებისას.
- *შევძლებ კლასის ეფექტურად* მართვას? მარტივი და ეფექტური შეთავაზებები მოსწავლეთა კარგი ქცევის ხელშესაწყობად.
- როგორ დავეხმარო მოსწავლეებს ისწავლონ? ძირითადი მეტაკოგნიტური სტრატეგიების ანალიზი, რომელიც ხელს უწყობს აზროვნებაზე დაფუძნებულ სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო უნარებისა და ჯგუფური მუშაობის ჩათვლით.
- *როგორ შევაფასო მოსწავლე?* მარტივი და მოკლე რჩევები მოსწავლეთა შეფასების სისტემის შემუშავებისათვის.
- *როგორ ვიმუშაო კომბინირებულად, სახელმწიფო და რეგიონალური სასწავლო გეგმის სტანდარტების მიხედვით?* შემოთავაზებები თუ როგორ გავითვალისწინოთ ეროვნული სასწავლო გეგმა და ამავე დროს ჩავატაროთ შემოქმედებითი და ინტერდისციპლინური გაკვეთილები.
- *როგორ გამოვიყენო ტექნოლოგიები სწავლების პროცესში?* როგორ დავნერგოთ ტექნოლოგიები სწავლაში მოსწავლეთა საუკეთესო შედეგების მისაღწევად?

სწავლება 101 იწყება აქტივობის ფურცლით, რომელიც მოიცავს კითხვებს თითოეული თავის დასაწყისში და შეკითხვებს / აქტივობებს თავის ბოლოს. ასევე, ნახავთ ინტერქტიულ დავალებებს („რეფლექსია“, „პასუხი“, „გახსენება“), რომლებიც იდეების გენერირებას უწყობს ხელს და ვიმედოვნებ, რომ დაგაფიქრებთ და შეძლებთ მასზე

პასუხის გაცემას. ეს ინტერქციული ინსტრუმენტები მოგცემთ სტიმულს და დაგეხმარებათ ახალ მასალაზე მუშაობის პროცესში; მოგამზადებთ იმ სირთულეებისადმი, რაც სწავლებას უკავშირდება. ***სწავლება 101*** ასევე მოიცავს ოთხ სასარგებლო დანართს: *დანართი ა* მოიცავს აუცილებელ საკითხავს; *დაგართი ბ* - ვებგვერდების ჩამონათვალს, რომელიც დაგეხმარებათ, მიიღოთ პრაქტიკული რჩევები, ინფორმაცია და შემოთავაზებები სწავლებისათვის; *დანართი გ* შეიცავს თვითშეფასების ინსტრუმენტს, რაც დაგეხმარებათ, გახდეთ კიდევ უფრო კარგი მასწავლებელი; *დანართი დ* შეიცავს ინფორმაციას, თუ როგორ გაეცნოთ სისტემატიურად სწავლების უახლეს სტანდარტებს.

ეს წიგნი გაგაცნობთ, მომავალ ან ახალ მასწავლებლებს, სწავლებასთან დაკავშირებულ რჩევებს, რომლებიც წარმატების აუცილებელი პირობაა. წიგნი ასევე გააღრმავებს ცოდნას, რომელიც, შესაძლოა, უკვე გაქვთ. ***სწავლება 101*** დაგეხმარებათ, განავითაროთ და დაიცვათ თქვენი პროფესიული მსოფლმხედველობა. არც ერთი სხვა პროფესია არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიც თქვენ მიერ არჩეული... თქვენ გაქვთ წარმოუდგენელი ძალაუფლება, შეცვალოთ სხვა ადამიანების ცხოვრება. შეავსეთ მომდევნო კითხვარი იმისთვის, რომ შეაფასოთ საკუთარი მოტივაცია, მიზნები და პერსპექტივები.

გაუზიარეთ თქვენი პასუხები კოლეგებს. იზიარებენ თქვენ შეხედულებებს? ახსენით...

მადლიერების გამოხატვა

ბევრი რამ ვისწავლე ჩემი მასწავლებლებისგან, უფრო მეტი-ჩემი კოლეგებისგან, მაგრამ ყველაზე მეტი ჩემი მოსწავლეებისგან ვისწავლე.

ნაწყვეტი თალმუდიდან (ძველი ებრაული ტექსტი)

წინამდებარე წიგნის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანეს იმ ადამიანებმა, ვინც მანამდე მასწავლებელთა განათლების შესახებ წიგნებზე მუშაობდნენ. ვალდებული ვარ, მადლობა გადავუხადო ჩემს მასწავლებლებს. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ორი მასწავლებელი, რომელთაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვეს. მინდა, მადლობა გადავუხადო მისის ბორისს, ჩემს ებრაული ენის მასწავლებელს, რომლისგანაც მე ცხოვრებაში ყველაზე მეტად ღირებული რამ ვისწავლე. ერთხელ მან გადმომცა „აიინის (**აიინი** - მეთექვსმეტე ასო ებრაულ ანბანში) ჯილდო“ ებრაულ ენაში საუკეთესო მიღწევებისათვის.

თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ ებრაულად თავისუფლად ვსაუბრობ. მე ეს არც ახლა შემიძლია და არც მაშინ შემეძლო. ჩვენს კლასში იყვნენ ბიჭები და გოგონები ისრაელიდან, რომლებიც თავისუფლად საუბრობდნენ ებრაულად. და მაინც, მან მე გადმომცა ეს პრიზი. „რატომ“? - ვკითხე მასწავლებელს. მისმა პასუხმა ცხოვრებაში ყველაზე ღირებული რამ მასწავლა: „ჯეფრი, რა თქმა უნდა, ისინი ებრაულად თავისუფლად საუბრობენ, მაგრამ შენ ძალიან ბევრს მუშაობ, ცდილობ და ტესტებში გაცილებით მაღალ შეფასებას იღებ“. მივხვდი, რომ *ძალისხმევა* ფასდება. ვცდილობდი, ეს შეგონება ხშირად გამომეყენებინა ჩემს მოსწავლეებთან.

მინდა, ასევე, მადლობა გადავუხადო მისტერ უოლტერ ბენჟამინს, ჩემს გეომეტრიის მასწავლებელს. სხვა მასწავლებლებისგან განსხვავებით, ის იყო პირველი, რომელმაც აღიარა და დააფასა წარმატების მიღწევის პოტენციალი ჩემში.

მადლობას ვუხდი ყველა ადამიანს, რომელმაც გავლენა იქონია ჩემი სწავლების სტილზე, ესენი არიან: არნო ბელაკი, კარმენ ბერნარდო, გარი გრიფინი, დოროთი ჰენინგსი, გრეგორი ჰოლცი, დუაინ ჰიუბნერი, ჯეიმს სანდერსი, ჰარვი სობერი.

კოლეგებისგან შესაძლოა გაცილებით მეტი შთაგონებაც კი მივიღე, ვიდრე სხვებისგან. მათი სიახლოვე და მეგობრობა ფარავდა ჩვენს შორის არსებულ ყველანაირ განსხვავებას. უღრმესი მადლობა მაიკლ ანდრონს, ტომ ბანიტს, მეფი ჩავეს-ბრაუნს, დაუნ კუჩინელოს, კონი დონვიტოს, ჩეიმ ფოერმანს, ჰელენ ჰაზის, გერი მელნიკს, ჯიმ რეილის, კარენ შოუნს, ჯეფრი შურაკს, დან სტუკარტს, სუზან სალივანს, მირა ვაიგერს და ქიაობო იუს, ასევე ჩემს მეუღლე და კოლეგას ლიზა გლანცს.

მადლობელი ვარ ჩემი მოსწავლეებისა. ისინი მაყენებდნენ გამოწვევის წინაშე, მაძლევდნენ სტიმულს და მოტივაციას, განმეხორციელებინა ჩემი ჩანაფიქრი. ბევრი, ძალიან ბევრი მოსწავლე მახსენდება... ეს წიგნი ვერ დაიტევს ათასობით იმ მოსწავლეს, რომლისთვისაც მისწავლებია დაწყებით თუ საბაზო საფეხურზე, მაღალ კლასებსა თუ კოლეჯებში. შევეცდები რამდენიმეს დასახელებას, მაგრამ ვშიშობ, რომ ბევრი გამომრჩება. წინასწარ მოგიხდით ბოდიშს, თუ რომელიმე თქვენგანი გამომრჩით. დანიელი, მეოთხეკლასელი მოსწავლე ჩემი მასწავლებლობის პირველ წელს: ის იყო პირველი აღსაზრდელი, რომელმაც დამაყენა ურთულესი გამოწვევის წინაშე. დანიელ, ჩვენ ეს შევძელით, შენ ამის შესახებ არ იცი, მაგრამ შენ ჩემს შვილზე წინ გაყენებ! მადლობას ვუხდი იმ მოსწავლეებს, რომლებსაც უფრო მოგვიანებით ვასწავლიდი, ზიპი ბრაუნს, ნეჰამა ჰენია კაპლანს, ფეიგი ლეფტლერს, რომელიც ჩემთან ერთად მუშაობდა სამაგისტრო ნაშრომზე 1996 წელს, დამწყები მასწავლებლის სახელმძღვანელოს შესაქმნელად. მადლობა მას, რადგან ეს მასალები ძალიან დამეხმარა ამ წიგნის დაწერის დროს. მადლობა შერონ ბერტმანს, ივონე კასერას, რივკა დაანს, ლორინ ედელმანს, ამანდა ჰამრას, ლაურას გიუმარას, ბარბარა ლამორტს, მარისა მედურის, კლინია მილერს, შირლი ნიკოლსს, ერიკა ო'რურკის, ბარბარა პერსკის, დოლორეს ქუერქესს, ემი ქუინს, ვივიენ როდრიგესს, ნიკოლას სვენსონს, რეიჩელ შვაბს, გილდა სპიოტას, გილდა თაითელბაუმს, ენტონი ვავალოს, მოსე ვასკესს, ნადია ვაგნერს და ლესლი უილიამს-ჯენკისს. მადლობა მარისა ანკიევიჩსა და ლორენ პოლოკს, იმისთვის, რომ გამიზიარეს თავიანთი გამოცდილება გაკვეთილის გეგმების შემუშავების შესახებ. მადლობა რენდალ დანკანს, „ედენ ენტერპრაისის" მფლობელს, წიგნის მეორე თავში წარმოდგენილი მასალებისათვის.

ჩემდაუნებურად, ბევრი ადამიანის ნამუშევარს დავეყრდენი და ბევრი აღნიშვნა გავაკეთე, თუმცა ეს რამდენიმე აღნიშვნა არ მოიცავს წყაროს სრულად. ამ წიგნში არაფერია ახალი. ერთხელ ვიღაცამ თქვა, რომ ყველა კარგი მასწავლებელი იპარავს იდეას ან მეთოდს სხვა მასწავლებლისგან. ამ წიგნის შემთხვევაში, ეს უდავოდ სიმართლეა. შევეცადე, ყველასთვის მადლობა გადამეხადა და დამსახურება აღმენიშნა, თუმცა, შესაძლოა, ვინმე შემთხვევით გამომრჩა. თუ ასეა, გთხოვთ, შემატყობინოთ ამის შესახებ, რათა მე ეს წიგნის შემდგომ გამოცემაში გავითვალისწინო.

უღრმესი მადლობა რობ ქლოუზს, „კორვინის" ყოფილ მთავარ რედაქტორს, რომელსაც სჯეროდა ამ პროექტისა და იმისა, რომ ამას შევძლებდი. მადლობა არნის ბურვიკოვს, მთავარ აღმასრულებელ რედაქტორს, იმისათვის, რომ სჯეროდა ამ წიგნის მნიშვნელობისა და სარგებლიანობისა. განსაკუთრებული მადლობა ჩემს სამეცნიერო ასისტენტს იეშივას უნივერსიტეტიდან, ოდრი მენაჩემს, რომლის გამჭრიახობამ და

ინტელექტმა შეუფასებელი დახმარება გამიწია ამ წიგნის მეორე გამოცემაზე მუშაობისას. მისი დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ტექნოლოგიების თავის გაუმჯობესებაზე მუშაობის პერიოდში, ისევე, როგორც მთლიანი გამოცემის რედაქტირების, წყაროების მითითებისა და უფლებების მოპოვების დროს. დიდი წვლილი მიუძღვით სხვებსაც ამ წიგნის გამოცემაში. მე ბევრი მათგანი დავასახელე, მაგრამ თუ მადლიერების გამოხატვის დროს ვინმე გამომრჩა, ამაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ მე მეკისრება.

„კორვინი“ მადლობას უხდის შემდეგ პირებს თანამშრომლობისათვის:

ნენსი კუკს, განათლების ასოცირებულ პროფესორს, ჰოუპ კოლეჯიდან (ჰოლანდია);

ედუარდ გარსია ფირორს, ასოცირებულ პროფესორს, მასწავლებელთა განათლების პროგრამის კოორდინატორს, ვილანოვას უნივერსიტეტიდან (ვილანოვა);

ჯენიფერ კრისმენ იშლერს, განათლების ასისტენტ-პროფესორს, პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (სახელმწიფო კოლეჯი);

ქეით რანკს, მეოთხე საფეხურის მასწავლებელს, ბენეტის საშუალო სკოლიდან (პიქუა);

ლოის რებიჩს, სწავლების ხელშეწყობის მასწავლებელს, როსის საშუალო სკოლიდან (პიტსბურგი);

ელენა ვოს, „ESOL”-ის ხელმძღვანელ-მასწავლებელს, გლენ ჯოუნსის საშუალო სკოლიდან (ბუფორდი);

ჯული ვეიქფილდს, სოციალური მეცნიერებების მასწავლებელს, რობერტ მაკქვინის უმაღლესი სკოლიდან (სპარკსი);

შონ სუზან ვაითს, სოციალური მეცნიერებების მასწავლებელს, ვესტონ მაკევინის უმაღლესი სკოლიდან (ათენი);

ჯენიფერ ვილსონს, მესამე საფეხურის მასწავლებელს, გრანტ რანჩის სკოლიდან (ლიტლტონი);

ქუკი ვინბარნს, სასწავლო ხელმძღვანელს, რიჩლანდის სკოლიდან (მეორე კვარტალი, კოლუმბია);

დაიან ვუდფორდს, მეხუთე საფეხურის მასწავლებელს, კოვინგტონის დაწყებითი სკოლიდან (სამხრეთ სიოქს სითი).

ავტორის შესახებ

ჯეფრი გლანცმა ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი ნიუ იორკში, ქალაქის უნივერსიტეტში, ხოლო მაგისტრისა და განათლების დოქტორის ხარისხი - კოლუმბიის უნივერსიტეტში, მასწავლებელთა კოლეჯში მიიღო. თხუთმეტი წელი ასწავლიდა სკოლაში დაწყებით და საშუალო საფეხურებზე, მუშაობდა დირექტორის ასისტენტად ქალაქის დაწყებით სკოლაში. ის ასწავლიდა საშუალო სკოლაში, გარდა ამისა, სხვა არაფორმალურ სასკოლო გარემოშიც. დოქტორი გლანცი ამჟამად მუშაობს იეშივას უნივერსიტეტში, აზრიელის სკოლის ებრაული განათლებისა და ადმინისტრირების ფაკულტეტზე, პროფესიული ეთიკისა და ღირებულებების კურსზე, „რაინისა და სტენლი სილვერშტაინის“ ხელმძღვანელად. ადრე ის მუშაობდა ნიუ იორკში, სთეითენ აილენდის ოლქის ვაგნერის კოლეჯში, განათლების მეცნიერებების დეკანად და ხელმძღვანელად. დოქტორი გლანცი იყო კინის უნივერსიტეტის პრეზიდენტის აღმასრულებელი ასისტენტი და დასახელდა უმაღლესი კლასის მასწავლებლად სტუდენტთა უმაღლესი განათლების ასოციაციის მიერ 1999 წელს. ამავე წელს მან მიიღო პრეზიდენტის სტიპენდია. დოქტორი გლანცი არის 20 წიგნის ავტორი სხვადასხვა საგანმანათლებლო თემებზე, აგრეთვე „კორვინის“ წიგნის - „ხელმძღვანელობა სწავლების გაუმჯობესებისათვის და ხელმძღვანელობა პრაქტიკაში“ - მესამე გამოცემის თანაავტორი. ის არის აგრეთვე „კორვინის“ გამოცემული წიგნის მეორე გამოცემის „დირექტორის დამხმარე სახელმძღვანელო: წარმატების მიღწევის სტრატეგიები“ ავტორი. იგი ცნობილი სპიკერია თემებზე: სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა, განათლების ხელმძღავნელობა და სწავლების სტრატეგიები. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით glanz@yu.edu ან ესტუმრეთ ვებგვერდს http://www.yu.edu/faculty/glanz/.

აქტივობა #1

1. გაიხსენეთ ყველაზე კარგი მასწავლებელი, რომელიც ოდესმე გყოლიათ. რას აკეთებდა ის, ან რას ამბობდა, რაც მის წარმატებულობას განაპირობებდა? დაწერეთ თქვენი პასუხები ქვემოთ და გაუზიარეთ აზრი კოლეგებს.

2. გაიხსენეთ ყველაზე ცუდი მასწავლებელი, რომელიც ოდესმე გყოლიათ. რას აკეთებდა ის, ან რას ამბობდა, რაც მის წარუმატებულობას განაპირობებდა? დაწერეთ თქვენი პასუხები ქვემოთ და გაუზიარეთ აზრი კოლეგებს.

თავი 1

რატომ არის მნიშვნელოვანი სწავლება?

მასწავლებლის მნიშვნელობა მარადიულია; მას არასოდეს შეუძლია თქვას, სად მთავრდება მისი ზემოქმედება.

- ჰენრი ბრუკსი ადამსი

საუბარი სერ თომას მორსა და მის უმცროს კოლეგას, რიჩარდ რიჩს შორის რიჩარდის სამომავლო გეგმების შესახებ:
მორი: „რატომ არ გინდა, გახდე მასწავლებელი? შენ კარგი მასწავლებელი იქნებოდი. შესაძლოა, საუკეთესო მასწავლებელიც!“
რიჩი: „და თუ ასე იქნება, ვინ გაიგებს ამას?“
მორი: „ შენ, შენი მოსწავლეები, შენი მეგობრები, ღმერთი... არ გყავს ცუდი პუბლიკა...

- ბოლტი (*ადამიანი წელიწადის ყოველ დროს*, 1962)

კითხვები

1. რა გახსნედებათ, როდესაც ფიქრობთ სიტყვაზე „მასწავლებელი“ ?
2. პირველად როდის მიხვდით, რომ მასწავლებლობა გინდოდათ?
3. რა გავლენის მოხდენა შეუძლია მასწავლებელს მოსწავლის ცხოვრებაზე?
4. რატომ ფიქრობთ, რომ მასწავლებლები არიან საზოგადოების დაუფასებელი წევრები? დააკონკრეტეთ ვითარება, სადაც სწავლება არის ისეთივე დაფასებული, როგორც იურისპრუდენცია ან მედიცინა.
5. როგორ შეიძლება, რომ სწავლება ემსახურებოდეს თქვენს შინაგან მოწოდებას?

ცხოვრება უწყვეტი მოგზაურობაა. უამრავი ფაქტორი განსაზღვრავს, ვინ ვართ, როგორ და რის კეთებას ვაპირებთ. ჩვენ ჩვენი გენეტიკური ბუნების, მშობლების გავლენების, გარემოს, საკუთარი გამოცდილებებისა და სოციალურ-პოლიტიკური გავლენების ნაზავი ვართ. ჩვენს აზროვნებაზე, მეტყველებასა და ქმედებებზე ზემოქმედებენ პიროვნული სუსტი და ძლიერი მხარეები, რაიმეს მიმართ ჩვენი სიყვარული ან სიძულვილი, ასევე ჩვენი გადაწყვეტილებები განათლებასთან დაკავშირებით და ის შესაძლებლობები, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში მოგვეცა, არჩევანი, რომელიც გავაკეთეთ, დახმარება, რომელიც სხვებისგან მიგვიღია. რამ შეიძლება გადაგაწყვეტინოს, ასწავლო სხვებს?

დან ლორტიმ (1977) ჩაატარა კლასიკური სოცილოგიური კვლევა ამერიკელი მასწავლებლების შესახებ. მან შეისწავლა ის ძირითადი მიზეზები, რომელთაც თავის დროზე კვლევაში მონაწილეთა პროფესიული არჩევანი განაპირობეს. გამოვლინდა შედარებით პრაგმატული ახსნა, რომელიც უკავშირდებოდა მატერიალურ სარგებელს და ხალხთან ურთიერთობის სურვილს. გარდა ამისა, ლორტიმ და სხვა დანარჩენმა მკვლევრებმაც, რომლებიც ამ საკითხით მოგვიანებით დაინტერესდნენ, აღმოაჩინეს, რომ მონაწილეებზე უმთავრესი ზეგავლენა იქონია უდიდესმა სურვილმა, ემუშავათ სფეროში, რომელსაც, როგორც პიროვნული, ასევე სოციალური მნიშვნელობა ექნებოდა.

გახსენება / მოგონება

მასწავლებელობა ყოველთვის მინდოდა. მახსენდება, როგორ ვაიძულებდი ჩემს ოთხი წლით უმცროს დას, დამჯდარიყო და გაეკეთებინა ტესტი, რომელიც მისთვის მოვამზადე. მიუხედავად მისი პროტესტისა, მაინც ვახერხებდი მის დასმას და ვუტარებდი გამოცდას. არ ვამაყობ იმით, რასაც მაშინ ვაკეთებდი, მაგრამ მახსენდება უდიდესი სიამოვნების შეგრძნება, რომელიც მეუფლებოდა, როდესაც ვიყენებდი წითელ კალამს არასწორი პასუხების აღსანიშნად და შესაფასებლად. ძალისა და ავტორიტეტის შეგრძნება აღმაფრთოვანებელი იყო. მე, რა თქმა უნდა, ვნანობ ჩემი დის მიმართ ასეთ ძალდატანებას (საბედნიეროდ, მან ეს მაპატია). მას შემდეგ, საბედნიეროდ, ჩამოვყალიბდი და გავაცნობიერე, რომ სწავლებას არაფერი აქვს საერთო ავტორიტარიზმთან. მასწავლებელი ეხმარება ადამიანებს, გამოიმუშაონ ახალი უნარები და პოტენციალი. მივედი იმ აზრამდე, რომ სხვისი დახმარება მნიშვნელოვანია როგორც პიროვნული, ასევე სოციალური თვალსაზრისით.

გახსენდებათ ის დრო, როდესაც პირველად აირჩიეთ მასწავლებლობა თქვენს პროფესიად? რატომ გადაწყვიტეთ მასწავლებელობა? რატომ არის მნიშვნელოვანი სწავლება?

_____

_____

_____

_____

_____

_____

ფორმა 1.1. კითხვარი: მასწავლებლობა საშენო პროფესიაა?

ა = აბსოლუტურად ვეთანხმები („ყველაფერს ვეთანხმები“...)

ბ = ვეთანხმები („დიახ, მაგრამ...“)

გ = არ ვეთანხმები („არა, მაგრამ...“)

დ = აბსოლუტურად არ ვეთანხმები („არაფერს არ ვეთანხმები“)

მასწავლებლობა საშენო პროფესიაა?				
	ა	ბ	გ	დ
1. ხშირად მთხოვენ დახმარებას, მე კი ძალიან მიჭირს უარის თქმა.				
2. როდესაც რომელიმე პიროვნებასთან ვსაუბრობ, ვენდობი და მომწონს მანამ, სანამ ის არ მომცემს იმის მიზეზს, რომ არ უნდა მომწონდეს.				
3. უმეტეს შემთხვევაში ხალხს მოვწონვარ.				
4. მიყვარს ხალხთან ურთიერთობა და მათთვის შეძლებისდაგვარად დახმარების აღმოჩენა.				
5. მეუბნებიან, რომ იუმორის შესანიშნავი გრძნობა მაქვს.				
6. კარგად გამომდის სხვათა კონფლიქტების მოგვარება და მედიატორობა.				
7. მჯერა, რომ უფროსების პატივისცემა კარგი ხასიათის მთავარი ქვაკუთხედია.				
8. ვგრძნობ, კარგად გამომდის ადამიანთა პატარა ჯგუფის ხელმძღვანელობა და ამას სიამოვნებით ვაკეთებ.				
9. მინდა, ჩემი ცხოვრება რაღაცას ნიშნავდეს.				
10. უფრო მორწმუნე ვარ, ვიდრე ჩემი მეგობრების უმეტესობა.				

გააანალიზეთ თქვენი პასუხები

აღსანიშნავია, რომ ეს პარაგრაფი ჩემი ერთ-ერთი წიგნიდან არის (გლანცი, 2002). წიგნი „იპოვე მართვის შენებური სტილი: განათლების სპეციალისტების სახელმძღვანელო“ გამოიცა მონიტორინგისა და სასწავლო გეგმების განვითარების ასოციაციის მიერ. დაინტერესების შემთხვევაში, შეგიძლიათ დეტალურად გაეცანოთ

ზემოთ აღნიშნულ წიგნს. თუ თქვენ ფორმა 1.1-ში მოცემულ დებულებებს უმეტესად „აბსოლუტურად ეთანხმებით“ ან „ეთანხმებით“ თქვენთვის ზედგამოჭრილია მასწვალებლის პროფესია! არავის მისცეთ უფლება, გონება აგირიოთ. წარმატებული მასწავლებლები, როგორც წესი, ყოველთვის ცდილობენ კოლეგებს დაეხმარონ. ისინი ძალიან მგრძნობიარე და ყურადღებიანი ინდივიდები არიან და უკეთესობისკენ წინსვლის ძლიერი სურვილი აქვთ.

განათლება გაცილებით მეტია, ვიდრე კულტურულ, სოციალურ და ინსტიტუციონალურ ღირებულებათა მოსწავლეებისათვის გადაცემა. განათლება თვითშემეცნებისა და აღმოჩენათა დინამიური კავშირია. სიტყვა ***განათლების*** ეტიმოლოგია ლათინური „educare”-დან მოდის, ნიშნავს „გაძღოლას“ და „მიღებას“. ფაქტობრივად, ჩვენი, მასწავლებლების მიზანიც ესაა - გავაღვიძოთ ის უნიკალური, დახშული პოტენციალი, რომელიც თითოეულ მოსწავლეშია. შესანიშნავად განმარტავს სმიტი განათლების არსს (სლეტერი, 1995, გვ. 73): „განათლება არა მხოლოდ გვეუბნება, ვინ ვართ ჩვენ, არამედ იმასაც გვკარნახობს ვინ უნდა გავხდეთ“. მიუხედავად იმისა, რომელ საგანს ვასწავლით, სწავლების პროცესში მასწავლებელი მოსწავლის პოტენციალის გამოვლენას უწყობს ხელს. და მაინც, კაცობრიობის ძირითად სწრაფვად მაინც განათლების მნიშვნელობის განსაზღვრა რჩება. განათლების პროცესი მთელი სიცოცხლის განმავლობაში თვითგანვითარების, აღმოჩენებისა და ძალაუფლების სივრცეში მოგზაურობაა. მასწავლებლის როლი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოსწავლის მიერ საკითხის ღრმა შემეცნების პროცესში. ამის შესახებ რეიჩელ კესლერი ნაშრომში „განათლების სული“ (2000) წერს:

„იქნებ ჩვენთვის, მასწავლებლებისათვის, უმთავრესია, დავაფასოთ და ხელი შევუწყოთ ჩვენი მოსწავლეების ძიების სურვილს. ძიება იმისა, რისაც სჯერათ, რაც აძლევს აზრს მათ ცხოვრებას და სწრაფვა მათთვის ყველაზე ძვირფასისაკენ. ძიების პროცესში, როდესაც უამრავი კითხვა გაუჩნდებათ, აღმოაჩენენ ცხოვრების უმთავრეს მიზანს. მიხვდებიან, როგორ გამოიყენონ საკუთარი ნიჭი ამ მიზნის მისაღწევად“ (გვ.171).

როგორც მასწავლებლები, ჩვენ უზრუნველვყოფთ კაცობრიობის განვითარების შესაძლებლობებს. განათლება ზრდის შესაძლებლობების დიაპაზონს. მასწავლებელი კი, მოსწავლეებში სააზროვნო უნარების განვითარებით, ადამიანის არსის შესაცნობად ხელისშემწყობი გარემოს შექმნით, მოსწავლეთა იდეების პრაქტიკაში განხორციელებას უწყობს ხელს... არსებითი მიზნებია: ღრმა აზროვნების განვითარება, ადამიანურ ღირებულებებსა და პასუხისმგებლობაზე აქცენტირება და ძიების სურვილის გაღვიძება. ამგვარად, სწავლებას არა მხოლოდ სააზროვნო, არამედ მასტიმულირებელი ფუნქციაც ენიჭება.

ექსტრაორდინალურ შემთხვევებში ექსტრაორდინალური მასწავლებლები ცვივდებიან. ჩვენ გვჭირდება სამაგალითო მასწავლებლები, ისეთები, რომელთაც ძალიან უყვართ თავიანთი საქმე. ჩვენ გვჭირდება მასწავლებლები, რომლებიც დაეხმარებიან

მოსწავლეებს პოტენციალის გაზრდაში. მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეებს ასწავლიან, რატომ და როგორ უნდა მოექცნენ სხვებს პატივისცემითა და თანაგრძნობით.

ჰეიმ ჯინო (1993) აღნიშნავდა, რომ განათლება გაცილებით მეტია, ვიდრე გარკვეული უნარების გამომუშავება და ცოდნის გადაცემა. ჰეიმ ჯინოს მაგალითად მოჰყავდა სწავლების პირველ დღეს დირექტორის მიერ მასწავლებლებისათვის გაგზავნილი წერილი:

„ძვირფასო მასწავლებელო,

მე საკონცენტრაციო ბანაკის ერთ-ერთი გადარჩენილი მოწმე ვარ - მოწმე ვარ იმისა, რაც სხვას არ უნახავს:

გაზის კამერები კვალიფიციური ინჟინრების მიერ იყო აგებული.

ბავშვებს სწავლული ფიზიკოსები წამლავდნენ.

ახალშობილებს კვალიფიციური ექთნები კლავდნენ.

ქალებსა და ბავშვებს უმაღლესი სკოლებისა და კოლეჯების კურსდამთავრებულები ესროდნენ და წვავდნენ.

ასე რომ, მე ეჭვმიტანილი ვარ განათლებაში.

ჩემი თხოვნაა: დაეხმარეთ მოსწავლეებს, გახდნენ ჰუმანურები! თქვენი ძალისხმევით, ისინი არასოდეს ჩამოყალიბდებიან სწავლულ მონსტრებად, მოხერხებულ ფსიქოპატებად ან განათლებულ აიხმანებად!

კითხვა, წერა და არითმეტიკა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გეხმარებათ, გახადოთ ბავშვები უფრო ჰუმანურები“ (გვ. 317).

მასწავლებლობის დროს ხანდახან საოცარ გამოწვევებს ვაწყდებით: გადაჭედილი კლასები, ნაკლებად დაინტერესებული მოსწავლეები, გაცდენები, არასრულყოფილი მომზადება, ცუდი ყოფაქცევა, მშობლების არასაკმარისი ჩართულობა, სოციალური პრობლემები, როგორიცაა ნარკოტიკები, არამყარი ოჯახური ცხოვრება, არასრულწლოვანთა ორსულობა, სიღარიბე, ბავშვებზე ძალადობა, კრიმინალი. თუმცა, დაფიქრდით - რომ არა ასეთი გამოწვევები, მასწავლებლობის ჯილდოც არ იქნებოდა ასეთი დიდებული. მუშაობა ღირს! ჩვენ შეგვწევეს ძალა ცვლილებებისთვის. წაიკითხეთ ეს საქებარი სიტყვები, რომელიც მეოთხე კლასის მომსწავლემ მასწავლებელს მიუძღვნა:

ტკბილი მოგონებები მისის სიბლოზე

As the flowers blossom
The weather gets warmer
And time is still passing.
June has approached quicker than ever.
Another school year is coming to an end;
And I won’t have Mrs. Siblo as my teacher ever again.
I feel kind of sad to say goodbye
To the greatest teacher that once was mine.

Before I go to achieve another full year,
I want you to know that the memories
I have of you will be cherished
And remembered every year.
As we were passing through the halls of PS 42
We were, quiet and not talking,
For we knew better, Class 4–227.
You made me laugh, you made me feel bright,
You guided me to always do right.
You taught me math,
And led me down the right path.
You taught me to spell
And use vocabulary well.
You taught me punctuation and capitalization.
You taught me reading,
And that was a great feeling.
Your evil eye is sweet, and kept me on my feet.
You were not an artist,
But you sure tried your hardest.
All the good you have taught me,
All the hard work we've shared,
Mrs. Siblo, you are indeed the greatest teacher
I've once had
I sure am going to miss you, I cannot tell a lie.
I better end this poem now before I start to cry
With my heart filled with memories and gratitude,
I will always remember you.
You made an impression that will stick with me,
Even while I earn my master's degree

Dana Criscuolo
PS 42, Eltingville
Staten Island, New York

როდესაც ყვავილები გაიშლება
ამინდი დათბება
და დრო ისევ გადის.
ივნისი ისე სწრაფად მოვიდა, როგორც არასდროს.
და მისის სიბლო აღარ იქნება ჩემი მასწავლებელი;
ვწუხვარ, რომ უნდა დავემშვიდობო
უდიდეს მასწავლებელს, რომელიც ოდესმე მყოლია.
სანამ მომდევნო კლასს დავასრულებ,
მინდა იცოდეთ, რომ თქვენთან დაკავშირებული მოგონებები

ტკბილი იქნება და ყოველთვის მემახსოვრებით.
როდესაც 42-ე ოთახს ჩაუვლიდით ხოლმე,
წყნარად ვიყავით და არ ვსაუბრობდით.
თქვენ მაცინებდით, თავს ბედნიერად მაგრძნობინებდით,
ყოველთვის სწორ მიმართულებებს მიჩვენებდით.
მასწავლეთ მათემატიკა
და სწორ გზაზე დამაყენეთ,
მასწავლეთ დამარცვლა
და ლექსიკის სწორად გამოყენება.
მასწავლეთ პუნქტუაცია და მართლწერა.
მასწავლეთ კითხვა
და ეს დიდებული შეგრძნება იყო.
თქვენს მახვილ მზერას თვალს ვერ ვუსწორებდით.
არ იყავით არტისტი,
მაგრამ ძალიან ცდილობდით.
ყველაფერი კარგი მასწავლეთ,
ყველა რთულ დავალებას ერთად ვასრულებდით.
მისის სიბლო, თქვენ ნამდვილად საუკეთესო
მასწავლებელი ხართ, ვინც კი მყოლია.
მომენატრებით, არ გატყუებთ.
უმჯობესია წერა დავასრულო, სანამ ვიტირებ.
მადლიერი მოგონებებით სავსე მაქვს გული
და მემახსოვრებით მუდამ.
თქვენ წარუშლელი ზეგავლენა მოახდინეთ ჩემზე
და ეს მაგისტრობამდეც კი გამყვება.

დანა კრისკუოლო
ოთახი 42, ელთინგვილე
სთეითენ აილენდი, ნიუ იორკი

ამ ლექსმა ვერ დაგარწმუნათ? წაიკითხეთ დოვ ბრეზაკის (2002) ნაშრომი, სადაც ის ამბობს, რომ ჩვენ შეგვწევს უსაზღვრო ძალა ცვლილებებისათვის:

„ნიუ იორკის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მასწავლებელმა გადაწყვიტა, ყველა მოსწავლისათვის მადლობა გადაეხადა. მან ისინი სათითაოდ გამოიყვანა კლასის წინაშე და უთხრა თითოეულ მათგანს, რამდენად მნიშვნელოვანნი იყვნენ მისთვის და როგორ ცვლიდნენ მის და სხვა მასწავლებელთა ცხოვრებას. შემდეგ მან თითოეული მათგანს გადასცა ლურჯი ბაფთა წარწერით „ჩემი არსებობა მნიშვნელოვანია“.

შემდეგ კი საკლასო დავალება გააცნო მოსწავლეებს. მან თითოეულ მოსწავლეს დამატებით კიდევ სამი ლურჯი ბაფთა მისცა. დავალების შინაარსი ასეთი იყო: მოსწავლეებს, მასწავლებლის მსგავსად, იმ ადამიანებისათვის უნდა მიეცათ ბაფთები, ვინც მათთვის მნიშვნელოვანნი იყვნენ. მასწავლებელმა მათ დასაფიქრებლად და ამ დავალების შესასრულებლად ერთი კვირა მისცა. ერთი კვირის თავზე კი მოსწავლეებს ბაფთები, დანიშნულებისამებრ, ადრესატებისათვის უნდა გადაეცათ.

საკლასო დავალების ფარგლებში ერთ-ერთი ბიჭი (მოსწავლე) მივიდა მენეჯერის თანაშემწესთან და მადლობა გადაუხადა სამომავლო კარიერის დაგეგმვაში დახმარებისათვის. ბიჭმა ლურჯი ბაფთა მენეჯერის თანაშემწეს მაისურზე დაამაგრა და დამატებით დარჩენილი ორი ბაფთაც გადასცა, თან საკლასო დავალების არსი აუხსნა: „ეს ჩვენი საკლასო დავალებაა, რომელიც გულისხმობს პატივისცემის გამოხატვას. შენ ვინმე უნდა აირჩიო, ისეთი, ვისაც პატივს სცემ და მას ეს ლურჯი ბაფთა გადასცე. თანაშემწეს ისიც უთხრა, რომ დარჩენილი ორი ბაფთაც რჩეული ადამიანისათვის უნდა გადაეცა დავალების გასაგრძელებლად.

მომდევნო დღეს მენეჯერის თანაშემწე თავის ხელმძღვანელთან მივიდა. ხელმძღვანელს ყველა ბუზღუნა ადამიანად იცნობდა. თანაშემწემ უთხრა, რომ მისი პიროვნებით აღფრთოვანებული იყო. სთხოვა, მიეცა უფლება, დაემაგრებინა ლურჯი ბაფთა მის პიჯაკზე. მისდა მოულოდნელად, ხელმძღვანელმა უპასუხა: „დიახ, რა თქმა უნდა“. თანაშემწემ ბაფთა დაამაგრა. ხელმძღვანელს კიდევ ერთი ლურჯი ბაფთა გაუწოდა და ჰკითხა: „ხომ არ გადასცემდით ვინმეს ამ ბაფთას პატივისცემის ნიშნად?“ ამასთანავე, დაწვრილებით მოუყვა საკლასო დავალების შესახებ.

იმ საღამოს სკოლის ხელმძღვანელი სახლში თავის 14 წლის ბიჭთან ერთად იჯდა. მან ბიჭს ბაფთის ამბავი მოუყვა: „დღეს დაუჯერებელი ამბავი შემემთხვა: ერთ-ერთი ჩემი თანაშემწე ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ აღფრთოვანებულია ჩემით და პიჯაკზე ლურჯი ბაფთა დამიმაგრა, რომელზედაც ასეთი წარწერაა: „ჩემი არსებობა მნიშვნელოვანია“. მან ამის შემდეგ დამატებით კიდევ ერთი ბაფთა მომცა და მითხრა, რომ მე ეს ბაფთა ისეთ ადამიანს უნდა გადავცე, ვისაც დიდად ვაფასებ. მინდა, ეს ბაფთა შენ გადმოგცე. მე ყოველდღე გადარბენაზე ვარ და როცა სახლში ვბრუნდები, სათანადო ყურადღებას მაშინაც კი ვერ გითმობ. ხანდახან გიყვირი ცუდი ნიშნების, ხანაც არეული საძინებელი ოთახის გამო. მიუხედავად ამ ყველაფრისა, დღეს, ამ საღამოს, მინდა ჩამოვჯდე შენთან და გითხრა, რომ შენ ჩემთვის, დედაშენთან ერთად, ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი ხარ. შენ საუკეთესო ბავშვი ხარ და ძალიან მიყვარხარ.“

ბიჭი გაოცებისაგან ატირდა და მთელი სხეულით აცახცახდა. ბოლოს შეხედა მამამისს და აცრემლებულმა უთხრა: „მამა, მე ხვალ თავის მოკვლას ვაპირებდი. ვფიქრობდი, რომ შენ არ გიყვარდი. მაგრამ ახლა თავის მოკვლა უკვე აღარ დამჭირდება“.

ერთხელ მარგარეტ მიდმა თქვა: „უდავოა, რომ მოაზროვნე და ერთგული მოქალაქეების მცირე ჯგუფსაც კი შესწევს ძალა, შეცვალოს სამყარო. და ეს მუდამ ასეა“.

თითოეულ ჩვენგანს შეუძლია შეცვალოს სამყარო. როგორც გარი ზუკევი (2000) იტყოდა ჩვენ ვართ „საკრალური მისიის“ მონაწილეები. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენი საკრალური მისია ის შეთანხმებაა, რომელიც თქვენს დაბადებამდე დაიდო თქვენს სულსა და სამყაროს შორის. თუ შენ ამ დავალებას ასრულებ, შენ კმაყოფილი და ბედნიერი ხარ და იცი, რომ განსაკუთრებულ და უმშვენიერეს ადგილას იმყოფები. თუ შენ არ ასრულებ შენს საკრალურ მოვალეობას, მაშინ თავს ძალიან ცუდად გრძნობ (გვ. 241). ადამიანებს განსხვავებული საკრალური მისია აქვთ. მაგალითად, ზოგიერთებისათვის ბიზნესის წამოწყება შეიძლება იყოს გზა სრულყოფისკენ. სხვებისთვის სრულყოფილება შესაძლოა ოჯახის გაძღოლა ან მზარეულობა იყოს. ჩვენთვის სრულყოფილებისაკენ სწრაფვის გზა სწავლება, გაზიარება, დახმარება, საუბარი, შექება, წახალისება, სხვის სულთან სიახლოვე, ადამიანისათვის რელიზაციისა და გაცნობიერებისაკენ გაძღოლაა. შეიცანი საკუთარი საკრალური მისია და არასოდეს დაივიწყო, რატომ გახდი მასწავლებელი. თითოეული ჩვენგანი სწავლებას განიხილავს, როგორც მოსწავლეთა ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ჩვენ ვამჩნევთ თითოეული ბავშვის უნიკალურობას და ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მოსწავლეში მიძინებული პოტენციალის სხივი გავაბრწყინოთ. ჩვენი მოვალეობაა, დავეხმაროთ მოსწავლეებს, იყვნენ საუკეთესოები სკოლაში, ასევე უმნიშვნელოვანესია, დავეხმაროთ მათ, მიაღწიონ წარმატებებას ცხოვრებაში. ვცდილობთ, ვასწავლოთ მოსწავლეებს, იყვნენ საზოგადოების მზრუნველი, კეთილსინდისიერი და წარმატებული წევრები.

და ბოლოს, ჩვენი მოვალეობაა, ჩამოვაყალიბოთ მოსწავლეში შესაძლებლობების დანახვის უნარი. ეს არის მოგზაურობა საკუთარი თავის აღმოსაჩენად. მახსენდება რობერტ ბრაუნინგის გამონათქვამი: „ხვდება ადამიანი სამოთხეში, როცა ის საკუთარ შესაძლებლობებს გადააჭარბებს?“ ბრაუნინგი გვიგზავნის ზნეობრივ მესიჯს და წარმოგვიდგება, როგორც „მორალის კომპასი“. ჩვენ ვიბრძვით მკაცრი დაყოფის წინააღმდეგ. ამ დროს ჩვენ შთავაგონებთ მოსწავლეებს, მიაღწიონ სრულყოფილებას. ჩვენ ამ პროცესში სასიცოცხლო როლს ვასრულებთ. ჩვენ ვქმნით ცხოვრებას. ჩვენ ვგრძნობთ მომავალს. კრისტა მაკოლიფი მართალი იყო. ბორის პასტერნაკის ლექსიდან „ექიმი ჟივაგო“ იქნება ამ თავის შესაფერისი დასასრული. ან, შეიძლება ითქვას, დასაწყისი - იმედის, შესაძლებლობების, ან პასუხისმგებლობისა და ხედვის დასაწყისი.

You in others—this is what you are.
Your soul, your immortality, your life in others.
And now what?
You have always been in others and you remain
in others.
This will be you—the spirit that enters the future
And becomes a part of it.

შენ სხვებში - ეს არის, რაც ხარ.
შენი სული, შენი უკვდავება, შენი ცხოვრება სხვებში.
და ახლა რა?
შენ ყოველთვის სხვებში იყავი და
ეს შენ იქნები - სული, რომელიც მომავლისაკენ მიემართება
და მისი ნაწილი ხდება.

ჩვენი მემკვიდრეობა ჩვენი მომავალია, ჩვენი მოსწავლეებია. ეს ის მიზეზია, რის გამოც სწავლება მნიშვნელოვანია.

კითხვები / აქტივობები

1. გამოკითხეთ გამოცდილების მქონე ნებისმიერი მასწავლებელი და გაარკვიეთ, რა იყო მიზეზი, რის გამოც მან შეინარჩუნა მასწავლებლის პროფესია.
2. წაიკითხეთ ისეთი ცნობილი მასწავლებლების ბიოგრაფიები, როგორებიც იყვნენ ანა სალივან მეკი (ჰელენ ქელერის მასწავლებელი), ჯეიმი ესკალანტე და სხვები.
3. როგორ არიან წარმოდგენილნი მასწავლებლები ფილმებსა და სხვა სატელევიზიო გადაცემებში? როგორ ფიქრობთ, მათი პორტრეტები რეალისტურია? ახსენით. (იხილეთ ბოლოტინი და ბერნაფორდი, 2001) ფილმები: „მომენდე“, „მასწავლებელი კარტერი“, „თავისუფლების მხედრები“, „აკელა და ფუტკარი“, „მასწავლებელი მისის ტინგლი“ და „მატილდა“.
4. გაიხსენეთ და დაახასიათეთ მასწავლებელი, რომლისთვისაც აღნიშნულ თავში მოცემულ იდეალებია დამახასიათებელი. რით განსხვავდება ეს მასწავლებელი სხვა დანარჩენი მასწავლებლებისაგან?
5. ამ თავში განხილულ იდეებსა და იდეალებს შეუძლიათ თუ არა დაგეხმარონ განათლების შესახებ შეხედულებების ჩამოყალიბებაში?

აქტივობა #2

ჩაწერეთ გუგლში, ან სხვა თქვენთვის სასურველ საძიებო სისტემაში სიტყვა „კარგი სწავლება“. თქვენ აქ უამრავ მასალას იპოვით. ჩამოწერეთ თქვენ მიერ მოძიებული მასალა და გაუზიარეთ კოლეგებს.

თავი 2

რა არის საჭირო იმისთვის, რომ იყო კარგი მასწავლებელი?

სწავლების ნაყოფს ერთ დღეში ვერ დაინახავ, ის შეუმჩნეველია და, შესაძლოა, ოცი წლის განმავლობაში დარჩეს ასე.

- ჟაკ ბარზუნი

სწავლება გაცილებით მეტია, ვიდრე ინფორმაციის გადაცემა. ის გულისხმობს მრავალმხრივი ცოდნის ადეკვატური გზებით წარმოჩენას, კარგი შეკითხვების დასმას, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობების ჩამოყალიბებას, პროფესიონალებთან თანამშრომლობას, მრავალრიცხოვანი მონაცემების ახსნა-განმარტებას, განსხვავებული შესაძლებლობებისა და მონაცემების მქონე მოსწავლეების საჭიროებების შეჯერებას, პრაქტიკული პრობლემების დასმას და გადაჭრას.

- მერილინ კორან-სმიტი

კითხვები:

1. თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისთვის, რომ იყო კარგი მასწავლებელი?
2. მასწავლებლის მხრიდან რა თვისებების გამოვლენას ისურვებდით გაკვეთილზე?
3. დაასახელეთ კარგი მასწავლებლის ერთი მახასიათებელი?
4. რა სპეციფიკურ უნარებს უნდა ფლობდეს კარგი მასწავლებელი?
5. რა ღირებულებები ან თვისებები უნდა ჰქონდეს მასწავლებელს?

რა აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და თვისებების ფლობაა საჭირო იმისათვის, რომ კარგად ასწავლო? მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა განათლების შესახებ არსებული ვრცელი ლიტერატურა ეფექტური მასწავლებლის განსაზღვრისას სხვადასხვა

სირთულეს ცხადყოფს (დარლინგ-ჰამონდი, 2000; გუდი&ბროფი, 1997), ჩვენ წლების განმავლობაში დავაგროვეთ საკმარისი ცოდნა იმისათვის, რომ ჩამოვაყალიბოთ საერთო ნიშნები, რაც კარგ სწავლებას ახასიათებს (სთრონჯი, 2002). მასწავლებელთა განათლების სფეროში არსებული ლიტერატურის და ჩემი 30-წლიანი პედაგოგიური, ადმინისტრატორისა და მასწავლებელთა განათლების სპეციალისტის გამოცდილების გამოყენებით, ამ თავში გთავაზობთ რამდენიმე პრაქტიკულ რჩევას, სტრატეგიასა და ტექნიკას.

წაკითხვისას შეეცადეთ, გააკეთოთ ჩანაწერები და განსაზღვროთ, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ესა თუ ის კონკრეტული საკითხი: *ცოდნას, უნარებს* თუ *თვისებებს*. თავის ბოლოს თქვენ უნდა შეადგინოთ სია, რომელიც დაგეხმარებათ დაალაგოთ ყველა მოსაზრება, რასაც წიგნიდან შეიტყობთ. მე წარმოვადგინე თოთხმეტი რჩევა სწავლებისათვის, რომელსაც თან ახლავს პატარა აღწერა, სადაც საუბარია, თუ როგორ გამოვიყენოთ ისინი პრაქტიკაში. წიგნის პირველ გამოცემაში წარმოვადგინე გაცილებით მეტი ინფორმაცია, რაც შეიძლება გადაჭარბებული იყოს, მაგრამ მიმაჩნია, რომ დამწყები მასწავლებლის შემთხვევაში „ნაკლები არის მეტი, ან უკეთესი“. სია, რა თქმა უნდა არ არის ამომწურავი, მაგრამ ის წარმოაჩენს აუცილებელ და საკვანძო საკითხებს კარგი სწავლებისათვის.

მოდით, თვალი გადაავლეთ თქვენს პედაგოგიურ კარიერას და განსაზღვრეთ, თუ რა გამოცდილებამ განაპირობა თქვენი კარგ მასწავლებლად ჩამოყალიბება. „მაგრამ მე ხომ ახლახან დავიწყე მასწავლებლად მუშაობა?“ - შეიძლება თქვათ. „როგორ შემიძლია დავფიქრდე, როდესაც სულ ახლახან დავიწყე?“

განაგრძეთ კითხვა.

რეფლექსია

წარმოიდგინეთ, რომ ახლა თქვენი პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებული წვეულებაა. ზოგიერთი თქვენგანისთვის ეს დრო 30 წლის შემდეგ ან უფრო ნაკლებ დროში დადგება. თუმცა, მაინც, წარმოიდგინეთ, რომ ამ წვეულებაზე დაპატიჟეს თქვენი სამი მოსწავლე იმისათვის, რომ აღნიშნონ, თუ რას ნიშნავთ მათთვის. რა გსურთ, რომ მათ თქვენ შესახებ თქვან? დაწერეთ თქვენი აზრი ქვემოთ. განაგრძეთ კითხვა და ჩვენ მოკლედ გავაანალიზებთ თქვენს პასუხს.

_____

_____

_____

_____

_____

იდეები სწავლებისთვის #1: ხართ თუ არა კარგი მასწავლებელი?

სწავლებაში არსებული გამოწვევების შესახებ ყველა ჩვენგანს სმენია. რას აკეთებს წარმატებული მასწავლებელი მათ დასაძლევად? რა არის საჭირო იმისთვის, რომ იყო კარგი მასწავლებელი? ხართ თუ არა ასეთი? შეგწევთ ძალა ცვლილებებისთვის? გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომლებიც თვითშეფასებაში დაგეხმარებათ.

> უზრუნველყავით უკუკავშირი;
> მიეცით ბავშვებს საუკეთესო განათლება;
> გამოიყენეთ სწავლების სხვადასხვა ხერხი;
> შეცვალეთ;
> დაინახეთ ინტერესი მოსწავლეებში;
> ყველა მოსწავლეს თანასწორად მოეპყარით;
> მიიღეთ კრიტიკა;
> პირად პრობლემებს ნუ გაასაჯაროებთ;
> არ დანებდეთ;
> ისწავლეთ ყველასგან.

1. კარგი მასწავლებელი ყოველთვის ცდილობს, მიიღოს უკუკავშირი თავის ქმედებისგან. აანალიზებს წარმატებებს და წარუმატებლობებს. ცდილობს კითხვით, კონფერენციებზე დასწრებით, კოლეგებისგან რჩევის მიღებით აიმაღლოს პროფესიული კვალიფიკაცია.
2. წარმატებული მასწავლებელი ყოველთვის პოპულარული არ არის. არ არის აუცილებელი, რომ მასწავლებელი იყოს პოპულარული. აუცილებელია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს საუკეთესო განათლება მისცეს.
3. წარმატებული მასწავლებელი ბევრ განსხვავებულ ხერხს იყენებს სწავლების პროცესში. ლექციის მეთოდი მოსწავლეებში დიდ დაინტერესებას ვერ პოულობს.
4. კარგი მასწავლებელი დარწმუნებულია, რომ შესწევს ძალა ცვლილებებისთვის. მკვლევართა სიტყვებით - ისინი გამოირჩევიან „მაღალი ხარისხის ეფექტურობით“. მათ იციან საკუთარი შრომის ფასი, მიუხედავად არც თუ ისე სწრაფი თვალსაჩინო შედეგებისა.
5. მასწავლებელი, რომელიც გულწრფელ და მუდმივ ინტერესს ხედავს მოსწავლეში, შეძლებს მის მოტივირებას მაღალი შედეგების მისაღწევად.
6. კარგი მასწავლებელი მოსწავლეებს თანასწორად ეპყრობა, მიუხედავად მათი აკადემიური დონის, ეთნიკური კუთვნილებისა თუ ეკონომიკური სტატუსისა.
7. ეფექტური მასწავლებელი, შექებასთან ერთად, კრიტიკასაც თავისუფლად იღებს.
8. კარგი მასწავლებელი სკოლაში მუშაობის დროს პირად პრობლემებს არ გამოხატავს.
9. კარგი მასწავლებელი არ ნებდება. ის მოსწავლეზე მუშაობას არასოდეს წყვეტს.
10. კარგი მასწავლებელი კარგი ხელმძღვანელია და, ამავდროულად, იღებს რჩევებს მოსწავლეების, კოლეგების, ხელმძღვანელების, მშობლებისა და მეგობრებისგან.

რომ შევაჯამოთ, მასწავლებელი არის ის, ვინც უსმენს, ესმის მოსწავლეებისა და ზრუნავს მათზე. პატივისცემა, წახალისება და ნებისყოფა ხასიათის აუცილებელი თვისებებია. გადახედეთ თქვენს ჩანაწერებს რეფლექსიის ბლოკში, რომლებიც თქვენს

პენსიაზე გასვლის აღსანიშნავ წვეულებას და თქვენი რომელიმე სამი მოსწავლის მიერ გაკეთებულ დახასიათებას ეხებოდა. ნიძლავს ჩამოვალ, რომ არც ერთ თქვენგანს არ დაუწერია: "მან სამოქალაქო ომის მიზეზები მასწავლა" ან „მან ალგებრის მაგალითების გამოყვანა მასწავლა". როდესაც მოსწავლეების მიერ ჩვენს დახასიათებაზე ვფიქრობთ, რასაც ნამდვილად აქვს მნიშვნელობა, ვგრძნობთ როგორი გავლენა მოვახდინეთ ჩვენს მოსწავლეებზე, როგორც ინდივიდებზე, ადამიანებზე. თქვენ, სავარაუდოდ, გსურთ, წვეულებაზე მოსწავლეებმა აღნიშნონ, თუ როგორ პატივისცემით ეპყრობოდით, დაუღალავად ამხნევებდით და უნერგავდით სიმამაცესა და გამბედაობას. ეს არის ის ჭეშმარიტი მიზნები, რის გამოც ვიწყებთ მასწავლებლობას. რა თქმა უნდა, კურსის შინაარსი აუცილებელი და მნიშვნელოვანია. მაგრამ რასაც რეალურად აქვს მნიშვნელობა, ის ღირებულებებია, რომელთაც ვასწავლით ნებსით თუ უნებლიეთ. რაც კარგი არსებობს სწავლებაში, სწორედ საუკეთესო ღირებულებები და ღირსებებია.



უპასუხეთ:

სხვადასხვა ლიტერატურაში მასწავლებელთა ეფექტურობის შესახებ რა ძირითად აღმოჩენებს ვხვდებით? თქვენი აზრით, რომელია ის ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა, რისი გაკეთებაც მასწავლებელთა ეფექტურობის შესახებ შეგვიძლია?

1.
2.
3.
4.
5.

„პასუხის" პასუხი

გთავაზობთ, ჩემი აზრით, ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან დასკვნას მასწავლებელთა ეფექტურობის შესახებ.

1. *მოსწავლის წარმატებაში მასწავლებელს უდიდესი წვლილი მიუძღვის.* მასწავლებელი მთავარი ელემენტია სასწავლო პროცესში, ისევე, როგორც ქირურგი პაციენტისათვის - საოპერაციო ოთახში და მექანიკოსი - ავტომაღაზიაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასწავლებელს შესწევს ძალა, შეცვალოს ბევრი რამ,

როდესაც საქმე მოსწავლეებს და გაკვეთილს ეხება. სწორედ ამიტომ, სწავლება *101: სწავლის სტრატეგიები დამწყები მასწავლებლებისთვის* ამახვილებს ყურადღებას მასწავლებლის „თვითეფექტურობაზე"; ეს არის რწმენა, რომ მას შესწევს ძალა - შეცვალოს!

2. *ჩვენი, როგორც სკოლის მოსწავლეების, მეხსიერება და გამოცდილება მნიშვნელოვან როლს თამაშობს გაკვეთილის წარმართვაში.* გვინდა თუ არა ეს, ფაქტია, რომ გამოცდილებამ, რომელიც განათლების მიღების დროს დავაგროვეთ, შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს ჩვენს დამოკიდებულებებზე ჩვენსავე მოსწავლეებთან. თუ უმეტესად ლექციის მეთოდის გამოყენებით და დედუქციური მანერით გასწავლიდნენ (მაგალითად: მასწავლებელი ლაპარაკობს და ბავშვები უსმენენ - პასიური სწავლება), თქვენც, სავარაუდოდ, ამ გზით გადასცემთ მოსწავლეს ცოდნას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად ამ გზით ასწავლით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ იმ მეთოდმა, რომლითაც ცოდნა გადმოგცეს, შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს თქვენს აღქმაზე სწავლებისა და სწავლის მიმართ. ხოლო სხვა ალტერნატიული გზებით მიღებულმა ინფორმაციულმა (მაგალითად, ჯგუფური სწავლების, ტექნოლოგიების გამოყენების, დისკუსიის, სოკრატეს დიალოგის) ზეგავლენამ, შესაძლოა თავიდან აგვაცილოს მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება. რა თქმა უნდა, საუბარს შეუძლია გამოიწვიოს პოზიტიური შედეგები. მთავარია, დეტალურად განვიხილოთ ჩვენი წარსული გამოცდილებები, რათა განვსაზღვროთ, რამდენად მოახდენენ ზეგავლენას ისინი ჩვენი, როგორც მასწავლებლების ქმედებაზე. სწორედ ამიტომ, ეს წიგნი გთავაზობთ, დაფიქრდეთ საკუთარ პირად გამოცდილებასა და მასწავლებლებზე, რომლებმაც დადებითი ან უარყოფითი ზეგავლენა მოახდინეს თქვენზე. გააანალიზეთ თქვენი პასუხები და შეინახეთ თქვენი ჩანაწერები რეფლექსიის ბლოკში. გაუზიარეთ კოლეგებს. შეიძლება თუ არა თქვენმა მოგონებებმა ზეგავლენა მოახდინონ თქვენს ქმედებებზე გაკვეთილის პროცესში? იხილეთ მოგონების ბლოკი.

რეფლექსია

მომდევნო აქტივობები მნიშვნელოვანია მეხსიერების ბანკის შექმნისთვის, რომელიც დაგეხმარებათ, გაიაზროთ სხვადასხვა ზეგავლენა, ცუდი თუ კარგი, რომლებიც თქვენს ქმედებას განსაზღვრავს საკლასო ოთახში და მნიშვნელოვანად მოქმედებს თქვენი სწავლების სტილსა და მოსწავლეების მიმართ მოპყრობაზე.

1. გაიხსენეთ ყველაზე ადრეული მოგონება ფორმალური განათლების პერიოდიდან. რა გახსენდებათ? შეგიძლიათ გაიხსენოთ მასწავლებლების და სხვა მნიშვნელოვანი პირების სახელები? რა სახის მოგონებები გაქვთ სკოლაში წასვლასთან/ბაგა-ბაღთან დაკავშირებით? რა გახსენდებათ თქვენი სასკოლო გამოცდილებებიდან? დამამთავრებელ კლასში ყოფნის დროს რაიმეს ხომ ვერ გაიხსენებდით? (დაწერეთ პასუხები, გაუზიარეთ კოლეგას, და შედარეთ წიგნში განხილულ მაგალითებს).----------
---

---

2. გაიხსენეთ მასწავლებლები, რომლებსაც „ეთაყვანებოდით“, კარგ ან საუკეთესო მასწავლებლად მიიჩნევდით, მასწავლებლები, ვისთვისაც გსურდათ მიგებაძათ. დაწერეთ ყველაფერი მათზე, რაც შეგიძლიათ. რატომ არიან ისინი დასამახსოვრებელი და თაყვანსაცემი? მათი ქმედებებიდან გამომდინარე, როგორ აღწერთ სწავლების ფილოსოფიას? რომელ წარმატებულ პედაგოგიურ სტრატეგიებს იყენებდნენ ისინი? რატომ გსურთ მიბაძოთ მათ? რატომ მოიქცეოდით ასე?----------
---

---

3. გაიხსენეთ მასწავლებლები, რომლებსაც ნაკლებად მოგწონდათ, ვისაც ცუდ ან საშიშ მასწავლებლად მიიჩნევდით, მასწავლებლები, რომლებისთვისაც არ გსურდათ მიგებაძათ. დაწერეთ მათ შესახებ ყველაფერი, რაც შეგიძლიათ. რატომ იყვნენ ისინი განსაკუთრებით წარუმატებელნი?----------
---

მოგონება

მახსოვს, პირველად, როდესაც ჩემს შვილს დავუყვირე რაღაც წვრილმანი დარღვევის გამო, რაც ახლა აღარ მახსენდება. მაგონდება ინციდენტის შემდგომი მომენტი: ჩემი შვილი გავიდა დამწუხრებული და მე გავშეშდი. “ღმერთო ჩემო, არ მჯერა, რაც შვილს ვუთხარი. ეს ხომ იგივეა, რაც ბიძაჩემმა მითხრა, როდესაც პატარა ვიყავი. პირობა დავდე, რომ აღარასოდეს ვეტყოდი ჩემს შვილს ამას... და შევასრულე.“

როგორ უკავშირდება ეს მოგონება ჩვენს მსჯელობას მასწავლებლის შესაძლო ქცევასა მის გამოცდილებებზე? გაგვიზიარეთ თქვენი აზრი

გავაგრძელოთ მსჯელობა სამი სხვა, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნით, რომლებიც მასწავლებელთა ეფექტურობის შესახებ შეგვიძლია გავაკეთოთ.

3. *ჩვენი შეხედულებები, პოზიციები, სწავლების ფილოსოფიები, სწავლა და მოსწავლეთა ზეგავლენა ჩვენს მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე.* რასაც „საკალასო ოთახის მიღმა“ ვაკეთებთ (გუდლადი, 1970), დიდწილად განპირობებულია იმით, თუ რას ვფიქრობთ და რისი გვწამს (ოსტერმანი და კოტკამპი, 1993). სწორედ ამიტომ, *სწავლება 101* გთავაზობთ, შეამოწმოთ თქვენი შეხედულებები და მათი ზეგავლენა ქმედებაზე. იხილეთ ფორმა 2.1 უპასუხეთ - რწმენის ჩამოყალიბება.

4. *მასწავლებლები, რომლებიც გადიან ინტენსიურ, გრძელვადიან მასწავლებელთა მომზადების პროგრამებს, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვან საველე გამოცდილებას, უკეთესად არიან მომზადებულნი, გაუმკლავდნენ სწავლების პროცესში შექმნილ პრობლემებს, ვიდრე ისინი, ვისაც ამგვარი ტრენინგი არ გაუვლია.* მაგალითად, ნახეთ დარლინგ-ჰამონდი, ჩუნგი და ფრელოუ (2002) და კორან-სმიტი (2002). მასწავლებელთა მომზადება მოსწავლეთათვის სწავლებით არ მთავრდება. ინდუქციური პროგრამები და მენტორობა თამაშობს მნიშვნელოვან როლს მასწავლებელთა ეფექტურობის გაძლიერებაში. შემოგთავაზეს კონსტრუქციული უკუკავშირი და ხელმძღვანელობა? გაგიწიეს, როგორც დამწყებ მასწავლებელს, მორალური და ტექნიკური მხარდაჭერა გაკვეთილის ჩატარებისთვის? თუ პასუხი უარყოფითია, მოიძიეთ დახმარება. აიღეთ პასუხისმგებლობა თვითგანვითარებაზე, როგორც პროფესიონალმა მასწავლებელმა. ეძიეთ მენტორი. გაიარეთ დამამთავრებელი კურსი. ჩაერთეთ სამაგისტრო პროგრამაში. დაესწარით კონფერენციებს, ვორკშოპებს და პროფესიული განვითარების ტრენინგებს.

5. *მასწავლებლები, რომლებიც საკლასო სივრცის ეფექტური მმართველები არიან, მნიშვნელოვნად ზრდიან საკუთარი წარმატების შესაძლებლობას.* რამდენი მასწავლებელი გინახავთ, რომელიც კარგი სპეციალისტია და, ამასთანავე, აქვს გადმოცემის კარგი უნარი. თუმცა ისინიც კი ხანდახან ვერ უმკლავდებიან მოსწავლეთა ცუდ ყოფაქცევას. უუნარობა, გაუმკლავდე მოსწავლეთა ცუდ ყოფაქცევას

ერთ-ერთი პირველი მიზეზია იმისა, რის გამოც ახალბედა მასწავლებლები ამ პროფესიას ტოვებენ. ხართ თუ არა სათანადოდ მომზადებული, გაუმკლავდეთ მოსწავლეთა ცუდ ყოფაქცევას? გაქვთ თუ არა სისტემური, კარგად გააზრებული დისციპლინის გეგმა? გაქვთ თუ არა დისციპლინის სხვადასხვა: პრევენციული, დამხმარე და მაკორექტირებელი ტექნიკები? გადადით მეხუთე თავზე.

ფორმა 2. უპასუხეთ. რწმენის ჩამოყალიბება

ა=აბსოლუტურად ვეთანხმები

ბ=ვეთანხმები

გ=არ ვეთანხმები

დ=კატეგორიულად არ ვეთანხმები

	ა	ბ	გ	დ
1. მიმაჩნია, რომ სწავლა ყველა მოსწავლეს შეუძლია.				
2. მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს მხოლოდ თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე.				
3. ზოგ მოსაწვლეს სპეციალური სასწავლო გარემო სჭირდება.				
4. გოგონებს და ბიჭებს მათემატიკის სწავლის თანაბარი უნარი აქვთ.				
5. ყველა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წევრ ბავშვს სწავლის თანაბარი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.				
6. მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს სკოლის ბიუროკრატია.				
7. იმდენად კარგი ვარ, რამდენადაც ტრენინგზე მასწავლეს.				
8. საკლასო ოთახში გადამწყვეტი როლი მაქვს.				
9. მუდმივად მჭირდება სწავლა და პროფესიული ზრდა, რათა უკეთესი მასწავლებელი გავხდე.				
10. მჯერა, რომ მოსწავლეები აქტიური სწავლებით - ქმედებით უკეთესად სწავლობენ.				
11. მჯერა, რომ კარგი მასწავლებლები კრიტიკულ აზროვნებას აღვივებენ ბავშვებში.				
12. კულტურული მრავალფეროვნება და მულტიკულტურული განათლება ყველა კარგი კურიკულუმის აუცილებელი კომპონენტია.				
13. კარგი მასწავლებელი მოსწავლეებზე უნდა ზრუნავდეს.				
14. კარგი მასწავლებლები ჩართულები არიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში სკოლის გარეთ.				

იდეები სწავლებისთვის #2: კვლევაზე დაფუძნებული შვიდი მიგნება წარმატებული მასწავლებლის მახასიათებლის შესახებ

არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გთავაზობთ კვლევაზე დაფუძნებულ შვიდ მიგნებას (სტრონგი, 2002):

1. ყველაზე დიდი გავლენა მოსწავლეებზე მასწავლებლებს აქვთ.
2. კვალიფიციური და გამოცდილი მასწავლებლები, რომლებსაც სპეციფიკური ცოდნა, უნარები და თვისებები აქვთ, უფრო ეფექტურნი არიან მოსწავლის მიღწევების გაზრდის კუთხით, ვიდრე არაკვალიფიციური ან გამოუცდელი მასწავლებლები. "გამოცდილი მასწავლებლები ახალბედებისგან ცხოვრებისეული გამოცდილებით, სასწავლო პრაქტიკით განსხვავდებიან" (გვ. 9). კვლევა აჩვენებს, რომ მეტი გამოცდილების მქონე მასწავლებლები გეგმავენ უკეთ, მიმართავენ რიგ განსხვავებულ სტრატეგიებს, ესმით მოსწავლეების სასწავლო საჭიროებების და უკეთ გეგმავენ სწავლების პროცესს.
3. მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ რეფლექსიის უნარი, მეტად წარმატებულნი არიან. „ეფექტური მასწავლებლები მუდმივად მიმართავენ თვითგანვითარებასა და თვითკრიტიკას, როგორც სასწავლო საშუალებებს" (გვ. 20). კვლევა აჩვენებს, რომ რეფლექსიური მასწავლებელი აწარმოებს სხვადასხვა სახის ჟურნალს, კოლეგასთან ერთად განიხილავს საკლასო პრაქტიკას და ამართლებს მოსწავლეთა მაღალ მოლოდინებს.
4. მასწავლებლები, რომლებიც საკლასო ოთახის მართვის კარგ უნარებს ფლობენ, ზრდიან დროის შედეგიანობას გაკვეთილზე. „ეფექტური მასწავლებელი მზრუნველობითა და სიზუსტით გეგმავს, რათა კარგი გაკვეთილი ჩატარდეს" (გვ. 25). კვლევა ადასტურებს, რომ ეფექტურ საკლასო მენეჯერებს მინიმუმამდე დაჰყავთ დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემები, ზრდიან სამუშაო დროს, ხელს უწყობენ მკაფიო წესებისა და პროცედურების დანერგვას და აქვთ კლასის მართვის სისტემური გეგმა.
5. მასწავლებლები, რომლებიც წინასწარ ყურადღებით და მეთოდურად გეგმავენ და ამზადებენ გაკვეთილს, უფრო წარმატებულები არიან, ვიდრე ისინი, ვინც წინასწარ არ ამზადებენ. „დროის ორგანიზება და საგაკვეთილო მასალის მომზადება წარმატებული სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია" (გვ. 37). კვლევა ამტკიცებს, რომ გაკვეთილის დაგეგმვას მივყავართ შესაბამის საგაკვეთილო მიზნებისკენ, სხვადახვა დამხმარე რესურსების გამოყენების (ორგანაიზერები და მულტიმედია), უკეთესი შეკითხვების ფორმულირების, ნაკლები ცუდი ყოფაქცევისა და მოსწავლეთა მხრიდან მეტი ყურადღების გამოჩენისკენ.
6. მასწავლებლები უფრო წარმატებულნი არიან, როდესაც სწავლების იმგვარ სტრატეგიებს მიმართავენ, რომლებიც ზრდიან სავარჯიშოებისთვის განკუთვნილ დროს." მასწავლებლის მიერ ინსტრუქციისთვის დათმობილი დროის კვალდაკვალ,

ის დრო, რომელსაც მოსწავლეები სავარჯიშოს ან სხვა სასწავლო აქტივობის შესრულებაზე ხარჯავენ, მნიშვნელოვანია საკლასო წარმატებისთვის“ (გვ.48). კვლევა ცხადყოფს, რომ მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეებს აქტიურად რთავენ საგაკვეთილო პროცესში, უფრო დადებითად იყენებენ ცოდნის განმტკიცების სტრატეგიებს, მოსწავლეებს უსვამენ სხვადასხვა ტიპის შეკითხვას, აწვდიან ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქციებს და კარგად ამზადებენ კლასს.

7. მასწავლებლებლები, რომლებიც სწავლების დიფერენცირებას ახდენენ მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, გაცილებით წარმატებულნი არიან. „ეფექტური მასწავლებლები ითვალისწინებენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ განსხვავებებს მოსწავლეებს შორის და ითვალისწინებენ მას გაკვეთილის ახსნისას.“ (გვ. 57). კვლევა მხარს უჭერს მასწავლებელთა მიერ სხვადასხვა ჯგუფური სტრატეგიის გამოყენებას (მაგ. როგორიცაა თანამშრომლობით სწავლება), ინდივიდუალურ მიდგომას, მონიტორინგს და მოსწავლეთა პროგრესის შეფასებას და მოსწავლეთა სპეციფიკური სასწავლო საჭიროებების გაგებას.

იდეა სწავლებისთვის #3: რა არის იმისთვის საჭირო, რომ იყო წარმატებული მასწავლებელი

კომპეტენციის ზოგიერთი მხარე: თვითშეფასება

1. *შინაარსი (საგნის და ზოგადი ცოდნა)* - ხართ თუ არა საგნის მცოდნე?
2. *პედაგოგიკა (სწავლების თეორია, სწავლის თეორია, კურიკულუმის თეორია)* - ფლობთ თუ არა პედაგოგიურ უნარებს?
3. *საკუთარი თავი* - იცნობთ თუ არა საკუთარ თავს კარგად? (მაგალითად, თქვენს ძალებს, სისუსტეებს და ა.შ.?)
4. *ინტერპერსონალურობა* (მოსწავლეები, მშობლები, ადმინისტრაცია და საზოგადოება) - ადამიანებს კარგად ეწყობით? საიდან იცით?
5. *კითხვის დასმა* - როცა საჭიროა, სვამთ თუ არა მრავალფეროვან, დამაფიქრებელ-პროვოკაციულ კითხვებს?
6. *დაგეგმვა (ცუდი დაგეგმარების შედეგები - ყოფაქცევის პრობლემები, ცუდი სწავლა, მონოტონური პრეზენტაცია, მასწავლებლის უპატივცემულობა და ა.შ.)* - გეგმავთ თუ არა გაკვეთილს ყოველთვის?
7. *კლასის მენეჯმენტი* - გექმნებათ თუ არა სირთულე კლასის მართვისას და ეფექტური დისციპლინის გეგმის დანერგვისას?
8. *კომუნიკაცია* - ხართ თუ არა კომუნიკაბელური? საიდან იცით?
9. *სხვების მიმართ პოზიტიური და ნეგატიური დამოკიდებულება და ქცევა* - კატეგორიები:

ა) საკუთარი თავის მიმართ - შეაფასეთ თქვენი ძლიერი და სუსტი მხარეები, სურვილები და საჭიროებები. საიდან ხვდებით, რამდენად ზუსტია თქვენი შეფასება? დაფიქრდით, ესაუბრეთ სხვებს, აწარმოეთ ჟურნალი, წაიკითხეთ თვითმასწავლებლები - რა გაიგეთ საკუთარ თავზე საველე სამუშაოებისა და მოსწავლეებთან ჩატარებული გაკვეთილებიდან?

ბ) ბავშვების მიმართ - გიყვართ ბავშვები? გაქვთ თუ არა რაიმე ტიპის დამოკიდებულებები? (ეთნიკურობა, რელიგია, გენდერი, სოციალური კლასი)? ბავშვების მიმართ მეტნაკლებად მომთხოვნი ხართ?

გ) თანასწორების მიმართ - როგორი დამოკიდებულება გაქვთ კოლეგებთან, მშობლებთან, ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და სხვებთან?

დ) ასწავლით თუ არა ენთუზიაზმით თქვენს საგანს?

რეფლექსია

ნდობით აღჭურვილ თქვენს კოლეგას გაუზიარეთ თქვენივე პასუხები ზემოთ მოყვანილ შეკითხვებზე. არის თუ არა რომელიმე სფერო, რომლის გამოსწორებაც გჭირდებათ? რას აპირებთ, რომ ცოდნისა და უნარების გაზრდისთვის გააკეთოთ? განაგრძეთ კითხვა:

იდეა სწავლებისთვის #4: სწავლების შესახებ სამი მიდგომა

წარმატებული მასწავლებელი სწავლების პროცესში სხვადასხვა მიდგომას იყენებს. შეადარეთ სამი ყველაზე გავრცელებული მიდგომა:

	ლექცია	დისკუსია	მასწავლებელი-ხელმძღვანელი სოკრატული მიდგომა
მიზანი	ცოდნის გადაცემა; შინაარსობრივი მხარის სრულყოფა; პირდაპირი გზით ცოდნის წარმოდგენა;	მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა გამოხატონ საკუთარი აზრი, გაანალიზონ და შეადარონ შეხედულებები;	მოსწავლეთა ერთ კონკრეტულ აზრამდე მიყვანა პირდაპირი კრიტიკული შეკითხვების გზით;
პროცესი	მასწავლებელი აქტიური; მოსწავლეები პასიურები;	მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას, სვამს მთავარ კითხვებს, უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას; მოსწავლეები უფრო აქტიურნი არიან;	მასწავლებელი ნაკლებ აქტიურია-სვამს მთავარ კითხვებს; მოსწავლეები უფრო აქტიურნი არიან (ეძებენ პასუხებს კითხვებზე);
მეთოდოლოგია	პირდაპირი/დედუქციური;	ირიბი/ინდუქციური;	პირდაპირი-მასწავლებელი პირდაპირ

			სვამს კითხვას; ირიბი-მასწავლებელი სვამს კითხვას მოსწავლეთა თვითშემეცნების გაძლიერებისთვის;
ხანგრძლივობა	ხანმოკლე;	განუსაზღვრელი/ხანგრძლივი;	განუსაზღვრელი/ხანგრძლივი;
მოსწავლეთა რაოდენობა	დიდი ჯგუფები;	საშუალო ჯგუფები;	ძალიან პატარა ჯგუფები; ხშირად ერთი ერთზე;
შედეგი	მიღებული და უმეტეს შემთხვევაში დამახსოვრებული ზუსტი ინფორმაცია;	არაზუსტი-შესაძლოა იყოს ერთ პასუხზე მეტი; უნარი დისკუსიის შედეგად გაერკვე საგანში;	ზუსტი-მოსწავლეები პოულობენ პასუხს მასწავლებლის მიერ დამსულ კითხვებზე, თვითაღმოჩენის გზით;
დასკვნა	სწავლების გადაჭარბებული მეთოდი; როდის გამოიყენებდით? როდის არ გამოიყენებდით?	გამოიყენება მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების წახალისებისთვის; როდის გამოიყენებდით? როგორ წაქეზებდით მოსწავლეებს დისკუსიაში მონაწილეობისთვის?	გამოიყენება მოსწავლეთა მიერ ერთი-ერთზე მეთოდით პრობლემის გადაწყვეტის გზების მოძიებისთვის; როდის გამოიყენებდით სოკრატულ მიდგომას?

შეჯამება

ზემოთ მოყვანილი მიდგომების ერთდროულად გამოყენება შესაძლებელია. მაგალითად, გაკვეთილზე თქვენ შეგიძლიათ აწარმოოთ დისკუსია და როდესაც მოსწავლეს სირთულე შეექმნება, შეგიძლიათ დროის მცირე მონაკვეთში გამოიყენოთ სოკრატული მეთოდი. წარმატებულ მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ლექციის, დისკუსიის და სოკრატული მეთოდები, როცა საჭიროა.

რეფლექსია

დადექით სარკის წინ (ვიცი, რომ უცნაურად ჟღერს). გაითამაშეთ გაკვეთილი, სადაც სამივე ზემოთხსენებულ მიდგომას გამოიყენებთ. დარწმუნდით, რომ სწორად ანაწილებთ დროს.

რა არის ეს? განაგრძეთ კითხვა.

იდეა სწავლებისთვის #5: ოთხი ყველაზე აუცილებელი კონცეპტი, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის მიღწევებზე

კარგი მასწავლებელი იცნობს ყველა იმ გადამწყვეტ ფაქტორს, რომლებიც ხელს უწყობენ სწავლის პროცესს. სწავლების ეფექტურობის შესახებ კვლევა გამოყოფს ოთხ კონცეპტს, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოსწავლეებში მიღწევების ხელშეწყობისთვის. როგორ უკავშირდება მასწავლებლის პრაქტიკას ეს ოთხი იდეა? რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ ამ ოთხივე კონცეპტის ჩართვა უზრუნველყოთ თქვენს გაკვეთილებზე?

1. აკადემიურად განაწილებული დრო - არის დროის ის მონაკვეთი, რომელსაც სხვადასხვა საგანისთვის განსაზღვრავთ; მაგალითად, კითხვა, მათემატიკა, მეცნიერება. კვლევები ცხადყოფს პირდაპირ კავშირებს საგნისთვის თქვენ მიერ გამოყოფილ დროსა და მოსწავლის მიღწევებს შორის. საღი აზრი გვკარნახობს, რომ თუ არ დაუთმობთ დროს რამის სწავლასა და პრაქტიკას, მაშინ სწავლა არ იქნება ეფექტური. თუმცა, მხოლოდ განაწილებული დრო არასაკმარისია. მაგალითად, ძალიან მნიშვნელოვანია, რასაც მასწავლებელი მათემატიკისთვის გამოყოფილ დროს აკეთებს.

2. აკადემიური სასწავლო დრო არის დრო, რომელსაც სხვადასხვა საგანზე ხარჯავთ. სასწავლო დროზე გარე ხელისშემშლელი ფაქტორები (როგორიცაა სკოლის მიკროფონში ხმამაღლა გაკეთებული განცხადებები, მთავარი ოფისიდან წარმოებული მონიტორინგი, მათ შორის - საკლასო ოთახში უეცარი შესვლა დასწრების კონტროლისთვის) ზემოქმედებენ. ამგვარი ხელისშემშლელი ფაქტორების მინიმიზაცია ზრდის აკადემიური სასწავლო დროის ეფექტიანობას. ამასთან, შიდა ფაქტორებიც მნიშვნელოვანია. მაგალითად, თუ გიჭირთ მოსწავლეთა ყოფაქცევის კონტროლი, ეს აკადემიურ სასწავლო დროზე უარყოფითად იმოქმედებს. მაშასადამე, აკადემიური სასწავლო დროის ეფექტურობისთვის მაქსიმალურად უნდა შემცირდეს გარეგანი ხელისშემშლელი ფაქტორების ზემოქმედება და თქვენ, როგორც მასწავლებელმა, უნდა უზრუნველყოთ დისციპლინის კონტროლი კლასში, რაც ყოფაქცევის წესებისა და პროცედურების მყარი სისტემის საშუალებითაა შესაძლებელი.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ სხვა მიდგომა, რომელიც გაზრდის აკადემიური სასწავლო დროის ეფექტიანობას?

პასუხი: შეამცირეთ დაგვიანებისა და გამოუცხადებლობის რიცხვი!

3. აკადემიური დატვირთვის დრო - არის დრო, რასაც მოსწავლე ფაქტობრივად აკადემიურ დავალებებზე მუშაობაში ხარჯავს. ეს ფაქტორი ყველაზე არსებითია აკადემიური მიღწევების ხელშეწყობისთვის. შესაძლოა, დრო დაუთმოთ მათემატიკას და მოსწავლეებს გააცნოთ ახალი მასალა, მაგრამ შედეგს ვერ დაინახავთ მანამ, სანამ ისინი სავარჯიშოს არ შეასრულებენ. ალან ორნშტაინის მიხედვით (1990), „იმ მასწავლებელთა მოსწავლეები, რომლებსაც მეტი აკადემიური დატვირთვის დრო აქვთ გაკვეთილზე (ისევე, როგორც ინსტრუქციის დრო), სწავლობენ გაცილებით მეტს იმ მოსწავლეებთან შედარებით, რომელთა მასწავლებელსაც ამისათვის დრო არ აქვს გამოყოფილი“ (გვ. 76).

4. აკადემიური წარმატებისთვის დრო - არის დროის მონაკვეთი, როდესაც მოსწავლეები წარმატებას აღწევენ. შეგიძლიათ გაანაწილოთ დრო, გქონდეთ აკადემიური სასწავლო დრო და აკადემიური დატვირთვის დროც, მაგრამ ართმევენ კი მოსწავლეები წარმატებით თავს დავალებას? როგორ უზრუნველყოფს მასწავლებელი, რომ მოსწავლეებმა წარმატებულად შეასრულონ სავარჯიშო?

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:

ა) დამოუკიდებელი სამუშაოს დროს, იმოძრავეთ ოთახში, რათა სიტუაციური დახმარება აღმოუჩინოთ ბავშვებს.

ბ) დროდადრო ჩაატარეთ ვიქტორინა.

გ) მოიწვიეთ არამოხალისეები, რათა დარწმუნდეთ მათ ყურადღებასა და გააზრებაში.

დ) შეიმუშავეთ დისციპლინის გეგმა (იხილეთ თავი 5) თანმიმდევრულად.

ე) გამოიყენეთ ჯგუფური სწავლების მეთოდი (იხილეთ ქვემოთ).

ვ) დააჯგუფეთ მოსწავლეები, რომელთაც სპეციფიკური პრობლემები აქვთ.

ზ) მუდმივად შეახსენეთ მოსწავლეებს, შეასრულონ სავარჯიშო.

თ) დააჯილდოეთ კარგი ყოფაქცევისთვის.

ი) გახადეთ თქვენი გაკვეთილები საინტერესო.

კ) გამოაჩინეთ ყურადღება ყველას მიმართ, გაითვალისწინეთ ყველა ბავშვის საჭიროება.

დაფიქრდით, კიდევ რა ხერხის გამოყენება შეიძლება?

ახლა თქვენ უკვე იცნობთ კონცეპტებს, რომლებსაც კარგი მასწავლებლები იყენებენ. როგორ დანერგავთ მათ პრაქტიკაში?

_____

_____

_____

_____

იდეა სწავლებისთვის #6: კარგი მასწავლებლის აუცილებელი მახასიათებელი

ფორმა 2.2. პასუხი - კარგი მასწავლებლები ... არიან... ნაწილი 1

პასუხი **კარგი მასწავლებლები ... არიან ... ნაწილი 1** (პასუხები განხილულია კითხვარის შემდგომ) ა=აბსოლუტურად ვეთანხმები ბ=ვეთანხმები გ=არ ვეთანხმები დ=კატეგორიულად არ ვეთანხმები

	ა	ბ	გ	დ
1. ვითვალისწინებ სხვა თვალსაზრისს, როდესაც ფაქტები მიუთითებენ, რომ ის უფრო ზუსტია.				
2. როდესაც განათლებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხზე ვმსჯელობ, ადვილად ვიცვლი შეხედულებას, თუ წარმოდგენილი ინფორმაცია ჩემს აზრს ეწინააღმდეგება.				
3. როცა გადაწყვეტილების მიღებისას განსხვავებულ პოზიციებს და მტკიცებულებებს განვიხილავ, ყოველთვის ნეიტრალური ვარ მანამ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებ. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჩემი მტკიცებულებები საფუძვლიანია.				
4. მიუხედავად შინაგანი სწრაფვისა, განათლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას არ მივემხრობი ჩემი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს.				
5. არ ვარ ჯიუტი, როდესაც ვიცი, რომ მართალი ვარ.				
6. ადამიანებს არ განვიკითხავ.				
7. რჩევისთვის ხშირად მომმართავენ, რადგან სამართლიან და ნეიტრალურ პიროვნებად მიმიჩნევენ.				
8. ვაფასებ პატიოსნებას სიტყვით და ქმედებით, გამაჩნია მყარი ეთიკური ღირებულებები.				

კარგი მასწავლებლები მიუკერძოებლები არიან. მიუკერძოებლობას განსაზღვრავს კონტექსტი, როდესაც მასწავლებლის ქმედება თავისუფალია განსჯისა და ცრურწმენისაგან და არც ერთ ინდივიდს არ ენიჭება უპირატესობა. წინასწარგანწყობა ძირს უთხრის კარგ სწავლებას, რადგან ის ხელს უშლის ინფორმაციისა და ადამიანების ობიექტურად შეფასებას. იყავით მასწავლებლის საყვარელი მოსწავლე? გყავთ თუ არა

საყვარელი მოსწავლე? თუ ასეა, როგორ გრძნობენ თავს სხვა მოსწავლეები? მოდით, შევამოწმოთ თქვენი პასუხები ზემოთ მოცემულ კითხვარზე. მოცემული რვა წინადადება მიუკერძოებელი მასწავლებლის ქცევის ნათელი მაგალითია. განიხილეთ თითოეული მათგანი, რათა გააანალიზოთ, თუ რამდენად ფლობთ ხასიათის ამ თვისებას, რასაც მიუკერძოებლობა ჰქვია.

1. *ვითვალისწინებ სხვა თვალსაზრისს, როდესაც ფაქტები მიუთითებს, რომ ის უფრო ზუსტია.*

პარადიგმა არის ლინზა, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენ მიერ მნიშვნელობების აღქმასა და მათ ინტერპრეტაციებზე. ყველა ჩვენგანი ხედავს და აღიქვამს სამყაროს სწორედ ამ ლინზის საშუალებით. მაგალითად, მე-16 საუკუნეში ადამიანებს სჯეროდათ, რომ დედამიწა სამყაროს ცენტრი იყო. მათ სამყარო არაზუსტი პარადგიმის საშუალებით ესმოდათ. გალილეო მხარს უჭერდა კოპერნიკის თეორიას, რომლის მიხედვითაც არა დედამიწა, არამედ მზე იყო სამყაროს ცენტრში. გალილეო, როგორც იცით, წამებით დააშინეს, რამაც მას პოზიცია შეაცვლევინა. რა თქმა უნდა, ჩვენ არ უნდა დავუპირისპირდეთ ამგვარ რთულ გამოწვევებს, მაგრამ ჩვენც განვიცდით პარადიგმის სიხისტეს. ეს არის უარყოფა ან შეუძლებლობა, მივიღოთ ალტერნატიული შეხედულებები.

2. *როდესაც განათლებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხზე ვმსჯელობ, ადვილად ვიცვლი შეხედულებას იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ინფორმაცია ჩემს აზრს ეწინააღმდეგება.*

გონებაგახსნილობა არის მზაობა, გაითვალისწინოთ ალტერნატიული შეხედულებები. ვიცვლით თუ არა აზრს, როდესაც ამისთვის კარგი საფუძველი არსებობს? გონებაგახსნილობა არ გულისხმობს „ყველაფერი დასაშვებია“ დამოკიდებულებას. ის იწვევს სურვილს, კრიტიკულად შეაფასო განსხვავებული შესაძლებლობები და ტოლერანტობის ხარისხი. მიუკერძოებელი ლიდერი ავლენს პატივისცემას სხვა პიროვნებების და მათი შეხედულებების მიმართ.

3. *როცა გადაწყვეტილების მიღებისას განსხვავებულ პოზიციებს და მტკიცებულებებს განვიხილავ, ყოველთვის ნეიტრალური ვარ მანამ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჩემი მტკიცებულებები საფუძვლიანია.*

ჰკითხეთ საკუთარ თავს: “რა არის ჩემი პირადი ინტერესები? თუ ჩემი პირადი ინტერესის საგანს პროგრამის რეალიზება წარმოადგენს, მაგალითად, შემიძლია/ვიქნები ნეიტრალური საპირისპირო შეხედულებების მიმართ? მაქვს თუ არა პარადიგმების მიმართ მოქნილობა, რაც განსხვავებული პერპექტივების გათვალისწინებას გულისხმობს?

4. მიუხედავად შინაგანი სწრაფვისა, განათლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას არ მივემხრობი ჩემი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს.

ბუნებრივია, რომ ჩვენს მსგავს ადამიანებთან ურთიერთობისას თავს კომფორტულად ვგრძნობთ. მაგალითად, როდესაც კონფერენციაზე მისაღებში შევდივარ, სავარაუდოდ ისეთი ადამიანების გარემოცვაში ვიტრიალებ, რომლებიც ჩემს მახასიათებლებს ჰგავს (თეთრკანიანი, მამაკაცი და ებრაელი). ასეთი ქმედება ნორმალურია. თუმცა ფრთხილად უნდა ვიყო არ ავარჩიო ადამიანი მხოლოდ იმის გამო, რომ რაღაცით ჩემი მგავსია. მასწავლებლის ქმედებები და გადაწყვეტილებები არ უნდა გამომდინარეობდეს სქესის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, სოციალური თუ რასობრივი საფუძვლებიდან.

5. არ ვარ ჯიუტი, როდესაც ვიცი, რომ მართალი ვარ.

გონებაგახსნილობა უფრო ადვილია, როდესაც ადამიანი არ არის დარწმუნებული ან არ გადაუწყვეტია გარკვეული საკითხი. ვთქვათ, მიგაჩნიათ, რომ მართალი ხართ რაღაცასთან დაკავშირებით. შეგიძლიათ თუ არა, კვლავ საღად იაზროვნოთ?

მიუკერძოებელ მასწავლებელს ეს შეუძლია.

6. ადამიანებს არ განვიკითხავ.

საკვანძო სიტყვაა *შეგნებულად.* ადამიანთა განკითხვა ადამიანის მხრიდან ნორმალურია. მაგალითად, როდესაც ვინმეს პირველად შეხვდებით, დაუფიქრებლად, თავისთავად, დააკვირდებით მის ტანსაცმელს, საუბრის მანერასა და გარეგნობას. ეს რეფლექსები ავტომატურად ირთვება. მიუკერძოებელი მასწავლებელი თავისუფალია ასეთი რეაქციებისგან, და მიზანმიმართულად უმკლავდება ამას, რათა დარჩეს საღად მოაზროვნე.

7. რჩევისთვის ხშირად მომმართავენ, რადგან სამართლიან და არაგანმკითხველ პიროვნებად მიმიჩნევენ

გთვლიან სამართლიან და ობიექტურ პიროვნებად? ჰკითხეთ კოლეგას ან კოლეგებს.

8. ვაფასებ პატიოსნებას სიტყვით და ქმედებით, გამაჩნია მყარი ეთიკური ღირებულებები

რა გააკეთეთ ცოტა ხნის წინ ისეთი, რაც დაადასტურებდა პატიოსნებას და თქვენს ერთგულებას ეთიკური ღირებულებებისადმი? დააკონკრეტეთ. თუ გიჭირთ მოიგონოთ ერთი ან ორი მაგალითი, მაშინ არც ისე ერთგული ყოფილხართ ამ იდეალებისა, როგორც წარმოგედგინათ.

ხართ ობიექტური?

იდეა სწავლებისთვის #7: კარგი მასწავლებლის კიდევ ერთი აუცილებელი მახასიათებელი

ფორმა 2.3. უპასუხეთ - კარგი მასწავლებელი - არის... ნაწილი 2.

პასუხი **კარგი მასწავლებლები...არიან... ნაწილი 2** (პასუხები განხილულია კითხვარის შემდგომ)				
ა=აბსოლუტურად ვეთანხმები ბ=ვეთანხმები გ=არ ვეთანხმები დ=კატეგორიულად არ ვეთანხმები	ა	ბ	გ	დ
1. განვიცდი, როდესაც ვიგებ, რომ ადამიანი იტაჯება.				
2. დახმარების ხელს ვუწვდი სხვებს და ასე გამოვხატავ მათდამი თანაგრძნობას.				
3. სხვებს მუდამ იღბალს ვუსურ-ვებ და ხშირად ვფიქრობ მათ კეთილდღეობაზე.				
4. ჩემი მეგობრის დასახმარებ-ლად ყველაფერს გავაკეთებ.				
5. ვაფასებ სკოლაში პიროვნების განვითარებისადმი გამოვლენილ ერთგულებას და ყველა ინდივიდისადმი ისეთ დამოკი-დებულებას, როცა ისინი ორგანიზაციის მნიშვნელოვან წევრებად განიხილებიან.				
6. სხვები მახასიათებენ, როგორც კეთილ, მზრუნველ, და მგრძნობიარე პიროვნებას				
7. ღიად ვაღიარებ კოლეგების პროფესიულ მიღწევებს, რადგან მსურს ღირსეულად ავღნიშნო მათი წვლილი.				
8. მგრძნობიარე ვარ მოსწავლეების როგორც სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ისევე, მათი რასობრივი, ეთნიკური და კულტურული ფონის მიმართ.				

კარგი მასწავლებლები ემპათიურები არიან. რატომ არის ემპათია მნიშვნელოვანი? თუ გაქვთ ემპათია, გაქვთ თანაგრძნობის უნარი. სხვაზე ზრუნვა გულისხმობს, რომ ისინი მნიშვნელოვანნი, საყურადღებო და პატივსაცემი ინდივიდები არიან. ასეთი თანაგრძნობით ადამიანებთან მოპყრობა წაახალისებს მათ, იყვნენ კეთილები არა მარტო თქვენთან, არამედ სხვა ადამიანებთან ურთიერთობაშიც. ასეთი საქციელი შთააგონებს მათ, გააკეთონ მაქსიმუმი სხვათა დასახმარებლად.

კიდევ რისი იმედი უნდა ჰქონდეს მასწავლებელს?

1. *განვიცდი, როდესაც ვიგებ, რომ ადამიანი იტანჯება.*

რამდენად მიგაქვთ გულთან ახლოს სხვების ტრაგედიები? ემპათიური ადამიანები ისე განიცდიან სხვის ტკივილს, როგორც საკუთარს.

გახსენდებათ დრო, როდესაც ასე გრძნობდით თავს?

2. *დახმარების ხელს ვუწვდი სხვებს და ასე გამოვხატავ მათდამი თანაგრძნობას.*

ემპათია, შესაძლოა, უბრალოდ სხვისი უბედურების მოსმენისას გაჩნდეს. უფრო მაღალ საფეხურზე ემპათია სხვის დასახმარებლად გარკვეულ მოქმედებებს გულისხმობს. ემპათიური ადმიანები სხვათა დასახმარებლად საკუთარი გზიდან გადახვევას არაფრად დაგიდევენ. გაიხსენეთ ბოლო შემთხვევა, როდესაც საკუთარი გზიდან გადაუხვიეთ, რათა სკოლაში სხვას დახმარებოდით.

3. *სხვებს მუდამ იღბალს ვუსურვებ და ხშირად ვფიქრობ მათ კეთილდღეობაზე.*

ემპათიური ადამიანები არ გრძნობენ სიბრალულს ან წუხილს სხვათა მიმართ. სიმპათეტიკური ადამიანები იქცევიან ასე. ემპათიური ადამიანები ფიქრობენ, და თუ რელიგიურებიც არიან, ლოცულობენ მათზე.

4. *ჩემი მეგობრის დასახმარებლად ყველაფერს გავიღებ.*

ემპათიური ადამიანები არიან აქტორები.

5. *ვაფასებ სკოლაში პიროვნების განვითარებისადმი ორიენტირებას და ყველა ინდივიდისადმი ისეთ დამოკიდებულებას, როდესაც ისინი ორგანიზაციის მნიშვნელოვან წევრებად განიხილებიან.*

ემპათიური ადამიანები სხვებზე ორიენტირებულნი არიან და ყველას (მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს, კოლეგებს) სიკეთითა და მზრუნველობით ექცევიან.

6. *სხვები მახასიათებენ, როგორც კეთილ, მზრუნველ და მგრძნობიარე პიროვნებას.*

ეს ემპათიური ადამიანის თვისებაა.

7. *ღიად ვაღიარებ კოლეგების პროფესიულ მიღწევებს, რადგან მსურს, ღირსეულად აღვნიშნო მათი წვლილი.*

ემპათიური ლიდერები სხვებისადმი ზრუნვას მათი მიღწევების აღნიშვნით და დაჯილოებით გამოხატავენ. ამას არა მოვალეობის გამო, არამედ საკუთარი გრძნობის გამო აკეთებენ.

8. *მგრძნობიარე ვარ მოსწავლეების როგორც სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ისევე, მათი რასობრივი, ეთნიკური და კულტურული ფონის მიმართ.*

ემპათიური ლიდერები წუხან ადამიანთა ცხოვრებისეული პრობლემებისა და მდგომარეობის გამო.

ხართ ემპათიური?

იდეა სწავლებისთვის #8: კარგი მასწავლებლის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი

ფორმა 2.4. უპასუხეთ - კარგი მასწავლებლები ... არიან ... ნაწილი 3.

პასუხი **კარგი მასწავლებლები...არიან... ნაწილი 3** (პასუხები განხილულია კითხვარის შემდგომ) ა=აბსოლუტურად ვეთანხმები ბ=ვეთანხმები გ=არ ვეთანხმები დ=კატეგორიულად არ ვეთანხმები				
	ა	ბ	გ	დ
1. ვარ ენერგიული თითქმის ყველა გამიზნულ საქმეში.				
2. მე ვარ ძლიერად მოტივირებული, ერთგული და გულმოდგინე.				
3. ღირებულებები და მათი განხორციელებისადმი თავდადება მიმაღლებს მოტივაციას.				
4. არა ფანატიკური, მაგრამ მაქვს ძლიერი სურვილი საქმის ბოლომდე მიყვანისა.				
5. ადამიანები ხშირად მეუბნებიან, რომ გულმოდგინედ ვაკეთებ ყველა საქმეს.				
6. არ მომწონს სიზარმაცე და საქმის გადადება.				
7. ჩემთვის ჭიქა უფრო მეტად „ნახევრად სავსეა“ ვიდრე „ნახევრად ცარიელი“.				
8. მახასიათებენ, როგორც სიცოცხლით სავსე, მოტივირებულ, ოპტიმისტ და იუმორის გრძნობით სავსე ადამიანსაც კი.				

კარგი მასწავლებლები ენთუზიასტები არიან. კარგი მასწავლებლის უპირველესი თვისება ენთუზიაზმია. მოსწავლეები ხშირად ჩივიან, რომ მათი მასწავლებლები მოსაბეზრებლები არიან. შეგიძლიათ გაიხსენოთ ისეთ საკლასო გარემო, სადაც მასწავლებელი არ იყო ენთუზიასტი თავისი საქმის მიმართ? შეგიძლიათ გაიხსენოთ, რამდენად განსხვავებული იყო ენთუზიასტი მასწავლებლის გაკვეთილები? ენთუზიაზმი აჩვენებს საქმისადმი თავდადებას. როდესაც პიროვნება თავდადებულია საკუთარი საქმისადმი, ის ყოველთვის მიაღწევს წარმატებას. უფრო მეტიც, ასეთი ენთუზიაზმი გვავსებს შთაგონებით. გაიხსენეთ მსოფლიოს წარმატებული ლიდერები. ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ მათი ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი ენერგია და ოპტიმიზმია. ისინი შთააგონებენ სხვებს მოქმედებისკენ.

1. *ვარ ენერგიული თითქმის ყველა გამიზნულ საქმეში.*

შეგხვედრიათ ადამიანი, რომელიც ყოველთვის მოწყენილი და უინტერესო სახით მუშაობს? შეგხვედრიათ ადამიანი, რომელიც მუდმივად ენერგიით სავსე და დაინტერესებულია? ზოგიერთი ადამიანი ინარჩუნებს ენერგიას ნებისმიერი საქმის კეთებისას. ამავე თავში, გაგაცნობთ საკუთარი ენერგიის გაძლიერების გზებს/ხერხებს.

2. *მე ვარ ძლიერ მოტივირებული, ერთგული და გულმოდგინე ინდივიდი.*

საიდან იცით, რომ ასეა? ხართ თუ არა თქვენი ახლანდელი საქმის მიმართ მოტივირებული, ერთგული და თავდადებული? რატომ კი ან არა? თუ არა, რატომ ფიქრობთ, რომ სხვა შემთხვევაში, სხვა პოზიციაზე იქნებით ასე?

3. *მყარი ღირებულებები და მათი განხორციელებისადმი თავდადება მანიჭებს მოტივაციას.*

ენთუზიაზმის გამოწვევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზა არის რაღაცის სიღრმისეული რწმენა. თუ რაღაცის ღრმად გჯერათ და ხართ მონდომებული, თითქმის წარმოუდგენელია, არ გამოავლინოთ ენთუზიაზმი.

4. *არა ფანატიკური, მაგრამ მაქვს საქმის ბოლომდე მიყვნის ძლიერი სურვილი.*

ზედმეტი ენთუზიაზმი შეიძლება, საშიში არა, მაგრამ შემაშფოთებელი იყოს. ადამიანები, რომლებიც თავდაუზოგავად მუშაობენ, აუცილებლად ენერგიულად მიიყვანენ მას ბოლომდე.

5. *ადამიანები ხშირად მეუბნებიან, რომ გულმოდგინედ ვაკეთებ ყველა საქმეს-მათგან განსხვავებით, ვინც თავს ადვილად ანებებს.*

ხშირად გეუბნებიან ამას? თუ ასეა თქვენ ენთუზიასტი ბრძანდებით.

6. *არ მომწონს სიზარმაცე და საქმის გადადება.*

ის, ვინც დატვირთული, თავდადებული და მტკიცეა ამგვარ უარყოფით თვისებებს არ გამოავლენს. იღებდით თუ არა ოდესმე ისეთ პროექტში მონაწილეობას, რომელიც არ მოგწონდათ ან გულმოდგინეთ არ მუშაობდით? თქვენ გამოავლენდით სიზარმაცეს და საქმის გადადებისკენ სწრაფვას.

7. ჩემთვის ჭიქა ყოველთვის „ნახევრად სავსეა“ ვიდრე „ნახევრად ცარიელი“.

ოპტიმისტი ადამიანები ბუნებრივად ენთუზიასტები არიან. ოპტიმიზმის გაძლიერება დაგეხმარებათ, გახდეთ ენთუზიასტი. რა თქმა უნდა, ვერ შევინარჩუნებთ ორივეს ერთად ნებისმიერ დროს, ნებისმიერ საქმეში, რასაც კი ხელს მოვკიდებთ. მაგრამ მთავარი არის ის, რომ ის ხარისხი, რომელიც შეგვიძლია გვქონდეს პოზიტიური განწყობების ჩამოყალიბებაში, დაკავშირებულია ჩვენს შესაძლებლობასთან, ენთუზიაზმით ვაკეთოთ საქმე.

8. *მახასიათებენ, როგორც სიცოცხლით სავსე, მოტივირებულ, ოპტიმისტ და იუმორის გრძნობით სავსე ადამიანსაც კი.*

თუ ასეა, თქვენ ენთუზიასტი ლიდერი ხართ. ერთ-ერთი საუკეთესო გზა შეფასებისთვის არის სხვებისთვის აზრის კითხვა.

ხართ ენთუზიასტი?

იდეა სწავლებისთვის #9: კარგმა მასწავლებელმა მოლოდინის დრო ეფექტურად უნდა გამოიყენოს

მოლოდინის დრო აღნიშნავს პერიოდს, რომელიც მოსწავლეებს კითხვა-პასუხის აქტივობისას მოსაფიქრებლად ეძლევათ. კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეებისათვის 7-დან 10 წუთამდე მიცემული მოსაფიქრებელი დროის გამოყოფა, საკლასო აქტივობებში მათ ჩართულობას ხელს უწყობს.

წყარო: (იხ. http://www.agpa.uakron.edu/p16/btp.php?id=wait-time)

1. იზრდება მოსწავლის მიერ სრულყოფილი პასუხის გაცემის სიხშირე.
2. იზრდება მოსწავლის ინიციატივა ინდივიდუალურად უპასუხოს და ამავე დროს ადექვატური პასუხი გასცეს კითხვას.
3. მცირდება მოსწავლის მიერ კითხვის უპასუხოდ დატოვების სიხშირე.
4. იზრდება მოსწავლის თავდაჯერებულობა კითხვაზე პასუხის გაცემის დროს.
5. იზრდება მოსწავლის მიერ კარგად მოფიქრებული პასუხების სიხშირე.
6. იზრდება მოსწავლეთა შორის ინტერაქცია და მცირდება მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლება.
7. იზრდება მოსწავლეების მზაობა დაასაბუთონ გამოთქმული აზრი/ვარაუდი.
8. იზრდება მოსწავლეების შეკითხვების რაოდენობა.

9. იზრდება „პასიურ“ მოსწავლეთა ჩართულობა.
10. იზრდება მოსწავლეთა პასუხების მრავალფეროვნება.

გთავაზობთ მაგალითს, თუ როგორ ვიყენებ მოლოდინის დროს: ვსვამ კითხვას. არ ვიძახებ მოსწავლეებს დაახლოებით შვიდი წუთის განმავლობაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვინმე ხელს მაშინვე აიწევს. ვაძლევ დროს ფიქრისთვის. რა ხდება მაშინ, როცა 7 წუთის შემდეგ არავინ პასუხობს? ვეკითხები ჩემს თავს: „მჭირდება თუ არა კითხვის გამეორება?“. თუ ასეა, მე ვსვამ კითხვას და კვლავ თავიდან ვიწყებ ლოდინს პასუხებისთვის. თუ კითხვის გამეორების საჭირეობა არაა, მოსწავლეებს ვთხოვ, დაწყვილდნენ და ერთმანეთს შესაძლო პასუხების შესახებ იდეები გაუზიარონ. ამ დავალებისთვის მათ 60-დან 90 წამამდე ვაძლევ. ამ მეთოდს ყოველთვის მოაქვს შედეგები. მოსწავლეები პასუხობენ. შესაძლოა პასუხები ყოველთვის სწორი არ არის, მაგრამ სულ ცოტა მათ ჰქონდათ დრო რეფლექსიისა და პასუხისთვის. თქვენც სცადეთ მომავალში.

იდეა სწავლებისთვის #10: კითხვის დასმის სტრატეგიები

რა განსხვავებაა კონვერგენტულ და დივერგენტულ კითხვებს შორის? სთხოვეთ კოლეგას, ჩაინიშნოს თქვენ მიერ დასმული კითხვები. რამდენი მათგანი იყო კონვერგენტული და რამდენი - დივერგენტული?

ცხრილი 2.1. კონვერგენტული და დივერგენტული კითხვები

კარგმა მასწავლებელმა იცის კონვერგენტულ და დივერგენტულ კითხვებს შორის არსებული განსხვავების შესახებ	
კონვერგენტული	*დივერგენტული*
სად დაიწყო კორეის ომი?	რომელი ოთხი პროდუქტი აქვს ისრაელს?
რა არის ისრაელის ოთხი ძირითადი პროდუქტი?	როგორ იმოქმედა ისრაელში კომპიუტერების ჩიპების წარმოებამ ჩვენი ქვეყნის კომპიუტერების ექსპორტის ფასებზე?
ვინ დაწერა „ორი ქალაქის ზღაპარი“?	როგორ განახვავებს დიკენსი მდიდრისა და ღარიბის გამოცდილებას?
რომელი პლანეტაა ყველაზე ახლოს მზესთან?	როგორ შეადარებდით მერკურსა და დედამიწაზე არსებულ ცხოვრების პირობებს?
რომელი ორი ელემენტისგან შედგება ჰიდროგენის პეროქსიდი?	როგორ წარმოიქმნება ჰიდროგენი?
რა არის ოთხკუთხედის დეფინიცია?	როგორი გავლენა მოახდინეს ოთკუთხედებმა არქიტექტურაზე?

რეფლექსია

დააკვირდით კოლეგის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს და მოუსმინეთ მხოლოდ შეკითხვებს. რამდენი მათგანი იყო კონვერგენტული და რამდენი - დივერგენტული? იყო თუ არა ისინი ნათლად ჩამოყალიბებული? გამოიყენა თუ არა კოლეგამ მოსაფიქრებელი დრო? განაგრძეთ კითხვა.

იდეა სწავლებისთვის #11: კარგი მასწავლებელი ყოველთვის, როცა შესაძლებელია, კითხვის სტრატეგიებს იყენებს: კითხვის ხუთი ქმედითი სტრატეგია.

ეს იდეები ეფუძნება ფიშერის, ფრეის და უილიამსის შრომებს (2002).

1. **ხმამაღალი კითხვა:** მჯერა, რომ მოსწავლეებისთვის ტექსტის წაკითხვა არა მხოლოდ დაწყებითი კლასებისთვის გათვალისწინებული აქტივობაა, არამედ საშუალო სკოლის ყველა კლასის მოსწავლე იღებს განუზომლად დიდ სარგებელს მისგან. აირჩიეთ მოსწავლეებისთვის საინტერესო წიგნი და გამოყავით ყოველდღიურად წასაკითხი დრო (2-დან 20 წუთამდე).
    - მოსწავლეებს შეუძლიათ, მოუსმინონ, თვალი გააყოლონ ან უპასუხონ კითხვებს სამუშაო ფურცელსა თუ დაფაზე.
    - დროდადრო დასვით კითხვები, მაგრამ თავიდან აირიდეთ ამ დროის ბავშვების „გამოსაცდელად“ გამოყენება. მიეცით შესაძლებლობა, უბრალოდ მოისმინონ.
    - თითოეული წიგნის დასრულების შემდეგ, წაახალისეთ მოსწავლეები, იმუშაონ წიგნთან დაკავშირებულ აქტივობებზე. მიანიჭეთ მათ სრული თავისუფლება თავიანთი აზრებისა და იდეების გამოსახატავად. თუ მოსწავლეები ამჯობინებენ, არაფერი გააკეთონ - არა უშავს. დააჯილდოვეთ მოსწავლეები, რომლებმაც შექმნეს პროექტები და შესაბამის გარემოში წარმოადგინეს ისინი. ნება მიეცით მოსწავლეებს, შექმნან პროექტები დამოუკიდებლად.
2. **გრაფიკული ორგანიზატორები:** გრაფიკული ორგანიზატორები მოსწავლეს აწვდის ვიზუალურ ინფორმაციას, ამრავალფეროვნებს საკლასო დისკუსიას თუ ტექსტზე მუშაობის პროცესს.
    - წაახალისეთ ყველა მოსწავლე, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც მხედველობითი აღქმა უფრო მეტად აქვთ განვითარებული, წარმოაჩინონ გარკვეული თემის საკუთარი გაგება, მათი იდეები და ხედვები ვიზუალური ხერხებით.

- გამოიყენეთ საშინაო დავალების მიცემის ან ტესტირების შესაძლებლობა, რათა წარმოაჩინოთ ნებისმიერი გზით მათ მიერ ნასწავლი მასალა.

3. **უცხო სიტყვათა სწავლება:** მიუხედავად ნასწავლი მასალისა, ასწავლეთ უცხო სიტყვები.
    - დაფაზე დაწერეთ და შეინახეთ სექცია სათაურით: „ჩვენი ახალი სიტყვები“.
    - წაახალისეთ მოსწავლეები, ჩაიწერონ ყველა სიტყვა, რომელსაც ვერ იგებენ. ამავე დროს, როდესაც ახალი სიტყვა შეგხვდებათ, დაწერეთ ეს სიტყვა დაფაზე.
    - ახლად დასწავლილი სიტყვები ყოველდღე გაიმეორეთ.
    - გამოიყენეთ როლური თამაშები, ამბის მოყოლა, ან სხვა არატრადიციული მეთოდი იმისთვის, რომ დაეხმაროთ მოსწავლეებს, გამოიყენონ ახლად ნასწავლი სიტყვები კონტექსტუალურად.
    - თავიდან აირიდეთ სიტყვების გამეორების ტრადიციულ გზებ, როგორებიცაა: სიტყვების უთვალავჯერ ჩამოწერა, დამარცვლის სწავლა, კონტექსტის მიუხედავად მათი წინადადებებში გამოყენება და ა.შ.
4. **წერა სწავლისთვის:** წაახალისეთ მოსწავლეები, დაწერონ, თუნდაც ძალიან მცირე ოდენობით.
    - მიეცით კლასს დრო წერითი აქტივობებისთვის;
    - წაახალისეთ მოსწავლე აწარმოოს ჩანაწერების რვეული; ჟურნალის წერის დრო;
    - გამოიყენეთ ე.წ. „შენიშვნების ფურცლები“, რომლებსაც მოსწავლეები გაკვეთილის დროს, ჩანაწერებისთვის გამოიყენებენ. მაგალითად, შეუძლიათ დაწერონ, რა ისწავლეს ახლახანს, ან ჩამოწერონ კითხვები, რომლებიც კვლავ აქვთ.
5. **ორმხრივი სწავლება:** სწავლების ეს სტარტეგია ძალიან მნიშვნელოვანია. შესაძლებელია ამ სტრატეგიის სხვადასხვა ფორმის გამოყენება. ჩემი აზრით, ორმხრივი სწავლების სტრატეგია განსაკუთრებით ეფექტური შინაარსით გადატვირთული მასალის სწავლის დროსაა.
    - საკმაოდ რთული მასალის ახსნის შემდეგ უთხარით მოსწავლეებს, დახურონ რვეულები და წიგნები, მოძებნონ მეწყვილე, „დაწყვილდნენ და გაუზიარონ ცოდნა ერთმანეთს“.
    - უთხარით მოსწავლეებს, რომ ერთი მათგანი იქნება მოსწავლე „ა“ ხოლო მეორე - მოსწავლე „ბ“.
    - ნება მიეცით მოსწავლე „ბ“-ს, მოუყვეს მოსწავლე „ა“-ს ყველაფერი, რაც ახლახან ისწავლა. მოსწავლე „ა“-ს არ შეუძლია, დასვას რაიმე შეკითხვა. მოსწავლე „ა“ ინფორმაციას იწერს. როდესაც მოსწავლე „ბ“ ინფორმაციას აწვდის, მაშინ მოსწავლე ა ყურადღებას შეცდომებზე ამახვილებს.

- დაახლოებით ხუთი წუთის შემდეგ ნება მიეცით მოსწავლეებს, გაუზიარონ ერთმანეთს დაშვებული შეცდომები. შეცდომებზე სასაუბროდ მათ დაახლოებით, სამი წუთი დაუთმეთ.
- შეცდომების გაზიარების შემდეგ სთხოვეთ, გადაშალონ რვეულები და შეამოწმონ, რამდენად სწორია მათ მიერ ერთმანეთისთვის გაზიარებული ინფორმაცია.
- თითოეული წყვილი გამოცდილებას მთელ კლასს უზიარებს.

რეფლექსია

დღევანდელ დღეს კითხვა ყველა საგნისათვის აუცილებელი კომპონენტია. როგორ გამოიყენებთ ზემოთ მოყვანილ სტრატეგიებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის ან სოციალური მეცნიერებების სწავლებისას? გაუზიარეთ აზრი კოლეგებს.

იდეა სწავლებისთვის #12: კარგი მასწავლებელი იყენებს სწავლების თეორიულ და პრაქტიკულ მიდგომებს

როგორ სწავლობენ ადამიანები ყველაზე კარგად? ჯონ დიუიმ (1899) თქვა, რომ ადამიანები ყველაზე კარგად „კეთებით სწავლობენ“. პრაქტიკული სწავლება მოსწავლეებს აქტიური ჩართულობისკენ უბიძგებს. აქტიური სწავლება პედაგოგიკის აპრობირებული მეთოდია ნებისმიერ საგანში. აქტიური სწავლება ზრდის ბავშვების ინტერესს საგნის მიმართ და იძლევა მასალის უფრო ფართო კონტექსტთან დაკავშირების შესაძლებლობას.

უფრო კონკრეტულად, მოსწავლეებს წავახალისებთ, რათა: „შეაგროვონ, შეკრიბონ, დააკვირდნენ, ააგონ, შეთხზან, დახატონ, დადგან, შეამოწმონ, გაესაუბრონ და შეაგროვონ“ (დევისი, 1998, გვ. 119). ამ დროს მათ ეძლევათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ მნიშვნელოვან სასწავლო აქტივობებში. მაგალითად, მოსწავლეებმა ინტერნეტში მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლოა, დაწერონ ესე ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის ლიდერების შესახებ და მოიძიონ ფაქტები ნაციზმის აღზევების შესახებ გერმანიაში. მოსწავლეები, სავარაუდოდ, ჩაერთვებიან ჯგუფურ მუშაობაში, რომელიც მიზნად ისახავს უფრო მეტის გაგებას ნაცისტური ჩაგვრის მიმართ წინააღმდეგობის ძალაზე. მოსწავლეებმა შეიძლება ჩაინიშნონ საკუთარი დაკვირვებები მოცემულ საკითხავ მასალაზე, პარაგრაფებზე და დააფიქსირონ საკუთარი დამოკიდებულება ვიდეოს მონაკვეთებზე რეფლექსიის პერსონალურ ჟურნალში. ზოგიერთმა მოსწავლემ შეიძლება შექმნას ანტი-სემიტური პროპაგანდის ამსახველი

პოსტერები, ხოლო მოსწავლეთა ჯგუფებმა შესაძლოა გამოკითხონ ჰოლოკოსტისგან გადარჩენილი ადამიანები მოხუცთა თავშესაფარში.

ბევრი ჩვენგანი ალბათ მიესალმება ასეთ ცდას, რადგან მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი მნიშვნელოვან და რელევანტურ სასწავლო აქტივობებში. თუმცა, როგორც ო. ლ. დევის უმცროსმა (1998) შეგვახსენა, კეთებით სწავლების აქტივობები არის „აქტივობები, რომლებიც პირდაპირ არ მოითხოვს, მოსწავლეებმა *იფიქრონ* საკუთარ გამოცდილებაზე“. ეს შესაძლოა მარტივად დახასიათდეს, როგორც „მსჯელობის გამომრიცხავი“ აქტივობები. (გვ. 120). დევისი განმარტავს:

„ნედლი გამოცდილება აღვივებს აზროვნების მარცვალს. ის აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი სასწავლო პროცესის ფოკუსირებისთვის. უმეტესწილად, კეთებით სწვლების აქტივობები უნდა მოიცავდეს **ანალიზით სწავლების** ასპექტებს. ასეა, მოსწავლეებმა უნდა იფიქრონ თავიანთი გამოცდილებების შესახებ. მათ, როგორც დიუი აღნიშნავს, აუცილებლად უნდა მოახდინონ საკუთარ ქმედებებზე რეფლექსია. შეგნებულად უნდა შექმნან პერსონალური მნიშვნელობები პირადი გამოცდილებიდან“ (გვ. 120).

სწავლის შესახებ კონსტრუქტივისტული მიდგომის თეორია მხარს უჭერს როგორც ანალიზით, ისე კეთებით სწავლების აქტივობებს ნებისმიერი საგნის შესწავლისას. კონსტრუქტივისტული თეორიის მიხედვით, ადამიანები უკეთ სწავლობენ, როდესაც ეძლევათ შესაძლებლობა, საკუთარი ძალიხმევით შექმნან მნიშვნელობები. რამდენად უკეთ შესრულდება ქმედება ამა თუ იმ მიდგომის გამოყენებით - ეს მიზანი ყველაზე მნიშვნელოვანი ხდება. მოსწავლეების „მარტო“ დატოვება სრულიად მოუხერხებელი და არაეფექტურია რეფლექსიური აზროვნების სტიმულირებისათვის. მასწავლებლებმა უნდა უხელმძღვანელონ და დაუსვან მაპროვოცირებელი კითხვები, რათა ისინი ჩაერთონ ანალიზით სწავლის აქტივობებში. დევისი აფართოვებს სასწავლო პროცესის ამ საკვანძო კომპონენტს: „ნამდვილად, იმისათვის, რომ სწავლის პრაქტიკული აქტივობები ადეკვატური გახდეს, მასწავლებლებმა მოსწავლეებთან ამ პროცესის დაწყებამდე, მიმდინარეობისას და შემდგომ უნდა იმუშაონ. ამ გზით მოსწავლეები განამტკიცებენ თეორიულ ცოდნას საკუთარი გამოცდილებიდან“ (გვ. 120).

რეფლექსია

როგორ წაახალისებთ თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას?

იდეა სწავლებისთვის #13: კარგი მასწავლებელი იყენებს „რა ვიცი, რა მინდა ვისწავლო, რა ვისწავლე“ სტრატეგიას

დაიწყეთ თქვენი გაკვეთილი KWL სტრატეგიის გამოყენებით, რომელიც დონა სედერბურგ ოგლეს (1986) მიერ შეიქმნა.K_W_L არის სტრატეგია, რომელიც ხელს უწყობს აქტიურ აზროვნებას სწავლამდე, სწავლის და სწავლის შემდგომ პროცესში. ასოები K, W და L აღნიშნავს მოსწავლეთა სამ საქმიანობას სწავლის პროცესში: გახსენება, თუ რა **იციან (K)**, განსაზღვრა იმისა, თუ რისი შესწავლა **სურთ (W)**, იდენტიფიცირება იმისა, თუ რა **ისწავლეს (L)** (იხ. ფორმა 2.5).

მასწავლებლებმა უნდა წაახალისონ მოსწავლეები, ჩამოწერონ, თუ რა იციან მოცემული თემის შესახებ, რა კითხვებზე სურთ პასუხის გაგება და რა ისწავლეს კონკრეტული თემის ახსნის შემდეგ. მე ახალი თავის ახსნას ვიწყებ მოსწავლეების გამოკითხვით, თუ რა იციან ამ თემის შესახებ. მაშინ, როდესაც მოსწავლეები გაითავისებენ თავიანთ წარსულ ცოდნას, ახალმა ინფორმაციამ და მნიშვნელობამ შეიძლება შეცვალოს წარსული ცოდნა, რომელიც შესაძლოა დაფუძნებულია ფაქტობრივ შეცდომებსა და არასწორ ინტერპრეტაციებზე. უფრო მეტიც, მოსწავლეები, რომლებიც აცნობიერებენ, რამდენად ცოტა იციან ახალი თემის შესახებ, შესაძლოა უფრო მოტივირებულნი და მოწადინებულნი გახდნენ ახალი მასალის შესწავლისას. ჩემს კლასში ერთმა მოსწავლემ ასეთი რამ ჩაწერა თავის ჟურნალში: „ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ რა ცოტა ვიცოდი ამ საკითხზე. მაქვს მოტივაცია, ვისწავლო რაც შეიძლება მეტი ამ წელს“.

ამის შემდეგ მოსწავლეები გონებრივ იერიშს ახორციელებენ იმ საკითხებზე, რაც უნდათ, რომ ისწავლონ და შეკითხვებს სვამენ, რომლებზეც პასუხის მიღება სურთ. მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას, თავად განსაზღვრონ შესასწავლი თემის შესახებ პრიორიტეტები, ხელს უწყობენ მოსწავლის ყურადღებისა და ჩართულობის გაძლიერებას.

ყველა მნიშვნელოვანი თავისა და კურსის შემაჯამებელი აქტივობის შემდეგ, დგება KWL-ის ბოლო ფაზა. მე ვთხოვ მოსწავლეებს, ჩამოწერონ, თუ რა ისწავლეს. მოსწავლეები ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში ინიშნავენ თავიანთ პასუხებს და შემდეგ კლასს უზიარებენ ინფორმაციას.

KWL აქტივობა ფასეულია, რადგან ის ააქტიურებს სწავლების პროცესში მასალის ათვისებას. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, განსაზღვრონ თემების ამოცანები და შინაარსი. საბოლოოდ, ისინი წახალისებულნი არიან შეაჯამონ, თუ რა ისწავლეს.

ფორმა 2.5 KWL სტრატეგია

რა ვიცი	*რა მინდა ვისწავლო*	*რა ვისწავლე*

იდეა სწავლებისთვის #14: კარგი მასწავლებელი ხელს უწყობს მშობლების ჩართულობას სწავლების პროცესში: ათი ხერხი

1. ძალისხმევა არ დაიშუროთ, რომ სწავლის დასაწყისშივე მშობლებამდე მიაღწიოთ;
2. მშობელთა მონდომება დამხმარე ძალად გამოიყენეთ;
3. დაანახვეთ მშობლებს, რომ კეთილგანწყობილი ხართ;
4. გამოავლინეთ მშობლების ინტერესი და ტალანტი;
5. მიეცით დახმარების შესაძლებლობა;
6. შექმენით მშობლების ელექტრონული ფოსტის ჯგუფი;
7. მოუსმინეთ მშობლებს;
8. მოუხმეთ მშობლებს მაშინაც კი, როდესაც პრობლემა არ გაქვთ;
9. სთხოვეთ დახმარება, იყავით კონკრეტულნი;
10. მიეცით გეზი, თუ რა კუთხით დაეხმარონ შვილს დავალების მომზადებისას.

კომუნიკაციის გზების გახსნა არის გასაღები მშობლებთან ურთიერთობისას!

გთავაზობთ მასწავლებლის მიერ მშობელთან პირველი, „საშიში“ სატელეფონო დიალოგის ნიმუშს. თავისუფლად შეგიძლიათ დაამატოთ საკუთარი დეტალიც.

მასწავლებელი: გამარჯობა ქალბატონო ბედელ, მე თქვენი მეოთხეკლასელი ქალიშვილის მასწავლებელი ვარ.

მშობელი: გისმენთ, მშვიდობაა?

მასწავლებელი: თქვენი ქალიშვილი მეგანი ძალიან გონებაგახსნილი და შესანიშნავი პიროვნებაა. ის სიცოცხლით სავსეა და, ვფიქრობ, წარმატებას მიაღწევს მისთვის სასურველ ნებისმიერ სფეროში. თუმცა, საკითხი, რომელზეც გირეკავთ, მის შედარებით უფრო მეტ აქტიურობას უკავშირდება: ცოტა მიჭირს მისი კონცენტრირება დავალებისკენ ისე, რომ სხვას არ შეუშალოს ხელი.

მშობელი: მადლობა, რომ მეგანის მომავალს ასე პოზიტიურად უყურებთ. შეშფოთებული ვარ მისი ცუდი საქციელის გამო. კონკრეტულად რას აკეთებს?

მასწავლებელი: ნება მომეცით მოგახსენოთ ერთი მაგალითი: დღეს მათემატიკის გაკვეთილზე მოსწავლეები სამუშაო რვეულებში მუშაობდნენ მერხებზე, მაგრამ მეგანი მთელი გაკვეთილის განმავლობაში თავის მეგობართან საუბარს ცდილობდა. დავალების გამოკითხვისას აღმოჩნდა, რომ მას დავალების ნახევარიც კი არ ჰქონდა შესრულებული.

მშობელი: ვაიმე (შეწუხებული ხმით)...

მასწავლებელი: მაგრამ მე მაქვს შემოთავაზება - რა იქნება, თუ მეგანს საშინაო დავალების მომზადების დასრულებამდე რამდენიმე სიტყვას ეტყვით თქვენი მოლოდინების შესახებ? როდესაც ის გაკვეთილების მომზადებას დაასრულებს, უთხარით, გამოვიდეს დაფასთან და მე მივცემ მას დამატებით სავარჯიშოებს იმისთვის, რომ მისი გონება მომართული იყოს. ის ძალიან ჭკვიანია, როგორც იცით.

მშობელი: დიდი მადლობა ზარისთვის. მისი მიღწევების შესახებ კვლავ შეგვატყობინეთ.

მასწავლებელი: სიამოვნებით! და მადლობა გულისხმიერებისთვის.

მოზომილი სიტყვები, რომლებსაც იყენებთ, არ არის მნიშვნელოვანი. მაგრამ ყურადღება მიაქციეთ მასწავლებლის ქმედებას. მან საუბარი სასიამოვნოდ დაიწყო და მშობელს გამოსავალიც შესთავაზა. თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ მოსწავლის შესახებ თქვათ რაიმე პოზიტიური, მაშინაც კი, როდესაც ეს არალოგიკურია. ასეთი მიდგომა მშობლის კეთილგანწყობას მოგაპოვებინებთ და ეს არის მთავარი ამ „ომში“. კვლავ შეხედეთ საუბრის ჩანაწერს და მონიშნეთ კიდევ ორი განსხვავებული რამ, რაც მასწავლებელმა წარმატებით გააკეთა. გაუზიარეთ თქვენი იდეები კლასელებს.

არ შეგეშინდეთ მშობლებისა. მოიპოვეთ მათი მხარდაჭერა მუდმივი ყურადღებით და ისინი დიდ დახმარებას გაგიწევენ.

დასკვნა

ამ თავში განვიხილეთ საწყისი თოთხმეტი იდეა, რომელთაც შეიძლება აუცილებელი *ცოდნა, უნარები ან/და თვისებები* ვუწოდოთ. რა თქმა უნდა, ეს იდეები ან სტრატეგიები, თავისთავად, არ არის საკმარისი და არ მოიცავს სწავლებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. მაგრამ ვფიქრობ, რომ დასაწყისისთვის წარმოვადგინე რამდენიმე განსხვავებული და მნიშიშვნელოვანი კონცეპტი. კიდევ ბევრი რამ არსებობს, რაც ეფექტური სწავლების შესახებ უნდა იცოდეთ, რასაც, დარწმუნებული ვარ, მომავალი გამოცდილებიდან, მენტორების რჩევებიდან და სამომავლო პრაქტიკიდან (შესაძლოა პროფესიულიდანაც) შეიძენთ.

ამჯერად გთხოვთ, შეავსოთ ფორმა 2.6., რომელიც შეაჯამებს თქვენს ცოდნას ეფექტური მასწავლებლის შესახებ, რომელიც ამ თავის წაკითხვის შემდეგ მიიღეთ:

ფორმა 2.6

ცოდნა	უნარები	თვისებები

სია, რომელიც შეადგინეთ ამ თავიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, არ არის ამომწურავი. დაამატეთ საკუთარი იდეები.

კითხვები/აქტივობები

1. კიდევ რის ცოდნას ისურვებდით კარგი სასწავლო პრაქტიკის შესახებ?
2. გამოკითხეთ წარმატებული მასწავლებელი და გამოარკვიეთ, თუ რა ფაქტორები განაპირობებს მის წარმატებულობას? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა ძირითადი ატრიბუტები უნდა გააჩნდეს მასწავლებელს წარმატებისკენ მიმავალ გზაზე?
3. აწარმოეთ ჟურნალი, რომელიც ასახავს იმ სტრატეგიებს, რომლებსაც ამ წიგნში გაეცანით და გსურთ გამოიყენოთ კლასთან მუშაობისას.
4. გამოკითხეთ ზოგიერთი მოსწავლე, რა მიაჩნიათ კარგი მასწავლებლისთვის დამახასიათებელ თვისებად.
5. გამოიყენეთ დანართ გ-ში მოცემული თვითშეფასების ინსტრუმენტი, რათა შეაფასოთ თქვენი კომპეტენცია შემდეგ ოთხ სფეროში: (1) დაგეგმვა და მომზადება, (2) საკლასო გარემო, (3) ინსტრუქცია, (4) პროფესიული პასუხისმგებლობები. ეს აქტივობა დაგეხმარებათ გააკეთოთ ორი რამ: (1) შეაფასოთ თქვენი მზაობა და სურვილი, გახდეთ წარმატებული მასწავლებელი და (2) დააკვირდეთ იმ სასწავლო პრაქტიკას, რომელიც თქვენს პედაგოგიურ ფილოსოფიას ეხმიანება.

აქტივობა #3

1. ჩამოწერეთ კარგი მოსწავლის მახასიათებლები. გაუზიარეთ თქვენი მიგნებები კოლეგას.

---

2. გამოკითხეთ ხუთი მოსწავლე. ჰკითხეთ, რა სურთ, რომ მასწავლებელმა მათ შესახებ იცოდეს. პასუხები ქვემოთ ჩაინიშნეთ. დაახასიათეთ მოსწავლეები მათი ვინაობის გამჟღავნების გარეშე. რა ისწავლეთ ამ გამოკითხვის შედეგად? გაუზიარეთ კოლეგას.

თავი 3

ვინ არიან ჩემი მოსწავლეები?

შეისწავლე მოსწავლეების განწყობა, არასოდეს იყო ზედმეტად დიდი იმისათვის, რომ დასვა კითხვა; არასოდეს იცოდე ზედმეტად ბევრი იმისათვის, რომ ისწავლო კიდევ რაიმე ახალი.

- ოგ მანდინო

თუ მოსწავლეები არ სწავლობენ ჩვენი მეთოდებით, მაშინ ვასწავლოთ ისე, როგორც ისინი სწავლობენ.

- ი.ს. ლიის სახელობის დაწყებითი სკოლის დევიზი
აბერდინი, სამხრეთ დაკოტა

კითხვები

1. რატომ არის სწავლების პროცესისათვის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა წინარე ცოდნის შესახებ ინფორმირებულობა?
2. რა უნდა იცოდეთ მოსწავლის შესახებ, რომ დაეხმაროთ, ისწავლოს უკეთესად?
3. რა სტრატეგიებსა და მეთოდებს გამოიყენებდით მოსწავლეთა საჭიროებების გასარკვევად?
4. რამდენად შესაძლებელია მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინება?
5. რომელი კატეგორიის მოსწავლეების სწავლებას ამჯობინებდით? დაახლოებით მსგავსი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ჯგუფისას? ახსენით, რატომ.

_____

პირველ სასწავლო დღეს ოცი ძალიან მონდომებული მოსწავლის წინაშე ვიდექი და თვალმოუშორებლად ვუყურებდი მათ მოლოდინით და იმედით აღსავსე სახეებს. აინტერესებდათ ვინ ვიყავი: ვიყავი თუ არა კეთილი, სამართლიანი, კარგად მოვექცეოდი თუ არა? ვუყურებდი თითეული მათგანის სახეს, მათ მდუმარე გაოცებას. „შევძლებ კი, ჩავწვდე თითოეული მათგანის სულს? რა მოლოდინები აქვთ, ან რისი ეშინიათ? რა ამბიციები აქვთ? რა სჭირდებათ? შევძლებ კი ნამდვილად მათ დახმარებას?“ თითოეულ ჩემს მოსწავლეს გააჩნია უდიდესი პოტენციალი. მე შევეცდები ყველაფერი გავაკეთო მათთვის.

თითოეული მოსწავლე მართლაც რომ გამორჩეულია. ყოველ მათგანს დიდი შესაძლებლობები აქვს. სწორედ ამიტომაა სწავლება უდიდესი პასუხისმგებლობა. საკუთარ თავს ვეკითხებით: „შევძლებ თუ არა მოვახდინო ცვლილება თითოეულ მათგანში? რას იტყვიან ჩემი მოსწავლეები ჩემ შესახებ, ჩემს პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით გამართულ წვეულებაზე? როგორ დავამახსოვრდები მათ?“ მკითხველო, ვიცი, რომ თქვენ გსურთ გააკეთოთ ყველაფერი, რაც თქვენზეა დამოკიდებული (სხვა შემთხვევაში რატომ წაიკითხავდით ამ წიგნს?). უნდა გჯეროდეთ, რომ თქვენ შეგიძლიათ მოსწავლეებზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა, მიუხედავად იმისა, გრძნობთ თუ არა მნიშვნელოვან პროგრესს ამ მხრივ. ამ საკითხის მიმართ ასეთი დადებითი დამოკიდებულებით, უკვე მზად იქნებით, გაიცნოთ თქვენი მოსწავლეები და მოახდინოთ გარდატეხა მათში. წინამდებარე თავში თერთმეტ საკვანძო საკითხს მიმოვიხილავთ, ეს საკითხები მნიშვნელოვანია მოსწავლეებთან მუშაობის დროს. განხილული იდეები, რა თქმა უნდა, ამომწურავი არაა, თუმცა, დასაწყისისათვის არსებითია.

იდეა მოსწავლეების შესახებ #1: რა უნდა ვიცოდე ჩემი მოსწავლეების შესახებ?

ყველა მოსწავლეს ინდივიდუალური საჭიროება აქვს. ჩვენ მუშაობა მოგვიწევს ისეთ მოსწავლეებთანაც, რომლებიც ოფიციალურად მიიჩნევიან ათვისების უნარის არმქონედ, თუმცა, უნდა გავიაზროთ, რომ თითოეულ მოსწავლეს მოეპოვება კონკრეტული სპეციალური საჭიროება. არ მეთანხმებით? გაიხსენეთ თქვენი საკუთარი ან მეზობლის შვილი. თითოეული ბავშვი უნიკალურია და ყოველ მათგანს აქვს განსაკუთრებული საჭიროება. *ყველა მოსწავლე განსხვავებული მეთოდითა და ტემპით სწავლობს.* წარსულში დარჩა ის დრო, როდესაც მასწავლებლები უბრალოდ ლაპარაკობდენ, ხოლო მოსწავლეები უსმენდნენ. საინტერესოა, საერთოდ უსმენდნენ კი ისინი მასწავლებლების საუბარს? კარგი მასწავლებლები მოსწავლეებთან მიდგომის მრავალფეროვან მეთოდებს იყენებენ, ვინაიდან მათ იციან, რომ თითოეული მოსწავლე ინფორმაციას განსხვავებულად აღიქვამს. ზოგი კარგად სწავლობს მოსმენით, მაშინ, როცა სხვებს უფრო

ყველა ბავშვი უნიკალურია.

როგორ სწავლობენ მოსწავლეები ყველაზე კარგად?

მეტად მხედველობითი აღქმა აქვთ განვითარებული. კარგმა მასწავლებელმა ისიც იცის, რომ მოსწავლეები განსხვავებული ტემპით სწავლობენ. თუ ჩარლი რაიმეს მყისიერად „ხვდება“, ეს არ ნიშნავს, რომ სალი, რომელიც მყისიერად ვერ სწვდება საქმის არსს, აუცილებლად სუსტია... სალის შეიძლება სჭირდებოდეს დამატებითი დრო დასაფიქრებლად, ან სპეციალური დახმარება.

ზოგიერთ მოსწავლეს უჭირს ყურადღების მოკრება. გარდა იმ მოსწავლეებისა, რომელთაც აღქმის სერიოზული პრობლემები აქვთ, ყველა მოსწავლე, სხვადასხვა დროს, რაღაც პერიოდით, შეიძლება „გამოითიშოს“ გაკვეთილის პროცესისგან. გაიხსენეთ თქვენი თავი ეკლესიაში ან ლექციაზე ყოფნის დროს. ჰკითხეთ საკუთარ თავს: „რა შემიძლია გავაკეთო მოსწავლეების წასახალისებლად, თვალყური მიადევნონ სავარჯიშოს?“ თქვენ შეგიძლიათ, თავაზიანად შეახსენოთ მელისას: „შეგიძლია უპასუხო ამ კითხვას?“ თქვენ შეგიძლიათ, ხელახლა გაუმეოროთ მას კითხვა იმის ნაცვლად, რომ ამხილოთ გონების გაფანტვაში. ასეთი პოზიტიური მიდგომით შეძლებთ მოსწავლის ყურადღების გადმოტანას გაკვეთილისკენ. თქვენ რას ეტყოდით მოსწავლეს ასეთ შემთხვევაში?

ყველა მოსწავლე მონდომებულია. როდისმე გსმენიათ ვინმესგან ნათქვამი: „არა, ის არ არის მონდომებული?“ ეს არ არის სიმართლე. ყველა მოსწავლე მონდომებულია, უბრალოდ მათ, შესაძლოა, მართლაც არ ჰქონდეთ სურვილი, ისწავლონ ის, რასაც თქვენ ასწავლით. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ყველა ადამიანი განსხვავებულად იქცევა და ჩვენი ამოცანაა, რომ გამოვიყენოთ მათი ბუნებრივი მოტივაცია. როგორ შეძლებთ დადებითად გამოიყენოთ მოსწავლეების ბუნებრივი ენერგია და დაუკავშიროთ კლასის თემატიკას?

ყველა მოსწავლე მნიშვნელოვანია. თქვენი მოსწავლეების სქესმა, სოციალურმა, კულტურულმა და ეთნიკურმა წარმომავლობამ შესაძლოა განსაზღვროს მოსაწავლეთა შორის ურთიერთდამოკიდებულება. შეგიძლიათ გაიხსენოთ შემთხვევები როდესაც მოსწავლის სოციალურმა კლასმა, ეთნიკურმა წარმომავლობამ, სქესმა ან კულტურულმა ფონმა (განსაკუთრებით - ინგლისური ენის შემსწავლელ მოსწავლეებთან) ნეგატიური გავლენა მოახდინა მის აკადემიურ და სოციალურ განვითარებაზე?

იდეა მოსწავლეების შესახებ #2: ყველა მოსწავლეს აქვს ხუთი ძირითადი საჭიროება

უილიამ გლასერი (1975) განსაზღვრავს მოსწავლეთა ხუთ ძირითად საჭიროებას, რომლებიც თითოეული ჩვენგანისთვის ნაცნობია. როდესაც გადავხედე ამ საჭიროებებს, დავფიქრდი იმაზე, თუ როგორ შეიძლება გაითვალისწინოთ აღნიშნული საჭიროებები საკლასო აქტივობების დასაგეგმად:

1. მიკუთვნებულობა - ყველა ადამიანს აქვს მიკუთვნებულობის საჭიროება. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ბავშვები პატარ-პატარა დაჯგუფებებს ქმნიან. ამით ცდილობენ, შეივსონ მიკუთვნებულობის მოთხოვნილება. თუ ბავშვები მიკუთვნებულობის მოთხოვნას ვერ იკმაყოფილებენ ოჯახში ან სკოლაში, მაშინ ისინი მის შესავსებად ხშირად არასწორ გზას მიმართავენ. სჭირდებათ ამ მხრივ თქვენს მოსწავლეებს დახმარება? არსებობს სკოლაში ან კლასში რაიმე ჯგუფი, რომლის წევრებიც თქვენი მოსწავლეები არიან? როგორ ახერხებთ აგრძნობინოთ მოსწავლეებს თავი კლასის ნაწილად? აქვთ მათ შესაძლებლობა, გაუზიარონ საკუთარი იდეები და განცდები თანაკლასელებს? ღებულობენ მონაწილეობას საკლასო აქტივობებში?

2. უსაფრთხოება - ვის არ უნდა, იგრძნოს თავი დაცულად? თქვენ რომ ისეთი სამეზობლო გქონდეთ, სადაც თქვენი მანქანის უსაფრთხოდ დატოვების შეგეშინდებოდათ, მთელ დღეს მანქანაზე ფიქრში არ გაატარებდით? რა თქმა უნდა. მთელი დღის განმავლობაში, მანქანას თავიდან ვერ ამოიგდებდით. შესაბამისად, თქვენი მოსწავლეებიც უნდა გრძნობდნენ, რომ კლასი ის ადგილია, სადაც თავს უსაფრთხოდ და დაცულად იგძნობენ. მათ სჭირდებათ დაცინვისა და ძალადობისაგან თავისუფალი გარემო. თქვენს კლასში სასიამოვნო გარემო სუფევს? ყოველდღიურად ესალმებით თუ არა თქვენს მოსწავლეებს ღიმილით და სასიამოვნო გამომეტყველებით?

3. სიძლიერე - თითოეულ ჩვენგანს სჭირდება სიძლიერის შეგრძნება. მოსწავლე, რომელიც უგულებელყოფს მასწავლებლის ავტორიტეტს, მაგალითად, ესაუბრება მას, როგორც თანატოლს, შესაძლოა, გაუცნობიერებლად ცდილობს მისი ყურადღების მიპყრობას. მოსწავლეებს აქვთ ყურადღების ცენტრში ყოფნის საჭიროება. არასოდეს მიიღოთ მოსწავლის სიტყვიერი შეტევა პიროვნულად. ჩართეთ ისინი სააზროვნო, პროდუქტიულ აქტივობებში, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ საკლასო ჩართულობას პოზიტიური გზით. მოსწავლეების ჯგუფხელებად დასახელებაც მათთვის ძალაუფლების მინიჭების ერთ-ერთი გზაა. შეგიძლიათ მოიფიქროთ დამატებით კიდევ ორი სხვა ხერხი მათი სასკოლო ძალაუფლების გასაზრდელად?

4. თავისუფლება - ვის მოეწონება, ყოველ წუთას შეახსენო, რა უნდა აკეთოს? თითოეულ ჩვენგანს აქვს საკუთარი მდგომარეობის კონტროლის მოთხოვნილება. რა შეგიძლიათ გააკეთოთ იმისთვის, რომ მოსწავლეებმა იგრძნონ თავისუფლება? მაგალითად, შეგიძლიათ მისცეთ უფლება მოსწავლეებს, შეარჩიონ რომელიმე გაკვეთილის თემატიკა - რა უნდათ, რომ ისწავლონ, ან მისცეთ უფლება, მოაწყონ ასამბლეა, ან იმუშაონ პროექტზე. მოსწავლეებისათვის თავისუფლების მინიჭებით, თქვენ დააკმაყოფილებთ და შეავსებთ მათ ბუნებრივ მოთხოვნილებას.

5. გართობა - სკოლა და გართობა? ეს ხომ ურთიერთსაპირისპირო ცნებებია? მოიფიქრეთ, რა შეიძლება გააკეთოთ იმისათვის, რომ აქციოთ თქვენი კლასი ადგილად, სადაც მოსწავლეები სიამოვნებით მოდიან და ერთობიან (დიახ, რა თქმა უნდა, სასწავლო პროცესში!).

ვინ არიან თქვენი მოსწავლეები? ისინი არიან ადამიანები, რომელთაც აქვთ აუცილებელი საჭიროებების შევსების მოთხოვნილება. როგორ ფიქრობთ, თქვენი საკლასო ოთახი არის ის ადგილი, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ დაიკმაყოფილონ ზემოთ განხილული მოთხოვნილებები?

იდეა მოსწავლეების შესახებ #3: ბავშვებს სჭირდებათ ყურადღება და უფრო მეტიც....

მოსწავლეებს ჩვენგან სათანადო ყურადღება და დახმარება ესაჭიროებათ. თითოეული მოსწავლე ინდივიდუალური საჭიროებით გამოირჩევა. ჩვენი პასუხისმგებლობაა, გავითვალისწინოთ მათი საჭიროებები. ქვემოთ მოცემულია აქტივობები და შესაბამისი საჭიროებები:

1. *აქტიური თამაშები* - ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად.
2. *მოთხრობები, შაირები და ლექსები.*
3. *წარმოსახვითი თამაში* - „წარმოიდგინე, შენ ხარ...“
4. *ენა* - მოუსმინო სხვებს და ისაუბრო სხვებთან ერთად.
5. *მუსიკა* - გაერთო და იყო შემოქმედებითი, სიმღერისა და რიტმის დახმარებით.
6. *ხელსაწყოები და მასალები* - შექმნა საგნები საკუთარი სურვილის მიხედვით.

აქტივობები, რომლებიც მათ გრძნობებს შეესაბამება:

1. *მხედველობა* - ნივთების დაკვირვება სახლში, ქუჩებში, მაღაზიებში და სხვ.
2. *სმენა* - მოსმენა და ხმების გარჩევა სახლში, ბუნებასა და სხვა ადგილებში.
3. *დაგემოვნება* - საკვებს შორის განსხვავებულობის აღწერა.
4. *ყნოსვა* - სუნებს შორის განსხვავებულობის აღწერა.
5. *შეხება* - სხვადასხვა სახის მასალების, საგნების შეგრძნება და ა.შ.

ბავშვებს აქვთ მოთხოვნილებები, რომლებსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ. ბავშვს, ჯანსაღ ადამიანად ჩამოყალიბების პროცესში, საბაზისოზე გაცილებით უფრო მეტი მოთხოვნილება უჩნდება. ეს მოთხოვნილებებია: სიყვარულის, მეგობრობის, სიამოვნების, იუმორის, ოპტიმიზმის, მგრძნობიარობის, სიმტკიცის, პატივისცემისა და ნდობის, ცნობისმოყვარეობის, სიხარულის, სიცილის, ცრემლების, თანაგრძნობის, წარმოსახვის, სიმღერის, ცეკვის, გონებაგახსნილობის, გაკვირვების, კრეატიულობის, აღმოჩენების, სწავლის, მუშაობის, ცოდნის, ორგანიზების, მიკუთვნებულობის და სხვა მრავალი მოთხოვნილება. თითოეული ბავშვი არის უნივერსალური და თითოეულ მათგანს აქვს უნივერსალური მოთხოვნილებები. ჩვენ, ზრდასრულებმა, ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ და ხელი შევუწყოთ ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილებას. ღია გარემოს შექმნით, მოსმენითა და სწავლებით უნდა დავეხმაროთ მოსწავლეებს თავიანთი მოთხოვნილებების უზრუნველყოფაში მათივე განვითარებისა და ჩამოყალიბებისათვის.

რეფლექსია

როგორ ფიქრობთ, დაგეხმარებათ განხილული იდეები იმისათვის, რომ უფრო კარგად გაუგოთ თქვენს მოსწავლეებს? გაუზიარეთ თქვენი შეხედულებები კოლეგებს.

იდეა მოსწავლეების შესახებ # 4: რასის, სქესის სექსუალური ორიენტაციისა და სოციალური ფენის როლი

იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ კითხვას: „ვინ არიან ჩვენი მოსწავლეები?“ - უნდა დავფიქრდეთ მათი რასის, გენდერის, სექსუალური ორიენტაციისა და სოციალური ფენის შესახებ. რასა ისეთივე მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც გენდერი და სოციალური ფენა. ჩვენი მოსწავლეების ზოგადი ფონი და მათ მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება ზეგავლენას ახდენს მათ საქციელზე. ვითვალისწინებთ თუ არა ჩვენი მოსწავლეების რასას, გენდერსა და სოციალურ ფენას მათი სტიგმატიზაციის მიზნით?

1. როგორ ფიქრობთ, შეიძლება მასწავლებელმა განახორციელოს მოსწავლეთა დისკრიმინაცია აშკარად ან/და უნებლიეთ? აღწერეთ როგორ და იმსჯელეთ.
2. როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა, სკოლაში განხორციელდეს მოსწავლეთა აშკარად ან/ და უნებლიეთ დისკრიმინაცია? აღწერეთ და იმსჯელეთ ამის შესახებ.

3. რა სტერეოტიპები აქვთ მასწავლებლებს გარკვეული ჯგუფებისადმი და რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ამ სტერეოპიტებმა მათ ქმედებებზე? აღწერეთ და იმსჯელეთ ამის შესახებ.
4. როგორ ფიქრობთ, ადამიანთა რომელი ჯგუფი ან როგორი ადამიანები შეიძლება გახდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი? ჩამოთვალეთ.
5. როგორ ფიქრობთ, რა მეთოდების გამოყენება შეუძლიათ მასწავლებლებს სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად? აღწერეთ და იმსჯელეთ ამის შესახებ.

იდეა მოსწავლეების შესახებ # 5:
სიძულვილი, ფანატიზმი, სტერეოტიპი

ის იყო 49 წლის შავკანიანი მამაკაცი და ცხოვრობდა ჯასპერში, ტეხასის შტატში. სამმა თეთრკანიანმა მამაკაცმა (ჯონ უილიამ კინგი, შონ ალენ ბერი და ლორენს რასელ ბრივერი) პიკაპის ტიპის მანქანას უკან გამოაბა და მანამ ათრია, სანამ არ მოკვდა. ამ სამმა კაცმა შავკანიანი მამაკაცის მარჯვენა მკლავი და თავი იქვე, გზის პირას ამოთხრილ ორმოში დატოვა. შემდეგ ისინი უკან გამობრუნდნენ და სხეულის დანარჩენი ნაწილები ახლოს მდებარე სასაფლაოსთან მიატოვეს.

კიდევ ერთი ამბავი - ჰომოსექსუალი სტუდენტის შესახებ, რომელიც ვიომინიგის უნივერსიტეტში სწავლობდა. ის ნაცემი და გაკოჭილი იპოვეს უნივერსიტეტის ეზოში.

იყო ასეთი შემთხვევაც: ებრაელ ფიზიკოსს, რომელიც ბუფალოში აბორტებს აკეთებდა, სამზარეულოს ფანჯრიდან მძლავრი შაშხანა ესროლეს და საკუთარი მეუღლისა და შვილების თვალწინ მოკლეს.

ჩვენს გონებაში ღრმადაა ჩარჩენილი ჯეიმს ბირდის, მეთიუ შეპარდისა და ბარნეტ სლეპიანის სახელები - მათ მიერ ჩადენილი საშინელი მკვლელობების გამო. საშინელი კრიმინალური საქმეები გვახსენებს, რომ სიძულვილი ყოველთვის აქტუალური პრობლემაა, განსაკუთრებით კი - ამერიკულ კულტურასა და საზოგადოებაში.

ოდესმე ვინმე გძულებიათ? ვფიქრობ, ჩვენ ყველას განგვიცდია ძლიერი გაბრაზება ვინმეს მიმართ. როგორ ვრეაგირებთ ამ დროს? ვუყვირით მას, ვცემთ, ვგეგმავთ შურისძიებას, ან იქნებ სულაც გონებაში წარმოვიდგენთ იმ წუთებს, როდესაც მას სამაგიეროს გადავუხდით? ხანდახან ჩვენი გრძნობები და ჩვენი ხასიათი იმარჯვებს ჩვენზე. ვკარგავთ კონტროლს. შეგვიძლია ვიკამათოთ ამ საკითხზე, თუმცა, ვფიქრობ, თქვენ არასოდეს მიმართავდით სიძულვილის ისეთ უკიდურეს გამოვლენას, როგორიც ზემოთ მოყვანილ მაგალითებშია. ამის გარანტიას გაძლევთ.

რას იტყვით თქვენს დამოკიდებულებაზე ფანატიზმისა და სტერეოტიპების შესახებ? თუ თქვენ ხართ ქრისტიანი, ფარულად რაიმე ცუდი გისურვებიათ მუსლიმისთვის? რას ფიქრობთ ებრაელების შეურაცხყოფის შესახებ? თუ თქვენ ცხოვრობთ ისრაელში,

როდისმე ცუდად გიფიქრიათ არაბების შესახებ? რას იტყვით აზიელებსა და დასავლეთის ხალხს, ინდოელებსა და პაკისტანელებს, ესპანელებსა და კავკასიელებს, კავკასიელებსა და აფროამერიკელებს, შვედებსა და ნორვეგიელებს, ასევე სერბებსა და კოსოვოელებს შორის არსებულ სიძულვილსა და შეუწყნარებლობაზე? რატომ ხდება, რომ ჩვენი შიში, ეჭვი და სიძულვილი უცხოების მიმართ აჭარბებს ჩვენს კეთილგანწყობასა და მორალურ ვალდებულებას, ვიყოთ თავაზიანები, კეთილგანწყობილნი, სამართლიანები და ტოლერანტულები? როდესაც კოლუმბიელ ბავშვებზე ვფიქრობთ, არ გვავიწყდება, რომ ეს ბავშვები დაშინებულები იყვნენ. ძალადობა სკოლებში მატულობს და ჩვენ მასწავლებლებმა უნდა ვაჩვენოთ მოსწავლეებს, თუ როგორ უნდა მოექცნენ მათგან განსხვავებულ ადამიანებს.

ვინ არიან თქვენი მოსწავლეები? როგორ ფიქრობთ, შეიძლება ისინი პოტენციური მსხვერპლი ან დამნაშავეები იყვნენ? რა შეგიძლიათ, გააკეთოთ მათთვის?

მოგონება

სიძულვილი

მამაჩემი ჰოლოკოსტისგან ერთ-ერთი ცოცხლად გადარჩენილი მოწმეა. ის ნებისმიერი ტიპის სიძულვილს გმობს და ამის მიზეზებიც აქვს. ერთხელ მე და მამა კუნძულ ფერიზე გავემგზავრეთ. ჩვენ გვერდით ესპანელი ოჯახი იჯდა. მათ ღარიბულად ეცვათ და ინგლისურადაც ცუდად საუბრობდნენ. ეს სიტუაცია ჩემთვის ნაცნობი იყო, რადგან ჩემი მშობლებიც ემიგრანტები იყვნენ. რამდენიმე ახალგაზრდა, ხეპრე, ხულიგანი ბიჭი მათ დასცინოდა. მამაჩემი ბიჭებს მრისხანედ უყურებდა. მე მათ გამოხედვას ვაკვირდებოდი და პასუხს ველოდებოდი. ეს საზიზღარი ბიჭები თავხედურად გაგვეცალნენ და თან ჩაილაპარაკეს „ ბინძური ებრაელი ნაბიჭვრები“. მოგვიანებით მამაჩემმა მითხრა „არასოდეს შეიძულო სხვები იმის გამო, თუ როგორ ლაპარაკობენ ისინი, ან როგორ გამოიყურებიან... ადამიანები მხოლოდ მათი ქმედებებით უნდა განსაჯო, არა აქვს მნიშვნელობა ვინ არიან, ან როგორ გამოიყურებიან ისინი“.

ეს ჩემს ცხოვრებაში დაუვიწყარი გაკვეთილი იყო.

ოდესმე მოულოდნელად სიძულვილის გრძნობა განგიცდიათ? როგორ ასწავლით თქვენს მოსწავლეებს, რომ არ უნდა სძულდეთ? იხილეთ ქვემოთ მოცემული ამბავი პატარა ქეიშას შესახებ. ეს მოკლე, ნამდვილი ამბავი სამხრეთის ღარიბთა ცენტრის ტოლერანტობის კურსის მასწავლებელმა მოყვა. პერიფრაზი:

მშობელი არ ვარ, მაგრამ წლების განმავლობაში ბევრი ბავშვი მყვარებია. ერთ-ერთი მათგანი 4 წლის გოგონა, ქეიშა იყო. ქეიშა ყველაზე მოუსვენარი 4 წლის ბავშვი იყო, მას გაკვეთილების დროს შევხვედრივარ. ადვილად ბრაზდებოდა და ძნელად მშვიდდებოდა. ბოლო დროს ქეიშა თითქმის ყოველდღე ტიროდა. ერთ დღესაც, ხელი ჩავკიდე და შევაჩერე, დაველოდე, სანამ მთელი კლასის თეთრკანიანი მოსწავლეები დატოვებდნენ ბიბლიოთეკას. როდესაც ჩვენი კლასის

ყველა შავკანიანი მოსწავლე დარჩა, ქეიშამ შენიშნა განსხვავება. „მე მძულს თეთრკანიანები. ჩემს დედიკოს სძულს თეთრკანიანები და მეც მეჯავრებიან ისინი“. ეს თქვა, თითქოს აღნიშნა უფრო ფაქტი, ვიდრე გამოავლინა სიძულვილი თეთრკანიანების მიმართ. „მასწავლებელო, თეთრკანიანი ხართ?“ „დიახ, თეთრკანიანი ვარ, შენ მე მოგწონვარ?“ „მიყვარხართ“- მიპასუხა და გამიღიმა. „მეც მიყვარხარ“. 4 წლის ქეიშასთვის ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა აუცილებლობას გაეაზრებინა თავისი სიყვარული მასწავლებლის მიმართ და შეედარებინა ის თეთრკანიანების მიმართ სიძულვილსთვის.

იდეა მოსწავლეების შესახებ #6: ბულინგი

ალბათ ფლობთ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამერიკელი მოსწავლეების 30% ბულინგის მონაწილეა სხვადასხვანაირად, როგორც მსხვერპლი, როგორც მოძალადე, ან - ორივე ერთად (კოლოროსო, 2004). რონა ნოვიკის (2000) თანახმად, ძალადობა არის წინასწარ განზრახული ქმედება ან ძალის ბოროტად გამოყენება სხვა მოსწავლისათვის ზიანის მიყენების მიზნით. კვლევა აჩვენებს, რომ ძალადობის მსხვერპლი ხასიათდება, როგორც მორცხვი, მშფოთვარე, დაბალი თვითშეფასების მქონე, რომელსაც, ამავე დროს, არ გააჩნია საკმარისი სოციალური უნარები (იხილეთ ქარდი, 2003). მუდმივი და გამოუსწორებელი ძალადობის შედეგები სერიოზულია. მათ შორის - ძლიერი ფიზიკური, ემოციური და სოციალური ზიანი. ბულინგის მსხვერპლ ადამიანებში შეინიშნება უფრო ღრმა ჩაკეტილობის ტენდენცია, ისინი ხშირად ხდებიან „ჩუმად“ ემოციურები. უყურადღებობის შეთხვევაში, შესაძლოა ძალადობის მსხვერპლ ადამიანებს დეპრესია ჩამოუყალიბდეთ. ძალადობამ და გაღიზიანებულობამ ზოგ შემთხვევაში (ჩვენ ეს არაერთხელ ვნახეთ ახალ ამბებში მას შემდეგ, რაც კოლუბიის უმაღლეს სკოლაში ხოცვა-ჟლეტა მოეწყო) შესაძლოა არა მხოლოდ ძალადობის გამიზნული მსხვერპლი დააზარალოს, არამედ შემთხვევითი გარშემომყოფებიც.

რა შეიძლება ვთქვათ თვითონ მოძალადის შესახებ? მითია, რომ ძალადობა დაბალი თვითშეფასების გამო ხდება. სიმართლეა, რომ მოძალადე ბავშვები აგრესიულები და უდისციპლინოები არიან და მოეპოვებათ ძალაუფლების ფლობის უდიდესი სურვილი (სმითი, კოვიე, ოლაფსონი, & ლიფუგლე, 2002). კიდევ ერთი მითი, რომ პრობლემა ძირითადად ბიჭებშია - სიმართლეს არ შეესაბამება.

ბულინგთან დაკავშირებულ რომელიმე შემთხვევას ხომ ვერ გაიხსენებდით თქვენი ბავშვობიდან? შემთხვევას, სადაც, შესაძლოა, თქვენ თვითონ მსხვერპლი, ან დამნაშავე (რა თქმა უნდა, ამჟამად უკვე გამოსწორებული!) ან, უბრალოდ, ბულინგის შემსწრე იყავით... ძალადობის შესახებ კვლევები და ლიტერატურა ბოლო პერიოდში ფართოდ გავრცელდა. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე პრაქტიკული რჩევა, რომლებიც თქვენ, როგორც დამწყებ მასწავლებელს, დაგეხმარებათ, გაუმკლავდეთ ბულინგს და გასწავლით, როგორ მოიქცეთ ძალადობის პოტენციურ მსხვერპლთან ან შემსწრესთან.

აღსანიშნავია, რომ სკოლებმა ფართოდ უნდა დანერგონ ძალადობის პრევენციის პროგრამები. იხილეთ ქვემოთ მოყვანილი რჩევები ბულინგის პრევენციის კუთხით:

1. *მასწავლებლის ინფორმირებულობა* - ეცადეთ, გაიცნოთ თქვენი მოსწავლეები საკლასო ოთახს გარეთაც. დააკვირდით, როგორ იქცევიან ისინი დიდი შესვენების დროს, სკოლის ეზოში, ან რას აკეთებენ გაკვეთილების დასრულების შემდეგ. გყავთ კლასში სოციალურად იზოლირებული მოსწავლე? გყავთ ბუნებით აგრესიული მოსწავლეები? უსმინეთ, რას ეუბნებიან მოსწავლეები ერთმანეთს. დააკვირდით ხუმრობის გამო გაღიზიანებულ მოსწავლესაც, ვინაიდან გაღიზიანება შესაძლოა იყოს ძალადობის ადრეული ნიშანიც. აღკვეთეთ ეს დასაწყისშივე, სანამ ცუდ შედეგს მოიტანდეს. არ დაუშვათ მოსწავლეების უპატივცემულობა მათი თანატოლების მიმართ. ასწავლეთ მათ მაგალითების გამოყენებით. ყველა მოსწავლეს, როგორც ღირსეულ ადამიანს, პატივისცემით მოექეცით.
2. *მოაწყვეთ საკლასო დისკუსია ბულინგის შესახებ* - წაიკითხეთ კლასთან ერთად წიგნი ძალადობის შესახებ. იმსჯელეთ ძალადობის ცნობილ ფაქტებსა და მათ შედეგებზე. მიეცით საშუალება მოსწავლეებს, ისაუბრონ საკუთარ გამოცდილებაზე. შეიმუშავეთ საკლასო წესები, თუ როგორ მოეპყრან ერთმანეთს პატივისცემით. წესად გაიხადეთ, შეატყობინოთ არასასურველი ინციდენტების შესახებ სკოლის ადმინისტრაციას.
3. *არასოდეს დაადანაშაულოთ ბულინგის მსხვერპლი* - ძალადობის მსხვერპლი არის მსხვერპლი და ის უდანაშაულოა. პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე მხოლოდ დამნაშავეს აწევს. გაითვალისწინეთ, რომ დამნაშავემ შესაძლოა გაამართლოს საკუთარი საქციელი, მაგალითად: „ისე მიყურებდა, თითქოს უნდოდა, ვეცემე“, ან „ის ჩემს პროვოცირებას ცდილობდა“. არ დაუშვათ და არ მიიღოთ ასეთი მობოდიშება. შეატყობინეთ ასეთი შემთხვევების დროს სკოლის ადმინისტრაციას, სკოლის ფსიქოლოგს, ან სკოლის სოციალურ მუშაკს, თუ ეს შესაძლებელია. თანაუგრძნეთ ძალადობის მსხვერპლს.
4. *შექმენით ძალადობისაგან თავისუფალი გარემო* - შექმენით კარგად მართვადი გარემო, სადაც იქნება წესები როგორც სათანადო/კარგი, ასევე ცუდი ქცევებისთვის. მოსთხოვეთ მოსწავლეებს, იყვნენ თავაზიანები. ეცადეთ, დაამკვიდროთ ორმხრივი ურთიერთპატივისცემა და მზრუნველობა.
5. *წაახალისეთ ძალადობის შემსწრეები, იმოქმედონ* - იმსჯელეთ იმის შესახებ, თუ რატომაა უქმად ყოფნა და ძალადობის გვერდიდან ყურება დაუშვებელი. აუხსენით, რომ მათ არავინ სთხოვს პროცესში ფიზიკურად ჩართვას, არამედ მათ შეუძლიათ ჯგუფური ზემოქმედება მოახდნონ მოძალადეზე/მოძალადეებზე, ან საიდუმლოდ შეატყობინონ ძალადობის ფაქტის შესახებ სკოლის ადმინისტრაციას. როგორც სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ან მასწავლებელი, თქვენ ვალდებული ხართ, დაიცვათ ინფორმატორის კონფიდენციალურობა.

დაარწმუნეთ იგი, რომ ვერავინ შეიტყობს, ვინ მოგაწოდათ ინფორმაცია ინციდენტის შესახებ.

მოძალადეებს პრობლემები აქვთ. შესაძლოა, ძალადობის აღკვეთამ მათ გარკვეულწილად არგოთ. ჰკითხეთ თქვენი სკოლის დირექტორს ან მის მოადგილეს, არსებობს თუ არა თქვენს სკოლაში ან რაიონში ბულინგის პრევენციის პროგრამები. თუ ასეთი პროგრამა ჯერ კიდევ არ არსებობს, ურჩიეთ, გაეცნონ მსგავს ეფექტურ პროგრამებს.

ძალადობა არის რთული სოციალური ფენომენი, რომელიც ყურადღებას მოითხოვს. ჩვენ არ განგვიხილავს სხვადასხვა საკითხი, რომელიც ძალადობას ეხება, მათ შორის - ძალადობის პრევენციის სპეციალიზებული პროგრამები, ზრდასრულთა განწყობა, დამოკიდებულებები, რომელთაც შესაძლოა გაამყარონ ძალადობა, ოჯახური უთანხმოებები, რაც ხელს უწყობს ძალადობის გამოვლენასა და ე.წ. ვირტუალურ ძალადობას.

როგორც დამწყები მასწავლებელი, ხვდებით, რომ თქვენ არ ასწავლით მხოლოდ და მხოლოდ საგანს. თქვენ მონაწილეობას იღებთ მოსწავლეების ცხოვრების ფორმირებაში. ეს არის ჩვენი ჯილდოც და, ასევე, პასუხისმგებლობაც, რომელიც გვეკისრება. გააკეთეთ ყველაფერი იმისათვის, რომ დაეხმაროთ ახალგაზრდებს, გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი აკადემიური, სოციალური და ემოციური თვალსაზრისით. თქვენ მათ დაამახსოვრებდით სწორედ ასეთი მზრუნველობის გამო, და არა იმიტომ, თუ კონკრეტულად რას ასწავლიდით მათ.

იდეა მოსწავლეების შესახებ #7: შეზღუდული შესაძლებლობებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეები

თქვენ აუცილებლად შეხვდებით ისეთ მოსწავლეებს, რომლებიც სწავლის პროცესში სხვადასხვა დონის სირთულეებს აწყდებიან. ზოგიერთ მათგანს შესაძლოა ჰქონდეს გონებრივად ჩამორჩენილის ოფიციალური სტატუსი, მაგრამ შეიძლება სხვებს ასეთი დიაგნოზი არ ჰქონდეთ. თქვენი, როგორც მასწავლებლის მოვალეობა, რა თქმა უნდა, არაა, განსაზღვროთ მათი დიაგნოზი (ეს შეგვიძლია მივანდოთ სპეციალისტებს). თუმცა, თქვენ ვალდებული ხართ, გააცნობიეროთ მათი არსებული თუ პოტენციური პრობლემები და დასახოთ გზები, რითაც შეძლებთ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის სასწავლო მასალის ადეკვატურად მიწოდებას. უნდა იცოდეთ, რომ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებს, შესაძლოა:

1. გაუჭირდეთ ყურადღების კონცენტრაცია;
2. არასაკმარისად ჰქონდეთ განვითარებული დასწავლისათვის საჭირო უნარები;
3. ჰქონდეთ არასაკმარისი საბაზისო უნარები;

4. ჰქონდეთ ვერბალური პრობლემები;
5. ჰქონდეთ პრობლემები წერის, კითხვის და ანგარიშის უნარების ჩამოყალიბების პროცესში;
6. არასაკმარისად იყოს განვითარებული მათი ორგანიზაციული და დროის კონტროლის უნარები;
7. პრობლემატური იყოს მათი ყოფაქცევა;
8. ჰქონდეთ ცვილილებასთან შეგუების პრობლემა;
9. შესაძლოა ხასიათდებოდნენ განუვითარებელი და დაგვიანებული მეტყველებით;
10. მათთვის სირთულეს წარმოადგენდეს სიტყვების საშუალებით აზრის გამოხატვა;
11. ჰქონდეთ სახელების გახსენებისა და საგნების ცნობის პრობლემა;
12. უჭირდეთ მოსმენა და ინსტრუქციების მიყოლა;
13. ჰქონდეთ დროის აღქმისა და მიმართულებების გარჩევის პრობლემა;
14. გამოირჩეოდნენ დაბალი თვითშეფასებით.

კიდევ ხომ არ დაასახელებდით რომელიმე სხვა პრობლემას?

მოიფიქრეთ სტრატეგია, მეთოდი, თითოეული იმ სირთულის შესახებ, რომელიც ზემოთ დავასახელეთ, რომელიც ფიქრობთ, რომ დაგეხმარებათ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მუშაობაში.----------
---

ტესტი სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების შესახებ
(ჭეშმარიტი ან მცდარი)

1. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეს აქვს საშუალო ან საშუალოზე მაღალი უნარები.
2. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლის წარმატება რეალურია.
3. სწავლის გასაუმჯობესებელი მეთოდები უნდა შემუშავდეს თითოეული მოსწავლისათვის ინდივიდუალურად.
4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების პროგრამების მიზანია არა ჩვეულებრივი, ყოველდღიური საკლასო გარემოს ჩანაცვლება, არამედ მისი ხელშეწყობა.
5. სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს სჭირდებათ სწავლა იმისთვის, რომ კლასში გარკვეული ფუნქციები გააჩნდეთ.

6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს თითქმის ყოველთვის სჭირდებათ საკუთარი თვითშეფასების ამაღლება.
7. თუ პრობლემა არ გამოიკვეთა ან არ დაისვა დიაგნოზი სპეციალური საჭიროებების შესახებ, საკითხი თავისთავად არ მოგვარდება და დაბრკოლებას წარმოქმნის სასწავლო პროცესში.
8. სპეციალური საგანამანათლბელო საჭიროების მქონე მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს, თუ მას მხარში ამოუდგება სკოლა და ოჯახი.

პასუხები: ყველა დებულება სწორია

რა არის გონებრივი ჩამორჩენა?

ტერმინი გონებრივი ჩამორჩენა დღესდღეობით ყველაზე გაუგებარი ტერმინია განათლების სისტემაში. რთულია, შეირჩეს გონებრივი ჩამორჩენის საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრება. გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვი შესაძლოა ფიზიკურად ჯანმრთელი იყოს, შესაძლოა ფლობდეს ინტელექტის საშუალო, ან საშუალოზე უფრო მაღალ დონეს, თუმცა ვერ ახერხებდეს სწავლას შესაბამისი სტანდარტით გათვლილ დონეზე. ითვლება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სასკოლო ასაკის ყოველი თხუთმეტი ბავშვიდან ერთს გონებრივი ჩამორჩენა აქვს.

გონებრივი ჩამორჩენა გულისხმობს ერთი ან მეტი მნიშვნელოვანი უნარის ნაკლებობას, რომელიც სასწავლო პროცესში ვლინდება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეს აქვს არსებითი განსხვავება დასახულ და მიღწეულ მიზანს შორის კონკრეტულ სფეროებში. სკოლას, ისევე როგორც მშობელს ერთ ან რამდენიმე ქვემოთ მოცემულ მახასიათებელზე დაკვირვებით შეუძლია გამოარკვიოს აქვს თუ არა ბავშვს გონებრივი ჩამორჩენილობა:

1. *ჰიპერაქტიურობა* - ბავშვს არ შეუძლია დაჯდეს წყნარად და დროის რაღაც მონაკვეთში კონცენტრირება მოახდინოს ერთ, კონკრეტულ საკითხზე.
2. *ყურადღების გაფანტულობა* - მოსწავლეს აქვს ყურადღების მოკრების მოკლე დიაპაზონი, არ შეუძლია კონცენტრაცია ხმაურიან გარემოში.
3. *აღქმა* - მოსწავლეს გააჩნია მწირი მხედველობითი და სმენითი აღქმის უნარები.
4. *ენა* - მოსწავლეს აქვს ვერბალური პრობლემები და უჭირს გამოთქვას აზრი რთული წინადადებების გამოყენებით.

მას შემდეგ, რაც დადასტურდება, რომ ბავშვი არის გონებრივად შეზღუდული უნარის მქონე, სკოლამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ამ პრობლემის გადაჭრას. სკოლამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი, კვალიფიციური სასწავლო პროგრამის ამოქმედება, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების საჭიროებებს. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მოსწავლეების უმეტესობა ვერ ახერხებს მუშაობას ჩვეულებრივ, ინკლუზიურ საკლასო გარემოში, ესე იგი მასწავლებლები არ არიან შესაბამისად მომზადებულები. სწავლების მიზნები გონებრივად შეზღუდული მოსწავლეებისთვისაც იგივეა, რაც სხვა დანარჩენი მოსწავლეებისათვის, ერთი გამონაკლისით: სწავლების მეთოდიკა, რომელიც მოიცავს პრეზენტაციის უნარების და გამეორების ტექნიკის ხარისხის გაუმჯობესებას, დამოკიდებულია მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ამავდროულად, მასწავლებელს შეუძლია ჩამოაყალიბოს ერთი დონის ჯგუფები, იმისათვის რომ უზრუნველყოს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეების სპეციალური დახმარება და მხარდაჭერა. მიუხედავად ამისა, მე მაინც არ ვარ მოსწავლეების „სპეციალურ“ კლასებად დაყოფის მომხრე, იმ უარყოფითი შედეგიდან გამომდინარე, რასაც დაბალი თვითშეფასება ჰქვია. მასწავლებლებს, ჩემი აზრით, შეუძლიათ უამრავი სტრატეგიის (მათ შორის სწავლების დიფერენცირება, იხილეთ განხილვა ქვემოთ, ამავე თავში) გამოყენება, იმისათვის, რომ მოიცვან ყველა მოსწავლის ინდივიადუალური საჭიროებები.

მკითხველო, თუ თქვენ აზრს ჰკითხავთ რომელიმე გამოცდილ მასწავლებელს იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ინკლუზია, ეჭვი მაქვს, რომ თქვენ ბევრ დადებით პასუხს მიიღებთ. ბევრ ასაკოვან მასწავლებელს არ უსწავლია, ეაზროვნა ინკლუზიურად და ისინი არ ფლობენ შესაბამის პედაგოგიკურ ტექნიკებს, რათა შეცვალონ სწავლების მიდგომა ყველა მოსწავლის ემოციური და სასწავლო საჭიროებების გათვალისწინებით.

ზარმაცი

მიგიქცევიათ ყურადღება თქვენს კლასში მოსწავლისათვის, რომელიც ვერ ახერხებს კონცენტრაციას გაკვეთილზე? გყოლიათ ისეთი მოსწავლე, რომელიც ვერ იღებს სათანადო ნიშნებს, ან არ მუშაობს საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისად? ან არ გააჩნია მოტივაცია, მიაღწიოს წარმატებას სკოლაში? ჩამოთვლილი სიმპტომებიდან ერთი ან შესაძლოა ყველა იყოს ზარმაცი მოსწავლისათვის დამახასიათებელი.

ქვემოთ განვიხილავთ მეთოდებს, რომლებიც შესაძლოა გამოგადგეთ წარუმატებელი მოსწავლის დასახმარებლად.

როცა მოსწავლე ზანტად იწყებს სწავლას, თქვენ შეგიძლიათ სცადოთ შემდეგი:

1. ყურადღება მიაქციეთ, რამდენი დრო სჭირდება მოსწავლეს დავალების შესრულების დასაწყებად. თუ მოსწავლე, დავალების შესრულებას დაიწყებს, იმაზე ადრე, ვიდრე უწინ, შეაქეთ.
2. მას შემდეგ, რაც კონკრეტულად განსაზღვრავთ დავალებას, გამოიყენეთ ტაიმერი და განაცხადეთ, რომ დავალება უნდა დაიწყონ მანამ, ვიდრე ტაიმერი გამოირთვება. მოიფიქრეთ რაიმე შექების/წახალისების მსგავსი, თუ ყველა მოსწავლე დაიწყებს დავალების შესრულებას ტაიმერის გამორთვამდე.

3. მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ ისეთ გარემოში, სადაც უკეთ კონცენტრირებას შეძლებენ.
4. მიეცით მოსწავლეებს უფრო ადვილად და სწრაფად შესასრულებელი დავალება, ვიდრე ჩვეულებრივ. მოგვიანებით, შეგიძლიათ გაართულოთ დავალებები, მას შემდეგ რაც დაინახავთ პროგრესს.

თუ რომელიმე მოსწავლეს ჯერ კიდევ არ დაუსრულებია მიცემული დავალება, სცადეთ გამოიყენოთ ჩამოთვლილიდან რომელიმე მეთოდი:

1. გაყავით დავალება რამდენიმე ნაწილად. მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია, მიაღწიოს გარკვეულ წარმატებას.
2. არ მისცეთ მოსწავლეებს უფლება, გადავიდნენ სხვა დავალებაზე, სანამ წინა დავალებას არ დაასრულებენ. ეცადეთ, არ მოატყუებინოთ თავი მოსწავლეებს დავალების დასრულებასთან დაკავშირებით.
3. შექმენით ყოველდღიური შეფასების ბარათი, სადაც ჩამოწერილი იქნება ყველა დავალება. მიეცით მოსწავლეებს საშუალება, შეამოწმონ, რომელი დავალება შეასრულეს. ეს საკუთარ პროგრესს თვალნათლივ დაანახვებს.

ზარმაც მოსწავლეებთან მუშაობის მიზანია, შეძლონ დამოუკიდებლად მუშაობა და მიაღწიონ სათანადო შედეგს. შესაძლოა, ამის გამო თქვენი უკვე გაწერილი გეგმის გადახედვა და კიდევ ერთხელ შეცვლაც კი დაგჭირდეთ, სადაც თქვენი მოსწავლეების საჭიროებებსაც გაითვლისწინებთ. ასეთ მოსწავლებს წახალისება და დამატებით ინდივიდუალური დახმარება სჭირდებათ. წარუმატებელი მოსწავლეებისათვის დახმარების გაწევა შესაძლოა ყველაზე მეტად დასაფასებელი გამოცდილება იყოს მასწავლებლისათვის.

აქსელერილებული მოსწავლე

სწავლის პროცესში ყველა მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებაა აუცილებელი. მოსწავლეთა ინდივიდულური მოთხოვნები უნდა გავითვალისწინოთ წარმატებული, ნიჭიერი (მძულს ეს სიტყვა, რადგანაც ვთვლი, რომ ყველა მოსწავლე „ნიჭიერია“ რომელიმე მიმართულებით, იხილეთ არმსტრონგის წიგნის დანართი A), ასევე აქსელერილებული მოსწავლის შემთხვევებშიც. თუ მასწავლებელი მომზადებულია, შემოგვთავაზოს დიფერენცირებული სწავლების მიდგომა მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, ეს გულისხმობს ასევე აქსლერილებული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებასაც. ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე რჩევას აქსელერილებულ მოსწავლეებთან დაკავშირებით:

1. *ეცადეთ შექმნათ ერთგვაროვანი ჯგუფები* - ასე თქვენ შეძლებთ, კლასიფიცირება მოახდინოთ საშუალოზე მეტი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს შორის და

შეუქმნათ მათ პირობები, იმუშაონ მსგავსი პოტენციალის მქონე მოსწავლეებთან ერთად განსაკუთრებულ აქტივობებსა და პროექტებზე.

2. *გამოიყენეთ მათი ნიჭი ტუტორობისათვის* - მიეცით უფლება და წაახალისეთ აქსელერილებული მოსწავლეები, დახმარება გაუწიონ „ნელ“ მოსწავლეებს სპეციფიკური აქტივობების შესრულებისას. ეს ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნება. წარმატებული მოსწავლეებისათვის ეს იქნება ერთგვარი ემოციური კომპენსაცია, სარგებელი, რადგან დახმარებას გაუწევენ სხვებს. ამით ისინი ისწავლიან, რომ ყველა მოსწავლე უნიკალურია და დასაფასებელი. ხოლო, ისინი, ვისაც დახმარებას გაუწევენ, სასწავლო მასალას უფრო კარგად დაძლევენ. ყოველთვის ვამბობდი, თუ გინდა რომ ისწავლო, უნდა ასწავლო. ტუტორობასთან დაკავშირებული დადებითი არგუმენტები შეგიძლიათ გაუზიაროთ მშობლებსაც, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ამ აქტივობით მათი შვილები გარკვეულწილად ეთიშებიან სასწავლო პროცესს.
3. *სასწავლო პროცესში ჩართეთ მოსწავლეთა ცოდნის გამამდიდრებელი აქტივობები და ინდივიდუალური მუშაობა* - სწავლების დროს არ უგულებელყოთ აქსელერილებული მოსწავლეები, როგორც „საშუალო“ რგოლი. მოიფიქრეთ და დაგეგმეთ სპეციფიკური გაკვეთილები მათთვის. დაგეგმეთ მათთან შეხვედრები და ინდივიდუალური სამუშაოები.

მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ ინგლისურს, როგორც მეორე ენას (ELL)

თქვენ უკვე კარგად იცით, რომ ჩვენი სკოლები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. იზრდება იმ მოსწავლეთა რიცხვიც, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენა არაა. მათი დახმარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია (ჰარელი & ჯორდანი, 2004). ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ეს მოსწავლეები რაც შეიძლება სწრაფად ჩავრთოთ მოსწავლეთა ძირითად ნაკადში. შესაძლოა, მათ საწყის ეტაპზე ინგლისური ენის კვალიფიციური მასწავლებლისაგან დამატებითი გაკვეთილების ჩატარებაც დასჭირდეთ. თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ შესაძლებელი იქნება გაკვეთილების ჩვეულებრივ ჩატარება, ინკლუზიურ საკლასო გარემოში, სადაც ყველა მოსწავლე ერთად იქნება. ჩემი აზრით, „გამოთიშვის“ ტენდენცია უნდა შეიცვალოს „ჩართვის“ პერსპექტივით.

კიდევ რა სასწავლო მიდგომების გამოყენება შეგიძლიათ ამ შემთხვევაში?

1. ***პასუხის გაცემა მოძრაობით*** - გამოხატეთ იდეები და ცნებები ფიზიკური მოძრაობებით, აჩვენეთ მათ, რას გულიხმობთ, მაგალითად ცნებების სწავლების დროს, როგორებიცაა: *ადგომა, დაჯდომა, ჭამა,* გამოიყენეთ უფრო მეტი ფიზიკური ქმედება, რამდენადაც ეს შესაძლებელია.
2. ***მიეცით მაგალითი*** - არასოდეს უთხრათ მათ, რომ, რასაც ამბობენ ან წერენ - „არასწორია“. ამის საწინააღმდეგოდ, მიეცით მაგალითი, როგორ გამოხატონ ის, რისი თქმაც უნდათ. თუ მოსწავლე ამბობს „ისინი წავიდა“, თქვენ თქვით „აჰ,

ისინი წავიდნენ პარკში?“ ის გიპასუხებთ: „დიახ, ისინი წავიდნენ პარკში“. წერილობით სამუშაოს შემოწმებისას, არ გაავსოთ მათი ნაწერები შესწორებებით. ფოკუსირება მოახდინეთ ერთი ან ორი ძირითადი შეცდომის კორექტირებაზე (იხ. შეცდომები ზმნის დროის გამოხატვისას).

3. **შინაარსის ახსნა** - მოსწავლეებს ინგლისურის, როგორც მეორე ენის შესწავლის დროს, ზოგადად, ორი წელი სჭირდებათ იმისათვის, რომ ინტერპერსონალური კომუნიკაციის საბაზისო უნარებს დაეუფლონ. ამ უნარების განვითარებისათვის მათ ინგლისური ენის მაწავლებლის დახმარება სჭირდებათ, „გამოთიშვის“ შემთხვევაშიც კი. ისინი ერთხელ მაინც აბარებენ გამოცდას საბაზისო ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარების გამოვლენის მიზნით, რის შემდეგაც ნაწილდებიან ჩვეულებრივ კლასებში, სადაც იმუშავებენ აკადემიური ენის დაუფლებაზე. ამ პერიოდში ამ მოსწავლეებს უნდა დაეხმაროთ ლექსიკის გამდიდრებაში იმავე მეთოდებით, როგორც იმუშავებდით სხვა დანარჩენ მოსწავლეებთან. ინგლისურის, როგორც მეორე ენის შემსწავლელ მოსწავლებს შესაძლოა დასჭირდეთ დამატებითი, აღდგენითი მუშაობა საკუთარა ლექსიკის ჩამოყალიბების პროცესში. ისინი შესაძლოა ლექსიკური მარაგის ფლობის თვალსაზრისით რამდენიმე წელი ჩამორჩებოდნენ კიდეც თანაკლასელებს. შეგიძლიათ მიაწოდოთ ასაკის მიხედვით გათვალისწინებული წიგნებიდან შედარებით დაბალი საფეხურის წიგნები. საერთო ჯამში, ლექსიკის გამდიდრებით, ხელს შეუწყობთ მათ, გახდნენ თავდაჯერებულები საკუთარ ენობრივ უნარებში, რასაც ექნება დადებითი ზეგავლენა საგნის აღქმაზე.

ჩემი მეუღლე, ლიზა, ინგლისურის, როგორც მეორე ენის მასწავლებელია და ის იხსენებს ხოლმე იუმორისტულ და სასიამოვნო კურიოზებს:

- ახალი დასრულებული მქონდა მეოთხე კლასთან ამერიკული იდიომების შესახებ სწავლება. დარწმუნებული არ ვიყავი, რამდენად კარგად გაიგო ყველამ ეს „უცნაური“ გამონათქვამები. იდიომების სწავლიდან რამდენიმე დღის შემდეგ გვერდითა საკლასო ოთახიდან მოგვესმა, როგორ უყვიროდა მასწავლებელი მოსწავლეებს. არცერთი მოსწავლე აღარ მისმენდა. მე ვთქვი „ მისის კ.-ს მსგავსი აქ არავიანაა“, კარლოსმა მყისიერად მიპასუხა: „მის ფეხსაცმელს ვერავინ მოირგებს“ / იდიომა მნიშვნელობით: მას ვერავინ ჩაანაცვლებს“ ეს ისე მესიამოვნა! მადლობა, მისის კ-ს, ბოლოსდაბოლოს, ერთმა მოსწავლემ მაინც იცოდა, როგორ გამოეყენებინა ეს იდიომი.
- პირველკლასელებთან ვმუშაობდით პროექტზე. შევნიშნე, რომ ხოსე დაბნეული იყურებოდა და თან თავის ფურცელს დასცქეროდა. „რა პრობლემაა, ხოსე?“ „დილემის წინაშე ვდგავარ“ - მიპასუხა. შოკირებული ვიყავი, როცა მან ეს სიტყვა გამოიყენა. „რაში მდგომარეობს შენი *დილემა*?“ „ვერ გადავწყვიტე, ჯერ გავაფერადო თუ ამოვჭრა“ - მიპასუხა. მაშინ მე მივხვდი, რომ მან იცოდა სიტყვა „დილემის“ მნიშვნელობა.

- მეხუთე კლასელები, რომლებიც ალბანეთიდან იყვნენ, წერდნენ შემაფასებელ ტესტს. ერთი გოგონა მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ მეორე გოგონამ, ოლგამ ცუდი სიტყვა თქვა. მე დავუძახე ოლგას და ვკითხე, რა სიტყვა თქვა. მან მიპასუხა- „ნაბიჭვარი“ (“bitch“). ავუხსენი, რომ ეს სიტყვა არ იყო კარგი სიტყვა და არ უნდა გამოეყენებინა. ის შეწუხდა და მოიბოდიშა. შემდეგ ვკითხე, რა კონტექსტში გამოიყენა ეს სიტყვა. მიპასუხა რომ დაწერა: „ამ ზაფხულს მე წავედი სანაპიროზე“ (“In the summer I go to the bitch”). საქმე ისაა, რომ სიტყვები „სანაპირო“ და „ნაბიჭვარი“ ინგლისურად ერთნაირად გამოითქმის, თუმცა სხვადასხვაგვარად იწერება; ოლგამ არასწორად დაწერა იმავე გამოთქმის მქონე სიტყვა: მას უნდა დაეწერა „beach“....
- მოსწავლეთა ერთი ჯგუფი (ალბანელების) ათვალიერებდა ამერიკის შეერთებული შტატების რუკას. უცებ ერთმა მოსწავლემ წამოიძახა: „ ოჰ, შეხედეთ, ჩემი ქვეყანა!“, „აბა სად? სად?“ - მე ჩავეკითხე. „აი, აქ!“ მიპასუხა მან და თითით მიჩვენა რუკაზე. „არა, ძვირფასო, - ვუპასუხე, თან ვცდილობდი, სერიოზული სახე შემენარჩუნებინა - ეს ალაბამაა.“

იდეა მოსწავლეების შესახებ #8:
ასწავლით თუ არა არსებული კულტურული გარემოს შესაბამისად?

მარია როდრიგესი ლოს ანჯელესის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში მდებარე სკოლის საშუალო საფეხურის მასწავლებელია. მარკ რამლერი კი - ვაშინგტონის ერთ-ერთ გარეუბანში მდებარე სკოლის უმაღლესი საფეხურის მასწავლებელი. ორივეს გაცნობიერებული აქვს, რომ დაახლოებით ოც წელიწადში სკოლის ასაკის მოსწავლეთა დაახლოებით 40% ფერადკანიანი იქნება. მათ ასევე კარგად იციან, რომ სკოლაში სრულად უზრუნველყოფილი არ არის კულტურულად განსხვავებული მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებები. თვითონ მარია და მარკიც განსხვავებული კულტურის წარმომადგენლები არიან. ისინი ერთმანეთს ზოგად პედაგოგიკურ მიდგომებს უზიარებენ. საუბრობენ იმ მიდგომებზე, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს კულტურული მრავალფეროვნებისათვის რელევანტურ სტრატეგიებზე. მარკი და მარია გარკვეულწილად აცნობიერებენ მოსწავლეთა კულტურული ფონის შესაძლო ზეგავლენას სწავლა-სწავლების პროცესში. ისინი სწავლების პროცესში რთავენ მოსწავლეთა კულტურული ფონისათვის დამახასიათებელ ელემენტებს.

კულტურულად შესაბამისი (ირვინი & არმენტო, 2003) მასწავლებლები დიდ ძალისხმევას იჩენენ საკუთარი მოსწავლეების კარგად გაცნობის მიზნით. მარკი და მარია ესაუბრებიან მოსწავლეებს მათი ოჯახებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. მოსწავლეები თამამად და ღიად ჰყვებიან საკუთარი კულტურის შესახებ. ამ დროს ისინი ივსებიან სიამაყის უდიდესი გრძნობით და თავს გრძნობენ დაფასებულად. მარია

მოსწავლეებს ავალებს, დაწერონ პატარა მოთხრობა საკუთარი ოჯახის შესახებ. სიტყვა „ოჯახის“ მნიშვნელობის სენსიტიურობიდან გამომდინარე, შესაძლოა ის სხვადსხვა მოსწავლისათვის განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელი იყოს, მარია ცდილობს ჩამოაყალიბოს კლასში თბილი ატმოსფერო და ამით ხელი შეიწყოს მოსწავლეთა ჩართულობას. ის უზიარებს საკუთარ კულტურულ გამოცდილებას მოსწავლეებს, იმისათვის, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ საკუთარი აზრის გამოხატვა და თანაკლასელებისათვის გაზიარება. მარკი აცნობიერებს, რომ კულტურულად რელევანტური სწავლება გაცილებით მეტია, ვიდრე მარტინ ლუთერ კინგის წვლილის განხილვა. მარკის კულტურულად რელევანტური პედაგოგიკა ინტეგრირებულია მის სასწავლო გეგმასა და ყოველდღიურ გაკვეთილებში და არ გამოიხატება დღესასწაულებსა და სპეციალურ ხსოვნის დღეებზე. ის მიმართავს მარტინ ლუთერ კინგის წვლილის განხილვას მაშინ, როცა, მაგალითად, მოსწავლეებს არ მოსწონთ სკოლის ადმინისტრაციის მიერ გატარებული პოლიტიკა. ის იყენებს მათ გაბრაზებას, როგორც სწავლების ერთ-ერთ შესაძლებლობას, იმის ასახსნელად, თუ როგორ შეიმუშავა კინგმა ცვლილებების მთელი სისტემა, რათა სასურველი შედეგები მიეღო. შემდეგ მარკი ეკითხება თავის მოსწავლეებს: „როგორ ფიქრობთ, რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისათვის, რომ სკოლის ადმინისტრაციამ შეცვალოს პოლიტიკა?“

კულტურულად მგრძნობიარე მასწავლებელმა კარგად იცის, რომ მოსწავლეების კულტურა (რწმენა, ღირებულებები, ნორმები) შესაძლოა წინააღმდეგობაში მოდიოდეს ინსტიტუციონალურ ღირებულებებთან, რწმენასა და ნორმებთან. შესაძლოა ზოგიერთი მოსწავლე არ აქტიურობდეს კლასში და ის მიჩნეულ იქნეს, როგორც ზარმაცი, ან სწავლაში პრობლემების მქონე მოსწავლედ. შესაძლოა სხვა მოსწავლეებს ასწავლეს, რომ ავტორიტეტის მქონე პიროვნებას თვალებში არ უნდა უყურონ. მარიამ ერთხელ ყური მოკრა, რომ რომელიღაც მასწავლებელი აზიელ გოგონას იმის გამო სჯიდა, რომ საუბრის დროს მასწავლებელს თვალებში არ უყურებდა. მასწავლებელი: „ვიცი, რომ შენს კულტურაში არაა მიღებული საუბრის დროს თვალებში ყურება, მაგრამ შენ ახლა ამერიკაში ხარ და მიყურე თვალებში როცა გელაპარაკები“. მასწავლებლებმა, რომლებიც იცნობენ სხვადასხვა კულტურას, მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს უნდა გაითვალისწინონ მათი კულტურული ნორმები. მოსწავლეები ამ დროს გრძნობენ, რომ მათ აფასებენ და პატივს სცემენ. აკადემიური წარმატება გაცილებით მაღალია, როდესაც მასწავლებლები კულტურულად სენსიტიურები არიან.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე რჩევა, როგორ გავითვალსწინოთ სოციალური და კულტურულ ჩვევები. რჩევები ამოღებულია წიგნიდან *„ბავშვები, რომლებიც კარგად ვერ ფლობენ ინგლისურს: ჩვეულებრივ საკლასო გარემოში სწავლების სტრატეგიები“* (კოტლერი და კოტლერი, 2002, გვ. 20). ყურადღება მიაქციეთ:

- ვერბალურ კომუნიკაციას (გამოთქმას, საუბრის მანერას, საუბრის ტემპს, და სხვ.);

- არავერბალურ კომუნიკაციას (თვალებით კონტაქტი, ჟესტების მნიშვნელობა და სხვ.);
- პროქსემიკას (მოსაუბრეებს შორის სივრცითი დისტანცია);
- სოციალურ ღირებულებებს (ჯგუფების გავლენები);
- ინტელექტუალურ ორიენტაციას (მაგალითად, შეკითხვების ხშირად დასმა დადებითად ფასდება თუ უარყოფითად?);

გლორია ლედსონ-ბილინგსი თავის წიგნში „ოცნების მცველები“ (1994) ერთმანეთს ადარებს კულტურულად რელევანტურ სწავლებას და მის მიერ დამკვიდრებულ ტერმინს-ასიმილაციურ სწვალებას. პირს, რომელიც იყენებს ასიმილაციურ სწავლების მეთოდებს სჯერა, რომ ეთნიკური ჯგუფები უნდა დაემორჩილონ იმ ღირებულებებს, ნორმებსა და მოლოდინებს, რომლებიც დომინანტურ სოციალურ და კულტურულ ჯგუფს გააჩნია. კულტურულად რელევანტურ მასწავლებლებს კი სჯერათ, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია სწავლა, თუმცა ერთმანეთისაგან განსხვავებული სისწრაფით და განსხვავებული გზებით. მათგან განსხვავებით, ასიმილაციური მეთოდების მომხრე მასწავლებლებს კი სჯერათ, რომ ზოგიერთი მოსწავლის შემთხვევაში მარცხი გარდაუვალია. ჰკითხეთ საკუთარ თავს, სწავლების რომელი მიდგომა მოგწონთ? განმარტეთ თქვენი პასუხები.

მითები კულტურულად რელევანტური პედაგოგიკის შესახებ

1. მითი: კულტურულად რელევანტური პედაგოგიკა არის ახალი, ეს არის სპეციალური პედაგოგიკა, რომელიც რელევანტურია მხოლოდ დაბალი შემოსავლის მქონე, ქალაქში მაცხოვრებელ ფერადკანიან ბავშვებთან მიმართებით.

   რეალობა: ტრადიციული პედაგოგიკა ყოველთვის იყო კულტურულად რელევანტური. მოსწავლეთა საშუალო ფენის, ევროპელი და ამერიკელი მოსწავლეების კულტურული ნორმები სკოლების უმეტეს ნაწილში აღიარებულად ითვლებოდა. შეგიძლიათ ჩამოწეროთ რამდენიმე გზა, რომლითაც საშუალო ფენის მოსწავლეთა კულტურა მიღებულია სკოლებში? როგორ შეიძლება შეაფასოს და განსაზღვროს სკოლამ ყველა მოსწავლის კულტურა?

---

2. მითი: მოსწავლეთა მრავალფეროვან გარემოში მხოლოდ ფერადკანიან მასწავლებლებს შეუძლიათ კულტურასთან შესაბამისი პედაგოგიკის გამოყენება.

რეალობა: მასწავლებელთა უმეტესობა თეთრკანიანია. არარეალისტური და შეუსაბამოა კულტურულად რელევანტური პედაგოგიკის გაიგივება მასწავლებლის კანის ფერთან. ყველა მასწავლებელს, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, შეუძლია გამოიყენოს პედაგოგიკის აღნიშნული მეთოდები სწავლების პროცესში. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გვჭირდება, ეს არის მგრძნობელობა განსხვავებულის მიმართ და მისი აღირება. შეგიძლიათ მოსწავლეთა კულტურის შესაბამისი მეთოდებით ასწავლოთ? განმარტეთ. რა სირთულეებია მოსალოდნელი კულტურულად რელევანტური პედაგოგიკური მიდგომების გამოყენებისას და რა ფაქტორებმა შეიძლება განაპირობონ აღნიშნული სირთულეები?

---

3. მითი: კულტურის შესატყვისი პედაგოგიკა უპირველესად სწავლების მეთოდია.

რეალობა: დიახ, ასეა, მაგრამ ის უფრო მეტია, ვიდრე მეთოდი. კულტურის შესატყვისი პედაგოგიკა არის დამოკიდებულება სწავლების, მოსწავლეების, სწავლის ხერხების და იმ გარეგანი ფაქტორების შესახებ, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოსწავლის წარმატებაზე. რის გამო ირჩევთ/ ან არ ირჩევთ თქვენ სწავლების ამ ხერხს? ახსენით. როგორ ფიქრობთ, რა სახის ტრენინგები გესაჭიროებათ იმისათვის, რომ გამოიყენოთ კულტურის შესატყვისი პედაგოგიკა?

---

4. მითი: კულტურის შესატყვისი პედაგოგიკის მომხრე მასწავლებლებისათვის აუცილებელია, იყვნენ სხვადასხვა კულტურის ექსპერტები.

რეალობა: ამის არც შესაძლებლობა და არც საჭიროება არ არსებობს. ყველა მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ მოსწავლის კულტურული ფონი სასიცოცხლო როლს ასრულებს

სწავლის პროცესში და გვეხმარება გავიგოთ მოსწავლის ყოფაქცევა. მართლა გჯერათ, რომ კულტურა განაპირობებს მოსწავლეთა განსხვავებულ მიღწევებს? განმარტეთ. რა არგუმენტები შეიძლება მოვიტანოთ კულტურულად რელევანტური პედაგოგიკის საწინააღმდეგოდ?

წყარო: Ideas drawn from Irvine & Armento, *Culturally Relevant Teaching* (2003), pp. 13–14

იდეა მოსწავლეების შესახებ #9:
სწავლის სხვადასხვა ხერხები

თუ კარგად დააკვირდებით იმ გზებსა და საშუალებებს, როგორ სწავლობენ თქვენი მოსწავლეები, შეძლებთ, შექმნათ მათ საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური გაკვეთილები. თქვენი მოსწავლეები ისწავლიან გაცილებით უკეთ, თუ გეცოდინებათ და სწავლების პროცესში გაითვალისწინებთ, რას ანიჭებენ ისინი უპირატესობას სწავლის დროს.

სენსორული მოდალობის სტილი

ზოგიერთი მოსწავლე უფრო კარგად სწავლობს მხედველობითი, სმენითი და შეხებითი სტიმულატორების გამოყენებით. ბევრ მოსწავლეს კარგი მხედველობითი აღქმა აქვს. მათ სწავლა უადვილდებათ, როცა სწავლების პროცესში ვიდეოს, სურათებს, ცხრილებს, დიაგრამებს და სხვა მსგავს მასალებს იყენებთ. ეს მოსწავლეები დაკვირვებით სწავლობენ. მასწავლებლები, რომლებიც მსგავსი ტიპის ორგანიზატორებს და სენსორულ საშუალებებს იყენებენ სასწავლო პროცესში, ხელს უწყობენ ასეთ მოსწავლეებს სწავლაში. მოსწავლეები, რომლებსაც კარგი სმენითი აღქმის უნარი აქვთ, უპირატესობას ინფორმაციის მოსმენას ანიჭებენ. მათ მოსწონთ, როცა ვინმე უყვება რაიმე ამბავს, ან უსმენენ ჩანაწერს. ასეთ მოსწავლეებს შეიძლება დავეხმაროთ, ისწავლონ მასალის აუდიომაგნიტოფონზე განთავსებით, მასალის ვიდეო და CD ფორმატში წარმოდგენის გზით. ტაქტილურ-კინესთეტიკური უნარის მქონე მოსწავლეებს ურჩევნიათ, სწავლის პერიოდში შეხება ჰქონდეთ ნივთებთან. გამოიყენეთ ამ ტიპის მოსწავლეებთან როლური თამაშები და აქტივობები, რომლებიც მანიპულაციებს მოითხოვენ, გაიცანით და შეისწავლეთ ისინი მსგავსი აქტივობების დროს. ტაქტილურ-კინესთეტიკური უნარის მქონე მოსწავლეებთან ასევე კარგად მუშაობს მულტისენსორული სწავლების მიდგომა. როდესაც გაკვეთილის გეგმის შემუშავებას დაიწყებთ, ჰკითხეთ საკუთარ თავს, „როგორ

შემიძლია ჩავრთო უფრო მეტი შეგრძნების ორგანო სწავლების პროცესში, რათა უფრო მეტად დავეხმარო ჩემს მოსწავლეებს?“

გლობალური/ანალიტიკური სწავლების სტილი

სწავლის ორივე სტილი გულისხმობს მოსწავლეების მიერ ინფორმაციის დამუშავების ჩვევების აღწერას. გლობალური სწავლის სტილის მქონე მოსწავლეების შემთხვევაში, სწავლის დროს აქტიურად გამოიყენება ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო, რომელიც პასუხისმგებელია სივრცით და მიზნობრივ აზროვნებაზე. გლობალური სწავლის სტილის მქონე მოსწავლეების შემთხვევაში, სურათის პირველადი აღქმა არის განზოგადებული, მთლიანი, ისინი აზროვნების შემდეგ ეტაპზე ანაწევრებენ ინფორმაციას მცირე ნაწილებად. დანაწევრების დროს ამოიცნობენ ინფორმაციის დეტალებს და აფიქსირებენ მათ შორის არსებულ ურთიერთკავშირს. მათგან განსხვავებით, ანალიტიკური სწავლის სტილის მქონე მოსწავლეების შემთხვევაში, სწავლის დროს აქტიურია ტვინის მარცხენა ნახევარსფერო. ისინი აღიქვამენ ინფორმაციას დეტალებში, დანაწევრებულს და შემდეგ ახდენენ მათ განზოგადებას-გამთლიანებას. ანალიტიკური სწავლის სტილის მქონე მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავების პირველ ეტაპზე მიისწრაფვიან ინფორმაციის დეტალების გააზრებისაკენ. დიახ, ისინი ანალიტიკურად აზროვნებენ. ..

თქვენ სწავლის რომელ სტილს ანიჭებთ უპირატესობას? შემდეგი ორიდან რომელს აირჩევდით, ჯერ გაეცნოთ კონტექსტს და მთლიან სურათს, თუ ინფორმაციის დეტალებს? გაარკვიეთ, რამდენი გლობალური და ანალიტიკური სწავლის სტილის მქონე მოსწავლე გყავთ კლასში და ეცადეთ, ხელი შეუწყოთ მათ სასწავლო მოთხოვნებს. თუ როგორ გააკეთებთ ამას, თქვენზე დამოკიდებული. რა მეთოდებს გამოიყენებდით ერთ გაკვეთილზე ორივე აღნიშნული საჭიროების გასათვალისწინებლად? განმარტეთ.

გარემოსგან დამოუკიდებელი/ გარემოზე დამოკიდებული სტილი

მოსწავლეები პრობლემების გადასაჭრელად სხვადასხვა გზას ირჩევენ. ზოგიერთ მოსწავლეს შეუძლია, გამიჯნოს ინფორმაცია მისი კონტექსტისგან. ასეთი მოსწავლეები გარემოსგან დამოუკიდებლები არიან, ვინაიდან შეუძლიათ იმუშაონ დამოუკიდებლად, გამოირჩევიან შინაგანი მოტივირებულობით და იყენებენ სწავლის ანალიტიკურ მიდგომას. მოსწავლეების მეორე ნაწილს ახასიათებს გარემოზე დამოკიდებულება, მათ ინფორმაციის გასაგებად ესაჭიროებათ კონტექსტი და წინაპირობის ცოდნა. უყვართ სხვებთან ერთად მუშაობა და მათი მოტივაცია არის გარეგანი, ისინი იყენებენ განზოგადებული სწავლის სტილს.

ჭეშმარიტია თუ მცდარი: გარემოსგან დამოუკიდებელ მოსწავლეებს უყვართ მარტო მუშაობა. მასწავლებელს შეუძლია ხელი შეუწყოს მათ და ჩართოს კვლევით პროექტებში.

ჭეშმარიტია თუ მცდარი: გარემოზე დამოკიდებული მოსწავლეები უპირატესობას თანამშრომლობით სწავლებას, საველე სამუშაოებს და მანიპულაციების გამოყენებით სწავლას ანიჭებენ.

ორივე დებულება ჭეშმარიტია.

იმპულსური/რეფლექტური სტილი

ზოგიერთი მოსწავლე სწრაფად პასუხობს შეკითხვებს და სწრაფადვე პოულობს პრობლემის გადაჭრის გზებს. ისინი უდიდეს ენერგიას ფლობენ. მათგან განსხვავებით, სხვა მოსწავლეებს უფრო დიდი დრო სჭირდებათ მოსაფიქრებლად, ვიდრე კითხვას უპასუხებდნენ. ისინი რეფლექტურად აზროვნებენ და დაკვირვებით სწავლობენ. მსგავსი ტიპის მოსწავლეებთან მასწავლებელს მოთმინება ესაჭიროება. მოლოდინის დროის ადეკვატურად გამოყენება ასეთ მოსწავლეებს სასწავლო პროცესში ძალიან დაეხმარებათ...

ვიცნობ ადამიანს, რომელიც ჩემთან ერთად მუშაობს და ფიქრისათვის დიდი დრო სჭირდება. მისგან განსხვავებით, მე სწრაფი ვარ. როდესაც მე ვმუშაობ მეხუთე პუნქტზე, მას უნდა, კიდევ ერთხელ კრიტიკულად გადახედოს და მიუბრუნდეს მეორე პუნქტს. მე მას მეორე პუნქტის გადამუშავების უფლებას არ ვაძლევ. რა შემიძლია გავაკეთო ასეთ შემთხვევაში?

მხედველობითი აღქმის მქონე მოსწავლეებთან, უმჯობესია, გამოიყენოთ სურათები, ვიდეოები, გრაფიკები, ცხრილები, ჟურნალები, პოსტერები, პროექტორები, კომპიუტერები, სმარტბორდები, დიაგრამები, ნახაზები, ფლეშმეხსიერების ბარათები, ჰენდაუთები და სხვ.

სმენითი მეხსიერების მქონე მოსწავლეებთან, აჯობებს, გამოიყენოთ მაგნიტოფონები, ვიდეომაგნიტოფონები, სტერეოსკოპები. მიეცით მათ ვერბალური მითითებები, აუხსენით სიტყვიერად, გამართეთ დისკუსიები, სწავლების პროცესში ჩართეთ სიმღერები და სხვ.

კინესთეტიკური აღქმის მქონე მოსწავლეებთან გამოიყენეთ მანიპულაციასთან დაკავშირებული აქტივობები, როლური თამაშები, დემონსტრაციები, ფიზიკური მოძრაობები, რეალური გამოცდილებები, საველე გასვლები, პროექტები, პანტომიმა და სხვ.

რეფლექსია

ამ თავში განვიხილეთ მოსწავლეთა განსხვავებული მოთხოვნები და საჭიროებები. ასევე, ვისწავლეთ, რომ მასწავლებელი უნდა აცნობიერებდეს რასის, გენდერის, სექსუალური ორიენტაციისა და სოციალური ფენის გავლენას სწავლის პროცესზე. მასწავლებლები, როგორც კულტურულად რელევანტური პედაგოგები, აღიარებენ და ითვალისწინებენ მოსწავლეთა კულტურულ ფონს სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლის

მოთხოვნები, ინლისურის, როგორც მეორე ენის შემსწავლელი, ზარმაცი და ასევე აქსელერილებული მოსწავლეების საჭიროებები.

როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია ასეთ მრავალფეროვან საკლასო გარემოში სწავლება? რა სტრატეგიებს გამოიყენებდით კლასში, სადაც შერეული საჭიროებების მქონე მოსწავლეები სწავლობენ? ქვემოთ ჩამოწერეთ რამდენიმე პრაქტიკული სტრატეგია და განაგრძეთ კითხვა.

იდეა მოსწავლეების შესახებ # 10: დიფერენცირებული სწავლება: როგორ გამოვიცნოთ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები?

ერთი და იმავე ასაკის მოსწავლეები არ არიან ერთმანეთის მსგავსნი, როდესაც საქმე სწავლას ეხება

- ქეროლ ენ ტომლინსონი

მასწავლებელმა უნდა იცოდეს, როგორ გაითვალისწინოს და მოიცვას მოსწავლეთა განსახვავებული უნარები და სწავლის სტილი. თუმცა, ჩემი აზრით, სკოლებში ყოველთვის ჰქონდათ მოსწავლეთა დიფერენცირების გამოცდილება (შესაბამისი გაკვეთილები განსხვავებული მოსწავლეებისა და ჯგუფებისათვის) და ეს დღესაც მნიშვნელოვანია, გამომდინარე მოსწავლეთა განსხვავებული კულტურული ფონიდან. დღესდღეობით დიფერენციაცია განსაკუთრებულ დანიშნულებას იძენს, ვინაიდან მოსწავლეთა შესაძლებლობები დღეს უფრო მეტად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, ვიდრე ოდესმე.

რას ნიშნავს დიფერენცირებული სწავლება?

- დიფერენცირებულია სწავლება, როდესაც მასწავლებლებმა იციან და შეუძლიათ გაითვალისწინონ მოსწავლეთა განსხვავებული სასწავლო საჭიროებები და აღქმის უნარები.
- დიფერენცირებული სწავლება შესაძლებელია, როდესაც მასწავლებელი უკვე იცნობს მოსწავლეთა წარმატებისათვის აუცილებელ უნარებს.
- დიფერენცირებული სწავლება შესაძლებელია, როდესაც მასწავლებლებს შეუძლიათ აიღონ მრავალმხრივი პასუხისმგებლობები.
- სწავლება დიფერენცირებულია, როდესაც მასწავლებელს შეუძლია კლასის მართვა „სტრუქტურირებული ქაოსის“ შემთხვევაშიც კი. მან იცის, როგორ დაარეგულიროს გადაჭარბებული ხმაური და სწავლისთვის ხელისშმეშლელი სხვა ფაქტორები.
- ეს ხდება, როდესაც გაწერილია აქტივობები: გლობალური საკლასო სწავლება, აქტივობები პატარ-პატარა ჯგუფებში (მაგ. წყვილებში, სამ- ან ოთხბავშვიან ჯგუფებში), ინდივიდუალური აქტივობები (მაგ. დამოუკიდებელი სწავლა), მოსწავლე-მასწავლებლის კონფერენციები (მაგ. სასწავლო კონტრაქტებზე მუშაობა).
- სწავლება დიფერენცირებულია, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს საკუთარი შესაძლებლობების მრავალმხრივად გამოვლენის საშუალებას (მაგ. მხატვრული, მუსიკალური, ტექნოლოგიური, სამეცნიერო და ფიზიკური თვალსაზრისით).
- დიფერენცირებული სწავლების დროს მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, გამოხატონ საკუთარი შესაძლებლობები განსხვავებულად (მაგ. ტრადიციული კომპოზიციები/ესეები, სიტყვით გამოსვლები, დრამატურგია, მუსიკა, მოდელირება).
- დიფერენცირებული სწავლება მოსწავლის შეფასებას განიხილავს, როგორც დინამიურ, ინტეგრირებულ პროცესს.
- დიფერენცირებულია სწავლება, როდესაც მთელი კლასი ერთობლივად მუშაობს ერთი რომელიმე სპეციფიკური საკითხის ან საგნის რომელიმე ნაწილის შესწავლაზე.
- ეს ხდება, როდესაც მოსწავლები თავისუფლად და ღიად საუბრობენ და გამოხატავენ საკუთარ აზრს, როცა ყველა მოსწავლეს ეძლევა საშუალება, მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში.
- როდესაც მთელი კლასი ყურადღებით უსმენს მოსწავლეების ინდივიდუალურ, ან პატარა ჯგუფების სიტყვით გამოსვლას, როდესაც საუბარი ეხება მათ გეგმებს რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლაზე, ან აღწერას, თუ როგორ სწავლობენ ისინი აღნიშნულ საკითხს.

- ეს ხდება, როდესაც მოსწავლეები მუშაობენ პატარა ჯგუფებში.
- ეს ხდება, როდესაც მასწავლებელი მუშაობს წინასწარ შერჩეულ მოსწავლეებთან ერთად.
- დიფერენცირებული სწავლების დროს მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ მოსწავლეები სწავლობენ განსხვავებული სტილით. მასწავლებლების მოვალეობაა, შეიმუშაონ საკუთარი მიდგომები აღქმის სხვადასხვა სტილის გათვალისწინებით.
- დიფერენცირებული სწავლებისათვის ნიშანდობლივია, როდესაც მასწავლებლები მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას, აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე.
- დიფერენცირებული სწავლების დროს მასწავლებლები იყენებენ პრინციპს (მაგ., წარმატებული მოსწავლეები კონკრეტულ საკითხებზე მუშაობენ არც თუ ისე წარმატებულ მოსწავლეებთან ერთად).
- ეს ხდება, როდესაც მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ მოსწავლეებს შესაძლოა, ჰქონდეთ ერთმანეთისგან განსხვავებული ძლიერი და სუსტი მხარეები.
- დიფერენცირებული სწავლების დროს მასწავლებლები მოსწავლეებს აჯგუფებენ მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. მაგალითად, მარიას ხანდახან სჭირდება კითხვის გაუმჯობესება და ის კითხულობს მასწავლებელთან ერთად ჰომოგენურ ჯგუფში, მაგრამ მათემატიკაში მას შეუძლია იმუშაოს დამოუკიდებლად, ვინაიდან მას აქვს მათემატიკაში საშუალო, ან საშუალოზე მეტი უნარები.
- ეს ხდება მაშინ, როდესაც მასწავლებლებმა იციან, რომ მოსწავლეები ერთმანეთისაგან განსხვავებულ დროს ანდომებენ ამა თუ იმ დავალების შესრულებას. დიფერენცირებული სწავლების დროს მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ წინასწარ მომზადებული სხვადასხვა აქტივობა ისეთი მოსწავლეებისათვის, რომლებიც სხვებზე ადრე ამთავრებენ მუშაობას.
- დიფერენცირებული სწავლებისას მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სასწავლო აქტივობების დაგეგმვის პროცესში.
- დიფერენცირებული სწავლების მიდგომა მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, ჩამოაყალიბონ მათი ინტერესების შესაბამისი ჯგუფები და ჯგუფში განიხილონ სხვადასხვა საკითხი.
- დიფერენცირებული სწავლება ითვალისწინებს ინტერნეტით მასალების მოძიებას (იხილეთ, დანართი ბ).
- დიფერენცირებული სწავლება მოიცავს თანამშრომლობით სწავლას, ითვალისწინებს მრავალმხრივ განვითარებულ ინტელექტს (იხილეთ ქვემოთ) და აღქმის განსხვავებულ სტილს.
- დიფერენცირებული სწავლება ითვალისწინებს ასევე ლიტერატურული წრეების ჩამოყალიბებას (მოსწავლეები კითხულობენ წიგნს და შემდეგ თვითონ ქმნიან

ჯგუფს, სადაც განიხილავენ წაკითხულს. შესაძლოა, შეიმუშაონ პროექტი, რომელიც კითხვის უნარებზე იქნება დაფუძნებული).

დიფერენცირებული სწავლება არ არის განკუთვნილი იმ მასწავლებლებისათვის, რომელთაც არ შეუძლიათ საკუთარ თავზე აიღონ მრავალმხრივი პასუხისმგებლობები, ან მათთვის, ვისაც ურჩევნია, მოსწავლეები ისხდნენ ჩუმად და ყურადღებით უსმინონ „მასწავლებლის საუბარს“.

დიფერენცირებული სწავლება გულისხმობს, ეფექტურად გაუნაწილო შენი დრო ბევრ მოსწავლეს. ეს ერთ ამბავს მახსენებს. ორი ცნობილი პედაგოგი დაპატიჟებული იყო საერთო მეგობრის ქორწილზე. ერთი მათგანი ქორწილში დარჩა 30 წუთი, ხოლო მეორე მათგანი რამდენიმე საათი გაჩერდა. როდესაც პირველი პედაგოგი წავიდა, მის მიმართ ყველამ გამოხატა მადლიერება და სიხარული საქორწილო წვეულებაზე სტუმრობის გამო. როცა მეორე პედაგოგმა რამდენიმე საათის შემდეგ დააპირა წასვლა, ვიღაცამ ირონიულად ჰკითხა: „უკვე მიდიხარ? შენ ხომ ახლახან მოხვედი.“ პედაგოგმა, რომელიც გვიანობამდე დარჩა წვეულებაზე, ჰკითხა კოლეგას, რომელიც ადრიანად წავიდა ქორწილიდან: „რა არის შენი საიდუმლო? შენ ძალიან ცოტა ხნით მოხვედი და ყველა გახარებული იყო შენი სტუმრობით, მე საკმაოდ დიდხანს დავრჩი და მაინც უკმაყოფილოები იყვნენ“. „ეს მართლაც ძალიან მარტივი რამეა“- უპასუხა მეორემ, „მე იქ მხოლოდ 30 წუთი გავატარე და ამ დროის განმავლობაში მთელი გულით ჩავერთე ამ წვეულებაში. შენ შეგიძლია ამაზე მეტ ხანსაც დარჩე, მაგრამ იმ წამიდან, როდესაც წვეულებაზე შეხვედი, ერთი სული გქონდა, იქიდან როდის წამოხვიდოდი. ეს გასაგებია, რადგან გული იქ არ გიჩერდება. არ გაგიკვირდეს, თუ ხალხი გეუბნება, ახლახან მოხვედიო - მათ სინამდვილეში არც შეუმჩნევიათ შენი იქ ყოფნა“...

რით შეგიძლიათ აგრძნობინოთ მოსწავლეებს, რომ მათ მთელი ყურადღება დაუთმეთ?

ჩამოთვლილიდან რამდენ პუნქტს აკმაყოფილებთ?

1. მოსწავლეებთან ურთიერთობისას მიუკერძოებელი ვარ.
2. ყველა მოსწავლეზე ვზრუნავ.
3. მიუხედავად შესაძლებლობებისა, ყველა მოსწავლეს შეუძლია ერთმანეთისგან რაღაც ისწავლოს.
4. ვითვალისწინებ ჩემი მოსწავლეების განსხვავებულ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს.
5. მე ყველა მოსწავლის ნამუშევარს განვიხილავ კლასში, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა და წარმატებულობის ხარისხისა (რომელიც ასევე კიდევ ერთ ამბავს მახსენებს - იხილეთ შემდეგი გვერდი).
6. ვეხმარები მოსწავლეებს, ისწავლონ სწავლის პროცესში, კულტურასა და ინტერესთა სფეროებში არსებული მსგავსებებისა და განსხვავებულობის ურთიერთპატივისცემა და ტოლერანტული მიდგომა.
7. ყველა ჩემი მოსწავლის წარმატება მიხარია.

8. შეგნებულად ვრთავ მრავალმხრივ უნარებს საგაკვეთილო პროცესში, როგორც კი ამის შესაძლებლობა მომეცემა.
9. შეგნებულად ვიყენებ სწავლების სხვადასხვა მიდგომას, როგორც კი ამის შესაძლებლობა მომეცემა.
10. წინასწარ ვაფასებ და ვითვალისწინებ მოსწავლეთა ცოდნას გაკვეთილის მომზადებისა და შესაბამისი საგაკვეთილო მასალის მიწოდებისათვის.
11. სწავლების დროს ვიყენებ შეფასების მრავალფეროვან სტრატეგიებს.
12. მოსწავლეებს ვაძლევ უფლებას, განსხვავებულად წარმოაჩინონ ნასწავლი მასალა (სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, მათ შეუძლიათ აირჩიონ საკუთარი ცოდნის გამოხატვის საშუალებები).
13. ვაძლევ სხვადასხვა დავალების არჩევის თავისუფლებას.
14. მოსწავლეებს ვაძლევ სხვადასხვა სახის ტესტებს.
15. ვაფასებ ჰოლისტიკური მიდგომით, არ ვეყრდნობი რომელიმე ერთ ტესტს ან საზომ ერთეულს.
16. გამოკითხვის დროს სტიმულს ვაძლევ მოსწავლეებს და ვამოწმებ მიუკერძოებლად.
17. იმდენივე მოსაფიქრებელ დროს ვაძლევ ნელი აზროვნების მქონე მოსწავლეებს, რამდენსაც წარმატებულ მოსწავლეებს.
18. ჯგუფური სამუშაოების სხვადასხვა ხერხს მივმართავ: ვიყენებ როგორც მთელ კლასთან სწავლების, ასევე პატარ-პატარა ჯგუფებში მუშაობის მეთოდებს.
19. საჭიროების მიხედვით ვიყენებ მეწყვილის დახმარებას.
20. ვპოულობ გზას იმისათვის, რომ ყველა მოსწავლემ დაძლიოს მასალა.
21. ვიყენებ სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს.
22. ვითვალისწინებ მოსწავლეთა ინტერესსა და საჭიროებებს გაკვეთილის დაგეგმვის პერიოდში.
23. მოსწავლეებს ვაძლევ სხვადასხვა დონისა და სირთულის ტექსტებს.
24. საჭიროებისამებრ ვიყენებ სხვადასხვა ტექნიკურ აღჭურვილობას სწავლების პროცესში.
25. უმეტესად მივმართავ დიფერენცირებული სწავლების მეთოდს.

ახლა კი მოკლედ მოგიყვებით ნამდვილ ამბავს: როდესაც დირექტორის თანაშემწედ ვმუშაობდი, ერთ დილას შევედი მისის სმიტის საკლასო ოთახში. გამაოცა მისმა ლამაზად მოწყობილმა ოთახმა. ძალიან გამიხარდა, როდესაც შევნიშნე კედლის რამდენიმე დაფა, რომელზეც გამოფენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები. კარგად რომ დავაკვირდი, შევნიშნე დაფებზე შემდეგი წარწერები: „ჩვენი საუკეთესო კალიგრაფები“, „ჩვენი საუკეთესო მათემატიკოსები“, „ჩვენი საუკეთესო მწერლები“. მოგვიანებით მისის სმიტს ვკითხე, რას ფიქრობდა იმაზე, რომ ყველა მოსწავლეს სჭირდება რაიმე ფორმით დაფასება. მისის სმიტი დამეთანხმა და მთხოვა, შემდეგ კვირას კიდევ გამომევლო მათ კლასში. ასეც მოვიქეცი. როცა გადავათვალიერე დაფები, ვნახე, რომ მას ყველა მოსწავლის ნამუშევარი

გამოეფინა. ხოლო დაფის თავზე გაკეთებული წარწერებიდან კი მოეშორებინა სიტყვა „საუკეთესო“. მას ასევე გამოკრული ჰქონდა სარას შეფასების 45 ქულა მათემატიკის ტესტში, რენალდოს 55 ქულა მართლწერაში და ჯეინის 60 ქულა წერაში. უუუუჰ!

P.S. შემდეგ კი მისის სმიტი მარწმუნებდა, რომ ეს მოსწავლეები გააუმჯობესებდნენ შედეგებს მომავალში. ჭკვიანი მასწავლებელი ყოველთვის მოძებნის გზას, ჩართოს ყველა მოსწავლე სასწავლო პროცესში და ხელი შეუწყოს მის წარმატებას.

დიფერენცირებული სწავლებისას მრავალმხრივი ნიჭის გამოყენება

დიფერენცირებული სწავლება აღიარებს, რომ ყველა მოსწავლე ხასიათდება ინდივიდუალური პრიორიტეტებითა და სწავლის სტილით. ყოველი მათგანი მიწოდებულ ინფორმაციას აღიქვამს და ამუშავებს განსხვავებულად. ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევრის, ჰოვარდ გარდნერის თანახმად, ყველა მოსწავლეს გააჩნია ერთმანეთისაგან განსხვავებული ნიჭი და უნარი (2000). ის გამოყოფს რვა სხვადასხვა ნიჭს, რომელიც საერთოა ყველა ადამიანისათვის, თუმცა განსხვავდება განვითარების ხარისხის მიხედვით. ესენია:

1. *ვერბალური/ლინგვისტური უნარები* - ვერბალური ან ლინგვისტური უნარების მქონე მოსწავლე ენას მრავალგვარად იყენებს. ისინი კარგად ფლობენ ლექსიკას. მოსწონთ ჟურნალებისთვის სტატიების, ესეების წერა, ლექსიკური თამაშები, კითხვა. ისინი არიან მომავალი ჟურნალისტები, მწერლები, პოეტები, იურისტები და სხვ.
2. *ლოგიკური/მათემატიკური უნარები* - ლოგიკური, მათემატიკური აზროვნების უნარის მქონე მოსწავლეები ადვილად ადგენენ მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და აქვთ რიცხობრივი მოდელების წარმოსახვის უნარი. მათ მოსწონთ ექსპერიმენტებში მონაწილეობის მიღება, მათემატიკური თამაშები, კრიტიკული აზროვნება და გონებით ანგარიში. ესენი არიან მომავალი მათემატიკოსები, მეცნიერები, ბუღალტრები და პროგრამისტები.
3. *ვიზუალური/სივრცითი აღქმის უნარები* - ვიზუალური აღქმის მქონე მოსწავლეებს ეხმარებათ საგნების, სურათების დანახვა. მათ აქვთ რეალური გარემოს სხვადასხვა ასპექტების აღქმის, ტრანსფორმაციისა და რეკრეაციის უნარი. უყვართ შემოქმედებითი მუშაობა, წარმოსახვითი თამაშები, რუკები, ვიდეოები და ასევე - პრობლემების გადაჭრა. ეს მოსწავლეები არიან მომავალი არქიტექტორები, ფოტოგრაფები, მხატვრები, მფრინავები და მანქანათმშენებლები.
4. *მუსიკალური/რიტმული უნარები* - მუსიკალური/რიტმული ნიჭის მქონე მოსწავლეები ადვილად ითვისებენ ბგერის სიმაღლეს, მელოდიას, რიტმსა და ტონალობას. მათ მოსწონთ სიმღერების, მუსიკალური თამაშების, აუდიოჩანაწერებისა და მუსიკალური ინსტრუმენტების მოსმენა. ისინი მომავალი მუსიკოსები არიან.

5. *ინტერპერსონალური უნარები* - ინტერპერსონალური უნარების მქონე მოსწავლეები კარგად აღიქვამენ ადამიანებს შორის არსებულ განსხვავებებს. ისინი გამოირჩევიან ხალხზე ორიენტირებული დამოკიდებულებებით. მოსწონთ ინტერაქცია. ეხერხებათ თანამშრომლობით სწავლა, სიამოვნებით ერთვებიან როლურ თამაშებში, სიმულაციებში, ასევე კარგად გამოსდით სწავლება. ისინი არიან მომავალი პოლიტიკოსები, გაყიდვების აგენტები, მასწავლებლები.
6. *ინტრაპერსონალური უნარები* - ინტრაპერსონალური უნარების მქონე მოსწავლეებს ძალიან კარგად ესმით როგორც საკუთარი, ასევე სხვისი შეგრძნებები. მათ აქვთ უნარი, „შეიგრძნონ“ სხვა ადამიანების საჭიროებები და სურვილები. მოსწონთ ინდივიდუალური სწავლების მიდგომა, დამოუკიდებლად სწავლა და რეფლექტური სავარჯიშოები. ისინი არიან მომავალი ექიმები, კონსულტანტები, თეოლოგები და სოციალური მუშაკები.
7. *სხეულებრივ-კინესთეტიკური უნარები* - კინესთეტიკური უნარების მქონე მოსწავლეებს სხეულებრივი აღქმა სწავლის პროცესში ეხმარებათ. მოსწონთ ფიზიკური აქტივობები, დრამატურგია და საგნებით მანიპულაციია. ისინი არიან მომავალი სპორტსმენები, ხელოსნები, ფიზიკოსები და მექანიკოსები.
8. *ნატურალისტური უნარები* - საბუნებისმეტყველო უნარების მქონე მოსწავლეები კარგად ერკვევიან გარემო სივრცეში. მოსწონთ გარეთ მუშაობა, ბაღებში, ბოტანიკურ ბაღებში, ასევე ცხოველებთან და სხვ. ისინი არიან მომავალი მებაღეები, ბოტანიკოსები, ცხოველთა მოყვარულები და მეპატრონეები და ა.შ.

დაამუშავეთ ქვემოთ მოცემული ტესტი და შეუსაბამეთ ზემოთ განხილული უნარები თითოეულ მათგანს.

1. შემიძლია გამოვიყენო ორივე, როგორც ინდუქციური, ასევე დედუქციური მეთოდები პრობლემის გადასაჭრელად. მირჩევნია ინფორმაცია დავალაგო, დავადგინო მოვლენათა თანამიმდევრობა და განვსაზღვრო მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთკავშირი. მომწონს ისეთ პროექტებზე მუშაობა, რომლებიც არ მოითხოვს ძალიან ბევრი ესეს წერასა თუ სიტყვიერ პრეზენტაციებს. ----------
2. მომწონს, როდესაც ვმუშაობ ჯგუფთან ან მეწყვილესთან ერთად.----------
3. ყველაზე კარგად მხედველობით აღვიქვამ და ვსწავლობ. მომწონს ხელოვნებასთან დაკავშირებული პროექტები და კონსტრუქციების აგება.----------
4. კარგად აღვიქვამ ბგერებს და მირჩევნია საკუთარი შესაძლებლობები სიმღერების საშუალებით გამოვხატო.----------
5. მიყვარს, როცა დიდხანს ვფიქრობ. დრო მჭირდება, რათა დავფიქრდე და გავაცნობიერო, რასაც ვაკეთებ. მომწონს, როცა ხანდახან მარტო ვრჩები, ასევე მიყვარს ჟურნალებისათვის წერა.----------
6. მიყვარს პანტომიმა, შარადები და კონსტრუქციების აწყობა.----------
7. მიყვარს კამათი და მსჯელობა, საკუთარი აზრის დაფიქსირება. მიყვარს. როცა ვკითხულობ და ვასწავლი სხვებს.----------

8. მიყვარს მცენარეები და მაოცებს ბუნებრივი მოვლენები. სამი შინაური ცხოველი მყავს.----------

პასუხები: 1. ლოგიკურ-მათემატიკური, 2. ინტერპერსონალური, 3. სივრცითი /ვიზუალური, 4. მუსიკალურ-რითმული, 5. ინტერპერსონალური, 6. სხეულებრივი /კინესთეტიკური, 7. ვერბალურ-ლინგვისტური, 8. ნატურალისტური.

ქვემოთ მოცემული ამბავი მოგვითხრობს, თუ როგორ კარგად გამოსდით სხვადასხვა ნიჭისა და უნარის მქონე მოსწავლეებს ერთად მუშაობა.

სარა, ჯეისონი, ხოსე და რობერტი ერთობლივად მუშაობდნენ პროექტზე. სარა (ვერბალურ-ლინგვისტური უნარების მქონე) იყო ძალიან სერიოზული, ბეჯითი მკითხველი, რომელსაც ასევე უყვარდა წერა. ჯეისონი (ინტერპერსონალური უნარების მქონე) იყო ძალიან პოპულარული და იცოდა, როგორ დაემყარებინა წარმატებული ინტერაქცია სხვა მოსწავლეებთან. ჯეისონი ძალიან მოსწონდათ თანაკლასელებს. ხოსე (მუსიკალურ-რიტმული უნარების მქონე) იყო ძალიან არტისტული და უყვარდა მუსიკა. რობერტი (ლოგიკურ-მათეტიკური უნარების მქონე) იყო ძალიან ორგანიზებული და მოსწონდა რიცხვებით მანიპულირება. თითოეული ეს მოსწავლე ჯგუფში მუშაობდა საკუთარი უნარებისა და ცოდნის შესაბამისად. ჯგუფურ სამუშაოში თითოეულს საკუთარი წვლილი შეჰქონდა. რობერტმა დაგეგმა პროექტი და წარმოადგინა ზოგადი ხედვა და მიმართულება, ხოლო ჯეისონმა შეკრა და გაამთლიანა ჯგუფი სოციალურად და შემოიტანა დადებითი განწყობა. ხოსე მუშაობდა პროექტის გაფორმებაზე და მანვე შექმნა სიმღერა პროექტის პრეზენტაციისათვის. სარამ უდიდესი საქმე გააკეთა წერის თვალსაზრისით.

რის მოფიქრება შეგიძლიათ მოსწავლეთა მრავალმხრივი ნიჭისა და უნარების ინტეგრირებისათვის თქვენს გაკვეთილზე? როგორ გამოიყენებთ მიღებულ ცოდნას მრავალმხრივი უნარების შესახებ დიფერენცირებული სწავლების კუთხით? ახსენით და მოიყვანეთ მაგალითები თქვენი საკლასო მუშაობიდან.

რეფლექსია

განსხვავებული საჭიროებებისა და მოსწავლეთა მრავალფეროვნების გათვალისწინებით, რთული და საპასუხისმგებლოა დღევანდელ საკლასო გარემო პირობებში წარმატებული დიფერენცირებული სწავლება. უნდა გააცნობიეროთ, რომ დიფერენცირება უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ მოსწავლეებისათვის თქვენი დროის განაწილება. დიფერენცირებული სწავლება მოიცავს მოსწავლეებისათვის სწავლების მეთოდებისა და მიდგომების არჩევანის შეთავაზებას. რა არჩევანს შესთავაზებდით თქვენს მოსწავლეებს? როგორ შეძლებთ გაზარდოთ მოსწავლეთა ინტერესი იმ მეთოდის მიმართ, რომლითაც ფიქრობთ, რომ უკეთესად ისწავლიან? გაუზიარეთ თქვენი იდეები კოლეგებს.

იდეა მოსწავლეების შესახებ #11: ინკლუზია, როგორც გამოწვევა

ინკლუზიის ამოსავალი პრინციპი ეფუძნება არა კანონმდებლობას, რეგულაციებს ან სწავლების მეთოდიკას, არამედ ღირებულებებს: როგორი ხალხი ვართ და როგორი საზოგადოების ჩამოყალიბებას ვისურვებდით? როგორ ღირებულებებს ვცემთ პატივს?

— *ა. გართნერი და დ.კ. ლიპსკი.*

ინკლუზია წარმოადგენს შეხედულებების სისტემას. ეს არის საგანმანათლებლო გარემოს მართვის პროცესი, რომელიც გულისხმობს ყველა მოსწავლის მაღალი ხარისხის განათლებით უზრუნველყოფას (ალანი, 1999; ბარტონი, 1998; კაპერი, ფრატურა, & კეიესი, 2000; ჰაბერი, 2002; კოჩარი, ვესტი, & ტაიმანსი, 2000; მაკლესკი & ვალდრონი, 2001; ვოლფენდეილი, 2000). წარმატებულ მასწავლებლებს სწამთ, რომ ყველა ბავშვს შეუძლია ისწავლოს ერთად, ერთ სკოლასა და ერთ საკლასო გარემოში, თუ უზრუნველვყოფთ მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს. ამ შემთხვევაში მივაღწევთ წარმატებას. ინკლუზიური სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია, გვქონდეს მოსწავლეებისგან მაღალი მოლოდინები, გვჯეროდეს მათი პოტენციალისა და უზრუნველვყოფთ საჭირო სერვისით სასწავლო პროცესში მათი აბსოლუტური ჩართულობისათვის. არც ერთი მოსწავლე არ უნდა გრძნობდეს თავს დამცირებულად, ასევე, არც ერთ მოსწავლეს არ უნდა შეეპაროს ეჭვი საკუთარ შესაძლებლობებში და არ უნდა უგულებელყოს საკუთარი ინდივიდუალიზმი. უმჯობესია, სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებს ვასწავლოთ სპეციალური საჭიროებების არმქონე მოსწავლეებთან ერთად. სპეციალური კლასებისა და რეგულარული სასწავლო პროცესისგან სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩამოშორება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ ტიპის მოსწავლეების შესაძლებლობების ბუნება და უკიდურესობა არ გვაძლევს რეგულარულ საკლასო გარემოში, თუნდაც ხელშემწყობი ქმედებების შესაბამისად დამაკმაყოფილებელი წარმატების მიღწევის საშუალებას (ელიოტი& მაკკენი, 1998; მორსი, 2002).

მეთოდები, რომლებიც ინკლუზიური სწავლებისას გამოიყენება, ეფუძნება დემოკრატიულ აზროვნებასა და გაჯერებულია მომავლის იმედით. მსგავსი იმედისმომცემი შეხედულებები იკითხება ასევე ქლოსა და კურბეს (2000), ფრეირის (1974,1994), კოლის (1998), ასევე - მასედოსა (1994) და მაკლარენის (1994), ისევე, როგორც ოუქსისა და ლიპტონის (1999) ნაშრომებში. როგორც ინკლუზიური კლასის მასწავლებლისგან, თქვენგან მოელიან, შექმნათ ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა მოსწავლის შესაძლებლობები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისაც. კანონი სპეციალური

განათლების შესახებ (1975) და იგივე კანონი, რომელიც მოიცავს ასევე ცვლილებებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების განათლების შესახებ, ერთგვარი გამოწვევაა მასწავლებლებისათვის, მხარში ედგნენ ყველა მოსწავლეს, მიუხადავად მათი განსხვავებული საჭიროებებისა (კოხარი, წესტი,& ტაიმანსი, 2000). ამ ქვეთავში სწავლების რამდენიმე სტრატეგია გაგაცანით, რომელიც დაგეხმარებათ სასწავლო პროცესში (მაგ. დიფერენცირებული სწავლება). ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე რჩევა, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ ინკლუზიური სწავლებისას.

1. დარწმუნდით, რომ თქვენი მოსწავლეები უბრალოდ „კუნძებივით არ არიან“ კლასში, ყოველგვარი სპეციალური სერვისისა და მხარდაჭერის გარეშე, რომელიც სკოლის ადმინისტრაციამ თუ უბნის (სკოლის) სპეციალური განათლების ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს. ჰკითხეთ რჩევა დირექტორის მოადგილეს, მენტორ-მასწავლებელს, ან თქვენს კოლეგებს.
2. აგრძნობინეთ თითოეულ მოსწავლეს, რომ განსაკუთრებულია მათი ყოველდღიური აქტივობები. გამოფინეთ მათი ნამუშევრები კლასში ან სკოლის დერეფანში სპეციალურ დაფებზე.
3. ყურადღება გაამახვილეთ უფრო იმაზე, რისი გაკეთებაც შეუძლიათ მათ და არა იმაზე, რისი გაკეთებაც არ შეუძლიათ. მიეცით მოსწავლეებს საშუალება გამოავლინონ მათთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ნიჭი (მაგ. კარატე, მხატვრობა, სიმღერა, ფოკუსების ჩვენება).
4. წაახალისეთ და ხელი შეუწყვეთ ისეთ აქტივობებს, რომლებიც დაეხმარებათ როგორც სპეციალური საჭროებების მქონე, ასევე არმქონე მოსწავლეებს მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. მაგ. გამოიყენეთ თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიები(იხილეთ თავი 6).
5. ასწავლეთ მოსწავლეებს ყოველდღიურად, გაიაზრონ და მიიღონ ინდივიდებს შორის არსებული განსხვავებები.

მოგიყვებით ნამდვილ ამბავს, რომელიც ერთ ჩემს ახლობელ ადამიანს შეემთხვა. *სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეები - „სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ უბრალოდ არ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ თქვენი შვილის „სპეციფიკური“ სწავლების სტილი“.*

სარამ ლაპარაკი შედარებით ადრეულ ასაკში ისწავლა. ის დაბადებული იყო პროფესიონალი პედაგოგების ოჯახში, სადაც მისთვის შექმნილი იყო მდიდარი წიგნიერი გარემო. მიუხედავად მისი ადრეული განვითარებისა და ჩამოყალიბებისა, სარას სწავლის პირველ წლებში, 1-3 კლასებში, თავშეკავებული ურთიერთობა ჰქონდა თანაკლასელებთან. მე-5 კლასში პრობლემა ჰქონდა ინფორმაციის დამახსოვრებასთან დაკავშირებით და არ შეეძლო დაემახსოვრებინა ბევრი მეცნიერული ფაქტი ერთდროულად. სარას სახლში ყოველდღე ძალიან ბევრი საშინაო დავალება მოჰქონდა. დავალებებზე მუშაობის შემდეგ ყოველთვის იმედგაცრუებული იყო და ხშირად ტიროდა.

რაც უფრო მაღალ კლასში გადადიოდა, მით უფრო იზრდებოდა საკლასო სამუშაოს მოცულობა, შესაბამისად, იზრდებოდა მისი იმედგაცრუების დონეც. სარამ სთხოვა მშობლებს, გადაეყვანათ სხვა სკოლაში. „მძულს ჩემი სკოლა, ბავშვები დამცინიან და „ჩერჩეტს“ მეძახიან“. მიუხედავად მშობლების მიერ დაქირავებული სპეციალური მასწავლებლის დახმარებისა, სარას განათლებისა და სოციალიზაციის პრობლემები კვლავ გრძელდებოდა. ერთხელ, მასწავლებლებისა და მშობლების შეხვედრაზე, სარას მშობლებმა განაცხადეს, რომ „სარა ძალიან ცდილობს, მაგრამ მაინც რატომღაც არ გამოსდის“. სკოლის დირექტორთან გამართული ეს შეხვედრა მათ აღარასოდეს დავიწყებიათ. სარას კარგ ყოფაქცევასა და ხასიათის საუკეთესო თვისებებზე საუბრის შემდეგ დირექტორმა უთხრა მშობლებს, რომ სარასთვის სხვა სკოლის მოძებნა შესაძლოა საუკეთესო გამოსავალი ყოფილიყო. „სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ უბრალოდ არ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ თქვენი შვილის „სპეციფიკური“ სწავლების სტილი“. დირექტორის უტაქტობისა და მისი პედაგოგური მიდგომებისა და სწავლების თეორიების უცოდინრობის გამო შოკირებულმა მშობლებმა თავიანთი საყვარელი შვილი კერძო სკოლაში მიიყვანეს, რომელიც უზრუნველყოფილი იყო სხვადასხვა დამხმარე რესურსებით აღჭურვილი ოთახებით, ასევე, ინკლუზიური კლასების ფართო არჩევანით.

ბევრი სკოლა ვერ აცნობიერებს, რომ ბავშვები ერთმანეთისაგან განსხვავებულად სწავლობენ, ხოლო თუ ისინი ამას ხვდებიან, მაინც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პედაგოგიკური მიდგომებისა და სტრატეგიების მორგებას მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებზე. პედაგოგიკასა და სასწავლო გეგმაში არსებული „ყველას ერთ ქვაბში მოხარშვის“ მიდგომა მტკიცედ ფესვგადგმულია ბევრი პედაგოგისა და მასწავლებლის გონებასა და ქმედებებში. ამ დრომდე მასწავლებლები არ იყვნენ მომზადებულები, ესწავლებინათ მრავალფეროვან საკლასო გარემოში, განსხვავებული სწავლის სტილის მქონე მოსწავლეებთან. კვლევა ასევე აჩვენებს, რომ უმეტესად, განსაკუთრებით სწავლების საშუალო და მაღალ საფეხურებზე გამოიყენება „ტრადიციული სწავლების მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სავალდებულო კითხვა, სპორტული აღზრდა და დამოუკიდებელი მუშაობა“ (ლაურია, 2005, გვ. 68). ბევრი მოსწავლე იზრდება ტრადიციულ საკლასო გარემოში, თუმცა ზოგ შემთხვევაში ასე არაა (იხილეთ დანი და სხვ., 1990). ხანგრძლივმა კვლევამ აჩვენა, რომ ცუდი აკადემიური მოსწრება ხშირად არის მასწავლებელის უუნარობის შედეგი, შეუთავსოს სწავლების მეთოდები მოსწავლეთა აღქმის სტილს (დანი და დებელო, 1999). მოსწავლეების, რომელთა აღქმის სტილი შეესაბამება მასწავლებლების გამოყენებულ სასწავლო მიდგომებს, ხშირად განხილვის საკითხად არ რჩება.

რეფლექსია

რა რეაქცია გქონდათ სარას ამბის წაკითხვის შემდეგ? რას გააკეთებდით მისთვის, თქვენი მოსწავლე რომ ყოფილიყო?

_____

_____

_____

_____

_____

_____

შეაფასეთ თქვენი განწყობა ინკლუზიასთან დაკავშირებით:

ინკლუზიურ განათლებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ყველა მოსწავლე მოიაზრება, როგორც უმრავლესობა და კლასის მასწავლებელი მათ ზოგად განათლებაზე იღებს პახუსისმგებლობას. ინკლუზიური განათლების შემთხვევაში მათ დამხარებას უწევენ სპეციალური მასწავლებლები.

შენიშვნა: მადლიერი ვიქნები, თუ ქვემოთ მოცემული თვითშეფასების ტესტის პასუხებს გამომიგზავნით ელ-ფოსტით, ვინაიდან ვმუშაობ ინკლუზიური განათლების შესახებ კვლევაზე. მადლობას გიხდით (glanz@yu.edu), ან დაუკავშირდით გამომცემლობა Corwin-ს (საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ წიგნის ყდის შიდა მხარეს).

უმეტესად ვასწავლი --------კერძო სკოლაში, --------საჯარო სკოლაში.

კლასი, რომელსაც ვასწავლი: ---------

უმეტესად ვარ-------ზოგადი განათლების მასწავლებელი--------სპეციალური განათლების მასწავლებელი.

მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა კლასში, რომელსაც ვასწავლი--------.

მოსწავლეთა რაოდენობა ჩემს სკოლაში-------.

თუ ამჟამად არ ასწავლით, რომელ კლასს ასწავლიდით უმეტესად:--------.

სქესი: -------მდედრობითი -------მამრობითი.

ასაკი: -----21-30 ------31-40-----40+

სწავლების გამოცდილება: -------ერთ წელზე ნაკლები-------1-4 წელი--------5-9 წელი-------10-14 წელი----------14+

მე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის მშობელი ვარ ------დიახ-------არა.

მყავს მეგობარი ან ნათესავი, რომელსაც გააჩნია რომელიმე ტიპის შეზღუდული შესაძლებლობა------დიახ------არა.

ვასწავლი ან ვასწავლიდი ინკლუზიურ კლასს-----დიახ------არა

1-დან 10-მდე შეფასების სკალაზე, სადაც 10 ნიშნავს ინკლუზიური განათლების ექსპერტს, საკუთარ თავს შევაფასებდი ქულით:----------
უნარშეზღუდულობის ჩემეული განსაზღვრება:----------

შემოხაზე ერთი ან ყველა კატეგორია ან ტიპი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისა, რომლებიც არიან თქვენს კლასში, ან სკოლაში:
ემოციური ფიზიკური სასწავლო მხედველობითი სმენითი
სხვა (გთხოვთ, დააკონკრეტოთ)----------

შეარჩიეთ პასუხი(ები), რომელიც უკეთ ასახავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების განაწილების სტრატეგიას თქვენს კლასში:
---------ამისათვის არ გამოიყენება რაიმე სისტემური პროცედურა----------სასწავლო დღის უმეტეს ნაწილს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები ატარებენ განცალკავებით რესურს ოთახში----------მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში--------- სკოლაში ვასწავლით ინკლუზიური განათლების მოდელით (ჰეტეროგენური დაჯგუფებები)----------სხვა (გთხოვთ, აღწერეთ).

შემოხაზეთ სათანადო ციფრი იმის შესაბამისად, რამდენად ეთანხმებით, ან არ ეთანხებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს.

აბსოლუტურად ვეთანხმები=6
ვეთანხმები=5
ნაწილობრივ ვეთანხმები=4
ნაწილობრივ არ ვეთანხმები=3
არ ვეთანხმები=2
აბსოლუტურად არ ვეთანხმები=1

კარგად ვიცნობ ინკლუზიურ განათლებას.	6	5	4	3	2	1
უმჯობესია, მოსწავლეთა წარმატება შეფასდეს მისი საკლასო აქტივობების გათვალისწინებით, ვიდრე სტანდარტიზებული ტესტების საშულებით.	6	5	4	3	2	1
სასწავლო პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნას სასწავლო სტილის ცვლილებები იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც გარკვეული სახის დახმარება სჭირდებათ.	6	5	4	3	2	1
ჩემი სკოლა ყველა მოსწავლის საჭიროებების	6	5	4	3	2	1

გათვალისწინებით, სპეციალური განათლების ფართო სპექტრს უზრუნველყოფს.						
ზოგადად, მსუბუქი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ინკლუზია რეგულარულ საკლასო გარემოში ეფექტური სტრატეგიაა.	6	5	4	3	2	1
სასწავლო პროცესში ვრთავ ჩემს კლასში მყოფ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს.	6	5	4	3	2	1
მნიშვნელოვანია, ყველა მოსწავლისაგან გვქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრების მოლოდინი.	6	5	4	3	2	1
უმჯობესია შემცირდეს მოსწავლეთა საერთო რაოდენობა, როდესაც კლასში სწავლობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები.	6	5	4	3	2	1
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ინკლუზია რეგულარულ საკლასო გარემოში შესაძლოა სასარგებლო იყოს სხვა დანარჩენი მოსწავლეებისათვის.	6	5	4	3	2	1
ჩემი ხელმძღვანელის (ხელმძღვანელების) დახმარებით, შემიძლია ინკლუზიურ კლასში მოვსინჯო ახალი იდეები და დავნერგო სწავლების კრეატიული სტრატეგიები.	6	5	4	3	2	1
მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობებისა, ზოგადი განათლების საფეხურზე ყველა მოსწავლეს სჭირდება გარკვეული ხელშეწყობა.	6	5	4	3	2	1
მნიშვნელოვანია, რომ ყოფაქცევასთან დაკავშირებული მოლოდინები ყველა მოსწავლისათვის საერთო იყოს.	6	5	4	3	2	1
ჩემს სკოლაში მასწავლებლები სრულებით უჭერენ მხარს ინკლუზიურ განათლებას.	6	5	4	3	2	1
რესურსების ოთახში ჩანაცვლებითი პროგრამების გამოყენება საუკეთესო გზაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა დასახმარებლად.	6	5	4	3	2	1
ზოგადი განათლების მასწავლებლებმა დროის დიდი ნაწილი სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მუშაობას უნდა დაუთმონ.	6	5	4	3	2	1
მოსწავლეები ისე უნდა დავაჯგუფოთ, რომ თითოეულ კლასში იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ფართო სპექტრი.	6	5	4	3	2	1
სიამოვნებით მივიღებდი ჩემს კლასში მოსწავლეს, რომელსაც არ აქვს ხელები.	6	5	4	3	2	1
მოსწავლეებს, რომლებიც შედარებით გვიან ითვისებენ სასწავლო მასალას, ზოგადი განათლებით გათვალისწინებული საჭიროებების გარდა, ესაჭიროებათ	6	5	4	3	2	1

სპეციალური დახმარება და ხელშეწყობა.						
ჩემი სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და არსებული შემოთავაზება აკმაყოფილებს ჩემი პროფესიული ზრდის საჭიროებებს.	6	5	4	3	2	1
ინკლუზიურმა მიდგომამ ზოგადი განათლების საფეხურზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა საგანამნათლებლო პროგრესზე.	6	5	4	3	2	1
შეზღუდული საგანმანათლებლო უნარების მქონე მოსწავლეების არსებობა ზოგად საგანმანათლებლო სკოლის საკლასო გარემოში შესაძლოა საზიანო იყოს შეზღუდული უნარების არ მქონე სხვა მოსწავლეებისათვის.	6	5	4	3	2	1
მე, რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებდი სხვა მასწავლებლებთან და მათთან ერთად ვასწავლიდი ინკლუზიურ კლასში.	6	5	4	3	2	1
სიამოვნებით მივიღებ ჩემს კლასში შეზღუდული უნარების მძიმე ფორმის მქონე მოსწავლეებს, იმ პირობით, თუ საჭიროების შემთხვევაში სპეციალური მასწავლებლების დახმარება ხელმისაწვდომი იქნება.	6	5	4	3	2	1
სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელი სათანადოდ არ თანამშრომლობს ჩვენთან და არ გამოირჩევა დახმარების დიდი სურვილით ინკლუზიური პრაქტიკის შემთხვევაში.	6	5	4	3	2	1
მაქვს პროფესიული მზაობა, ვასწავლო ინკლუზიურ კლასს.	6	5	4	3	2	1
სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას დამატებითი პროფესიული განვითარების პროგრამაში, შეზღუდული შესაძლებლობების მოსწავლეთა უფრო მეტი ხელშეწყობისა და უკეთესი პირობებით უზრუნველყოფის მიზნით.	6	5	4	3	2	1
ვიცნობ დიფერენცირებული სწავლების მოდელს და შემწევს ძალა, ვასწავლო აღნიშნული მეთოდით.	6	5	4	3	2	1
შეზღუდული უნარების მქონე მოსწავლეთა მშობლები, როგორც წესი, მხარს უჭერენ ინკლუზიურ სწავლებას.	6	5	4	3	2	1
შეზღუდული უნარების არმქონე მოსწავლეთა მშობლებიც მხარს უჭერენ ინკლუზიურ სწავლებას.	6	5	4	3	2	1
სკოლის ადმინისტრაციაც, როგორც წესი, გამოხატავს მხარდაჭერას ინკლუზიური სწავლების მიმართ.	6	5	4	3	2	1
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს მოსწონთ ინკლუზიური სწავლება.	6	5	4	3	2	1
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების არმქონე	6	5	4	3	2	1

მოსწავლეები მძიმე ან მსუბუქი გონებრივი შეზღუდვის მქონე მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართულების საკითხს არ ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას.						
მასწავლებლები, ძირითადად, ეწინააღმდეგებიან ინკლუზიურ სწავლებას.	6	5	4	3	2	1
თუ გავითვალისწინებთ ჩემი სკოლის ხედვასა და მისიას, ინკლუზიური განათლება აქ სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილი ვერასოდეს გახდება.	6	5	4	3	2	1
მასწავლებელთა უმეტესობას არ აქვს გამოცდილება და ცოდნა, ასწავლოს განსხვავებული აღქმის მქონე მოსწავლეებს.	6	5	4	3	2	1
ინკლუზია არც ისე სამართლიანია ზოგადი განათლების მოსწავლეებისათვის.	6	5	4	3	2	1
მიუხედავად იმისა, რომ ვალდებული ვარ, დავიცვა სოციალური თანასწორობა და ვზრუნავ ყველა ჩემს მოსწავლეზე, ვფიქრობ, რომ ჩემს კლასში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა მიღება არაგონივრული იქნებოდა.	6	5	4	3	2	1
შეზღუდული შესძლებლობების მოქნე მოსწავლეთა გამორჩევა და გამოყოფა, განურჩევლად შეზღუდულობის ტიპისა, არაეთიკურია.	6	5	4	3	2	1
შეზღუდული გონებრივი უნარების მქონე მოსწავლეებს სწავლა შეუძლიათ, თუ მათი საჭიროებები გათვალისწინებულია ზოგადი განათლების საკლასო გარემოში.	6	5	4	3	2	1
სიამოვნებით მივიღებ შეზღუდული სმენითი უნარების მქონე მოსწავლეს ჩემს კლასში და ვეცდები, გავითვალისწინო მისი საჭიროებები სასწავლო პროცესში.	6	5	4	3	2	1
საკლასო ოთახში ბავშვის ჩართვის პრინციპი უგულვებელყოფს ბავშვის შესაძლებლობას, მიიღოს ინდივიდუალური განათლება.	6	5	4	3	2	1
ყველაზე მეტად სასარგებლოა დაბალანსებული „ჩართვისა“ და „გამოთიშვის“ სერვისები დაბალი საფეხურის სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან.	6	5	4	3	2	1
შეზღუდული გონებრივი უნარების მსუბუქი მდგომარეობის მქონე მოსწავლეები უნდა სწავლობდნენ შეზღუდული გონებრივი უნარების არმქონე მოსწავლეებთან ერთად.	6	5	4	3	2	1
შეზღუდული გონებრივი უნარების მძიმე მდგომარეობის	6	5	4	3	2	1

მქონე მოსწავლეები უნდა სწავლობდნენ შეზღუდული გონებრივი უნარების არმქონე მოსწავლეებთან ერთად.						
ნიჭიერი ბავშვები უნდა სწავლობდნენ არცთუ ნიჭიერ ბავშვებთან ერთად ერთ საკლასო გარემოში.	6	5	4	3	2	1
ზოგადი განათლების მასწავლებელმა სასწავლო პროცესი უნდა მოარგოს მოსწავლეთა შესაძლებლობებს და საჭიროების შემთხვევაში იზრუნოს მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე.	6	5	4	3	2	1
მოსწავლეები, რომელთაც აქვთ შეზღუდული გონებრივი უნარები, არ უნდა სწავლობდნენ შეზღუდული გონებრივი უნარების არ მქონე მოსწავლეებთან ერთად.	6	5	4	3	2	1
ჩემს შვილსაც აქვს გარკვეული შეზღუდული შესაძლებლობები.	6	5	4	3	2	1
მჯერა ინკლუზიის ეფექტურობის და ვისურვებდი, მესწავლებინა ინკლუზიურ კლასში.	6	5	4	3	2	1
მჯერა ინკლუზიის ეფექტურობის, მაგრამ მისი განხორციელება არარეალისტური მგონია ებრაული დღის სკოლებსა და იეშივას სკოლებში.	6	5	4	3	2	1
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის საუკეთესო მხარდაჭერა და პირობები სპეციალიზირებულ, განცალკავებულ კლასებშია.	6	5	4	3	2	1
ჩვეულებრივ საკლასო გარემოში სწავლა იქნება გარკვეული გამოწვევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის და ეს უბიძგებს მათ, მიაღწიონ წარმატებას.	6	5	4	3	2	1
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის შეყვანა ჩვეულებრივ კლასში შეაფერხებს ზოგადი განათლების მოსწავლის აკადემიურ წინსვლას.	6	5	4	3	2	1
ინკლუზია გვთავაზობს შერეულ ჯგუფურ ინტერაქციას, რომელიც ხელს შეუწყობს განსხვავებულობის გაცნობასა და აღიარებას.	6	5	4	3	2	1
სავარაუდოდ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის აკადემიური უნარები უფრო სწრაფად განვითარდება სპეციალიზირებულ საკლასო გარემოში, ვიდრე ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებლო კლასში.	6	5	4	3	2	1
შეზღუდული უნარების მქონე მოსწავლეთა ჩართულობა აამაღლებს მათი სოციალური დამოუკიდებლობის ხარისხს.	6	5	4	3	2	1
ინკლუზიამ შესაძლოა ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს	6	5	4	3	2	1

სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვის ემოციურ განვითარებაზე.						
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ ყველა შესაძლებლობა საკლასო აქტივობებში ჩასართავად, რამდენადაც ეს შესაძლებლელია.	6	5	4	3	2	1
მხარს ვუჭერ აბსოლუტურ ინკლუზიას.	6	5	4	3	2	1
აბსოლუტური ინკლუზიის წინააღმდეგი ვარ.	6	5	4	3	2	1
მე მხარს ვუჭერ ინტეგრაციას.	6	5	4	3	2	1
მათი ინტეგრირების წინააღმდეგი ვარ.	6	5	4	3	2	1

დასკვნა

თქვენი მოსწავლეები განსაკუთრებული, უნიკალური პიროვნებები არიან, რომლებიც იმსახურებენ საგანგებო ყურადღებას. დარწმუნებული ვარ, იაზრებთ იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რომლის წინაშეც ყოველდღიურად დგახართ. ეცადო, გაეცნო ყოველი მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებას - ხანდახან გამანადგურებლად რთულად გეჩვენებათ, თუმცა, ესეც შესაძლებელია. არ იყოყმანოთ, რჩევისათვის მიმართოთ სპეციალისტს ან მშობელს. რაც უფრო მეტი ინფორმაცია გექნებათ მოსწავლის შესახებ, მით უფრო მეტად გაეცნობით მის საგანმანათლებლო საჭიროებებს. ხელი არ ჩაიქნიოთ! ხანდახან შესაძლოა ვერც დაინახოთ განსაკუთრებული წინსვლა, ან შესაძლოა მადლობაც კი არ გადაგიხადონ თქვენი ასეთი ძალისხმევისთვის. იყავით შეუპოვარი! თქვენ ხართ პროფესიონალი, რომელმაც კარგად იცის თავისი უმთავრესი მოვალეობა, აგრძნობინოს თითოეულ მოსწავლეს თავი ღირსეულად და განსაკუთრებულად. ამასობაში, თქვენ ისევ შექმნით ახალ მეთოდებს, რათა ხელი შეუწყოთ თოთოეული მოსწავლის საჭიროებებს. მოიტოვეთ დრო მოსწავლეებთან ურთიერთობისათვის და ისიამოვნეთ ამით. ისინი ამას იმსახურებენ.

კითხვები / აქტივობები

1. თითოეულ ჩვენგანს ჰქონია საგანმანათლებლო გამოწვევების გამოცდილება. აღწერეთ ის სირთულეები, რომლებიც გაქვთ ან გქონიათ სწავლასთან დაკავშირებით. როგორ გამოიყენებთ ამ წიგნიდან მიღებულ ცოდნას იმ მოსწავლეებთან ურთიერთობისას, რომელთაც სწავლისას სირთულეები ექმნებათ?
2. რას მოიმოქმედებდით, თუ შეიტყობდით, რომ ერთ-ერთ თქვენ მოსწავლეს ყურადღების კონცენტრირების პრობლემა აქვს (მაგ. მოსწავლე, რომელიც კლასში ყოველთვის მოუსვენარია)?
3. როგორ შეუწყობდით ხელს ინკლუზიასა და დიფერენცირებულ სწავლებას თქვენს კლასში?
4. გააკეთეთ ჩანაწერი თითოეული თქვენი მოსწავლის შესახებ.მიუთითეთ თითოეული მოსწავლის ერთი ძლიერი და ერთიც სუსტი მხარე, რომელიც მათ სწავლის პროცესში აქვთ. დაასახელეთ, რომელი ახალი მიდგომა ისწავლეთ წიგნის ამ თავში, რომელიც დაგეხმარებათ მათთან მუშაობის პროცესში?
5. დაწერეთ ესე სათაურით „ვინ არიან ჩემი მოსწავლეები?“ წააკითხეთ თქვენი ესე კოლეგას. სთხოვეთ, წაკითხულიდან გამომდინარე დაახასიათოს თქვენი კლასი. კიდევ რა დამატებითი ინფორმაცია შეიძლება დასჭირდეს კოლეგას თქვენი კლასის დასახასიათებლად?

აქტივობა #4

Google-ში, ან სხვა, თქვენთვის სასურველ საძიებო პროგრამაში, ჩაწერეთ სიტყვა *გაკვეთილის გეგმები.* ძალიან ბევრ მასალას იპოვით. ჩამოტვირთეთ მოძიებული მასალა და გაუზიარეთ კოლეგას. აღწერეთ რომელიმე სასარგებლო მასალა, რომელიც მოიძიეთ.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

თავი 4

როგორ მოვამზადო გაკვეთილის გეგმა

კითხვები:

1. რატომ არის გაკვეთილის დაგეგმვა ასეთი მნიშვნელოვანი?
2. რატომ უნდა დაგეგმოს გაკვეთილი გამოცდილმა მასწავლებელმაც?
3. რომელია გაკვეთილის უმნიშვნელოვანესი ნაწილი?
4. საშინაო დავალების მიცემა სადაო თემაა. ზოგიერთი სპეციალისტი მოსწავლეებისათვის საშინაო დავალების მიცემის მომხრეა, ზოგი კი - მოწინააღმდეგე. როგორია თქვენი პოზიცია ამასთან დაკავშირებით?
5. ჭეშმარიტია თუ მცდარი: დაგეგმვა ხდება გაკვეთილამდე, საგაკვეთილო პერიოდში და გაკვეთილის შემდეგაც.

იდეა გაკვეთილის გეგმისთვის #1:
რა არის გაკვეთილის გეგმა?

გაკვეთილის დაგეგმვა - ეს ტერმინი ბევრ განსხვავებულ კონოტაციას გვთავაზობს. ძალიან ბევრი მასწავლებელი გეტყვით, რომ ის აუცილებელი, მაგრამ უსიამოვნო და რუტინული სამუშაოა. ზოგი გაკვეთილის გეგმას ახასიათებს, როგორც გაკვეთილის მონახაზს, ან დამხმარე მეგზურსაც კი. მნიშვნელობა არ აქვს, სავალდებულოა თუ არა, ვრცლადაა დაწერილი თუ მოკლედ, გაკვეთილის გეგმა ყველა მასწავლებლის საკვირაო დავალების ნაწილს წარმოადგენს. გეგმის გარეშე გაკვეთილი გადაიქცევა აქტივობების უწესრიგო მოცემულობად, სადაც ნაკლები ადგილი იქნება რიტმულობისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისთვის.

როგორც წესი, გაკვეთილის დაგეგმვა მასწავლებლის მიერ წერილობით შესრულებულ სქემასთან ასოცირდება. რეალურად კი ის ორ აქტივობას მოიცავს.

1. გონებრივი დაგეგმვა
2. გეგმის რვეულის წარმოება

გონებრივი დაგეგმვისას, მასწავლებლები განიხილავენ მოსალოდნელ კითხვებს, რეფლექსიას ახდენენ თემის გარშემო და წარმოიდგენენ, რა შეიძლება მოხდეს მომდევნო გაკვეთილზე. გონებრივი დაგეგმვა მნიშვნელოვანი და ლეგიტიმური ნაწილია წერილობითი გაკვეთილის გეგმისა. ის ეყრდნობა სხადასხვა წყაროს: წიგნებს, უნარებსა და ბიბლიოთეკის მასალებს. ეს პროცესი არ განსხვავდება იმ ათლეტის გონებრივი მომზადებისგან, რომელიც სროლისთვის მისი ცხადად წარმოდგენის გზით ემზადება. ასევე თქვენც ცხადად უნდა წარმოიდგინოთ, თუ რა მიზანს მიაღწევს თქვენი გაკვეთილი, რა გსურთ, რომ მოსწავლეებმა გაიგონ გაკვეთილის ბოლოს და რას გააკეთებთ ამოცანების მიღწევისათვის.

გეგმის რვეული არის შემცირებული მონახაზი იმისა, თუ რა უნდა გააკეთოს საკლასო ოთახში მასწავლებელმა, გონებრივი დაგეგმვის საფუძველზე. დაწერილი გეგმა გვეხმარება იმ თემების, კონცეპტების, უნარებისა და აქტივობების შესახსენებლად, რომელთა გამოყენებასაც მასწავლებელი გეგმავს. არსებითად, ეს არის მასწავლებლის საგზაო რუკა. სხვადასხვა სკოლა სხვადასხვაგვარ გეგმის რვეულებსა და გეგმებს მოითხოვს. წიგნის ეს თავი ხაზგასმულად წარმოაჩენს გაკვეთილის მთავარ ნაწილებს.

გაკვეთილის გეგმა ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც ის შეძენილი უნარების ურთიერთდაკავშირებისკენაა მიმართული. უმეტესობა ეთანხმება იმ აზრს, რომ სკოლა უნდა აძლევდეს ბავშვებს შესაძლებლობას, დაამყარონ კავშირები, იფიქრონ და გაიღრმაონ ცოდნა. მცდარია დავასკვნათ, რომ მხოლოდ იმიტომ, რომ მოსწავლეებმა სხვადასხვა უნარი შეიძინეს, ავტომატურად ეცოდინებათ, როგორ გამოიყენონ ისინი ურთიერთკავშირში. ასევე, მცდარია მივიჩნიოთ, რომ სასწავლო ტექსტები გვეხმარებიან კავშირების დამყარებაში. ზოგიერთი წიგნი მხოლოდ მცირე საქმეს აკეთებს ამ კუთხით. ასე რომ, მასწავლებლის პასუხისმგებლობაა, ისეთი გაკვეთილები ჩაატაროს, რომლებიც განავითარებს აზროვნებას და დააკავშირებს უნარებს. მაგალითად, მასწავლებლებს შეუძლიათ ჩაატარონ კითხვის გაკვეთილები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება ისწავლონ, რომ გამოთქმა, კონტექსტი და ბგერითი გასაღებები - ყველა ერთად შეიძლება გამოვიყენოთ დაწერილი სიტყვის ინტერპრეტირებისთვის. ისეთი საგნები, როგორიცაა მეცნიერება, კითხვა და სოციალური მეცნიერებები - ინტეგრირებულად შეიძლება ვასწავლოთ. მაგალითად, კოლუმბის შესახებ ისტორია შეიძლება დაუკავშირდეს რუკის წაკითხვის უნარებს, რომლებიც სოციალურ მეცნიერებებში ისწავლება. მოსწავლეები უნდა წავახალისოთ, დაინახონ კავშირები სხვადასხვა გაკვეთილს, საგანს, შიდა სასკოლო და სკოლის გარეთა ცხოვრებას შორის.

ერთ-ერთი კარგი სტრატეგიაა გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების დასახვა. გრძელვადიანი მიზნები (ყოველთვიური, კვარტალური და წლიური) მასწავლებლებს დაეხმარებათ, შეინარჩუნონ საერთო ხედვა და გაიადვილონ ყოველდღიური სწავლების პროცესი.

ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლის გადაწყვეტილება მოკლევადიანი ამოცანების დასახვისას. ზოგიერთი საგნის, როგორიცაა, მაგალითად, კითხვა ან მათემატიკა, ამოცანები და ყოველდღიური გეგმები, დიდწილად დამოკიდებულია წიგნებზე. წიგნები ყოველთვის არ წარმოადგენენ ეფექტური სწავლების საფუძველს. ასევე, წიგნებში მოცემული მასალა უნდა გადახალისდეს და მოერგოს კლასის ინდივიდუალურ საჭიროებებს. მასწავლებლებმა უნდა შეიტანონ ცვლილებები წიგნებში შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- იციან თუ არა უკვე მოსწავლეებმა ეს მასალა? საჭიროა თუ არა გამეორება?
- საკმარისია თუ არა მოცემული დრო აქტივობისათვის?
- რას შემიძლია დავუკავშირო მოსწავლეების ცოდნა?
- შემიძლია თუ არა გარკვეული აქტივობის ფარგლებში ბავშვების ერთ ჯგუფს მივცე დამოუკიდებელი სამუშაო, მაშინ, როდესაც მეორე ჯგუფთან ვმუშაობ?

როდესაც განვსაზღვრავთ ამოცანებს და ვწერთ გაკვეთილის გეგმას, მხედველობაში უნდა მივიღოთ მოსწავლეთა სწავლის სტილი. ზოგიერთი ბავშვი ჩქარია, ზოგიც - ნელი; ზოგის მოტივირება ადვილია, ზოგისა კი - შედარებით რთული; ზოგს დიდ ჯგუფში მუშაობა ურჩევნია, ზოგსაც - მცირე ჯგუფში; ზოგს წერითი დავალებები ურჩევნია, ზოგსაც - ზეპირი. სწავლების ამ მახასიათებლების გათვალისწინებით, შეგიძლიათ შექმნათ სხვადასხვა კლასისათვის შესაფერისი სტრატეგიები.

კარგი ჩვევაა შეფასების მეთოდის გამოყენება. ტესტირების მთავარი მიზანია მოსწავლეების ცოდნის განსაზღვრა და არა შესაბამისი ქულების დაწერა. ნებისმიერი გაკვეთილის პროდუქტიულობისთვის თქვენ უნდა უზრუნველყოთ უკუკავშირი, რამდენად კარგად მიაღწიეთ მიზნებს. სასარგებლო უკუკავშირის მისაღებად, გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანი დრო უნდა დაუთმოთ შეფასების კრიტერიუმების შერჩევას.

ეფექტური ყოველდღიური გეგმა შემდეგ პუნქტებს მოიცავს:

- შეაფასეთ სხვადასხვა აქტივობისთვის განკუთვნილი დრო; დაგეგმეთ მაქსიმალურად (მოსწავლეებს პრობლემები მაშინ ექმნებათ, როდესაც ბევრი თავისუფალი დრო აქვთ); რეზერვში იქონიეთ დამატებითი აქტივობები იმ შემთხვევებისთვის, როცა რეგულარული გაკვეთილები დროზე ადრე სრულდება;
- იდეის გაჩენისთანავე ჩაინიშნეთ ნებისმიერი თქვენთვის მოსაწონი ცვლილება, რისი გაკეთებაც მომავალში გსურთ;
- შეამოწმეთ დასრულებული სამუშაო;
- იყავით მოქნილი (თქვენ, როგორც მასწავლებელმა, ყველაზე კარგად იცით, თუ როგორ მოარგოთ გაკვეთილის გეგმა მოსწავლეთა შეფასებას. ხანდახან საჭიროა ტემპი შეანელოთ და ახსნათ კიდევ უფრო მეტი, სანამ ახალი ამოცანების შესრულებას შეუდგებით).

გაკვეთილის გეგმის ფორმატი იმდენად მნიშვნელოვანი არაა, რამდენადაც გეგმის შემუშავების პროცესი. გამოიყენეთ თქვენთვის მოსახერხებელი ნებისმიერი ფორმატი, მთავარია იყოს მარტივი და ნათელი (რა თქმა უნდა, თუ ფორმატის შესახებ განსაკუთრებული მოთხოვნა არ არსებობს). როგორც ზემოთ მოყვანილ პუნქტებში იყო აღწერილი, გაითვალისწინეთ შემდეგი პროცესი გაკვეთილის გეგმაზე მუშაობისას:

1. პირველ რიგში, გააანალიზეთ მოსწავლეთა სასწავლო სტილი;
2. დაისახეთ გრძელვადიანი მიზნები (შესაძლოა თვიური, კვარტალური ან წლიური). აღნიშნული გრძელვადიანი მიზნები უნდა განსაზღვრავდნენ თქვენს ყოველდღიურ გაკვეთილის გეგმებს.
3. განსაზღვრეთ ამოცანები.
4. ამოცანების დასმის შემდეგ აირჩიეთ ან შეადგინეთ აქტივობებისა და მასალის ჩამონათვალი.
5. გაითვალისწინეთ მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომლითაც გაიგებთ, თუ რამდენად ეფექტურად აითვისეს მოსწავლეებმა ახსნილი მასალა.
6. სწავლების შემდეგ შეაფასეთ აქტივობები ან საჭიროების შემთხვევაში გაიმეორეთ მასალა.

მნიშვნელობა არ აქვს, თქვენი გეგმა დეტალურია თუ ზოგადი, ის მნიშვნელოვანია. ის გეხმარებათ, დაალაგოთ თქვენი იდეები, დასახოთ ამოცანები, გადაანაწილოთ მასალა და მზად იყოთ გაკვეთილისთვის. ჯეროვანი დაგეგმვისას თქვენი სწავლება უფრო ეფექტური გახდება.

იდეები გაკვეთილის გეგმისთვის #2: წარმატებული გაკვეთილის მნიშვნელოვანი კრიტერიუმები და კომპონენტები

მიზნები და ამოცანები:

1. მოსწავლეების დონისთვის შესაბამისი და მნიშვნელოვანი;
2. მოსწავლეებისაგან მიღებული;
3. პერსონალურად დასმული კითხვები;
4. ზუსტი და გამომხატველი;
5. მიღწეული და გააზრებული;
6. დაფასა და მოსწავლის რვეულში დაწერილი;
7. სხვადასხვაგვარად გამოყენებული ბლუმის ტაქსონომია (იხ. ამავე პარაგრაფში).

ჩამოაყალიბეთ თქვენი მიზნები ახალი გაკვეთილის სწავლებისას. იმ მასალის გადახედვისას, რომელის ახსნასაც აპირებთ, აუცილებლად უნდა დასვათ შეკითხვა: „რა მინდა, რომ მოსწავლეებმა მიიღონ გაკვეთილიდან ისეთი, რაც მნიშვნელოვანი და საყურადღებო იქნება?“. გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებთ, გაკვეთილის ხერხემალი იქნება. ნება მიეცით მოსწავლეს, თავად დასახოს მიზანი და არ იყოს მოქცეული მასწავლებლის გადაწყვეტილებების ზეგავლენის ქვეშ. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, გაერკვნენ გაკვეთილის არსში და თავად ჩამოაყალიბონ იგი. თქვენი მოტივაცია უნდა იყოს გამტარი, რომელიც მიზნებს გადასცემს კლასს. აუცილებელი არ არის, ამოცანები ფორმალურად ჩამოყალიბდეს გეგმის რვეულში. მთავარი მიზანია, თქვენი ამოცანების ზოგადი ფორმულირება. ზოგიერთი მასწავლებელი ამჯობინებს მოსწავლეთა ინფორმირებას როგორც მიზნის, ისე ამოცანების შესახებ. მარტივი ამოცანებისთვის ნახეთ ვებ-გვერდების ჩამონათვალი მეორე დანართში.

მოტივაცია

1. აღძრავს ინტერესს;
2. აძლიერებს ინტერესს;
3. აკავშირებს გაკვეთილის მიზანს;
4. გამოწვევების წინაშე აყენებს მოსწავლეებს;
5. უკავშირდება მოსწავლეთა გამოცდილებებს;
6. აადვილებს შემდეგ გაკვეთილზე გადასვლას.

მოტივაცია არის ხელსაწყო, რომელიც აღძრავს მოსწავლეთა ინტერესს, ისწავლონ ახალი და ასევე ცხადყოფს გაკვეთილის მიზანს. მოტივაცია აღვიძებს ცნობისმოყვარეობას და იყენებს მოსწავლეთა ცოდნასა და გამოცდილებას. არსებობს ბავშვთა მოტივირების სხვადასხვა ხელსაწყო: მათ შორისაა ინტერესის გამომწვევი განცხადებები, პერსონალური გამოცდილება, კარიკატურა, პრობლემა, ჩარტი ან ანეკდოტები. ზოგი ამ ეტაპს *მოსამზადებელ კომპლექტს* უწოდებს.

კითხვები

1. სწორად დასმული და გააზრებული;
2. კრიტიკული აზროვნების განმავითარებელი;
3. მოსწავლეთა შორის კარგად გადანაწილებული;
4. შემოწმება უკეთ გააზრებისთვის.

ჩამჭრელი კითხვები

1. მოსწავლის გამოძახება და კითხვის დასმა;
2. მხოლოდ მოხალისეებზე დაყრდნობა;

3. თქმა „მომიყევი“ და არა „მოგვიყევი“;
4. კომპლექსური კითხვების დასმა.

მოსწავლეთა პასუხები

1. თავი აარიდეთ გუნდურ პასუხებს;
2. არ გაიმეოროთ მოსწავლის პასუხები;
3. გამოიყენეთ შექების, ზუსტი (არასწორი პასუხის შემთხვევაში) და ცდისეული (მოსწავლის მიერ სწორი, მაგრამ არასიღრმისეული პასუხის გაცემის შემთხვევაში) ტექნიკები.

სწავლების მიზნისა და სასწავლო ამოცანების დასახვის გარდა, თქვენ მიერ შეკითხვების დასმა გაკვეთილის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. გაკვეთილის მარცხი ან წარმატება დიდწილადაა განპირობებული კითხვის დასმის ტექნიკაზე, კითხვების ხარისხსა და კითხვის დასმის თანმიმდევრობაზე. შეკითხვები ძლიერ სასწავლო ხელსაწყოს წარმოადგენს. კითხვების დასმის საშუალებით, თქვენ ძალგიძთ განავითაროთ მოსწავლის სწავლის სტილი და ჩვევები, განავითაროთ აზროვნების უფრო მაღალი საფეხური, ხელი შეუწყოთ ახალი მასალის ათვისებას და შეაფასოთ პროგრესი და მიღწევები. ფაქტობრივად, თქვენ შეგიძლიათ გააძლიეროთ მოსწავლის გონება შეკითხვების სწორად დასმის გზით.

სამწუხაროდ, არ ვიყენებთ ხოლმე შეკითხვების დასმის ეფექტურ სტრატეგიას ისე ხშირად, როგორც საჭიროა და შეგვიძლია. კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებელთა უმეტესობის შეკითხვები აზროვნების დაბალ საფეხურზეა, ძირითადად ინფორმაციული შინაარსისაა და მოკლე პასუხის მიღებისკენაა მიმართული, ნაცვლად იმისა, რომ იყოს აზროვნების უფრო მაღალ საფეხურზე, როგორიცაა გაგება, გამოყენება, ანალიზი და სინთეზი. ეს პრობლემა შეიძლება მოგვარდეს აზროვნების იერარქიის გააზრებით (როგორიცაა ბლუმის ტაქსონომია) და ისეთი შეკითხვების გენერირებით, რომლებიც ხელს უწყობს უფრო მაღალი საფეხურის აზროვნების განვითარებას.

ბლუმის ტაქსონომია:

ცოდნა
გაგება
გამოყენება
ანალიზი
სინთეზი
შეფასება

ბენჯამინ ბლუმის ტაქსონომია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კონცეპტია განათლებაში. ის ამტკიცებს, რომ სწავლა ხდება იერარქიულად, იწყება მარტივი ფიქრის პროცესით და ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდება უფრო რთული აზროვნებითი პროცესებისაკენ. ის ერთმანეთისაგან მიჯნავს ექვს ძირითად სასწავლო ქცევას ან გზას აზროვნებისა, რომელთაგან გამომდინარეც მასწავლებელმა ექვსი ტიპის შეკითხვა უნდა ჩამოაყალიბოს და შესაბამისად გამოიყენოს.

1. ცოდნა

სწავლისა და აზროვნების შემადგენელი ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავე დროს მარტივი ნაწილია გარკვეული რაოდენობის დასწავლილი ინფორმაციის გახსენება. ამ ეტაპის საკვანძო სიტყვებია: ვინ, რა, სად, რომელი, რამდენი... სახელი, გარჩევა, გახსენება და ა.შ. მაგალითად: „ვინ აღმოაჩინა ინდოეთის ოკეანე?“, „რა დაემართა ალისას ზღაპრის მიხედვით?“, „სად გაგზავნა დედამ?“. მოსწავლეებს ასეთ შემთხვევაში მიღებული ინფორმაციის გახსენება უხდებათ. ამ საფეხურზე მოსწავლემ შესაძლოა უბრალოდ დაიმახსოვროს ინფორმაცია, მაგრამ არ გაიაზროს იგი. ერთხელ, ერთი მეოთხე კლასელი მყავდა, რომელსაც დეკოდირების ფენომენალური უნარი ჰქონდა და შეეძლო წაეკითხა გაზეთ *ნიუ იორკ თაიმსში* ყოველი სიტყვა. ყველა გაოგნებული იყო მისი შესაძლებლობით, თუმცა, სინამდვილეში მას კითხვა არ შეეძლო, რადგან ვერ იაზრებდა წაკითხულს. გადავდივართ ბლუმის ტაქსონომიის მეორე საფეხურზე.

2. გაგება

აზროვნების ან სწავლების ეს მომდევნო საფეხური მაშინ იჩენს თავს, როდესაც მოსწავლეებს შეუძლიათ ახსნან ან მოახდინონ ინფორმაციის პერიფრაზირება. მოსწავლეს მიეცით მაგალითი, სთხოვეთ ახსნას საკუთარი სიტყვებით ცნების მნიშვნელობა. თუ ის ამას შეძლებს, ესე იგი, მას ძალუძს, გაიგოს ინფორმაცია. ამ საფეხურის საკვანძო სიტყვებია: აღწერეთ, ახსენით საკუთარი სიტყვებით, გადათარგმნეთ, განმარტეთ და ა.შ. მაგალითად: „რას ნიშნავს სიტყვა -------?“ „განმარტეთ, რას ნიშნავს -----.“ ჰკითხეთ მოსწავლეს: „რა არის ლუთი?“ თუ მას არ აქვს პასუხი, უთხარით -„ლუთი არის ზუთი“. ახლა კვლავ შეგიძლიათ კითხოთ- „კარგი, რა არის ლუთი?“ ის გიპასუხებთ „ის არის ზუთი“. ახლა მას აქვს უკვე ცოდნა, მაგრამ შესაძლოა, ვერ გაიგო, თუ რას ნიშნავს ლუთი რეალურად. ჰკითხეთ: „კარგი, ახსენი შენი სიტყვებით რა არის ლუთი? ზუთი“. თუ ის სწორად უპასუხებს, თქვენ შეგიძლიათ დაასკვნათ, რომ მან გაიგო ინფორმაცია.

3. გამოყენება

აზროვნების ან ქცევის უფრო მაღალი საფეხური, რასაც გამოყენება ჰქვია, მოსწავლისგან მოითხოვს დასწავლილი ინფორმაციის გარკვეულ სიტუაციაში ან პრობლემის გადასაჭრელად გამოყენებას. საკვანძო სიტყვებია: *ამოხსნა, არჩევა, დაკავშირება* და ა.შ. მაგალითები: „რა შესაძლო ზეგავლენა შეიძლება მოეხდინა ადამიანის უფლებებზე რო ვეიდის გადაწყვეტილებას?“ „როგორ დააკავშირებთ განვლილ მასალასთან...?“ მაგალითად, მოსწავლემ შეიძლება იცოდეს გრამატიკის წესი და შესაძლოა იგებდეს კიდეც მას. მაგრამ შეუძლია თუ არა მას, გამოიყენოს წესი ახალ სიტუაციასა თუ კონტექსტში; მაგალითად, ესეს წერისას?

4. ანალიზი

სწავლის ეს უფრო მაღალი საფეხური მოსწავლისაგან მოითხოვს სიტუაციის გამოყოფას და ნაწილებს შორის კავშირის გააზრებას. მაგალითად, შესაძლოა თქვენ მესამე კლასელ მოსწავლეებს აჩვენოთ ცხოველთა სამი ჯგუფის ფოტოები და ჰკითხოთ, რომელ ჯგუფს არ ეკუთვნის ცხოველი. მოსწავლემ უნდა გააანალიზოს განსხვავებული მახასიათებლები იმისთვის, რომ მიიღოს პასუხი. საკვანძო სიტყვებია: *ანალიზი, ჩვენება, განსხვავება, კითხვა როგორ?* და ა.შ. მაგალითად: „ვის შეუძლია ერთმანეთისაგან განასხვავოს ფაქტი და მოსაზრება იმ მასალიდან, რომელიც ახლახან წავიკითხეთ?“, „რატომ გაივსო საჰაერო ბურთი?“ „როგორ გავლენას ახდენს მკითხველის ემოციურ მხარეზე შედარებების გამოყენება?“ „რა განსხვავებაა ---- და ---- შორის?“

5. სინთეზი

აზროვნების ამ საფეხურზე მოსწავლეებს შეუძლიათ ინფორმაციის რამდენიმე ელემენტი გააერთიანონ და ჩამოაყალიბონ ახალი სტრუქტურა ან იდეა. საკვანძო სიტყვებია: *შექმნა, განვითარება, გამოგონება, გამოცნობა, მოსაზრება* და ა.შ. მაგალითებია: „გაკვეთილის ელემენტების გამოყენებით, შექმენით ახალი დანადგარი, გამოიყენეთ კარბურატორი და გამოიგონეთ მანქანა, რომელიც ცხოვრებას გააადვილებს“.

6. შეფასება

ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, ეს საფეხური აზროვნებაში ყველაზე მაღალია. საკმაოდ ხშირად, მასწავლებლები მოსწავლეებს სთხოვენ, მიიღონ გადაწყვეტილება უფრო დაბალი საფეხურის აზროვნების ტიპების გამოყენების გარეშე. შეფასება მოსწავლეებისგან ითხოვს საკუთარი აზრის გამოხატვას, მათი შეხედულებებისა და პასუხების განსჯას. საკვანძო სიტყვებია: *გადაწყვეტა, განსჯა, დისკუსია, არჩევა, რეკომენდაცია, აზრის გამოთქმა, ახსენით რატომ, შეფასება* და სხვ. მაგალითად: „კარგი მოთხრობა იყო?“ „რატომ დიახ ან რატომ არა?“ „რომელი ტექნიკა იქნებოდა უკეთესი? ახსენით“ „ვის შეუძლია უთხრას კლასს, რა იყო უარყოფითი მხარე...?“ აზროვნების ეს ბოლო საფეხური ააქტიურებს კრიტიკულ აზროვნებას და განსჯის უნარს.

გთავაზობთ შეფასების მცირე ტესტს. გამოიცანით ბლუმის ტაქსონომიის შესაფერისი საფეხური თითოეულ მიზანთან დაკავშირებით:

1. მოცემულია ხელოვნების ნებისმიერი მასალა, სურვილის მიხედვით, შექმენით ზეთის ნახატი არა უმეტეს ოთხი საღებავის გამოყენებით;
2. მოცემულია რიგი ობიექტებისა, რომლებიც ჯერ არ გინახავთ, ამოიცანით მათგან კვადრატები;
3. მოცემულია გამრავლების 20 ახალი მაგალითი, მაგალითების 80%-ს სწორი პასუხი უნდა გასცეთ.

4. მოცემულია ევროპელი პოეტების მიერ შექმნილი რვა პოემა, განსაზღვრეთ საერთო თემა.
5. გაიხსენეთ და ჩამოწერეთ მზის სისტემის რვა პლანეტის სახელი
6. მოცემულია სამაგისტრო თემის 5 ნიმუში, შეარჩიეთ საუკეთესო კვლევის დიზაინის მქონე თემა.

პასუხები: 1. სინთეზი, 2. გაგება, 3. გამოყენება, 4. ანალიზი, 5. ცოდნა, 6. შეფასება

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კითხვის დასმის შესახებ ხშირად კიდევ ერთი პრობლემა რჩება ყურადღების მიღმა. გაკვეთილზე შეკითხვების უმეტესობას მასწავლებელი სვამს. მოსწავლეები ცოტა კითხვას სვამენ. ეს ხელს ვერ უწყობს უკეთესად გააზრებას. თუ გვსურს, რომ განვავითაროთ არა მხოლოდ პასიური და რეაქტიული, არამედ აქტიური გონებაც, უნდა წავახალისოთ მოსწავლეები, ისწავლონ კითხვების ეფექტურად ჩამოყალიბება. პროდუქტიული აზროვნება მხოლოდ შეკითხვების დასმის გზით ვითარდება. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ კითხვების დასმა, რათა ჩამოყალიბდნენ ინფორმაციის კრიტიკულ შემფასებლებად. ეს პროცესი უნდა დაიწყოს დაწყებითი კლასებიდან და არ უნდა შეიზღუდოს მაღალ კლასებშიც, სწავლა და აზროვნება იწყება ადრეული ასაკიდან და ფორმას იძენს მომდევნო პერიოდში.

აქ მოცემულია რამდენიმე ტექნიკა, რომელიც მოსწავლეებს კითხვების დასმის პროცესში ჩართავს.

1. **საკლასო/საშინაო დავალების შეკითხვები**

მოსწავლეებს მიეცით საშუალება, შეადგინონ კითხვები საკლასო და საშინაო სამუშაოებისთვის. მაგალითად, უთხარით მოსწავლეებს: „შეადგინეთ ხუთი შეკითხვა, რომლებიც შეამოწმებს, გაიგეს თუ არა ბავშვებმა მოცემული საკითხი. დარწმუნდით, რომ პასუხები არ იყოს ერთ წინადადებიანი“. ეს სავარჯიშო ხელს უწყობს აზროვნებას და შეკითხვების დასმის უნარების განვითარებას. დამატებით თქვენ შეგიძლიათ ამოარჩიოთ რამდენიმე საუკეთესო შეკითხვა და დაუსვათ კლასს.

2. **ჟურნალისტური შეკითხვები**

მოიწვიეთ სტუმარი კლასში და იმის ნაცვლად, რომ ჩაატარებინოთ პრეზენტაცია, რომელსაც მოჰყვება შეკითხვა: “გაქვთ თუ არა რაიმე შეკითხვა?“ განაწყეთ მოსწავლეები მომზადონ შეკითხვები წინასწარ. დაეხმარეთ მოსწავლეებს, დაწერონ შეკითხვები, რომლებიც ფაქტების და შემეცნების დაბალი საფეხურის მიღმაა.

მაგალითად, მოსწავლეებმა, სკოლის დირექტორის მისამართით, შეიძლება მოამზადონ შემდეგი ტიპის შეკითხვები: „რატომ აირჩიეთ განათლება თქვენს პროფესიად?“ „რა არის ყველაზე რთული დირექტორის საქმიანობაში?“ „წარმოიდგინეთ, რომ გაქვთ ყველანაირი რესურსი და ძალაუფლება სკოლის გარდასაქმენლად. რას გააკეთებდით პირველ რიგში და რატომ?“

3. კითხვები თამაშის, სიმულაციისა და როლური თამაშების საშუალებით

მოსწავლეებისთვის შეკითხვების დასმის სწავლების შესანიშნავ გზას თამაშებით, სიმულაციებით და როლური თამაშებით სწავლება წარმოადგენს. თითოეული ამ აქტივობის დროს მოსწავლის წინაშე დგება პრობლემა ან სიტუაცია, რომლის გადასაჭრელადაც უნდა დასვას შეკითხვები და ეძებოს გამოსავალი.

მაგალითად, მარტივ საფეხურზე ითამაშეთ თამაში, როგორიცაა „ზღაპრის წიგნის ისტორიის შეცვლა“. ჰკითხეთ, „როგორ შეძლო ცომის კაცუნამ ჭკუაში მოეტყუებინა მელაკუდა?“; „წითელქუდას ადგილას როგორ მოიქცეოდით, რომ მგელს არ შეეჭამეთ?“. უფრო მაღალ საფეხურზე, სიმულაციები და როლური თამაშები იძლევა შესაძლებლობას მინიგამოძიებებისათვის. მაგალითად, მასწავლებელი კლასს წარუდგენს შემდეგი სახის პრობლემას: „გასული ხუთი წლის განმავლობაში ა.შ.შ-ს ერთ-ერთ ქალაქში დრამატულად გაიზარდა ფილტვების დაავადებებისა და ასთმური მოვლენების რიცხვი. პრობლემის მიზეზების პოვნისა და მათი გადაჭრის გზების საძიებლად ქალაქის ხელმძღვანელობამ მოიწვია მეცნიერთა ჯგუფი. თქვენ ხართ მეცნიერები“.

ჯგუფმა ან ჯგუფებმა უნდა დაიწყონ შეკითხვების დასმა, ქალაქის შესახებ ისეთი სახის ზოგადი ინფორმაციის მისაღებად, როგორიცაა მისი მდებარეობა, მახასიათებლები, ჰქონია თუ არა ადგილი ამგვარ პრობლემას სხვა რომელიმე ქალაქში, რა სიმპტომები ახასიათებთ ავადმყოფ მოქალაქეებს და სხვ. მოსწავლეებმა უნდა შექმნან ინფორმაციული საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც დასკვნებს შეიმუშავებენ. შესაძლოა მოსწავლეებმა სხვა გზასაც მიმართონ: თავდაპირველად ჩამოწერონ პრობლემის გამომწვევი შესაძლო მიზეზები (ჰაერის დაბინძურება, მოსახლეობის კვების რაციონის ცვლილება) და შემდეგ დასვან შეკითხვები, რომლებიც დაამტკიცებს ან უარყოფს მათ ჰიპოთეზას.

4. მოსწავლეზე ორიენტირებული შეკითხვები

როდესაც მოსწავლე დაბნეულია ან უჭირს აზრის ჩამოყალიბება, სთხოვეთ, დასვას შეკითხვა. ეს ტექნიკა ეხმარება მოსწავლეს, განსაზღვროს ინტერესის სფერო და მიიღოს საჭირო დახმარება.

5. მოლოდინის დრო

როგორი იქნებოდა თქვენი რეაქცია, თუ ვინმე ყოველ ორ ან სამ წამში დაგაყრიდათ შეკითხვას? ასეთ სწრაფ რეჟიმში შეკითხვების დასმა ტიპური ჩანს მასწავლებლებისთვის მთელ ქვეყანაში. შეკითხვის დასმის შემდეგ მასწავლებელი ელოდება ორი წამი ან ნაკლები მოსწავლეს პასუხისთვის. შემდეგ, როგორც წესი, მასწავლებელი იმეორებს შეკითხვას, მას სხვანაირად აყალიბებს, პასუხისთვის აძლევს ერთ წამს ან ნაკლებს, მაშინ, როდესაც მოსწავლე პასუხობს, მასწავლებელი კიდევ აყოვნებს ერთი წამით, სანამ მოსწავლის პასუხზე კომენტარს გააკეთებს ან დაუსვამს სხვა შეკითხვას. უნდა დავფიქრდეთ შეკითხვების რაოდენობის შემცირებაზე და თითოეული შეკითხვა უფრო ეფექტური გავხადოთ.

მასწავლებლის ასეთ შეყოვნებულ ქმედებაში არსებობს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი დაყოვნება, რომელსაც მოლოდინის დრო ეწოდება. პირველი მოლოდინის დრო არის პაუზა, რომელიც მასწავლებლის შეკითხვას მოჰყვება; მოსწავლე სწრაფად უპასუხებს თუ ნელა, მასწავლებელი ცდილობს, რომ დაყოვნდეს. მეორე მოლოდინის დრო არის პაუზა მოსწავლის პასუხის შემდეგ; მასწავლებელი ცდილობს, დაიცადოს მოსწავლის პასუხის შემდეგ კომენტარის გაკეთებამდე ან ახალი შეკითხვის დასმამდე. როდესაც ამ მეორე მოლოდინის დროს ამცირებს მასწავლებელი, ყველა მოსწავლე ამეტებს, სახეს უცვლის და სპეკულაცია მასწავლებლის ჩარევის შედეგად შეწყვეტილია. შესაძლოა, სწორედ ეს იყოს იმის მიზეზი, რომ მოსწავლეები სწრაფი ინტერაქტიული სისტემის დროს ფრაგმენტული წინადადებებით მეტყველებენ. ბავშვს მეტი დრო სჭირდება ვერბალიზებისთვის.

ზოგიერთი ცუდი სახის კითხვა:

1. მრავალრიცხოვანი - „რის გამო დაიწყო ომი ერაყში და რატომ ჩავებით?“
2. გუნდური - „ვიყავით მართალნი?“
3. წინასწარგანსაზღვრული - „ტერორისტი ბოროტია, არ მეთანხმებით?“
4. მასწავლებლისკენ მიმართული -„მიპასუხეთ, მითხარით“ (გამოიყენეთ გვიპასუხეთ / გვითხარით);
5. კი/არა - „წავიდა გოგონა მაღაზიაში?“
6. შეკითხვის დასმამდე მოსწავლის გამოძახება - „ხოსე, უპასუხე“;
7. არამოხალისეების გამოძახება - „კარგი, რონალდო შენ აიწიე ხელი. რა არის სწორი პასუხი?“

პროცედურა

1. ჩამოწერეთ სასწავლო აქტივობები გაკვეთილისთვის;
2. ჩამოწერეთ მნიშვნელოვანი (ძირითადი) შეკითხვები;
3. გაკვეთილის განვითარების მოკლე, თანმიმდევრული აღწერა.

იხილეთ მომდევნო გვერდებზე გაკვეთილის გეგმები, რომლებიც ითვალისწინებს პროცედურებს ან გაკვეთილის განვითარებას.

მასწავლებელი...

1. დასაწყისშივე განიხილავს წინა გაკვეთილს ან წინარე ცოდნას;
2. წყვეტს განხილვას, როდესაც რთული მასალაა წარმოდგენილი;
3. უზრუნველყოფს შუალედურ განხილვას (შუა გაკვეთილისას);
4. უზრუნველყოფს შემაჯამებელ განხილვას.

განხილვა...

1. საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, წარმოაჩინონ საკუთარი ცოდნა;
2. საშუალებას აძლევს მასწავლებელს, შეამოწმოს, რამდენად გაიგეს მასალა მოსწავლეებმა.

ზოგიერთ გაკვეთილზე შეიძლება მოაწყოთ მცირე განხილვა, რომელიც დაგეხმარებათ იმ კონცეპტების, უნარებისა და წარმოდგენების დალაგებაში, რომლებიც წინა გაკვეთილზე იქნა შესწავლილი. განხილვა, შესაძლოა, განსხვავებული გზებით ჩატარდეს. შეგიძლიათ დასვათ რამდენიმე მაპროვოცირებელი და ფაქტობრივი შეკითხვა, რომელიც მოითხოვს წინა მასალის შეჯამებას ან შედარებასა და გამოყენებას. სთხოვეთ მოსწავლეს, შეაჯამოს განვლილი გაკვეთილის მასალა. მოსწავლის მიერ მასალის პრეზენტაციის შემდეგ, შესთავაზეთ კლასის დანარჩენ მოსწავლეებს, შეიტანონ ცვლილებები ან დამატებები თანაკლასელის მონათხრობში.

გაკვეთილები ზოგადად...

1. სტრუქტურირებულია;
2. საყურადღებოა;
3. ინდივიდუალიზებულია;
4. მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებს;
5. ლოგიკურადაა დაკავშირებული;
6. აქვს შუალედური და ფინალური შეჯამებები;
7. სჭირდება მიღწევა.

ტესტები…

1. თანაფარდობაშია მოსწავლეთა უნარებთან;
2. ნათლადაა ჩამოყალიბებული;
3. არ შეიცავს მცდარ ინფორმაციას;
4. აქვს ნათელი მიმართულებები;
5. მოიცავს საკმარის დროს;
6. განსხვავებული ფორმატებით არის მოწოდებული.

იხ. მეშვიდე თავი ტესტირების შეფასების შესახებ უფრო ვრცელი დისკუსიისთვის.

საშინაო დავალება...

1. სცდება გაკვეთილის ფარგლებს;
2. არის სპეციფიკური და კარგად განსაზღვრული;
3. განსხვავებულია მოცემული ვარიანტები;
4. დიფერენცირებულია, საშუალებას იძლევა გამოვლინდეს სხვადასხვა შესაძლებლობა;

5. ახსნილი და გაგებულია.

საშინაო დავალება შეიძლება იყოს მოსწავლეთა სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი. ის შეიძლება იყოს დღიური გაკვეთილის გაგრძელება, ახალი გაკვეთილისთვის მომზადება ან პარაგრაფის შემაჯამებელი, დამაგვირგვინებელი აქტივობა. საშინაო დავალების მიცემა წინასწარ კარგად მოფიქრებული და ნასწავლი მასალისადმი რელევანტური აქტივობაა მასწავლებლის მხრიდან. გთავაზობთ რამდენიმე შემოთავაზებას სწავლების ამ კონკრეტული ასპექტის შესახებ.

1. დაწერეთ საშინაო დავალება დაფაზე, თარიღის მითითება სავალდებულოა. მოსწავლეებს შეუძლიათ ჩაიწერონ დავალება და ჩააბარონ ის დანიშნული თარიღის შესაბამისად.
2. მიეცით საშინაო დავალება გაკვეთილის პროცესში. შეკითხვების გაჩენის შემთხვევაში, პასუხისა და განმარტებების გაკეთებისათვის ეს კარგია დროა.
3. გაამრავალფეროვნეთ დავალების ტიპები.
4. შეძლებისდაგვარად გამოიყენეთ წინა დღის დავალება, როგორც საკლასო დისკუსიის საფუძველი, მიზნების განხილვის ან ახალი მასალის ახსნის მომზადებისთვის.
5. საშინაო დავალება უნდა იყოს რეალისტური. აქვთ თუ არა მოსწავლეებს საკმარისი ცოდნა მიცემული დავალების შესასრულებლად? ექნებათ თუ არა სახლის პირობებში დავალების სრულყოფილად შესრულებისთვის საჭირო მასალები? რამდენი დრო დასჭირდება დავალების მომზადებას?
6. ყოველთვის შეაგროვეთ მოსწავლეთა ნამუშევრები იმ დღეს, როდესაც დავლების ჩაბარების თარიღია ჩანიშნული.
7. შეაფასეთ საშინაო დავალების ფურცლები და დაუბრუნეთ მოსწავლეებს რაც შეიძლება ოპერატიულად.
8. შეატყობინეთ მოსწავლის მშობელს საშინაო დავალებების ხშირად მოუმზადებლობის შემთხევაში. მშობლებს უფლება აქვთ, იცოდნენ მათი შვილების ცუდი აკადემიური მოსწრების შესახებ.

კარგ სკოლებს აქვთ ნათელი და თანმიმდევრული პოლიტიკა საშინაო დავალებებთან დაკავშირებით. ასეთ სკოლებში სხვადასხვა საგნის მასწავლებლები საშინაო დავალებების სირთულისა და მოცულობის შესახებ შეთანხმებულად მოქმედებენ. საშინაო დავალება უნდა აღინიშნოს, განიხილოს და შეფასდეს. იცოდეთ, რომ კვლევების მიხედვით, სათანადოდ მიცემულ და განხილულ საშინაო დავალებას შეუძლია, გაზარდოს მოსწავლის მიღწევები (ვალბერი, პარშალი და ვაინშტეინი, 1985).

საშინაო დავალების გზამკვლევი

1. საშინაო დავალება შეუსაბამეთ სკოლის პოლიტიკას;

2. კოლეგებთან შეთანხმებით შეარჩიეთ საშინაო დავალების რაოდენობა და ტიპი;
3. საშინაო დავალება დაბალ კლასებში არ უნდა აღემატებოდეს 15-30 წუთს, კვირაში სამჯერ, და საშუალო კლასებში - 45-90 წუთს, კვირაში ოთხჯერ. ბოლო საფეხურებზე დრო შეიძლება გაიყოს საგნის/კლასის მიხედვით იმიტომ, რომ მასწავლებლებს არ აქვთ ინფორმაცია საშინაო დავალებების რაოდენობის შესახებ სხვა კლასებში;
4. საშინაო დავალება უნდა იყოს რელევანტური, საინტერესო და მოსწავლეების უნარების შესაბამისი;
5. არასოდეს გამოიყენოთ საშინაო დავალება როგორც სასჯელი;
6. არ გამოიყენოთ საშინაო დავალება ახალი იდეებისა და კონცეპტების გაცნობისთვის ბოლო კლასებამდე;
7. საშინაო დავალება შეიძლება მოიცავდეს ისეთ არატრადიციული ტიპის ინფორმაციის წყაროს როგორიცაა ტელევიზია, გაზეთები და ინტერნეტი;
8. მოსწავლეებს არ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა წავიდნენ სახლში საშინაო დავალების სრულად გააზრების გარეშე (ეს უსამართლობაა მოსწავლეთა მიმართ და შეურაცხყოფს მშობლებს);
9. არ მისცეთ მოსწავლეებს საშინაო დავალება, სანამ არ გააანალიზებთ, კიდევ ერთხელ მიუბრუნდებით და განიხილავთ საკითხს, დაახარისხებთ მოსწავლეებთან ერთად;
10. დაახარისხეთ დავალებები;
11. მიაწოდეთ მშობლებს ინფორმაცია მათი როლისა და საშინაო დავალების პოლიტიკის შესახებ;
12. შეიმუშავეთ საშინაო დავალების ჩაბარების და შემოწმების პროცედურები.

შეფასება

გაკვეთილის გეგმის შეფასება ყოველთვის გონივრული გადაწყვეტილებაა (იხ. ცხრილი 4.1.). შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გეგმა აჩვენებს გაკვეთილის შესახებ თქვენს მოლოდინებს. ეფექტური შეფასება შესაძლოა მიღწეულ იქნეს მოცემული შეკითხვების გათვალისწინებით:

- იყო თუ არა ჩემი მიზნები რელევანტური და რეალისტური?
- ვიყავი თუ არა კარგად მომზადებული?
- იყო თუ არა ჩემი პრეზენტაცია ორგანიზებული და ნათელი?
- იყო თუ არა ჩემი პრეზენტაცია საკმარისად მრავალფეროვანი?
- გაიგეს თუ არა ჩემმა მოსწავლეებმა, რას და რატომ აკეთებდნენ?
- იყო თუ არა ჩემი შეკითხვები იმდენად კარგად ფორმულირებული, რომ მოსწავლეებს გაეგოთ მისი არსი?

- უპასუხეს თუ არა მოსწავლეებმა შეკითხვებს სათანადოდ?
- მოუსმინა და მიიღო თუ არა ყველა მოსწავლემ გაკვეთილში მონაწილეობა?

დაიმახსოვრეთ აქ მოყვანილი გაკვეთილის ზოგიერთი ძლიერი და სუსტი მხარე.

	ძლიერი მხარე	**სუსტი მხარე**
მოტივაცია	საჭიროებაზე ან ხანგრძლივ მიზანზეა დაფუძნებული.	არ აქვს რეალური მოტივაცია, არ აქვს კავშირი მიზანსა და გაკვეთილთან.
მიზანი	განსაზღვრულია შესაფერისია ნათელია მიღწეულია.	ნაკლებია, არ აქვს კავშირი გაკვეთილთან. არ არის ნათლად ფორმულირებული ტრივიალურია.
განვითარება/პროცედურა	კარგად სტრუქტუირებულია, კარგადაა გადანაწილებული, მიდგომები განსხვავებულია.	არის გადახვევები, გაუგებარია, სუსტია გადასვლები, შინაარსი არაადეკვატურია, ძალიან ზოგადია, შეჯამებები სუსტია.
კითხვები და პასუხები	ნათლად არის ფორმუ-ლირებული, კარგადაა გადანაწილებული, არის ძირითადი შეკითხვები, სტიმულირებულია, კრიტიკული აზროვნება.	დამაბნეველია, ფორმულირება, კითხვის დასმის შემდეგ მოსწავლეები ლაპარაკობენ, არ არის გამოყენებული მოლოდინის დრო, ანგარიში არ ეწევა მოხალისეებს, სუსტია გადანაწილება, ხშირია ერთსიტყვიანი პასუხები, პასუხები რამდენიმეჯერ მეორდება, „მითხარი“.

შედეგები	საგანმა განავითარა უნარები, კონცეპტების ცოდნა, დამოკიდებულებების ქონა, შესწავლილი მასალა.	შეუსწავლელი მასალა, შეუმოწმებელი ცოდნა, განუვითარებელი ჩვევები, აღდგენის ან გამდიდრების ნაკლებობა.
საშინაო დავალება	ნათელია, შესაბამისია, მოტივირებულია, ახსნილია, ინდივიდუალიზებულია.	არ არსებობს, შეუსაბამოა, ბუდოვანი ან დამაბნეველია, ძალიან ვრცელი ან ძალიან მოკლეა.

ცხრილი 4.1 შეაფასეთ თითოეული მოცემულობა და შეავსეთ შესაბამისი ბლოკი

	ძლიერი	**სუსტი**	**რეკომენდაციები**
1. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, რომლებიც ჯგუფურად პასუხობენ: "ბავშვებო, ასე ნუ ყვირით. ჩარლზ, რატომ არ იწევ ხელს, რომ გაკვეთილს უპასუხო?"			
2. მერვე კლასის მასწავლებელი აჯილდოებს ჯგუფ ა-ს ბრწყინვალე ანგარიშის წარდგენის გამო ინდოეთში რელიგია ჰინდუს შესახებ. ის განსაკუთრებით ნასიამოვნები იყო იმ ფაქტით, რომ ჯგუფის თითოეულმა წევრმა ანგარიში მკაფიოდ და ხმამაღლა წაიკითხა.			
3. მასწავლებელი: „ჯონ, შეგიძლია რუკაზე მონიშნო ერის არხი?" - ჯონი მიდის რუკასთან, მაგრამ ვერ პოულობს არხს. მასწავლებელი: „მეი, შეგიძლია ჯონს დაეხმარო?" მეი მიდის რუკასთან და მონიშნავს იმ ადგილს, სადაც ერის არხია. მასწავლებელი: „ბავშვებო, მეი მართალია?"			
4. კითხვის მასწავლებელმა მეშვიდე კლასისთვის შექმნა ოთხი ჯგუფი. მან გაკვეთილი თავდაპირველად ჩაუტარა ყველაზე სუსტ ჯგუფს, რადგან მათ დახმარება განსაკუთრებით სჭირდებოდათ.			
5. ინდუსტრიული ხელოვნების ოთახში, კუთხეში ორი ბიჭი კითხულობს წიგნს *ცნობილი მექანიზმები,* მაშინ, როდესაც მეორე მხარეს დანარჩენი ბიჭები თავიანთ პროექტებზე მუშაობენ.			
6. ამოცანის ამოხსნას მეექვსე კლასის მათემატიკის			

გაკვეთილზე 10 წუთი სჭირდება. ყველა მოსწავლე ერთსა და იმავე დავალებაზე მუშაობს და შეკითხვებზე წარმატებით სცემენ პასუხს.			
7. მეტყველების ხელოვნების მასწავლებელი კლასს მიმართავს: „სანამ დავიწყებთ, გეტყვით, რა გააკეთოთ. წაიკითხეთ მოთხრობა მე-8 გვერდზე. შემდეგ უპასუხეთ კითხვებს მე-9 და მე-10 გვერდებზე. ამოიწერეთ რვეულში თითოეული სიტყვა, რომელიც არ იცით. ახლა კი დაიწყეთ მუშაობა.“			
8. კითხვის გაკვეთილზე მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს. ის კომენტარს აკეთებს: „მესმის რომელიღაც ხმამაღლა კითხულობს. როგორ უნდა ვკითხულობდეთ?“ მოსწავლეები: „ჩვენთვის, მხოლოდ თვალებით“ მასწავლებელი: „რატომ არ უნდა წავიკითხოთ ხმამაღლა?“ მოსწავლე: „ხმამაღლა კითხვა აწუხებს ჩვენს თანაკლასელებს“ მასწავლებელი: „მე წავიკითხავ ამ აბზაცს. ჯერ წავიკითხავ ჩუმად (ათი წამი გავიდა). ახლა ხმამაღლა წავიკითხავ (ის კითხულობს ნელა). ახლა მიპასუხეთ, როდის უფრო სწრაფად წავიკითხე?“ ჯგუფი: „პირველად“! მასწავლებელი: „მართალია. როდესაც ინფორმაციის მიღების მიზნით კითხულობთ, უმჯობესია, ჩუმად წაკითხოთ. ასეთ დროს უფრო სწრაფად კითხულობთ. როცა ვინმეს უკითხავთ, მაშინ უფრო ხმამაღლა უნდა წაიკითხოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერავინ გაიგებს, რას ამბობთ.“			
9. კლასი ჩუმად კითხულობს აბზაცს. მასწავლებელი კლასში მოძრაობს. მასწავლებელი: „თუ დახმარება გჭირდებათ, აიწიეთ ხელი და მოვალ თქვენთან“. ხელი არავინ აიწია. კლასმა მუშაობა განაგრძო. ბევრმა მოსწავლემ მუშაობა დაასრულა, აიღო წიგნი და კითხვა დაიწყო ჩუმად.			
10. სოციალური მეცნიერებების გაკვეთილზე: მასწავლებელი: „ჰოვარდ, დაასახელე ახალი ინგლისის შტატები“. მოსწავლე შეფერხდა. მასწავლებელი: „ჯორჯ, აბა ვნახოთ თუ აჯობებ ჰოვარდს.“			

შესაძლო პასუხები (შესაძლოა იყოს სხვა პასუხიც):

1. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯგუფური პასუხები მასწავლებელს არ აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს თუ ვის ესმის მასალა რეალურად;
2. განვლილი მასალის ეფექტურად განმეორება კარგი აქტივობაა;
3. აქ რამდენიმე პრობლემაა. ჯერ არ უნდა გამოიძახოთ მოსწავლე და შემდეგ არ უნდა დაუსვათ კითხვა. დანარჩენი მოსწავლეები გამოეთიშებიან სწავლას. თავი აარიდეთ გამონათქვამს: „ბავშვებო, მერი მართალია?“. ჰკითხეთ კონკრეტულ მოსწავლეს და გამოიყენეთ მოლოდინის დრო პასუხის გაცემამდე;
4. განსაკუთრებული მინუსები არ აქვს გაკვეთილს იმ შემთხვევაში, თუ ის დაჯგუფებას ყოველთვის არ გამოიყენებს;
5. განსაზღვრულია მასწავლებლის ამოცანების მიხედვით. იცის თუ არა მასწავლებელმა, რა ხდება?
6. ამოწმებს თუ არა მასწავლებელი გაგების დონეს? ყოველთვის მუშაობენ თუ არა ბავშვები ერთსა და იმავე პრობლემაზე, ერთსა და იმავე დროს? განასხვავებს თუ არა მასწავლებელი თავის მაგალითებს?
7. ეს არის რუტინული სამუშაო. რა არის ამ საგანმანათლებლო აქტივობის მიზანი?
8. მასწავლებელი აყალიბებს სასურველ ქმედებას და აძლიერებს მოსწავლეებში აზროვნებას;
9. მასწავლებელი მოძრაობს და მოსწავლეებმა, როგორც ჩანს, იციან საკლასო რუტინის და პროცედურების შესახებ;
10. არ ცდილობს მოსწავლის დახმარებას და კიცხავს მას.

უპასუხეთ:

გააკრიტიკეთ თითოეული გაკვეთილის გეგმა ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების მიხედვით. განსაზღვრეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. იხილეთ უფრო დეტალური (და გაცილებით უკეთესი) გაკვეთილის მასალები ამ თავის ბოლოს.

გაკვეთილი #1: მეხუთე კლასი, ინკლუზიური, მეცნიერება

მიზანი: ვისწავლოთ წიაღისეულის შესახებ.

გააკეთეთ ახლა: წაიკითხეთ გვერდი 123 და 187.

მოტივაცია: გადაშალეთ წიგნი და წაიკითხეთ ხმამაღლა.

პროცედურა: განიხილეთ წიაღისეული, წაიკითხეთ თავი წიაღისეულის შესახებ, დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები, აჩვენეთ ფილმი წიაღისეულის შესახებ, გაეცით პასუხი დაფაზე მოცემულ კითხვებს.

შეკითხვები: როგორ წარმოიქმნება წიაღისეული და ა.შ.

საშინაო დავალება: უპასუხეთ შეკითხვებზე „ჰენდაუთის“ ფურცელზე 187-ე და 199-ე გვერდების შემდეგ მეცნიერების წიგნში.

გაკვეთილი #2: მეხუთე კლასი, ნიჭიერი მოსწავლეების კლასი, მეტყველების ხელოვნება

მიზანი: არგუმენტირებული წერის ცნების განსაზღვრა და არგუმენტირებული თხზულების დაწერა.

გააკეთეთ ახლა: უნდა გავყოთ თუ არა გაკვეთილი იმისთვის, რომ კლასის არ გადაივსოს?

მოტივაცია: გამოიყენეთ „გააკეთეთ ახლა“ მეთოდი და ჰკითხეთ მოსწავლეებს, თუ რას ნიშნავს გაყოფილი გაკვეთილი. შეამცირებს თუ არა ეს მეთოდი გადავსებას ჩვენს სკოლაში? რატომ კი და რატომ არა?

პროცედურა: როგორ დაარწმუნებთ სხვას, რომ თქვენი აზრი ჭეშმარიტია? როგორ ჩამოაყალიბებთ ამას თხზულების სახით?

ნაბიჯები:

1. წაიკითხეთ შეკითხვა ყურადღებით;
2. მოხაზეთ თქვენი აზრი;
3. გააკეთეთ მონახაზი;
4. მოიძიეთ ფაქტები;
5. შეარჩიეთ თემის სათაური;
6. შეარჩიეთ შემაჯამებელი წინადადება;
7. დაწერეთ პირველი ვერსია;
8. დაარედაქტირეთ;
9. დაწერეთ საბოლოო ვერსია.

საშინაო დავალება: დაწერეთ კლასში დაწყებული ესეს მეორე ვერსია. მოიყვანეთ სულ მცირე ოთხი არგუმენტი თქვენი აზრის განსამტკიცებლად.

შეფასება: შეამოწმეთ და გაიარეთ ესე კლასთან ერთად. მოსწავლეებს მიეცით საშუალება, წაუკითხონ ესე თანაკლასელებს.

გაკვეთილი #3: მერვე კლასი, საშუალოზე დაბალი, სოციალური მეცნიერებები

მიზანი: ამერიკის რევოლუციის გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ სწავლა.

მოტივაცია: მოსწავლეებს სთხოვეთ, გადაშალონ წიგნი 65-ე გვერდზე. უთხარით, რომ სურათზე ნაჩვენებია ჯორჯ კორნვალისი - ბრიტანელი მეთაური, რომელიც თავის არმიას მიუძღვის იორკთაუნიდან ჯორჯ ვაშინგტონთან ჩაბარების შემდეგ. აუხსენით, რომ ბენდი მღეროდა სიმღერას სახელწოდებით „ამოტრიალებული სამყარო“. ჰკითხეთ მოსწავლეებს: „თქვენი აზრით, რატომ ჩაბარდნენ ბრიტანელები? თქვენი აზრით, რაზე ფიქრობდა კორნვალისი?“ და ა.შ.

განვითარება: წააკითხეთ მოსწავლეებს 162-163 გვერდები. ჰკითხეთ, „რა გააკეთეს ამერიკელებმა, როდესაც ბრიტანელებმა ომი წამოიწყეს სამხრეთის შტატებში? ვინ იყო სვამ ფოქსი?“ სთხოვეთ მოსწავლეებს, აღწერონ ომის დასასრულს გამართული ბრძოლები. დაფაზე ჩამოწერეთ, რას ფიქრობენ მოსწავლეები. დაუსვით კიდევ უფრო მეტი სააზროვნო შეკითხვა.

შეჯამება: ჩამოაწერინეთ მოსწავლეებს ამერიკელების გამარჯვების მიზეზები, რომლებიც მოცემულია 163-ე გვერდზე.

საშინაო დავალება: წაიკითხეთ 163-ე და 164-ე გვერდები.

გაკვეთილი #4: მესამე კლასი, საშუალო, კითხვა

მიზანი: ძირითადი იდეის მოძიება.

მოტივაცია: აჩვენეთ მოსწავლეებს საინტერესო ისტორიული მოვლენების ფოტოსურათები და სთხოვეთ, განსაზღვრონ თითოეული მათგანის ძირითად აზრი.

ლექსიკონი: ჩამოწერეთ ათი ახალი სიტყვა დაფაზე და მოსწავლეებს ხმამაღლა წაუკითხეთ.

განვითარება:

1. თემის პირველი გვერდი ხმამაღლა წაუკითხეთ კლასს;
2. სთხოვეთ, რომ იპოვნონ ძირითადი აზრი;
3. სთხოვეთ სხვა მოსწავლეს წაიკითხოს შემდეგი გვერდი და გაიმეოროს იგივე პროცედურა;
4. მოსწავლეებს მიეცით საშუალება, უპასუხონ ძირითადი აზრის შესახებ კითხვებს, რომლებიც მათთვის დარიგებულ ჰენდაუთებზეა ჩამოწერილი - მათ შესაძლოა თემის ხელახლა გადაკითხვა მოუხდეთ;
5. წაიკითხეთ გამეორების თავი გვ. 34-46;
6. განიხილეთ საშინაო დავალება.

საშინაო დავალება: ჰენდაუთიდან ძირითადი აზრის სწავლა.

შეფასება: ორშაბათს შეამოწმეთ, იციან თუ არა ძირითადი აზრი.

გაკვეთილი #5: მეათე კლასი, საშუალო, ინგლისური

მიზანი: შექსპირის გაცნობა.

მოტივაცია: წაუკითხეთ მოსწავლეებს ნაწყვეტი ჰამლეტიდან და იმსჯელეთ, რატომ შეიძლება იყოს მოსაწყენი ეს ნაწარმოები მათთვის. განიხილეთ ზოგიერთი საინტერესო ელემენტი, რომელიც მოსწავლეებს მოსწონთ კიდეც.

პროცედურა:

1. ამოიწერეთ ნაწყვეტები ჰამლეტიდან.
2. წაუკითხეთ კლასს.
3. მონიშნეთ რელევანტური ნაწილები.
4. დასვით კითხვები.
5. გააკეთეთ ჩანაწერები სამუშაო ფურცელზე.

საშინაო დავალება: წაიკითხეთ ჰამლეტიდან პირველი ნაწილი და უპასუხეთ შეკითხვებს.

თითოეულ ზემოთ მოყვანილ გეგმას აქვს ხარვეზები: პირველ რიგში, მიზანი არ არის გამოკვეთილი, არ არის სწავლების სტილის შეცვლის მცდელობა, დეტალების ნაკლებობა. მომდევნო თავში იხილავთ გაცილებით უკეთეს გაკვეთილის გეგმის ნიმუშებს.

იდეები გაკვეთილის გეგმისთვის #3:

გაკვეთილის გეგმის ნიმუშები

გაკვეთილის ნიმუში #1

დიაგნოზი:

საგანი: **სოციალური მეცნიერებები**	**თემა: გეოგრაფია**	**კლასი: მესამე**
უნარები: განსხვავებული. 2 აზიელი, 4 ლათინო-ამერიკელი მოსწავლე, საშუალო უნარები. კლასში სულ 18 მოსწავლეა.		
დრო: 30 წუთი	შედეგი: მსოფლიოს კონტინენტების გაცნობა	

მიზანი: მოსწავლეებს ეცოდინებათ მსოფლიოს შვიდი კონტინენტის სახელი და შეეძლებათ კულტურული/ტერიტორიული ასოციაციური კავშირების დამყარება.

ამოცანები:

- მოსწავლეები ერთმანეთისაგან გაარჩევენ კონტინენტებს მათი ზომისა და ფორმის მიხედვით (ცოდნა);
- მოსწავლეები შეძლებენ ჩამოწერონ და აღწერონ კონტინენტების განსხვავებული ტერიტორიული ან კულტურული მახასიათებლები (გაგება);
- მოსწავლეები შეძლებენ შეადარონ და განასხვაონ ქვეყნების ტერიტორიული მოცულობა მათი მცირედან დიდისკენ დაყოფის გზით (ანალიზი).

იდეა: როგორია ცხოვრება სხვა კონტინენტზე?

წინარე ცოდნა: მოსწავლეებს აქვთ ცოდნა თავიანთი საცხოვრებელი ქალაქის და საზოგადოების შესახებ. ასევე იციან ნიუ ჯერსისა და ა.შ.შ.-ს ისტორიიდან ზოგიერთი ეპიზოდი.

დასაბუთება: ეს გაკვეთილი ხაზს გაუსვამს კონტინენტების ადგილმდებარეობას და მათ ატრიბუტებს სამყაროში. მოსწავლეებს მიაწვდის ცოდნას სამყაროსა და მისი ერთ-ერთი ნაწილის - ჩრდილოეთ ამერიკის მდებარეობის შესახებ.

სტანდარტები: დააკავშირეთ გაკვეთილი შტატთან, ქალაქთან ან ადგილობრივ სტანდარტებთან.

მოტივაცია: ვის უმოგზაურია აშშ-ს ფარგლებს მიღმა? ჰყავს თუ არა რომელიმე მოსწავლეს ოჯახის წევრი, რომელიც სხვა ქვეყნიდანაა? ირლანდია? პოლონეთი? სამხრეთ ამერიკა?

მასალები: გლობუსი, მსოფლიოს რუკა.

გააკეთეთ ახლა: დაასახელეთ სამი ადგილი აშშ-ს ტერიტორიების გარეთ.

სწავლების სტრატეგიები: (ცხრილი 4.2.).

ცხრილი 4.2.

_x_მთელი ჯგუფი	_x_პირდაპირი სწავლება	_x_პატარა ჯგუფი
_x_ჯგუფური სწავლება	__ტესტის წინ გამეორება	__მართული კითხვა
__განმავითარებელი გაკვეთილი	__გაზიარებული კითხვა	__მართული პრაქტიკა
__ორმხრივი სწავლება	__თანამშრომლობითი სწავლება	__ტესტის გაყალბება
_x_უნარების განვითარება	_x_ინდივიდუალიზებული სწავლება	__ხმამაღლა კითხვა
__წყვილებში კითხვა	__ტესტის შემდეგ გამეორება	__სხვა

პროცედურა: შინაარსის ცოდნა, ლინგვისტიკა (გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტი).

1. უმოგზაურია თუ არა რომელიმე თქვენგანს ამერიკის ფარგლებს გარეთ? არის თუ არა კლასში ვინმე ისეთი, რომელიც სხვა ქვეყნიდან არის ან ოჯახის წევრი ჰყავს ა.შ.შ.-ს ფარგლებს გარეთ? გქონდეთ დაფასთან რუკა და გლობუსი. პირველ რიგში, შევხედავთ რუკას და გლობუსს, განვიხილავთ, რა ვიცით უკვე ამ ორ რუკაზე და რომ ორივე მათგანი ერთსა და იმავე არეალს აჩვენებს.

2. შეუძლია თუ არა ვინმეს, დაასახელოს რომელიმე კონტინენტი? ამის შემდეგ განვსაზღვრავთ კონტინენტის დეფინიციას. შემდეგ ჩამოვწერთ შვიდი კონტინენტის სახელს დაფაზე და მოსწავლეებს გავამეორებინებ მათ სახელებს.

3. შეუძლია თუ არა ვინმეს, გაიხსენოს მელოდია ან სიმღერა, სადაც ამ სახელებს გამოვიყენებთ? თუ არა, მათ ჩემს სიმღერას ვუმღერებ (სიმღერა). ჩვენ ვიმღერებთ გუნდურად, რათა უკეთ დავიმახსოვროთ კონტინენტის სახელები.

4. კარგი, ბავშვებო, დახუჭეთ თვალები. წარმოიდგინეთ, რომ თვითმფრინავში ხართ და ეშვებით აზიაში. სანამ თვალებს გაახელთ, წარმოიდგინეთ, როგორი შეიძლება იყოს სამყაროს ეს ნაწილი... ხედავთ ადამიანებს? რა სახის საკვებით შეიძლება იკვებებოდნენ ისინი? კარგი, ახლა გაახილეთ თვალები. ვის შეუძლია მოყვეს, რაც დაინახა?

გაგება/ცოდნა: ლინგვისტიკა.

გავივლით იმ ადგილებს, რომელთა შესახებაც ბავშვებმა შესაძლოა იცოდნენ. მაგალითად, კენგურუ ავსტრალიაში გავრცელებული ცხოველის სახეობაა. ყავას ვიღებთ როგორც აფრიკიდან, ასევე სამხრეთ ამერიკიდან. ჩაი უმეტესად ინდოეთსა და ჩინეთშია გავრცელებული.

მათემატიკურ/ლოგიკური (გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის მიხედვით):

რუკაზე დაკვირვებით, რომელიმე თქვენგანს შეუძლია თქვას, რომელი კონტინენტია ყველაზე დიდი? ყველაზე პატარა?

მე ჩამოვაჭრი რამდენიმე ფორმას ა.შ.შ.-ს და ვკითხავ მოსწავლეებს თუ რამდენი ა.შ.შ. დაეტეოდა ერთ კონტინენტზე (თუ დრო მომცემს ამის საშუალებას).

ბავშვებო, რომელი კონტინენტია ყველაზე დიდი ტერიტორიის თვალსაზრისით? რომელია ყველაზე პატარა?

დასკვნა და შეჯამება: გავიმეორებთ შვიდ კონტინენტს, პირველ რიგში, სიმღერით. შემდეგ მოსწავლეები ერთი წუთის განმავლობაში დაწერენ თხზულებას იმის შესახებ, რა ისწავლეს და რამ დააინტერესათ.

საშინაო დავალება: თქვენი წარმოსახვით, დაწერეთ ესე სხვა კონტინენტზე მცხოვრები ბავშვის ერთი დღის შესახებ.

შეფასება: დააწერინეთ კლასს ერთი წუთის განმავლობაში თხზულება, სადაც გადმოცემული იქნება, თუ რა ისწავლეს და ყველაზე მეტად რამ გააძლიერა მათი ცნობისმოყვარეობა.

გაკვეთილის ნიმუში #2

დიაგნოზი: დღიური ათი გაკვეთილიდან მეცხრე. მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში აშშ-ს როლი. მოსწავლეების განსხვავებული შესაძლებლობები მოეპოვებათ. ამ გაკვეთილის ხანგრძლივობა დაახლოებით 40 წუთია და სამ ნაწილად იყოფა: 12 წუთი - ლექცია-დისკუსიისთვის, 13 წუთი - ჯგუფური აქტივობისთვის და 15 წუთი - საკლასო დისკუსიისთვის.

მიზანი: გაკვეთილი გადმოგვცემს იმ პერიოდის ისტორიულ მოვლენებს, როდესაც იაპონელები დანებდნენ მეორე მსოფლიო ომში. გაკვეთილი მოსწავლეებში აღძრავს კრიტიკულ დამოკიდებულებას აშშ-ის გადაწყვეტილების მიმართ ატომური ბომბის გამოყენების შესახებ. მოსწავლეები შეძლებენ, საკუთარი აზრი ნათლად ჩამოაყალიბონ.

იდეა: როგორ დასრულდა მეორე მსოფლიო ომი წყნარი ოკეანის აუზში?

ამოცანები: წყნარი ოკეანის აუზში მეორე მსოფლიო ომის ბოლო პერიოდის შესახებ მოკლე ლექციის მოსმენის შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში. ჯგუფური მუშაობის შემდეგ მოსწავლეები:

1. შეიტყობენ იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც ამ პერიოდში მოხდა (ცოდნა).
2. იმსჯელებენ მოვლენის შესახებ ფაქტობრივ და შეფასებით მასალაზე დაყრდნობით (გაგება და გამოყენება).
3. თავად გადაწყვეტენ, უნდა გამოეყენებინათ თუ არა ატომური ბომბი, ომის დასრულების ხელშესაწყობად.

დასაბუთება: კონკრეტული ისტორიული მოვლენის შესახებ ზოგადი ცოდნის გარდა, ეს გაკვეთილი გამოკვეთს კაცობრიობის წინაშე მდგარ უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელსაც მას ტექნოლოგიურად განვითარებული სამყარო ანიჭებს.

ლექსიკა:

- *„მსუქანი კაცი“* - კუნძულ ნაგასაკზე ჩამოგდებული მოკლე, კვერცხის ფორმის ბომბი.
- *„პატარა ბიჭი“* - კუნძულ ჰიროსიმაზე გამოყენებული თხელი რაკეტისებური ჭურვი.

მასალები: ვიდეოპროექტორი, ვიდეომაგნიტოფონი, ჰენდაუთების სახით წარმოდგენილი ფოტომასალა და ციტატები.

მოტივაცია: მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, იხილონ ვიდეო, რომელშიც ასახულია მეორე მსოფლიო ომის დასასრულისკენ განვითარებული მოვლენები.

სწავლების სტრატეგიები (ცხრილი 4.3.):

ცხრილი 4.3.

_X_მთლიანი ჯგუფი	_X_პირდაპირი სწავლება	_X_პატარა ჯგუფი
__ჯგუფური სწავლება	__ტესტის დაწყებამდე გამეორება	__ხელმძღვანელობა კითხვისას
__განმავითარებელი გაკვეთილი	__გაზიარებული კითხვა	__ხელმძღვანელობა პრაქტიკისას
__ორმხრივი სწავლება	__დახმარებით სწავლება	__ტესტის დახვეწა
_X_უნარების განვითარება	_X_ინდივიდუალიზებული სწავლება	__ხმამაღლა კითხვა
__წყვილში კითხვა	__ტესტის შემდეგ გამეორება	__სხვა

პროცედურა:

1. კლასის მომზადება დისკუსიისთვის მათი ნალის ფორმის განლაგებით (U);
2. მეორე მსოფლიო ომის ბოლო დღეების შესახებ გაკვეთილის დაწყება:

ა. გერმანიის კაპიტულაცია;

ბ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა განადგურდა; ტრუმენის წარმატება;

გ. პოტსდამის შეხვედრა;

დ. ბომბის წარმატებული გამოცდა.

ე. ტრუმენი ამტკიცებს ბომბის გამოყენების საჭიროებას:

- გენერლები ახსენებენ მას სასტიკ ბრძოლას/დანაკარგებს;
- მოსალოდნელი დანაკარგის პროგნოზი იმ შემთხვევაში, თუ აშშ შეიჭრება და არ გამოიყენებს ბომბებს;
- ბომბების დემონსტრაცია.

ვ. 6 აგვისტო - კუნძული ჰიროსიმა, 180,000 დაღუპული;

ზ. 8 აგვისტო - საბჭოთა კავშირი აცხადებს ომს იაპონიასთან;

თ. 9 აგვისტო - კუნძული ნაგასაკი, 70,000 დაღუპული;

ი. 15-22 აგვისტო - ფორმალური კაპიტულაცია/ცერემონია.

3. განადგურებული ქალაქების ფოტოების ჩვენება;
4. საკვანძო შეკითხვების დასმა: უნდა გამოყენებინათ თუ არა ბომბი? უნდა გამოეყენებინათ თუ არა მეორე ბომბი? რა ალტერნატივები არსებობდა? როგორ ფიქრობთ, რატომ არ აირჩიეს?
5. კლასი დაყავით სამ ჯგუფად:

ერთი ჯგუფი - ბომბების გამოყენების მომხრე;

მეორე ჯგუფი - შეჭრის მომხრე;

მესამე ჯგუფი - ნეიტრალური.

6. შექმენით როლები:

ჩამწერი - იდეებს წარმოადგენს წერილობითი სახით;

მენეჯერი - უზრუნველყოფს ჯგუფის წევრების ფოკუსირებას და მათ მიერ საკითხის გაგებას;
დამკვირვებელი - უზრუნველყოფს ჯგუფის ყველა წევრის ჩართულობას;
გონებრივად მოიერიშეები - უზრუნველყოფენ იდეების გაცნობას.

7. მიეცით ჯგუფებს საშუალება, იმუშაონ დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში იმისათვის, რომ ჩამოაყალიბონ არგუმენტები, რომლებითაც საკუთარ აზრს განამტკიცებენ და გაუმკლავდებიან მოსალოდნელ კრიტიკას.
8. თითოეული ჯგუფი დაიცავს საკუთარ მოსაზრებას და შეეცდება, გაუმკლავდეს სხვა ჯგუფებისგან მოსალოდნელ კრიტიკას. თითოეულ ჯგუფს მიეცემა შესაძლებლობა, ჩამოაყალიბოს აზრი და წამოაყენოს სულ მცირე - ერთი კრიტიკული მოსაზრება.
9. დასკვნა: თითოეული ჯგუფისგან ვერბალურად წარმოდგენილი მოკლე შეჯამება იმის შესახებ, თუ რა ისწავლეს.

საშინაო დავალება: მომდევნო დღის გაკვეთილის მომზადებისას წააკითხეთ მოსწავლეებს წიგნიდან პარაგრაფი, რომელიც ომის საფასურს, ადამიანსა და ფინანსებს ეხება.

შეფასება: საკლასო დისკუსიის გარდა, პარაგრაფის შემოწმების ნაწილს ექნება რიგი შეკითხვები და სავარჯიშოები, რომლებიც მოსწავლეთა ცოდნას შეამოწმებს.

გაკვეთილის ნიმუში #3

დიაგნოზი: მეშვიდე კლასის მეცნიერების დარგის მეორე გაკვეთილი „წვიმის ტყეების“ ბუნებრივი ზონის შესახებ. კლასში განსხვავებული შესაძლებლობის მქონე ბავშვები სწავლობენ (ინკლუზიური გარემო). 25 მოსწავლიდან 19 კლასის შესაბამის, სამი - უფრო მაღალ, ხოლო 3 - დაბალ საფეხურზეა. გაკვეთილი დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში გაგრძელდება.

მიზნები: მოსწავლეები ისწავლიან „წვიმის ტყეების“ ბუნებრივი ზონის შესახებ.

ამოცანები: ტროპიკული ტყეების ბუნებრივი ზონის მნიშვნელობის შესახებ ჰენდაუთების გაცნობისა და საკლასო აქტივობებში მონაწილეობის შედეგად, მოსწავლეებს შეეძლებათ:

1. გაიგონ მსოფლიოში არსებული „წვიმის ტყეების“ მნიშვნელობა (ცოდნა);
2. ამოიცნონ და იმჯელონ ტყეებთან დაკავშირებულ საკითხებზე (ცოდნა და გაგება);
3. გაითამაშონ განსხვავებული პოზიციები „წვიმის ტყის“ გამოყენების შესახებ (გამოყენება);
4. ამოიცნონ და განიხილონ წინააღმდეგობრივი ფაქტები (გაგება).

იდეა: რატომ არის „წვიმის ტყე“ ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანი?

დასაბუთება: ეს გაკვეთილი ხაზს გაუსვამს „წვიმის ტყეების“ მნიშვნელობას მსოფლიოს მთელი მოსახლეობისთვის. ის ყურადღებას გაამახვილებს ყველა ადამიანს შორის

ურთიერთდამოკიდებულების იდეაზე და მოსწავლეებს დააფიქრებს გარემოს გამოყენებაზე.

ლექსიკონი: მოსწავლეებმა ახალი სიტყვები წინა გაკვეთილში ისწავლეს.

მასალები: საკითხავი ჰენდაუთები, ფაქტების ფურცლები, საშინაო დავალების ფურცლები.

მოტივაცია: წარმოადგინეთ „წვიმის ტყის“ პროდუქტები (ბანანები, ბრაზილიური თხილი). დაფაზე დაწერილია მაიას ტომების ანდაზა: „ვინც ხეს ჭრის, ის საკუთარი სიცოცხლის ნაწილს თმობს.“

გააკეთეთ ახლა: წაიკითხეთ ჰენდაუთი: „რატომ არის „წვიმის ტყეები“ მნიშვნელოვანი...“, გვერდები 142 და 143 და წაიკითხეთ ფაქტების ფურცელი:

- სულიერი არსებების 5,096 %-ზე მეტი „წვიმის ტყეებში“ ცხოვრობს.
- ბავშვებში გავრცელებული დაავადების, ლეიკემიის ერთ-ერთი სამკურნალო ნივთიერება „წვიმის ტყეებში“ მოიპოვება, სახელწოდებით: „ვარდისფერი კატარანტუსი“.

სწავლების სტრატეგიები: (ცხრილი 4.4.)

ცხრილი 4.4.

_X_მთლიანი ჯგუფი	_X_პირდაპირი სწავლება	__პატარა ჯგუფი
_X_ჯგუფური სწავლება	__ტესტის დაწყებამდე გამეორება	__ხელმძღვანელობა კითხვისას
__განმავითარებელი გაკვეთილი	__გაზიარებული კითხვა	__ხელმძღვანელობა პრაქტიკისას
_X_ორმხრივი სწავლება	_X_დახმარებით სწავლება	__ტესტის დახვეწა
_X_უნარების განვითარება	__ინდივიდუალიზებული სწავლება	__ხმამაღლა კითხვა
__წყვილში კითხვა	__ტესტის შემდეგ გამეორება	__სხვა

პროცედურა:

1. დაწერეთ დაფაზე *წვიმის ტყეები.* ჰკითხეთ მოსწავლეებს, რას ფიქრობენ, როდესაც ამ სიტყვებს ხედავენ (ხეები, ვაზი, ორქიდეები, ცხელი, სველი, მაიმუნები).
2. დასვით ძირითადი შეკითხვა: როგორ ზეგავლენას მოახდენს თქვენს ცხოვრებაზე „წვიმის ტყეების“ გაქრობა? სხვაგვარი ნალექები, გაუდაბნოება, შეცვლილი ტემპერატურა და ა.შ.
3. გაყავით კლასი ორ ნაწილად. ერთი ჯგუფი წვიმის ტყეების გაქრობის მომხრე, ხოლო მეორე - მოწინააღმდეგეა.
4. განუმარტეთ როლები მოსწავლეებს.

ა. თუ წვიმის ტყეების გაჩეხვა გსურთ ვინ იქნებოდით (ფერმერი, მიწის მფლობელი)?

ბ. თუ მისი დაცვა გსურთ (მეცნიერი, ბუნების დამცველი)?

5. სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩამოაყალიბონ არგუმენტები საკუთარი პოზიციის დასაცავად.
6. პასუხები ორ რიგად დაწერეთ დაფაზე.
7. დასვით საკვანძო შეკითხვა: *შესაძლოა თუ არა ყველა ეს ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი ერთდროულად ჭეშმარიტი იყოს?*
8. სამ ან ოთხ ჯგუფად დაყავით მოსწავლეები და ამსჯელეთ, რა ხერხებით შეიძლება „წვიმის ტყეების“ შენარჩუნება. სთხოვეთ ბავშვებს, ჩამოწერონ ის ხერხები, რომელიც უკვე ისწავლეს და ამჯერად საშინაო დავალების შესასრულებლად გამოიყენებენ.
9. წინა გაკვეთილის გამეორება:

ა. ეკვატორთან ახლოს;

ბ. ნოტიო და თბილი კლიმატი;

გ. სეზონებს მხოლოდ ნალექის რაოდენობა განასხვავებს ერთმანეთისგან;

დ. ნიადაგის სამი შრე;

ე. საცხოვრებელი მცენარეებისა და ცხოველებისათვის;

ვ. შესაძლოა, მეცნიერებმა ახალი, სარგებლობის მომტანი, სახეობები აღმოაჩინონ;

ზ. არეგულირებს დედამიწის კლიმატს.

საშინაო დავალება: საშინაო დავალების რვეულებში ჩამოწერეთ კითხვები სამეცნიერო ჟურნალისთვის; დამხმარედ გამოიყენეთ ფურცელზე ჩამოწერილი წვიმის ტყის პროდუქტების სია და დაიწყეთ ჯგუფური დისკუსია.

1. წვიმის ტყის რომელი პროდუქტების შეგროვებაა შესაძლებელი მცენარეების დაზიანების გარეშე?
2. რა ცვლილებები მოხდება დედამიწაზე, თუ წვიმის ტყეების გაჩეხვა არ შეწყდება?
3. როგორ შეიძლება გადავარჩინოთ წვიმის ტყეები?

შეფასება: შეამოწმეთ საშინაო დავალების რვეულებში ჩაწერილი ცნებები. მიეცით მოსწავლეებს საშუალება, გააცნონ საკუთარი აზრი კლასს.

გაკვეთილის გეგმა #4 და #5 საუკეთესო ნიმუშებია (რომლებიც ჩემმა ორმა ძველმა სტუდენტმა მომაწოდა და მათი ნებართვით გამოვაქვეყნე). დააკვირდით ელემენტებს და დეტალებს, რომლებიც მათ წარმოგვიდგინეს გაკვეთილის გეგმებში - ნამდვილად შთამბეჭდავია!

გაკვეთილის ნიმუში #4

ავტორი ანისა ენკევიცი

გაკვეთილის სახელწოდება: „წვიმის ტყეების“ ცხოველები მთელ მსოფლიოში.

სამიზნე ჯგუფი: მესამე კლასი, 24 მოსწავლე: 19 ზოგადი ხოლო 5 სპეციალური განათლების მიმართულებისა.

ამოცანები:

- მოსწავლეებს ეცოდინებათ, სად მდებარეობს „წვიმის ტყეები“ (ცოდნა);
- მოსწავლეები საკლასო დისკუსიის დროს შეადარებენ და ერთმანეთისაგან განასხვავებენ წვიმის და სხვა ტიპის ტყეებს (ანალიზი);
- მოსწავლე ჩამოაყალიბებს დეტალურ დახასიათებას თავისივე სურვილით არჩეულ წვიმის ტყის ცხოველზე. მოსწავლე დაახასიათებს ცხოველს იმის მიხედვით, თუ სად და რატომ ბინადრობს, რით იკვებება, რა თვისებები აქვს და ა.შ. (გაგება);
- მოსწავლე წარმოადგენს შემენილ ცოდნას, თავისი სურვილით არჩეული ცხოველის შესახებ კლასისთვის მისი გაცნობის გზით (გამოყენება).

კონცეპტი/ძირითადი იდეა/გაკვეთილის მიზანი: ახალი პარაგრაფის გაცნობა.

მიზანი: რა ვიცი წვიმის ტყეების და მასში მცხოვრები ცხოველების შესახებ?

მოსწავლეები გამოარკვევენ, თუ სად მდებარეობს წვიმის ტყეები დედამიწაზე და რომელი ცხოველები სახლობენ მასში. მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცემათ, დეტალურად შეისწავლონ ერთი რომელიმე ცხოველი, საკითხის - თუ როგორ ცხოვრობს და მოქმედებს ცხოველი საკუთარ ბუნებრივ საცხოვრებელში - უფრო ღრმად გააზრებისთვის.

სწავლების სტანდარტები:

(ნიუ იორკის შტატის სასწავლო სტანდარტები)

4.1 ცოცხალი არსებები ჰგვანან და განსხვავდებიან ერთმანეთისა და უსულო საგნებისაგან;

4.2 ორგანიზმები ქმნიან დინამიურ წონასწორობას, რაც სიცოცხლის საწყისია;

4.6 მცენარეები და ცხოველები ერთმანეთსა და საკუთარ ფიზიკურ გარემოზე არიან დამოკიდებულნი.

ბგსა სტანდარტები:

2.1 კითხვა, წერა და მეტყველება;

2.2 მეცნიერება;

2.4 სოციალური მეცნიერებები;

3.1 ცოდნის ინტეგრირება და გამოყენება სწავლებისთვის;
3.2 განსხვავებული მოსწავლეების ადაპტაცია;
3.4 სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობა;
3.5 თანამშრომლობა ურთიერთობის ხელშეწყობისთვის;
4.0 შეფასება სწავლებისთვის;
5.1 პროფესიული ზრდა, რეფლექსია და შეფასება.

სწავლების სტრატეგიები და აქტივობები: გაკვეთილის ახსნისას გამოიყენებს ინტერაქციას (მოსწავლეები რუკაზე მონიშნავენ შესაბამის ადგილებს) და ჯგუფურ დისკუსიას (მოსწავლეები ერთმანეთს გაუზიარებენ იმ ცხოველების სიას, რომლებიც წინარე ცოდნის საფუძველზე შეადგინეს). ასევე, მასწავლებელი გამოიყენებს წყვილში და ინდივიდუალურ მუშაობას (ინდივიდუალური სურვილის გათვალისწინებით). ისინი გამოიყენებენ წყვილში მუშაობის მეთოდს „გააკეთეთ ახლა“. შემდგომ ერთმანეთს გაუზიარებენ პასუხებს. ფილმის ყურების შემდეგ მოსწავლეები ჩაერთვებიან ჯგუფურ დისკუსიაში, განიხილავენ, თუ რა ნახეს. შეადარებენ მათთვის ნაცნობ მოვლენებს (წვიმის ტყეებს ნიუ იორკისა და ნიუ ჯერსის ტყეებს). სურვილის მიხედვით, მათ ასევე შესაძლებლობა ექნებათ, იმუშაონ მეწყვილესთან ერთად. აქტივობისას მასწავლებელი კლასში იმოძრავებს და დაეხმარება პატარა ჯგუფებს ნებისმიერი გაურკვევლობის დროს. გაკვეთილის დამთავრებისას მოსწავლეები ჩაერთვებიან დისკუსიაში და ერთმანეთს გაუზიარებენ შემენილ ცოდნას. მოსწავლეებს შეუძლიათ დასვან შეკითხვები, რის შედეგადაც ერთმანეთის ნამუშევარს შეაფასებენ და ისწავლიან ერთმანეთისაგან.

გაკვეთილის შესავალი/გააკეთეთ ახლა: მოსწავლეები გაკვეთილს დაფაზე დაწერილი დავალების შესრულებით და კლასისთვის ხმამაღალი გაცნობით დაიწყებენ.

- „გააკეთეთ ახლა“: თქვენი აზრით, რა სახეობის ცხოველები ცხოვრობენ წვიმის ტყეებში? ჩამოწერეთ სია.
- მოსწავლეებს მიეცემათ რამდენიმე წუთი მოსაფიქრებლად და რვეულში პასუხების ჩამოსაწერად. რამდენიმე წუთის შემდეგ მოსწავლეები თავის მეზობლებთან გაცვლიან იმ ცხოველების სახელებს, რომლებიც მეწყვილემ ვერ დაასახელა და განიხილავენ ნებიმიერ ცხოველს, რომელშიც დარწმუნებულნი არ არიან.

სასწავლო აქტივობები:

მასწავლებელი იწყებს: „სანამ უშუალოდ „გააკეთეთ ახლა“ სავარჯიშოზე გადავიდოდეთ, მოდით, ნათლად გავიაზროთ, ზუსტად სად მდებარეობს წვიმის ტყეები ჩვენს პლანეტა - დედამიწაზე?“ ამის შემდგომ მასწავლებელი რამდენიმე მოსწავლეს რუკასთან გამოსვლას სთხოვს და მოახაზვინებს იმ ადგილებს, სადაც, მათი აზრით, წვიმის ტყეები მდებარეობს.

ამის შემდეგ, მასწავლებელი ჩართავს პროექტორს და მოსწავლეებს განსხვავებული ფერით აჩვენებს იმ ადგილებს, სადაც წვიმის ტყეებია. შესაძლოა, რუკა იყოს ამ ვებ-გვერდზე განთავსებული ნიმუშის მსგავსი: http://www.srl.caltech.edu/presonnel/krubal/rainforest/Edit560s6/ www/where/html. შესაძლოა, რუკა ამოიბეჭდოს მეტი ხილვადობისთვის.

მას შემდეგ, რაც რუკაზე წვიმის ტყეების მდებარეობას განსაზღვრავენ, მასწავლებელი კიდევ ერთხელ მისცემს შესაძლებლობას მოსწავლეებს, ჩამონათვალს დაამატონ ცხოველი, რომელიც, მათი აზრით, წვიმის ტყეებში უნდა ცხოვრობდეს.

ამის შემდგომ კი მასწავლებელი გადავა მომდევნო აქტივობაზე, რომელსაც „გააკეთეთ ახლა“ ჰქვია. მოსწავლეები ხელის აწევით გააცნობენ კლასს ცხოველების ჩამონათვალს. სწორი პასუხები მოსწავლეებს შეუძლიათ რვეულში საკუთარ ჩამონათვალს დაუმატონ, ასევე, შეუძლიათ გადახაზონ არასწორად დასახელებული ცხოველები. შედეგად, მოსწავლეებს ექნებათ წვიმის ტყეებში მობინადრე ცხოველების გრძელი სია საკუთარ რვეულებში.

ამ აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები უყურებენ 15-20 წუთიან ვიდეო-კლიპს „ტროპიკული წვიმის ტყეები“, რომელიც Discovery-ის მიერაა შექმნილი. ვიდეოს ხილვის შემდეგ, განიხილავენ, თუ რა ნახეს ზოგიერთი ცხოველის გადარჩენის, ცხოველების მიერ საკვების მიღების განსხვავებული წესების, ცხოველებისა და მცენარეების გარეგნული მახასიათებლების და ა.შ. ჩათვლით. მასწავლებელი კი დასვამს შემდეგი ტიპის შეკითხვებს:

ა. აღმიწერეთ წვიმის ტყეებში მცხოვრები მწერებისა და რეპტილიების ფერები/ტიპები;

ბ. შეუძლია ვინმეს, დამიხასიათოს ზოგიერთი მცენარის იერსახე (მგ. ღია მწვანე, გარდამავლი ფერის, ძალიან წყლიანი)?

გ. როგორი ხმებია დამახასიათებელი წვიმის ტყეებისთვის (მგ. წყლის, ჩიტების, ცხოველების და ა.შ.)?

დ. არის თუ არა რაიმე სახის წყალი წვიმის ტყეებში? რა სახით (მდინარეები, ლაგუნა და ა.შ.)?

ე. რა განსხვავებაა წვიმის ტყეებს, რომლებსაც ფილმებში ვხედავთ, და ჩვენ გარშემო არსებულ ტყეებს შორის (ნიუ ჯერსის და ნიუ იორკის ტყეები)?

ვ. მომიყევით ზოგიერთი ცხოველის შესახებ, რომელიც დაინახეთ. რა განსხვავებაა წვიმის ტყეების ბინადარ და ჩვენ გარშემო მცხოვრებ ცხოველებს შორის? ფიქრობთ თუ არა, რომ ზოგიერთი ცხოველი, რომელიც ჩვენთან ახლოს ცხოვრობს, შესაძლოა წვიმის ტყეებშიც ცხოვრობდეს?

წვიმის ტყეების შესახებ დისკუსიის შემდეგ მასწავლებელი განმარტავს ახალ აქტივობას. კლასი შექმნის წვიმის ტყეების ცხოველების არქივს. მოსწავლეებმა უნდა

აირჩიონ წვიმის ტყის ბინადარი ერთი ცხოველი, რომელიც ან დღეს ნახეს, ან მანამდე შექმნილ ჩამონათვალში შეიტანეს, და გამოიკვლიონ ამ ცხოველის შესახებ. მათ შეუძლიათ გამოიყენონ ის ენციკლოპედიები და წიგნები, რომლებიც მასწავლებელმა დაუსახელა, ან ისეთი ჟურნალები, რომლებიც კლასში გაქვთ, როგორიცაა, მაგ. „ნეიშენალ ჯეოგრაფიკი“. ასევე, შესაძლებელია ისეთი სამეცნიერო ინტერნეტ-წყაროების გამოყენება, რომლებიც ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია. მასწავლებელს მზად ექნება ჰენდაუთი იმ ადგილის შესახებ, რომლის ბინადარი ცხოველიც უნდა გამოიკვლიოს მოსწავლემ.

ჰენდაუთის შინაარსი

ა. მოიძიეთ ცხოველის ზომის ან სხვა ფიზიკური მახასიათებლის, როგორიცაა კანის/ბეწვის ფერი, კუდი/უკუდო, შესახებ ინფორმაცია, რომელიც დაგვეხმარება ცხოველის შესახებ უფრო ნათელი სურათის შექმნაში.

ბ. მოიძიეთ, რისგან შედგება ცხოველის რაციონი (ყველა საჭმელი, შესაძლოა მცენარეები, მწერები, ვირთხები და ა.შ.). თუ შესაძლებელია, მოიძიეთ, როგორ მოიპოვებენ საკვებს, ნადირობენ დილას ან საღამოს და ა.შ.

გ. გამოიკვლიეთ, რომელ კონტინენტზე ბინადრობს ეს ცხოველი (წვიმის ტყეები არსებობს ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, ავსტრალიასა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში). თან დაურთეთ ამ კონტინენტების სურათიც.

დ. მოიძიეთ ნებისმიერი ინფორმაცია, რაც შეგიძლიათ, მათი მახასიათებლების შესახებ. უვლიან თუ არა პატარებს? სძინავთ დღისით თუ ღამით? გადაადგილდებიან ჯგუფურად თუ ინდივიდუალურად? ეთამაშებიან თუ არა ერთმანეთს? ნებისმიერი დეტალური, საინტერესო ფაქტი, რომელსაც მოიძიებთ, შესანიშნავი იქნება!

როგორც კი მოიძიებენ ინფორმაციას, უნდა დასხდნენ კომპიუტერთან და შექმნან ვორდის დოკუმენტი ცხოველის შესახებ. მოსწავლეებს შეუძლიათ ფურცლის თავში დაწერონ ცხოველის სახელი და გაამდიდრონ ნამუშევარი ფერადი ფოტომასალით! მოსწავლეებმა უნდა აკრიფონ მათი კვლევის შედეგად შედგენილი ტექსტი, რომელიც არ უნდა იყოს ძალიან ჩახლართული, რომ მოსწავლეებმა დიდი დრო არ დახარჯონ მის აკრეფაში. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ერთიდაიმავე ცხოველზე არ იმუშაონ მათ უნდა დაწერონ ფურცელზე ცხოველის სახელწოდება და დაფაზე გააკრან. მისასალმებელია ცხოველების ნაცვლად მწერების ან რეპტილიების კვლევაც. გამოსაკვლევ ცხოველებში შეიძლება შედიოდეს ობობა, მაიმუნი, იაგუარი, კოლიბრი, კოდალა, იგუანა, შხამიანი ბაყაყი, ელექტრული გველთევზა, ჩანთოსნები, სამეფო პეპელა, ვეფხვები, ხის მწერიჭამია, მთვარის ვირთხა, შიმპანზე, გორილა ან ჰიპოპოტამი. ეს მხოლოდ მოკლე ჩამონათვალია იმ უზარმაზარი არჩევანისა, რომლის გაკეთებაც მოსწავლეებს შეუძლიათ.

როგორც კი მოსწავლეები მუშაობას დაიწყებენ, მასწავლებელი კლასში იმოძრავებს და დაეხმარება ყველას მოსწავლეს, რომელსაც ამის საჭიროება ექნება. იმ მოსწავლეებს კი, რომლებმაც სწრაფად მოახერხეს დავალების შესრულება, წაახალისებს, მოიძიონ კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია საკითხის ღრმა შესწავლისათვის. ამავდროულად,

მასწავლებელმა უნდა გააკონტროლოს, რომ ბავშვები დავალების შესრულებისას არ აღმოჩნდნენ ისეთ ვებგვერდზე, რომელიც არ შეიცავს დაზუსტებულ ინფორმაციას. როგორც კი მუშაობას დაასრულებენ, ბავშვებს შეუძლიათ ამობეჭდონ ნამუშევარი ორ ეგზემპლარად: ერთს ჩააკრავენ წვიმის ტყის ცხოველთა არქივში, ხოლო მეორეს - საკუთარ პორტფოლიოში.

გაკვეთილის დასრულება/გადასვლა:

დასრულება: როგორც კი გაკვეთილი დასრულდება, მოსწავლეები კვლავ ერთად დასხდებიან და ინფორმაციას გაუზიარებენ ერთმანეთს. მოსწავლეებს შეუძლიათ, დაუსვან ერთმანეთს შეკითხვები და გაცვალონ ფურცლები, რათა ყველამ ნახოს ცხოველების ფოტოები.

გადასვლა: შემდეგ საგანზე გადასვლამდე მოსწავლეები ფურცელზე დაწერენ ერთ ან ორ საინტერესო ფაქტს, რაც ისწავლეს წვიმის ტყეებში მცხოვრები ცხოველის შესახებ და გადააწოდებენ მასწავლებელს. ამის შემდეგ დაუბრუნდებიან საკუთარ ადგილებს და მოემზადებიან შემდეგი გაკვეთილისთვის.

რესურსები: უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება, უყურონ ვიდეოს, რათა მიიღონ უკეთესი ვიზუალური აღქმა წვიმის ტყეების შესახებ.

შემდგომ კი ექნებათ არჩევანის შესაძლებლობა, ინფორმაცია მოიძიონ ინტერნეტის საშუალებით ან წიგნებით თუ ენციკლოპედიებითა და ამგვარი წყაროებით.
მოსწავლეები გამოიყენებენ ვორდის პროგრამას წვიმის ტყის ცხოველების შესახებ საარქივო ფურცლის შესაქმნელად. სამუშაოს დასრულების შემდეგ, ამობეჭდილ ვარიანტს კლასს გააცნობენ და მოათავსებენ ბაინდერში, ასლი მოთავსდება მოსწავლის პირად პორტფოლიოშიც.

შეფასება: მასწავლებელი ცოდნას შეამოწმებს იმის მიხედვით, თუ რომელ მოსწავლეებს გაუჩნდებათ რუკაზე გამოსვლის და წვიმის ტყეების მონიშვნის სურვილი, ასევე, მასწავლებელი გააკონტროლებს, სწორად აქვთ თუ არა ბავშვებს შესრულებული დავალება არქივში, სადაც შესაბამისი კონტინენტის ფოტოებზე შემოხაზულია შესაბამისი ადგილები.

მასწავლებელს ჯგუფური დისკუსიის დროს შესაძლებლობა ექნება, შეამოწმოს მოსწავლეთა აზროვნება, იპოვოს მსგავსებები და განსხვავებები ჩვეულებრივი და წვიმის ტყის მახასიათებლებს შორის. ეს იქნება არაფორმალური დაკვირვება, თუმცა ცალკე გაკვეთილზე განხილული იქნება საკითხი უფრო ღრმად, რადგან გაზიარებული იქნება გაცილებით მეტი ინფორმაცია.

მასწავლებელი ნათლად დაინახავს, რა ისწავლეს მოსწავლეებმა მათივე ნამუშევრის მიხედვით, რომელიც წვიმის ტყეების შესახებ ბაინდერში იქნება მოთავსებული. ისინი

შეფასებულნი იქნებიან შემდეგი შეფასების მიხედვით: 6/6 იქნება საუკეთესო შეფასება (6=A, 5=A-, 4=B, 3=B-, 2=C, 1=D, 0=F).

წვიმის ტყეების ცხოველების შესახებ არქივის შეფასება:

	ძალიან კარგი (3)	დამაკმაყოფილებელი (2)	დასახვეწი (1)
შინაარსი	მოსწავლეს აქვს საფუძვლიანი ცოდნა წვიმის ტყეების ცხოველების შესახებ და მან მოიცვა დავალების ფარგლებში მოთხოვნილი ინფორმაცია.	მოსწავლემ წარმოადგინა მოთხოვნილი ინფორმაციის უმეტესი ნაწილი, მაგრამ არც თუ ისე დეტალურად.	მოსწავლემ არ ჩაატარა შესაბამისი კვლევა და წარმოადგინა მინიმალური ინფორმაცია.
ვიზუალი	მოსწავლემ საუკეთესო ვიზუალური ნამუშევარი შექმნა: გამოიყენა უამრავი ფერი და კრეატიულობა. მოსწავლემ ნამუშევარში ჩართო იმ კონტინენტების ფოტოებიც, რომლებზეც ეს ცხოველები ბინადრობენ.	მოსწავლემ რამდენიმე ფოტო ჩართო ვიზუალიზაციისთვის. მოსწავლემ ასევე გამოიყენა იმ კონტინენტების ფოტოებიც, რომლებზეც ეს ცხოველები ბინადრობენ.	მოსწავლემ გამოიყენა მინიმალური რაოდენობის ფოტო და არ ჩართო კონტინენტის ფოტოები.

მასწავლებელს შესაძლებლობა ექნება დაინახოს, რა ისწავლეს მოსწავლეებმა, როდესაც ისინი ნამუშევარს წვიმის ტყეების ცხოველების შესახებ წარუდგენენ კლასს. ასევე, მასწავლებელს ამის საშუალება კლასში მოსწავლეების ინდივიდუალური დახმარებისას ექნება. შეფასების ეს ხერხები არაფორმალური იქნება.

წყაროები:

კოლი, Col, J. (1996). *Enchanted Learning.* ნანახია თებერვალში 12, 2008, http://www.enchantedlearning.com/subjects/rainforest/animals/Sampling.shtml

Houghton Mifflin Company. (n.d.). *Make a habitat fact file.* ნანახია თებერვალში 12, 2008, from http://www.eduplace.com/activity/3_4_act1.html MT & PK Productions. (n.d.). *Where are the rainforests.* ნანახია თებერვალში 11,2008, from http://www.srl.caltech.edu/personnel/krubal/rainforest/Edit560s6/www/where.html

CEC უზრუნველყოფა: იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც დამატებითი დახმარება ესაჭიროებათ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე შეიძლება გაკეთდეს მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. შესაძლოა დავაწყვილოთ იმ მოსწავლესთან ერთად, რომელიც მომთმენია, კარგი ახსნის უნარითაა დაჯილდოვებული, მზად არის, დაეხმაროს მეგობარს და აუხსნას საკითხი. მასწავლებელი გამოიყენებს დამატებით დროს მოსწავლეებისთვის მიმართულების მიცემის მიზნით, თუ საჭირო გახდა და დარწმუნდება, რომ ყველა მოსწავლე შესაბამისადაა განთავსებული საკლასო ოთახში. მოსწავლეებს, რომლებსაც დამატებითი დრო სჭირდებათ პროექტების დასრულებისთვის მიეცემათ იგი გაკვეთილის დასრულებისას ან მომდევნო დღეს დილის სამუშაოების შესრულებისას. ნებისმიერი დახმარება, რომელსაც მოსწავლეს აღმოუჩენენ, არის ***ერთი ერთზე სტრატეგია***. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მუშაობას დაასრულებენ და დარწმუნებულები იქნებიან საკუთარი ნაშრომის სრულყოფილებაში, შეუძლიათ ისინი ერთმანეთს გაუზიარონ!

გთავაზობთ მარისას კომენტარებს მის გეგმასთან დაკავშირებით:

შეგიძლიათ თამამად გამოიყენოთ ზემოთ მოცემული გაკვეთილის გეგმა. ეს არაჩვეულებრივი იქნება! თუმცა, გარკვეული იდეები და ცნებები ავიღე ვებგვერდებიდან, რომლებიც აღნიშნულია გეგმაში. ქვემოთ მოყვანილმა ორმა ბმულმა განსაზღვრა ჩემი გაკვეთილის გეგმის ისეთი სახე, როგორიც ზემოთაა წარმოდგენილი. მათ მხოლოდ ძირითადი აზრი მიკარნახეს; ისინი გაკვეთილის სრულ გეგმას არ წარმოადგენენ, არამედ მხოლოდ იდეებს აწვდიან მასწავლებლებს:

http://www.eduplace.com/activity/3_4_act1.html
http://www.eduplace.com/activity/amazon.html

გაკვეთილის ნიმუში #5

ავტორი ლორა პოლოკი

გაკვეთილის სახელწოდება: „რა გქვია?“
სამიზნე ჯგუფი: პირველი კლასი - წერა-კითხვა.
ამოცანები: მოსწავლეებს ექნებათ უნარი:

- გაიხსენონ საკუთარი სახელები (ცოდნა).
- განასხვავონ კლასელები ერთმანეთისაგან სახელების დახმარებით (გაგება).
- შექმნან მაგიდის ბეიჯი ვორდის პროგრამის გამოყენებით (სინთეზი).
- დაუხასიათონ თავიანთი მაგიდის ბეიჯი კლასს (შეფასება).

კონცეპტი/ძირითადი იდეა/ გაკვეთილის მიზანი: გაკვეთილის მიზანია, მოსწავლეებში გაზარდოს წერა-კითხვის უნარები და დაეხმაროს მათ, შექმნან მაგიდის ბეიჯი-საოფისე

პროგრამის Word-ის გამოყენებით, რომლითაც მთელი წლის განმავლობაში ისარგებლებენ.

სწავლების სტანდარტები:

ნიუ იორკის წერა-კითხვის სტანდარტები

კითხვის სტანდარტი პირველი კლასისთვის ***1: კითხვის ჩვევები***

- **კითხვა დამოუკიდებელად და დახმარებით** -„მოსწავლეებს შეეძლებათ წაიკითხონ საკუთარი დაწერილი სიტყვები და ხანდახან მათი თანაკლასელების ნაწერიც“ და „წაიკითხონ ფუნქციური გზავნილები, რომლებიც კლასშია განთავსებული (მაგალითად: ეტიკეტი, ნიშნები, ინსტრუქციები).“

კითხვის სტანდარტი პირველი კლასისთვის 2: მნიშვნელობის გაგება

- **გაგება**-მოსწავლეებს შეეძლებათ „საკუთარი სიტყვებით აღწერონ თუ რა გაიგეს ტექსტიდან“ და „უპასუხონ გააზრების კითხვებს, რომლებიც საბავშვო ბაღის დონეზე არსებულის მსგავსია“.

კითხვის სტანდარტი პირველი კლასისთვის 3: ხმოვანი კოდი

- **ფონემური ცოდნა**: მოსწავლეებს ექნებათ უნარი, „განასხვაონ ბგერები ერთმანეთისგან მათი ხმამაღალი გამეორების გზით“ და „შეაერთონ განცალკევებული ფონემები სიტყვის მისაღებად“.

წერის სტანდარტი პირველი კლასისთვის 2: წერის დანიშნულება და ჟანრების წარმოშობა

- *შესრულება: ფუნქციური წერა* - მოსწავლეებს შეეძლებათ „ამოიცნონ, მონიშნონ ან დაამტკიცონ ობიექტები ან ადგილები“.

წერის სტანდარტი პირველი კლასისთვის 3: ენის გამოყენება და წესები

- პუნქტუაცია, მართლწერა და სხვა წესები - მოსწავლეები შეძლებენ, „გამოავლინონონ ინტერესი და ცოდნა ... შესაბამისი სახელების მართლწერის საშუალებით“.

ბავშვის განათლების საერთაშორისო ასოციაციის (ბგსა) სტანდარტები:

ბგსა-ს სტანდარტი 1.0: განვითარება, სწავლა და მოტივაცია.

ბგსა-ს სტანდარტი 2.1: კითხვა, წერა და მეტყველება.

ბგსა-ს სტანდარტი 2.5: ხელოვნება.

ბგსა-ს სტანდარტი 3.1: ცოდნის გამოყენება და ინტეგრირება სწავლების პროცესში.

ბგსა-ს სტანდარტი 3.2: განსხვავებული შესაძლებლობების და კულტურული ფონის მქონე მოსწავლეებთან ადაპტაცია.

ბგსა-ს სტანდარტი 3.3: კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარება.

ბგსა-ს სტანდარტი 3.4: საგაკვეთილო პროცესში აქტიური ჩართულობა.

ბგსა-ს სტანდარტი 3.5: კომუნიკაციის წარმოება ურთიერთთანამშრომლობის ხელშესაწყობად.
ბგსა-ს სტანდარტი 4.0: შეფასება.
ბგსა-ს სტანდარტი 5.1: პროფესიული ზრდა, რეფლექსია, შეფასება.

სწავლების სტრატეგიები და აქტივობები:

ეს გაკვეთილი მოიცავს დამოუკიდებელ სამუშაოს (მაგიდის ბეიჯის დეკორაცია, სამუშაო რვეულის აქტივობა და ა.შ.), ჯგუფურ სამუშაოს (კომპიუტერის გამოყენება), პირდაპირ სწავლებას (ასოების და საკუთარი სახელის წერის სწავლება) და რიგ გამოყენებით აქტივობებს (სამაგიდე ბეიჯების შექმნა და გაფორმება). წერისა და კითხვის ნიუ იორკის სტანდარტები გაკვეთილის ყველა ასპექტში იქნება გამოყენებული, რაც დაეხმარება პირველკლასელ მოსწავლეებს წერა-კითხვის უნარების გაძლიერებაში საკლასო აქტივობების, მუშაობისა და თამაშების საშუალებით. მაგალითად, ბგსა-ს სტანდარტი 2 გამოყენებული იქნება რამდენიმე საგნის დაკავშირებისთვის: ტექნოლოგია, ინგლისური და შრომის გაკვეთილი; კითხვის სტანდარტი 1 - სადაც მოსწავლეები სიტყვების მნიშვნელობებს დამოუკიდებლად ან სხვის დახმარებით ხვდებიან: გამოყენებული იქნება მოსწავლეების მიერ სახელების მათს წერილობითი ფორმასთან იდენტიფიცირებისას. გაკვეთილის ყოველი ასპექტი შეიძლება დაუკავშირდეს ნიუ იორკისა ან ბგსა-ს სტანდარტებს.

გაკვეთილის შესავალი/გააკეთეთ ახლა:

- დააყენეთ მოსწავლეები წრეზე და ჩაურთეთ რიჩარდ გრემის სიმღერა „რა გქვია?“ (www.genkienglish.net/namesong.htm).
- ნაბიჯ-ნაბიჯ ასწავლეთ მოსწავლეებს სიმღერის ტექსტი, აუხსენით - რა გააკეთონ სიმღერის სხვადასხვა ნაწილში.

სასწავლო აქტივობები:

- გადასვლა: მოსწავლეები საკუთარ ადგილს უბრუნდებიან.
  „კარგი, ახლა ყველა თავის ადგილს დაუბრუნდეს“
- ცოცხალი ანბანი (მოსწავლეები, რომლებიც ანბანის ასოებს განასახიერებენ) დაფასთან დააყენეთ, რათა ყველა მოსწავლეს შეეძლოს მათი დანახვა.
- „ცოცხალი ანბანის გამოყენებით გამოდით და მოძებნეთ ის ასოები, რომლებიც თქვენს სახელში გვხვდება.“
- გააკეთეთ ეს აქტივობა რამდენიმე მოსწავლესთან ერთად.
- გამოიყენეთ პოზიტიური განმამტკიცებელი და მოსწავლეებთან ერთად იმსჯელეთ აქტივობის შედეგებზე:
  - „ძალიან კარგია!“
  - „როგორ გაიგე, რომ ეს ასო შენს სახელში მეორდება?“

- „ბავშვებო, როგორ ჟღერს ასო---“

- გადასვლა: მოსწავლეებს მიეცით შესაძლებლობა რვეულში დამოუკიდებლად დაწერონ საკუთარი სახელი.
  - „ბავშვებო, გთხოვთ ყველამ ამოიღეთ სამუშაო რვეული“.
  - „გადაშალეთ სუფთა ფურცელზე და დასაწყისში დაწერეთ თქვენი სახელი“.
  - მიეცით სტიკერები ყველა იმ მოსწავლეს, რომელიც დავალებას კარგად შეასრულებს.
- გადასვლა: აუხსენით ბავშვებს ბეიჯის შექმნის აქტივობის შინაარსი
  - „ბავშვებო, ახლა კომპიუტერს გამოვიყენებთ იმისთვის, რომ შევქმნათ თქვენი სამაგიდე ბეიჯი. ასე რომ როცა ერთ ჯგუფს გამოვიძახებ, მოდით მაგიდასთან და ერთად შევქმნათ ბეიჯი“.
  - „თქვენ კი, სანამ მოთმინებით ელოდებით რიგს, გთხოვთ გააფერადოთ და რვეულის დასაწყიში დაწეროთ: ჩემი სახელია ---- . ყველა ხედავს“?
  - გამოიყენეთ თარგი იმისთვის, რომ ყველა სახელი ერთი ზომისა და ფორმის იყოს (იხ. ფიგურა 4.1).
  - იმუშავეთ თითოეულ ჯგუფთან და საშუალებაა მიეცით ბავშვებს დაეხმარონ ერთმანეთს საკუთარი სახელის სწორად დაწერაში.
    - "მოუსმინეთ. რომელი ასო ჟღერს --- ასე?“
    - გამოიყენეთ დადებითი განმტკიცების მეთოდი და შესაბამისი ტექნიკები მოსწავლეთა დასახმარებლად.
    - დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე მუშაობს რვეულში. თუ საჭიროა, უსაყვედურეთ კიდეც.
- გადასვლა: როცა ყველა შექმნის თავისი სახელის ბეიჯს, ამობეჭდეთ და მიეცით მოსწავლეებს საშუალება, გააფორმონ. მასწავლებელი კლასში მოძრაობს და აკვირდება დავალების შესრულების პროცესს.
  - „ყველამ თავისი ადგილი დაიკავოს მანამ, სანამ ბეიჯებს ამოვბეჭდავ. გთხოვთ, თქვენი სურვილის მიხედვით, გააფორმოთ ბეიჯი მარკერებისა და პასტელების მეშვეობით. თუ გსურთ მათი გამოყენება, შემიძლია დავამაგრო სტიკერები ოთახის ცენტრში“.
  - „სანამ დავალებას ასრულებთ, მე კლასში ვივლი და შევამოწმებ, მუშაობთ თუ არა სამუშაო რვეულებში“.
    - გამოიყენეთ სამუშაო ფურცელი, როგორც ინდიკატორი იმისა, გააუმჯობესეს თუ არა მოსწავლეებმა სახელის წერის ტექნიკა.
  - „როდესაც თქვენი ბეიჯის გალამაზებას მორჩებით, მოდით ჩემთან და გაჩვენებთ, რა გააკეთოთ“.
    - აჩვენეთ ბავშვებს ლამინირების დანადგარი და ასწავლეთ, როგორ გამოიყენონ.

- ❖ აუხსენით უსაფრთხოების ნორმები და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარეთ
- ○ „ახლა კი ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენს მიერ შექმნილი ბეიჯები“!
  - ❖ მაგალითად: „სარა, რატომ დახატე ყვავილები შენს სამაგიდე ბეიჯზე? კევინ, მომწონს, რომ გიტარა დახატე. იცი გიტარაზე დაკვრა“?
  - ❖ აგრძნობინეთ, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაო მნიშვნელოვანია და მიეცით ნება, გამოავლინონ საკუთარი ინტერესები.
- ○ „ბავშვებო, დადეთ ბეიჯები თქვენს მერხებზე. მე მოვალ და დაგეხმარებით დამაგრებაში“.
  - ❖ ბეიჯები ბავშვებს დაეხმარება, ისწავლონ ერთმანეთის სახელები.

გაკვეთილის დასრულება/გადასვლა: „დაასახელე ბატი“

- ბავშვებო, სანამ ცოტას წავიხემსებდეთ, მოდით, ვითამაშოთ. ყველანი მოგროვდით და იატაკზე წრიულად დასხედით, ჩვენ ვითამაშებთ თამაშს: „დაასახელე ბატი“.
- „პირველი მე გავალ - წრეზე ვიმოძრავებ და თითოეულ თქვენგანს თავზე დაგადებთ ხელს. თუ თქვენს სახელს ვიტყვი, საკუთარ ადგილას დარჩებით. მაგრამ თუ ვიტყვი „ბატო“ - თქვენ ადგებით და გამომყვებით წრეზე! სანამ დამიჭერთ, ასე მოვიქცევი, შენ ხარ „ის“! თუ ვერა - მაშინ თავიდან გავაკეთებთ“.
  - ○ თამაშის მიზანია, ბავშვებს გააცნოს და ასწავლოს ერთმანეთის სახელები, გაკვეთილის ბოლოსკენ გასართობი აქტივობით.
  - ○ თამაშის დასრულებისთანავე ბავშვები თავიანთ ადგილებს დაუბრუნდებიან და მოემზადებიან წახემსებისათვის.

რესურსები:

- სიდი პლეიერი;
- ანბანის შესახებ სიმღერების სიდი;
- ცოცხალი ანბანი;
- კომპიუტერი;
- ვორდის პროგრამა;
- პრინტერი;
- თაბახის ფურცელი;
- მარკერები, პასტელი, და ა.შ.
- სტიკერები;
- დანადგარი ლამინირებისთვის.

შეფასება: მოსწავლის მიერ დასწავლილი საკითხის შეფასებისთვის საუკეთესო გზა მათივე ნამუშევრებზე დაკვირვება და დოკუმენტირებაა (სამუშაო ფურცელი, სამაგიდე ბეიჯი და ა.შ.). ასევე, მოსწავლე შეიძლება შეფასდეს თამაშის „დაასახელე ბატი“

მიხედვით. ეს აქტივობები საშუალებას მოგვცემს, დავრწმუნდეთ, ისწავლეს თუ არა მოსწავლეებმა ერთმანეთის სახელები, შეუძლიათ თუ არა დამარცვლონ და სწორად დაწერონ საკუთარი სახელები, გამოიყენონ ვორდის პროგრამა სამაგიდე ბეიჯის შესაქმნელად და ისაუბრონ იმაზე, თუ რატომ გაუკეთეს მაგიდის ბეიჯებს ამგვარი დიზაინი. მოსწავლეთა ნამუშევრების ასლების შენახვით, საშუალება მოგეცემათ, შეაფასოთ მათი პროგრესი. ნებისმიერი სახის ტესტები ასოებისა და მართლწერის შესახებ ასევე ეფექტური ინდიკატორი იქნება.

წყაროები:

ბავშვთა განათლების საერთაშორისო ასოციაცია (ბგსა) Association for Childhood Education International. (2007). *2007 ACEI-NCATE elementary education standards and supporting explanation.* Retrieved February 11, 2008, from http://www.acei.org/ACEIElementaryStandards SupportingExplanation.5.07.pdf

გრაჰამი, Graham, R. (1999/2008). *Genki English: What's your name?* Retrieved February 11, 2008, from http://www.genkienglish.net/namesong.htm Mom's Network. (1997–2008). *Mom's Network Exchange.* Retrieved February 12, 2008, from http://www.momsnetwork.com/kids/coloring/boypajama.gif

ნიუ იორკის განათლების დეპარტამენტი, New York City Department of Education. (2008). *First grade reading and writing standards.* Retrieved February 12, 2008, from http://schools.nyc.gov/offices/ teachlearn/documents/Standards/literacy/First_Grade.pdf

უარდლი, Wardle, C. (1996–2007). *Christy's Clipart.* Retrieved February 12, 2008, from http://www.christysclipart.com

ფიგურა 4.1.



ჩემი სახელია ----------

ჩემი სახელია ----------

განსაკუთრებული საჭიროებების უზრუნველყოფა: ინკლუზიური კლასის შემთხვევაში, გარემო და აკომოდაცია მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით იქნება შერჩეული. *მაგალითად:* თუ ბავშვს დამატებითი დახმარება ესაჭიროება წერის კომპონენტში, მაშინ, როდესაც სხვა მოსწავლეები მუშაობენ, მასწავლებელს ან პარაპროფესიონალს შეუძლია

დაეხმაროს მას წერის უნარების განვითარებაში. ან თუ ბავშვს მოტორიკის დარღვევები აქვს და არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს თამაშში „დაასახელე ბატი“, ის შეიძლება დავნიშნოთ მოდერატორად, რომელიც თვალყურს ადევნებს ბავშვების ჩართულობას და მიიღებს გადაწყვეტილებებს მოსწავლეების და ბეიჯის სწორად დაკავშირებაზე. ზემოთ აღნიშნული მხოლოდ მცირე მაგალითს წარმოადგენს და თქვენ შეგიძლიათ გაცილებით მეტი რესურსი და ხერხი გამოიყენოთ ბავშვების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ლორენის კომენტარები:

დიდი პატივი იქნება, თუ გაკვეთილის ჩემს გეგმას გამოიყენებთ! რაც ზემოთ იხილეთ - ჩემი შემოქმედებაა. გარე რესურსები, რომლებიც გამოვიყენე, მცირეა და ჩამოთვლილია რესურსების ნაწილში. იგი მოიცავს სამუშაო ფურცლებს, ანბანზე სიმღერების სიდის, რომელიც შესაძლოა ინტერნეტის საშუალებითაც შეუკვეთოთ. მაგრამ რაც შეეხება გეგმის სრულ სახეს, მთლიანად მე მეკუთვნის.

კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რა დიდი პატივია გაკვეთილის გეგმის ჩემი ნიმუშის თქვენს წიგნში შეტანა. მოუთმენლად ველოდები ახალი გამოცემის დაბეჭდვას და გაცნობას.

დასკვნა

გაკვეთილის გეგმების დაწერა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. არ აქვს მნიშვნელობა - ერთწლიანი, ხუთწლიანი თუ 15-წლიანი მასწავლებლად მუშაობის სტაჟი გაქვთ. გაკვეთილის დაგეგმვა ამოუწურავი თემაა: მაშინაც კი, როდესაც გაკვეთილის დაგეგმვის შესახებ ბევრი მოგისმენიათ და იცით, კიდევ არსებობს რაღაც, რაც უნდა ისწავლოთ. ვიმედოვნებ რამდენიმე საჭირო იდეა მაინც მიიღეთ ზემოთ მოყვანილი გეგმებიდან. როგორც ცხოვრების განმავლობაში მუდმივად მსწავლელი და პროფესიონალები, კარგი მასწავლებლები ისწრაფვიან პროფესიული ზრდისა და სრულყოფისაკენ.

კითხვები/აქტივობები

1. ამ თავის რომელი ნაწილები დაგეხმარებათ უკეთესი ხარისხის გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებაში?
2. დაწერეთ გაკვეთილი ზემოთ ახსნილი კომპონენტების გამოყენებით.
3. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი გაკვეთილი მიმდინარე მოვლენების შესახებ (ნიუ იორკში 1970-იან წლებში დირექტორობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ძებნისას აღმოჩენილი მასალები, ავტორი უცნობია).

რა პრობლემაა ამ გაკვეთილში? აღმოაჩინეთ ერთი ძლიერი და ერთ სუსტი მხარე. მონახეთ მტკიცებულება და შეიმუშავეთ რეკომენდაცია მისი გაუმჯობესებისათვის. მხედველობაში მიიღეთ გაკვეთილის მიზანი, კითხვის დასმის ტექნიკები, დავალებები, მასწავლებლის ქცევა ზოგადად. შეგიძლიათ დაწეროთ ისეთი გაკვეთილის გეგმა, როგორიც მასწავლებელს უნდა გაეკეთებინა?

კლასი: 7

შესაძლებლობა: საშუალო.

მასწავლებელი: მისტერ ჯონსი.

გაკვეთილი: მიმდინარე მოვლენები.

მისტერ ჯონსი, მეშვიდე კლასის პატივსაცემი მასწავლებელი, რომელსაც მასწავლებლობის შვიდი წლის სტაჟი აქვს. ისაუბრებს საზოგადოებაში არსებული ძალადობის შესახებ ყოველკვირეული საუბრების ფარგლებში მიმდინარე მოვლენებზე.

მისტერ ჯონსი: რა შეგიძლიათ მითხრათ საზოგადოებაში არსებული ძალადობის შესახებ“? (იძახებს დევიდს, რომელმაც ხელი აიწია).

დევიდი: ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია.

მისტერ ჯონსი: დიახ, ეს ძალიან სერიოზულია, მაგრამ კიდევ რისი თქმა შეგიძლია? რა არის ძალადობა?

(იძახებს ალისას, რომელმაც ხელი აიწია).

ალისა: ვიღაცის ცემა ძალადობაა.

მისტერ ჯონსი: მართალია, ალისა. კიდევ რისი თქმა შეგიძლია?

ალისა: გაუპატიურება?

მისტერ ჯონსი: სწორია?

(გამოიძახებს ბილი ბობს, რომელმაც ხელი აიწია).

ბილი ბობი: მე ვფიქრობ, რომ დანაშაულთა უმეტესობა ძალადობაა.

მისტერ ჯონსი: არა ბილი ბობ, ბევრი დანაშაული საერთოდ არ არის ძალადობრივი. რა არის ძალადობის ზოგიერთი შედეგი?

(იძახებს ფრედის, რომელმაც ხელი აიწია).

ფრედი: ძალადობა ტელეგადაცემებსა და ფილმებში.

მისტერ ჯონსი: მართალია, ზოგი ტელეგადაცემა და ფილმი შეიცავს ძალადობას. კიდევ ვის შეუძლია მითხრას რამე, რამაც შესაძლოა ძალადობა გამოიწვიოს?

(იძახებს სკიპს, რომელმაც ხელი აიწია).

მისტერ ჯონსი: სკიპ, რას იტყვი?

სქიპი: მუსიკა...

მისტერ ჯონსი: რას გულისხმობ სკიპ?

სქიპი: ზოგიერთი სახის მუსიკა ადამიანებს ძალადობისკენ მოუწოდებს.

მისტერ ჯონსი: ვფიქრობ, მართალი ხარ!

(იძახებს ბრაიანს, რომელმაც ხელი აიწია).

ბრაიანი: ვიდეოთამაშებიც შეიცავს ძალადობას.

მისტერ ჯონსი: მართალია, ბრაიან, და ეს თემა ახლა ძალიან აქტუალურია. ვიდეოთამაშების მონიტორინგის სისტემა ჩამოყალიბების პროცესშია.

მისტერ ჯონსი: რას გააკეთებდით, თუ ვინმეს, ვისაც იცნობთ, თავს დაესხმოდნენ?

(იძახებს ჯიმის, რომელმაც ხელი აიწია).

ჯიმი: სამაგიეროს მივუზღავდი.

მისტერ ჯონსი: რას გულისხმობ, ჯიმი? პოლიციას გამოიძახებდი?

ჯიმი: არა, მე გავაკეთებდი იმას, რაც გამიკეთეს და კიდევ უარესსაც.

მისტერ ჯონსი: სწორედ ამიტომ არსებობს ასეთი პრობლემები. ადამიანებს შურისძიება სწადიათ, იმის ნაცვლად, რომ პოლიციას მიანდონ ამ ტიპის საკითხები გადაწყვეტა.

ჯიმი: არ მენაღვლება, მე იმას გავაკეთებ რასაც იმსახურებენ.

მისტერ ჯონსი: კარგი, ჯიმი, ეს არასწორი ქმედებაა და, შესაძლოა, პრობლემები შეგექმნას. ასევე, შესაძლოა სახიფათო იყოს და ადამიანებმა მიიღონ დაზიანებები.

ჯიმი: ის კანონები, რომლებიც რაღაცის გაკეთების გამო პრობლემებს გვიქმნის, სისულელეა და არ მენაღვლება, თუ იმ ადამიანს, რომელიც ცუდად მომექცა, დავაშავებ.

ედი: (გამოძახების გარეშე ერთვება საუბარში) ის მართალია. მეც შურს ვიძიებდი. რატომაც არა? და კანონებიც, რომლებიც ამის საშუალებას არ მაძლევენ, სულელურია.

მისტერ ჯონსი: ბავშვებო, თქვენი მოსაზრება მცდარია. საუკეთესო გამოსავალი იქნება დაუძახოთ პოლიციას და მათ „იძიონ შური“ თქვენ ნაცვლად.

ედი: (გამოძახების გარეშე ერთვება საუბარში) არავითარ შემთხვევაში! პოლიციელები იდიოტები არიან და ვერასდროს იძიებენ შურს დამნაშავეზე. მე თავად უნდა ვიძიო შური.

(ამ მომენტისათვის კლასი ხმაურობს და სკიპი ჯიმის მისამართით ყვირის).

სკიპი: არასოდეს გაპატიებ ჩემი სიდი პლეიერის გატეხვას!

ჯიმი: მოკეტე, სკიპ. გითხარი, რომ შემთხვევით მომივიდა.

სკიპი: ნუ მაჩუმებ! და შემთხვევით არ მოგსვლია! (ჯიმი სკიპს სახეში არტყამს)

(მისტერ ჯონსი ბიჭებს აშველებს და დირექტორის ოფისში გზავნის. ედის ავალებს, გაჰყვეს და ყურადღება მიაქციოს, არ იჩხუბონ. ჰოლიდან ისმის ხმა, როგორ უყვირის სკიპი ჯიმის).

მისტერ ჯონსი: ეს შემთხვევა საუკეთესო მაგალითია იმისა, რატომ არსებობს საზოგადოებაში ამდენი ძალადობა. ხალხს შურისძიება სურს. მთელი ამ ინციდენტის თავიდან არიდება შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ სკიპი ჯიმს მოუსმენდა, როდესაც ამბობდა, რომ ეს შემთხვევით მოხდა.

ერიკი: მაგრამ ეს არ იყო ინციდენტი. მე კარგად დავინახე, როგორ გატეხა ჯიმიმ სიდი პლეიერი!

მისტერ ჯონსი: უმჯობესია ეს დისკუსია აქ დავამთავროთ, სანამ კიდევ ერთი ჩხუბი დაიწყება...

ამის შემდეგ მისტერ ჯონსი დავალებას აძლევს მოსწავლეებს.
საშინაო დავალებას წარმოადგენს ესეს დაწერა ძალადობისგან ადამიანების დასაცავად და უსაფრთხო სამეზობლოს უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებაზე.

აქტივობა #5

კოლეგასთან ერთად გაითამაშეთ შემდეგი სცენარი: ჯერი, ძალიან განვითარებული მეექვსეკლასელი, სხვების თანდასწრებით გეუბნებათ: „მე არ შევასრულებ თქვენ მიერ მოცემულ სულელურ დავალებას“. თქვენმა კოლეგამ ჯერის როლი გაითამაშოს. კვლავ გააგრძელეთ როლური თამაში ერთი წუთის განმავლობაში. შემდეგ მოისმინეთ თქვენი კოლეგისგან უკუკავშირი, რომელიც დაგანახვებთ, როგორ გაუმკლავდით აღნიშნულ სიტუაციას. ჩაინიშნეთ მიგნებები ქვემოთ. რას გააკეთებდით განსხვავებულად სხვა დროს? კარგით, ახლა კვლავ ითამაშეთ.

თავი 5

შევძლებ კლასის ეფექტურად მართვას?

არასოდეს აღზარდოთ ბავშვები მკაცრი და ძალადობრივი მეთოდებით. შესთავაზეთ ის, რაც მოსწონთ, ამ გზით თქვენ შეძლებთ მათში განსაკუთრებული ნიჭის აღმოჩენას.
- პლატონი

ყოფაქცევასთან დაკავშირებული პრობლემები შემცირდება, თუ მოსწავლეებს მათი უნარების შესაბამისი და მათთვის საინტერესო აქტივობებით დავტვირთავთ.
- ბროფი & გუდი

კითხვები

1. რისი გეშინიათ ყველაზე მეტად მოსწავლეების ცუდ ყოფაქცევასთან გამკლავებისას?
2. შეგიძლიათ თუ არა კლასში ჩადენილი სერიოზული დანაშაული მოაგვაროთ?
3. შეგიძლიათ დაასახელოთ კლასის მართვის შესახებ არსებული რომელიმე თეორია, ან თეორეტიკოსი, რომელიც დაგეხმარათ საკლასო ქცევის ნორმების შემუშავებისას?
4. როგორ ფიქრობთ, რამდენად კარგად შემუშავებული საკლასო ყოფაქცევის ნორმები გაქვთ? ახსენით.
5. რა გსურთ იცოდეთ კლასის მართვის შესახებ?

სწავლება რთული, საპასუხისმგებლო ხელოვნება და მეცნიერებაა, რომელიც მოითხოვს არა მხოლოდ ცოდნასა და უნარების ფლობას, არამედ ემპათიას, მზრუნველობასა და ენთუზიაზმს. სწავლების კარგი მიდგომა ხშირად მომქანცველია და ზოგჯერ იმედებს გვიცრუებს, მაგრამ მოსწავლეებს ამხნევებს, შთააგონებს, ავსებს და მათში მიძინებულ ნიჭიერების ნაპერწკალს აღვიძებს. მასწავლებლები კვლავ აწყდებიან რთულ, ერთი შეხედვით გადაულახავ სირთულეებს, რომლებმაც შესაძლოა მათი

წყობიდან გამოსვლა და დაბნევა გამოიწვიოს. მოსწავლის ცუდმა ყოფაქცევამ შესაძლოა მასწავლებელს სიმტკიცე შეურყიოს ან წონასწორობა დააკარგვინოს.

კლასის მართვისა და ეფექტური დისციპლინის პრინციპები ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიული საკითხებია, რომლებსაც პრაქტიკოსი მასწვლებლები ყოველდღიურად აწყდებიან. გალუპ პოლმსმა „*Phi Delta Kappan*“-ის მხარდაჭერით ჩაატარა კვლევა, სადაც წარმოგვიდგენს ხალხის დამოკიდებულებას განათლების მიმართ. მათი აზრით, დისციპლინა ყველაზე დიდი და მოუგვარებელი პრობლემაა საჯარო სკოლებში. უფრო მეტიც, მასწავლებლები მოსწავლეთა ცუდ ყოფაქცევას კლასში არსებულ ყველაზე შემაწუხებელ და დამაბნეველ პრობლემად მიიჩნევენ. მოსწავლეთა ცუდი საქციელის შედეგად მიღებული იმედგაცრუება სწავლების პერიოდში არა მხოლოდ სტრესსა და დაღლილობას იწვევს, არამედ უარყოფითად მოქმედებს მასწავლებელთა საქმიანობაზეც.

კლასის მართვასთან დაკავშირებული სირთულეების გასამკლავებლად მასწავლებლები ცუდად არიან მომზადებულები, მათ აკლიათ გამოცდილება, მოაგვარონ მოსწავლეთა არაადეკვატური ქცევა. ისეთი არაეფექტური მიდგომები, როგორებიცაა „არ გაიღიმოთ შობამდე“ თუნდაც საუკეთესოდ დაგეგმილი გაკვეთილიც კი ვერ აგვარიდებს თავიდან მოსწავლეთა ცუდ ქცევას. საუბედუროდ, არ არსებობს მზა რეცეპტი იმისა, თუ როგორ ვმართოთ მოსწავლეთა ქცევა. ასევე, არ არსებობს ისეთი სპეციფიკური მეთოდებიც, რომლებიც ყველა საკლასო ვითარებას მოერგება. მიუხედავად ზოგიერთის მტკიცებისა, რომ მათი კონკრეტული „საკლასო ყოფაქცევის ნორმები“ საუკეთესოა, არ არსებობს „ერთი საუკეთესო“ სისტემა. წარმატებული მასწავლებელი იყენებს სტრატეგიების ერთობლიობას, რათა გადაჭრას კლასში დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემები.

წიგნის ამ თავში ჩემი მიზანია:

1. გამოვყო რამდენიმე პრაქტიკული სტრატეგია კლასში ცუდი ყოფაქცევის შესამცირებლად.
2. დაგეხმაროთ, შექმნათ დისციპლინის თქვენეული სისტემა ინდივიდუალური საჭიროებისა და გარემოებათა გათვალისწინებით (ქვემოთ იხილეთ ნიმუში სათაურით: „დისციპლინის ჩემი პერსონალური სისტემა“).

გამაფრთხილებელი შენიშვნა: მრავალი სკოლა ადგენს დისციპლინისა და წესების პროგრამებს. გაარკვიეთ, თქვენს სკოლაში რა ხდება ამ მხრივ და გაითვალისწინეთ თქვენ მიერ შემუშავებულ ქცევათა სისტემაში,

ვიდრე რამდენიმე საკვანძო ცნებას გაგაცნობდეთ, რომლებიც თქვენი საკუთარი დისციპლინის სისტემის შექმნის წინაპირობად შეიძლება განვიხილოთ, მოიფიქრეთ, რა არის მოსწავლეთა ყოფაქცევასთან დაკავშირებით თქვენთვის პრიორიტეტული.

ქვემოთ მოცემული რეფლექტური აქტივობა მოგცემთ სტიმულს, მოიფიქროთ რამდენიმე ინდივიდუალური საჭიროება, რომლებიც აუცილებლად უნდა აისახოს დისციპლინის თქვენეულ სისტემაში.

რეფლექსია

სწავლების რომელ სტილს ანიჭებთ უპირატესობას? მოგწონთ, როდესაც მოსწავლეები რიგებად დალაგებულ მერხებთან სხედან და ჩუმად და ყურადღებით უსმენენ თქვენს გაკვეთილს? ხომ არ წუხდებით, როდესაც მოსწავლეები შეკითხვებით გაკვეთილს გაწყვეტინებენ? იყენებთ თუ არა ჯგუფურ აქტივობებს, სადაც ყველა მოსწავლეა ჩართული და ერთად მუშაობენ პროექტებზე? შეგიძლიათ ჯგუფური აქტივობებისათვის დამახასიათებელი ხმაურის ატანა? აღწერეთ სწავლების ის მიდგომა ან მიდგომები, რომლებსაც უპირატესობას ანიჭებთ. ასევე აღწერეთ, როგორ უნდა იქცეოდეს მოსწავლე. დაბოლოს, აღწერეთ, რა კავშირია თქვენს სწავლების მიდგომას, მოსწავლეთა ყოფაქცევასა და მოსწავლეების სწავლის სტილს შორის.

გაუზიარეთ თქვენი შეხედულებები კოლეგებს. დააკვირდით, რა გავლენას მოახდენს თქვენს მიერ ჩამოწერილი რეფლექტური პასუხები დისციპლინის გეგმის შემუშავებაზე, რომელსაც მოგვიანებით, წიგნის ამავე თავში განვიხილავთ.

იდეა კლასის მართვისთვის #1:
ძირითადი ცნებები და ელემენტები

მოდით, განვსაზღვროთ რამდენიმე ცნება და განვიხილოთ მათი არსი. აღსანიშნავია, რომ აქ მოცემული ინფორმაცია ეკუთვნის ჩარლზს (2001). ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი რესურსები იხილეთ პირველ დანართში.

> არსებობს ცუდი ყოფაქცევის სხვადასხვა ხარისხი

ქცევა - ყოველგვარი მენტალური და ფიზიკური ქმედება, რომელთაც ადამიანი ასრულებს. მაგალითად, სლოკინი - არც ცუდია და არც კარგი. ეს ადამიანის მიერ განხორციელებული ქმედებაა.

ცუდი ყოფაქცევა - იარლიყი, რომელიც ენიჭება ნებისმიერ, მოცემული კონტექსტისათვის ან სიტუაციისათვის შეუფერებელ ქცევას. იგივე სლოკინი როდესაც გრძელდება ინტენსიურად შუა გაკვეთილის დროს, შესაძლოა აღიქვან ცუდ ყოფაქცევად.

დისციპლინა - მიღებული ზომები, რომლებიც ავალდებულებს მოსწავლეებს, მოიქცნენ სათანადოდ.

კლასის მართვა - დისციპლინური სტრატეგიების განხორციელების პროცესი.

წესები - ინსტრუქციები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს ინფორმაციას, როგორ უნდა მოიქცნენ კლასში (მაგ. გთხოვთ, იარეთ კლასში!).

მოქმედების წესები - კონკრეტული აქტივობებისათვის წესების შემუშავება (მაგალითად, როგორ მოაწყობდით მოსწავლეებს ერთ მწკრივად სადილზე წასასვლელად).

ცუდი ყოფაქცევის ხუთი საფეხური
(სიმძიმის საფეხურების გაუთვალისწინებლად)

აგრესია - ცუდი ქცევის ყველაზე მწვავე ფორმა, რომელიც გულისხმობს როგორც ფიზიკურ, ასევე ვერბალურ თავდასხმას მოსწავლეთა მხრიდან.

უზნეობა - ისეთი ქმედებები, როგორიცაა ჭორაობა, მოტყუება, მოპარვა.

ავტორიტეტის უპატივცემულობა - როდესაც მოსწავლეები უარს ამბობენ რეგულაციების შესრულებაზე.

ხელის შეშლა გაკვეთილზე - ეს, სავარაუდოდ, ცუდი საქციელის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. გულისხმობს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა წამოყვირება, ადგილიდან ნებართვის გარეშე ადგომა და, ზოგადად, უმიზნოდ აქეთ-იქით სიარული.

უსაქმურობა - ამ კატეგორიაში ერთიანდებიან მოსწავლეები, რომლებიც არ არიან ჩართულები საგაკვეთილო პროცესში, ოცნებით არიან გატაცებულნი და არ ასრულებენ დავალებებს.

დისციპლინის სამი ეტაპი

პრევენციული დისციპლინა - გულისხმობს მასწავლებლის იმ ნაბიჯს, რომელიც ცუდი ქცევის თავიდან აცილებისაკენ არის მიმართული.

დამხმარე დისციპლინა - მასწავლებლის სტრატეგია, უბიძგოს მოსწავლეს კარგი ქცევისაკენ, ცუდი ყოფაქცევის პირველივე ნიშნების შემჩნევისთანავე.

გამოსასწორებელი დისციპლინა - გულისხმობს მასწავლებლის ქმედებების მიმართვას მოსწავლის ცუდი ყოფაქცევის გამოსწორებისაკენ.

კლასისთვის დამახასიათებელი ექვსი ელემენტი

1. ***მრავალასპექტურობა*** - მრავალი ასპექტისა და გარემოების ერთობლიობა (მაგ. კლასი არის რთული, კომპლექსური გარემო).
2. ***ერთდროულობა*** - ბევრი რამ ერთდროულად ხდება (მასწავლებელმა უნდა იაზროვნოს და იფიქროს სწრაფად).
3. ***სისწრაფე*** - მოვლენები სწრაფი ტემპით ვითარდება (მოვლენები ვითარდება დაუჯერებლად სწრაფად).
4. ***არაპროგნოზირებადობა*** - ძნელია წინასწარ დარწმუნებით იცოდე, რა მოხდება (თქვენ საქმე გაქვთ ადამიანებთან და არა უსიცოცხლო მატერიასთან, ამიტომ რთულია წინასწარ მათი ქცევის განსაზღვრა).
5. ***საჯაროობა*** - ასწავლეთ ისე, თითქოს სცენაზე ხართ (ხშირად მასწავლებლები მისაბაძი მაგალითები არიან და ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რა გავლენის მოხდენა შეუძლიათ მოსწავლეებზე).
6. ***ისტორია*** - კლასში ვითარდება და ყალიბდება გამოცდილებებისა და ქცევის ნორმების კულტურა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მომავალი ურთიერთქმედებების საფუძველს (თითოეული კლასი არის განსხვავებული და წარმოადგენს საკუთარ „ინდივუდუალიზმს“).

იდეები კლასის მართვისთვის #2:
შექმენით დისციპლინის პერსონალური სისტემა

კლასის მართვის ეფექტური სტრატეგიებისა და ტექნიკების ურიცხვი რაოდენობაა ხელმისაწვდომი მასწავლებლებისათვის, რათა გამოასწორონ მოსწავლეთა ცუდი ყოფა-

ქცევა. ჩამონათვალის შექმნას - თუ რა უნდა/რა არ უნდა გავაკეთოთ - ეფემერული ხასიათი აქვს. ამის ნაცვლად აჯობებს, გამოყოთ თქვენთვის ნიშანდობლივი საჭიროებები კლასის კონტროლის შესანარჩუნებლად. წიგნის ეს თავი დაგეხმარებათ, შექმნათ საკლასო დისციპლინის თქვენეული სისტემა.

მოსწავლის ცუდი ქცევა გარკვეულ დონეზე გარდაუვალია. რაც არ უნდა იყოს, კლასის ხელმძღვანელი არის უფრო პროაქტიური, ვიდრე რეაქტიური. ის ეფექტურად მოქმედებს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს მოსწავლეთა ცუდი ყოფაქცევის გამოვლინება. პრევენციული ღონისძიებები მიუთითებს, რომ მასწავლებელს გაცნობიერებული აქვს ცუდი ყოფაქცევის გამოვლენის შესაძლო შედეგები გაკვეთილის მსვლელობისას ან სწავლების პროცესში.

და მაინც, ცუდი ყოფაქცევა საუკეთესო კლასებშიც ფიქსირდება. აქედან გამომდინარე, ხელისშემშლელი ფაქტორების დასაწყისშივე აღმოსაფხვრელად საჭიროა, დამხმარე საშუალებებს მივმართოთ. ხოლო როდესაც პრევენციული და დამხარე ღონისძიებები არასათანადოდაა დანერგილი და განხორციელებული ან არაეფექტურია უკიდურესად ცუდი ყოფაქცევის მქონე მოსწავლეებთან, ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია, ჩავრთოთ გამოსასწორებელი დისციპლინის მიდგომები.

ეფექტური საკლასო მენეჯმენტისათვის მნიშვნელოვანია საკლასო ყოფაქცევის ისეთი ნორმების შემუშავება, რომლებიც დისციპლინის ზემოთ განხილული სამივე საფეხურის ჩართვას გულისხმობს. განვიხილავთ სამივე საფეხურის ფუნდამენტურ კომპონენტებს და ვიმსჯელებთ მათი განხორციელების პრაქტიკულ რეკომენდაციებზე.

პრევენციული დისციპლინა

რეალურად ეს დაგეგმვის საფეხურია. ის მოიცავს სწავლისათვის თანმხლები პოზიტიური საკლასო გარემოს შექმნის ყველა საფეხურს. თქვენი, როგორც კლასის მენეჯერის ეფექტიანობა დამოკიდებულია თქვენს უნარზე, ყურადღებით ჩამოაყალიბოთ გეგმა, რომელიც ითვალისწინებს როგორც ცუდ ყოფაქცევას, ისე სათანადო ქცევების დანერგვის დირექტივებს.

1. *შექმენით ღირებული და წამახალისებელი გაკვეთილი* - საუკეთესოდ დაგეგმილი გაკვეთილიც კი, ცალკე აღებული, არ გამორიცხავს მოსწავლის ცუდ ყოფაქცევას, თუმცა ის ხელსაყრელია მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდისათვის, ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში. გამოიყენეთ მრავალრიცხოვანი სასწავლო სტრატეგიები, როგორებიცაა: დებატები, საჯარო მოხსენებები, როლური თამაშები, ჯგუფური სწავლა, სწავლის დროს დახმარება. ცოდნის გადაცემის დროს გაითვალისწინეთ მოსწავლეთა განსხვავებული აღქმის სტილი და საჭიროებები. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ეფექტური სასწავლო მეთოდი, რომელიც აღწერს სწავლის სამი სტილის ძირითად უპირტესობას.

მხედველობითი უპირატესობა - მათთვის, ვინც უკეთესად სწავლობს დანახვით, გამოიყენეთ ნახატები, ფილმები, ჩარტები, ფლეშ ბარათები, კომპიუტერები და ტრანსპარანტები.

სმენითი უპირატესობა - მათთვის, ვინც უკეთესად სწავლობს ვერბალური გადმოცემით, გამოიყენეთ ლექციის მეთოდი, ვერბალური მითითებები, ჩანაწერები, დახმარებით სწავლების სტრატეგია, მნემონიკური მოწყობილობები და სიმღერები.

კინესთეტიკური უპირატესობა - მათთვის ვინც უკეთესად სწავლობს კეთებით, გამოიყენეთ მანიპულაციები, სამგანზომილებიანი მასალები, დებატები, პროექტები, პანტომიმა, ინტერაქტიური ვიდეოჩვენებები, ფიზიკური მოძრაობისა და თამაშის მეთოდები.

2. *მოაწესრიგეთ თქვენი ფიზიკური გარემო* - თქვენმა სამაგიდე გეგმამ შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებაზე. მიუხედავად ფიზიკური განლაგებისა (რიგები, ჯგუფები, ნალისებური განლაგება, წყვილები), დარწმუნდით, რომ ყველა ადგილიდან კარგი ხილვადობაა და თითოეულ მოსწავლესთან მიახლოებას, საჭიროებისამებრ, სწრაფად შეძლებთ. უზრუნველყავით წესრიგი საკლასო ოთახში. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კუთხე, წყლის ბაკნები და გამოსაცვლელი კუთხე იყოს ადვილად მისაწვდომი. მე, პირადად, მომწონს მსუბუქად მორთული ოთახი. საკლასო ოთახების უმრავლესობაში ზედმეტი დეკორაციებია და შეიძლება მოსწავლე ადვილად დაიბნეს.
3. *ჩამოაყალიბეთ სათანადო ქცევის ხუთი წესი* - წესები, რომლებიც მკაფიოდ ასახავს, თუ როგორ საქციელს მოელით მოსწავლეებისაგან. წესებმა უნდა მიახვედროს მოსწავლე, როგორი ქმედებებია მისასალმებელი. ჩამოაყალიბეთ ხუთი წესი სათანადო მოქცევისათვის, რომელსაც კლასთან შეხვედრის პირველივე დღეს განიხილავთ და დაიცავთ მთელი წლის განმავლობაში. შეგიძლიათ ნება მისცეთ მოსწავლეებს, დაამატონ ერთი-ორი წესი, რომლებსაც აუცილებლად მიიჩნევენ. წესრიგის დამყარებისათვის იხილეთ შემდეგი მითითებები:
    - *ჩამოაყალიბეთ წესები დადებითი ფორმით* (მაგ. „გთხოვთ, იაროთ“, ნაცვლად უარყოფითი ფორმულირებისა „ არ ირბინოთ“).
    - *ჩამოაყალიბეთ წესები ნათლად და მკაფიოდ* („მოუსმინეთ“- ორაზროვნად ჟღერს, „უყურეთ ადამიანს, რომელიც გელაპარაკებათ“ - უფრო ნათელია და ასახავს მოსალოდნელ ქცევას).
    - *ზოგიერთი კონკრეტული წესი შეუსაბამეთ სკოლის ზოგად წესებს.*
    - *წინასწარ დაგეგმეთ ის ზოგადი პროცედურები, რომელთა განხილვასაც კლასთან აპირებთ* (პროტოკოლის პროცედურები - რა ხდება, როდესაც

მოსწავლე გამოტოვებს დავალებას და ლანჩის შემდეგ იწყება საკლასო ოთახში სეირნობის პროცედურები).

კვლევამ აჩვენა, რომ კლასის ეფექტური ხელმძღვანელები დროს წესებისა და პროცედურების სწავლებაზე ხარჯავენ. არ ინერვიულოთ, თუ საწყის ეტაპზე სასწავლო დრო დაიკარგება. წესებისა და პროცედურების სწავლებასა და დაცვაზე დახარჯული დრო სწორად დახარჯული დროა და ამან შესაძლოა დიდი სამსახური გაგიწიოთ არასწორი საქციელის პრევენციისათვის.

4. *გამოიყენეთ დადებითი განმტკიცების მეთოდი, ან შექება-* ყველას სჭირდება წახალისება და აღიარება. წარმატებული მასწავლებლები ხშირად მიმართავენ სათანადო საქციელის განმტკიცების სხვადასხვა გზას. რამდენადაც შესაძლებელია, ხშირად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული განმამტკიცებლებიდან რომელიმე:
   - *სოციალური განმამტკიცებლები* - სიტყვიერად გამოხატეთ მადლიერება: „მე ვაფასებ შენს ბეჯითად მუშაობას“, „ასე გააგრძელე“, „ყოჩაღ, გაოცებული ვარ“, „შესანიშნავია“. მე, როგორც თექვსმეტი წლის გამოცდილების მქონე მასწავლებელი, ყოველთვის ვინახავდი ჩემთვის საჭირო ასი განსხვავებული გამოხატვის ჩამონათვალს. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ჩემი მოსწავლეები მოუთმენლად ელოდნენ, როგორ შეფასებას მიიღებდნენ. გამოიყენეთ ასევე არავერბალური განმამტკიცებლებიც, როგორებიცაა, მაგალითად, ღიმილი, მხარზე ხელის დარტყმა ან ხელის ჩამორთმევა. თითოეულ მოსწავლესთან გამოიყენეთ განმტკიცების ტექნიკა დღეში ერთხელ მაინც.
   - *გრაფიკული განმამტკიცებლები-* გამოიყენეთ წარმატების, შემოწმების ნიშნები, ვარსკვლავები, ღიმილის გამომხატველი ნიშნები და მოწონების გამომხატველი სტიკერები.
   - *აქტივობები* - მადლობა გადაუხადეთ მოსწავლეს, რომელიც ემორჩილება წესებსა და რეგულაციებს. არ დაელოდოთ თქვენი ყურადღების მისაქცევად ცუდი საქცილის ჩადენას. ხანდახან ნება მიეცით მოსწავლეს, შეითავსოს დამრიგებლის ფუნქცია, ჩამოჯდეს მეგობართან, ისარგებლოს თავისუფალი დროით, წაიკითხოს განსაკუთრებული წიგნი, გაატაროს დამატებითი დრო სასწავლო ცენტრში ან იზრუნოს კლასის შინაურ ცხოველზე.
   - *რეალური განმამტკიცებლები* - გამოიყენეთ სამახსოვრო ჯილდოების სისტემა, სადაც მოსწავლეებს შეეძლებათ, დაიმსახურონ ტალონები, მაგალითად, ჯილდოს აღმნიშვნელი ბარათები. ასევე, შეუძლიათ დააგროვონ ქულები, რათა შემდეგ თქვენ განახორციელოთ დადებითი ხასიათის სატელეფონო საუბარი მის მშობლებთან!
5. *ვინ არის აქ უფროსი?* კლასში ავტორიტეტი ხართ თქვენ. დააწესეთ შესასრულებელი საქმისთვის მაღალი სტანდარტები და განსაზღვრეთ, როგორი

ქცევის მოლოდინები გაქვთ. იყავით სამართლიანი და თანამიმდევრულად მისდიეთ დისციპლინის თქვენეულ გეგმას.

დამხმარე დისციპლინა

ცუდი ყოფაქცევა გარდაუვალია. ყველა გამოცდილმა მასწავლებელმა იცის, რომ საუკეთესო გეგმაც კი ვერ გამორიცხავს მას. დააკვირდით, როგორ განვითარდება წინამდებარე სცენარი.

ხოსე თავისი ადგილიდან დაჭმუჭნულ ქაღალდს სანაგვე ურნაში ისვრის. მასწავლებელი ამაზე არაფერს ამბობს. ერთი წუთის შემდეგ მარიაც ისვრის ქაღალდს. მასწავლებელს ამაზეც არ აქვს რეაქცია. შემდეგ რონალდი ისვრის ქაღალდს. მასწავლებელი: *„რონალდ, შეწყვიტე“!* როდესაც მასწავლებელი თუნდაც ერთხელ საკლასო წესების დარღვევას უგულებელყოფს, ამას სხვების მიერ წესების დარღვევაც მოჰყვება. ზემოთ განხილულ მაგალითში, როდესაც მასწავლებელი ბოლოსდაბოლოს საყვედურობს მოსწავლეს, უკვე ძალიან დაგვიანებულია. რონალდს შეეძლო საპასუხოდ ესაყვედურა: „რატომ არ უყვირეთ ხოსეს და მარიას?“ ამან შესაძლოა გაამწვავოს კამათი მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. გარდა ამისა, შესაძლოა მარია და ხოსე გაბრაზებულიყვნენ რონალდზე ამ საქმეში გარევისათვის.

როდესაც ხედავთ, რომ მოსწავლე არღვევს კლასის წესებს, არ დატოვოთ რეაგირების გარეშე, არამედ „გააქრეთ ის ჩანასახშივე“ დამხმარე დისციპლინის რამდენიმე ხერხის გამოყენებით. თქვენი პერსონალური დისციპლინის სისტემა უნდა მოიცავდეს (ქვემოთ იხილეთ ნიმუში სათაურით „დისციპლინის ჩემი პერსონალური სისტემა“) მრავალრიცხოვან დამხმარე სტრატეგიას. თუ თქვენ შედარებით ახალბედა მასწავლებელი ხართ, გირჩევდით, ჩაინიშნოთ აღნიშნული მეთოდები პატარა ბარათებზე, რათა შემდეგ ადვილად გამოიყენოთ ისინი. არსებობს რამდენიმე მეთოდი, რომლებიც შეიძლება დაგვეხმაროს დისციპლინის დამყარებისთვის:

„იცოდე, რა ხდება კლასში“ - იაკობ კუნინი ამტკიცებდა, რომ მასწავლებლებს, რომლებმაც კარგად იცოდნენ კლასში არსებული გარემოს შესახებ, პრობლემების გამწვავების საკითხი ნაკლებად ედგათ დღის წესრიგში. მაგალითად, რომელიმე მოსწავლესთან ერთად დაფასთან მუშაობთ, ამ დროს მანუელი თავისი ადგილიდან ისვრის ქაღალდს. თქვენ ამბობთ: „მანუელ, ეს არის შენი პირველი გაფრთხილება“, შენ ამით აჩვენებ, რომ „საქმის კურსში ხარ“. ამ რეპლიკით მთელ კლასს აგრძნობინებთ, რომ იცით ყველაფერი, რაც კლასში ხდება და მანუელსაც შენიშვნა მიეცით. „საქმის კურსში ყოფნა“ პრობლემის დასაწყისშივე მოგვარებას შეუწყობს ხელს.

ნიშნის მიცემა - როცა ხედავთ, რომ ირა ცუდად იქცევა, გამოხატეთ თქვენი უკმაყოფილება არავერბალური ნიშნებით, როგორიცაა, მაგალითად, წარბების შეჭმუხვნა, დაჟინებით ყურება, ან თავის გადაქნევა.

გამოიყენეთ ფიზიკურად მიახლოების მეთოდი - როდესაც თქვენ წინასწარ გრძნობთ პრობლემას, ან ხედავთ, რომ ვიღაც იწყებს ცუდად მოქცევას, მიდით მასთან უდარდელი მანერით, რამდენადაც ეს შესაძლებელია და დადექით მასთან ახლოს.

გამოსასწორებელი დისციპლინა

მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, თავიდან აგერიდებინათ მოსწავლეთა ცუდი ქცევა, ხანდახან მაინც ხდება საჭირო უფრო მკაცრი და გამოსასწორებელი ღონისძიებების გამოყენება. არ იყოყმანოთ გამოსასწორებელი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე. ამით მოსწავლეები მიხვდებიან, რომ ზრუნავთ და დაჟინებით მოითხოვთ კლასში სათანადოდ მოქცევას.

ჩარლზის თანახმად (2001), „ჩვენი გამოსასწორებელი მეთოდები არ უნდა იყოს არც შემაშინებელი და არც მეტისმეტად სადამსჯელო, ამის ნაცვლად, მეთოდებმა უნდა შეძლონ ცუდი ქცევის თავიდან აცილება და მისი პოზიტიურად შემობრუნება“ (გვ.31). ყურადღებით გაეცანით ქვემოთ ჩამოთვლილ მეთოდებს:

იყავით მომთხოვნი: ლი კანტერის (1989) მოდელი პედაგოგების გარკვეულ ნაწილს შორის პოპულარობით სარგებლობს, ვინაიდან ეს მოდელი მასწავლებლებს ასწავლის, იმოქმედონ უფრო მტკიცედ. გასათვალისწინებელია კანტერის დაყოფა ამ სამი განსხვავებული რეაქციის მიხედვით:

ლოიალური მიდგომის სტილი: „ეს უკვე მეხუთე შემთხვევაა! არ გინდა, რომ შეწყვიტო ქაღალდის სროლა?“

მტრული მიდგომის სტილი: „თუ კიდევ ერთხელ ისვრი ქაღალდს, აქედან გაგაგდებ, სულელო!“

მომთხოვნი მიდგომის სტილი: „მინდა, რომ შეწყვიტო ქაღალდის სროლა და დავუბრუნდეთ მაგალითების ამოხსნას“.

მომთხოვნი სტილი ეფექტური გამოსასწორებელი მიდგომაა, ვინაიდან ეს ნათლად ასახავს თქვენს მოლოდინს და გამოირჩევა საქმიანი მანერით. მომთხოვნ მასწავლებლებს ყოველთვის შეუძლიათ საკუთარი ნათქვამი მოქმედებით გაამყარონ.

ხაზი გაუსვით, რა მოჰყვება ცუდ ყოფაქცევას - საკლასო წესების განხილვისას, მოსწავლეებს უნდა აუხსნათ იმ შესაძლო ნეგატიური შედეგების შესახებ, რაც წესების დაუცველობას მოჰყვება. შესაბამისად, როდესაც ერნესტი უარს იტყვის, შეწყვიტოს ქაღალდის სროლა, თქვენ შეგიძლიათ უთხრათ „ერნესტ, თუ შენ უარს ამბობ, რომ დავალება გააკეთო, მაშინ შენ დასვენებაზე მოგიწევს მისი დასრულება“. თქვენი საკუთარი წესების სისტემის შექმნის პროცესში, უნდა აღწეროთ ყველა იმ შედეგის ხასიათი და სიმკაცრე, რომელიც მოჰყვება ცუდ საქციელს. აღნიშნული მითითებები შეგიძლიათ გაავრცელოთ კლასში და პერიოდულად გადახედოთ კიდეც.

შეთანხმება - მე პირადად, მიმაჩნია, რომ ეს მეთოდი ძალიან ეფექტურია. თუ ეს შესაძლებელია, არასოდეს დაუპირისპირდეთ მოსწავლეს კლასის წინაშე. თუ მოსწავლე

უნდა ჩამოშორდეს საგაკვეთილო პროცესს (მაგ. დროებითი შესვენება), გააკეთეთ კიდეც. ეცადეთ, მსგავსი ინციდენტის შემდეგ, რაც შეიძლება სწრაფად შეხვდეთ ამ მოსწავლეს და შეთანხმდეთ სათანადო ყოფაქცევაზე. შეთანხმება გულისხმობს წერილობით დოკუმენტსაც (როგორც წესი, ეფექტურია დაწყებით და საბაზო საფეხურის სკოლებში), სადაც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის შეთანხმება მიიღწევა კარგი ქცევისათვის დაჯილდოებისა და შეუფერებელი საქციელისათვის მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით. ეფექტური შეთანხმება უნდა იყოს:

- ერთობლივად და არა მასწავლებლის მხრიდან ძალდატანებით მიღწეული.
- რეალისტური და მოკლევადიანი.
- კონკრეტული (მაგ, „მათემატიკის ამოცანების ამოხსნა ყოველდღიურად ოცდაათი წუთის განმავლობაში, ერთი კვირის მანძილზე“ უკეთესია, ვიდრე „ ისწავლე ბეჯითად“).
- განსაზღვრული, თუ რამდენ ხანს რჩება შეთანხმება ძალაში.
- კონკრეტული ჯილდოები.
- მასწავლებლის, მოსწავლის, დირექტორისა და მშობლის მიერ ხელმოწერილი.

მცირე შესვენება - მცირე შესვენება არის დისციპლინარული სტრატეგია, როდესაც მოსწავლე გარკვეული პერიოდით ჩამოშორდება საკლასო გარემოს და გადადის შესაბამისად მოწყობილ ადგილას. მცირე შესვენება განსაკუთრებით ეფექტურია, როდესაც მოსწავლის ცუდი ყოფაქცევაზე გავლენას მეწყვილე ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ მცირე შესვენებისათვის კლასის გარეთ სპეციალური ადგილების გამოყოფა ასაკით პატარა ბავშვებთანაც ეფექტურია, მას განსაკუთრებული ზეგავლენა მოზრდილ მოსწავლეებზე აქვს. (დაგეგმეთ, თქვენს დეკანთან ან დირექტორის მოადგილესთან ერთად, სად შეიძლება იყოს მცირე შესვენებისათვის გამოყოფილი სპეციალური ადგილი). მცირე შესვენების ტექნიკის გამოყენებამდე, გაითვალისწინეთ ქვემოთ მოცემული ოთხი ნაბიჯი:

1. შეარჩიეთ მცირე შესვენებისათვის ადგილი, რომელიც იზოლირებულია მხედველობისა და სმენის არიდან. ის არ უნდა იყოს მორთული და მოსწავლისათვის საინტერესო.
2. მოსწავლე უნდა იყოს სამუშაოსა და გართობის გარეშე, აქ დრო უნდა გაატაროს უსაქმურად.
3. გამოყავით სპეციალურად ხუთი წუთი დასჯისათვის. მე, მაგალითად, ვიყენებდი წამმზომს, ამით მოსწავლეებს შეეძლოთ თვითონ გაეკონტროლებინათ დროის მსვლელობა.
4. განაგრძეთ. როდესაც მოსწავლე დაუბრუნდება თავის ადგილს, აუცილებლად უთხარით რამდენიმე სიტყვა თქვენს მოლოდინებზე შემდეგ ჯერზე მის ქცევასთან დაკავშირებით.

მოგონება

ზემოთ დაწერილ რჩევებს პრევენციულ, დამხმარე და გამოსასწორებელ დისციპლინებთან დაკავშირებით რომ გადავხედე, ერთი მოსწავლე გამახსენდა, რომელთანაც არც ერთმა ზემოთ განხილულმა სტრატეგიამ არ იმოქმედა. შაჰაიმი მეოთხე კლასის მოსწავლე იყო, მაშინ, როდესაც ნიუ იორკში, ბრონქსის სამხრეთ ნაწილში ვასწავლიდი. ეს ჩემი მასწავლებლობის მეორე წელი იყო. შაჰაიმი ჭკვიანი არამზადა გახლდათ. ვწუხვარ, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის ის დღე საჩუქარი იყო, როდესაც სია ამოვიკითხე და შაჰაიმმა არ მიპასუხა, რადგან არ მოვიდა სკოლაში. ოჰ, ეს რა დღე იყო! საუბედურად, არც ისე ხშირად იყო ასეთი დღეები, როდესაც შაჰაიმი სკოლას აცდენდა. როგორც ჩანდა, შაჰაიმს უყვარდა სკოლა, ან შეიძლება ითქვას, რომ უყვარდა, როდესაც დღეს კოშმარად მიქცევდა ხოლმე. ყველაფერს აკეთებდა ჩემი ნერვების მოსაშლელად. ჩემი პროტესტის მიუხედვად, უაზროდ აკაკუნებდა ფანქარს თავის მაგიდაზე და კლასში ყველა მიმართულებით ნასროლ ქაღალდებს ბოლო არ უჩანდა. თითქმის არც ერთი დღე არ ყოფილა ისეთი, რომ შაჰაიმი არ ჩართულიყო ფიზიკურ დაპირისპირებაში, ან შარი არ მოედო თანაკლასელისთვის, ანდა არ ეჩხუბა მასწავლებლებთან თუ კლასელებთან. ჭკუიდან გადასვლას ცოტაღა მაკლდა. ყველა მეთოდი ვცადე, რაც კი კოლეჯში მესწავლა. დადებითი განმტკიცების მიდგომა არ ამართლებდა, არც მცირე პაუზის ტექნიკა. მასთან პირადი საუბრები მხოლოდ მცირე დროით ჭრიდა და ვერც მშობლების ჩართვა გვეხმარებოდა. უფრო მეტიც, მშობლები, პრაქტიკულად, ჩემგან მოელოდნენ ამ პრობლემის „მოგვარებას“. დირექტორის თანაშემწის კაბინეტში შაჰაიმის გაგზავნა ცოტაოდენი ამოსუნთქვა იყო ჩვენთვის, სანამ ის კლასში დაბრუნდებოდა, ამჯერად უკვე დიდი ხნით. ხელმძღვანელობას ისიც კი შევთავაზე, შეემოწმებინათ, ხომ არ იყო შაჰაიმი შეზღუდული საგანმანათლებლო უნარების მქონე მოსწავლე. შემოწმების შემდეგ მოვიდა პასუხი, რომ ის მშვენიერი და „ნორმალური“ იყო. მაგრამ ისინი არც ერთხელ არ დაკვირვებიან მის ქცევას საკლასო ოთახში. გრძელი მოთხრობის შინაარსის შემოკლება შაჰაიმმა მხოლოდ მეოთხე კლასში შეძლო. ეს ძლივს მოვახერხე. ჩემი მასწავლებლობის მეორე წლის განმავლობაში მივხვდი, რომ ერთ ურჩ მოსწავლეს მართლაც შეეძლო სასწავლო პროცესის ჩაშლა. „ერთი ადამიანიც კი გადამწყვეტია“ - კარგად არის ნათქვამი და დადასტურებული მასწავლებლების მიერ. და მაინც, მიხაროდა, რომ სასწავლო წელი სრულდებოდა და ვიმედოვნებდი, რომ შაჰაიმი იმდენად ჩამოყალიბდებოდა შემდეგი წლისათვის, რომ მის მომავალ მასწავლებელს ჩემთან შედარებით მუშაობა გაადვილებოდა.

ექვსი წლის შემდეგ, ერთ დღესაც, სადილობის დროს, ვიღაც მესტუმრა, რომელსაც ჩემთან შეხვედრა უნდოდა. მე ავათვალიერე ეს მაღალი, აწოწილი, კარგად ჩაცმული ახალგზრდა კაცი. ნუთუ ეს შაჰაიმი იყო? მართლაც ის იყო! თავი წარმომიდგინა და განმიცხადა „მისტერ გლანც, თქვენ სანახავად მოვედი, მინდოდა მეთქვა, რომ ახლა უმაღლეს სასწავლებელში ვსწავლობ და მართლა კარგად ვსწავლობ თქვენი დამსახურებით“. „ჩემი დამსახურებით?“ შევეკითხე. როცა შაჰაიმი სკოლაში არ იყო, ის დღე ხომ ყველაზე კარგი იყო ჩემთვის. მე ხომ, როგორც კი შანსი მომეცემოდა, ვუყვიროდი და კლასიდან ვაგდები. ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ ყველაფერი უსარგებლო იყო. ახლა კი მომინდა, უკან დაბრუნებულიყო ის წლები. მე ხომ იმდენი შეცდომა დავუშვი. განსაკუთრებით ისეთ მოსწავლეებთან ურთიერთობებში, როგორიც შაჰაიმი იყო. ახლა უკეთესად ვიცი, როგორ უნდა იმოქმედო და იმუშაო ეფექტურად შაჰაიმის მსგავს მოსწავლეებთან. მაშინ ძალიან ვწუხდი, რომ მას თავის ნებაზე ვუშვებდი და ვეძებდი გასამართლებელ საშუალებებს „მისი საქციელის ნებას მიშვებისათვის“. ნადვილად არ მეამაყება, რომ სარკასტული, დამამცირებელი შენიშვნებით მივმართავდი, რითაც ამაოდ ვცდილობდი, დამეოკებინა შაჰაიმის მსგავსი მოსწავლეები. და ახლა, როდესაც მას უნდოდა ჩემთვის მადლობა გადაეხადა, ვგრძნობდი, რომ მის წინაშე ბოდიში მე მქონდა მოსახდელი! ვფიქრობდი, „თუ ის მე საუკეთესო მასწავლებლად მთვლიდა, წარმოგიდგენიათ, სხვა მასწავლებლები როგორი ჰყავდა?“ ვუსმენდი...

„მისტერ გლანც, დიახ, მადლობას გიხდით. მართალია, თქვენ ჩემ მიმართ უხეში იყავით, მაგრამ მე ამას ვიმსახურებდი. სხვები კი გარეთ მაგდებდნენ და თავს მანებებდნენ. თქვენ კი არასოდეს მანებებდით თავს. მე მახსოვს ჩვენი საუბრები სადილობის დროს, ან თუნდაც გაკვეთილების შემდეგ. ჩემზე ხელი არასოდეს ჩაგიქნევიათ. თქვენ ჩემზე ზრუნდავდით“. მე თავზარდაცემული ვიყავი. ამ სიტყვებმა ძალიან იმოქმედა. რამდენიმე წუთი კიდევ ვისაუბრეთ, შემდეგ მან ხელი ჩამომართვა. როცა ახლა ამ შემთხვევის შესახებ ვწერ, ახლაც კი ვგრძნობ ამ თბილ, დიდსულვან და მტკიცე ხელის ჩამორთმევას. შემდეგ შაჰაიმი აღარ მინახავს. იმედი მაქვს, ამ წიგნს წაიკითხავს. მინდა მადლობა ვუთხრა, რომ ის დღე ასეთ კარგ დღედ გადააქცია. იმ დღემ ჩემზე ისეთი დიდი ზეგავლენა მოახდინა, რომ ეს ინციდენტი გავიხსენე. გავიხსენე, რათა თქვენთვის შთამეგონებინა, ყოველთვის გაიაზროთ, რომ ჩვენ იმ შემთხვევაშიც კი შეგვიძლია შევცვალოთ რაიმე, როდესაც ამაზე არც კი ვფიქრობთ.

რაიმეს ხომ არ გაიხსენებდით იმ მოსწავლეებზე, რომლებიც ჰგვანან შაჰაიმს, რომლებისთვისაც გისწავლებიათ, ან ახლა ასწავლით?

შვიდი ნაბიჯი ინდივიდუალური დისციპლინის სისტემის შესაქმნელად

1. რა საჭიროებები გაქვთ? დისციპლინის სისტემის შექმნის პროცესში პირველი ნაბიჯია კლასის მართვის საჭიროებების პრიორიტეტიზაცია. გააკეთეთ თქვენთვის იდეალური კლასისთვის აუცილებელი პირობების ნუსხა (მაგ. თითოეულ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს მისთვის განკუთვნილი ადგილი, ჩუმად მუშაობა, თანაკლასელებისა და მასწავლებლების პატივისცემა და წერითი სამუშაოს დროული შესრულება).

2. რა წესები და პროცედურები გაქვთ? შექმენით საჭიროებებს მორგებული მისაღები ქცევების ნუსხა, რომლებიც გინდათ, რომ ასწავლოთ მოსწავლეებს, შემდეგ კი განამტკიცოთ ნასწავლი.

3. რა შედეგები მოჰყვება წესების დამორჩილებასა თუ დაუმორჩილებლობას? შეადგინეთ იმ პოზიტიური თუ ნეგატიური შედეგების ნუსხა, რომლებიც კონკრეტული წესებისა და პროცედურების შესრულებას ან შეუსრულებლობას მოჰყვება.

4. რომელ სტრატეგიას გამოიყენებთ? ჩამოწერეთ კონკრეტული სტრატეგიები, რომელთა იმპლემენტაციაც თქვენთვის მოსახერხებელი იქნება დისციპლინის სამივე - პრევენციულ, დამხმარე და გამოსასწორებელ - საფეხურებზე.

5. როგორ აპირებთ თქვენი გეგმის განხორციელებას? დაგეგმეთ, როგორ გააცნოთ თქვენი სისტემა დისკუსიების, როლური თამაშების თუ პრაქტიკული გაკვეთილების საშუალებით. განიხილეთ და განამტკიცეთ თქვენი გეგმა მთელი წლის განმავლობაში.

6. როგორ შეამოწმებთ თქვენს გეგმას? დაიწყეთ დისციპლინის სისტემის ამოქმედება. იყავით სამართლიანი, თანამიმდევრული და ადეკვატური. საჭიროების შემთხვევაში, შეცვალეთ გეგმა.

7. პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში, რაც, რასაკვირველია, გარდაუვალია, ხელს ხომ არ ჩაიქნევთ? არასოდეს! ყველა მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს თვითკონტროლი. ყველა მოსწავლეს სჭირდება აღიარება და დაფასება. თქვენს სისტემას შეუძლია დააკმაყოფილოს მათი საჭიროებები საზოგადოებაში აღიარების მოსაპოვებლად. ყოველთვის ეცადეთ, ჩართოთ სხვადასხვა სტრატეგია თქვენს გეგმაში. თანამიმდევრობა ნებისმიერი დისციპლინისა და გეგმის შესრულებისათვის უმთავრესია. საშუალება მიეცით სხვებს, დაგეხმარონ და გაითვალისწინეთ მათი მითითებები. თუ გჯერათ, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია სწავლა, ასევე ირწმუნეთ, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია იყოს გულწრფელი, ზრდილობიანი, პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე და მოწესრიგებული.

დასკვნა

სჭირდებათ თუ არა გამოცდილ მასწავლებლებს გეგმა? მიუხედავად გამოცდილებისა, ყველა მასწავლებელს სჭირდება საკლასო წესებისადმი დაუმორჩილებლობის თავიდან აცილებისათვის აუცილებელი სტრატეგიების შემუშავება. თქვენი გეგმა უნდა გადაიხედოს პერიოდულად. ის შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ყველა მოსწავლის უნიკალურ საჭიროებებთან. არ არსებობს დისციპლინის გეგმის იმპლემენტაციის მზა რეცეპტი. ზოგ მოსწავლეს უდაოდ დასჭირდება განსაკუთრებული მიმართულების მიცემა. მიუხედავად ამისა, ჩამოაყალიბეთ დისციპლინის გეგმა, გაუზიარეთ იდეები კოლეგებს. ეძებეთ დამატებითი საშუალებები, რათა დაეხმაროთ მოსწავლეებს, გამოიყენონ საკუთარი პოტენციალი მაქსიმალურად. გადახედეთ ქვემოთ მოცემული დისციპლინის გეგმის ნიმუშს. იმედია, ეს მოგცემთ მიმართულებას საკუთარი გეგმის შემუშავების პროცესში. შემდეგ კი შეავსეთ ქვემოთ მოცემული კითხვარი, რომელიც მოჰყვება ნიმუშს და შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები კლასის ეფექტურად მართვის თვალსაზრისით.

იდეები კლასის მართვისთვის # 3:
დისციპლინის გეგმის ნიმუში
დისციპლინის ჩემი, პერსონალური სისტემა

რეიჩელ შვაბის მიხედვით

პირველ კლასს ვასწავლი. აქ მოსწავლეთა უმრავლესობა ბიჭია. ჩემი სასწავლო გეგმა მოიცავს კითხვას, წერას, მათემატიკას, საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს. ჩემი მოსწავლეები უმეტესად ისე არ იქცევიან, როგორც ეს პირველი კლასის მოსწავლეებს მოეთხოვებათ. წესები, პროცედურები და განმამტკიცებლები (განსაკუთრებით ნეგატიური) მათთვის უცხოა.

აქედან გამომდინარე, ფრთხილად უნდა ვიყო ჩემი წესების წარდგენისა და ახსნის დროს. დადებითი და უარყოფითი შედეგები, ყველაფერი მკაფიოდ ახსნილი და ადვილად გასაგები უნდა იყოს მათთვის. გეგმა ზედმიწევნით აკურატულად უნდა წარვადგინო.

პირადი დამოკიდებულებების გაცნობა

ჩემი, როგორც მასწავლებლის ძირითადი მიზანია, გარკვეული გავლენა მოვახდინო ბავშვების ცხოვრებაზე. მიზნის მისაღწევად აუცილებელია ბავშვების, როგორც სრულყოფილი ინდივიდების კარგად გაცნობა. ასევე, ჩემი ამოცანაა, შევქმნა დადებითი და თბილი საკლასო გარემო, სადაც ყველა მოსწავლე მონდომებული იქნება, საკუთარი პოტენციალი ამომწურავად წარმოაჩინოს და ეცოდინებათ, რომ მჯერა მათი შესაძლებლობებისა. ყველაფერს ვაკეთებ კლასში „მხიარული“ და საინტერესო გარემოს შენარჩუნებისათვის, იმისათვის, რომ ჩემი მოსწავლეების სწავლასთან პირველი შეხება იყოს სახალისო და სასიამოვნო. დაბოლოს, მოსწავლეებს ვეპყრობი სიყვარულითა და პატივისცემით, თუმცა, ამავე დროს, ვაწესებ გარკვეულ შეზღუდვებს. ასეთი დამოკიდებულებით მოსწავლეთა თვითშეფასება იზრდება შესაფერისი ქცევის დასწავლასთან ერთად.

ზემოთ განხილული პატარ-პატარ მიზნები გათვლილია ჩემი პირადი დამოკიდებულების განსახორციელებლად. ჩემი მიზანია, გარკვეული გავლენა მოვახდინო მოსწავლეთა ცხოვრებაზე. ამისათვის ვცდილობ, სწავლის პირველივე წელს მივცე მათ განათლება და აღვზარდო სასიამოვნო გარემოში. ასეთი მიდგომით, მათი პირველი გამოცდილება „ნამდვილ“ სკოლაში დადებითი ხასიათის იქნება.

ჩემი საჭიროებები

ერთ-ერთი ძირითადი საჭიროება კარგად ორგანიზებული კლასია, სადაც მოსწავლეებმა იციან, რას მოელიან მათგან, საკლასო ოთახი მოწერიგებულია და საკლასო შინაგანაწესი მოსახერხებლადაა განსაზღვრული.

კიდევ ერთ პერსონალურ საჭიროებას თითოეული მოსწავლისათვის აკადემიური და ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარანტია წარმოადგენს. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლის ცოდნის, თვითშეფასებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდას.

ვბრაზდები, როდესაც ჩემი მოსწავლეები ერთმანეთს მიმართ ძუნწები ან ცინიკურები არიან. ამიტომაც მსგავს საქციელს კლასში არ დავუშვებ. ეს ნიშნავს, რომ მე მათ ასევე ვასწავლი, მოექცნენ ერთმანეთს პატივისცემით და იზრუნონ ერთმანეთზე. ურთიერთპატივისცემა და ზრუნვა - ორივე უმნიშვნელოვანესი სოციალური უნარია.
საკლასო შინაგანაწესის დაცვისას უმნიშვნელოვანესია, რომ კლასში იყოს ცოცხალი, თბილი და დადებითი ატმოსფერო, რაც მოსწავლეს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისადმი სიყვარულს ჩამოუყალიბებს.

ჩემი წესები

1. მიჰყევით მითითებებს.
2. სანამ საუბარს დაიწყებდეთ, აიწიეთ ხელი.
3. იმუშავეთ წყნარად თქვენს ადგილას და არ შეუშალოთ ხელი სხვებს.
4. იყავით ერთმანეთის მიმართ კეთილი და თავაზიანი.
5. ესაუბრეთ ერთმანეთს პატივისცემით.

ეს წესები შევარჩიე იმიტომ, რომ ისინი ჩემს ორ ძირითად საზრუნავზეა მიმართული: (1) კლასში წესრიგის შენარჩუნებასა და (2) კლასში დადებითი, სითბოთი და პატივისცემით გაჯერებული გარემოს შექმნაზე. თუ აღნიშნული ორი პირობა არ იქნება გათვალისწინებული, სწავლის პოტენციალი ვერ იქნება ამომწურავად გამოყენებული.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან პირველი წესი მნიშვნელოვანია, რომ გავითვალისწინოთ დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისას, ჯგუფური მუშაობის დროს ან შუალედური გამოცდების პერიოდში. მათი დაცვა განაპირობებს კლასის მართვის ეფექტურობას.

მეორე და მესამე წესი ხელს შეუწყობს კლასში მშვიდი და სასიამოვნო გარემოს შენარჩუნებას. რა თქმა უნდა, აღნიშნულმა წესებმა შესაძლოა ცვლილება განიცადოს ისეთი აქტივობების დროს, როგორცაა, მაგალითად, დისკუსიები და სხვა სპეციფიკური აქტივობები.

მესამე, მეოთხე და მეხუთე წესები მიმართულია დადებითი გარემოს ჩამოყალიბებისათვის, სადაც ერთმანეთს პატივს სცემენ და ერთმანეთზე ზრუნავენ.

მზრუნველობა, ნდობა და პატივისცემა უნდა იყოს როგორც მოსწავლეებს, ასევე მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის.

მეოთხე წესი სტიმულს აძლევს სოციალური უნარების განვითარებას, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლების პირველ საფეხურზე.

ჯგუფურად მუშაობისთვის ცალკე წესები მაქვს. ვინაიდან გაკვეთილის სტრუქტურა განსხვავებულია, შესაბამისად, ჩემი მოლოდინებიც განსხვავდება იმის მიხედვით მუშაობენ დამოუკიდებლად, ჯგუფურად თუ როდესაც ვასწავლი.

ჯგუფური მუშაობის წესები

1. ისაუბრეთ რიგრიგობით, ხმადაბლა.
2. მოისმინეთ ერთმანეთის აზრი.
3. პატივი ეცით სხვის აზრს.
4. თხოვნის შემთხვევაში, დაეხმარეთ ერთმანეთს.
5. იყავით ერთად, ვიდრე ყველა არ დაასრულებს.
6. ისაუბრეთ როგორც ერთად მუშაობის დადებით მხარეებზე, ასევე იმაზე, თუ რის გამოსწორებას ისურვებდით.

არ მინდა ძალიან ბევრი წესით მოსწავლეები გადავტვირთო. ამიტომ ყველა წესი პირველკლასელ მოსწავლეებთან არც განმიხილავს. პირველად ჯგუფური მუშაობის წესები განვიხილეთ და ნიმუშისათვის აღნიშნული წესები გამოვიყენეთ ჯგუფური მუშაობის დროს.

სანამ წესებს კლასში გამოვაკრავდი, მოსწავლეებს წავუკითხე და განვიხილეთ, თუ რატომაა საკლასო გარემოში მათი დაცვა მნიშვნელოვანი. ასევე, მოვაწყვეთ როლური თამაშები იმისათვის, რათა ყველა მოსწავლეს გაეგო წესების მნიშვნელობა.

აღმოვაჩინე, რომ სხვადასხვა საშუალებით სწავლის წესების არსებობა მოწესრიგებული საკლასო გარემოსა და სასიამოვნო სასწავლო ატმოსფეროს შექმნაში გვეხმარება. ბავშვებს მოსწონთ, როდესაც იციან პროცედურები და ის, თუ როგორ ყოფაქცევას მოელიან მათგან. წესების სწავლებაზე დახარჯული დრო ყოველთვის ანაზღაურდება მაშინ, როდესაც კლასის მართვა ეფექტური ხდება წარმოდგენილი წესების შესაბამისად.

დადებითი შედეგები

1. დააფიქსირეთ, როდესაც კარგად იქცევიან - შეაქეთ სიტყვიერად. არა მხოლოდ ის ბავშვები რეაგირებენ შექებაზე, რომელთაც ეს დაიმსახურეს, არამედ ამას სხვებისთვისაც გადამდები ეფექტი აქვს. სხვა მოსწავლეებსაც უნდათ, რომ მიაღწიონ აღიარებას; ასე რომ, ისინი გაიმეორებენ იმ ქცევას, რომელმაც წინა შემთხვევაში შექება დაიმსახურა.

2. კარგად მოქცევის შემთხვევაში, მოსწავლეებმა შესაძლოა მიიღონ დადებითი ნიშანი „ჰეფიგრამა“, რომელიც მათ სახლში დღის ბოლოს გაეგზავნებათ. მე ასევე ვიყენებ ე.წ. „პოზიტიურ სატელეფონო ზარს“ და აღმოვაჩინე, რომ მშობლები გულისფანცქალით ელოდებიან მას.
3. ჩემს მოსწავლეებს უყვართ, როცა მეხმარებიან ან როდესაც ვირჩევ ხელმძღვანელად. მოსწავლეებს, რომლებიც მისდევენ წესებს და სათანადოდ იქცევიან, ვირჩევ სხვადასხვა დავალების შესრულების გასაძღოლად.
4. მოსწავლეები სათანადო ქცევისათვის მოიპოვებენ რიგში პირველი დგომის უფლებას ბიბლიოთეკაში ან შესვენების დროს.
5. მოსწავლის განსაკუთრებული დამსახურებისათვის ადმინისტრაციის სახელზე მოსწავლეს ვაწერინებ წერილს, სადაც დეტალურადაა აღწერილი მისი კარგი ყოფაქცევა.
6. კლასისა და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით სხვადასხვა განმამტკიცებელ სისტემას ვიყენებ, ვიყენებ როგორც ინდივიდუალურ და ჯგუფურ სქემებს, ასევე კლასთა შორის შეჯიბრებებს. ამ გზით მოსწავლეებს შეუძლიათ დააგროვონ სტიკერების წინასწარ განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც განკუთვნილია უფრო დიდი ჯილდოს მისაღებად. ჯილდოები განსხვავდება მატარიალური პრიზებისაგან, ეს გულისხმობს დამატებით შესვენების დროს, დაგეგმილ ექსკურსიას ან პატარა წვეულებებს. მე ასევე მაქვს პატარ-პატარა ჯილდოები, რომელთაც გავცემ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ამ შემთხვევაში მოსწავლეები იღებენ სტიმულს, რომელიც მათ სჭირდებათ. ამასთან, აუცილებელი აღარ ხდება გამუდმებული შეხსენება „იმუშავეთ, რომ დაიმსახუროთ ჯილდო“.

უარყოფითი შედეგები

(დალაგებულია სიმკაცრის ხარისხის მიხედვით)

1. ***თვალებით კონტაქტი*** - მოსწავლე ხვდება, რომ ვიცი, რასაც აკეთებს და მას კიდევ აქვს შანსი, გამოასწოროს საკუთარი ქმედება, ვიდრე ეს პრობლემად იქცევა.
2. ***გაფრთხილება*** - მოსწავლე არასათანადო ყოფაქცევისთვის იღებს სიტყვიერ გაფრთხილებას.
3. ***მოსწავლის გაშვება კლასიდან ხუთი წუთით*** - მე არა უმეტეს 5 წუთისა ვწყვეტ მოსწავლეს ჯგუფურ მუშაობას. ამ მეთოდის წარმატება, როგორც წესი, დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე. აღნიშნული მეთოდი მუშაობს პირველ ჯერზე, ხოლო თუ ბავშვი აგრძელებს ცუდად მოქცევას, მისი კლასიდან გაშვება არაეფექტურია. უფრო მეტიც, ასეთ დროს სხვა მოსწავლეებს ყურადღება სასწავლო პროცესიდან ამ ქმედებაზე გადააქვთ.
4. ***შესვენებიდან ორი წუთის ჩამოჭრა*** - შესვენების პერიოდს მოსწავლეებს მთლიანად ვერ დავაკარგვინებ. მათ ეს დრო სოციალური ინტერაქციისა და

მოძრაობისათვის სჭირდებათ. ვფიქრობ, შესვენებიდან ორი წუთის ჩამოჭრა ეფექტური იქნება მათი დასჯისათვის, თუმცა, ამავე დროს, მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, ჩაერთონ შესაბამის აქტივობებში შესვენებაზე.

5. *სატელეფონო საუბარი მშობლებთან.*
6. *მკაცრი სასჯელი:* მოსწავლის აყვანა ადმინისტრაციასთან.

ჩემი წესების, დადებითი და უარყოფითი შედეგების შესახებ ინფორმაცია, როგორც ჩვენი კლასის დისციპლინის გეგმა, ეგზავნებათ მშობლებს. მშობლები მას განიხილავენ შვილებთან ერთად, მოაწერენ ხელს და ხელმოწერილს მიბრუნებენ. ამგვარად, მათ იციან, როგორ ვმართავ კლასს და უკეთ შეძლებენ გაიგონ, თუ რაიმე მოხდება კლასში.

პრევენციული დისციპლინა

1. საკლასო წესებს მოსწავლეებთან ერთად განვიხილავ სასწავლო წლის დასაწყისში. ჩვენ მთელი წლის განმავლობაში კიდევ გადავხედავთ წესებს და განვიხილავთ მათი არსებობის აუცილებლობას. ასე ბავშვები იგებენ, რას მოითხოვენ მათგან.
2. ვგეგმავ, რომ ჩემი საკლასო სივრცე გამოვიყენო ხილვადობისა და სიახლოვის მაქსიმალურად გაზრდისათვის - შემდეგ კი ვიყენებ ამ მეთოდებს.
3. „იცოდე, რა ხდება კლასში!“ - თუ მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ თქვენ მიმდინარე მოვლენების საქმის კურსში ხართ და არ გინდათ, რაიმე გამოგრჩეთ, ისინი აღარ შეეცდებიან, გამოცდა მოგიწყონ. ასევე, თუ აჩვენებთ თავდაჯერებულობას და აგრძნობინებთ საკუთარი ძალაუფლების მინიმუმს, მოსწავლეების საპასუხო ქცევაც ადეკვატური იქნება.
4. როდესაც ჩემი გაკვეთილები კარგად დაგეგმილი, ორგანიზებული, საინტერესო და კრეატიულია, მოსწავლეები უფრო ნაკლებად იქცევიან ცუდად, ვინაიდან ინტერესდებიან და აქტიურად ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში.
5. დადებითი შედეგების ნუსხიდან ჯილდოები ხელს უწყობს დადებითი ქცევის განმტკიცებას და ასევე ემსახურება სხვების წახალისებას.

მხარდამჭერი დისციპლინა

1. დაამყარეთ მხედველობითი კონტაქტი მოსწავლეებთან.
2. გამოიყენეთ არავერბალური მინიშნებები - გააქნიეთ თავი, მიეცით ნიშანი ხელით და სხვ.
3. გააკონტროლეთ მოსწავლეებთან სიახლოვე/შეხება.
4. გამოიყენეთ სიტყვიერი გაფრთხილებები.
5. იმსჯელეთ წესების შესახებ და მტკიცედ მოითხოვეთ მოსწავლეებისგან სათანადო მოქცევა (ასევე მოიცავს „გატეხილი ტელეფონის“ მეთოდს).
6. გამოიყენეთ ჯილდო ჩემ მიერ შემოთავაზებული დადებითი შედეგების სიიდან.

გამოსასწორებელი დისციპლინა

1. მკაცრად მოითხოვეთ განსაზღვრული ყოფაქცევა.
2. შეუდექით იმ ნეგატიური (წინა თავში ჩამოთვლილი) შედეგების ამოქმედებას, რომლებიც ყოფაქცევასთან დაკავშირებულ მკაცრ ზომებს ეფუძნება.

დაკვნითი ნაწილი

ეს გეგმა შეიძლება იყოს ჩემი პერსონალური დისციპლინის სისტემის ფუნდამენტი. სისტემა მიჩვენებს გზას, გავიაზრო ჩემი კლასის საჭიროებები. ის შეესატყვისება ჩემს შეხედულებას ზოგადად ბავშვებისა და სწავლების შესახებ. და მაინც, კლასები წლიდან წლამდე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. უნდა გავაცნობიერო, რომ ყველა მეთოდი, რომელსაც ვიყენებ ყოველ წელს, არ იმუშავებს. მჯერა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია, ვიყოთ მოქნილი, ვინაიდან მოსწავლეები ძალზედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი არიან პიროვნებები -დამახასიათებელი საჭიროებებით. თუმცა ეს არ უშლის ხელს იმას, რომ ვიყოთ თანამიმდევრულები. თანამიმდევრულობა ნებისმიერი დისციპლინური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალია. მოსწავლეებს შეუძლიათ გაიგონ, რას მოელით მათგან და იცოდნენ ქცევასთან დაკავშირებული შესაბამისი დადებითი და უარყოფითი შედეგების შესახებაც. თუმცა, ყოველთვის იქნებიან სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეები, რომელთაც ესაჭიროებათ უფრო მეტი ძალისხმევა. აქედან გამომდინარე, წესები და შედეგები გარკვეული დოზით მოქნილი უნდა იყოს. ზოგჯერ მოსწავლეებს ესაჭიროებათ ინდივიდუალური ქცევის წესები, სქემები თუ სისტემები. აღმოვაჩინე, რომ ისინი იგებენ და პატივს სცემენ ამ კონცეფციას, როცა გრძნობენ, რომ მათი საჭიროებები გათვალისწინებულია და მათ შეუძლიათ მიიღონ ის, რაც სჭირდებათ. ისინი იზიარებენ აზრს, რომ თანასწორობა ყოველთვის სამართლიანი არ არის, ვინაიდან ყოველ მათგანს გააჩნია ინდივიდუალური საჭიროებები.

ვგრძნობ, მოსწავლეთა საჭიროებების გააზრება და მათთან ურთიერთობის ცოდნა დამეხმარება, გავხდე რეფლექტური პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც ფიქრობს იმაზე, თუ რას აკეთებს კლასი და რისი მიღწევის იმედი აქვს. საკითხის ცოდნა, იდეები, პოზიტიური და ნეგატიური შედეგები და მცდელობა, გავუგო ჩემს მოსწავლეებს, ვიმედოვნებ, რომ მივაღწიო ჩემს მიზანს, მოვახდინო გარკვეული ცვლილებები მოსწავლეების ცხოვრებაში.

პასუხი

რუბრიკა კლასის მართვის შეფასებისათვის

მითითებები: შეაფასეთ, რამდენად ეფექტურად უძღვებით კლასს. შემოხაზეთ სათანადო ქცევის განზომილება თითოეული რვა კატეგორიიდან.

	ქცევის განზომილება			
	გამორჩეული	**დაოსტატებული**	**დამწყები**	**არადამაკმაყოფი-ლებელი**
საკლასო სამუშაოს მონიტო-რინგი	მასწავლებელმა ძალიან კარგად იცის, რა ხდება კლასში. მას თითქოსდა „თვალები ზურგს უკან აქვს“. შეუძლია აკეთოს სხვადასხვა საქმე ერთდროულად; განსაზღვრავს ადგილზე მუშაობის წესებსა და მოლოდინებს. ვინც მუშაობს, მათ წაახალისებს; შეუძლია მყისიერად იმოქმედოს, „დასაწყისშივე შეაჩეროს“ ბავშვი, რომელიც დავალებას ეთიშება. შეუძლია “გადაფარვა“ და ერთი და იმავე საქმის ერთდროულად კეთება; თითოეულ მოსწავლეს უთმობს ზუსტად მისთვის საჭირო დროს. ძალიან კარგად აკონტროლებს მოსწავლეთა მუშაობას ადგილებზე.	მასწავლებელმა იცის, რა ხდება კლასში. ეფექტურად იყენებს ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციურ ტექნიკებს მოსწავლეთა ქცევის მონიტორინგისათვის; უმეტესად აქებს იმ მოსწავლეებს ვინც ემორჩილება კლასის წესებს და საყვედურობს მათ ვინ არ იცავს წესრიგს. ბევრ დროს უთმობს თითოეულ მოსწავლეს. ეხმარება მათ საჭიროების შემთხვევაში; იყენებს მხედველობითი კავშირის ტექნიკას და ყურადღებით ათვალიერებს საკლასო ოთახს ყოველ რამდენიმე წუთში. დაკვირვებით აკონტროლებს ადგილებზე მოსწავლეთა მუშაობას.	კლასს გულდასმით ათვალიერებს; მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია, რა ხდება კლასში; ვერ ამჩნევს დავალებიდან ამოვარდნის ფაქტებს. არის უმეტესად მაგიდასთან ან კონცენტრირებას ახდენს მხოლოდ კლასის ერთ ნაწილზე. საქმის არსს ხვდება მაშინ, როდესაც იწყება კლასში დავა და აზავებს მოსწავლეებს; ცდილობს, დანერგოს კლასის მონიტორინგის სტრატეგიები, თუმცა არათანამიმდევრულ ად.	მასწავლებელი ძირითადად მუშაობს ერთ ჯგუფთან და ამ პერიოდში ყურადღებას არ აქცევს დანარჩენებს. ვერ ამჩნევს მოსწავლეების ამოვარდნას შესასრულებელი დავალებიდან. უჭირს მათი ჩართვა აქტივობებში. მიმართავს არაეფექტურ დამამხარე დისციპლინარულ მეთოდებს საკლასო დავალებებიდან ამოვარდნილი მოსწავლეების ჩართულობისათვი ს; არ იცის, რას აკეთებენ მისი მოსწავლეები; არ ატარებს მოსწავლეთა მონიტორინგს ეფექტურად.
შუალედური გამოცდები	მოსწავლეები უნაკლოდ იქცევიან; მოსწავლეები სრულად იღებენ პასხუსიმგებლობას საკუთარ საქციელზე. შუალედური გამოცდების პერიოდში მასწავლებელი	მასწავლებელს განრიგი გაკრული აქვს კლასში გამოსაჩენ ადგილას. მოსწავლეები არიან მოსალოდნელი ცვლილებების საქმის კურსში; მოსწავლეები გაკვეთილებზე უმეტესად სწორად	შესაძლოა აქებდეს მოსწავლეებს რუტინული წესების შესაბამისად; მასწავლებელმა შესაძლოა შუალედური გამოცდების ვადების შესახებ	აქვს არცთუ კარგად ჩამოყალიბებული საგამოცდო პროცედურების ნუსხა; მოსწავლეებს არ აქვთ დაზუსტებული,

	იშვიათად დგას მაგიდასთან; მასწავლებელი დადის მოსწავლეებს შორის და იცავს დისტანციას. იყენებს აუდიო და ვიზუალურ თვალსაჩინოებებს; მცირედ ან საერთოდ არ იკარგება სასწავლო დრო. მოტივაციის ასამაღლებელი მექანიზმების გამოყენების შედეგია, რომ მოსწავლეები არიან მონდომებული, იმოქმედონ და სწრაფად დაასრულონ დავალება; მასწავლებელი ოსტატურად აადვილებს შუალედურ გამოცდებს.	პასუხობენ; პროცედურებთან დაკავშირებული ცვლილებები განიხილება ყოველკვირეულად; მოსწავლეები ბევრს ვარჯიშობენ; ასე რომ, როდესაც ნამდვილი შუალედური გამოცდების დრო დგება, უფრო ნაკლები სასწალო დრო იხარჯება; მოსწავლეებს ამზადებენ შუალედური გამოცდების კარგად ჩაბარებისათვის; მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს სასურველი ქცევის მაგალითს; მასწვალებელს გააზრებული აქვს შუალედური გამოცდების მნიშვნელობა და იყენებს სტრატეგიებს, რომლებიც მოსწავლეებს გაუადვილებს შუალედური გამოცდების ჩაბარებას.	დაფაზე გამოაკრას; შეყოვნებები აქტივობებს შორის გრძელდება არაუმეტეს ხუთი წუთისა; მასწავლებელი ამზადებს მასალებს, თუმცა ბევრ დროს ხარჯავს ამოქმედებაზე. მასწავლებელი კარგად აცნობიერებს შუალედური გამოცდების მნიშვნელობას, თუმცა მისთვის რთულია ამ პერიოდში მოსწავლეებისათვის დახმარების გაწევა.	როგორ შეუდგნენ მუშაობას; მასწავლებელი უმთავრესად რჩება ერთ ადგილას; კლასში ნაკლებად მოძრაობს; დიდი დრო გადის, სანამ დაიწყებდეს აქტივობებს. მასწავლებელი მოუმზადებელია შემდეგი აქტივობისათვის და დიდ დროს ხარჯავს ნივთების გადაადგილებასა და შემდეგი საკითხისათვის საჭირო მასალების მოძიებაში. მასწავლებელმა მხოლოდ მცირეოდენი იცის შუალედური გამოცდების მნიშვნელობის შესახებ.
განლაგება კლასში	ავეჯი განლაგებულია ისე, რომ ადვილი იყოს გადაადგილება როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეებისათვის; ყველა მოსწავლეს შეუძლია ერთმანეთთან ახლოს მისვლა და აქვთ წვდომა საჭირო ნივთებზე სპეციფიკური აქტივობების დროსაც კი; მასწავლებელს შეუძლია დაინახოს ყველა მოსწავლე ნებისმიერ დროს; მოსწავლეებს ყოველთვის შეუძლიათ	მასწავლებელს შეუძლია თითოეულ მოსწავლესთან მიახლოება; ყველა მოსწავლეს შეუძლია საჭირო ნივთების პოვნა; საკლასო ოთახი გამოიყურება აკურატულად და მოწესრიგებულია; კლასი უსაფრთხოდაა მოწყობილი და ფანჯრებიც სუფთაა; მასწავლებელი აცნობიერებს საკლასო გარემოს მნიშვნელობას.	კლასში ხილვადობა ცუდია, თუმცა მაგიდებისა და სხვა დანარჩენი ავეჯის განლაგება აქ შეცვლილია, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მასწავლებლისა და დაფის დანახვა; კლასი ძირითადად უსუფთაოდ გამოიყურება; მოსწავლეებს საკუთარი ნივთების შესანახად ერთი საერთო ადგილი აქვთ; საკლასო ოთახი ძირითადად	ავეჯის განლაგება არ არის უსაფრთხო და ხელს უშლის მასწავლებელსაც და მოსწავლესაც გადაადგილებაში; მასწავლებელს უჭირს მაგიდებსა და თაროებს შორის მოძრობა მაშინ, როდესაც ცდილობს მივიდეს მოსწავლესთან დასახმარებლად; სასწავლო მასალები დაწყობილია ისეთ ადგილას, სადაც

	უყურონ მასწავლებელს და დაფას; საკლასო ოთხი მოწყობილია აკურატულად; სასწავლო მასალები მოწესრიგებულია და გაკეთებული აქვს წარწერები; მასალები განთავსებულია შესაფერის ადგილზე, მოსწავლეთა სამუშაო ადგილებთან ახლოს; ყველა მოსწავლის პირადი ნივთებისათვის გამოყოფილია ადგილი. ადგილები არის მოწესრიგებული და მათთვის ხელმისაწვდომი. საკლასო სივრცე გამოყენებულია მაქსიმალურად.		უსაფრთხოა, თუ არ ჩავთვლით უწესრიგობასა და იშვიათად წამოჭრილ სირთულეებს; ყოველთვის წესრიგში არაა მოსწავლეთა დასაჯდომი ადგილები.	წვდომა რთულია როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლისათვის; ყველა მოსწავლე ვერ ხედავს მასწავლებელს და ვერც მასწავლებელი ხედავს ყველა მოსწავლეს; ოთახი ცუდადაა მოწყობილი; კლასი უსუფთაოდ და უწესრიგოდ გამოიყურება; მოსწავლეთა განლაგება მოუხერხებელია.
საკლასო გარემო	მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს; მოსწავლეები მოტივირებული არიან ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში და მიაღწიონ წარმატებას; მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას და თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ აზრს; მასწავლებელი დილაობით ენთუზიაზმით ხვდება და ესალმება მოსწავლებს; მასწავლებელი ხშირად აჯილდოებს მოსწავლეებს; ის მუდმივად უწყობს ხელს მათ წახალისებას; მოსწავლეები გრძნობენ რომ მათი კლასი არის უსაფრთხო და სასიამოვნო; მოსწავლეები ენდობიან მასწავლებელს; საკლასო გარემო არის	მოსწავლეები უმეტესად ჩართული არიან სასწავლო პროცესში და თავს გრძნობენ კომფორტულად; მასწავლებელი კმაყოფილი და ნასიამოვნებია კლასით და სწავლებით; უმეტესად იყენებს დადებით განმამტკიცებლებს; მასწავლებელი ძირითადად თანამიმდევრულად მიჰყვება საკლასო დისციპლინის პროცედურებს; ზრუნავს მოსწავლეების კეთილდღეობაზე; კლასში თბილი და გახსნილი ატმოსფეროა;	ზოგი მოსწავლე თავს კომფორტულად გრძნობს, თუმცა ზოგი დაძაბულია; ისინი თავს უხერხულად გრძნობენ, როდესაც საკუთარი აზრის გამოხატვას სთავაზობენ; მასწავლებელი ცოტას იღიმება და უმეტესად ცუდ გუნებაზეა; საყვედურობს და აკრიტიკებს მოსწავლეებს; მასწავლებელი იმედგაცრუებულია დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების გამო; არასათანადოდ იყენებს საკლასო დისციპლინის პროცედურებს; არასაკმარისად	მოსწავლეები ყოყმანობენ პასუხის გაცემისას და არიან დაძაბული და აღელვებული; მასწავლებელი იმედგაცრუებული და დაღლილია; უღიმღამოდ ასწავლის, ხშირად მიმართავს კრიტიკასა და სარკაზმს; მასწავლებელი ხშირად ემუქრება მოსწავლეებს დასჯით; არასათანადოდ იცავს საკლასო დისციპლინის პროცედურებს; მასწავლებლის მხრიდან ნაკლებია დაინტერესება და მზრუნველობა მოსწავლეების მიმართ.

	ღია და მოსწავლეებს ჩვეულებრივ შეუძლიათ თანაკლასელებსა და მასწავლებელებს გაუზიარონ ყველაფერი.		ამჟღავნებს სითბოსა და მზრუნველობას; მასწავლებელი ცდილობს აკონტროლოს სიბრაზე; კლასში არ არის იდეალური გარემო სწავლისათვის.	
რეაგირება მოსწავლის ცუდ ყოფაქცევაზე	მასწავლებელი სათანადოდ რეაგირებს ცუდი ყოფაქცევის შემთხვევებზე; აყალიბებს კლასის მართვის დადებით მიდგომას; ინარჩუნებს სიმშვიდეს და გადაჭარბებულად არ გამოხატავს რეაქციას; გარკვევით აყალიბებს აკადემიურ და სოციალურ მოლოდინებს; მოსწავლეებისაგან მოითხოვს წესებისა და პროცედურების დაცვას; ცუდ საქციელთან დაკავშირებით მისი რეაქცია არის მყისირი და ამავე დროს დადებითი; არის ურყევი, მზრუნველი და სამართლიანი; აყალიბებს კლასის მართვის სისტემურ მიდგომას.	მასწავლებელი მზადყოფნაშია და ყოველთვის არის ჩართული, როდესაც ცუდ ყოფაქცევას აქვს ადგილი. ასეთ შემთხვევას ეხმაურება სიტყვიერად და პერსონალურად მიმართავს მოსწავლეს, იმისათვის, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენოს ბავშვი; მისი გამოხმაურება ცუდ ყოფაქცევასთან დაკავშირებით არის ადეკვატური, თუმცა არაა თანამიმდევრული; ადგენს წესებსა და პროცედურებს; მასწავლებელი ცუდი საქციელის საპასუხოდ მიმართავს ლოგიკურ შედეგებს; რეაგირებს ცუდი ყოფაქცევის ადრეულ ნიშნებზე.	მასწავლებელმა როგორც წესი, იცის ცუდი ყოფაქცევის პრეცედენტის შესახებ, თუმცა დაუზუსტებელი აქვს, თუ რა მოხდა; რეაგირებს ცუდ ქცევაზე ვერბალურად, თუმცა სხვა სტრატეგიებს არ იყენებს; ცუდ საქციელს იღებს პირადულად; არათანამიმდევრულია დისპიცლინარული პროცედურების დაცვის დროს; ცდილობს თავიდან მოიშოროს მოსწავლეები, რომლებიც ცუდად იქცევიან; ცდილობს ისწავლოს დადებითი სტრატეგიები, თუმცა უჭირს მათი დანერგვა.	მასწავლებელმა უმეტესად არ იცის რა ხდება ირგვლივ; ხშირად ფიზიკურად ერთვება ცუდი ყოფაქცევის დროს; ყვირის და ხანდახან მოსწავლეებს დასჯით ემუქრება; სასჯელი არის შეუსაბამო ან არაკეთილგონივრული; მოსწავლეების ყურადღების მისაქცვად მიმართავს შეურაცხყოფას ან სარკაზმს. არაეფექტურად წყვეტს ცუდი ყოფაქცევის პრობლემას.
განმტკიცება	მასწავლებელი დადებით საქციელს მუდმივად და თანამიმდევრულად განამტკიცებს; ყველა მოსწავლე ჯილდოვდება და ქცევას მოსდევს დადებითი განმტკიცება; მოსწავლეებს მასწავლებლის დამხარებით	მასწავლებელი თანამიმდევრულად იყენებს განმტკიცების სტრატეგიებს; ყოველდღიურად აქებს კლასში მოსწავლეთა უმრავლესობას; უმეტესად სახელით მიმართავს მოსწავლეებს; პოზიტიური ქმედების წასახალისებლად იყენებს მატერიალურ	მასწავლებელი იშვიათად იყენებს განმტკიცების ტექნიკას, ხოლო გამოყენების დროს არათანამიმდევრულია; მოსწავლეებს აქებს ზერელედ; განმტკიცებას ახდენს მხოლოდ რამდენიმე მოსწავლესთან, ხოლო დანარჩენებს	მასწავლებელი იშვიათად იყენებს დადებითი განმტკიცების მიდგომებს; აქვს განმტკიცების სისტემური მიდგომის ნაკლებობა; იშვიათად იყენებს როგორც მატერიალურ, ასევე

	განვითარებული აქვთ შინაგანი მოტივაცია; მასწავლებელი იყენებს განმტკიცების სისტემატურ მიდგომას; განმტკიცება არის ნამდვილი, სათანადო და კარგად გადანაწილებული.	ჯილდოებს. უგზავნის მოსწავლეებს სახლში ბარათებს მათი კარგი საქციელის შესახებ; აცნობიერებს ქცევის განმტკიცების მნიშვნელობას.	უგულებელყოფს; განიცდის ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობას განმტკიცების სტრატეგიების გამოყენებისას.	არამატერიალურ განმამტკიცებლებს ; მისთვის არაკომფორტულია განმტკიცება და უხალისოდ უდგება ამ საკითხს.
წესები და პროცედურები	წესები და პროცედურები მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ჩამოაყალიბეს, გადახედეს, განიხილეს და გამოიყენეს პრაქტიკაში ერთობლივად. წესები ეხება კლასის ყოველ საკითხს.	წესები შექმნა და განიხილა მასწავლებელმა; მოსწავლეებმა იციან, რას მოელის მასწავლებლი მათგან; ა შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს წესების დარღვევას ჩამოყალიბებულია და განაწილებულია სწორად; მოსწავლეები ემორჩილებიან წესებს მაშინაც კი, როცა მათ შეიძლება სავსებით არ ესმოდეთ მათი არსი; წესები ჩამოყალიბებულია დადებითად; აყალიბებს მყარ წესებს და პროცედურებს.	მოსწავლეებს ბევრი წესის დამახსოვრება უხდებათ; შეხსენებისათვის წესები არსადაა გამოკრული; შედეგები არარეალური ან არაგონივრულია; წესები არაა გამოკვეთილი და განხილული; წესები არ არის სათანადოდ განხორციელებული; პროცედურები არ არის კარგად განმარტებული; მასწავლებელი ცდილობს, თუმცა აკლია საკითხის ცოდნა და გამოცდილება.	არანაირი კომპლექსურობა- ყოველ დღე განსხვავებულია; მცირეოდენი წესები; არავითარი შედეგები; ზედმეტი თავისუფლება; მოსწავლეებმა არ იციან, რას მოელის მასწავლებელი მათგან; წესები ჩამოყალიბებულია უარყოფითი ფორმით; არავითარი პროცედურები შუალედური გამოცდების ან სხვა შემთხვევებისათვის.
გაკვეთილის წამოდგენა	კარგად დაგეგმილი, საინტერესო და შინაარსანი გაკვეთილი; მასწავლებელი იყენებს მრავალმხრივ მიდგომებსა და მეთოდებს სწავლების პროცესში; იყენებს ტექნოლოგიებს; არჩევს და სათანადოდ იყენებს ხმის ტემბრს; ითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ სწავლის სტილსა და მრავალმხრივ ნიჭს; მისი გაკვეთილები, რომელიც სტრუქტურირებულია შესავლის, ძირითადი	გეგმავს გაკვეთილებს; გაწერილია მიზნები და ამოცანები; ორგანიზებულია მასალები; მოსწავლეები მოტივირებული არიან; მასწავლებელი აკონტროლებს ხმის ტემბრსა და მის ცვალებადობას; იყენებს ვიზუალურ დამხმარე საშუალებებს; გაკვეთილს აქვს გამოკვეთილი დასაწყისი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილი; ასევე მოიცავს შუალედურ შეჯამებას; მასწავლებელი კარგად გადმოსცემს	მასწავლებელი რამდენადმე ერკვევა საკითხში; აშკარაა რომ გეგმავს, თუმცა დაგეგმილის მიწოდების პრობლემა აქვს; გაკვეთილის მიზნები რაღაც პერიოდი გაურკვევლი რჩება; აშკარაა გადმოცემის პრობლემა; მოსწავლეები არ არიან მოტივირებული მონაწილეობა მიიღონ გაკვეთილში; ეძლევათ	მასწავლებელი ვერ ერკვევა საგნის შინაარსში; არასათანადოდ გეგმავს გაკვეთილს; გაკვეთილები არ არის კლასის დონის შესაბამისი; უმეტესად მიმართავს სალექციო სტილით სწავლებას; საუბრობს მონოტონურად; მასწავლებლის განმარტებები ბუნდოვანია; მოსწავლეები

	ნაწილისა და დასკვნის, ასევე შემაჯამაბელი და განმამტკიცებელი აქტივობების სახით, ინარჩუნებს ინოვაციურობას; ამოწმებს, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა გაკვეთილი; აშკარად პროფესიონალი მასწავლებელია.	გაკვეთილს.	მცირეოდენი მოსაფიქრებელი დრო; მასწავლებელი ვერ აკონტროლებს ხმის ტემბრს; ცდილობს, თუმცა ესაჭიროება დამატებითი ტრენინგი და გამოცდილება.	ამოვარდნილი არიან სასწავლო პროცესიდან. არ გამოხატავენ დაინტერესებას; მასწავლებელი ძირითადად ეყრდნობა სახელმძღვანელო; ესაჭიროება ტრენინგი და გამოცდილება გაკვეთილის დაგეგმვასა და პრეზენტაციის უნარებში.

კითხვები / აქტივობები

წინამდებარე თავში განხილული ინფორმაციის მიხედვით, შეადგინეთ დისციპლინის თქვენეული სისტემა.

დისციპლინის ჩემი სისტემა

1. სასწავლო საფეხურისა და სწავლების დონე;
2. საგანი;
3. სოციალური რეალობა;
4. პირადი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება;
5. ჩემი საკლასო წესები (ჩამოწერეთ მინიმუმ ხუთი წესი და მოკლედ აღწერეთ, როგორ აპირებთ მათ განხორციელებას);
6. დადებითი შედეგები (ჩამოწერეთ);
7. უარყოფითი შედეგები (ჩამოწერეთ);
8. პრევენციული დისციპლინის საზომი ერთეულები (ჩამოწერეთ);
9. დამხმარე დისციპლინის საზომი ერთეულები (ჩამოწერეთ);
10. გამოსასწორებელი დისციპლინის ერთეულები (ჩამოწერეთ);
11. დასკვნითი დებულება.

კლასის მართვის შესახებ ამ თავში ნასწავლ რომელ ინფორმაციას გამოიყენებდით?

ჩამოწერეთ ათი რჩევა, რომელთაც შესთავაზებდით დამწყებ მასწავლებელს მოსწავლის ცუდი ყოფაქცევის მართვისათვის.

აქტივობა #6

Google-ში, ან თქვენთვის სასურველ სხვა საძიებო სისტემაში ჩაწერეთ *კოგნიტური სწავლის* სტრატეგიები. თქვენ აქ ბევრ მასალას იპოვით. ჩამოტვირთეთ კომპიუტერში მოძიებული მასალები და გაუზიარეთ კოლეგებს.

თავი 6

როგორ დავეხმარო მოსწავლეებს, ისწავლონ?

ეს არაა ის, რაც შემთხვევით მოხვდა მოსწავლეში, ეს ისაა, რაც მასში ჩაინერგა.

- ლინდა კონვეი

როდესაც მასწავლებლობა დავიწყე, ერთ ყოფილ მასწავლებელს ვსტუმრობდი ხოლმე. მას დიდ პატივს ვცემდი და რჩევებს ვეკითხებოდი. ისიც უყოყმანოდ მპასუხობდა, „კარგ მასწავლებელს თავისი მოსწავლეები უნდა უყვარდეს“. „უყვარდეს?“ ვეკითხებოდი. „დიახ, უნდა უყვარდეს. თუ თითოეულ მოსწავლეზე ისე იზრუნებ, როგორც საკუთარ შვილზე, მაშინ გახდები კარგი მასწავლებელი“.

- ჯეფრი გლანცი

კითხვები

1. რა ფაქტორები ახდენენ გავლენას სწავლაზე?
2. რით შეგიძლიათ დაეხმაროთ მოსწავლეებს სწავლის პროცესში?
3. გჯერათ იმის, რომ, რასაც კლასში აკეთებთ გავლენას ახდენს მოსწავლის წარმატებაზე? ახსენით.
4. რას აკეთებდნენ თქვენი მასწავლებლები სწავლაში თქვენს დასახმარებლად?
5. როგორ ფიქრობთ, რამდენად ეხმარება მოსწავლეს თანამშრომლობითი სწავლა წარმატების მიღწევაში?
6. შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ წარმატებული სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც მასწავლებლებისა და სკოლების მიერ უარყოფილია და პირდაპირ გავლენას ახდენს სწავლაზე? განაგრძეთ კითხვა.

მრავალი ფაქტორი ახდენს სწავლაზე გავლენას. გაიხსენეთ და ჩამოწერეთ ასეთი ფაქტორები.

მიუთითეთ თუ არა ჩამოთვლილთაგან რომელიმე?

- ორგანიზებული, უსაფრთხო და კარგად მოწესრიგებული სკოლა;
- მკაცრი, პროფესიონალური ადმინისტრაციული მმართველობა;
- დადებითი და აქტიური ჩართულობა მშობლების მხრიდან;
- სახელმწიფოს, ფედერალური მთავრობისა და ადგილობრივი მმართველობის მიერ საკმარისი რაოდენობით გამოყოფილი ფინანსები.

ეს და კიდევ სხვა *გარეგანი* ფაქტორები ძალიან მნიშვნელოვანი და, შესაძლოა, აუცილებელი იყოს, თუმცა ისინი პირდაპირ და მყისიერ გავლენას ვერ ახდენენ მოსწავლის წარმატებაზე. თუ რაიმე ისწავლეთ წიგნის ამ ნაწილამდე, ეს ნიშნავს, რომ თქვენ, როგორც მასწავლებელი, კლასში გადამწყვეტ როლს ასრულებთ. გამოცდილი, ნიჭიერი მასწავლებელი, რომელიც ფლობს საგნობრივ და პედაგოგიურ ცოდნას, სწავლების უნარებს, აქვს კარგი ხასიათი, მისი ეს მახასიათებლები პირდაპირ და უფრო მეტად მოქმედებენ მოსწავლის სწავლის ხარისხზე, ვიდრე სხვა რომელიმე ფაქტორი (დარლინგ-ჰამონდი, 2003). თქვენ მიერ ზემოთ ჩამოწერილი სია მოიცავს რომელიმე ამ ფაქტორს, რომელიც კლასში მასწავლებლის საქმიანობას უკავშირდება?

- იყენებს სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს, როგორც პირდაპირ სწავლებას, ასევე დისკუსიას, სოკრატულ დიალოგს და ჯგუფურ სწავლებას (ამ ქვეთავში მოგვიანებით იხილავთ ინფორმაციას დისკუსიის შესახებ);
- მოსწავლეების მიმართ აქვს მაღალი მოლოდინები;
- აწესებს საკლასო ყოფაქცევისა და კლასის მართვის გეგმას;
- ახერხებს მოსწავლეთა ჩაბმას კარგად დაგეგმილ, შინაარსიან გაკვეთილებში;
- ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას;
- მარტივად გადმოსცემს კომპლექსურ იდეებს;
- ამოწმებს, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა მასალა;
- იყენებს სტრატეგიებს, რათა მოსწავლეები მუდმივად იყვნენ დავალებაზე კონცენტრირებულნი;
- ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ განსხვავებებს სწავლაში;
- ახდენს გაკვეთილის დიფერენცირებას ისე, რომ მაღალი და დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთა საჭიროებები გათვალისწინებულია;

- იყენებს კულტურული გარემოსათვის შესაბამის პედაგოგიკას.
- სათანადოდ იყენებს მატერიალურ ჯილდოებსა და განმამტკიცებლებს;
- ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სააზროვნო აქტივობებში;
- ეხმარება მოსწავლეებს, ისწავლონ თანამიმდევრულად;
- ზრუნავს მოსწავლეებზე.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაქტორი ერთობლივად მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლის წარმატებაში. საინტერესოა, რამდენმა თქვენგანმა ჩამოწერა *სასწავლო უნარების გამომუშავება,* როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მოსწავლეთა სწავლის პროცესში დასხამარებლად. ასწავლეთ თქვენს მოსწავლეებს, როგორ ისწავლონ, როგორ მოისმინონ, გააკეთონ ჩანაწერები, გამოიმუშაონ უნარები ტესტების ჩასაბარებლად. ეს არის გრძელი გზა, რომელიც უნდა გაიაროთ, რათა დაეხმაროთ მოსწავლეებს, იყვნენ წარმატებულები. სწავლების დროს უყურადღებოდ რჩება ხოლმე უმეტესად ის ასპექტები, რომლებიც მოსწავლეებში აკადემიური თვითგადარჩენისათვის აუცილებელი უნარების განვითარებას გულისხმობს. ასეთი უნარები შეიძლება იყოს: სწავლა, დამახსოვრება, ჩანაწერებისა და ტესტების გაკეთება და ზოგადი წარმატების მიღწევა სკოლაში. ამ თავის დიდი ნაწილი მიმართულია იმისაკენ, რომ გაგაცნოთ სწავლის რამდენიმე საკვანძო ელემენტი, რომელიც ოფიციალურად ცნობილია კოგნიტური სწავლის სტრატეგიის სწავლების სახელწოდებით (პრისლი & ვოლოშინი, 1995). წინამდებარე თავში მოცემული სტრატეგიები, რომლებიც შექმნილია საველე კვლევის საფუძველზე, შედარებით იოლი სასწავლია და ხელს უწყობს მოსწავლეებს სწავლაში. კოგნიტური სწავლის სტრატეგია, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სასწავლო უნარების განვითარება, გამოხატულია შემდეგი ძირითადი იდეების სახით:

კოგნიტური სწავლის სტრატეგია არის სწავლის უნარების სწავლება.

ასწავლეთ მოსწავლეებს, როგორ დაამუშაონ და გაიაზრონ ინფორმაცია.

სწავლის უნარების სწავლება ჩართეთ გაკვეთილებში.

გქონდეთ სწორი დამოკიდებულება.

გამოიყენეთ სტრატეგიები.

- ჩვენი, მასწავლებლების ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომ მოსწავლემ ისწავლოს. მოსწავლეებზე ზრუნვა და სწორი კითხვების დასმაც მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის მოსწავლის სწავლას უკავშირდება. უდავოა, რომ სწავლა უფრო მეტია, ვიდრე სტანდარტიზებულ ტესტებში მაღალი ქულების მიღება. ჩვენ უნდა გავაფართოვოთ ის გზები, რომლებითაც მოსწავლეების სწავლას ვაფასებთ. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ მეშვიდე თავში.
- ჩვენ, მასწავლებლებს, უდიდესი ზეგავლენა შეგვიძლია მოვახდინოთ მოსწავლეთა სწავლაზე. წარმატებული მასწავლებელი არასოდეს ჩაიქნევს ხელს და იტყვის:

„კარგი, მეტი რისი გაკეთება შემიძლია, თუ ჯეფრის მშობლებისგანაც კი არ აქვს მხარდაჭერა, ან კიდევ თუ გამუდმებით მომიწევს ამის შესახებ საუბარი ადმინისტრაციასთან“. წარმატებული მასწავლებლები დარწმუნებულნი არიან საკუთარ ძალებში. ჩვენ ვგრძნობთ და ვიცით, რომ შეგვიძლია შევცვალოთ. არ ვნებდებით.

- ხელს ვუწყობთ სწავლას არა მხოლოდ ნაყოფიერი, შინაარსზე ორიენტირებული სწავლების მყარი პედაგოგიკის გამოყენებით, არამედ აქტიურად ვერთვებით მოსწავლეთა სწავლის გაძლიერებაში მიღებული ინფორმაციის გააზრებისა და დამუშავების სწავლების გზით.
- მოსწავლეებს შეუძლიათ ისწავლონ ყველაფერი თუ ფლობენ სწავლისათვის აუცილებელი უნარების გამოყენების სტრატეგიებს. თუ მათ ერთხელ გამოიმუშავეს და პრაქტიკულად გამოიყენეს აღნიშნული უნარები, მათ ნებისმიერ სასწავლო სიტუაციაში გამოიყენებენ.

ეს თავი დავწერე, რომ თქვენთვის ის მნიშვნელოვანი გარემო გამეცნო, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლაზე. აქვე წარმოგიდგენთ სხვადასხვა რჩევასა და სტრატეგიას. ეს სტრატეგიები ემყარება სანდო თეორიასა და კვლევას კოგნიტური სწავლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი წიგნი იყიდება თემაზე: „როგორ ვისწავლოთ“, წიგნის ეს თავი მაინც უნიკალურია. ვინაიდან აქ კოგნიტური სწავლის თეორიები წარმოდგენილი მაქვს უფრო მარტივი ფორმატით, ამ თავში არ შემიტანია ყველა შესაძლო უნარი, რომელიც შეიძლება სწავლის დროს დამხმარე იყოს. უბრალოდ, მე ამ სტრატეგიებს კომბინირებულად მივუდექი (ეს შესაძლოა სხვა წიგნისთვის გამოდგეს. ფაქტობრივად, ასეთი ტიპის სხვადასხვა კარგი წიგნი იყიდება მაღაზიებში; იხილეთ დანართი ა) და შევარჩიე კვლევებით დადასტურებული ტექნიკები, რომლებიც თავადვე გამოვცადე მოსწავლეებთან. ახლა კი გაგაცნობთ ამ იდეებს. შესაძლოა მოისურვოთ კიდეც ამ წიგნში გამოყენებულ ლიტერატურას გადახედოთ და ცოდნა კიდევ უფრო გაიღრმავოთ. ჩვენი, როგორც მასწავლებლების მიზანია, განვავითაროთ სასწავლო უნარები მარტივად და სასიამოვნოდ.

ძალიან მნიშვნელოვანია: გამოყოთ დრო და ასწავლოთ ქვემოთ განხილული იდეები მოსწავლეებს. სწავლის დასაწყისში სასწავლო უნარების გაცნობას ერთი აქტივობა დაუთმეთ, შემდეგ კი განამტკიცეთ ის მთელი წლის ან სემესტრის განმავლობაში. კვლევა გვაჩვენებს, რომ როდესაც მასწავლებლები ხელს უწყობენ სასწავლო უნარების განვითარებას გაკვეთილის ახსნის დროს, მკვეთრად იმატებს მოსწავლეთა მიღწევები (მანგრუმი, იანუცი & სტრიჩარტი, 1998).

მოგონება

ალბათ დამეთანხმებით, რომ სასწავლო უნარების განვითარება მნიშვნელოვანია. როგორ ფიქრობთ, შეუძლია მასწავლებელს გამონახოს დრო მოსწავლეთა სასწავლო უნარების განსავითარებლად გადატვირთული სასწავლო გეგმის შემთხვევაში? რა საშუალებებს მიმართავდით კლასში სასწავლო უნარების გამოყენებისათვის? ერთი მინიშნება: უფრო მეტად იფიქრეთ კოგნიტურ სტრატეგიაზე, როგორც კურიკულუმის ცალკეულ ასპექტზე. იფიქრეთ როგორ მოახდენდით სწავლასთან მის ინტეგრირებას საყოველთაოდ ცნობილი „რიტმის“ გარეშე? ჩამოწერეთ იდეები და წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული რჩევა. დარწმუნებული ვარ, სხვა გზებსაც მიაგნებთ.

_____

_____

_____

_____

_____

კარგი, გთავაზობთ ერთ-ერთ გზას, თუ როგორ ჩავრთოთ სასწავლო უნარების განვითარება საგაკვეთილო პროცესში. ვთქვათ, მოსწავლეებს ასწავლით მეცნიერების საგანს და გაკვეთილი ეხება ეროზიას. მოსწავლეებს უხსნით, რომ გამოფიტვა, ანუ პროცესი, რომელიც შლის კლდეებს, მიმდინარეობს წყლის დინების, ყინულის, მცენარეების, ცხოველებისა და ქიმიური ნარჩენების მონაწილეობით. თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ მოსწავლეებს მასალის დამახსოვრებაში და ასწავლოთ სწრაფი და ადვილი დამახსოვრების სტრატეგიები (მოგვიანებით იხილავთ ინფორმაციას მნემონიკის შესახებ ამავე თავში). მაგალითად, ჰკითხეთ: „მაშასადამე, ეს ექვსი რამ ხელს უწყობს კლდის დანგრევას; როგორ გავამარტივოთ მისი დამახსოვრება?“ შეგიძლიათ, მისცეთ მათ შესაძლებლობა, თვითონ იპოვონ დამახსოვრების გზები, ან უთხრით: „იქნებ გამოვყოთ სიტყვების პირველი ასოები მაგალითად, RIP RAC? როდესაც გამოცდაზე გთხოვთ, მოიყვანოთ გამოშრობის ხელიშემწყობი ფატქორების ექვსი მაგალითი, რომელიც იწვევს კლდის დაშლას, თქვენ შეგიძლიათ თქვათ RIP RAC, სადაც R (running water) არის წყლის დინება, I (ice) - ყინული, P (plants) - მცენარეები, R (rain) არის წვიმა, A (animals) - ცხოველები და C (chemicals) არის ქიმიკატები“. მსგავსი სასწავლო სტრატეგიების მოფიქრებამ და დანერგვამ შესაძლოა გარკვეული სასწავლო დრო წაიღოს, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეს ეფექტურად დახარჯული დრო იქნება. კარგ მასწავლებლებს არ აქვთ მოლოდინი, რომ მოსწავლეები უნდა ფლობდნენ ამ უნარებს. კარგი მასწავლებლები

აქტიურად ცდილობენ მოსწავლეთა უნარების განვითარებას და გაკვეთილში მათ ჩართვას. აღნიშნული სასწავლო უნარების განვითარება განსაკუთრებით ეხმარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს. თუმცა, სასწავლო უნარების განვითარება სასარგებლოა ყველა მოსწავლისთვის, ისევე, როგორც თქვენთვის და ჩემთვის.

გამოცდილებამ მასწავლა, რომ ყველას შეუძლია გახდეს წარმატებული მოსწავლე. უმთავრესი, რაც ამის მისაღწევადაა საჭირო, ესაა გეგმის შემუშავება, სწორი დამოკიდებულება და სასწავლო უნარების გამოყენების სტრატეგიების ცოდნა.

წინამდებარე თავი დაყოფილია ხუთ ნაწილად, ესენია:

1. *მარტივი სტრატეგიები დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის*

სასწავლო უნარების განვითარება მოსწავლეებთან განათლების ადრეულ საფეხურებზე უნდა დავიწყოთ. ქვემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიები მარტივი და, ამავდროულად, ეფექტურია მოსწავლეებისათვის სასწავლო ჩვევების გამომუშავების პროცესში.

2. *როგორ განვავითაროთ მოსწავლეში ჩანიშვნების გაკეთების უნარები*

სკოლაში წარმატების მიღწევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად ახერხებენ მოსწავლეები გაკვეთილების დროს ჩანიშვნების გაკეთებას. გაკვეთილების უმეტესობა სკოლაში ტრადიციული მეთოდებით ტარდება, ამიტომაც გაკვეთილის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანია, მოსწავლემ გააკეთოს ჩანიშვნები იმისათვის, რომ იყოს წარმატებული. ბევრმა კვლევამ აჩვენა, რომ ჩანიშვნების ეფექტურად გაკეთებისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა მოსმენის უნარების განვითარება. საერთოდაც, მოსმენა ყველა ენობრივი უნარის ფუნდამენტია. წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ისმენენ მოსწავლეები კლასში. თუ ისინი კარგი მსმენელები არიან, შესაბამისად, კარგი ჩანიშვნების გაკეთებასაც მოახერხებენ.

ამასობაში ისინი ისწავლიან, როგორ გახდნენ კარგი მსმენელები და ჩამნიშვნელები. ასწავლეთ თქვენს მოსწავლეებს მოცემული საფეხურების მიხედვით. რაც უფრო მეტ სტრატეგიას აითვისებენ, მით უფრო კარგი მსმენელები გახდებიან და მით უფრო კარგ ჩანიშვნებს გააკეთებენ.

3. *მარტივი სტრატეგიები სასწავლო უნარების გაუმჯობესებისათვის*

ცხადია, რომ სასკოლო წარმატება დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად სწავლობენ ბავშვები. მიაქციეთ ყურადღება, რომ არ ვწერ *რამდენად* ***ბეჯითად*** *სწავლობენ.* მრავალი მოსწავლე ფიქრობს, რომ დიდხანს და ბეჯითად სწავლა საუკეთესო გზაა კარგად სწავლისაკენ. ეს არაა სიმართლე. რატომ უნდა ისწავლონ *ბეჯითად*, როცა მათ შეუძლიათ ისწავლონ *გონივრულად.* სწავლისა და სხვადასხვა სასწავლო სტრატეგიის ერთდროული გამოყენებით ისინი უფრო უკეთესად ისწავლიან. თუ ისინი არიან D ან C დონის მოსწავლეები, აღნიშნული უნარები მათ განსაკუთრებით დაეხმარებთ. გასაოცარია, მაგრამ თუ ისინი არიან B ან A დონის მოსწავლეები, შეძლებენ

ამ სასწავლო ხერხების გამოყენებით გახდნენ უფრო წარმატებულები. ფაქტობრივად, ისინი შეამცირებენ თავიანთ სასწავლო დროის მინიმუმ მესამედს და შედეგად კი იმავეს მიიღებენ! დარწმუნებული ვარ, თქვენი მოსწავლეები დამატებით დროსაც დააფასებენ. იხილეთ ქვემოთ, ზამოთ მოცემული ფორმატის მსგავსად წარმოდგენილი სტრატეგიები, რომელიც ეხება მოსმენისა და ჩანიშვნების გაკეთების სწავლებას. რაც უფრო მეტ სტრატეგიას აითვისებენ თქვენი მოსწავლეები, მით უფრო კარგად ისწავლიან. სასწავლო უნარების განვითარებასთან ერთად, ისინი მიიწევენ მაღლა A დონის მიმართულებით.

4. *მარტივი სტრატეგიები წიგნიდან ან მისი რომელიმე თავიდან ამოღებულ საკითხავ მასალასთან დაკავშირებით*

მოსწავლეებს სჭირდებათ დახმარება წაკითხული მასალის გასააზრებლად. ხშირად მათ უბრალოდ ვეუბნებით, წაიკითხონ ესა თუ ის გვერდები და არ ვასწავლით ისეთ სტრატეგიებს, რომელთა დახმარებითაც შეძლებენ დაახარისხონ შესაბამისი ინფორმაცია. კვლევა სასწავლო უნარების შესახებ აჩვენებს, რომ როცა მასწავლებლები მოსწავლეებს სწავლის ან კითხვის დროს სთავაზობენ დახმარებას, ისინი უფრო კარგად იგებენ მასალას და აღწევენ წარმატებას.

როდესაც ზემოაღნიშნულ იდეებს გააცნობთ მოსწავლეებს, გააკეთებინეთ შემდეგი დავალება და ამით შეამოწმებთ, ვინ გაიაზრა ის.

მე ყოველთვის ვიყენებ აღნიშნულ სტრატეგიას----------
ხანდახან ვიყენებ ამ სტრატეგიას----------
ვცდი ამ სტრატეგიის გამოყენებას----------
ეს სტრატეგია კარგად მუშაობს----------
ეს სტრატეგია არ მუშობს----------
აღნიშნული სტრატეგია ხანდახან მუშაობს ----------

5. *თანამშრომლობითი სწავლა*

თანამშრომლობითი სწავლება, რომელიც უკვე განვიხილეთ ამ წიგნში, წინამდებარე პარაგფარში უფრო დეტალურად არის ახსნილი. დადგენილია, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ფასეული გზა სწავლის პროცესში მოსწავლეთა დასახმარებლად (სლევინი, 1994). კვლევა აჩვენებს, რომ მასწავლებლები, რომლებიც იყენებენ თანამშრომლობითი სწავლის სტრატეგიას, ხელს უწყობენ მოსწავლეებს წარმატების მიღწევაში. თანამშრომლობითი სწავლა განსაკუთრებით სასარგებლო სტრატეგიაა მაშინ, როდესაც ის მიმართულია სასწავლო უნარების განვითარებაზე. ბევრი მოსწავლე სწორედ თანამშრომლობითი სწავლის დროს ითვისებს მასალას ყველაზე კარგად. თანამშრომლობითი დაჯგუფება სწავლის პროცესის ხელშესაწყობად განსაკუთრებით ეფექტურია.

ქვემოთ მოცემულ სექციაში ზოგიერთი სტრატეგია განმარტებას მოითხოვს, ხოლო ზოგიერთი კი ახსნას თვითონვე მოიცავს.

იდეები მოსწავლეთა დასახმარებლად #1:
მარტივი სტრატეგიები დაწყებით საფეხურზე სწავლებისათვის

სტრატეგია#1: მოსმენა

ითამაშეთ მოსასმენი თამაშები მოსწავლეებთან ერთად. გაიმეორეთ რამდენიმე სიტყვა და გაამეორებინეთ ბავშვებსაც. დააჯილდოეთ, მიეცით პატარა ვარსკვლავები მოსწავლეებს და ასე შემდეგ. მოასმენინეთ სიმღერები მაგნიტოფონით და შემდეგ ისინიც ამღერეთ.



სტრატეგია #2: ფიქრი აზროვნებისა და სწავლის შესახებ

დაუსვით მოსწავლეებს მარტივი კითხვა, როგორიცაა მაგალითად, „რისი გაკეთება გსურთ ახლა?“ როცა უპასუხებენ, შეაჩერეთ და სთხოვეთ დაფიქრდნენ, როგორ გადაწყვიტეს ეპასუხათ ამ კითხვაზე? წაახალისეთ გაიაზრონ, ფიქრის, პრობლემების გადაჭრისა და სწავლის პროცესები. აღნიშნული მეტაკოგნიტური პროცესების ადრიდანვე დაწყება აკადემიურ სარგებელს წლების შემდეგ მოიტანს.

სტრატეგია #3: მითითებების მიცემა

ითამაშეთ თამაშები, როგორიცაა „საიმონი ამბობს“. შეარჩიეთ მოსწავლე მასწავლებლის როლისთვის. მან დანარჩენებს უნდა მისცეს მითითებები. განიხილეთ კლასში, თუ რატომაა ეს მითითებები მნიშვნელოვანი. ითამაშეთ როლური თამაშით მასწავლებლობანა, ანუ როგორ უნდა მისდიონ მითითებებს.

სტრატეგია #4: სუნთქვა

ასწავლეთ პატარა მოსწავლეებს, როგორ გაუმკლავდნენ სტრესს. წააახალისეთ, ისაუბრონ საკუთარ დამოკიდებულებებზე. ასწავლეთ მათ მარტივი სუნთქვითი ვარჯიშები.

რეფლექსია

გაუზიარეთ კოლეგებს, როგორ გამოიყენებდით აქ განხილულ რომელიმე იდეას.

იდეები მოსწავლეების დასახმარებლად #2: მარტივი სტრატეგიები სწავლის გაუმჯობესებისათვის

სტრატეგია# 1: იყავით მომზადებული

ჰკითხეთ მოსწავლეებს, „რას ნიშნავს თქვენთვის, იყოთ მომზადებულნი?“ აუხსენით, რომ მომზადებული ყოფნა გულისხმობს მომზადებას სკოლაში მოსვლამდე. მომზადებული ყოფნა ნიშნავს, რომ მათ მზად უნდა ჰქონდეთ ფანქრები, სამუშაო კალმები, ფლომასტერები და მარკერები, რვეულები, ან ამოსახევგვერდებიანი ბლოკნოტები, რომლებიც ჩანაწერებისათვის გამოადგებათ; ასევე სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო მასალები. დააწერინეთ საჭირო საგნების სია, რომელსაც სკოლაში წასვლამდე, წინა საღამოს გადაამოწმებენ.

სკოლაში დროულად მოსვლაც მომზადების ერთ-ერთი ფორმაა. ასევე შეახსენეთ, რომ სკოლაში უნდა მოვიდნენ სწორი დამოკიდებულებით - მზად სწავლისათვის! ინდექს ბარათზე დააწერინეთ შემდეგი წინადადება და წაახალისეთ, რომ ყოველთვის თან იქონიონ: „მზად ვარ ვისწავლო, მინდა ვისწავლო და ვისწავლი!“ გირჩევთ, გაამეორებინოთ ეს წინადადება ყოველ დილით პირველი ათი სასწავლო დღის განმავლობაში, ხოლო შემდეგ კვირაში ერთხელ სასწავლო წლის ბოლომდე. რა თქმა უნდა, მოსწავლეთა ასაკისა და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით, შეგიძლიათ რამდენადმე შეცვალოთ ეს მიდგომა, მაგრამ უთხარით თქვენს უფრო მაღალი კლასის

მოსწავლეებს, რომ ასეთი აფირმაციები მოზრდილებისათვის წარმატების მიღწევის ძალიან ძლიერი ინსტრუმენტია.

აქედან გამომდინარე, მომზადებული ყოფნა ნიშნავს:

1. მასალების მოტანას - სათანადო აღჭურვილობით ისინი მზად არიან ჩანიშვნების გასაკეთებლად.
2. სკოლაში მოსვლას დროულად - სკოლაში დროული მოსვლა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამ დროს მოსწავლეები მოისმენენ მასწავლებლის მიმოხილვას გაკვეთილის ამოცანების შესახებ.
3. დადებითი განწყობის ქონას - თვითდარწმუნება, როგორიცაა, მაგალითად, „მე მზად ვარ ვისწავლო, მინდა ვისწავლო და ვისწავლი“ ძლიერი და ეფექტური სტრატეგიაა, ვინაიდან ის დადებით ზეგავლენას ახდენს მოსწავლის ქვეცნობიერზე. როდესაც მოსწავლეებს აქვთ სათანადო განწყობა, მათ აქვთ მეტი შანსი, მიაღწიონ წარმატებას.

სტრატეგია #2: დაბრძანდით წინა რიგში

შეახსენეთ მოსწავლეებს, ადრიანად მოვიდნენ სკოლაში, განსაკუთრებით კი სწავლის დაწყების პირველ დღეს, იმისათვის, რომ მოახერხონ წინა რიგში დაჯდომა. წაახალისეთ ისინი, ადგილები დაიკავონ წინა რიგის შუა ნაწილში. კართან ან ფანჯარასთან ჯდომა ყურადღებას ფანტავს. ხოლო, თუ მასწავლებელი მოგვიანებით მოსთხოვს უკან გადასვლას, მათ მოკრძალებით უნდა დაიცვან საკუთარი ადგილი წინა რიგში და უბრალოდ უთხრან მასწავლებელს: „მე უფრო კარგად ვსწავლობ, როდესაც მასწავლებლის ახლოს ვიმყოფები“. ამ მიდგომის უპირატესობებია:

- როდესაც წინ სხედან, მათ უფრო კარგად ესმით, რას ამბობს მასწავლებელი ჩურჩულისა და დაბალი ინტონაციის პირობებშიც კი.
- ისინი, ვინც წინ სხედან, პირველები იღებენ „ნივთებს“. მაგალითად, ისეთ ნივთებს, როგორებიცაა ჰენდაუთები, სპეციფიკური რეკვიზიტები... ეს საჭირო ნივთები პირველად სწორედ იმ მოსწავლეებს მიეწოდებათ, ვინც მასწავლებელთან ახლოს ზის. შესაძლოა ჰენდაუთები დამთავრდეს, სანამ ის უკანა რიგში მჯდომ მოსწავლემდე მიაღწევს.
- ბუნებრივია, მასწავლებელს სურს, მოსწავლეები პირველ რიგში იხილოს. ის ინტერაქციას მათთან შედარებით უკეთ ამყარებს როგორც ვერბალურად, ასევე არავერბალურად, ვიდრე იმ მოსწავლეებთან, რომლებიც უკანა რიგებში სხედან.
- წინა რიგში ჯდომა ასევე დადებითად მოქმედებს ფსიქოლოგიურად. ბავშვების აზრით, მასწავლებელი ფიქრობს, რომ თუ ისინი წინა რიგში სხედან, უფრო მეტი ინტერესით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში. წინა რიგში ჯდომა მათ ნიშნებზე ცუდად არ აისახება.

- მოსწავლეები უფრო ყურადღებით არიან და იღებენ უკეთეს ნიშნებს, როდესაც ისინი სხედან მასწავლებელთან ახლოს.

სტრატეგია #3.

იყავით აქტიური მსმენელი

იყავით ფრთხილად და ყურადღებით

წაახალისეთ მოსწავლეები, უყურონ მასწავლებელს და გამოიყენონ მხედველობითი კონტაქტი. ჩამოაყალიბეთ მოსწავლის ქცევა თქვენი მასწავლებლობის პერიოდში. უჩვენეთ მაგალითები როლური თამაშების საშუალებით, სადაც აქტიური მსმენელების საპირისპიროდ გეყოლებათ პასიური მსმენელებიც.

სტრატეგია #4.

არ დაჯდეთ საუბრის მოყვარული და ჩხუბისთავი მოსწავლების გვერდით

აუხსენით მოსწავლეებს, თუ როგორ ააცილებს თავიდან მათ ასეთი მოქცევა გაკვეთილზე ჩამორჩენას.

სტრატეგია #5.

მასწავლებლის ნებრათვით გამოიყენეთ მაგნიტოფონი რთული, შინაარსობრივად დატვირთული გაკვეთილების შემთხვევაში

მისცემდით მოსწავლეს უფლებას, ჩაეწერა გაკვეთილი? ზოგიერთი მოსწავლისათვის ეს ტექნიკა არის დამხმარე გზა, დარწმუნდნენ, რომ საბოლოოდ გაიგეს ინფორმაცია. ამ ხერხით მათ სახლში შეუძლიათ გადაახვიონ და კიდევ ერთხელ მოუსმინონ იმ ინფორმაციას, რომლის ჩანიშვნაც გამორჩათ.

სტრატეგია #6.

დასვით კითხვები და სთხოვეთ მასწავლებელს, ნათქვამი კიდევ ერთხელ გაიმეოროს

წაახალისეთ მოსწავლეები, დაგისვან კითხვები, უთხარით მთელ კლასს, რომ მზად ხართ გაიმეოროთ და კიდევ ერთხელ ახსნათ ნებისმიერი ცნება, რომელიც კლასში ახსენეს.

სტრატეგია #7.

არ ჩაიწეროთ სიტყვასიტყვით, გამოიყენეთ საკვანძო სიტყვები

აუხსენით მოსწავლეებს, ნუ ეცდებიან ყველა სიტყვის ჩაწერას. უნდა ჩაიწერონ მხოლოდ ძირითადი ცნებები. ჩაუტარეთ იმიტირებული გაკვეთილი და გააკეთებინეთ ჩანიშვნები. შემდეგ კი დაყავით კლასი ორ ნაწილად და შეადარეთ ერთმანეთს მათ მიერ გაკეთებული ჩანიშვნები. შეადარეთ თქვენ მიერ გაკეთებული ჩანიშვნები რომელიმე მოსწავლის ჩანიშვნებს და განსაზღვრეთ თქვენ მიერ გაკეთებული ჩანიშვნების

ადეკვატურობის დონე. მიუხედავად იმისა, რომ ეს აქტივობა მოითხოვს გარკვეულ დროს, კვლევა კვლავაც ადასტურებს, რომ როცა მასწავლებელი დროს გამოყოფს მოსწავლეებისათვის, ასწავლოს მათ, თუ როგორ ისწავლონ და ამ შემთხვევაში საუბარია ჩანიშვნების გაკეთებაზე - შესაბამისად, მოსწავლეთა წარმატების ხარისხი მატულობს.

სტრატეგია #8.

მოუსმინეთ, შემდეგ კი დააალაგეთ მასწავლებლის ნათქვამი თქვენი სიტყვებით (პერიფრაზი)

ასწავლეთ მოსწავლეებს პერიფრაზირება. აჩვენეთ მათ ამ აქტივობის მაგალითი, შემდეგ კი ავარჯიშეთ, დაეხმარეთ და შეასწორებინეთ შეცდომები.

სტრატეგია #9.

გამოიყენეთ აბრევიატურები/სიმბოლოები

ასწავლეთ მოსწავლეებს, მოიფიქრონ სიმბოლოები ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვებისათვის. მიეცით საშულება, გამოიყენონ ნახატები. უჩვენეთ მაგალითები.

სტრატეგია #10.

მეგობრის ნებართვით, შეგიძლიათ გააკეთოთ მის მიერ გაკეთებული ჩანიშვნების ფოტოასლები

წაახალისეთ მოსწავლეები, გაუცვალონ ერთმანეთს ჩანიშნული მასალა და გადაიღონ მათი ფოტოასლები.

სტრატეგია #11.

იცოდეთ, რა ჩაინიშნოთ და როდის

აუხსენით მოსწავლეებს, ჩაიწერონ შემდეგი:

- დაფაზე ხაზგასმით დაწერილი ძირითადი ინფორმაცია.
- ყველა კითხვა, რომელსაც მასწავლებელი სვამს და მასზე პასუხისათვის დროს გამოყოფს.
- მასწავლებლის მიერ ხაზგასმული ადგილები (მასწავლებლის რეპლიკები) -„ახლა კი, ბიჭებო და გოგონებო, ეს ძალიან მნიშვნელოვანია...“

სტრატეგია #12.

დაწერეთ გარკვევით (გადაწერეთ ჩანიშვნები)

ჩანიშვნების გადაწერას გარკვეული დრო მიაქვს, მაგრამ ეს ერთ-ერთი საუკეთესო სტრატეგიაა ინფორმაციის დამახსოვრებისათვის. უთხარით მოსწავლეებს, გადაწერონ ჩანიშვნები გაკვეთილების შემდეგ, ან სახლში იმავე საღამოს.

სტრატეგია #13.

დაათარიღეთ და მიაკარით სადმე ჩანიშვნების ფურცელი

ეს მარტივი რჩევა დაგეხმარებათ ჩანიშვნების ორგანიზებაში.

სტრატეგია #14.

გამოიყენეთ გეგმები

გააკეთეთ გეგმების ნიმუშები, როგორიცაა, მაგალითად:

1. ძირითადი აზრი
   ა. დამხმარე დეტალი
   ბ. დამხმარე დეტალი
      1. დამატებითი დეტალი
      2. დამატებითი დეტალი

სტრატეგია #15.

არასოდეს გამოტოვო გაკვეთილის დაწყების პირველი და ბოლო წუთები!

აუხსენით მოსწავლეებს, რომ გაკვეთილის წინასწარი მიმოხილვა და დასასრულს კი განხილვა - ეს გაკვეთილის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილებია.

სტრატეგია #16.

გაიხსენეთ, ფესვი

ფ - ფოკუსირება

ე - ეკითხები შენს თავს

ს - სცადე დააკავშირო ძირითადი ცნებები

ვ - ვიზუალურად წარმოიდგინე

ი-ის რაც თქვა მოსაუბრემ

სტრატეგია #17.

ზოგადი მითითითებები

წაახალისეთ მოსწავლეები,

- ფოკუსირება მოახდინონ წინადადებებზე და არა სიტყვებზე;
- სცადონ, გამოიტანონ ძირითადი აზრი;
- მოლოდინებზე დაფუძნებულ დასკვნებზე ნუ გადახტებიან, ვიდრე ფაქტობრივად ყველაფერი ნათქვამი არ იქნება;
- დაუსვან კითხვები მოსაუბრეს მოსმენის დროს, ხოლო შემდეგ კი სცადონ თვითონ უპასუხონ შეკითხვებს;
- სცადონ „დახატონ“ გონებით დანახული მოსმენილი ამბავი;
- რეგულარულად შეაჯამონ მოსაუბრის ნათქვამი;

- ჯერ მოუსმინონ, ხოლო შემდეგ შეაფასონ;
- გააკეთონ ჩანიშვნები, რათა შემდეგ გაიხსენონ.

რეფლექსია

გაუზიარეთ კოლეგებს, როგორ გამოიყენებთ აქ განხილულ ყველა ან რომელიმე იდეას.

იდეები მოსწავლეების დასახმარებლად #3:
მარტივი სტრატეგიები სასწავლო უნარების გასაუმჯობესებლად

სტრატეგია #1:
ისწავლეთ გააზრებულად

აუხსენით მოსწავლეებს, რომ აუცილებელი არაა, ისწავლონ ბეჯითად და გამუდმებით. უთხარით მათ, რომ „გააზრებულად სწავლა ნიშნავს - გამოიყენო საჭირო ინსტრუმენტები“. ბევრი სასწავლო დრო იხარჯება, როდესაც მოსწავლეები კიდევ ერთხელ განიხილავენ იმას, რაც უკვე იციან. ის, რაც იციან, ხომ უკვე იციან... დრო უნდა დაუთმონ მხოლოდ სწავლის რთულ მხარეებს. ბევრი მოსწავლე იყენებს ყვითელ ჰაილაითერს მნიშვნელოვანი თემებისა თუ ცნებების ხაზგასასმელად. ცოტა ხნის შემდეგ ისინი უკან მოიხედავენ და ხედავენ, რომ ყველაფერისთვის ყვითელი ხაზი გაუსვამთ! აუხსენით, რომ ხაზი გაუსვან მხოლოდ იმ მასალას, რომელიც ვერ გაიგეს, ან არც ისე კარგად იციან მის შესახებ. ამგვარად, ისინი დროს იმ ადგილების სწავლას დაუთმობენ, რომლებიც მათთვის რთულია. სწავლის ეს მიდგომა მათ სასწავლო დროს გაანახევრებს.
გარდა ამისა, უთხარით მოსწავლეებს, მოემზადონ სწავლისათვის შემდეგნაირად:

- წაიღონ სახლში თავიანთი წიგნები / მასალები;
- სპეციალურად გამოყონ დრო და ადგილი სწავლისთვის;
- დაუთმონ სწავლას პირველ ჯერზე 15-დან 45 წუთამდე, შემდეგ შეისვენონ (ხუთიდან თხუთმეტ წუთამდე), ვიდრე ნასწავლს შეჯამებენ;
- განეწყონ დადებითად.

სტრატეგია #2:

გადაწერეთ ჩანიშვნები, გამოიყენეთ 3X5 ზომის ინდექს ბარათები მარტივი და სწრაფი გადახედვისათვის

ჩანიშვნების გადაწერა გვეხმარება კიდევ ერთხელ გადახედვაში. ინდექს ბარათების გამოყენება მოსწავლეს აძლევს საშუალებას, თან ატაროს და ისწავლოს ყველგან.

სტრატეგია #3:

მაგნიტოფონზე ჩაიწერეთ ჩანიშვნები და შინაარსი, შემდეგ კი შეგიძლიათ უკან გადაახვიოთ და კიდევ ერთხელ მოუსმინოთ

მაგნიტოფონზე გაკვეთილის მოსმენა არაჩვეულებრივი სტრატეგიაა იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც სმენითი უნარები განსაკუთრებით აქვთ განვითარებული.

სტრატეგია #4: ისწავლეთ მოკლე შესვენებებით

უთხარით მოსწავლეებს, არ ისწავლონ ხანგრძლივი დროით, არაუმეტეს 20 წუთისა ერთბაშად (დამოკიდებულია სწავლების საფეხურზე). სჯობს სასწავლო დრო დაყოთ ოთხ ნაწილად, ვიდრე ისწავლოთ ერთბაშად, გადაბმით.

სტრატეგია #5:

ყოველ საღამოს ხუთი წუთით გადახედეთ ამ დღის გაკვეთილებს

აქაც მოქმედებს იგივე პრინციპები, როგორიც წინა სტრატეგიაშია აღწერილი.

სტრატეგია #6:

თავიდან აირიდეთ დაზუთხვა

მოსწავლეები გეტყვიან: „ეს რეალურად ეფექტურია ჩემთვის“. ძალიან კარგი, თუ ისინი არიან A დონის მოსწავლეები, მაგრამ თუ ეს ასე არაა....

სტრატეგია #7:

ზედმიწევნით კარგად ისწავლეთ რთული ადგილები

კვლევა აჩვენებს, რომ სელექციური ტიპის ზედმიწევნითი სწავლა ეფექტურია.

სტრატეგია #8:

იფიქრეთ / ისუნთქეთ / მოუსმინეთ მუსიკას

სწავლის დაწყებამდე და სწავლის დროს.

სტრატეგია #9:

ჩამოწერეთ საგამოცდო კითხვები

მოსწავლეებს, მიუხედავად ასაკისა, მოსწონთ მასწავლებლის როლის თამაში.

სტრატეგია #10:

როდესაც სწავლობთ წიგნის რომელიმე თავს, გადააკეთეთ სათაურები და ქვესათაურები კითხვებად და უპასუხეთ მათ

სტრატეგია #11:

ჩამოაყალიბეთ სასწავლო ჯგუფები

ჩამოაყალიბეთ ჯგუფები პერსონალურად, ტელეფონის საშუალებით, ელ. ფოსტის დახმარებით.

სტრატეგია# 12:

სპეციალურად გამოყავით სასწავლო სივრცე

ისწავლეთ კომფორტულ გარემოში, სინათლეში, დაბრძანდით საყვარელ სკამზე და ა.შ..

სტრატეგია #13:

ისწავლეთ და გადახედეთ ჩანიშვნებს გაკვეთილის შემდეგვე - დაწერეთ მონახაზი

სტრატეგია#14:

კიდევ ერთხელ განიხილეთ ჩანიშვნები ხმამაღლა და დაუსვით კითხვები საკუთარ თავს!

გამოიყენეთ სარკე და წარმოიდგინეთ საკუთარი თავი მასწავლებლის როლში.

სტრატეგია #15:

ისწავლეთ დილით/ღამით თქვენი ბიოლოგიური რიტმის გათვალისწინებით

სტრატეგია#16:

ჭამეთ სწავლის დაწყებამდე ან მისი დასრულების შემდეგ - მაგრამ არა სწავლის პერიოდში

სასწავლო პერიოდში სწავლით მიიღებთ გამოცდებში უმაღლეს ნიშნებს.

სტრატეგია #17:

ითხოვე დახმარება

დახმარება შეგიძლია სთხოვოთ მასწავლებელს, მეგობარს, მშობლებს. უფროსებს, ან რომელიმე უფროსკლასელ მოსწავლეს.

სტრატეგია #18:

გამოიყენეთ მნემონიკა: მეხსიერება

ისარგებლეთ აკრონიმებით

- გამოიყენეთ სიტყვების პირველი ასოები, მაგალითად **პგა** - პროფესიული გოლფის ასოციაცია;
- შექმენით საკუთარი აკრონიმები;
- აკრონიმები გეხმარებათ დამარცვლის დროს (მაგალითად, **კ**ოკამ **ე**კას **თ**ავისი **ი**შვიათად **ლ**ამაზი **ი**ხვი აჩუქა- ე.ი. ***კ ე თ ი ლ ი ა.*** "**E**mily's **M**om **B**roke **A** **R**ed **R**ocker **A**s **S**he **S**at" - *embarrass*).

გამოიყენეთ რითმები

- გამოიყენეთ უკვე დამკვიდრებული რითმები (მაგ." 30 დღე აქვს სექტემებრს, აპრილს, ივნისს და ნოემბერს, ყველა დანარჩენს კი 31, თებერვლის გამოკლებით");
- თვითონაც გარითმეთ.

გამოიყენეთ მაკავშირებლები

შეგიძლიათ გამოიყენოთ მაკავშირებლები. მაგალითად, იმისათვის, რომ დაიმახსოვროთ ყვავილის შემადგენელი ნაწილები: „მისტერ დინგმა გაისროლა ვარდისფერი მტვრიანა ნასკვის საშუალებით, მაშინ, როცა მისის ჯამის ფოთოლმა დაამაგრა თავისი ველოსიპედის გვირგვინის ფურცლის ყუნწი", ან, მაგალითად, თვალის აგებულების დასამახსოვრებლად - წამწამი, რქოვანა, ბროლი, ფერადი გარსი, ბადურა: „ფერადი გარსი უყურებდა წამწამს ბროლის საშუალებით თავისი უხეირო წითელი ტელესკოპიდან თან ჭამდა რქა-(ოვანა)-ს მისი ღეროდან".

გამოიყენეთ საკვანძო სიტყვები

შექმენით და დაიმახსოვრეთ თქვენეული საკვანძო სიტყვები (რომელთაც ხანდახან *საკიდებს* ეძახიან). გამოიყენეთ ისინი ახალ ინფორმაციასთან დასაკავშირებლად.

ჩემი საკვანძო სიტყვა	დასამახსოვრებელი სიტყვები	როგორ დავაკავშირო
1. მოიგო	ქინძისთავი	მე მოვიგე ქინძისთავი
2. წყვილი	მზის სათვალეები	წყვილი მზის სათვალე
3. ხე	მაიმუნი	ხეზე მაიმუნია
4. ვარსკვლავი	კინო	კინოვარსკვლავი
5. ფუტი	ფანქარი	ხუთი ფუტის სიგრძის ფანქარი
6. ბანდა	ციყვი	ექვსი ციყვის ბანდა

7. 7-up	ქუდი	7-up-ის ქილებით სავსე ქუდი
8. შეჭამა	კატა	კატამ შეჭამა
9. რკინა	საყვირი	საყვირის ფორმის მქონე რკინა
10. კარავი	პიცა	პიცისგან გაკეთებული კარავი

სცადეთ გამოიყენოთ *სხეული* საკიდად. თქვენს სხეულზე მონიშნეთ ათი ადგილი, რომელზეც ინფორმაციას განათავსებთ. მაგალითად, თითოეულ ტერფზე (2), თითოეულ ხელზე (2), მუხლზე (1), გულმკერდზე (1), ორივე მხარზე (2), სახეზე (1) და თავზე (1). ეს უნდა იყოს ჯამში 10 ნიშანი (თქვენ ასევე შეგიძლიათ სახლშიც მონიშნოთ ადგილები და ეს გაზარდოთ 50-მდეც!). ახლა კი განათავსეთ რაიმე ინფორმაცია თითოეულ საკიდზე. მოდით, ვთქვათ: „მე ვარ გარეთ და არ მაქვს კალამი, რომ ჩავიწერო ინფორმაცია“. უბრალოდ, განათავსეთ ახალი ინფორმაცია თითოეულ საკიდზე. გაიხსენეთ, რომ უნდა დაურეკოთ დედას და თქვენს საუკეთესო მეგობარს. დედასა და მეგობარს მიუჩინეთ ადგილები თითოეულ ფეხზე. როდესაც ვიზუალურად ფეხს დახედავთ, გაიხსენეთ მათი ნათქვამი „დამირეკე, როდესაც სახლში მიხვალ“. მოგვიანებით კი გაიხსენეთ, რომ საყინულიდან უნდა გამოიღოთ ხორცი. ამგვარად, წარმოიდგინეთ ხორცის ნაჭერი თქვენს კალთაში. და ასე შემდეგ... ახლა კი, როდესაც თქვენ მიხვალთ სახლში, ეკითხებით საკუთარ თავს: „რა უნდა გამეკეთებინა?“ დახედეთ ფეხებს. რას ხედავთ? რა თქმა უნდა, დედას და საუკეთესო მეგობარს. ახლა კი, რა არის ეს თქვენს კალთაზე? ეს სახალისოა და, ამასთან, ეფექტურიც.

დაიმახსოვრეთ შემდეგი მნემონიკა **CAR,** რისი დამახსოვრებაც გჭირდებათ ან გინდათ, გახადეთ ის ფერადი (**C**olorful), ქმედებაზე ორიენტირებული (**A**ction-oriented), სასაცილო (**R**idiculous). თუ თქვენ გინდათ რაიმე დაიმახსოვროთ, გახადეთ ის იმდენად ფერადი, რამდენადაც შესაძლებელია, ქმედებაზე ორიენტირებული და წარმოიდგინეთ, რომ ის აკეთებს რაიმე სასაცილოს. მაგალითად, მე ხანდახან მიძნელდება იმ ადამიანების სახელების დამახსოვრება, რომელთაც პირველად შევხვდი. ვთქვათ, წარმადგინეს ქალბატონთან, სახელად **ჯეინ**თან. როდესაც მას ხელს ვართმევ და ვესალმები, წარმოვიდგენ მის იასამნისფრად შეღებილ თმას, რომელსაც **ჯემ**ის ლაქები ჩამოსდის. ახლა ის უკვე არის ფერადი, ქმედებაზე ორიენტირებული და სასაცილოც. ხოლო როდესაც მას შემდეგში ვხვდები, წარმოვიდგენ ამ სურათს და ვამბობ „ჰაი, ჯემ, ოჰ, ვგულისხმობდი - ჯეინ?!“.

ერთხელ სცადეთ თქვენც. როდესაც თქვენი მშობელი ან მეუღლე გეუბნებათ, რომ სამსახურიდან სახლისკენ მომავალ გზაზე მაღაზიიდან წამოიყოლოთ: რძე, პური, კეტჩუპი და ხელსახოცები. არ არის საჭირო ამ ინფორმაციის ჩაწერა. უბრალოდ, მენტალურად ჩაიწერეთ ეს საგნები მნემონიკის მეშვებით თქვენი სხეულის საკიდიდან ერთ-ერთზე. ზემოთ ვახსენე სხეულის საკიდი და სახლის საკიდი. თქვენ შეგიძლიათ იქონიოთ აგრეთვე საკიდი მანქანის წინა სახურავზე. განათავსეთ ზემოხსენებული

საგნები მანქანის წინა სახურავზე და როდესაც სახლისკენ წახვალთ, შეხედეთ თქვენი მანქანის წინა სახურავს, ანუ თქვენს საკიდს. რას ხედავთ? რა თქმა უნდა, თეთრ ხელსახოცებს, რომელიც მოთხუპნულია წითელი კეტჩუპით, ხოლო ცენტრში კი რძის ჭურჭელსა და პურს, რომელიც აიწონა დაიწონაზე ბალანსს ინარჩუნებს.. ახლა ეს ნამდვილად სასაცილო, ფერადი და მოძრავია. თქვენ, რა თქმა უნდა, გაგახსენდებათ სასურსათო მაღაზია და ასე თავიდან აიცილებთ ჩხუბს მშობელთან ან მეუღლესთან!

გამოიყენეთ ბანალური მემორიზაცია

ვიდრე თქვენ ვარჯიშობთ და ჯერ კიდევ სწავლობთ დამახსოვრებას, ძველმოდური, კარგი საშუალებებიც ხანდახან არ არის ცუდი.

რეფლექსია

გაუზიარეთ კოლეგებს, როგორ გამოიყენებთ აქ განხილულ ყველა ან რომელიმე იდეას.

იდეები მოსწავლეთა დასახმარებლად #4: კითხვის მარტივი სტრატეგიები

სტრატეგია #1.

მიმოხილვა, შეკითხვები, წაკითხვა, რეფლექსია, კითხვებზე პასუხის გაცემა, გადახედვა

ასწავლეთ მოსწავლეებს შემდეგი პოპულარული ხერხები: მიმოხილვა, შეკითხვები, წაკითხვა, რეფლექსია, კითხვებზე პასუხის გაცემა, გადახედვა.

1. მიმოხილვა - ზოგადი ინფორმაციის მიღება მთლიანი ტექსტის ან თავის შესახებ სათაურების, ქვესათაურების, ცხრილებისა და ხაზგასმული სიტყვების გადაკითხვის გზით.
2. შეკითხვები - აქციეთ სათაურები შეკითხვებად.
3. წაკითხვა - წაიკითხეთ ტექსტი, რათა უპასუხოთ კითხვებს.
4. რეფლექსია - გაიაზრეთ წაკითხული მასალა და დაუკავშირეთ წინარე ცოდნას.
5. კითხვებზე პასუხის გაცემა - გამოიკითხეთ ინფორმაცია კითხვებით.
6. გადახედვა - კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ ტექსტი; დასვით კითხვები; შეასრულეთ პრაქტიკული დავალებები.

სტრატეგია # 2.

არ გამოიყენოთ ჰაილაითერი

ხშირად მოსწავლეები ჰაილაითერით ყველაფერს ხაზს უსვამენ. როდესაც უკვე მზად არიან, რომ ისწავლონ, თითქმის დაფარულია მთელი ტექსტი „ყვითელი ზღვით“. ამის ნაცვლად, ასწავლეთ გააკეთონ საკონტროლო მონიშვნები ფურცლის მინდორზე იმ ინფორმაციის გვერდით, რომელზეც ფიქრობენ, რომ კიდევ ერთხელ გადახედვა დასჭირდებათ. ხოლო თუკი მათ დაჟინებით სურთ კითხვის დროს ხაზის გასმა, ასწავლეთ, რომ ხაზი გაუსვან მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც რთულია. მათ არ უნდა გაუსვან იმ ნაწილს ხაზი, რომელიც უკვე იციან.

სტრატეგია #3.

გააკეთეთ ჩანიშვნები 3X5 ზომის ინდექს ბარათებზე

სტრატეგია #4.

ჩამოწერეთ კითხვები კითხვისას

სტრატეგია #5.

დაწერეთ მონახაზი

ყოველი ძირითადი თავის ან პარაგრაფის შემდეგ აიღეთ ფურცელი და გააკეთეთ წაკითხული მასალის ძირითადი იდეის მონახაზი მოკლედ, თქვენი სიტყვებით.

სტრატეგია #6.

იკითხეთ ხმამაღლა ან წაიმღერეთ ნაწილ-ნაწილ

ამ დროს დარწმუნდით, რომ მოსწავლეები არიან მარტო.

რეფლექსია

გაუზიარეთ კოლეგებს, როგორ გამოიყენებთ აქ განხილულ ყველა ან რომელიმე იდეას.

იდეები მოსწავლეების დასახმარებლად #5: თანამშრომლობით სწავლა

წინამდებარე ქვეთავი მიმართულია მოსწავლეთა დასახმარებლად, ისწავლონ მსჯელობა თანამშრომლობითი სწავლის შესახებ არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან ეს მართლაც რომ ძლიერი ინსტრუმენტია წარმატების მისაღწევად, გარდა ამისა, მას გააჩნია შეუფასებელი მნიშვნელობა სასწავლო უნარების გამომუშავებისა და განმტკიცების თავლსაზრისით. მაგალითად, მოსწავლეები სწავლობენ უფრო ეფექტურად მაშინ, როცა იმყოფებიან კარგად ფუნქციონირებად სასწავლო ჯგუფში.

რა არის თანამშრომლობითი სწავლა?

განსაზღვრება

რობერტ სლევინის(1994) თანახმად, „თანამშრომლობითი სწავლა მოიცავს სხვადასხვა სასწავლო მეთოდს. შერეული სასწავლო უნარების მქონე მოსწავლეები პატარ-პატარა ჯგუფებში მუშაობენ... ასეთ ჯგუფებში მოსწავლეები პასუხისმგებელნი არიან არა მხოლოდ იმაზე, თვითონ ისწავლონ ახსნილი მასალა, არამედ ვალდებულნი არიან, დაეხმარონ თავიანთი ჯგუფის წევრებს სწავლაში“ (გვ. 5).

არ არის საკმარისი...

საკმარისი არაა მოსწავლეთა ჯგუფებად ჩამოყალიბება მხოლოდ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, განსაკუთრებით - სპეციალური მითითებებისა და მინიმალური განმარტებების გარეშე.

უპირატესობები

- მოსწავლეთა წარმატებები;
- ამაღლებული თვითშეფასება;
- უფრო მეტი გართობა სკოლაში;
- გაცდენების შემცირება;
- გაზრდილი მოტივაცია სწავლისადმი;
- განსხვავებული კულტურის წარმომადგენელ მოსწავლეთა პატივისცემა.

ჯგუფების ფორმირება

მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეთა გადანაწილება შესაბამის ჯგუფებში აკადემიური და სოციალური პირობების გათვალისწინებით. ჯგუფების ფორმირება შეიძლება მოხდეს „**გეშ**“ აკრონიმის გამოყენებით, კერძოდ **გ**ენდერული კუთვნილების, **ე**თნიკური წამომავლობისა და **შ**ესაძლებლობების გათვალისწინებით. შემთხვევითი

შერჩევის ტექნიკის გამოყენების დროს ხშირად გამოიყენება გათვლა. მაგალითად მოსწავლეები გაითვლიან 1,2,3,1,2,3, და ასე შემდეგ. ყველა 1-იანი მიდის პირველ ჯგუფში, ყველა 2-იანი მიდის მეორეში და ა.შ..

სწავლის ელემენტები

გამოიყენეთ აკრონიმი PIGS FACE (ღორის სახე).

Positive Interdipendence (პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება) - ჯგუფის წარმატება დამოკიდებულია მისი თითოეული წევრის წარმატებაზე. ამიტომაც, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ მისი ყველა წევრი მონაწილეობდეს აქტივობაში. როგორ შეძლებთ ჯგუფის თითოეული წევრის აქტიურ ჩართულობას? მიეცით, მაგალითად, მხოლოდ ერთი სამუშაო ფურცელი ერთ ჯგუფს. ეს ტექნიკა მოსწავლეებისაგან მოითხოვს ერთმანეთისთვის შეხედვას. ხოლო თუ თქვენ ჯგუფის თითოეულ წევრს დაურიგებთ თითო ფურცელს, სავარაუდოდ თითოეული მათგანი იმუშავებს მარტო, ეს კი ვერ დაგეხმარებათ მიზნის მიღწევაში.

Individual Accountability (ინდივიდუალური პასუხისმგებლობა) - ყოველი მოსწავლე პასუხისმგებელია მასალის სწავლაზე, დავალებების შესრულებაზე და ა.შ. მასწავლებელი ჯგუფის თითოეულ წევრს ავალდებულებს, ისწავლოს. თანამშრომლობითი სწავლის დროს არ შეიძლება ერთი ადამიანი იჯდეს უკან და უყურებდეს, როგორ მუშაობენ დანარჩენები. მასწავლებელს შეუძლია პასუხისმგებლობის გაზიარების უზრუნველყოფა ტესტირებით, ვერბალური გამოკითხვით და სხვ. ჩვეულებისამებრ, თითოეული წევრი უნდა აწერდეს ხელს სამუშაო ფურცელს იმის დასტურად, რომ ის მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში და ისწავლა მასალა.

Group Processing (ჯგუფის განვითარება) - ჯგუფის წევრები ფიქრობენ იმაზე, როგორ იმუშაონ ერთად ეფექტურად ან როგორ შეასრულეს მიცემული დავალება. მასწავლებლებს ჰყავთ ჯგუფები, რომელებიც აფასებენ საკუთარ ნამუშევრებს აქტივობის დასრულების შემდეგ. მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს უზრუნველყოფს უკუკავშირით.

Social Skills (სოციალური უნარები) - ჯგუფური სწავლების ეფექტურობისათვის აუცილებელია ინტერპერსონალური და საკომუნიკაციო უნარების ქონა. ჯგუფური მუშაობისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია მოსწავლეთათვის სოციალური უნარების განვითარება. მასწავლებლები მნიშვნელოვან დროს უთმობენ წესებისა და პროცედურების გადახედვასა და როლური თამაშების გამოყენებას იმაში დასარწმუნებლად, რომ ყველაფერი რიგზეა.

FACE-to Face Interaction (პირისპირ საუბარი) - მოსწავლეები ერთმანეთთან საუბრობენ უშუალოდ. თქვენ, როგორც მასწავლებელი, რას გააკეთებდით პირისპირ საუბრების ხელშეწყობისათვის?

როლები

მოსწავლეებისათვის: ჯგუფის თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს გარკვეული და სპეციფიკური როლი, როგორიცაა, მაგალითად, წამკითხველი, ჩამწერი, მეთვალყურე, კაპიტანი, გამამხნევებელი, მართლწერის შემმოწმებელი, და სხვ. რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ჯგუფის მუშაობასა და შედეგებზე თითოეული მოსწავლის როლმა, რომელიც მას ჯგუფში ენიჭება?

მასწავლებლისათვის: განსაზღვრავს ჯგუფის ზომას. ანაწილებს მოსწავლეებს ჯგუფებში; ამზადებს საკლასო ოთახს ჯგუფური მუშაობისათვის; განსაზღვრავს აკადემიური და სოციალური ტიპის დავალებებს; ნათლად განსაზღვრავს ჯგუფური მუშაობის მოლოდინებს; თვალყურს ადევნებს, აკვირდება და მოძრაობს ჯგუფებს შორის; ერევა, როცა საჭიროა; უზრუნველყოფს უკუკავშირს; აფასებს თითოეულ ჯგუფს და ჯგუფის წევრებს.

ჯგუფების ძირითადი ტიპები

წყვილებში მუშაობა - უბრალოდ შებრუნდი შენი მეზობლისაკენ...

ფოკუსირება სამეულზე - სამი ადამიანისაგან შემდგარ მცირე ზომის ჯგუფში მუშაობა რომელიმე კონკრეტულ მოკლევადიან დავალებაზე.

მკითხველთა ჯგუფები - ჯგუფი ერთად პასუხობს სხვადასხვა კითხვას ტექსტის გააზრების შესახებ.

ჯიგსოუ - თითოეული წევრი წარმოადგენს კვლევის სხვადასხვა მხარეს, როგორც, მაგალითად, ჯიგსოუს პაზლები, რომლებიც ბოლოსკენ ერთიანდებიან.

ცხრილი 6.1 თანამშრომლობითი სწავლისა და ტრადიციული (კონკურენტული) ჯგუფური მუშაობის შედარება

თანამშრომლობით სწავლა	**ტრადიციული ჯგუფური მუშაობა**
ჯგუფის წევრები დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე	ჯგუფის წევრები ერთმანეთს ეჯიბრებიან
შერეული შესაძლებლობები	ჰომოგენური
ლიდერის როლი განაწილებულია	ლიდერი არის ერთი
ასწავლიან სოციალურ უნარებს	ხდება სოციალური უნარების სიმულირება ან იგნორირება
მასწავლებელი აკვირდება და ურთიერთქმედებს	მასწავლებელი დიდად არ ერევა
ჯგუფის წევრები აფასებენ საკუთარ წარმატებულობას	არ ხდება ჯგუფის განვითარება

შეგიძლიათ მოიფიქროთ, კიდევ რა განსხვავებები არსებობს მათ შორის?

სხვა გასათვალისწინებელი ფაქტორები

ჯგუფის ზომა დამოკიდებულია მიზანზე;

ოთახის ფიზიკური მოწყობა;

ჯგუფის მუშაობის ხანგრძლივობა;

ჯგუფის წევრების შერჩევა;

ჯგუფებში ჩანაცვლება.

რას აკეთებთ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ჯგუფი ამთავრებს დავალებას, ხოლო სხვა ჯგუფები ჯერ კიდევ მუშაობენ? დაგეგმეთ აქტივობები სწავლის მიზნიდან გამომდინარე, ჩუმად კითხვა, ინდივიდუალური სწავლება და სხვ. დაწერეთ გონებრივი სავარჯიშოები დაფაზე. მაგალითად, რომელი შვიდასოიანი სიტყვა არ შეიცავს ხუთი ხმოვნიდან არცერთს? ან, რომელი სიტყვა მოიცავს ასოთა სამ თანამიმდევრულ წყვილს? *პასუხები*: Rythms (რითმები), Bookkeeper (ბუღალტერი).

გაკვეთილის გეგმის ფორმატის ნიმუში

გადაწყვეტილებები: საგანი, თემა.

ჯგუფის ზომა: 2—3—4—5

ჯგუფებში გადანაწილება: -- მასწავლებელი ანაწილებს -- განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებით შემთხვევით შერჩეული -- თვითშერჩევა -- შერჩევა

ოთახის განლაგება:-- მცირე ჯგუფებად განლაგება-

-- მრგვალი მაგიდა სკამებით -- სამი მაგიდა ერთად, T-სებური ფორმით განლაგება -- სხვა...

მასალები: -- თითო კომპლექტი თითოეულ ჯგუფს -- თითო კომპლექტი თითოეულ მოსწავლეს -- სხვა? (დაკონკრეტეთ).

სოციალური უნარები, გაკვეთილის სოციალური მიზნების განსაზღვრა:

გაკვეთილი:

სასწავლო მიზნები:

დადებითი ურთიერთდამოკიდებულება: ---თითო ფურცელი თითო ჯგუფს ---თითოეული ჯგუფის წევრი მიიღებს რაიმე სახის ჯილდოს---მასალების ერთი კომპლექტი ერთმანეთისათვის გასაზიარებლად---ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს განსაკუთრებული სამუშაო---როლების განსაზღვრა---ჯგუფის ლოგო, სახელი, სიმღერა და სხვ.---თითოეულ წევრი ფლობს ინფორმაციის მხოლოდ ნაწილს (ჯიგსოუ)---სხვა.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობა:---ხელმოწერები--ინდივიდუალური ქვიზი---ტესტი შემთხვევითი შერჩევით---ინდივიდულურად შესასრულებელი საშინაო დავალება---სხვა.

მოსალოდნელი ქცევები:--მოსმენა--სხვების გამხნევება---სწრაფად და მოწესრიგებულად მოძრაობა----ჯგუფში დარჩენა---რიგითობის დაცვა---მოსმენა---ერთმანეთის შექება---გადამოწმება, რამდენად გაიგეს---იდეების გაზიარება---დახმარების თხოვნა---პერიფრაზირება---შეჯამება---კამათი---სხვა.

მონიტორინგი:

უკუკავშირი:

ჯგუფის განვითარება:

რეფლექსია

გაუზიარეთ კოლეგებს, როგორ გამოიყენებთ აქ განხილულ ყველა ან რომელიმე იდეას.

დასკვნა

ვიდრე ცდილობთ, პასუხი გასცეთ კითხვას: „როგორ დავეხმარო მოსწავლეებს სწავლაში“ - ამ თავში გაგაცნობთ სასწავლო უნარების გამომუშავების მნიშვნელობას, რომელიც ასევე მოიცავს თანამშრომლობით სწავლასაც. კვლევა აჩვენებს, რომ მასწავლებლები, რომლებიც აქტიურად ავითარებენ მოსწავლეთა სასწავლო უნარებს, მნიშვნელოვნად ეხმარებიან მოსწავლეებს არა მხოლოდ აკადემიური, არამედ ემოციური თვალსაზრისითაც. სასწავლო უნარების მქონე მოსწავლეებს სჯერათ, რომ წარმატებას მიაღწევენ სკოლაში და უფრო მეტიც, ცხოვრებაში. მინდა ამ ქვეთავის ბოლოს, ხაზი გავუსვა ამ თავის შეკითხვაზე სხვა პასუხს. ვფიქრობ, მოსწავლეებისათვის იმის თქმა, რომ ისინი მიაღწევენ წარმატებას, თუნდაც ამას არც კი მოელოდეთ მათგან, სავალდებულოა.

ვფქრობ, საჭიროა გათვითცნობიერებული იყოთ იმ ვრცელ ლიტერატურაში, რომელიც ეხება *ქცევის პროგნოზირებას.* ტერმინი პირველად გამოიყენა რობერტ მერტონმა (1948). მოგვიანებით კი როზენტალმა და იაკობსონმა (1968) გამოიყენეს ნაწარმოებში *„პიგმალიონი საკლასო ოთახში“,* რომელიც უკავშირდებოდა რობერტ მორტონის თეორიას საკლასო ოთახის შესახებ. არსებითად, პრინციპი შემდეგია: თუ

თქვენ ვინმესგან მოელით რაიმე კონკრეტულ ქცევას და მასთან ურთიერთობთ ამ მოსალოდნელი ქცევის შესაბამისად, ეს ადამიანი სავარაუდოდ გაამართლებს თქვენს მოლოდინებს; შესაბამისად, თქვენი პროგნოზი ამ კონკრეტული ადამიანის მიმართ განხორციელებულია. სახელი *პიგმალიონი* მოდის ბერძნული მითოლოგიიდან. პიგმალიონი იყო მოქანდაკე, რომელმაც სპილოს ძვლისგან სრულყოფილი ქალის ქანდაკება შექმნა. მუშაობის პროცესში მას შეუყვარდა საკუთარი ქმნილება და ჰქონდა დაუცხრომელი სურვილი, რომ ის რეალური გამხდარიყო. სიყვარულის ქალღმერთმა, აფროდიტემ, რომელიც შეწუხდა პიგმალიონის გამო, გააცოცხლა სკულპტურა. მოქანდაკის სურვილი ასრულდა. მსგავსი მოლოდინის ეფექტის უფრო თანამედროვე ვერსია იყო ბერნარდ შოუს პიესა *პიგმალიონი* და მიუზიკლი *ჩემი მშვენიერი ლედი.* უხეში, ტლანქი მეყვავილე გოგონა გარდაიქმნება თავდაჯერებულ მომხიბვლელ ქალბატონად. დასასრულ, ელიზა დულითლი აცხადებს: „განსხვავება მეყვავილე გოგონასა და პრინცესას შორის არის არა მის ქცევაში, არამედ იმაში, თუ როგორ ექცევიან მას“. აი, ეს არის თვითრეალიზების პროგნოზირების არსი.

რეალურად, როგორ მოქმედებს ქცევის პროგნოზირების მექანიზმი? პირველი საფეხური მოიცავს მასწავლებლის მიერ მოსწავლის მიმართ ნეგატიური მოლოდინების ჩამოყალიბებას. ნეგატიური მოლოდინები შესაძლოა წარმოიშვას მოსწავლის ეთნიკური, გენდერული, სოციალური და სხვა მიკუთვნებულობის მიმართ ტენდენციურობით. ხანდახან მოლოდინები მოსწავლეთა ქცევების მიხედვითაც ყალიბდება. მაგალითად, თუ ცნობილია, რომ ალფრედო უკვე ერთხელ გაგზავნილი იყო დირექტორის კაბინეტში, ახალ მასწავლებელს, რომელმაც გაიგონა ან წაიკითხა ამ ამბის შესახებ, შესაძლოა ჩამოუყალიბდეს მოლოდინი, რომ ალფრედო ისევ გაეხვევა შარში. როდესაც მასწავლებელი მოელის კონკრეტულ ქცევას, ის იქცევა განსხვავებულად. ალფრედოს მაგალითზე, მას შემდეგ, რაც მასწავლებელი პირველად შეხვდება მას, შესაძლოა უთხრას: “შენ შესახებ გამიგია. ახლა კი, კარგი იქნება თუ პრობლემებს არ შემიქმნი“. ალფრედო შესაძლოა უსამართლოდ იქნეს აყვანილი დაკვირვების ქვეშ წარსულში ცუდი ქცევის გამო. უფრო მეტიც, თუ სხვა მოსწავლე მოიქცევა ალფრედოს მსგავსად, მასწავლებელმა შესაძლოა ყურადღება არ მიაქციოს მის ცუდ ქცევას, და უფრო მეტად გაამახვილოს ყურადღება ალფრედოზე იმ მიზეზით, რაც მას მოსწავლის წარსულის შესახებ სმენია.

მოგონება

მახსენდება, რომ ერთმა კოლეგამ ერთი კურიოზული შემთხვევის შესახებ მომიყვა, რომელიც აქ მომყავს თვითრეალიზების პროგნოზირების ძალისა და მნიშვნელობის საილუსტრაციოდ. შესაძლოა ეს არის იყოს სიმართლე, მაგრამ თქვენ მიხვდებით ამბის არსს.

ამბავი არის მერვე კლასის მოსწავლეების შესახებ, რომელთაც სამი კვირის განმავლობაში ხუთი მასწავლებელი გამოიცვალეს. დირექტორმა აღარ იცოდა, რა ექნა. როგორ ეპოვა შესაფერისი მასწავლებელი ამ მოურჯულებელი მოზარდებისათვის? სამსახურში აიყვანდა თუ არა რომელიმე მასწავლებელს, ეს მასწავლებელი რამდენიმე დღეში უარს ამბობდა სამსახურზე. კლასი იყო უბრალოდ „უტყვი და უკონტროლო“.

დირექტორმა განათავსა განცხადება ადგილობრივ გაზეთში, რათა ვინმე „სკოლამდე მოეტყუებინა“. საბედნიეროდ, ამ სამუშაოთი დაინტერესებული ერთი ახალგაზრდა ჯენტლმენი გამოჩნდა მის კაბინეტში. დირექტორი აჩქარებით გაესაუბრა მას და ბოლოს აღნიშნული პოზიციის დაკავება შესთავაზა (რა თქმა უნდა, მან მოხერხებულად დაუმალა რა მოხდა მისი წინამორბედების შემთხვევაში).

გავიდა ერთი კვირა და 8-303 კლასიდან არაფერი ისმოდა. გავიდა ორი კვირა. დირექტორი განცვიფრებული იყო. რატომ არ წავიდა ეს გამოუცდელი, ახალგაზრდა მასწავლებელი? გავიდა მესამე კვირაც, მერვე კლასიდან კვლავ არაფერი ისმოდა. ერთ დილას ახალბედა მასწავლებელმა დირექტორის კაბინეტს ჩაუარა. დირექტორმა ვეღარ მოითმინა. გამოვიდა ოთახიდან, ხელი ჩაავლო მასწავლებელს სახელოში და სთხოვა მასთან შესულიყო. როცა მასწავლებელი ოთახში შევიდა, დირექტორმა დახურა კარი და სთხოვა დამჯდარიყო. მასწავლებელმა თხოვნა შეუსრულა.

„უნდა ვაღიარო, რომ, ჩემი აზრით, თქვენ მალე წახვალთ სამსახურიდან“.

„სამსახურიდან წავალ?“ - გაუკვირდა მასწავლებელს, - “რატომ უნდა წავიდე?“

„კარგი, თქვენ ამიერიდან უნდა იცოდეთ, როგორი რთულია ის კლასი, რომელსაც ასწავლით!“ - უპასუხა დირექტორმა.

„ეს კლასი, უბრალოდ მშვენიერია!“ - შეეპასუხა მასწავლებელი.

„უბრალოდ მშვენიერი? თქვენ გყავთ მოუწესრიგებელი და გონებასუსტი მოსწავლეებისაგან შემდგარი ჯგუფი. თქვენ ეს უნდა იცოდეთ.“

„მსგავსი ტიპის მოსწავლეებზე არაფერი ვიცი. ბავშვები ყველაფერს საკმაოდ კარგად აკეთებენ. არ ვიცი, თქვენ რას გულისხმობთ. ნამდვილად სხვა რომელიმე კლასში აგერიათ“.

„რასაკვირველია, სწორედ ამ კლასზე ვლაპარაკობ. იცით, რომ ხუთი მასწავლებელი წავიდა ამ კლასის გამო, ვიდრე თქვენ დათანხმდებოდით ამ სამუშაოზე? ისინი წავიდნენ, ვინაიდან ვერ შეძლეს ამ კლასის მოსწავლების ცუდ ყოფა-ქცევასთან გამკლავება“.

„ძნელი დასაჯერებელია. კლასი, რომელსაც მე ვასწავლი არის ბეჯითი, ჭკვიანი ახალგაზრდებისაგან შემდგარი ჯგუფი. გახსოვთ, პირველ დღეს

> თქვენ თვითონ მახლდით ამ კლასში. თქვენ მე მათი სია მომეცით. თითოეული მოსწავლის სახელის გასწვრივ ეწერა მათი IQ-ს მაჩვენებელი: ჯონი - 114; მერი - 124; ხოსე - 140; ლუიზა - 119; ტრევორი - 139 და ასე შემდეგ. ისინი ჭკვიანი ბავშვები არიან“.
>
> „ჭკვიანი?“ - დაეჭვებით ჰკითხა დირექტორმა; „ამ სიაში მითითებული იყო მათი უჯრების ნომრები და არა მათი IQ-ს მაჩვენებლები!“

ერთ-ერთი კლასიკური კვლევა, რომელიც ასახავს, თუ როგორ წარმოაჩენენ მასწავლებლები მოლოდინებს, ჩატარებულია რეი რისტის (1970) მიერ. მისი სახელწოდებაა: „მოსწავლეთა სოციალური კლასი და მასწავლებლის მოლოდინები: ქცევის პროგნოზირება გეტოს სწავლებაში“. მასწავლებლებმა შესაძლოა დაბალი მოლოდინები გამოავლინონ სხვადასხვა კუთხით, როგორც ვერბალური თვალსაზრისით (მაგ. შენ ვერასოდეს მიაღწევ წარმატებას), ან არაპირდაპირი მნიშვნელობით (დაუმუშავებელი დავალებებით, დაბალი საფეხურის კლასებისათვის განკუთვნილი მასალების მიცემით, ან მასწავლებელის კითხვებზე პასუხის გასაცემად მოსწავლეებისათვის მცირე დროის გამოყოფით), და სხვ. გირჩევთ, წაიკითხოთ რისტის კვლევა, ვინაიდან მისი მიგნებები კვლავაც განმეორდა და ისინი დღესაც ისევე რელევანტურია, როგორც 1970 წელს იყო.

რობერტ თაუბერი (1977) საზრიანად და მკაფიოდ განიხილავს ქცევის პროგნოზირების კვლევას. ის გვთავაზობს ნიმუშად შემდეგს:

„მოსწავლე, რომელიც ჩვენს სკოლაში სხვა რაიონიდან გადმოვიდა, მიიჩნიეს დისციპლინური პრობლემების მქონე მოსწავლედ. მისი დოკუმენტები სავსე იყო დისციპლინის ბარათებით. მშობლები გრძნობდნენ, რომ ბავშვის ქცევა გაუარესდა, ვინაიდან ის იქცეოდა ისევე, როგორც მოელოდა მისგან მასწავლებელი. არ ვიცი, სწორად მოვიქეცი თუ არა, მისი მასწავლებლისთვის არ მიჩვენებია ბავშვის დოკუმენტები პირველი 6 კვირის განმავლობაში. მასწავლებელმა ის კლასის ორგანიზებისა და კონტროლისათვის პასუხისმგებელ პირად დანიშნა. მასწავლებელმა ცხადად დაუკავშირა ერთმანეთს ბიჭის მიმართ აკადემიური და ქცევითი მოლოდინები. როგორც ჩანს, ბიჭმა გაითავისა, რომ ის განსხვავებულად უნდა მოქცეულიყო და გაამართლა კიდეც მასწავლებლის მოლოდინები. მასწავლებელი გაოგნებული დარჩა, როდესაც გაიგო, რომ ბიჭს წინა სკოლაში დისციპლინაში პრობლემა ჰქონია. ამის შემდეგ მასწავლებელს ყურადღება აღარ მიუქცევია ბიჭის დოკუმენტაციაში წინა სკოლიდან გამოგზავნილი ანგარიშებისათვის“ (გვ. 124).

ვინაიდან კვლევა ქცევის პროგნოზირების შესახებ არის, ეს ყველაზე საინტერესოა სხვა, ასევე საინტერესო საგანმანათლებლო საკითხებს შორის. საკმარისია ითქვას, რომ თქვენი მასწავლებლობის პერიოდში შესაძლოა მხოლოდ ერთმა ყველაზე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა იქონიოს გავლენა მოსწავლეთა წარმატებაზე. აღნიშნული ფაქტორი შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც ქცევის/ქმედების პროგნოზი, და ვნახოთ, თუ როგორ მოქმედებს ის, როგორ განსაზღვრავს თქვენს ქცევას კლასში. დაისახეთ მაღალი

მოლოდინები მოსწავლეების მიმართ, ყურადღება არ მიაქციოთ მათ წარსულს და იმას, თუ რას ამბობენ მათზე. თავიდან აირიდეთ მოსწავლეების მარკირება, მხოლოდ იმის გამო, რომ „მარკირება გამორიცხავს“.

გთავაზობთ პატარა ამბავს. ეს ამბავი ლი კანტერმა მომიყვა. ერთ დღეს მან თქვა:

> დამირეკეს სკოლის ოფისიდან. ახალი მოსწავლის მოსვლას ველოდი ჩემს სკოლაში. მითხრეს, რომ „ფრთხილად ვყოფილიყავი“, ვინაიდან გოგონას აშკარად „უხეში და ჯიუტი შესახედაობა ჰქონდა“. ამ ყველაფერმა შემაწუხა. ჩემი ჯგუფის დონემ ახლახან მიაღწია სტაბილურობას სამთვიანი უწესრიგობის შემდეგ. ახლა დეკემბრის დასაწყისი იყო და ახალი მოსწავლის მიღება ამ კლასში უდავოდ ტანჯვისათვის თავის გამეტებას უდრიდა. ჩემი ყველაზე ცუდი შიში გამიმძაფრდა, როგორც კი გოგონა დავინახე, როდესაც მთავარ ოფისში შემოვიდა. ის ატარებდა დახეულ ტანსაცმელს, თმააწეწილი იყო, მის ტატუს კი მხარზე ნაწილობრივ ფარავდა მაისური. მხოლოდ ერთი სიტყვის ამოკითხვა შევძელი: *დაბადებული...* ვიცოდი, რასაც ნიშნავდა ეს: *„დაბადებული სიკვდილისათვის“*. მოულოდნელად მასთან გავჩნდი და ვთხოვე ჩვენს რაიონში ცხოვრების დამადასტურებული საბუთი. არც ისე თავაზიანი ვიყავი მის მიმართ და უნდა ვთქვა, რომ არც ენთუზიაზმით ვხვდებოდი მის აქ ყოფნას, თუნდაც იმიტომ, რომ თავაზიანად მიპასუხა. მოკლედ რომ ვთქვა, მე ის დავსვი მეექვსე კლასში. მან თავიდან აურზაური გამოიწვია, მაგრამ შემდეგ გამოსწორდა. ფაქტია, რომ ის იმაზე ბევრად უფრო საყვარელი გოგონა იყო, ვიდრე თქვენ მასზე ამ დრომდე წარმოდგენა ჩამოგიყალიბდათ. მას რთული ცხოვრება ჰქონდა. არ ჰყავდა მშობლები და ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს. უნდოდა, რომ ჰყვარებოდათ და ყოფილიყო ყველასთვის სასურველი. თავი ძალიან დამნაშავედ ვიგრძენი, როდესაც აღმოვაჩნე, რომ სინამდვილეში მის ტატუზე იკითხებოდა: *„დაბადებული სიყვარულისთვის...“*

პედაგოგები ხვდებიან წარმოუდგენელ გამოწვევას მომავალი მასწავლებლების მომზადებისას, როდესაც ასწავლიან მათ მულტიკულტურულ, მულტიეთნიკური და მულტირასობრივ სასკოლო გარემოში. განსაკუთრებული მოთხოვნები ეკისრებათ პედაგოგებს იმისათვის, რომ აღზარდონ ინფორმირებული, აქტიური პროფესიონალები, რომელთაც ექნებათ აუცილებელი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულება სწავლისადმი დადებითი ზეგავლენისათვის. ცოდნა მოიცავს საგნობრივ კომპეტენციას და მსოფლხედველობის დანაწევრების შესაძლებლობებს, ატიტუდებსა და რწმენას, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო გადაწვეტილებების მიღებას. მოხერხებებული მასწავლებელი მრავალფეროვან საგანმანათლებლო სტრატეგიებს იყენებს, ერთმანეთს უთავსებს სასწავლო გეგმის შინაარსსა და მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ვარიანტებს აქტიური სწავლისათვის. ასეთ პროფესიონალებს გააჩნიათ განწყობა, ასხივებენ თავდადებას, ენთუზიაზმს, ემპათიას, საზრიანობას და ავლენენ წარმოსახვის უნარებს.

მოსწავლეებზე იმედის დამყარება, რომ ისინი მიაღწევენ წარმატებას - ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამოკიდებულებაა. მასწავლებელები, რომლებიც მოსწავლეებს უცხადებენ მაღალ და მტკიცე მოლოდინებს, ეხმარებიან მათ, გახდნენ უფრო თავდაჯერებული, წარმატებული მოსწავლეები. საპირისპიროდ, ნეგატიური მოლოდინების არსებობით ხშირად ვიღებთ უინტერესო და უკმაყოფილო მოსწავლეებს. ლიტერატურა წარმოგვიდგენს ფაქტებს: მოსწავლეთა აქტივობის მიმართ მასწავლებლის მოლოდინები აკადემიური წარმატებულობის, სასკოლო და საკლასო წესრიგის მთავარი განმსაზღვრელია.

რისი მოლოდინიცა გვაქვს, ყველაზე ხშირად სწორედ მას ვიღებთ. ეს არსად ისე არ ამართლებს, როგორც განათლების სფეროში, სადაც მასწავლებელთა მოლოდინები მოსწავლეთა მიმართ გადამწყვეტია. როგორც პედაგოგი, ვაცნობირებ, რომ მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ ქცევის პროგნოზისა და კლასში მისი ფუნქციონირების შესახებ. ეფექტურია თუ არა თვითრეალიზების პროგნოზირება კლასში, ჩვენ ვიცით ამის შესახებ. იმის გაცნობიერება, რომ ჩვენი მოლოდინებით ვუბიძგებთ ზოგიერთ მოსწავლეს, იყოს უფრო წარუმატებელი, ვიდრე დანარჩენები - ძალიან მნიშვნელოვანია. მოსწავლეების მიმართ დადებითი მოლოდინების ქონა, გენდერის, ასაკის, ეთნოსისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, არის ჩვენი უპირველესი პროფესიული ვალდებულება.

კითხვები / აქტივობები

1. აღწერეთ, როგორ განავითარებდით სასწავლო უნარებს თქვენს კლასში?
2. დამატებით რის ცოდნას ისურვებდით და როგორ გეგმავთ მიღებული ინფორმაციის გამოყენებას?
3. აირჩიეთ ზემოთ განხილული სტრატეგიებიდან ერთ-ერთი და ასწავლეთ ვინმეს, ოღონდ არა თქვენი კლასის წარმომადგენელს. შესაძლოა, ოჯახის წევრს. ეფექტურია? ახსენით.
4. გაუზიარეთ ამ ქვეთავში წაკითხული ინფორმაცია კოლეგას.
5. კიდევ როგორ შეგიძლიათ, სწავლაში დაეხმაროთ თქვენს მოსწავლეებს?

აქტივობა #7

1. გაუზიარეთ კოლეგას თქვენი, როგორც მოსწავლის გამოცდილება, რომელიც გამოცდების უსამართლობას ეხებოდა. აღწერეთ, რა იყო უსამართლო და რა გააკეთეთ თქვენ, როგორც მასწავლებელმა, ამ უსამართლობის თავიდან ასაცილებლად.

2. მოძებნეთ ინტერნეტში მასალები და აღწერეთ, რა განსხვავებაა განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას შორის.

თავი 7

როგორ შევაფასო მოსწავლე?

შეფასების უმთავრესი მიზანი მოსწავლის ცოდნისა და შედეგების ამაღლებაა და არა მხოლოდ მისი შემოწმება.

- *გრანტ ვიგინსი*

თუ გსურთ განსაზღვროთ, შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს წერა, დააწერინეთ. თუ გსურთ განსაზღვროთ, შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს ხელსაწყოს გამოყენება, მიეცით ამის საშუალება. თუ გსურთ განსაზღვროთ, შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს ექსპერიმენტის ჩატარება, ჩაატარებინეთ ექსპერიმენტი. მოკლედ, თუ გსურთ განსაზღვროთ, შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს დავალების შესრულება, შეასრულებინეთ დავალება.

- *ნორმან ე. გრონულდი*

კითხვები

1. როგორ განსაზღვრავთ, ისწავლეს თუ არა მოსწავლეებმა მასალა?
2. რა კავშირია გაზომვას, განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას შორის?
3. რა კავშირია მიღწევების შეფასებას, ალტერნატიულ და ავთენტურ შეფასებებს შორის?
4. რა არის პორტფოლიოს შეფასება?
5. რისი სწავლა გსურთ შეფასების შესახებ?
6. იცით თუ არა როგორ აწარმოოთ ელექტრონული ჟურნალი?

როდესაც სწავლება დავიწყე, მოსწავლეთა მიღწევების განსაზღვრისთვის ორ ძირითად მეთოდს ვიყენებდი: უპირველესად, მასწავლებლის მიერ შექმნილ ტესტებს და მიღწევების შეფასების სტანდარტული ტესტის შედეგებს. განმავითარებელი და

განმსაზღვრელი შეფასებების ტრადიციული დავალებებია: კითხვები რამდენიმე სავარაუდო პასუხით, მცდარი თუ ჭეშმარიტი, დაწყვილება, შევსება და ა.შ. მათ, ბოლო დროს, მკაცრი კრიტიკა დაიმსახურეს (პოპამი, 2002). მართლაც, შეფასების ასეთი ვიწრო ხედვა სრულებით არ პასუხობს მოსწავლეთა სწავლის ყველა ასპექტს. შეფასების ამ ტრადიციულ ფორმებზე დაყრდნობით, ყურადღების მიღმა გვრჩება მოსწავლეთა მიერ ჩატარებული მთელი რიგი სამუშაოები და მიღწევები. დღევანდელ დღეს განათლების სფეროს ექსპერტები მოსწავლის მიღწევებს გაცილებით უფრო ღრმად აანალიზებენ და ითვალისწინებენ მოსწავლეების განსხვავებულ სწავლის სტილსა და შესაბამის მიდგომებს.

რეფლექსია

როგორც კოლეჯის სტუდენტი და მომავალი მასწავლებელი, შეფასების რომელ ფორმებს იცნობდით? როგორ აფასებენ ამჟამად მოსწავლეებს თქვენს სკოლაში მასწავლებლები? გეგმავთ თუ არა, თქვენც მათსავით იმოქმედოთ?

იდეები შეფასებისთვის #1: შეფასების საფუძვლები

რა ნაკლი აქვს შეფასების ტრადიციულ სისტემას? პრობლემა ტრადიციული ტესტირების ფორმატში კი არა, მის არასწორად გამოყენებაშია. ჩვენს ხელში შესანიშნავი იარაღია, რომელსაც არამიზნობრივად ვიყენებთ. ჩაქუჩი შესანიშნავი ხელსაწყოა ლურსმნის დასაჭედებლად, მაგრამ არ გამოდგება ხის მოსაჭრელად. კითხვები რამდენიმე სავარაუდო პასუხით ძალიან კარგია ნორმებისა და სტანდარტების შედარებისთვის, მაგრამ არ არის მოსახერხებელი უნარების ინტეგრირებულად გაზომვის, სასწავლო წლის განმავლობაში მუდმივი უკუკავშირის მიწოდებისა და ისეთი განსაკუთრებული სფეროების შეფასებისთვის, როგორიცაა შემოქმედება და ხელოვნება.

გარდა ამისა, ფორმატის არასწორი გამოყენება, ტრადიციული შეფასების ქულები, გავლენას ახდენს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე როგორიცაა კლასის მდებარეობა, დაწინაურება და დაფინანსება. უფრო მეტიც, შეფასების შედეგები საკმარისად კარგად ვერ წარმოაჩენს გზებს, რომლითაც სწავლება გაუმჯობესდება. ამასთანავე სასწავლო გეგმა, განმსაზღვრელი შეფასება და სწავლების მეთოდები სამი განსხვავებული სფეროა, რომელთაც ერთმანეთთან მიზერული ურთიერთკავშირი აქვს. ამ ხარვეზების დასაძლევად მასწავლებლებმა სათანადო მეთოდები უნდა გამოიყენონ. რა თქმა უნდა, არც ერთ ცალკე აღებულ მეთოდს არ შეუძლია უპასუხოს შეფასების ყველა საჭიროების მოთხოვნას. კითხვები რამდენიმე სავარაუდო პასუხით, „ჭეშმარიტი-მცდარი“ ტიპის დავალებები ემსახურებიან თავიანთ მიზნებს, ისევე როგორც ესე,

ჯგუფური პროექტები და ა.შ. თითოეული მათგანის ეფექტურად გამოყენებით, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ მათი ძლიერი მხარეებით.

როგორ შეაფასებთ თქვენს მოსწავლეებს? ისევე, როგორც გექნებოდათ სურვილი, შეეფასებინეთ სხვებს. სურვილი გექნებოდათ, ვინმეს მხედველობაში მიეღო განსხვავებული გზები, რომლითაც სწავლობთ და არ დაყრდნობოდა მხოლოდ შეფასების ერთ ან ორ ინსტრუმენტს ან ტესტს თქვენი ნიშნისა და ცოდნის განსასაზღვრად. გახსოვთ, სტანდარტული ტესტის გავლის შემდგომ მასწავლებელი, ადმინისტრატორი ან მიმღები ოფისი როგორ მივიდა მცდარ დასკვნამდე სწავლის შესახებ თქვენი მზაობისა და შეფასების შესახებ? თუ ჩემნაირი ხართ, გაბრაზდებოდით თქვენი შესაძლებლობების ასეთი განზოგადებისა და კატეგორიზების გამო. ვფიქრობ, რომ თუ ჩემნაირი ხართ, გენდომებოდათ, შეეფასებინეთ სხვადასხვა კრიტერიუმის ან ინსტრუმენტის მეშვეობით, რომელიც თქვენი შესაძლებლობების უფრო ნათელ სურათს ასახავდა. აი, სულ ეს არის, რასაც შეფასების შესახებ ჰოლისტური მიდგომა გულისხმობს: დაეყრდნოთ მონაცემებს სხვადასხვა წყაროებიდან იმისათვის, რომ მიიღოთ გარკვეული ტიპის გადაწყვეტილება.

გახსენება

საშუალო სკოლაში ბეჯითი მოსწავლე ვიყავი. ბრწყინვალე არა; საგანს ადვილად ვერ ვსწავლობდი მაგრამ მაინც უმაღლესი ქულები მყავდა (A). მაღალი ქულების მიღებისთვის ძალიან ბევრს ვმეცადინეობდი. გაკვეთილებს რეგულარულად ვესწრებოდი, ვაკეთებდი დავალებებს, ჩართული ვიყავი საგაკვეთილო პროცესში და ვემზადებოდი ყველა გამოცდისათვის. მასწავლებები მაღალი წარმოდგენისა იყვნენ ჩემზე და ფიქრობდნენ, რომ ჩემი პოტენციალი წარმატების მომტანი იქნებოდა.

ყველაფერი ეს მოულოდნელად შეიცვალა, როდესაც ინგლისურის მასწავლებელმა „Lowa achievement“ ტესტი დამაწერინა. არ ვარ დარწმუნებული, კიდევ არსებობს თუ არა ასეთი ტიპის ტესტები, მაგრამ იმ დროს, 1960-იანებში, ის ძალიან პოპულარული და გავრცელებული იყო. სკოლის დირექციამ ჩემს მშობლებს აუხსნა, რომ ტესტი განსაზღვრავდა მოსწავლეების „პოტენციალს აკადემიური წარმატებისთვის“. “ჯეფრი“, დამიყვირა მასწავლებელმა, როდესაც მარტო დავრჩით „მეგონა გაცილებით მაღალ ქულებს მიიღებდი“. მისმა განსაცვიფრებლად სასოწარკვეთილმა და გაოცებულმა სახემ გამაოგნა. „შესაძლოა, გულში ვფიქრობდი, მუნჯი ვარ... ვერ მივაღწევ წარმატებას“. დარწმუნებით

შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი ინგლისურისა და სხვა საგნის მასწავლებლები „Iowa“ ტესტის შედეგების შემდეგ განსხვავებულად მეპყრობოდნენ. მათი საყვარელი მოსწავლე აღარ ვიყავი. კლასის წინაშე უფრო იშვიათად მიძახებდნენ. წლები დამჭირდა, რომ მივხვედრილიყავი, რამდენად შებოჭილნი იყვნენ „Iowa“ ტესტის და ზოგადად სტანდარტული ტესტების გამო. ჩვენ ახლა ვაანალიზებთ, უმეტესობა მაინც, რომ ბავშვების უსამართლოდ სტიგმატიზება მხოლოდ ერთი ტესტის შედეგის საფუძველზე არასწორია. ჩემი სკოლის მასწავლებლებს რომ გაეაზრებინათ მოსწავლეების ცოდნის შეფასების შესახებ ჰოლისტური მიდგომა, ისინი გამოიყენებდნენ შეფასების ალტერნატიულ ფორმებს იმის გასაგებად, რომ მე, შესაძლოა, ცოტა უფრო მეტი პოტენციალი გამაჩნდა, ვიდრე ამას „Iowa“ ტესტის შედეგი აჩვენებდა.

გქონიათ თუ არა შემთხვევა, როდესაც სტანდარტული ტესტის შედეგმა მოსწავლის მიმართ თქვენი დამოკიდებულება განსაზღვრა? განმარტეთ.

წინამდებარე თავის ძირითად აზრს წარმოადგენს ის, რომ საკლასო შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სხვადასხვა წყაროს, რათა მასწავლებელმა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსწავლის მიღწევებისა თუ მისი პოტენციალის შესახებ. ჩემი აზრით, მასწავლებლისთვის, რომელსაც მოსწავლის შეფასება სურს, საუკეთესო გზაა, შეაგროვოს მასალები სხვადასხვა წყაროდან და წაახალისოს მოსწავლეები პორტფოლიოს შესაქმნელად, რომელიც ნათლად აჩვენებს მათ მიღწევებს. ეს თავი გაგაცნობთ შეფასებას პორტფოლიოს საშუალებით, როგორც იდეალურ, ჰოლისტურ გზას მოსწავლეთა შეფასებისთვის. თავდაპირველად განვსაზღვროთ ზოგიერთი ტერმინი.

- **განმავითარებელი შეფასება** - პროცესი, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი მოსწავლის მიღწევების განსაზღვრისათვის აგროვებს მონაცემებს, რომლის საფუძველზეც უნდა უზრუნველყოს კონსტრუქციული უკუკავშირი სწავლაში წარმატების მისაღწევად.
- **გაზომვა** - მოსწავლის მიღწევების დადგენა კონკრეტულ საგანში რაოდენობრივი ტიპის ტრადიციული ტესტების საშუალებით (მაგ. 80 პროცენტი მართლწერის ტესტში).
- **შეფასების ინსტრუმენტი** - მოსწავლეთა მიღწევების შესახებ მონაცემების შეგროვებისთვის გამოყენებული ნებისმიერი ხელსაწყო, როგორიცაა მაგ.

მასწავლებლის მიერ შედგენილი ტესტი, ესე, პრეზენტაცია, სტანდარტული ტესტი და ა.შ.

- **განმსაზღვრელი შეფასება** - მოსწავლის მიღწევების ან სასწავლო პოტენციალის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.
- **ნიშანი** - მოცემულ ტესტში ან საგანში მიღწეული შედეგის რიცხვითი აღნიშვნა.
- **ტრადიციული შეფასება** - მასწავლებელთა მიერ სწავლის გაზომვისთვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად გამოყენებული საერთო გზები, რომლებიც ეყრდნობა მხოლოდ წერილობით ტესტს. აღნიშნული წერილობითი ტესტი კი მასწავლებლის მიერ შედგენილ და სხვა, მიღწევების სტანდარტულ ტესტსაც მოიცავს.
- **მიღწევების შეფასება** - მოსწავლის მიერ მიღწევების დემონსტრირება დავალების უშუალო შესრულებით (მაგ. ჩანახატის ან ესეს დაწერა).
- **ალტერნატიული შეფასება** - მოიცავს მონაცემებს სხვადასხვა წყაროდან, რომელიც განსხვავდება ტრადიციული წერილობითი ტესტირებისგან (მაგ. პრეზენტაციები).
- **ავთენტური შეფასება** - მოსწავლის მიერ ცოდნის გამოვლენა ისეთი აქტივობით, რომელიც რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციასთანაა ახლოს (მაგ. თუ გსურთ გაიგოთ, როგორ ატარებს ბავშვი ბურთს კალათბურთის თამაშის დროს, ბურთის ტარების შესახებ ესეს დაწერის ნაცვლად, სთხოვეთ გაჩვენოთ, როგორ ატარებს ბურთს).
- **ჰოლისტური შეფასება** - მოიცავს ტრადიციულ და ალტერნატიულ შეფასებებს რათა მოსწავლის ცოდნის შესახებ მივიღოთ ამომწურავი და ზუსტი ინფორმაცია.
- **რუბრიკა** - გზამკვლევი (კრიტერიუმი) მოსწავლეთა მუშაობის შეფასებისთვის. რუბრიკა აფასებს მოსწავლის მიერ დავალების შესრულებას მინიმალურიდან ბრწყინვალემდე. მეხუთე თავში იხილეთ რუბრიკის ნიმუში საკლასო მენეჯმენტის შეფასებითვის.
- **პორტფოლიოს შეფასება** - არის მექანიზმი ან ჩარჩო, რომლის საშუალებითაც მოსწავლე ან მასწავლებელი აგროვებს და წარმოადგენს მოსწავლის მიღწევების მტკიცებულებას. მოსწავლის პორტფოლიო მოიცავს სწავლის შესახებ სხვადასხვა ტიპის მტკიცებულებებს. მოსწავლის მიღწევების შეფასება, აქედან გამომდინარე, აღარ დაეყრდნობა მხოლოდ ერთ, მაგალითად, ტრადიციული სახის წერილობითი ტესტის შედეგებს. მხარდაჭერილია შეფასების ალტერნატიული ფორმები (ავთენტური და მიღწევების შეფასების ჩათვლით; მაგ. ესეები, პრეზენტაციები, საილუსტრაციო მასალა, მუსიკალური დადგმა, ვიდეოები).

ეს თავი წარმოადგენს პორტფოლიოს, როგორც იდეალურ გზას მოსწავლის მიღწევების შესახებ მტკიცებულებების შეგროვებისათვის. პორტფოლიოს შეფასება არის ჰოლისტური შეფასების ფორმა და მოიცავს ტრადიციული და ალტერნატიული შეფასების ფორმებს. საჭიროების შემთხვევაში, პორტფოლიო უნდა შეიცავდეს ავთენტურ შეფასებასა და მიღწევების შეფასებას. პორტფოლიო წარმოადგენს მოსწავლის სწავლის შეფასების

მექანიზმს, რომელიც მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ზუსტად განსაზღვროს საბოლოო ნიშანი. წიგნის ამ თავში ყურადღება ეთმობა შეთავაზებებს პორტფოლიოს შეფასების სისტემის დანერგვის შესახებ. ასევე გაგაცნობთ იდეებს, თუ როგორ შევქმნათ ტესტები, (ჭეშმარიტი-მცდარი, შევსება, კითხვები რამდენიმე სავარაუდო პასუხით, დაწყვილება, ტექსტის გააზრება), ჩამოვაყალიბოთ კატეგორიები და ნიშნებით შევაფასოთ მოსწავლეები.

იმისთვის, რომ დაფიქრდეთ თქვენს ცოდნაზე, შეფასებისა და მსგავსი საკითხების შესახებ, შეავსეთ მომდევნო თვითშეფასების ტესტის ფორმა 7.1 და წაიკითხეთ თანდართული განმარტებები, რომლებიც გამოკვეთს შეფასების ზოგიერთ ფუნდამენტურ პრინციპს, რომლებიც ქმნიან ამ თავის დარჩენილი ნაწილის საფუძველს.

ფორმა 7.1 უპასუხეთ

ა=აბსოლუტურად ვეთანხმები **ბ=ვეთანხმები** **გ=არ ვეთანხმები** **დ=კატეგორიულად არ ვეთანხმები**				
	ა	ბ	გ	დ
1.მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ შეფასების შესახებ, რადგან მათ უნდა შეამოწმონ მოსწავლეთა პროგრესი.				
2.ეფექტური სწავლება გულისხმობს, რომ ინტერესით ვეკიდებით სწავლება-სწავლა-შეფასების პროცესს, სადაც შეფასება სწავლების პროგრამის ძირითადი ნაწილია.				
3.„კალმითა და ფურცლით“ ტესტირება უნდა ჩაანაცვლოს უფრო რეალისტურმა და მნიშვნელოვანმა აქტივობებმა.				
4.მასწავლებლები დახელოვნებულნი უნდა იყვნენ შეფასების მეთოდების არჩევაში სწავლების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დროს.				
5.მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რამდენად ვალიდური და სანდოა ტესტი.				

თქვენ მიერ გაცემულ პასუხებზე ანალიზი შეგიძლიათ იხილოთ ამ თავის მომდევნო სექციაში.

იდეები შეფასებისთვის #2:
შეფასების ზოგიერთი ძირითადი პრინციპი

მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა კარგად იცოდნენ შეფასების შესახებ, რადგან მათ უნდა შეამოწმონ მოსწავლეთა პროგრესი. შეფასება, როგორც პროცესი, რომლის დროსაც მასწავლებელი სხვადასხვა წყაროდან აგროვებს მონაცემებს მოსწავლის სწავლის დონის შესახებ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია. მის გარეშე მასწავლებელს გაკვეთილის შემდგომ არ ეცოდინებოდა, რომ რომელიღაც მოსწავლე სწავლისას სირთულეს წააწყდა. მასწავლებლებმა შეფასების მნიშვნელობის სხვა მიზეზების შესახებაც უნდა იცოდნენ. მათ უნდა შეეძლოთ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა. თუ ედვარდი კითხვის დროს კარგად ვერ იაზრებს მასალას, მაშინ თქვენ სწავლების სტილი უნდა შეცვალოთ. პირიქით, თუ ედვარდმა უკვე იცის, როგორ გაამრავლოს წილადი და შემდეგ წინასწარ შეაფასოს თავისი ცოდნა, სწავლების დროს დაზოგავთ.

მესამე მიზეზი, რატომ უნდა იცოდეს მასწავლებელმა შეფასების შესახებ მოსწავლისთვის შესაბამისი ნიშნების დაწერაა. პოპამი (2002) განმარტავს, „სათანადო ნიშნების დაწერის საუკეთესო გზა მოსწავლეების მიღწევების შესახებ მტკიცებულებების შეგროვებაა. მაშასადამე, მასწავლებელს ექნება შესაძლებლობა, ხელი მიუწვდებოდეს საკმაო ინფორმაციაზე მანამ, სანამ საბოლოო ქულას დაწერს: A, B, C, D თუ F“ (გვ. 9). მეოთხე მიზეზი, რატომ უნდა შეაფასოს მასწავლებელმა მოსწავლეების პროგრესი, არის ის, რომ მასწავლებელმა განსაზღვროს საკუთარი სწავლების პროგრამის ეფექტურობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საიდან გეცოდინებათ, რამდენად ეხმარებით მოსწავლეებს სწავლაში, სანამ არ განსაზღვრავთ მოსწავლეთა ცოდნას სწავლამდე პრეტესტის, ხოლო სწავლების შემდგომ - პოსტტესტის საშუალებით? პრეტესტი/პოსტესტის შედეგები საშუალებას მოგცემთ განსაზღვროთ, რა შეცვალოთ სწავლებაში. ბოლოს, არსებული ზეწოლა, რომელიც „მნიშვნელოვანმა ტესტირებამ“ გამოიწვია, ავალდებულებს მასწავლებლებს, კარგად შეისწავლონ შეფასების საკითხები. „მნიშვნელოვანი ტესტირება“ გულისხმობს ისეთ ტესტებს, რომელთა საშუალებითაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლების შესახებ. მაგალითად, სხვადასხვა შტატმა შეიმუშავა შტატში ჩასაბარებელი ტესტები იმისათვის, რომ გადაეწყვიტათ, რომელი მოსწავლე დაეჯილდოებინათ გრანტით საშუალო სკოლის დიპლომისათვის. „მნიშვნელოვანი გამოცდების“ შედეგებს ითვალისწინებს რამოდენიმე შტატი წამახალისებელი გადაწყვეტილებების მისაღებად. აღნიშნული ტიპის ტესტები ასევე გამოიყენება მასწავლებლისა და სკოლის შესამოწმებლად. ბევრმა სკოლამ მიიღო „ჩაჭრილის“ სტატუსი სტანდარტიზებული ტესტების შედეგებიდან გამომდინარე (კუბისზინი და ბორიჩი, 2003). შედეგად, მასწავლებლები ისე უნდა იყვნენ გაცნობიერებულები შეფასების საკითხებში, როგორც არასდროს. როგორც კუბისზინი და

ბორიჩი აღნიშნავენ, „საზოგადოების მხრიდან პასუხისმგებლობის მიმართ მოთხოვნის გაზრდასთან ერთად, მაინცდამაინც არ არის მოსალოდნელი, რომ საშუალო დონის მასწავლებელი შეძლებს წინ წაიწიოს ან თუნდაც თავი გაიტანოს კარგი სამუშაო გამოცდილების/პრაქტიკის გარეშე ტესტსა და შეფასებაში“ (კუბისზინი და ბორიჩი, 2003, გვ. 16).

სწავლებასა და შეფასებას შორის კავშირი გადამწყვეტია. სწავლების დაგეგმვა უნდა მოიცავდეს შეფასების დაგეგმვასაც. როგორც კი მასწავლებელი იწყებს სწავლებას, მოსწავლის მზაობა უნდა შეფასდეს იმისათვის, რომ მოსწავლეს საჭიროებებზე მორგებული პროგრამა მივაწოდოთ. ძირითადი უნარების, ბიოლოგიისა და არითმეტიკის პრეტესტი მასწავლებელს მიაწოდებს ინფორმაციას საჭირო ცვლილებების, მოსწავლეთა გადანაწილების, მათი ჯგუფებში ჩასმის ან თუნდაც მომავალი შეფასებისათვის, რაც დიდწილად დაეხმარება სასწავლო პროგრამის განხორციელებას. წინასწარი დაგეგმვის ეტაპზე შეფასების როლი გადამწყვეტია, ასევე, მნიშვნელოვანია მისი როლი სწავლებისას. როდესაც მოსწავლეები აღწევენ წარმატებას კურიკულუმით გათვალისწინებულ რომელიმე კომპონენტში, კარგი მასწავლებელი პროგრესის გასაზომად ტესტს იყენებს. ეს განმავითარებელი შეფასებები „შექმნილია იმისთვის, რომ გაიზომოს მიღწევის ის დონე, რომელსაც მოსწავლემ ერთი კონკრეტული პარაგრაფის ან თავის დასწავლის შემდგომ მიაღწია“ (გრონლუნდი, 2003, გვ 6). ყველა წარმატებული სწავლების პროგრამის გასაღები მოსწავლეთა სწავლის პრობლემების დიაგნოსტირებასა და მკურნალობაშია. საბოლოოდ, სწავლების დასასრულს, შემაჯამებელი შეფასება იწერება იმისათვის, რომ გაიზომოს, თუ რომელმა მოსწავლეებმა მიაღწიეს სწავლების შედეგებს და იმისათვის, რომ მათ მიენიჭოთ საბოლოო ნიშანი.

„კალმით და ფურცლით“ ტესტირება არ უნდა ჩაანაცვლოს უფრო რეალისტურმა და მნიშვნელოვანმა აქტივობებმა. უფრო სწორად, მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ შეფასების ყველა ფორმა მოსწავლეთა მიღწევების განსასაზღვრად. მასწავლებლებმა უნდა დაადგინონ, შეფასების რომელი ინსტრუმენტია ყველაზე შესატყვისი კონკრეტული სასწავლო სიტუაციისთვის. ხანდახან, ფურცლითა და კალმით შემოწმება ყველაზე შესაბამისი და ზუსტი ინსტრუმენტია, ვიდრე ზეპირი პრეზენტაცია. როგორც ეს პორტფოლიოს შეფასების (იხ. ქვემოთ) შემთხვევაშია, მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს მოსწავლეების მიღწევების განსასაზღვრად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასწავლებლები დახელოვნებულნი უნდა იყვნენ შეფასების მეთოდების არჩევაში სწავლების შესახებ გააწყვეტილებების მიღების დროს. როგორ უნდა გააკეთონ ეს? მათ უნდა დაუკავშირონ კონკრეტული ამოცანა შეფასების ინსტრუმენტს, როგორც, მაგალითად, ამ შემთხვევაში: „ამოცანა: მოსწავლეს შეეძლება განმარტოს პიქტოგრამა. შეფასების პროცედურა: გაკვეთილის ბოლოსკენ მოსწავლე წერს განმარტებას (ერთწუთიანი ფურცელი) და პასუხობს სამუშაო რვეულის შეკითხვებს პიქტოგრამის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, საიდანაც სულ მცირე ორი პასუხი

უნდა იყოს სწორი“. თუ მასწავლებელი დაელოდებოდა ტესტის პასუხს სულ მცირე ორი კვირის განმავლობაში ან სტანდარტული ტესტის შედეგებს, მაშინ მას არჩეული ექნებოდა შეფასების ორი შეუსაბამო მეთოდი, რომელიც მან მოსწავლეთა მიერ პიქტოგრამის ინტერპრეტირების შეფასებისთვის გამოიყენა. რა თქმა უნდა, ეს მარტივი მაგალითია. გაკვეთილის ნებისმიერი ნაწილის მიზნები მასწავლებელმა უნდა მოარგოს შეფასების პროცედურებს. მაგრამ მასწავლებელებს პროფესიული კომპეტენციის სხვა სტანდარტები სჭირდებათ (მასწავლებლის კომპეტენციის სტანდარტები მოსწავლეთა შეფასებისას, 1990; ასევე ციტირებული გრონლუნდის მიერ, 2003). ქვემოთ იხილავთ სტანდარტს, მოკლე განმარტებას და განხორციელებისთვის პრაქტიკულ შეთავაზებას.

მასწავლებლები დახელოვნებულნი უნდა იყვნენ შეფასების მეთოდების განვითარებაში სწავლების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დროს. როდესაც მასწავლებლები იყენებენ შეფასების გარე ხელსაწყოებს (მაგ. ქალაქში გავრცელებული სტანდარტული ტესტი კითხვის შესამოწმებლად), მათ უნდა გაითვალისწინონ შედეგები საბოლოო შეფასებისა და მოსწავლის სწავლის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. ერთი პრაქტიკული შეთავაზება ამ სტანდარტის დანერგვისთვის იქნება ის, რომ მასწავლებელმა განსაზღვროს საგანი ან სპეციფიკური უნარი, რომელიც შეფასდა (მაგალითად, წაკითხულის გააზრება) შემდგომ, მასწავლებელმა უნდა ჩამოწეროს მონაცემები, რომლებსაც გამოიყენებს წაკითხულის გააზრების საბოლოო შეფასებისთვის. მასწავლებელს ნიშნის განსაზღვრისთვის შეუძლია აირჩიოს შეფასების ინსტრუმენტების ქვემოთ მოყვანილი სია: ა) მასწავლებლის მიერ შექმნილ ტესტებზე პასუხების საშუალო ქულა; ბ) საკლასო აქტივობებზე და კითხვითი დავალებების შეკითხვებზე პასუხები; გ) წაკითხულის გააზრებასთან დაკავშირებული საშინაო დავალებების საშუალო ქულები; დ) მოსწავლის მიერ შექმნილ პორტფოლიოზე მინიჭებული ქულა წაკითხულის გაგაზრების სექციისთვის; და ე) სტანდარტული ტესტის შედეგები წაკითხულის გასააზრებლად. მასწავლებელმა უნდა შექმნას ქვემოთ წარმოდგენილი ფორმა (იხ. ფორმა 7.2) და მიანიჭოს შესაბამისი ქულა თითოეულ კომპონენტს.

ფორმა 7.2. მოსწავლე X-ის მონაცემების ინტერპრეტირებისთვის განსაზღვრული სტანდარტების გამოყენება

შეფასების მეთოდი	საჭირო სტანდარტი	შეფასება	საბოლოო ქულა
მასწავლებლის მიერ შედგენილი ტესტები	A=90% B=80% ა.შ.	30%	
საკლასო საკითხავი	რუბრიკის კომპონენტის დამაკმაყოფილებელი შეფასება	25%	
საშინაო დავალება	A=90%	5%	

	B=80% ა.შ.		
პორტოფლიოს სექცია	რუბრიკის კომპონენტის დამაკმაყოფილებელი შეფასება	25%	
სტანდარტული ტესტი	კლასის შესაბამისი ქულა (კლასი, საფეხური ა.შ.)	15%	

მასწავლებლები დახელოვნებულნი უნდა იყვნენ როგორც გარე, ისე მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების მეთოდების ადმინისტრირებაში, ქულების მინიჭებასა და შედეგების ინტერპრეტირებაში. მასწავლებლებს არა მხოლოდ შესაბამისი შეფასების მეთოდის არჩევის უნარი უნდა ჰქონდეთ, არამედ მათი შესაბამისად გამოყენებაც უნდა იცოდნენ. მასწავლებლის მიერ ამ სტანდარტის ეფექტური დანერგვისთვის ერთ-ერთი პრაქტიკული შეთავაზება იქნება, კარგად გაეცნონ, მაგალითად, მიღწევების სტანდარტულ ტესტს. სკოლებში ხშირად გამოყენებული ეს ტესტი, ძირითადად ნორმალურ მაგალითს შედარებული ტესტია. ის ერთმანეთს ადარებს მოსწავლის შედეგებს ნორმალურ ჯგუფში წარმოდგენილი მოსწავლეების მაგალითთან (მაგ. მეექვსეკლასელები - ეროვნულ, რეგიონალურ ან შტატის დონეზე). ამ ტესტების ადმინისტრირება მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრულ მარტივ ფორმატში. შედეგების ინტერპრეტირება, თუმცა, მასწავლებლის კომპეტენციაში შედის, მაგრამ მაინც მასზე სკოლის ადმინისტრაციის, სკოლის ბორდის წევრებისა და საზოგადოების შეხედულებების გავლენა დიდია. მიუხედავად ამისა, მასწალებელმა კარგად უნდა იცოდეს ორი ყველაზე გავრცელებული გზა ქულების შედარებისთვის: პროცენტული კატეგორია (მაგალითად, მოსწავლე, რომელიც 70 ქულაზე მეტს აიღებს საგანში უფრო მაღლა დგას, ვიდრე იმ მოსწავლეების 70 პროცენტი, რომლებმაც გამოცდა ჩააბარეს) და კლასთან შესაბამისი ნიშნები (მაგ. თუ მესამე კლასელი მოსწავლე კითხვაში დააგროვებს 3.5 ქულას, ეს ნიშნავს, რომ ის მესამე კლასის საფეხურის მეხუთე თვეშია. თუ მეორე მოსწავლე დააგროვებს 6.4 ქულას, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლე კითხულობს მეექვსე კლასსა და მეოთხე თვის საფეხურზე, არამედ იმას, რომ ის ძალიან კარგად კითხულობს თავისი ასაკის შესაბამისად). მიუხედავად იმისა, რომ შეფასების შესახებ წიგნები სტანდარტულ ქულებს, სტანდარტულ გადახრებს, Z ქულებს, T ქულებს დ ა.შ. დეტალურად განმარტავენ, ეს ქულები არც თუ ისე ხშირად გამოიყენება ორი ზემოთ მოყვანილი ხერხის შედარებისთვის. ჩემი აზრით, ეს მასწავლებლისთვის უსარგებლო ცოდნაა.

მასწავლებლები დახელოვნებულნი უნდა იყვნენ შეფასების შედეგების გამოყენებაში, როდესაც იღებენ გადაწყვეტილებას მოსწავლის, სწავლების დაგეგმვის, კურიკულუმის

შექმნისა და სკოლის გაძლიერების შესახებ. მასწავლებლებლები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ნებისმიერ ზემოთ ჩამოთვლილ დონეზე. ადმინისტრატორებმა ასეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მასწავლებლები უნდა ჩააბან. ამ სტანდარტის სკოლაში დანერგვისთვის კარგი შეთავაზება იქნება პროფესიული განვითარების სისტემის უზრუნველყოფა ამ სფეროს მასწავლებლებისთვის და მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში (მაგალითად, კლასში შექმნილ გადაწყვეტილებაზე უფლებამოსილი გუნდი, რომელიც მუშაობს სკოლის გაძლიერებასა და განვითარებაზე). მასწავლებლებს სჭირდებათ მხარდაჭერა მსგავსი ტიპის ჩართულობისათვის.

მნიშვნელოვანია, მასწავლებლები კარგად ერკვეოდნენ ქულების მინიჭების, როგორც შეფასების ერთ-ერთი ნაწილის ვალიდურად განხორციელების პროცედურაში. მაგალითად, მასწავლებლებს უნდა ესმოდეთ და აფასებდნენ ქულების მინიჭების, როგორც პროფესიული პრაქტიკის არსებითი ნაწილის, მნიშვნელობას. მოსწავლეები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ქულების შესახებ. ბოლოს და ბოლოს, კურსის დამთავრებისას არ გინდათ იცოდეთ, როგორ შეფასდებით? ქულებმა უნდა განსაზღვრონ დონე, რის მიხედვითაც მიღწეულ იქნა დასახული ამოცანები. გათვალისწინებული იქნება თუ არა ქულის მინიჭებისას გაკვეთილზე დასწრება და მონაწილეობა? თუ კი, რამდენი ქულით შეფასდება ეს კომპონენტები? განხილული სტანდარტის დანერგვისთვის კარგი იქნება, თუ მასწავლებლები სწავლების პირველსავე დღეს მოსწავლეებთან ერთად განიხილავენ ქულების განაწილების პროცედურას. ქვემოთ მოცემული კლასის მოთხოვნები აღწერენ ქულის მინიჭების პროცედურას, რომელსაც ვიყენებ ჩემს მოსწავლეებთან.

კლასის საჭიროებები

კურსის მოთხოვნები შემდეგია:

1. წიგნის განხილვა (20%)

მასწავლებლის ნებართვით მოსწავლე ირჩევს წიგნს კონკრეტული თემის შესახებ. უნდა დაიწეროს წიგნის მოკლე მიმოხილვა (ორიდან ხუთ გვერდამდე). მიმოხილვა უნდა მოიცავდეს სათაურს, რეზიუმეს, მნიშვნელობას და რეკომენდაციას. მიმოხილვა უნდა გაიყოს სამ ბლოკად: რეზიუმე, მნიშვნელობა, რეკომენდაციები. შეფასების კრიტერიუმებია:

შინაარსი: იცის თუ არა მიმომხილველმა წიგნის შინაარსი და მასთან დაკავშირებული კრიტიკული საკითხები

ციტირება: არის თუ არა წიგნი სწორად ციტირებული? (APA-ს სტილში)

თანმიმდევრობა: არის თუ არა ნამუშევარი კარგად ორგანიზებული და არის თუ არა ძირითადი იდეები ნათლად წარმოდგენილი? არის თუ არა ნაწარმოების მნიშვნელობა რეფლექტურად წარმოდგენილი?

ლაკონურობა: არის თუ არა რეზიუმე, მნიშვნელობა და რეკომენდაციები რელევანტური და ლაკონური?

შემოწმება: არის თუ არა ორთოგრაფიულად გამართული?

2. კრიტიკული ნაშრომი (20%)

   მოსწავლე აირჩევს საკითხს ან პერსპექტივას და დაწერს კარგად დასაბუთებულ ესეს სამიდან ხუთი ფურცლის ფარგლებში. შეფასების კრიტერიუმებია:

   შინაარსი: ცოდნის ბაზა, რელევანტურობა, და მნიშვნელობა

   თანხვედრა: ორგანიზება

   სიცხადე: კითხვადობა

   შემოწმება: წერის სტილი

   ანალიზი: რეფლექტური ხედვები

3. კვლევითი ნაშრომი (20%)

   მოსწავლეები შეაგროვებენ სამ სტატიას წინასწარ შერჩეულ თემაზე. კვლევითი ნაშრომი მოიცავს რეზიუმეს და მნიშვნელობის სექციებს. შეფასების კრიტერიუმია:

   შინაარსი

   ფორმატი

   ციტირება

   შემოწმება

4. ჯგუფური დისკუსია (20%)

   მოსწავლეები აირჩევენ თემას და წარუდგენენ კლასს, რასაც მოჰყვება საკლასო დისკუსია. შეფასების კრიტერიუმებია:

   შინაარსი

   პრეზენტაციის სტილი

   ბალანსი

   საკმარისი დრო დისკუსიისთვის

   პასუხები აუდიტორიის შეკითხვებზე

5. საბოლოო შეფასება (20%)

   მოსწავლე ჩააბარებს გამოცდას ლექციებსა და შესაბამის საკითხავ მასალაზე დაყრდნობით. კურსის საბოლოო ქულა განისაზღვრება ზემოთ მოცემული დავალებებისგან შედგენილი საშუალო ქულით. ქულების რიცხვობრივი გამოსახვა შემდეგნაირია:

   90+ საშუალო=A

   88-89 საშუალო =A-

88-87 საშუალო=B+

80-84 საშუალო=B

70-79 საშუალო=C

არასრული დავალება ქულებს ორჯერ ამცირებს. დამატებითი დავალებები (რომელიც მასწავლებლის მიერ წინასწარაა დაშვებული) ქულებს ორჯერ ზრდის, იმ პირობით, თუ დავალებები ბოლო გაკვეთილზე შესრულდება.

6. დასწრება და გაკვეთილში მონაწილეობა მნიშვნელოვანია

სამ ქულამდე შეიძლება გაიზარდოს მოსწავლის საშუალო ქულა დასწრებისა და აქტიურობისთვის

დასწრების ქულა (0-3)

0-1 გაცდენა = 3

2 გაცდენა = 2ქულა

3 გაცდენა = 1 ქულა

4 გაცდენა = 0 ქულა

5 ან მეტი = ჩაჭრა

(შენიშნვნა: 2 ქულა = 1 გაცდენა)

აქტიურობის ქულები =(0-3)

ძალიან აქტიური და თანმიმდევრული მონაწილეობა =2 ქულა

აქტიური და თანმიმდევრული ჩართულობა =2 ქულა

იშვიათი, მაგრამ თანმიმდევრული აქტიურობა = 1 ქულა

აქტიურობა ნაკლებია ან საერთოდ არა = 0 ქულა

კურსის ბოლოს შეგიძლიათ ჰკითხოთ პროფესორს, რამდენი ქულა მოაგროვეთ. დასწრებისა და აქტიურობის ქულები შეჯამდება და ორზე გაიყოფა. შედეგი დაემატება თქვენ საბოლოო შეფასების საშუალო ქულას.

მასწავლებლები დახელოვნებულნი უნდა იყვნენ მოსწავლეებთან, მშობლებთან და აუდიტორიის სხვა წევრებთან ერთად შეფასების შედეგების განხილვაში. მასწავლებელმა უნდა გააცნოს თავისი შეფასების გეგმა არა მხოლოდ მოსწავლეებს, არამედ მშობლებსა და სკოლის მმართველობას. მისი გასაჯაროება თავიდან აგაცილებთ გაუგებრობებს და შედეგების ბოროტად გამოყენებას. პრაქტიკული თვალსაზრისით, შეფასების სტანდარტის იმპლემენტაციისათვის სასურველია, შეფასების გეგმა პირველ რიგში წარუდგინოთ ხელმძღვანელებს და გაითვალისწინოთ მათი მოსაზრებები და მოწონება. ამის შემდეგ, მასწავლებელმა უნდა დაწეროს დეტალური წერილი, რომლის საშუალებითაც მშობელს განუმარტავს შეფასების სისტემას. მასწავლებელმა უნდა

გამოიყენოს კონფერენციები მშობლებთან ერთად და სხვა დამატებითი შესაძლებლობები იმისთვის, რომ გახსნას კომუნიკაციის ახალი გზები და გაზარდოს მშობელთა ჩართულობის ხარისხი. ასეთი პრაქტიკა, სულ მცირე, შეამცირებს მშობელთა უკმაყოფილებას (მაგალითად: „რატომ და როგორ მიიღო ჩემმა შვილმა ეს ნიშანი“?).

მასწავლებლები ეფექტურად უნდა იყენებდნენ ინფორმაციას შეფასების შესახებ და ადვილად ახდენდნენ არაეთიკური, არაკანონიერი ან შეფასების სხვა შეუსაბამო ფორმის ამოცნობას. მასწავლებელმა შეფასების გეგმა ყველა მოსწავლისადმი სამართლიანობის პრინციპის დაცვით უნდა შეადგინოს. მასწავლებელი ეთიკურად უნდა იქცეოდეს, რაც გულისხმობს გადაწერის ან სხვა არალეგალური პრივილეგიის მიმნიჭებელი ქმედების, როგორიცაა პასუხების ფურცლის მოსწავლეებისთვის მიწოდება, უარყოფას. სწავლება არ უნდა იყოს მიმართული სტანდარტიზებული ტესტის ჩასაბარებლად მომზადებისთვის, რისი ინიციატივაც, როგორც წესი, სკოლის ადმინისტრაციისგან მოდის ხოლმე. ეს ინიციატივა კი გულისხმობს მოსწავლეთა მიერ მაღალი შედეგების მიღწევას ნებისმიერ ფასად. ყველას გვსმენია საშინელი ისტორიები მასწავლებლების შესახებ, რომლებიც საგამოცდო ტესტის პასუხებს აწვდიდნენ ან უცვლიდნენ მოსწავლეებს გამოცდისათვის. დაწერეთ ისეთი ნიშნები, რომლებიც რეალურად ასახავს მოსწავლეთა მიღწევებს. მომდევნო ექვსი პუნქტი (ნაწილობრივ წარმოდგენილი გრონულდთან, 2003) დაგეხმარებათ ეფექტური და სამართლიანი შეფასებისთვის.

1. როგორც აღვნიშნეთ, კურსის დასაწყისშივე აცნობეთ მოსწავლეებს, მშობლებსა და დირექციას შეფასების პროცედურების შესახებ.
2. დაწერეთ ნიშნები მხოლოდ და მხოლოდ მოსწავლეთა მიღწევების გათვალისწინებით. ისეთი დამატებითი ფაქტორები, როგორიცაა ცუდი ყოფაქცევა და დაგვიანება - უნდა გამოიყოს შეფასებისგან. თუ თქვენ, მაგალითად, დააკლებთ მოსწავლეს ქულებს გამოცდის შედეგებიდან იმ მიზეზით, რომ ცუდად იქცეოდა, აკნინებთ მიღწევების ტესტის მნიშვნელობას. ამის შემდეგ ქულა, მაგალითად, აღარ ასახავს მიღწევებს მეცნიერებაში.
3. დაწერეთ ნიშნები შეფასების სხვადასხვა სისტემის გამოყენებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ ფურცლით და კალმით მოსწავლეების შეფასება უსამართლოა, რადგან ისინი შესაძლებლობების მხოლოდ ვიწრო წრეს აფასებენ. მნიშვნელოვანია, გამოყენებულ იქნეს შეფასების ალტერნატიული ფორმებიც (მაგ. ზეპირი პრეზენტაციების შეფასება, პროექტები, ლაბორატორიული სამუშაო, დადგმები).
4. დარწმუნდით, რომ მოსწავლეები არ იწერენ. კვლევების უმეტესობა აჩვენებს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ხანდახან იწერს. ვფიქრობ, რომ მასწავლებელთა უმეტესობა დარწმუნებით იტყვის იმას, რომ თავის კლასში გადაწერას არ ხდება, რადგან პროცესს მკაცრად აკონტროლებენ. ვფიქრობ, იმასაც, რომ ამ მასწავლებელთა უმეტესობამ არაფერი იცის მათ კლასში გადაწერის მავნე

ტენდენციის გავრცელების შესახებ. მათ შეუძლიათ დაამარცხონ გადაწერის სინდრომი გამოცდის ფორმატის შეცვლით ან ადმინისტრირების პროცესში შეკითხვების დასმის გზით. მოსწავლეებს შესაძლოა ჰქონდეთ წინა გამოცდების ასლები. თუ მასწავლებელი არ შეცვლის მათ, ზოგიერთი მოსწავლე (მათ, ვისაც წინა გამოცდის პასუხები აქვს) უპირატესობით უსამართლოდ ისარგებლებს. ვიცნობ ერთ მასწავლებელს, რომელიც გამოცდის ყველა ნიმუშს აგროვებს, „რათა ბავშვებს არ ჩაუვარდეთ ხელში“. შედეგად, ის იშვიათად ან არასდროს, ცვლის გამოცდის ფორმატს ან შეკითხვებს. მოგვიანებით აღმოვაჩინეთ, რომ გამოცდის ასლები ვებ-გვერდზე იყო ატვირთული. მასწავლებლის შეფასება ვერ იქნება ეფექტური თუ კლასში გადაწერის პრეცედენტი იარსებებს.

5. ესეს ტიპის გამოცდებისთვის მოსწავლეებს დააწერინეთ სახელი და გვარი საგამოცდო ბუკლეტის უკან, რათა თავიდან იქნეს აცილებული მასწავლებლის დადებითი ან უარყოფითი მოლოდინები. მაგალითად, თუ მარიო არის ბრწყინვალე მოსწავლე და იცით, რომ მის ნამუშევარს კითხულობთ, ბუნებრივად გექნებათ კარგი ესეს მოლოდინი. ამის საპირისპიროდ, თუ დონალდი დაბალი მოსწრების მქონე მოსწავლეა, მასაც შესაბამისად შეაფასებთ. საგამოცდო ნამუშევრების შეფასება ისე, რომ არ იცოდეთ, ვისი ნამუშევარია, თავიდან აგაცილებთ მოლოდინებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს შეფასებაზე.
6. არ მისცეთ შეუსაბამოდ დიდი წონა მიღწევების სტანდარტულ ტესტს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი რადიკალურად განსხვავდება კლასის შიდა ან სკოლისთვის საერთო შეფასებისაგან. ზოგი მოსწავლე უბრალოდ კარგად ვერ ართმევს თავს მნიშვნელოვან ტესტებს. თუმცა ეს ტესტები მხედველობის მიღმა არ უნდა დარჩეს. შეაფასეთ მოსწავლე დროდადრო ამ ტესტების საშუალებით, ნაცვლად იმისა, რომ ერთ კონკრეტულ ქულას დაეყრდნოთ მთელი წლის განმავლობაში. შეეცადეთ, გამოიცნოთ მოსწავლის სუსტი მხარე ამ გამოცდებში და გაუწიეთ სათანადო დახმარება. უფრო მეტიც, მხედველობაში მიიღეთ რიგი შეფასების ინსტრუმენტები ერთობლივად, კონკრეტულ საგანში საბოლოო ნიშნის განსაზღვრისათვის.

მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ ტესტის ვალიდურობის და სანდოობის შესახებ. გრონულდის (2003, გვ. 201) მიხედვით, „ორი ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა ტესტისა და შეფასების სხვა ინტრუმენტის შესახებ არის: 1. რამდენად შესაბამისი, აზრიანი და საჭირო იქნება შედეგების ინტერპრეტაცია (ეს არის ვალიდურობა) და 2. რამდენად თავისუფალი იქნება შედეგები შეცდომებისგან (ეს არის სანდოობა)“.

ვალიდურობა

ვალიდურობა გულისხმობს, თუ რამდენად ზომავს ტესტი, კვლევა ან სხვა ინსტრუმენტი შეფასებისთვის აუცილებელ ერთეულებს. თუ მსურს შევაფასო თქვენი ცოდნა საგანმანათლებლო კვლევის რომელიმე ასპექტში, დაგაწერინებთ ტესტს. თუ პრეტესტი მხოლოდ მათემატიკური კითხვარისგან შედგება, მაშინ ის ვერ იქნება ვალიდური, რადგან მე მსურდა არა თქვენი კვლევითი უნარების შეფასება, არამედ ამოცანების განსაზღვრისა და გადაწყვეტის უნარისა... იმისათვის, რომ ტესტი იყოს ვალიდური მან უნდა შეაფასოს ის, რისი შეფასებაც გსურთ.

ვალიდურობის ოთხი სახე არსებობს: *გარემოების, მოსაზრების, შინაარსისა და პროგნოზირების ვალიდურობა.* ამ ოთხი სახის განმარტება საჭირო არ არის, რადგან მასწავლებლებს, როგორც წესი, არ სჭირდებათ ოთხივე ტიპის ვალიდურობის გამოყენება.

თუმცა გამონაკლისია *შინაარსის* ვალიდურობა. როდესაც ვიყენებ ტესტირებას კვლევის სფეროში ჩემი ცოდნის შესაფასებლად, კურიკულუმის კონტენტ ანალიზს მივმართავდი ან ცოდნაზე დაფუძნებულ განათლების კვლევას, რადგანაც ჩემი მიზანი მისი სწავლებაა. ტესტირება უნდა ემსახურებოდეს იმის გარკვევას, რამდენად ასახავს შინაარსს ტესტში არსებული შეკითხვები.

დაგიწერიათ თუ არა ოდესმე ისეთი ტესტი, რომელშიც იყო შეკითხვა: „ჩვენ არასდროს გაგვივლია ეს მასალა?“. თუ, მაგალითად მეთორმეტე კლასელ ბავშვებს აწერინებთ ტესტს, რომელიც სოციალური მეცნიერებების მეათე თავს ეფუძნება, თქვენ ტესტის ვალიდურობას განსაზღვრავთ იმის მიხედვით, მოიძებნება თუ არა თითოეულ შეკითხვაზე პასუხი მეათე თავში. ამასთან ერთად, შინაარსის ვალიდურობის განსაზღვრა სტანდარტული ტესტებისთვის მოიცავს მეტად რთულ პროცედურებს.

მასწავლებლისთვის საჭირო ვალიდურობის ორი სხვა სახე, მიუხედავად ამ სფეროში არსებული ბევრი ექსპერტის მიერ მისი არ აღიარებისა, არის: *კონსენსუალური* და *აშკარა* ვალიდურობა.

კონსენსუალურ ვალიდურობაა, როდესაც ადამიანებს, რომლებსაც ტესტი არ შეუდგენიათ (კოლეგა ან სხვა კლასის მოსწავლე), ჰკითხავთ, შეესაბამება თუ არა მოცემული კითხვარი შეფასების მიზნებს. ტესტის ან კვლევის განმხილველებმა უნდა განსაზღვრონ საკითხების გაურკვევლობა, რის შემდეგაც კვლავ გადახედავთ საკითხებს. როგორც კი ამ ინსტრუმენტს გამოიყენებთ რამდენიმე ადამიანთან და ისინი შეიტანენ შესწორებებს, შესაბამისად, ტესტი ან კვლევა შეიძლება ჩაითვალოს კონსენსუალური თვალსაზრისით ვალიდურად.

აშკარა ვალიდურობა ვლინდება მაშინ, როდესაც მონაწილეებს სთხოვთ, გაგიზიარონ თავიანთი მოსაზრებანი, თუ რამდენად ვალიდური ჩანს მათი აზრით ტესტი. ჩაგიტარებიათ თუ არა როდესმე გამოცდა, რომელიც სამართლიანი იყო, რადგან

ზედმიწევნით ასახავდა მასალას, რომელიც კურსის ფარგლებში გაიარეთ? ასეთ გამოცდას აშკარა მაღალი ვალიდურობა ექნება.

სანდოობა

სანდოობა ეხება ხარისხს, რომლითაც ინსტრუმენტი, განმეორებითობის შემთხვევაში, გვაწვდის თანმიმდევრულ შედეგებს. როდესაც გესმით ტერმინი სანდოობა, ალბათ მაშინვე გაგახსენდებათ ტერმინი შინაარსი. როგორც წესი, თუ გსურთ გაიგოთ კონკრეტული ინსტრუმენტი არის თუ არა სანდო, თქვენ უნდა გაეცნოთ ტესტის შემდგენის სახელმძღვანელოს. სანდოობა, წარმოდგენილი სახელმძღვანელოს სახით თუ გათვალისწინებული ინსტრუმენტის გამოყენების დროს, ცნობილია სახელწოდებით: ***კოეფიციენტის კორელაცია.*** რაც უფრო ახლოა კორელაციის კოეფიციენტი, რომელიც ასეულებში გამოიხატება, და აღწევს +1.00-ს, მით უფრო იზრდება სანდოობის ფაქტორი. ასე რომ, მაგალითად, სანდოობის კოეფიციენტი .80 გვიჩვენებს, რომ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ. ტესტი) სანდოა. დაიხსომეთ, რომ არცერთი ტესტი არ არის 100 პროცენტით სანდო.

სანდოობის ჩვეულებრივი ტესტი მოიცავს:

1. *განმეორებითი ტესტირების მეთოდს,* რომლის მიხედვითაც ერთი და იგივე ტესტი დროის გარკვეულ პერიოდში მეორდება. ტესტირების განმეორება სავალდებულოა. კორელაცია დგინდება ტესტირების ორივე მონაცემის საფუძველზე. კორელაციის კოეფიციენტი წარმოადგენს სანდოობის მაჩვენებელს. ყურადღება მიაქციეთ, რომ, შესაძლოა, ტესტებს შორის დროის მცირე ინტერვალმა გაბეროს სანდოობის მაჩვენებელი. როგორ ფიქრობთ, რატომ?
2. *პარალელური ან ეკვივალენტური ფორმების მეთოდით* (მსგავსია წინა მეთოდისა) ჯგუფს ხელახლა ამოწმებთ ეკვივალენტური ფორმის ტესტის საშუალებით. აღნიშნული მეთოდი მოითხოვს ორ ტესტირებას (A - მაგალითად, სექტემბერში და B - მაგალითად, მარტში). ორივე ტესტირების შედეგები კორელაციაშია, რადგან წარმოადგენენ განმეორებითი ტესტირების მეთოდს.
3. *ორად გაყოფა,* არის მეთოდი, როდესაც ტესტი ორ ნაწილად იყოფა. ასეთია კენტრიცხვიანი და ლუწრიცხვიანი დავალებები. ტესტირება ერთსა და იმავე ჯგუფში ტარდება და ქულების ორი ჯგუფია გათვალისწინებული თითოეული ადამიანისთვის: კენტრიცხვიან და ლუწრიცხვიან ქულაზე დაფუძნებული შეკითხვები. სანდოობის კოეფიციენტის განსაზღვრა ამ ორი ჯგუფის დახმარებით ხდება. ყურადღება მიაქციეთ, რომ რაც უფრო დიდხანს გასტანს ტესტირება, შედეგები უფრო მეტად სანდო იქნება. როგორ ფიქრობთ, რატომ?
4. *კრ-21* (კუდერ-რიჩარდსონის ფორმულა) გამოიყენება სავარჯიშოს შინაარსის განსასაზღვრად, რომელშიც ყველა დავალებას ერთნაირი მახასიათებლები ან სირთულის დონე გააჩნია. ტესტები, რომლებიც მოიცავენ განსხვავებულ

საკითხებს ან სირთულის სხვადასხვა საფეხურს, შესაძლოა ზემოქმედება მოახდინონ სანდოობის შეფასების ორად გაყოფაზე.

5. *შიდა შეფასების სანდოობა* (ასევე ცნობილია, როგორც შიდა სანდოობა), მოიცავს შეფასებასა და რანჟირებას დამოუკიდებელი დამკვირვებლების მიერ. რაც უფრო მსგავსია რანჟირება, მეტია სანდოობა. შიდა სანდოობა, მაშასადამე, განსაზღვრავს დამოუკიდებელ დამკვირვებლებს შორის არსებული შეთანხმების პროცენტულობას. მასწავლებლები ამ ფორმის ვალიდურობას იყენებენ სტანდარტული წერითი ტესტის შეფასებისთვის. სამი მასწავლებელი აფასებს მოცემულ ესეს დამოუკიდებლად და შემდეგ საშუალო ქულას ანგარიშობენ. ამ გზით, არც ერთ შეფასებას არ ენიჭება უპირატესობა. ეს მეთოდი ხშირად დაკავშირებულია ჰოლისტურ შეფასებასთან.

სანდოობას მრავალმხრივი წყაროების გამოყენება განსაზღვრავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტ შეფასების ინსტრუმენტს გამოიყენებთ, მით უფრო სანდო იქნება ის ნიშანი, რომელსაც კონკრეტულ საგანში მოსწავლეს მიანიჭებთ. როგორ ფიქრობთ, რატომ?

ვალიდურობასა და სანდოობაზე საუბარს მივყავართ საკლასო ტესტების მომზადებისაკენ, ტესტებისა, რომლებიც ტრადიციული ხასიათის შეფასების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენენ. შემდეგ პარაგრაფში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს გზამკვლევს ტესტის შედგენის ზოგადი წესებისათვის. ასევე გაეცნობით, როგორ შეადგინოთ ისეთი ტიპის ტესტები, როგორიცაა ჭეშმარიტი და მცდარი, შევსება, შეკითხვები რამდენიმე პასუხით, დაწყვილება, წაკითხულის გააზრება. გამოყოფილი პუნქტები წარმოადგენს ზოგად მიმართულებებს და არა ტესტის შედგენის დეტალურ აღწერას. დაახლოებით ისე, როგორც თქვენ მიიღეთ ინფორმაცია შეფასებისა და გაზომვის შესახებ დამამთავრებელ კურსზე ან სამომავლოდ მიიღებთ პროფესიულ განვითარებას ან ისწავლით, როგორც ახალი მასწავლებელი სკოლაში. თუ თქვენი გამოცდილება ისეთივეა, როგორც ჩემი, თქვენვე უნდა შეავსოთ გამოტოვებული ხაზები. საბედნიეროდ, მაკდონალდისა და ჰილის (1999) შრომები დაგეხმარებათ.

იდეები შეფასებისთვის #3:ტესტების მომზადება

ტესტის მომზადების ზოგადი სახელმძღვანელო

ქვემოთ მოცემულია ზოგადი ინსტრუქციები, რომლებიც ტესტის მომზადებისას უნდა გაითვალისწინოთ:

- ტესტში შეიტანეთ ისეთი შეკითხვები, რომელსაც ყველა მოსწავლე სწორად უპასუხებს. დაიწყეთ ნაკლებად რთული შეკითხვებით: ამგვარად, მოსწავლეებს ექნებათ წარმატებული დასაწყისი და მიეცემათ სტიმული განაგრძონ ტესტირება
- ტესტები სწავლების მიზნებსა და დასწავლილ მასალას უნდა შეესაბამებოდეს. დავალებებში სწავლის ამოცანები და მნიშვნელობა დაბალანსებული უნდა იყოს. ტესტი დაკარგავს ვალიდურობას, თუ მასში სასწავლო მასალის რომელიმე ნაწილი მეტნაკლებად გამოკვეთილი ან უგულებელყოფილია.
- ტესტის შედგენისას ყურადღება მიაქციეთ ლექსიკური მარაგის შესაბამისობას მოსწავლეების სწავლის დონესთან. ტესტის ვალიდურობისათვის, მნიშვნელოვანია, რომ ტესტმა შინაარსის ცოდნა გაზომოს და არა კითხვის უნარი (თუ წინა შემთხვევას არ აქვს ადგილი).
- გაუადვილეთ მოსწავლეებს ცოდნის გამოვლენა. არ დაუშვათ, რომ წერის უნარი ან სისწრაფე მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორი გახდეს. ყველას უნდა მიეცეს ტესტის ჯეროვნად დაწერის საშუალება.
- დარწმუნდით, რომ ტესტის ინსტრუქცია მოსწავლეებისათვის სრულიად გასაგებია. მათ ტესტში არ უნდა დატოვონ რომელიმე დავალება გაუკეთებელი იმ მიზეზით, რომ ინსტრუქციის რომელიმე ნაწილი გაუგებარი იყო.
- ერთ სექციაში მოუყარეთ თავი ერთი და იგივე ტიპის შეკითხვებს, რათა მოსწავლეები არ დაიბნენ.
- თითოეული ამოცანისთვის რამდენიმე ტესტური დავალება გაითვალისწინეთ. ეს მისცემს მოსწავლეებს საშუალებას სრულად გამოავლინონ კომპეტენცია და თავიდან აგვარიდებს შემთხვევით სწორ ან არასწორ პასუხს. ამგვარად თავიდან აიცილებთ უნარის/ცოდნის არასწორ შეფასებას.
- ტესტურ დავალებებს თან უნდა ახლდეს მის შესასრულებლად ყველა საჭირო ინფორმაცია. როდესაც მოსწავლეები ინფორმაციის ნაკლებობის გამო წყვეტენ მუშაობას და სვამენ დამატებით კითხვებს, აღნიშნული ზეგავლენას ახდენს ტესტის ვალიდურობაზე.
- თუ თქვენს ერთ-ერთ მიზანს მოსწავლეთა მიღწევებს შორის არსებული სხვაობების დადგენა წარმოადგენს, არ უნდა მისცეთ მათ შეკითხვების არჩევის უფლება. უნდა გამოიყენოთ ზუსტად ერთნაირი შეფასების ინსტრუმენტი ყველასთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტესტის ვალიდურობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.
- შეადგინეთ უფრო მეტი დავალება, ვიდრე ტესტირებისთვის გჭირდებათ. აირჩიეთ მხოლოდ საუკეთესო ნიმუშები, საჭიროების შემთხვევაში კვლავ დაამუშავეთ, რათა მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულდეს. საბოლოოდ, გექნებათ შერჩეული, გრამატიკულად სწორი და ნათელი დავალებები.

ობიექტური ტესტური დავალებების ნიმუშების არჩევა და მომზადება

ტესტის შედგენის ზემოთ განხილული ინსტრუქციები ეხება ობიექტური ტესტების შექმნას. ობიექტური ტესტების ყველაზე გავრცელებული ნიმუშებია: ჭეშმარიტი და მცდარი, შევსება, შეკითხვები რამდენიმე სავარაუდო პასუხით და დაწყვილება.

ჭეშმარიტი და მცდარი

ობიექტური ტესტური დავალებების ერთ-ერთი ტიპია *ჭეშმარიტი და მცდარი*. მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ, რამდენად ზუსტია წარმოდგენილი დებულება. ასეთი სავარჯიშო კარგად აფასებს, შეუძლია თუ არა მოსწავლეს, განასხვაოს ფაქტი შეხედულებისგან და სწორი განზოგადება - არასწორისგან. იმისათვის, რომ გამოვრიცხოთ შემთხვევითი გამოცნობა (რაც ტესტის სანდოობაზე იმოქმედებს), მოსწავლეებმა ჭეშმარიტისა და თუ მცდარის მითითებასთან ერთად, უნდა დაასაბუთონ, თუნდაც ერთი წინადადებით, რატომ ფიქრობენ ასე. ერთი შეხედვით, *ჭეშმარიტი თუ მცდარის* ტიპის ტესტური დავალებების ნიმუშების შედგენა მარტივია, მაგრამ ორაზროვნებისაგან თავისუფალი და მცდარზე ორიენტირებული ნიმუშების შედგენა არც თუ ისე ადვილია. ქვემოთ მოცემული რჩევების გათვალისწინებით, შესაძლოა თავიდან აიცილოთ *ჭეშმარიტი თუ მცდარი* დავალებების შედგენისას დაბრკოლებების წარმოქმნა.

- თავი აარიდეთ განზოგადებებს. ისეთი სიტყვები როგორიცაა: ყოველთვის, არასდროს, შესაძლოა იყოს მინიშნება იმაზე, რომ დებულება მცდარია.
- შეეცადეთ დაიცვათ ბალანსი ჭეშმარიტ და მცდარ წინადადებებს შორის.
- შესაძლებლობის შემთხვევაში თავი აარიდეთ ნეგატიური დებულების გამოყენებას. იმ შემთხვევაში თუ ნეგატიურ დებულებას გამოიყენებთ, დარწმუნდით, რომ საკვანძო სიტყვა ხაზგასმულია ან გამოყოფილია. ამ გზით, მოსწავლეები ყურადღებას მასზე გაამახვილებენ (მაგალითად, <u>არა</u>. **<u>არასდროს</u>**).
- შეკითხვები მარტივი ენით შეადგინეთ. ტესტირებამ მახსოვრობა უნდა შეამოწმოს და არა სიტყვების გააზრების უნარი.

ჭეშმარიტი თუ მცდარი ტიპის დავალებებს შემდეგი ძირითადი უპირატესობები მოეპოვება:

- დავალებების შეფასება ადვილია;
- ტესტის ინსტრუქცია მოსწავლეებისთვის ადვილად გასაგებია;
- დროის მცირე მონაკვეთში საკმარისი რაოდენობის დებულებებს შეგიძლიათ უპასუხოთ;
- კარგი საშუალებაა დისკუსიის წამოწყებისა და პრეტესტირებისთვის;
- სწრაფად ამოწმებს მარტივ, ფაქტობრივ ცოდნას.

ჭეშმარიტი თუ მცდარი ტიპის დავალებების ნაკლოვანებები:

- რთულია ორაზროვნების გამორიცხვა, რადგან იშვიათად არსებობს ცალსახად ჭეშმარიტი ან მცდარი დებულება.
- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები თითოეულ დებულებაზე პასუხს არ ახსნიან, სწორი პასუხების შემთხვევით გამოცნობას ვერ გამოვრიცხავთ, ეს კი ტესტის ვალიდურობაზე აისახება.
- *ჭეშმარიტი თუ მცდარი* ტიპის ტესტები ხასიათდებიან დამახსოვრებისა და გამოცნობის ტენდენციით.

ჩასვით გამოტოვებული სიტყვები

ასეთი ტიპის დავალებებში წინადადებებში გამოტოვებულია მნიშვნელოვანი ფრაზები ან სიტყვები. მოსწავლემ ასეთი ველები უნდა შეავსოს. ამ ტიპის ტესტები გამოიყენება მაშინ, როდესაც ვამოწმებთ მოსწავლეების ცოდნას, რადგან მათ უნდა მოიყვანონ ინფორმაცია, რომელიც არ ჩანს დავალებაში. ქვემოთ ჩამოთვლილი იდეები შეიძლება დაგეხმაროთ ასეთი ტიპის დავალებების შედგენაში:

- დარწმუნდით, რომ მოსწავლეებმა იციან ის, რასაც ტესტი მოითხოვს. მხედველობაში მიიღეთ პასუხების სიდიდე და დეტალები.
- შეარჩიეთ დავალება, რომელზეც მხოლოდ ერთი შესაძლო პასუხი არსებობს. ასეთ შემთხვევაში ცუდი მაგალითია: „მიქელანჯელო იყო ცნობილი------“, რადგან ბევრი პასუხი შეიძლება იყოს სწორი (მაგ. *იტალიელი, მხატვარი)*
- დებულება შინაარსიანი უნდა იყოს, რათა მას მნიშვნელობა მიენიჭოს. მომდევნო წინადადება არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება გამოიყენოთ არაადეკვატური რაოდენობა სიტყვებისა: „---იცავს---, თავისუფლებას, და----“.
- თავიდან აიცილეთ გრამატიკული მინიშნებები.
- ჩამოაყალიბეთ შეკითხვები ისე, რომ მასში მხოლოდ მნიშვნელოვანი სიტყვები იყოს გამოტოვებული. ცუდი მაგალითია: „ვაშინგტონმა ----- დელავერი იმისთვის, რომ დაემარცხებინა ჰესიანები“.
- შესაძლებლობის შემთხვევაში, დასვით პირდაპირი შეკითხვა. თავი აარიდეთ სახელმძღვანელოს ენის გამოყენებას.

დავალების „ჩასვით გამოტოვებული სიტყვები“ მთავარი უპირატესობებია:

- მისი შედგენა და შეფასება იოლია;
- სწრაფად აფასებს შინაარსის ვრცელ დიაპაზონს;
- მოსწავლეებს ურთულდებათ სწორი პასუხის მოგონება;
- კარგი ხერხია მასალის გამეორებისათვის;

მისი მთავარი ნაკლოვანებებია:

- რთულია ისეთი ნიმუშის შექმნა, სადაც მხოლოდ ერთი სწორი პასუხია;
- თუ ასეთი ტიპის დავალებებს ხშირად და გადაჭარბებით გამოიყენებთ, ხელს შეუწყობთ დამახსოვრებაზე დაფუძნებულ და გაუაზრებელ სწავლას.

შეკითხვები რამდენიმე სავარაუდო პასუხით

შეკითხვები რამდენიმე სავარაუდო პასუხით ობიექტური ტესტების ყველაზე გავრცელებული სახეა. მისი გამოყენება ყველა საგანში შეიძლება. ასეთი დავალებები შეიცავს ორ ძირითად კომპონენტს: დებულებას და სავარაუდო პასუხებს. დებულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც მტკიცებითი ისე კითხვითი ფორმით: "ავტომობილების უმეტესობა მუშაობს ----". სავარაუდო პასუხებიდან ერთია სწორი, ხოლო დანარჩენი სამი ე.წ. დისსტრაქტორებია, რადგან მათი მიზანი, მოსწავლის შეცდომაში შეყვანაა. ამ შემთხვევაში სავარაუდო პასუხი შეიძლება იყოს:

ა. ორთქლის ძრავა;

ბ. ელექტრონული ბატარეა;

გ. შიდა წვის ძრავა;

დ. მზის ენერგია.

შეკითხვები რამდენიმე სავარაუდო პასუხით შედარებით მრავალმხრივი ტესტის ნიმუშებია, რადგან სირთულის გათვალისწინებით, მათ შეუძლიათ შეაფასონ დამახსოვრებული მასალა და ასევე აზროვნების უფრო მაღალი საფეხურებიც. ასეთი დავალებების კარგი ნიმუშების შედგენა შესაბამის უნარებს და დეტალების გათვალისწინებას მოითხოვს. ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტრუქციები მის შედგენაში დაგემხმარებათ:

- შეკითხვის დებულება უნდა იყოს ნათელი და არ უნდა შეიცავდეს სავარაუდო პასუხებს. იმ შემთხვევაში, თუ დებულებას დაუსრულებელი წინადადების სახე აქვს, მასში საკმარისი მნიშვნელობა უნდა იყოს ჩადებული, რათა მოსწავლემ პასუხების გასაცემად სავარაუდო პასუხებს არ დაუწყოს ძებნა.
- ჩამოწერეთ სულ მცირე ოთხი სავარაუდო პასუხი. ეს გამორიცხავს შემთხვევით გამოცნობას და გაზრდის ტესტის ვალიდურობას, რადგან მოსწავლეებისგან მეტ მიხვედრილობას მოითხოვს.
- შეკითხვები, რომლებიც „საუკეთესო პასუხს" მოითხოვს და არა „სწორ პასუხს", მეტად სასარგებლოა, რადგან ისინი აზროვნების პროცესის უფრო მაღალ საფეხურებზე განიხილება.
- წარმოადგინეთ დამაჯერებელი პასუხები, და შედარებით მაღალი საფეხურის შემოწმებისას, გაზარდეთ პასუხებს შორის მსგავსება, რათა უკეთ იქნას შეფასებული მოსწავლის აზროვნება.

- ეცადეთ, თავი აარიდოთ ნეგატიურად ჩამოყალიბებულ დებულებებს. ისინი მეტად ხასიათდებიან ორაზროვნებით, ვიდრე პოზიტიურად ჩამოყალიბებული დებულებები.
- სწორი პასუხები სხვადასხვაგვარად გაანაწილეთ, რათა თავიდან აიცილოთ შესამჩნევი ტენდენცია, როგორიცაა რიგით პირველი ან ბოლო პასუხისათვის უპირატესობის მინიჭება.
- თითოეული შეკითხვა ცალკეული ინფორმაციის ცოდნას უნდა ამოწმებდეს და არ უნდა შეიცავდეს გასაღებს სხვა შეკითხვებისთვის.
- დებულება მარტივი და გასაგები სიტყვებით ჩამოაყალიბეთ. ენა კითხვის ყველაზე დაბალი უნარების მქონე მოსწავლეებისთვისაც გასაგები უნდა იყოს.

ამ დავალების ძირითადი ღირსებებია:

- დროის მცირე მონაკვეთში საგნების ფართო სპექტრის შეფასება;
- ტესტირებისა და შეფასების სისწრაფე;
- საკითხები შეიძლება დაიწეროს სხვადასხვა საგანში მოსწავლეთა არაერთგვაროვანი ცოდნის შესამოწმებლად;
- მეხსიერებასთან ერთად გაცილებით მაღალ მენტალურ პროცესებსაც აფასებს.

მთავარი ნაკლოვანებებია:

- კარგი ნიმუშების შედგენა რთული და ხანგრძლივი პროცესია.
- როგორც ყველა სტრუქტურირებული დავალების შემთხვევაში, აქაც მოსწავლეს არ მოეთხოვება ინფორმაციის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა.
- ასეთი ტიპის დავალებები მოითხოვენ კონცენტრაციის გარკვეულ დონეს და არაერთგვაროვნებას, რაც შესაძლოა შეუსაბამო აღმოჩნდეს დაბალი საფეხურის მოსწავლეებისათვის.
- საგნების მექანიკური დათვლა, რომელიც კომპლექსურ აზროვნებას მოითხოვს არ ამოწმებს მოსწავლეთა აზროვნების პროცესს.
- ვერასდროს შეძლებთ გაარკვიოთ როგორ მიიღო მოსწავლემ სწორი პასუხი. იცოდა კითხვაზე პასუხი თუ შემთხვევით შემოხაზა.
- ხელს უწყობს ისეთ სწავლებას, რომელიც აზროვნებას განსაკუთრებულად არ მოითხოვს, მეტად ორიენტირებულია გამოცნობასა და შემთხვევით მიხვედრილობაზე.
- ხელს უწყობს სწავლას ე.წ. „ამოგლეჯის“ პრინციპით, როდესაც მოსწავლე კონცენტრირებულია სავარჯიშოს გარკვეული ნაწილების გააზრებაზე და არა ტექსტის სრულ აღქმაზე.

- ტესტის შედგენისას გამოყენებული დისტრაქტორები მასწავლებელს მოსწავლეების თვალში არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს. კერძოდ, ჩასაფრებულ მდგომარეობაში, როგორმე ბავშვებმა შეცდომა დაუშვან.

დაწყვილება

დაწყვილება ამოწმებს სწორ ასოციაციებს მონათესავე კატეგორიის ინფორმაციასთან. ასეთებია: სახელები და თარიღები, ხალხი და მოვლენები, ავტორები და წიგნები, ტერმინები და განმარტებები, კანონები და ილუსტრაციები და ა.შ. აღნიშნული ტიპის ტესტი კარგად ერგება *ვინ? რა? სად? როდის?* სქემას, მაგრამ არ ზომავს გააზრებას მახსოვრობის კატეგორიიდან.

მოცემულ სავარჯიშოში წარმოდგენილია ორი მწკრივი. მოსწავლემ მეორეს უნდა დაუკავშიროს პირველ მწკრივში მასთან ყველაზე ახლო კავშირის მქონე ინფორმაცია. შემდეგი რჩევები დაგეხმარებათ დაწყვილების დავალების ნიმუშების კარგად შედგენაში:

- ერთ დავალებაში 10-12 დასაწყვილებელი პუნქტი შეიტანეთ;
- უფრო მეტი პუნქტი არა *შეკითხვების*, არამედ *პასუხების* მწკრივში უნდა იყოს; იმ შემთხვევაში თუ მათი რაოდენობა თანაბარია, მოსწავლეს გაუადვილდება სწორი პასუხის არჩევა დავალების დასასრულისკენ, გამორიცხვის მეთოდის გამოყენებით;
- თითოეულ მწკრივში პუნქტები ერთგვაროვანი ზოგადი კატეგორიით უნდა იქნას წარმოდგენილი. მაგ. მოვლენები და თარიღები არ უნდა ავურიოთ მოვლენებსა და ისტორიულ გმირებს შორის;
- ინსტრუქციამ ნათლად უნდა განმარტოს დაწყვილების საფუძველი. ასევე უნდა განმარტავდეს შესაძლებელია, თუ არა პასუხების ერთზე მეტად გამოყენება.

დაწყვილების მთავარი უპირატესობებია:

- მისი კომპეტენცია საშუალებას გვაძლევს დროის მოკლე მონაკვეთში შევამოწმოთ საკმარისი რაოდენობის ინფორმაცია;
- განსაკუთრებით ეფექტურია დეფინიციების, მოვლენების, პიროვნებების და ა.შ. შესახებ ცოდნის შემოწმებისთვის;
- მარტივი შესაფასებელია.

დაწყვილების ძირითადი ნაკლოვანებებია:

- ვერ ამოწმებს ცნებების გააზრებას ან ცოდნის ორგანიზებასა და გამოყენებას;
- რთულია მინიშნებების გამორიცხვა, რაც ტესტის ვალიდურობაზე აისახება;
- ფორმატი მოითხოვს ერთი სიტყვის ან მოკლე ფრაზების გამოყენებას.

ღია შეკითხვები

ღია შეკითხვები პრობლემაზე ან დასმულ შეკითხვაზე მოსწავლისაგან განსაზღვრულ, ვრცელ წერილობით პასუხებს მოითხოვს. აღნიშნული დავალება წერის უნარებსა და პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალურ გზებს აფასებს. გარდა ამისა ამოწმებს, რამდენად შეუძლია მოსწავლეს იდეების შერჩევა და ორგანიზება. მოსწავლემ მეხსიერების ან წარმოსახვის უნარების გამოყენებით უნდა ჩამოაყალიბოს პასუხი. შესაბამისად, აღნიშნული ტიპის ტესტები აზროვნების უფრო მაღალ საფეხურებს ამოწმებენ, ვიდრე სხვა ტიპის ობიექტური ტესტები. ღია შეკითხვები ფართოდ გამოიყენება, განსაკუთრებით საშუალო სკოლის მასწავლებლების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის შეკითხვების სუბიექტურ ბუნებას ხშირად აკრიტიკებენ. ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც ღია შეკითხვების შედგენაში დაგეხმარებათ.

- შეკითხვა მაქსიმალურად ნათლად და გარკვევით ჩამოაყალიბეთ. მოკლედ განსაზღვრეთ სასურველი პასუხის მიმართულება და შეზღუდვები. მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლემ ერთნაირად გაიაზროს შეკითხვა;
- ჩასვით რამდენიმე შეკითხვა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება პარაგრაფს, და მოითხოვს მოკლე პასუხებს, ვიდრე ცოტა შეკითხვა, რომელიც ვრცელ პასუხებს მოითხოვს. აღნიშნული საშუალებას მოგცემთ, უკეთ შეარჩიოთ საგნობრივი ცოდნა და მიიღოთ ზუსტი პასუხი;
- გადაწყვიტეთ, გაითვალისწინებთ თუ არა გრამატიკასა და წინადადების სტრუქტურას პასუხების შეფასებაში. შესაძლოა ორი ნიშნის დაწერა გსურთ: პასუხის შინაარსში და მეორე, ნაკლებად მნიშვნელოვანი, წერის სტილში. აუცილებლად წარუდგინეთ მოსწავლეებს ტესტის გასწორებისა და ქულების დაწერის სისტემა ტესტის დაწყებამდე, მოიტოვეთ დრო შეკითხვებზე პასუხისათვის.
- აუხსენით მოსწავლეებს, როგორ განსაზღვრონ დავალებაზე მუშაობის დრო. მოინიშნეთ მიახლოებითი დრო თითოეული შეკითხვისთვის. ეს დაგეხმარებათ დროის უკეთ განაწილებაში.
- შეკითხვები გაკვეთილის დაგეგმვისას შეადგინეთ და არა პარაგრაფის შეჯამებისას. ეს დაგეხმარებათ შეკითხვების შედგენის დროს ყურადღება გაკვეთილის ამოცანებზე გაამახვილოთ.
- ზოგადად, არ მისცეთ მოსწავლეებს უფლება, აირჩიონ შეკითხვები, გარდა იმ შემთხვევისა როცა არსებობს თითოეული მოსწავლისთვის განსხვავებული ამოცანები. თუ გსურთ ქულების შედარების საფუძველი გქონდეთ, მოსწავლეებს ერთი და იგივე ტესტი დააწერინეთ.
- ზოგადად, არ დასვათ ისეთი შეკითხვა, რომელიც მხოლოდ მოსწავლის აზრის ან შეხედულების გამოხატვას მოითხოვს, მიეცით საშუალება მოსწავლეს გამოავლინოს შესაბამისი ცოდნაც.

- კოლეგას წააკითხეთ ტესტის ნიმუშები და კრიტიკულად შეაფასებინეთ ორაზროვნებისა და შესაძლო არასწორი ინტერპრეტაციების კუთხით.

ღია შეკითხვებს, როგორც შეფასების ინსტუმენტს შემდეგი ძლიერი მხარეები აქვს:

- ზომავს მეტს, ვიდრე მხოლოდ ინფორმაციის დამახსოვრებაა;
- მოსწავლეებს ასწავლის როგორ გამოხატონ და დაალაგონ საკუთარი იდეები ეფექტურად;
- მოსწავლეები უკეთ ემზადებიან ასეთი ტიპის დავალებებისთვის;
- მასწავლებლებს საშუალებას აძლევს კომენტარი უშუალოდ მოსწავლის ინდივიდუალურ აზროვნების პროცესზე გააკეთოს;
- მასწავლებელს მხოლოდ რამდენიმე შეკითხვის დაწერა უხდება;
- შეთხვევითი გამოცნობა პრაქტიკულად გამორიცხულია;

ღია შეკითხვების ნაკლოვანებები:

- შეკითხვები სხვადასხვა მასწავლებლის ან ერთი მასწავლებლის მიერ სხვადასხვა დროს შეიძლება განსხვავებულად შეფასდეს;
- ნაწერების გასწორება შრომატევადია;
- მხოლოდ ცოდნის მცირე არეალის მომცველ რამდენიმე შეკითხვას შეიძლება უპასუხოს მოსწავლემ მოცემული დროის მონაკვეთში.
- მოსწავლეებმა, რომლებიც ნელა წერენ, შესაძლოა ვერ დაასრულონ დავალება, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ადეკვატური ცოდნა გააჩნდეთ.

წყარო: დამწყები მასწავლებლის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, მაკდონალდი და ჰილი. 1999

იდეები შეფასებისთვის #4:
პორტფოლიოს შეფასება

პორტფოლიო, როგორც შეფასების ხელსაწყო, სულ უფრო ხშირად გამოიყენება მასწავლებლების მიერ. გრონულდის (2003 გვ. 157) მიხედვით, პორტფოლიო არის „მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებების ორგანიზება, ისე, რომ წარმოაჩინოს მოსწავლის პროგრესი“ (განვითარების პორტფოლიო) ან მოსწავლის საუკეთესო შრომები (საჩვენებელი პორტფოლიო). პორტფოლიოს ადგენს მოსწავლე, მასწავლებლის ხელმძღვანელობით. მისი მიზანია, აჩვენოს სწავლის შედეგები გარკვეულ საგანში გარკვეულ დროის მონაკვეთში. პორტფოლიო უნდა შეიცავდეს ყველა ხერხსა და გზას, რომლითაც საკუთარი ცოდნის დემონსტრირება სურთ მოსწავლეებს. ასევე პორტფოლიო

უნდა მოიცავდეს შეფასების იმ ხელსაწყოებს, რომლებიც მასწავლებელს მნიშვნელოვნად და შესაბამისად მიაჩნია. მაგალითად, შესაძლოა მოსწავლეებს სურდეთ წერითი ნიმუშების, კომპიუტერული ანგარიშებისა და დღიურების ჩვენება ინგლისური ენის გრამატიკაში მიღწეული შედეგების საჩვენებლად. მასწავლებელს შესაძლოა უნდოდეს მის მიერ შედგენილი ინგლისური ენის გრამატიკის ტესტების შედეგებისა და სტანდარტიზებული ტესტების ნიმუშების ჩვენება. ამ შემთხვევაში, პორტფოლიო უნდა მოიცავდეს მოსწავლის თვითშეფასების, წყვილებში შეფასების და მასწავლებლის შეფასების შესახებ მონაცემებს.

მოსწავლის შეფასება პორტფოლიოს შინაარსის შემოწმების შემდეგ ხდება. მოსწავლეებმა დოკუმენტის სახით უნდა წარმოადგინონ მასწავლებლის მიერ დასახული სასწავლო გეგმის თითოეული მიზანი ან/და სასწავლო ამოცანა. ამ თავში პორტფოლიო მხარდაჭერილია, როგორც მოსწავლეთა სწავლის შეფასების იდეალური გზა. ვინაიდან პორტფოლიო ხელს უწყობს ჰოლისტურ შეფასებას, რაც თავის მხრივ გვაწვდის ამომწურავ და მრავალფეროვან ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების შესახებ. პორტფოლიოს გამოყენების დროს მცირდება შეფასების ერთი რომელიმე ფორმის გამოყენების სიხშირე მეორესთან შედარებით ან ხდება შეფასების სხვა ფორმების მთლიანად უგულებელყოფა. პორტფოლიოს კიდევ ბევრი ღირსება გააჩნია, მათ შორის სწავლის შესახებ მოსწავლის რეფლექსიის გაძლიერება და სასწავლო ამოცანების შესრულება, მოსწავლის ჩართვა სწავლებისა და შეფასების პროცესში და გაზრდილი კოლაბორაცია მოსწავლესა და მასწავლებელს შორის სწავლა-სწავლების პროცესში.

უნდა იცოდეთ, რომ პორტფოლიოს შეფასება გაცილებით დიდ დროს მოითხოვს ვიდრე შეფასების ტრადიციული ინსტრუმენტები და გაცილებით რთულია მისი სტანდარტიზება. პორტფოლიო შეიძლება ფოკუსირებული იყოს კონკრეტულ საგნებზე ან აქტივობებზე, რომლებიც რამდენიმე სფეროს აერთიანებს. რამდენიმე მაგალითი:

- თვითშეფასება პორტფოლიოს „ყველაფერი ჩემ შესახებ“ საშუალებით. მოსწავლეები ასეთი სახის პორტფოლიოში ირჩევენ ისეთ თემებს, რომლებიც ეხმარებით საკუთარი თავის გამოხატვაში, მაგალითად რა მოსწონთ რა არ მოსწონთ, ჰობი, პიროვნება და ოჯახი.
- მართლწერის პორტფოლიო მოიცავს ისეთ დავალებებს როგორიცაა ესე, კრიტიკა, ნოველა, საუკეთესო ნაწერები, ა.შ.
- შემოქმედებითი პორტფოლიო: ხელოვნება, მუსიკა, და ფოტოგრაფია.
- მათემატიკის პორტფოლიო: დიაგრამები, ამოცანების გადაჭრის საფეხურები, მათემატიკური მსჯელობის წერილობითი ნიმუშები, ღია კითხვებსა და პრობლემებზე პასუხი.
- პროექტები, როგორიცაა მეცნიერების და სოციალური მეცნიერებების კვლევები.
- ვიდეოჩანაწერები და წერილობითი ანალიზი ფიზიკური უნარების განვითარებისათვის, როგორიცაა სტადიონი, ცურვა და ცეკვა.

ინსტრუქციები პორტფოლიოს შეფასებისთვის

შემდეგი შეთავაზებები რეკომენდებულია პორტფოლიოს შექმნის, მხარდაჭერის, განვითარებისა და შეფასებისთვის.

- სწავლის პირველ დღეს მოსწავლეებს გააცანით პორტფოლიოს შეფასების მექანიზმი. დეტალურად აუხსენით პორტფოლიოს მიზნები და გამოყენების ინსტრუქცია. შეეცადეთ აჩვენოთ მოსწავლეებს პორტფოლიოს ნიმუში (ამის გაკეთება სწავლების პირველი წლის შემდეგ უფრო გაგიმარტივდებათ). გადახედეთ პორტფოლიოს ყველა ასპექტს (იხ. ქვემოთ).
- შეადგინეთ პორტფოლიო შინაარსის, შესავლის, საგანთან ან საკითხთან დაკავშირებული სასწავლო შედეგების, რეგიონის სტანდარტების შესახებ მიმოხილვის გათვალისწინებით და წარმოადგინეთ მოკლე რეფლექსია თითოეულ არტეფაქტზე იმის მიხედვით, თუ რატომ შეირჩა სწორედ ეს არტეფაქტი და როგორ წარმოაჩენს ის სასწავლო პროცესს.
- განიხილეთ მხოლოდ ისეთი არტეფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც კონკრეტულად რომელიმე სასწავლო ამოცანას და შედეგს უკავშირდება. ვინაიდან შეუძლებელია ყველა რიგითი მტკიცებულება შევიტანოთ პორტფოლიოში. ასეთ შემთხვევაში პორტფოლიო ვეებერთელა გამოვა. არტეფაქტების შერჩევა დამოკიდებულია როგორც მოსწავლეზე, ისე მასწავლებელზე. თითოეული ჩანაწერისთვის (მაგალითად, დამოუკიდებელი სამუშაო, ტესტის შედეგები, ნახატები, პროექტები და მულტიმედია) მოსწავლემ უნდა ახსნას, თუ რატომ შეირჩა კონკრეტული ჩანაწერი და რას ასახავს ის.
- შეარჩიეთ კონკრეტული მოსწავლეები, რომლებიც პორტფოლიოს განვითარებაზე იზრუნებენ. ხშირად შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ საბოლოო შეფასება მხოლოდ პორტფოლიოს შეფასებაზე იქნება დამოკიდებული (იხილეთ შეფასების კრიტერიუმი მოგვიანებით). ცხადია, რომ დაწყებით კლასებში, მასწავლებელმა ყოველ შესაძლო შემთხვევაში, მოსწავლესთან ერთად უნდა შეაფასოს პორტფოლიო.
- გააცანით პორტფოლიო თითოეულ მოსწავლეს სულ მცირე თვეში ერთხელ. თქვენ პორტფოლიოს განვითარების პროცესზე ხართ პასუხისმგებელი. დღის გეგმის რაღაც ნაწილი უნდა მიეძღვნას პორტფოლიოს შემოწმებას.
- პორტფოლიო ითვალისწინებს მშობლების ჩართულობას, სადაც კი შესაძლებელი და საჭიროა. მასწავლებლისა და მშობლის აუდიენციის დროს პორტფოლიოს განხილვა აუცილებელია;
- შეაფასეთ თითოეული პორტფოლიო. პორტფოლიოს მომზადება და შეფასება მოსწავლისა და მასწავლებლის საერთო პასუხისმგებლობა უნდა იყოს.

მასწავლებლებმა, ყველა შესაძლო შემთხვევაში, უნდა ჩართონ მოსწავლეები შეფასების პროცესში.

პორტფოლიოს შეფასება უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ფაქტორებს:

1. სტანდარტები დროულად უნდა დადგინდეს;
2. სტანდარტები ცხადი და სპეციფიკური უნდა იყოს;
3. კრიტერიუმი სასწავლო მიზნებს უნდა უკავშირდებოდეს;
4. გადაწყვიტეთ, ნიშანი პორტფოლიოს შესრულების მიხედვით დაიწერება, რაც სტანდარტის საწინააღმდეგოა, თუ დროთა განმავლობაში მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით, ან იქნებ ორივე ერთად;
5. პორტფოლიოში ჩაწერის ნაცვლად შესწორებების სია გამოიყენეთ;
6. შექმენით რუბრიკა პორტფოლიოს შეფასებისთვის.

შეფასების რუბრიკის საშუალებით ნიშნების დაწერის დიდი მომხრე ვარ. ფორმა 7.3 წარმოადგენს მარტივ რუბრიკას პორტფოლიოს შეფასებისთვის.

შეგიძლიათ დათვალოთ რუბრიკის შეფასების შედეგები. სულ 6 პუნქტია, თითოეულს 5 ქულა მიენიჭება. მაშასადამე, 30 ქულა არის უმაღლესი. გარდა იმისა, რომ შესაბამის ქულას მიანიჭებთ კონკრეტულ საგნებს, რომლებიც პორტფოლიოშია გამოყოფილი (მაგ. მათემატიკა, მეცნიერება, კითხვა), თქვენ ასევე შეგიძლიათ, შეაფასოთ თავად პორტფოლიო, როგორც შემდეგ ნიმუშშია ნაჩვენები:

ფორმა 7.3 პორტფოლიოს რუბრიკა

გზამკვლევი შემფასებლებისთვის: აღნიშნეთ X სკალაზე ის ციფრი, რომელიც ასახავს თქვენს შეფასებას პორტფოლიოსთვის. გამოიყენეთ კომენტარების გრაფა უკუკავშირისთვის.	
1. პორტფოლიოს გაცნობა	
1 2 3 4 5	
პორტფოლიოს დაგეგმვისა და მიზნის შესახებ მცირე ინფორმაცია.	მნიშვნელოვანი ინფორმაცია პორტფოლიოს დაგეგმვისა და მიზნის შესახებ.
კომენტარები:	
2. წარმოდგენილი მტკიცებულება	
1 2 3 4 5	
წარმოდგენილია მცირე, არასაკმარისი რაოდენობის მტკიცებულება.	წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან.
კომენტარები:	

3. დოკუმენტაცია/არტეფაქტების შერჩევა	
1 2 3	4 5
შეზღუდული რაოდენობის არტეფაქტები, რომლებიც არ წარმოადგენს დავალების შესრულების სტანდარტის ან კატეგორიების აშკარა მტკიცებულებას.	მრავალფეროვანი არტეფაქტები, რომლებიც დავალების შესრულების, სტანდარტების ან კატეგორიების აშკარა მტკიცებულებას წარმოადგენს.
კომენტარები:	
4. რეფლექსიური მასალები/ განმარტებები	
1 2 3	4 5
ბუნდოვანი ნარატივები; გამჭრიახობის, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიების ნაკლებობა; ვალდებულების მცირე გამოხატულება.	ნათელი ნარატივები, სადაც გამოვლენილია გამჭრიახობა, კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრის გზები და ვალდებულება ზრდისა და სწავლისთვის.
კომენტარები:	
5. წერის ტექნიკა	
1 2 3	4 5
ცუდად დაწერილი ნარატივები, გრამატიკული, მართლწერის და პუნქტუაციის შეცდომებით.	ნათლად დაწერილი ნარატივები სრულყოფილი და სწორი გრამატიკით, მართლწერით და პუნქტუაციით.
კომენტარები:	
1 2 3	4 5
6. პორტფოლიოს ორგანიზება და დიზაინი	
1 2 3	4 5
არაპროფესიონალური დიზაინი. ცუდი ორგანიზება.	აკურატული, პროფესიონალური დიზაინი. ლოგიკური ორგანიზება.
კომენტარები:	

პორტფოლიოს ჯამური ქულა:

25-30 = ბრწყინვალე = A

20-25= კარგი = B

15-20 = დამაკმაყოფილებელი = C

10-15 = საჭიროებს გადახედვას = D

<10 = არადამაკმაყოფილებელი = F

ქულა ---

რუბრიკა ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მოსწავლის პროგრესის შეფასებისთვის. საუკეთესო ვებგვერდი რუბრიკებისთვის: http://www.rubrics4teachers.com/.

ნიშნის დაწერა

შეფასების პროცესის შემაჯამებელი ასპექტია ნიშნის დაწერა. მოსწავლის მიღწევების შესახებ უკვე გაქვთ სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემები. თქვენ გამოიყენეთ პორტფოლიო მოსწავლის პროგრესის დოკუმენტირებისთვის. შეგიძლიათ გამოიყენოთ ტრადიციული საკლასო ჟურნალი ნიშნების ჩაწერისთვის ან ნიშნების ელექტრონული ჟურნალი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო პოპულარული ხდება. სკოლას ან რაიონს შეუძლია გადაწყვიტოს ნიშნებისთვის როგორი ტიპის ჟურნალს აირჩევს. თუ ეს მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, გირჩევთ რომელიმეს ამ ორი წყაროდან: http://www.classmategrading.com/ ან http://www.teacherease.com/home.aspx.

უფრო არსებითია შეკითხვა: „როგორ განვსაზღვროთ მოსწავლის ნიშანი?“. ფორმა 7.2-ში უკვე განვმარტე, რომ უნდა ჩამოწეროთ შეფასების ყველა მეთოდი, განსაზღვროთ წარმატების სტანდარტი, გაზომოთ შეფასების თითოეული მეთოდი და შემდეგ დაწეროთ ნიშანი. ასევე, როგორც მანამდე აღვნიშნე, მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ ქულების განსაზღვრის კრიტერიუმის შესახებ.

ზოგიერთი ძალიან კარგი და ზოგადი რჩევა შეგიძლიათ იხილოთ ბარბარა გროს დევისის წიგნში „სწავლების ხელსაწყოები“ (იხ. http://teaching.berkeley.edu/bgd/ grading.html). ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე რეკომენდაცია (პერიფრაზები დევისის წიგნიდან):

- მოსწავლეს ნიშანი დაუწერეთ ნასწავლ მასალაში. იმ შემთხვევაში, თუ ნიშნის დაწერის დროს გაითვალისწინებთ დაგვიანებას, გაცდენას ან ცუდ ყოფაქცევას, ეს მოსწავლის ცოდნის შეფასება იქნება? გაცდენას და ცუდ ყოფაქცევას სხვაგვარად ებრძოლეთ; თქვენ მიერ დაწერილი ნიშნები მხოლოდ და მხოლოდ მოსწავლის ცოდნას უნდა ასახავდეს იმ საგანში, რომელსაც ასწავლით.
- შეაფასეთ კრიტერიუმზე ორიენტირებული და არა ნორმაზე ორიენტირებული გზით. ნორმაზე ორიენტირებული გზა მოსწავლეებს ერთმანეთს ადარებს, რაც ხელს უწყობს შეჯიბრებითობას. ამის საწინააღმდეგოდ, შექმენით კრიტერიუმი სხვადასხვა დონეზე მიღწევებისთვის (მაგ. A, A-, B, B- B+ და ა.შ.) და დაწერეთ ნიშანი იმის მიხედვით, რა დონეზე დააკმაყოფილებს იგი მოცემულ კრიტერიუმს.
- ნიშნების დაწერამ შესაძლოა მოსწავლეებში შფოთი გაზარდოს. ნიშნები, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. გაიხსენეთ თქვენი მოსწავლეობის პერიოდი და ის, თუ როგორ მოუთმენლად და შეშფოთებული ელოდებოდით ნიშნებს. რა შეგიძლიათ გააკეთოთ მოსწავლეებში შფოთის შესამცირებლად? გთავაზობთ რამდენიმე მარტივ გზას: ა)ხანგრძლივად არ ისაუბროთ ნიშნების შესახებ; ბ) დაფაზე არ დაწეროთ „საუკეთესო ნიშნები“; გ) მადლობა გადაუხადეთ ყველა მოსწავლეს

მცდელობისათვის; დ) ისაუბრეთ სწავლის შესახებ სწავლის გულისთვის. კიდევ რა იდეები გაქვთ?

- გამოიყენეთ განმავითარებელი და არა მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასება. უზრუნველყავით მოსწავლეები უწყვეტი, მუდმივი, მნიშვნელოვანი უკუკავშირით ყოველდღე. კვლევა აჩვენებს, რომ განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის მიღწევების ზრდას.

დასკვნა

სწავლება 101 არ იქნება სრულყოფილი წიგნი თუ ყურადღებას არ გავამახვილებთ სწავლებასა და შეფასებას შორის მნიშვნელოვან ურთიერთკავშირზე. ერთხელ ვიღაცამ მირჩია: „ყოველთვის გახსოვდეს დასასრული“. ეს კარგი რჩევაა ზოგადად და მნიშვნელოვანია სწავლებისას, რადგან დასასრული უკავშირდება შეფასებას. როგორ გავხდებით წარმატებული მასწავლებელი, თუ არ გავითვალისწინებთ მოსწავლის შეფასებას და იმას, როგორ გვსურს შეფასდეს მოსწავლე? ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა მიიღონ საჭირო ცოდნა, გამოიმუშავონ უნარები, და თვისებები, რომლებიც დაეხმარებათ მათ სკოლასა და ცხოვრებაში. ჰოლისტური შეფასება, როგორც ამ თავშია მხარდაჭერილი, არის ყველაზე სამართლიანი გზა, რომელიც კი ვიცი, ამ პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრისთვის.

კითხვები / აქტივობები

1. ჩაატარეთ ინტერვიუ გამოცდილ მასწავლებელთან და ჰკითხეთ, როგორ წერს ნიშნებს.
2. როგორ გამოიყენებთ ან იყენებთ პორტფოლიოს შეფასებას კლასში?
3. ამ თავში წარმოდგენილი შეფასების შესახებ რომელი იდეები იყო თქვენთვის უცნობი და რომელი იყო ყველაზე სასარგებლო?
4. შექმენით მოკლე ტესტი მოკლე პასუხებით, რომელიც ამ თავში მოყვანილ კრიტერიუმზე იქნება დაფუძნებული.
5. განავითარეთ პორტფოლიოს შეფასების სისტემა, ნიშნის დაწერის კრიტერიუმთან ერთად, და გაუზიარეთ სკოლის დირექციას.
6. გაეცანით powerpoint-ის პროგრამით შესრულებულ პრეზენტაციებს სახელწოდებით: “სწავლის შეფასება და შეფასება სწავლისთვის“, „ეფექტური უკუკავშირი“, „საკლასო ტესტების შექმნა“, იხილეთ ასევე ვებ-გვერდი: www.yu.edu/faculty/glanz. გახსენით powerpoint-ის პროგრამა და წაიკითხეთ ბოლო სამი სლაიდი. ყველა მათგანი შეფასებას უკავშირდება. გააკეთეთ შეფასების

შესახებ ახალი იდეების სია. დარწმუნებული ვარ აღნიშნული პრეზენტაცია თქვენთვის ინფორმაციული აღმოჩნდება.

7. შეაგროვეთ თქვენი და კოლეგების მიერ დაწერილი ან სხვა კოლეჯში გამოყენებული ზოგიერთი ტესტი. ამ თავში მოყვანილი კრიტერიუმის მიხედვით, გააკრიტიკეთ ისინი. რას შეცვლიდით?

აქტივობა #8

1. განსაზღვრეთ სასწავლო გეგმა. წაიკითხეთ ეს თავი და შემდეგ გადაწყვიტეთ, როგორ შეცვლით თქვენს განსაზღვრებას:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

2. ეწვიეთ სკოლას. შემდეგ აღწერეთ სკოლის სასწავლო გეგმა, სახელმძღვანელოების, სპეციალური პროგრამების, მსოფლმხედველობისა და ა.შ. ჩათვლით.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

თავი 8

როგორ ვიმუშაო კომბინირებულად სახელმწიფო და რეგიონალური სასწავლო გეგმის სტანდარტების მიხედვით?

სასწავლო გეგმის შექმნა დინამიური, ინტერაქტიული და კომპლექსური პროცესია. პროცესი, რომელიც კარგი სწავლების საფუძველია.

- ჯეფრი გლანცი

სკოლის სასწავლო გეგმა მიმართულია მოსწავლესთან დაკავშირებულ მოლოდინებზე და აისახება სკოლის ამოცანებში, პროგრამებსა და კურსის შეთავაზებებში. სკოლის სასწავლო გეგმაში სახელმწიფო და რეგიონული სასწავლო გეგმის სტანდარტიდან გადმოტანილია გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებული დებულებები იმის შესახებ, თუ რას ისწავლიან მოსწავლეები სკოლაში.

- შარლოტა დენიელსონი

კითხვები:

1. რა გახსენდებათ, როდესაც ფიქრობთ სიტყვაზე *სტანდარტები?*
2. ბოლოს როდის გამოიყენეთ სიტყვები ***კომპეტენცია*** და ***შედეგი*** თქვენი სასწავლო გეგმის ფარგლებში?
3. როგორ წარმოგიდგენიათ, ასწავლოთ სტანდარტის მიხედვით და, ამავდროულად, გახადოთ სწავლა რელევანტური და სასიამოვნო?

4. როგორ იყენებთ, თუ საერთოდ იყენებთ, სახელმწიფო ან რეგიონალურ სასწავლო სტანდარტებს? გეხმარებათ თუ არა ამ პროცესში მასწავლებლის პროფესიული განვითარება?
5. რისი ცოდნა გსურთ ან გჭირდებათ იმისათვის, რომ თქვენს კლასში სასწავლო სტანდარტები განახორციელოთ?

საჯარო სკოლების მიმართ უკმაყოფილება კვლავ გრძელდება, რადგან ისინი დიდ ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფო და რეგიონალურ სტანდარტებზე (ოდეი, 2002). დებატები (იხილეთ სმიტი, ფურმანი, & ოდეი, 1994) სტანდარტების შესახებ, რამდენადაც ეს მასწავლებლებსაც ეხებათ, საკამათოა. როგორც მასწავლებელი, უმეტეს შემთხვევებში, არ იმყოფებით იმ პოზიციაზე, რომ განსაზღვროთ რომელიმე კონკრეტული სტანდარტის ქმედითობა ან შესაბამისობა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ, როგორც მასწავლებელი, ამ საკითხს არ უნდა განიხილავდეთ. ფაქტობრივად, მასწავლებელთა გაერთიანებები გადამწყვეტ როლს ასრულებენ სტანდარტების დამტკიცების პოლიტიკაში. უფრო მეტიც, მასწავლებლებს, რომლებიც სკოლის სასწავლო გეგმის ჩამოყალიბების ჯგუფში მუშაობენ, შეუძლიათ სტანდარტების ჩამოყალიბებისა და მისი წარმოდგენის საშუალებებზე ზეგავლენა მოახდინონ. ფაქტია ისიც, რომ დამწყებ მასწავლებელს ეკისრება პასუხისმგებლობა მიყვეს და შეასრულოს ეროვნული, სახელმწიფო ან რეგიონალური სტანდარტის მოთხოვნები. სხვადასხვა სტანდარტის გათვალისწინება თქვენი პროფესიული სამუშაოს ნაწილია, მიუხედავად იმისა, რომ უმეტესწილად მათ გათვალისწინებას გარშე პირები გაიძულებთ.

> სხვადასხვა სტანდარტის გათვალისწინება თქვენი პროფესიული საქმიანობის ნაწილია, თუნდაც იმიტომ, რომ უმეტესწილად მის გათვალისწინებას გარე ფაქტორები გაიძულებთ.

როგორც მასწავლებელი, თქვენ უნდა გაეცნოთ იმ სტანდარტებს, რომელთა განხორციელებასაც თქვენგან მოელიან. მასწავლებლის როლიდან გამომდინარე, ვიმსჯელებ ადგილობრივი რეგიონის სტანდარტის შესახებ, თუმცა ეს მსჯელობა შეიძლება გავრცელდეს როგორც ეროვნულ, ასევე სახელმწიფო სტანდარტებზეც. სავარაუდოდ, თქვენმა რეგიონმა, რეგიონის რწმუნებულის, ან მისი თანაშემწის საშუალებით განიხილა იმ სასწავლო გეგმის სტანდარტი, რომელიც უნდა შეასრულოთ. საბედნიეროდ, უზრუნველყოფილია სიღრმისეული პროფესიული განვითარება, რომელიც მოგაწვდით ინფორმაციას სტანდარტების შესახებ და გაგაცნობთ მოლოდინებს, როგორ უნდა განახორციელოთ აღნიშნული სტანდარტები. შესაძლოა უკვე იცოდეთ თქვენი კლასის შესაბამისი სხვადასხვა *ორიენტირის* შესახებ. ორიენტირი სტანდარტის, მეტად სპეციფიკური კომპონენტია, რომელიც კარგად არის ასახული შემდეგ მაგალითში:

ინგლისური ენის სტანდარტი: დასავლური და არადასავლური მხატვრული ლიტერატურის ანალიზი.

ორიენტირი, კლასი 9-12: უილიამ შექსპირისა და ედგარ ალან პოს წერის სტილისა და სიუჟეტის განვითარების შედარება/ შეპირისპირება, ჰომეროსსა და ჯონ მილტონთან.

წარმოდგენილი მაგალითის მიხედვით, შეიძლება შექმნათ მთელი თავი დასავლური და არადასავლური მწერლობის შესახებ, მაგრამ მოგეთხოვებათ აჩვენოთ, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ ზემოთ მოყვანილი ლიტერატურული ნაწარმოებების შედარება სხვადასხვა ორიენტირის საშუალებით. გაკვეთილზე უნდა ჩანდეს, რომ თქვენ დახმარებას უწევთ მოსწავლეებს გაკვეთილის მიზნების მიღწევაში.

რეფლექსია

სახელმწიფო, ადგილობრივი, ან რეგიონალური სტანდარტები ხანდახან ეფუძნება ეროვნულ სტანდარტს. მოცემული რეფლექსიური აქტივობისათვის უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩამოტვირთოთ ეროვნული სტანდარტის ფაილი ქვემოთ მითითებული რომელიმე საიტიდან იმისათვის, რომ უპასუხოთ შემდეგ ორ შეკითხვას: 1) როგორ ჰგავს ეს სტანდარტი თქვენი სკოლის, ან რეგიონის მიერ შექმნილ სტანდარტებს? 2) რამდენად აკმაყოფილებთ ან არ აკმაყოფილებთ აღნიშნულ ეროვნულ სტანდარტებს?

ინგლისური ენა : http://www.ncte.org/standards/

მათემატიკა: http://nctm.org/standards/

მეცნიერება: http://www.nsta.org/publications/nses.aspx

სოციალური მეცნიერებები/ისტორია: http://www.socialstudies.org/standards/

ამ თავში შემოგთავაზებთ სასწავლო გეგმის შექმნის შესახებ მოკლე მიმოხილვას. სტანდარტების განხორციელებას აზრი აქვს მხოლოდ დასაბუთებული და მყარი სასწავლო პროგრამის არსებობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, უნდა გქონდეთ გარკვეული ცოდნა სასწავლო გეგმის შესახებ. როგორც მასწავლებელმა, უნდა შეიმუშაოთ სასწავლო და გაკვეთილის გეგმები, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს საგნობრივ ცოდნას, მოსწავლეთა საჭიროებებს, თემისა და სასწავლო გეგმის მიზნებს (როგორც ადგილობრივი, ასევე სახელმწიფო სტანდარტების გათვალისწინებით). ქვემოთ წარმოგიდგენთ საკუთარი სასწავლო გეგმის შემუშავებისათვის აუცილებელ რვა საფეხურს. ამ თავის დასასრულს ასევე წაიკითხავთ რჩევებს მრავალრიცხოვან ადგილობრივ და სახელმწიფო სტანდარტებზე დაფუძნებული

> სასწავლო გეგმა ეფუძნება ცოდნას: მოსწავლეთა საგნობრივი შინაარსის საჭიროებებს, თემას, სასწავლო გეგმის მიზნებს.

რეფორმების განსახორციელებლად. ამავდროულად, გასწავლით, როგორ შექმნათ შემოქმედებითი, ინტერდისციპლინარული გაკვეთილები.

იდეები სტანდარტის შესახებ#1:
რას ნიშნავს სასწავლო გეგმის შექმნა?

სტანდარტების შესახებ მსჯელობა სასწავლო გეგმის შექმნის ანალიზისგან განყენებულად, თუნდაც მოკლედ, არაფრის მომცემია. სასწავლო გეგმის შექმნა დინამიური, ინტერაქტიული და კომპლექსური პროცესია, რომელიც კარგი სწავლების საწინდარია. მასწავლებლები, როგორც სწავლების პროცესის სრულუფლებიანი წინამძღოლები, აქტიურად უნდა იმუშაონ სასწავლო გეგმის შექმნაზე. ასეთი ჩართულობა დღეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა დროს. ამის მიზეზი ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი სტანდარტების ყურადღების ცენტრში მოქცევაა. მასწავლებლები, როგორ უკვე ზემოთ ვახსენეთ, უნდა პასუხობდნენ განათლების სფეროში არსებულ სახელმწიფო სტანდარტებს. ამასთან უნდა იყვნენ პროფესიონალები, იმისათვის, რომ გაზარდონ მოსწავლეთა აკადემიური წარმატება.

რა არის სასწავლო გეგმა? ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, სამი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კითხვა უნდა დავსვათ. რა არის განათლება? რატომ ენიჭება მას ასეთი მნიშვნელობა? რა მიზნები აქვს განათლებას? სასწავლო გეგმას ვერ შევისწავლით ამ ძირითად კითხვებზე პასუხის გაუცემლად. დაუსვით კითხვა რამდენიმე ადამიანს: „რაში გვჭირდება, ვიყოთ განათლებული?“ შესაძლოა მიიღოთ ისეთი პასუხები, როგორიცაა: პრაქტიკული უნარების გამომუშავებისათვის, ინტელექტუალური თავლსაზრისით რეალიზაციისათვის, ფულის გამოსამუშავებლად, დემოკრატიის დაფასებისა და სხვათა კულტურის პატივისცემისათვის. განათლებული ადამიანი მოქმედებს შემდეგი ოთხი პრინციპის მიხედვით, საფუძველია განათლების ოთხი ძირითადი მიზნისა.

1. *თვითრეალიზაცია* - ამ ფართო კატეგორიაში ერთიანდება ისეთი ცნებები როგორიცაა ბრძოლა ინტელექტუალური ზრდისათვის, ესთეტიკური ინტერესების განხორციელება, პიროვნული განვითარება, ხასიათის ჩამოყალიბება, თვითშეფასების გაზრდა.
2. *ადამიანური ურთიერთობები - ეს* კატეგორია მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა მეგობრული ურთიერობების დამყარება, სხვების პატივისცემა, თანამშრომლობის ხელშეწყობა, ეთიკური და მორალური მსჯელობა, დემოკრატიის ხელშეწყობა.
3. *ეკონომიკური აქტიურობა* - აერთიანებს შემდეგ ცნებებს: სამუშაო, კარიერა, ფული და განათლებულ მომხმარებლად ქცევა.

4. *სამოქალაქო პასუხისმგებლობა* - ეს კატეგორია მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა სოციალური სამართლიანობის ძიება, სხვების მიმართ ტოლერანტობის მხარდაჭერა, მსოფლიოს მასშტაბით მშვიდობის ხელშეწყობა, წესრიგისა და კანონის პატივისცემა, მთავრობის წინაშე ვალდებულებების შესრულება.

განათლება მიჩნეულია, როგორც წინასწარ მოფიქრებული, სისტემური და უწყვეტი ძალისხმევა იმისათვის, რათა გადავცეთ ცოდნა, უნარები და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ღირებულებები. სასკოლო განათლება ზოგადი განათლების პატარა ნაწილია. ცხოვრებაც გვასწავლის. შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ჩაიაროთ ქუჩაში და შეხვდეთ მეგობარს, რომელიც „გასწავლით“ რაიმე კონკრეტული საკითხის შესახებ. ასევე გვასწავლიან მუზეუმები, ტელევიზია, ოჯახი, რელიგიური ინსტიტუციები, თეატრი, ბიბლიოთეკა, გამყიდვლები, ციხეც კი. თუმცა სკოლა განათლების საკითხში სასიცოცხლო როლს თამაშობს. მას სამი გამოკვეთილი მიზანი აქვს:

1. მოსწავლეთა დახმარება ცოდნის შეძენასა და უნარების განვითარების პროცესში;
2. საზოგადოებრივი იდეებისა და ღირებულებების გადაცემა;
3. მოსწავლეთა მომზადება შემოქმედებითი, ჰუმანური და სენსიტიური დამოკიდებულებებით ცხოვრებისათვის.

მიიჩნევა, რომ განათლებისა და სასკოლო სწავლების წარმოდგენილი სამი მიზანი ხელს უწყობს ჩვენი იდეების განხორციელებას. სხვა პედაგოგებმა შესაძლოა განათლებისა და სასკოლო სწავლების დასახასიათებლად განსხვავებული განსაზღვრება და ასპექტები გამოყონ. საქმე იმაშია რომ, ჩვენ როგორც მასწავლებლები როდესაც ვცდილობთ რომ სკოლებში არსებული ეს მრავალმხრივი მიზნები პროგრამაში ავსახოთ, რაც ინტელექტუალურ და საგანმანათლებლო საფუძველს იძლევა, ჩვენ სასწავლო გეგმის კომპეტენციაში ვიჭრებით. სასწავლო გეგმა შექმნილია სწავლებისთვის და იმ გადაწყვეტილებების შესაფასებლად, რომლებიც განსაზღვრავს იმას, რაც ისწავლება. მაშასადამე, სასწავლო გეგმის თეორეტიკოსებს საქმე აქვთ შემდეგ საკითხებთან და მიდგომებთან: ეპისტემოლოგიური („როგორი ტიპის ცოდნაა ყველაზე ღირებული?“), პოლიტიკური („ვინ ახორციელებს კონტროლს აღნიშნულ ცოდნაზე?“), ეკონომიკური („რამდენად უკავშირდება მიღებული ცოდნა წარმოებას, საქონელს და მომსახურებას?“), ტექნიკური („როგორ გავხადოთ ხელმისაწვდომი არსებული ცოდნა ყველა მოსწავლისათვის?“), და ეთიკური („არის თუ არა ეს ცოდნა მორალურად გამართლებული?“). როგორც მასწავლებელმა, თქვენ შესაძლოა აღნიშნულ თეორიულ მიდგომებს აკადემიური პერსპექტივიდან უპასუხოთ, მაგრამ როდესაც მუშაობთ ყოველდღიურ სასწავლო გეგმაზე, თქვენ და თქვენი კლასის დამრიგებლები უფრო მეტად დაინტერესებული იქნებით სასწავლო გეგმის ზოგადი და კონკრეტული მიზნები პრაქტიკულ გაკვეთილებად გარდაქმნათ.

განსაზღვრებები

უილიამ შუბერტი (1993) აღნიშნავს, რომ ტერმინ *სასწავლო გეგმას* წინააღმდეგობრივი განსაზღვრებები აქვს. მსჯელობა აღნიშნული წინააღმდეგობის, მისი ისტორიის და მნიშვნელობის შესახებ ამ თავის ერთ-ერთი მიზანია. საკმარისია ვთქვათ, რომ სასწავლო გეგმას აქვს ერთმანეთისაგან განსხვავებული განსაზღვრებები. გაგაცნობთ რამდენიმე მათგანს (იხილეთ ბიში & რაინჰარცი, 2000):

- ყველა დაგეგმილი თუ დაუგეგმავი სასწავლო გამოცდილება სკოლაში;
- ყველაფერი, რაც დაგეგმილი და განსაზღვრულია მასწავლებლების მიერ საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად;
- დაგეგმილი სასწავლო გამოცდილება და მიზანმიმართული სასწავლო შედეგები, სკოლაში სისტემატური რეკონსტრუქციის გზით მიღებული ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლეთა უწყვეტი და მიზანმიმართული ზრდა პიროვნული და სოციალური თვალსაზრისით.
- გეგმები წარმართავს სწავლა-სწავლების პროცესს.
- სამუშაო გეგმა, რომელიც მოიცავს როგორც შინაარსს, ასევე სწავლა-სწავლების სტრატეგიებს.
- დაწვრილებითი გეგმა, როგორ უნდა გაიზარდოს მოსწავლეთა წარმატებულობის ხარისხი. არა მხოლოდ უბრალოდ დაწერილი გეგმა, ან თხზულებაა, არამედ შინაარსი, სასწავლო გამოცდილებებისა და შედეგების მომცველი.

რას ნიშნავს თქვენთვის *სასწავლო გეგმა?* ბევრი პედაგოგისათვის სასწავლო გეგმას განმარტება არ სჭირდება. სამწუხაროდ, ხანდახან ის გზამკვლევთანაც იგივდება. ზოგან სასწავლო გეგმა დადგენილია რეგიონული, საქალაქო, ან სახელმწიფო სააგენტოების მიერ და მისი წარდგენა ხდება წინასწარ გაწერილი წესების მიხედვით. რამდენიმე წლის უკან, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მნიშვნელოვან ტესტირებებსა და სტანდარტებზე დაფუძნებულ განათლებას, სკოლის პედაგოგები გრძნობდნენ, რომ ვერ აკონტროლებდნენ, რა უნდა ესწავლებინათ მოსწავლეებისათვის. თქვენს დირექტორსა და დირექტორის მოადგილეს შეუძლიათ დაგარწმუნოთ, რომ სასწავლო გეგმაში არ შეიძლება შემოქმედობითობისა და ინოვაციური იდეების გათვალისწინება. შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ რომელიმე კონკრეტული სტანდარტით ან ორიენტირით, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავისუფალი ხართ მოსწავლეებთან მნიშვნელოვანი სასწავლო გამოცდილებების შექმნაში მათთვის წარმატების მიღწევის პროცესში დასახმარებლად.

შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ რომელიმე კონკრეტული სტანდარტით ან ორიენტირით, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავისუფალი ხართ მოსწავლეებთან მნიშვნელოვანი სასწავლო გამოცდილებების შექმნაში მათთვის წარმატების მიღწევის პროცესში დასახმარებლად.

მასწავლებლებისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოსადეგი მოდელი სასწავლო გეგმის განვითარებისათვის შექმნა რალფ ტაილერმა (1949). ეს მოდელი პრაქტიკულია იმ თვალსაზრისით, რომ მასწავლებლებმა უნდა შეასრულონ სასწავლო გეგმის მიზნები, შემდეგ შეიძლება გადატანილ იქნას საგაკვეთილო ამოცანებად. სასწავლო გეგმის შექმნის პროცესში მასწავლებლები გამოყოფენ სასწავლო აქტივობებს მოსწავლეებისათვის საინტერესო სასწავლო გამოცდილებების მიღების მიზნით.

ეს მოდელი ფართოდ ცნობილია, როგორც ტაილერის ძირითადი პრინციპი. აღნიშნულ მოდელში გამოყოფილია სასწავლო გეგმის შექმნის ოთხი საფეხური:

1. რა საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას უნდა ცდილობდეს სკოლა?
2. რომელ საგანმანათლებლო გამოცდილებებს შეუძლია შესაძლებელი გახადოს ამ მიზნების მიღწევა?
3. როგორ შეიძლება ამ საგანმანათლებლო გამოცდილებების ეფექტურად გადანაწილება?
4. როგორ შევძლებთ, განვსაზღვროთ, მიღწეულ იქნა თუ არა დასახული მიზნები?

ტაილერის მიხედვით, ზოგადი მიზნები გამოხატული უნდა იყოს ქცევით დებულებებსა და ამოცანებში, ასე მასწავლებლებს შეეძლებათ, შეაფასონ მოსწავლეთა სწავლა უფრო ფართო მასშტაბებით.

რეფლექსია

რამდენად დაგეხმარებათ ტაილერის ძირითადი პრინციპები სასწავლო გეგმის შექმნის პროცესში? დააკონკრეტეთ, მოიყვანეთ მაგალითები.

_____

_____

_____

_____

არსებობს სამი კრიტიკული შენიშვნა ტაილერის მოდელის მიმართ. **პირველი**, სწავლა რომელიც მარტივად იგივდება ქცევითი ცვლილებების დაკვირვებასთან შეზღუდულია გარკვეული თავლსაზრისით, კერძოდ, სწავლის ზოგიერთი ტიპი შესაძლებელია გამოვლინდეს დაკვირვებად ქცევაში, თუმცა სწავლის ბევრი ტიპის შემთხვევაში ასე არ ხდება. ხანდახან ცვლილებები არ არის მყისიერი, ამას შესაძლოა დასჭირდეს თვეები. და ცვლილება შესამჩნევი გახდეს მაშინ, როცა მოსწავლეებს საგნის რომელიმე კონკრეტული ნაწილი უკვე ნასწავლი აქვთ. ტაილერის მოდელში გათვალისწინებული არაა აზროვნების ინტელექტუალური ხასიათის ხანგრძლივი ჩამოყალიბების პროცესი.

მეორე პრობლემა თავს იჩენს, როდესაც მასწავლებლები წინასწარ ზუსტად წარმოაჩენენ სწავლის ამოცანებს. პროგრესული მოაზროვნეები, როგორიცაა, მაგალითად, ჯონ დიუი, ამოცანებს, აქტივობებს მიღმა ხედავდნენ. სწორედ ასეთი ამოცანები ხდის აქტივობებს უფრო მნიშვნელოვანსა და ნაყოფიერს. ამოცანები, ამ კრიტიკული შენიშვნების თანახმად, არ არის აუცილებელი, ყოველთვის წინ უძღოდეს აქტივობას.

ტაილერის ძირითადი პრინციპების მიმართ **მესამე** კრიტიკული შენიშვნა შეფასების გამარტივებულ ხედვაზე ამახვილებს ყურადღებას. ტაილერის მოდელის მიხედვით, სწავლების რაღაც ნაწილი წარმატებულია, როცა მიღწეული შედეგები თანხვდება დასახულ ამოცანებს. თუმცა შესაძლოა ხანდახან მიღებული შედეგი, რომელიც არსებითად მნიშვნელოვანია, წინასწარ არც ყოფილიყო გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, შედეგებისა და დასახული ამოცანების თანხვედრის მარტივად გაზომვის დროს, შესაძლოა გამოგვრჩეს მოსწავლის მიერ მიღწეული უმნიშვნელოვანესი შედეგები.

განხილული კრიტიკული შენიშვნების მიუხედავად, მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ ტაილერის მოდელი, დაიმახსოვრონ მისი შეზღუდვები, ეს მათ დაეხმარებათ განსაზღვრონ სწავლის შედეგები, განავითარონ სასწავლო სტრატეგიები და დაამკვიდრონ შეფასების კრიტერიუმები.

არსებობს სასწავლო გეგმის შექმნის სხვა მოდელებიც, რომლებიც ეფექტურია და ყურადღების ღირსია, ესენია: Paideia (ბერძნული განათლება / ვინმეს ნამდვილი ბუნების შესახებ სწავლება) და Understanding by Design UbD (გააზრება გეგმის საშუალებით).

Paideia-ს მოდელი 1982 წელს შეიმუშავა ფილოსოფოსმა და პედაგოგმა მორტიმერ ადლერმა (1998). მისი კოლეგები ცნობილნი არიან, როგორც Paideia-ს ჯგუფი. Paideia-ს გეგმა შედგება სწავლების სამი კატეგორიისაგან. სამივე მათგანი ერთობლივად შესაძლებელს ხდის მოსწავლემ მიიღოს ფაქტობრივი ცოდნა და განავითაროს კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრის უნარები. სწავლების ეს კატეგორიებია: დიდაქტიკური სწავლება (გაკვეთილი, რომელსაც უძღვება მასწავლებელი), ტრეინინგი (მასწავლებლის მითითებებით სწავლება), სოკრატული სემინარები (პატარა ჯგუფური დისკუსიები, რომელსაც მართავს მასწავლებელი). აღნიშნული მოდელი ყურადღებას ამახვილებს კითხვაზე, წერაზე, მოსმენაზე, საუბარსა და კრიტიკულ აზროვნებაზე ლიბერალური ხელოვნების სასწავლო გეგმის ფარგლებში. ის ასევე მოიცავს ნატიფ ხელოვნებას, ტანვარჯიშსა და მუსიკას. ადლერს სწამს, რომ ტრეინინგი და სემინარები მოსწავლეს საშუალებას მისცემს, გააკეთოს აღმოჩენები, განივითაროს სააზროვნო უნარები და გამოიყენოს საკუთარი ცოდნა ცხოვრებაში.

ჩაწერეთ გუგლში სიტყვა *Paideia* უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად. აღნიშნული მოდელი განხორციელდა 80-ზე მეტ დაწყებით და საშუალო საფეხურის სკოლაში ქვეყნის მასშტაბით.

Understanding by Design (UbD) შეიმუშავეს პედაგოგებმა გრანტ ვიგინსმა და ჯეი მაკ თაიგმა (2005). ეს სასწავლო გეგმის შემუშავების კიდევ ერთი პოპულარული მექანიზმია.

მისი ძირითადი მიზანია „სწავლება გააზრებისთვის“. UbD-ის არსია „ინდუქციური სწავლება“, რომელიც გულისხმობს შედეგების გათვალისწინებას სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილების ჩამოყალიბებამდე, არსებული მიღწევების შეფასებასა და საკლასო სწავლებას.

აღნიშნული მოდელი აქცენტს აკეთებს დიდი იდეების მოფიქრებაზე (მყარი გააზრება - ფუნდამენტური ცნებები), შესაბამისი საფუძვლის განსაზღვრაზე (ღირს, რომ იცოდე), ასევე - სასწავლო აქტივობების დაგეგმვაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს გააზრებას, დაინტერესებასა და გვეხმარება წარმატების მიღწევაში.

კითხვები, რომელიც შეიძლება დიდ იდეებად განვიხილოთ:

1. თქვენ რომ 1800-იანი წლების ბოლოს ამერიკაში ემიგრაციაში წასულიყავით, სად დაიწყებდით ახალ ცხოვრებას?
2. როგორ გაუმკლავდებოდით მიმდინარე ეკონომიკურ კრიზისს, თქვენ რომ პრეზიდენტი ობამა იყოთ?

შეგიძლიათ მოიფიქროთ სასწავლო აქტივობები ამ ორი შეკითხვის გამოყენებით? ჩაინიშნეთ, რომ არსებებობს სხვა მოდელებიც, მაგალითად პინარის, რეინოლდსის, სლატერისა და თაუბმანის 1995 წლის ნაშრომები.

აქ მოცემულია სასწავლო გეგმის შესაქმნელად მნიშვნელოვანი 8 ეტაპი:

1) კონტექსტი
   1. ვისთვის ქმნით სასწავლო გეგმას?
      ა) სწავლების საფეხური
      ბ) საგანი
      გ) საგანმანათლებლო გარემოს ტიპი
      დ) მოსწავლეთა მიზნობრივი ჯგუფის მახასიათებლები
      ე) დრო და ადგილი
   2. ვისთან ერთად ქმნით სასწავლო გეგმას?
   3. რა რესურსებზე მიგიწვდებათ ხელი?
2) რა საჭიროებები გააჩნიათ მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და საზოგადოებას?
3) როგორია სკოლის ხედვა და რა არის მისი მისია?
4) როგორია სახელმწიფო, ადგილობრივი და სასკოლო სტანდარტები?
5) რა ორიენტირები არსებობს? ორიენტირები ახდენენ სტანდარტის დონეებად დიფერენცირებას.
   ა) ---------- დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ექნებათ უნარი ----------.
6) შეფასებები.
   ა) რა მინდა იცოდნენ და შეეძლოთ ჩემს მოსწავლეებს?
   ბ) გაკვეთილები დააფუძნეთ იმაზე, ბოლოს რისი შეფასებაც გინდათ.
7) ჩარჩო

ა) როგორ აპირებთ თქვენი ორიენტირების გამოყენებას? სასწავლო აქტივობებისა და გაკვეთილის გეგმების შედგენა.

8) აქტივობების განხორციელება, აქტივობების გადახედვა.

ა) კურიკულუმის კომპონენტების მუდმივი ცვალებადობის გათვალისწინება.

ხარისხი

ალან გლათჰორნი (2000, გვ. 11-12) რამდენიმე მითითებას გამოყოფს სასწავლო გეგმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ქვემოთ განხილულია რამდენიმე მათგანი:

სასწავლო გეგმა წარმოადგენს სკოლის ხედვას: რა უნდა ისწავლოს მოსწავლემ.

- მიუდექით სასწავლო გეგმის შედგენის საკითხს უფრო სიღრმისეულად, ნუ მოეკიდებით გულგრილად. მასწავლებლებმა მოსწავლეები უნდა მიიზიდონ საინტერესო და დეტალური გაკვეთილებით, რომლებიც მოიცავს პრობლემის გადაჭრის შესახებ პროექტებსა და აქტივობებს, ასევე კრიტიკული აზროვნების მომცველ სასწავლო სტრატეგიებს. მსგავსი აქტივობები და სტრატეგიები ამზადებს საფუძველს იმისათვის, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ყველა საკითხის განხილვა მოხერხდეს. იმის ნაცვლად, რომ „გაიარონ“ საკითხები დაჩქარებით ან „ასწავლონ გამოცდისათვის“, უმჯობესია მასწავლებლებმა მოსწავლეებს განუვითარონ პრობლემების გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების უნარები, იმისათვის, რომ მათ დამოუკიდებლად შეძლონ მუშაობა თითოეულ საკითხზე.
- შექმენით და წარმოადგინეთ სასწავლო გეგმა ისე, რომ ითვალისწინებდეს საგნის შესახებ ძირითადი უნარებისა და ცოდნის გამომუშავებას. მოსწავლეებისათვის მდიდარი და სიღრმისეული ცოდნის მიცემა პირველადი საკითხია, თუმცა ფაქტობრივი სწავლება პრობლემების გადაჭრის სტრატეგიების სწავლასთან ერთადაც შეიძლება, რაც უფრო რეალისტური და მნიშვნელოვანი იქნება მოსწავლეებისათვის.
- შეადგინეთ სასწავლო გეგმა ისე, რომ მისი ნაწილები ურთიერთდაკავშირებული იყოს. სასწავლო გეგმის შინაარსისა გაკვეთილების ურთიერთკავშირი აუცილებელია, შესაბამისად სასწავლო გეგმა იქნება თანამიმდევრული და კარგად ორგანიზებული.
- გამოკვეთეთ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილი. სასწავლო გეგმის შინაარსის დაკავშირება მოსწავლეთა

ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან მნიშვნელოვანია, რათა მოსწავლემ უკეთესად ისწავლოს. პრაქტიკული აქტივობა ძალიან გამართლებულია.

შარლოტა დენიელსონის თანახმად (2002, გვ. 83), „სკოლაში სასწავლო გეგმა აყალიბებს მაღალი დონის სწავლებას ყველა მოსწავლისათვის, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა იყოს მკაცრი და მოსწავლეებისგან მოითხოვდეს კოგნიტური ჩართულობის მაღალ დონეს.“ სასწავლო გეგმა, დენიელსონის აზრით, არის „სკოლის მიერ წარმოდგენილი აღწერილობა იმის შესახებ, რას ასწავლიან მოსწავლეებს. სკოლის აკადემიური მიზნების აზრი სწორედ სასწავლო გეგმაა“. სასწავლო გეგმა უნდა იყოს სახელმწიფო ან ადგილობრივ სასწავლო სტანდარტთან, ასევე სკოლის სასწავლო მიზნებთან შეთანხმებული. მხოლოდ ცუდად შედგენილი სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს სახელმწიფო და ადგილობრივ სტანდარტებსა და სკოლის სასწავლო მიზნებს.

იდეები სტანდარტის შესახებ #2:
რჩევები სტანდარტის იმპლემენტაციისათვის

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე პრაქტიკული რჩევა სახელმწიფო და ადგილობრივი სასწავლო გეგმის სტანდარტის იმპლემენტაციისათვის:

1. *დახმარების მოძიება* - სავარაუდოდ, კარგად არ იცნობთ ადგილობრივ სასწავლო სტანდარტს. რჩევისათვის მიმართეთ დირექტორის თანაშემწეს. დირექტორები და დირექტორის თანაშემწეები გადამწყვეტ როლს ასრულებენ სასწავლო სტანდარტის დანერგვის საკითხში, ვინაიდან ისინი მასწავლებლებთან ერთად ხელმძღვანელობენ შემდეგი საკითხების განხორციელებას:
    - შინაარსის მოსწავლეთა განვითარების დონესთან შესაბამისობას;
    - ცოდნისა და უნარების წინასწარ, ახალი სასწავლო მასალის ახსნამდე გათვლასა და შეფასებას;
    - ინდუქციური და დედუქციური სწავლების მიდგომების გამოყენებას;
    - სასწავლო გამოცდილებების შერჩევასა და შესაბამისობას;
    - სწავლის გამოცდილების თანამიმდევრობას;
    - შეფასების ინსტრუმენტების შერჩევასა და შესაბამისობას.

ცალკეულ საგანსა ან/და კლასისათვის მასწავლებლებს უნდა მიეწოდოთ სტანდარტის შესაბამისი მიზნებისა და მისაღწევი შედეგების ცხრილები და აქტივობების შესახებ ინფორმაცია. ამ ბროშურის უბრალოდ გავრცელება არასაკმარისია. მასწავლებლები

უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ პროფესიული ვორქშოპებით, სადაც საუბარი იქნება იმის შესახებ, სკოლის სურვილის მიხედვით როგორ გამოიყენოს მასწავლებელმა სასწავლო სტანდარტი.

2. *ადგილობრივი სასწავლო გეგმის გზამკვლევების გამოყენება* - სკოლები და რეგიონები ქმნიან და არჩევენ სასწავლო გეგმის მასალებს კლასების შესაბამისად, რათა სასწავლო კურსი იყოს თანამიმდევრული წლიდან წლამდე. მიზნებისა და მისაღწევი შედეგების ცხრილები სასარგებლო მექანიზნებია მასწავლებლებისათვის. ეს ეხმარება მათ, დაგეგმონ შესაბამისი ინდივიდუალური ტიპის, პატარა ჯგუფებში და მთლიანი კლასის ჩართულობის მიხედვით გაკვეთილები. თუ გამოიყენებთ რეგიონალური სასწავლო გეგმის გზამკვლევს, სადაც ხაზგასმულია მიზანი და მისაღწევი შედეგი გეგმის სხვადასხვა თავების მიხედვით, დარწმუნდით, რომ აღნიშნული გეგმის გზამკვლევი ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს (გლათჰორნი, 2000, გვ. 42).

- გზამკვლევი ადვილი გამოსაყენებელია, თანამედროვეა და „მასწავლებლის მიმართ კეთილგანწყობილია“.
- ასახავს თანამედროვე შეხედულებას საგნის მიმართ.
- ფოკუსირებულია საკვანძო ამოცანებზე.
- ამოცანები არიან განვითარების საფეხურის შესაბამისი.
- ამოცანები სწავლების სხვადასხვა საფეხურზე არ მეორდება.

დამატებით, კიდევ ერთხელ გადახედეთ მიზნისა და მისაღწევი შედეგების გეგმას (მაგ. იხ. http://schools.nyc.gov/Teachers/QuickLinks/scopesequence.htm), რომელიც შექმნილია მოსალოდნელი ცოდნისა და უნარების გამომუშავებისათვის, რათა გაიაზროთ სასწავლო გეგმის თითოეული ნაწილი, რომელიც უნდა ასწავლოთ. იფიქრეთ იმაზე, მოსწავლეთა მიღწევების განსასაზღვრავად რომელი ფორმალური/ან არაფორმალური შეფასების გამოყენებას აპირებთ.

მაგალითი: თქვენ ასწავლით მეოთხე კლასს და აღმოჩინეთ, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ამოცანები გაწერილია მიზნებისა და მისაღწევი შედეგების დოკუმენტში.

მეცნიერება: დედამიწის ნაწილებზე, წყალზე, ჰაერსა და ხმელეთზე ეროზიისა და სხვა ბუნებრივი გავლენების შემოწმება, აღწერა, მოძიება და გაზომვა.

სოციალური მეცნიერებები: ინფორმაციის შეგროვება სხვადასხვა სახის პირველად და მეორეულ წყაროებზე დაყრდნობით, როგორიცაა მაგალითად, რუკები, გლობუსები, გრაფიკები, ცხრილები, გაზეთები, ჟურნალები, მულტიპლიკაციები, მედიასაშუალებები და ბროშურები.

მათემატიკა: თანრიგის ერთეულების ცოდნის გამოყენება იმისათვის, რომ წაიკითხოთ და დაწეროთ რიცხვები ასი მილიონის შემდეგ.

ინგლისური ენა/მეტყველების ხელოვნება: ხმამაღლა წაკითხულის ჩაწერა. რა მიზნებსა და შედეგებს უნდა მიაღწიოთ?

როგორც დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, ვალდებული ხართ, თითოეული ეს საკითხი ასწავლოთ. თავი რომ გავანებოთ მიზნებისა და მისაღწევი შედეგების ცხრილს, თქვენ ისედაც იცით, რა ცოდნის მიღწევასა და უნარების გამომუშავებას მოელით მოსწავლეებისაგან სასწავლო წლის ბოლოს. ზემოთ განხილული ოთხი მაგალითისათვის შესაძლოა შექმნათ გაკვეთილების გეგმები, რომელთა მიზანი კონკრეტული შედეგების მიღწევა იქნება. ასევე, შეარჩევთ შეფასების ინსტრუმენტებს, რომლებიც გაზომავენ მოსწავლეთა მიღწევებს აღნიშნული ამოცანების შესაბამისად.

3. *სასწავლო გეგმის მიზნების გადახედვა* - გადახედეთ თქვენი რეგიონისათვის შექმნილი სასწავლო გეგმის მიზნებს. შარლოტა დანიელსონის (2002) თანახმად, სასწავლო გეგმის მიზნები უნდა მოიცავდეს შემდეგ ჩამონათვალს:

- *ცოდნა* - რა უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა პარაგრაფის დამთავრების შემდეგ? მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, მაგალითად, ფაქტები; ასევე, უნდა ფლობდნენ უნარს, გამოიყენონ საკუთარი ცოდნა სხვადასხვა სიტუაციასა და გარემოში.
- *აზროვნებისა და მსჯელობის უნარები* - ვინაიდან კონცეპტუალური ცოდნა მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ მსჯელობა, დასკვნების გამოტანა, შედარება და შეპირისპირება, ინფორმაციის ინტერპრეტირება და საკითხის შესახებ სიღრმისეული აზროვნება.
- *საკუმინიკაციო უნარები* - ვინაიდან კითხვა და წერა უმნიშვნელოვანესია, მოსწავლეები კომუნიკაციის სხვა საშუალებებშიც უნდა ერკვეოდნენ (მაგ. ვიზუალური რეპრეზენტაცია და გამომსახველობითი ხელოვნება).
- *სოციალური უნარები* - მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, როგორ იცხოვრონ სხვების გვერდით და ჰქონდეთ წარმატებული ურთიერთობები.
- *ფიზიკური უნარები* - ფიზიკური უნარების განვითარება, როგორც ფიზიკური განათლების პროგრამის ერთ-ერთი ნაწილი, მნიშვნელოვანია. შესაძლოა ფიზიკური უნარების განვითარება სასწავლო გეგმის სხვა ნაწილში იგულისხმებოდეს, როგორიცაა, მაგალითად კალიგრაფია და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა.

4. *გაეცანით და გამოიყენეთ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგები (სტანდარტები)* - საფუძვლიანად გადახედეთ სტანდარტის გზამკვლევს ყველა იმ კომპონენტში, რომელსაც ასწავლით. გამოიყენეთ გზამკვლევი ყოველდღიურად, გაკვეთილების დაგეგმვისას. განსაზღვრეთ, რამდენად შეესაბამება თქვენი სასწავლო გეგმა კონკრეტულ სტანდარტს. სამოქმედო სტანდარტის გზამკვლევი

გვაწვდის უფრო დეტალურ ინფორმაციას, მაშინ, როცა მიზნებისა და მისაღწევი შედეგების ცხრილები გვთავაზობს მხოლოდ მიმოხილვას, თუ წლის ბოლოს ამა თუ იმ საგანში რა უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა.

ქვემოთ მოცემულია ამონაწერი გაკვეთილის გეგმიდან, რომელიც წარმოადგენს კონკრეტული სტანდარტის არსს:

დიაგნოზი:

- კლასი: მეოთხე;
- საგანი: მათემატიკა;
- საკითხი: ეკვივალენტური წილადები;
- თანამიმდევრობა: მეორე გაკვეთილი (ერთი ოთხიდან);
- კლასის შემადგენლობა: ინკლუზიური საკლასო გარემო, 20 მოსწავლე, ერთი მოსწავლე ყურადღების გაფანტვისა და ჰიპერაქტიურობის დიაგნოზით, 1 მხედველობის პრობლემების მქონე მოსწავლე;
- ხანგრძლივობა: მთლიანი გაკვეთილი შესაძლოა გაგრძელდეს 45 წუთიდან ერთ საათამდე.

ზოგადი მიზანი: ეკვივალენტური წილადების გასაგებად ვიზუალური ნიმუშებისა და მანიპულაციების გამოყენება.

კონკრეტული მიზანი: პიცის მერამდენედ ნაწილს შეჭამთ? (აღმოაჩინეთ ეკვივალენტური წილადები).

ამოცანები:

1. მოსწავლეები *აღწერენ* როგორ უკავშირდება წილადები ყოველდღიურ ცხოვრებას. (ცოდნა);
2. მოსწავლეები ერთმანეთისაგან განასხვავებენ ეკვივალენტურ წილადებს (შედარება);
3. მოსწავლეები გამოიყენებენ მასალებს წილადების ვიზუალიზაციისათვის და ამით აჩვენებენ, რომ გაიგეს, რა არის ეკვივალენტური წილადები. (სინთეზი)

სტანდარტები: ვებგვერდზე: http://ncrtl.msu.edu/http/craftp/html/pdf/cp902.pdf

4.N.7 - წილადის რიცხვით ღერძზე განლაგებისა და მისი, როგორც მთელი რიცხვის ნაწილების შედგენა და გაგება.

4.N.8 - ეკვივალენტური წილადების გაცნობა და წარმოება (მეორედი, მეთხედი, მესამედი, მეხუთედი, მეექვსედი, მეათედი) მანიპულაციების, ვიზუალური მოდელებისა და ილუსტრაციების გამოყენებით.

4.N.9 - გამოიყენეთ კონკრეტული მასალები და ვიზუალური მოდელები ერთეული წილადებისა და ტოლმნიშვნელიან სხვა წილადებთან შესადარებლად (რიცხვითი ღერძის გამოყენებით ან მის გარეშე).

4.CM.4 - მოაწესრიგეთ და აკურატულად დაახარისხეთ სამუშაო.

4.CM.5 - გაუზიარეთ სხვებს მათემატიკური იდეები საგნებით მანიპულირების საშუალებით, ასევე - ნახაზების, სურათების, ცხრილების, გრაფიკების, დიაგრამების, ნიმუშებისა და სხვა ვერბალური თუ არავერბალური გამოხატულების ფორმების გამოყენებით.

5. *ჩართეთ სასწავლო გეგმაში თემატური ერთეულები და ინტერდისციპლინარული სწავლება* - სასწავლო გეგმის ინტეგრირებას გააჩნია რიგი საგანმანათლებლო არსებითი უპირატესობები, როგორიცაა, მაგალითად, მოსწავლეებისათვის პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის სწავლება, ასევე, სხვადასხვა დისციპლინასა და საგანს შორის ურთიერთდამოკიდებულებების გააზრება (რობერთსი & ქელოუ, 1996). მასწავლებლებს შეუძლიათ გაითვალისწინონ საგნისათვის სპეციფიკური მასალა მიზნისა და მისაღწევი შედეგების მონახაზის შექმნისას, რომელიც ეხება, მაგალითად, ტროპიკულ წვიმის ტყეებს. შემდეგ კი მასწავლებლებს შეუძლიათ შექმნან თემატური ქვეთავები, სადაც ასახული იქნება აღნიშნული საკითხი სხვადასხვა დისციპლინებიდან, მაგალითად მეტყველების ხელოვნებიდან, სოციალური მეცნიერებებიდან, მათემატიკიდან და მეცნიერებიდან. გაეცანით, განსაზღვრეთ და დანერგეთ სტანდარტები, რომელიც საერთოა სხვადასხვა დისციპლინისათვის.

ქვემოთ მოცემულია სასწავლო გეგმის შექმნის მაგალითი, რომელიც ეფუძნება ინტერდისციპლინარული თემატური თავის გეგმას.

საკითხი: ჩინეთის რესპუბლიკის გეოგრაფია და ტრადიციები

კურსი/საგანი: სოციალური მეცნიერებები/ტექნოლოგია - მესამე კლასი

დაახლოებითი სამუშაო დრო: ექვსი კვირა, 40-წუთიანი პერიოდებით.

ზოგადი მიზნები:

- მოსწავლეებისათვის ტექნოლოგიების ოსტატურად გამოყენების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბება. ეს მნიშვნელოვანი წინაპირობაა პიროვნული თუ აკადემიური წარმატებისათვის.
- მოსწავლეებისათვის ჩინეთის რესპუბლიკის გეოგრაფიისა და კულტურის გაცნობა და სხვისი კულტურის, ისევე როგორც საკუთარის მიმართ პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება (სოციალური მეცნიერებები).
- მოსწავლეებისათვის ინტერნეტისა და KidPix-ის პროგრამების, როგორც მათი საბაზისო ცოდნის საგანმანათლებლო და პერსონალური შედეგების გაზრდის ინსტრუმენტების წარმოდგენა (ტექნოლოგია).
- აღნიშნული მიზნების მიღწევა სოციალური მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების ინტეგრირების საშუალებით.

ძირითადი პრინციპი:

შენიშვნა: აღნიშნული ინტეგრირებული აქტივობა მესამე კლასის მასწავლებლების, ტექნოლოგიების კოორდინატორისა და დირექციის კოლაბორაციული ძალისხმევის შედეგია. მოსწავლეები დაიწყებენ კვლევას ჩინეთის შესახებ და გააკეთებენ ჩანიშვნებს მასწავლებლების მიერ წინასწარ გაწერილი ფორმატით. გაკვეთილები დაფუძნებული იქნება გეგმაზე, სადაც საგანი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, ყოფა-ქცევასა და შენიშვნებზე და სადაც გათვალისწინებულია მასწავლებელთა დაკვირვება და განმავითარებელი შეფასებები. ზოგადი მიზნები უცვლელი რჩება, თუმცა შინაარსისა და მიდგომების მოდიფიკაცია შესაძლებელია.

შედეგზე დაფუძნებული დაგეგმვა ემყარება ბრუნერის (სპირალური სასწავლო გეგმა), დიუის (ექსპერიმენტული სწავლება) ხედვებს, ასევე - ბლუმის ტაქსონომიას (ინტელექტუალური ქცევის იერარქია) და გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას (ვიზუალურ/სივრცითი, ვერბალურ/ლინგვისტური, სხეულებრივ/კინესთეტიკური, ლოგიკურ/მათემატიკური, მუსიკალურ/რითმული, ინტრაპერსონალური, ინტერპერსონალური), ამასთანავე, NETS-ის სტანდარტებსა (ტექნოლოგიური განათლების მქონე მოსწავლეებისათვის) და სახელმწიფო სოციალურ მეცნიერებათა სტანდარტებს, ასევე - მასწავლებლებს, ტექნოლოგიების კოორდინატორსა და დირექციის ჩართულობას.

	სოციალური მეცნიერებები	**ტექნოლოგია**
პირველი კვირა	ჩინეთის გეოგრაფიის გაცნობა (პირველი გაკვეთილი); ჩინეთის მდინარეების, მთების, ზღვების და ქალაქების ამსახველი რუკა (მეორე გაკვეთილი);	ინტერნეტ საიტის http: //www.enchantedle arning.com/ წარდგენა; ჩინეთის რუკა (სოციალურ მეცნიერებებში საკლასო სამუშაოს გადახედვა და მუშაობის პროცესში დახმარება - პირველი კვირა);
მეორე კვირა	ისაუბრეთ სხვადასხვა პროდუქტის შესახებ, რომელიც ჩინეთს სხვადასხვა რეგიონიდან მიეწოდება; აჩვენეთ ურთიერთდამოკიდებულება ჩინეთის გეოგრაფიასა და ჩინეთის სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენელ ადამიანთა სამუშაოს სახეობებს შორის (გაკვეთილი მესამე).	KidPix-ის გაცნობა; ახლად ნასწავლი ან კიდევ სხვა დამატებითი, მოსწავლეებისათვის უკვე ცნობილი ფუნქციების გამოყენებით, მდინარეების, მთათა სისტემების, ზღვისა და ქალაქის სურათების შექმნა (სოციალურ მეცნიერებებში საკლასო სამუშაოს გადახედვა და მუშაობის პროცესში დახმარება - პირველი კვირა);

მესამე კვირა	ჩინეთისათვის დამახასაათებელი სხვადასხვა სიმბოლოს გაცნობა - დროშა, ყვავილი, ჩიტი, ხე, ემბლემა (გაკვეთილი მეოთხე).	KidPix-ის დამატებითი ფუნქციების გაცნობა; ახლად ნასწავლი ან კიდევ სხვა დამატებითი, მოსწავლეებისათვის უკვე ცნობილი ფუნქციების გამოყენებით, ჩინეთთან დაკავშირებული სხვადასხვა საქმიანობისა და პროდუქციის აღწერა / წარმოდგენა სურათების შექმნის გზით (სოციალურ მეცნიერებებში საკლასო სამუშაოს გადახედვა და მუშაობის პროცესში დახმარება - მეორე კვირა);
მეოთხე კვირა	ჩინური დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების გაცნობა (გაკვეთილი მეხუთე)	KidPix-ის დამატებითი ფუნქციების გაცნობა; ახლად ნასწავლი ან კიდევ სხვა, დამატებითი, მოსწავლეებისათვის უკვე ცნობილი ფუნქციების გამოყენებით, ჩინეთის სიმბოლოებზე სურათების შექმნა (სოციალურ მეცნიერებებში საკლასო სამუშაოს გადახედვა და მუშაობის პროცესში დახმარება - მესამე კვირა).
მეხუთე კვირა	***შეფასება*** ჩინეთის კულტურა და გეოგრაფია (გაკვეთილი მეექვსე).	KidPix-ის დამატებითი ფუნქციების გაცნობა; ახლად ნასწავლი ან კიდევ სხვა, დამატებითი, მოსწავლეებისათვის უკვე ცნობილი ფუნქციების გამოყენებით, ჩინეთის დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების წარმოდგენა სურათების შექმნის გზით (სოციალური მეცნიერებებში საკლასო სამუშაოს გადახედვა და მუშაობის პროცესში დახმარება - მეოთხე კვირა).
მეექვსე კვირა		პროექტის დასრულება და ახალი პროექტის გაცნობა. პროექტის,

		რომელიც ასახავს ინფორმაციას ჩინეთის შესახებ თქვენი ცოდნის, წარმოსახვის უნარებისა და ინსტრუმენტების არჩევანის გამოყენებით.

მეორე გაკვეთილიდან მეექვსე გაკვეთილის ჩათვლით ხდებოდა ცოდნის ინტეგრირება ისე, რომ მოსწავლეები ვითარდებოდნენ როგორც ზოგადი საკლასო სწავლების, ისე ტექნოლოგიების ცოდნის თვალსაზრისით. განხილულ შემთხვევაში, ტექნოლოგია მოქმედებს როგორც კატალიზატორი შემდგომი სწავლისათვის, როგორიცაა, მაგალითად, გამეორება, განმტკიცება და გაუმჯობესება. გარდა ამისა, ამ ცოდნით მოსწავლეებმა უნდა შეძლონ, ააგონ ახალი ცოდნა დამოუკიდებლად.

ქვემოთ მოცემულია პირველი და მეექვსე გაკვეთილის ასლები. შემდგომი გაკვეთილები დამოკიდებულია პირველი გაკვეთილის დავალებაზე.

გაკვეთილი 1

ზოგადი მიზანი: ინტერნეტისა და მიმზიდველი სწავლების გაცნობა (http://www.enchantedlearning.com/).

კონკრეტული მიზანი: ინტერნეტის გამოყენება ჩინეთის გეოგრაფიის შესახებ დასმულ კითხვებზე პასუხების გასაცემად.

სასწავლო ამოცანები: მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- აღწეროს, როგორ გამოიყენოს ინტერნეტი და ვებ-გვერდი (ცოდნა);
- მოახერხოს ინტერნეტში შემდგომ საიტზე მუშაობა: http://www.kidport.com/Reflib/WorldGeography/China/China.htm;
- შექმნას რუკასთან დაკავშირებული გამოკითხვის ბეჭდური ვერსია და ამობეჭდოს (გამოყენება);
- ინტერნეტის, როგორც საძიებო / სასწავლო / განხილვის ინსტრუმენტის გამოყენება ჩინეთის რუკის შესადგენად და ამოსაბეჭდად. ინტერნეტის, როგორც პირველადი წყაროს გამოყენება ჩინეთის გეოგრაფიის შესახებ კითხვებზე პასუხების გასაცემად (გააზრება/გამოყენება).

სტანდარტები და ტაქსონომიები:

- სოციალური მეცნიერებები - სტანდარტი 3;
- ტექნოლოგია - სტანდარტი 2,4;
- ბლუმის ტაქსონომია - 1,2, 3 დონეები.

ძირითადი პრინციპი: ეს გაკვეთილი მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის ავსებს განსხვავებულ სასწავლო მოდალობებს შორის არსებულ სიცარიელეს. მოსწავლეებმა ჩინეთის გეოგრაფიის შესახებ ისწავლეს პირდაპირი სწავლების, სახელმძღვანელოების, რუკისა და ჰენდაუთების საშულებით. ტექნოლოგიების დახმარებით იგივე ინფორმაცია უფრო სწრაფად ხელმისაწვდომია ვებგვერდების დახმარებით. ყურადღების დეფიციტის მქონე მოსწავლისათვის უმნიშვნელოვანესია მყისიერი უკუკავშირის მიწოდება, რათა იგი აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. ამ ჩართულობას ვიზუალური პრეზენტაცია უზრუნველყოფს.

მოსწავლეებს, ვისთვისაც არც ისე მოსახერხებელია კომპიუტერთან მუშაობა, ინტეგრირებული გაკვეთილი მისცემს პარტნიორთან ან ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად მუშაობის საშუალებას. ეს გაკვეთილი კომპიუტერის გამოყენების უნარების (რაც ცხოვრებისეული უნარია!) განმტკიცებას უწყობს ხელს.

სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები:

მოტივაცია (5 წუთი)

- მასწავლებელი ხსნის, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ინტერნეტს ვიყენებთ, არის ინფორმაციის ძალიან სწრაფად მოპოვება.
- მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ გამოუყენებიათ კომპიუტერი რამის სასწავლად. სთხოვს, ახსნან, რის სასწავლად გამოიყენეს ის.
- მოსწავლეებს ეძლევათ რამდენიმე წუთი საპასუხოდ.
- შემდეგ მასწავლებელი განმარტავს, რომ დღეს მოსწავლეები ნახავენ, თუ როგორაა შესაძლებელი ერთ ინტერნეტსაიტზე რომელიმე კონკრეტული საკითხის შესახებ, რომელსაც ისინი კლასში სწავლობენ (მაგალითად, ჩინეთის გეოგრაფიის შესახებ) დიდი მოცულობის ინფორმაციის სწრაფად მოპოვება. ამ მხრივ ტექნოლოგიისა და სოციალური მეცნიერებების გაკვეთილების მიზნები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება.
- მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს, როგორ გამოიყენონ ინტერნეტი და იპოვონ ონლიან რეჟიმში იგივე აქტივობა, რომელზეც მათ საკლასო ოთახში უკვე იმუშავეს. (პირდაპირი სწავლება).

მოსწავლეები საკლასო სამუშაოდან უკვე კარგად იცნობენ ჩინეთის რუკის შესახებ დავალებას (ჰენდაუთები მასწავლებლისგან უკვე მიღებული აქვთ). მათ უკვე უპასუხეს კითხვებს და საკუთარი პასუხებიც განიხილეს მასწავლებელთან ერთად. კომპიუტერების საშულებით გაეცნენ სხვა სასწავლო მოდალობას, გარდა ამისა, კიდევ ერთხელ გადახედეს ნასწავლ მასალას და განიმტკიცეს ცოდნა.

პირდაპირი სწავლება (5 წუთი)

- კომპიუტერის, მულტიმედია პროექტორისა და დიდი ეკრანის გამოყენებით, მასწავლებელი აჩვენებს ინტერნეტის წვდომის ხერხებს, სად და როგორ უნდა ჩაწერონ URL, ან როგორ მოიძიონ ინფორმაცია, რომელიმე ვებ-გვერდზეა განთავსებული. მასწავლებელი ასევე აჩვენებს, როგორ დაბეჭდონ ინფორმაცია ვებგვერდიდან.
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაუბრუნდნენ თავიანთ ადგილებს. დღეს ისინი არ დასხდებიან განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებით. მასწავლებელი გეგმავს, დაკვირვებას და ჩანაწერების გაკეთებას დღევანდელი სასწავლო აქტივობის განმავლობაში. ხოლო შემდეგ შეხვედრაზე მოსწავლეები, მათივე საჭიროების შემთხვევაში, შეიცვლიან ადგილებს.

სასწავლო აქტივობა (20 წუთი)

- სასწავლო აქტივობა ეფუძნება პრაქტიკულ, დავალებაზე ორიენტირებულ სამუშაოს. დავალება გულისხმობს ინტერნეტის გამოყენებას, კონკრეტული URL-ის ჩაწერას, შესაბამისი რუკის მოძიებას და მის ამობეჭდვას (ცოდნა, გაგება, გამოყენება).
- მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ რუკის ფორმით წარმოდგენილ ჰენდაუთზე არსებულ კითხვარს.
- მასწავლებელი მოძრაობს, აკვირდება, რა არის რთული და მარტივი მოსწავლეებისათვის დავალების შესრულების განმავლობაში, ესაუბრება, ეხმარება, როცა დახმარებას ითხოვენ, აკეთებს ჩანიშვნებს, მოძრაობს კლასში.

სწავლების დიფერენცირება: ყველანაირი ინტელექტი ვერ ერგება ყველა გაკვეთილს, ან შესაძლოა ნაწილობრივ ერგებოდეს მას.

ინტერპერსონალური ან ინტრაპერსონალური - მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში, ან დამოუკიდებლად.

ვერბალურ/ლინგვისტური - ზოგიერთი მოსწავლისათვის კითხვებზე პასუხის გაცემისას წამახალისებლად მოქმედებს, როდესაც ისინი კლასის წინაშე პრეზენტაციას აკეთებენ.

სივრცითი - ზოგიერთ მოსწავლეს ურჩევნია, როდესაც მათ უხსნიან და უჩვენებენ, როგორ წაიკითხონ რუკა.

სხეულებრივ/კინესთეტიკური - ზოგიერთ მნოსწავლეს ურჩევნია, გაკვეთილის დროს რამდენიმე წუთით შეისვენოს და კლასში გაიარ-გამოიაროს, ადგეს სკამიდან, ან უბრალოდ - იმოძრაოს (სხეულებრივ/კინესთეტიკური).

ნატურალისტური - ზოგ მოსწავლეს ჩინეთის სხვადასხვა რეგიონი და ამ რეგიონთან დაკავშირებული ლანდშაფტი აინტერესებს.

გარდა ამისა, მასწავლებელი მოსწავლეებისათვის ამზადებს დამატებითი კითხვების ფურცელს ჩინეთის შესახებ. მოსწავლეები სწრაფად ამზადებენ დავალებას. კითხვები ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ თანდათანობით იზრდებოდეს პასუხების სირთულე. თუმცა, ყველა კითხვა უნდა ეფუძნებოდეს ერთი და იმავე ვებგვერდის ინფორმაციას.

ყველა გაკვეთილი უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული, სოციალური მეცნიერებების მასალა წინასწარ უნდა იქნას კლასში განხილული. თითოეული გაკვეთილისათვის უნდა მომზადდეს სხვადასხვა აქტივობა, რომელიც სხვადასხვა დონეს შეესაბამება. აქტივივობები დაფუძნებული უნდა იყოს რეფლექსიასა და განმავითარებელ შეფასებებზე.

მოსწავლეთა შეფასებები

მასწავლებელი მოძრაობს და აკვირდება. როცა საჭიროა, ეხმარება მოსწავლეებს. მასწავლებელი ისმენს მოსწავლის პასუხებსა და კომენტარებს მთელი აქტივობის განმავლობაში.

აფასებს მოსწავლის მიერ ამობეჭდილ ნამუშევარს:

- დავალების სირთულის და
- პასუხების დონის/სიღრმის მიხედვით.

მასწავლებელი აკეთებს ჩანიშვნებს.

შემაჯამებელი აქტივობა (10 წუთი)

მოსწავლეებს სთხოვენ, შეიკრიბონ დაფასთან, სადაც ისინი:

- გაუზიარებენ თავიანთ პასუხებს კლასს.
- ახსნიან პროცესს, თუ როგორ მივიდნენ კონკრეტულ პასუხებამდე.
- შეადარენ ერთმანეთის მიერ პასუხების ძიებისათვის განვლილ პროცესს.

გამეორება

ამ გაკვეთილის დასრულების შემდეგ მასწავლებელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას:

- მოსწავლეთა გაწაფულობის შესახებ;
- მოსწავლეთა მოტივაციის დონის შესახებ;
- მოსწავლეთა ჯგუფებში, ან პარტნიორებს შორის თავსებადობის შესახებ;
- მომავალი გაკვეთილისთვის საჭირო ცვლილებების შესახებ.

დასკვნა

სხვადასხვა ადგილობრივ და სახელმწიფო სტანდარტზე დაფუძნებული რეფორმის განხორციელება და, ამავე დროს, შემოქმედებითი და ინტერდისციპლინარული გაკვეთილების ჩატარება დიდი გამოწვევაა. თუმცა ეს არაა დაუძლეველი საკითხი. სტანდარტები, რომლებსაც მოიძიებთ, დაგეხმარებათ სწავლების დროს. მოძიების შემდგომ ყველაზე მნიშვნელოვანია დარწმუნდეთ, რომ თქვენ უამრავი სტანდარტიდან შესაბამისი აირჩიეთ. რა თქმა უნდა, მე არ გავუწევ მხოლოდ“ სტანდარტებით სწავლებას“ ადვოკატირებას, თუ მას თან არ ახლავს სათანადო და ღირებული გაკვეთილები. მაშასადამე, თქვენ უნდა მიყვეთ სტანდარტებს; ამასთანავე, უნდა შეძლოთ, ჩაატაროთ საინტერესო გაკვეთილები. ეცადეთ, შეინარჩუნოთ დადებითი განწყობა, მაშინაც კი, თუ თქვენ გარშემო სტანდარტების გაკრიტიკებას ეცდებიან. გამოიყენთ სტანდარტები სწორად, რათა გაზარდოთ მოსწავლეთა სასწავლო გამოცდილება.

კითხვები / აქტივობები

1. გამოკითხეთ გამოცდილი მასწავლებელი. ჰკითხეთ, როგორ ახერხებდა სტადარტებზე დაფუძნებული რეფორმის ინტერგირებას.
2. ჩამოაყალიბეთ ინტერდისციპლინარული სასწავლო გეგმის ერთი თავი, რომელიც მოიცავს ასევე რეგიონალურ სტანდარტს.
3. რა კავშირია სტანდარტებსა და შეფასებას შორის?
4. ურჩიეთ თქვენზე უფრო ახალბედა მასწავლებლებს, როგორ იმოქმედონ რეგიონალური სტანდარტის მიხედვით.
5. კიდევ რისი ცოდნა გჭირდებათ სტანდარტების შესახებ? ჰკითხეთ ამის შესახებ დირექტორის მოადგილეს, სასწავლო გეგმის კოორდინატორს ან თვითონ დირექტორს.

აქტივობა #9

ეწვიეთ შემდეგ საიტს: http://www.iste.org/ საძიებო ველში ჩაწერეთ სიტყვა *სოციალური მეცნიერებების სტანდარტები.*

თქვენ ხართ მესამე კლასის მასწავლებელი და გსურთ გამოიყენოთ ტექნოლოგიები სოციალურ მეცნიერებებში „საზოგადოებების“ თემის სასწავლებლად.

მას შემდეგ, რაც წაიკითხეთ თავი სტანდარტების ტექნოლოგიების შესახებ, როგორ გამოიყენებდით ტექნოლოგიას საგაკვეთილო პროცესის მხარდასაჭერად?

ჰკითხეთ კოლეგებს, როგორ იყენებენ ისინი ტექნოლოგიებს ამ საკითხის სწავლების დროს?

მოყევით იმ ხერხების შესახებ, რომელიც გამოგიყენებიათ საგაკვეთილო პროცესში ტექნოლოგიების ჩასართვად?

მსგავსი კითხვა დაუსვით კოლეგებსაც.

თუ თქვენ არასოდეს გამოგიყენებიათ ტექნოლოგია გაკვეთილის მხარდასაჭერად გამოყენეთ google-ის საძიებო სისტემა და მოძებნეთ ცნება *ინტეგრირებული გაკვეთილები.*

თავი 9

როგორ გამოვიყენო ტექნოლოგიები სწავლების პროცესში?

ტექნოლოგია საჭირო და სასარგებლო იარაღია შინაარსის გაცოცხლებისთვის. ტექნოლოგიური განათლების მქონე მასწავლებლები კარგად იცნობენ ტექნოლოგიურ სტანდარტებს, ქმნიან ვებგვერდებს და საგანმანათლებლო პროგრამებს სასწავლო მიზნებისთვის, შეუძლიათ PowerPoint-ისა და უახლესი ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება ყველა მოსწავლის სასწავლო გამოცდილების გაზრდის მიზნით.

- ჯეფრი გლანცი

ჩვენი მოსწავლეები ხედავენ (და ჩვენ, მასწავლებლები, ვერ ვამჩნევთ), როგორ შეიცვალა ინფორმაციის ბუნება. შეიცვალა მისი სახე, ძიების პროცესი, ძიების ადგილი, ინფორმაციის გამოყენება და გავრცელება. თვისებრივად ახალ და დინამიურად მდიდარ ინფორმაციულ გარემოში ვცხოვრობთ. და თუ გვსურს, რომ მოსწავლეებს მივუდგეთ არსებული სამყაროსა და (მათი და ჩვენი) მომავლის გათვალისწინებით, მაშინ სწორედ ამ ახალი ინფორმაციული გარემოდან უნდა ვასწავლოთ.

- *დევიდ ვარლიკი*

კითხვები

1. რა არის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ძლიერი მხარეები?
2. იცნობთ თუ არა ISTE-ს და NETS-ის სტანდარტებს?
3. ხართ თუ არა შესაბამისად მომზადებული საგაკვეთილო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენებისთვის? აღწერეთ როგორ.

4. იცნობთ თუ არა ისეთ ხელსაწყოებს, როგორებიცაა სმარტბორდი, პრომეთეს დაფა, აიპოდი, ელსიდი პროექტორი. შეგიძლიათ მათი გამოყენება?
5. როდისმე შეგიქმნიათ ან გამოგიყენებიათ ელ. პორტფოლიო, ნიშნების ელექტრონული ჟურნალი ან სკოლის ვებგვერდი მშობლებთან და მოსწავლეებთან კომუნიკაციისათვის?
6. იცით თუ არა Microsoft Word-ის, როგორც პროდუქტიული და/ან სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენება? იცნობთ თუ არა საოფისე პროგრამებს?

ბოლო ოცი წლის განმავლობაში, ტექნოლოგიურმა სიახლეებმა შეცვალა ბიზნესის, სკოლების, მოსწავლეების, პროფესიონალი და არაპროფესიონალი, საქმიანი თუ ჩვეულებრივი ადამიანების საჭიროებები. მან ასევე შეცვალა სწავლა-სწავლების გზები. უნდა გაითვალისწინოთ საზოგადოება და სხვადასხვა ტექნოლოგიური შესაძლებლობები, ასევე, მოსწავლეები, რომლებიც არ იცნობენ უკანასკნელ ტექნოლოგიურ მიღწევებს, მაგრამ იყენებენ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ისინი მაღალტექნოლოგიურ სამყაროში დაიბადნენ და სხვა არაფერი იციან. ფაქტია, რომ მასწავლებელთა უმეტესობა მოსწავლეებთან შედარებით ნაკლებად გათვითცნობიერებულია ტექნოლოგიებში. შედეგად ვიღებთ სწავლებისას ტექნოლოგიების გამოყენების, მათი სასწავლო გეგმაში ჩართვის ან ამ ტექნოლოგიების, როგორც დამხმარე ხელსაწყოს გამოყენებისადმი წინააღმდეგობას. ტრადიციული როლიდან, რასაც თან ახლავს ექსპერტად ყოფნის კომფორტი - მასწავლებლები დაუყონებლივ უნდა გამოვიდნენ. იმ მასწავლებლისათვის, რომლებიც ამ იდეოლოგიის წინააღმდეგია, ტექნოლოგიებთან გამკლავება ყველაზე ტრავმული გამოცდილებაა.

მიუხედავად ამისა, მასწავლებლებს აქვთ ვალდებულება, დაეხმარონ მოსწავლეებს სოციალური, პროფესიული და ინტელექტუალური უნარების გამომუშავების პროცესში. აღნიშნული უნარები მათ მომავალი წარმატებისთვის სჭირდებათ. მნიშვნელოვანია როგორც საბაზისო უნარების განვითარება, ასევე მათი გამოყენების სწავლება. გარდა ამისა, არსებითად მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ გაიაზროს ზოგადად ტექნოლოგიებისა და მოსწავლეებისათვის ტექნოლოგიური განათლების აუცილებლობა როგორც სკოლაში, ასევე სკოლის გარეთ (პერიფრაზი: http://www.ed.gov/rschstat/eval/tech/20years.pdf).

აუცილებელია მსოფლიო შრომითი ბაზრისთვის მომზადების პროცესში მოსწავლეებისთვის კომპიუტერის გამოყენების სწავლება. სწავლების პროცესში ტექნოლოგიებს პრაქტიკული და სასარგებლო დანიშნულება ენიჭება. მასწავლებლებმა აღმოაჩინეს, რომ ტექნოლოგიები ძლიერი ინსტრუმენტია სწავლა-სწავლების პროცესის ხელშესაწყობად. თუმცა, ტექნოლოგია ვერასდროს ჩაანაცვლებს კომპეტენტურ მასწავლებელს, ის სწავლების პროცესში დამხმარე ინსტრუმენტია. დღევანდელი მასწავლებლისათვის ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებლობის შემთხვევაში

კომფორტულიც კია. ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლების წარმატებულობას განსაზღვრავს მისი სწორად და შესაბამის დროს გამოყენება.

ამ სფეროში ბევრი გაკეთდა მთავრობის, ისევე როგორც ამ სფეროს პროფესიონალების მიერ (საუკეთესო პრაქტიკების შედგენით, წიგნების შექმნით, ვებგვერდების შექმნით, მასწავლებელთა, მშობლეთა და მოსწავლეთა დასახმარებლად). მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც მასწავლებელია პასუხისმგებელი სკოლაში ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

წინამდებარე თავის მიზანია, დაგეხმაროთ სასწავლო პროცესისას ტექნოლოგიების გამოყენებაში. ამისათვის, გაგაცნობთ ტექნოლოგიებით სწავლების პრაქტიკულ სტრატეგიებს, რომლებიც ეროვნულ სტანდარტს ეფუძნება. აქვე გაგაცნობთ თანამედროვე ტექნოლოგიებს და საუკეთესო ვებგვერდებს, რაც მოგცემთ ცოდნას შეფასების ელ. სისტემის შესახებ და გაჩვენებთ, როგორ გამოიყენოთ Microsoft Word-ის პროგრამა თქვენი და თქვენი მოსწავლეების სასარგებლოდ.

უპასუხეთ:

რამდენად კომპეტენტურნი ხართ ტექნოლოგიებში? იცნობთ თუ არა უახლეს ტექნოლოგიებს და როგორ იყენებთ მათ საკუთარი და მოსწავლეთა წარმატების გაზრდისთვის?

შეამოწმეთ, ქვემოთ ჩამოთვლილი ტექნოლოგიებისა და პროგრამებისგან რომელს ფლობთ ყველაზე კარგად, როგორც პირადი, ისე პროფესიული გამოყენებისათვის.

პროგრამა	**ინტერნეტი**	**პერიფერიული მოწყობილობა**
Microsof Office: □ Word □ Excel □ Access □ PowerPoint □ Publisher WordPerfect ან სხვა გვერდები ვებ-საიტების დიზაინისთვის: □ FrontPage Adobe GoLive: - ან სწავლების სხვა პროგრამა - ელ. შეფასების ჟურნალი	საძიებო სისტემები: □ პროფესიული □ საგანმანათლებლო □ საგნობრივი ელ. ფოსტა/კომუნიკაცია: □ მიმაგრებული ფაილები □ ინტერნეტ ეტიკეტი □ ტექსტი, ციფრული ფოტოები ვიდეო და სხვ.: □ Facebook/MySpace □ სკოლის ვებგვერდი □ YouTube	ციფრული კამერა; ვიდეო კამერა; ელსიდი პროექტორი; სკანერი; დივიდი ფლეიერი; დრაივი; ჩიპი; სმარტ ბორდი; პრომეთეს დაფა.

რამდენად ერკვევით Microsoft Office-ის პროგრამებში? იცნობთ თუ არა Microsoft Word-ს? ბეჭდვა, გრამატიკისა და მართლწერის შემოწმება, დოკუმენტების შედგენა, მონიშვნა და ტექსტის ჩასმა - ეს ყოველივე თქვენთვის უკვე ნაცნობია? აძლევთ თუ არა მოსწავლეებს ისეთ დავალებებს, რომლებიც კომპიუტერის გამოყენებით უნდა შეასრულონ? თქვენთვის მისაღებია თუ არა მოსწავლის მიერ კომპიუტერის გამოყენებით შექმნილი ნაშრომი? რას ფიქრობთ Excel-ის ცხრილების გამოყენების შესახებ მოსწავლეების ქულების აღსანუსხად? გყავთ თუ არა მოსწავლეები ერთიან მონაცემთა ბაზაში (Access) ინფორმაციის მარტივი გზით გავრცელებისათვის? იყენებთ თუ არა სასწავლო პროცესში დამხმარე ინფორმაციულ პროგრამას? თუ ასეა, გაკვეთილის გეგმის რომელ ნაწილში? აღრმავებს თუ არა მოსწავლეების ცოდნას ასეთი პროგრამები? ან, შესაძლოა, უფრო ხშირად DVD-ფლეიერს და ტელევიზორს იყენებთ? გამოგიყენებიათ თუ არა ოდესმე ელექტრონული ენციკლოპედია, ატლასი ან ლექსიკონი? თუ არა, რას იტყვით ელ. ფოსტის ან შიდა სასკოლო ვებგვერდსა თუ პორტალზე, როგორც კომუნიკაციისა და დისკუსიის საშუალებაზე?

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ სოლიდურად ჟღერს, ეს მხოლოდ აისბერგის წვერია. ნება მომეცით, დაგარწმუნოთ, რომ არსებობს ტექნოლოგიების მართვისა და გამოყენების გზები, რომელთა საშუალებითაც ის ყველაზე ნაყოფიერი ინსტრუმენტი გახდება თქვენთვის.

არსებული ლიტერატურა გვთავაზობს დასაბუთებულ მიზნებსა და მათ მისაღწევ პატარა ნაბიჯებს სწავლა-სწავლების პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრირებისთვის. მაგალითად, ერთ ან რამდენიმე სასწავლო ამოცანაზე ფოკუსირება, რა თქმა უნდა, ერთი საგნის ან კურსის ფარგლებში და იმის შესახებ მსჯელობა, როგორ მიაღწევენ მას მოსწავლეები უკეთ, ტექნოლოგიების გამოყენებით.

ჰკითხეთ საკუთარ თავს, გაიზრდება თუ არა მოსწავლის აკადემიური მოსწრება PowerPoint-ის პრეზენტაციის, ვებ ძიების ან ინტერნეტის გამოყენებით. მოკლე, რეალისტური მიზნების დასახვა, სწავლების დროს ტექნოლოგიის გამოყენების პილოტირებისას, ჩემი აზრით, ყურადსაღებია და შედეგი ცდად ღირს (პერიფრაზი: http://connect.educause.edu/Library/EDUCAUSE+Quarterly/ThinkSmallABeginnersGuide/40019?time=1202251550).

იდეები ტექნოლოგიის გამოყენებისთვის #1: რამდენიმე რჩევა დამწყებთათვის ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ

გთავაზობთ რამდენიმე იდეას, რომლებიც შეიძლება განახორციელოს როგორც გამოუცდელმა, ისე ტექნოლოგიის გამოყენებაში გამოცდილმა მასწავლებლებმა.

რატომ არ ეტყვით მოსწავლეებს, ეწვიონ ავსტრალიურ წვიმის ტყეებს? სთხოვეთ ეწვიონ ვებგვერდს: http://www.fieldstudies.org/pages/131_center_for_rainforest_studies_australia.cfm აუხსენით, ვინაიდან ეს თემა ახლახან დაასრულეთ სასურველია მათ მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას მდებარე წვიმის ტყეები ერთმანეთს შეადარონ. უხელმძღვანელეთ ინტერნეტში შესვლისას. მათთვის საძიებო სისტემების ან ბმულების გაცნობა კრიტიკული მნიშვნელობისაა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საძიებო სისტემა არსებობს (Yahoo!, Ask.com, Dogpile.com) რატომ არ გაუძღვებით მათ ჩემი საყვარელი google-ისკენ? მოსწავლეებს მხოლოდ საჭირო ინფორმაციის სახელის ჩაწერა ევალებათ საძიებო ველში. აქვეა სხვა ვარიანტიც: http://www.srl.caltech.edu/personnel/krubal/rainforest/Edit560s6/ www/where.html.

ანალოგიურად, თუ მოსწავლეებმა წაიკითხეს მოთხრობა, მასწავლებელს საკუთარი საჭიროებისათვის შეუძლია მოიპოვოს მასალა ინტერნეტში ან მოსწავლეები წაახალისოს, მოძებნონ დამატებითი ინფორმაცია. მაგალითად, თუ მეხუთე ან მეექვსეკლასელ მოსწავლეებს წაკითხული აქვთ „ეშმაკის არითმეტიკა“, ისინი შესაძლოა ესტუმრონ სხვადასხვა ვებგვერდს მომდევნო აქტივობებისთვის. მოსწავლეები ყოველთვის შემართებით ეძებენ დამატებით ინფორმაციას საკითხის შესახებ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

ჩაწერეთ google-ის საძიებო ველში: „ეშმაკის არითმეტიკა“. სულ მცირე ათ ვებგვერდს მაინც ნახავთ, რომლებიც მოგაწვდით იდეებს ამ ნოველის განხილვისთვის. ზოგიერთი ვებგვერდი გვთავაზობს ინტერაქტიული გაკვეთილის გეგმებს და ონლაინ სადისკუსიო ჯგუფებს მოსწავლეებისთვის, რომლებმაც წიგნი წაიკითხეს. იხილეთ, მაგალითად, http://www.janeyolen.com/tchrsideas.html. საიტზე წარმოდგენილია მოთხრობის შესახებ იდეები და გამოცდილებები. ასევე ბავშვების მიერ შექმნილი ნახატები, ჩანახატები, და ელ.ფოსტები, რომლებიც მოთხრობას უკავშირდება. საკმაოდ ადვილია, არა?

შეგიძლიათ მოსწავლეების წერითი უნარები განავითაროთ ელფოსტის, როგორც სწავლების ინსტრუმენტის, გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებმა, როგორც წესი, კარგად იციან, როგორ გამოიყენონ ელფოსტა, სამწუხაროდ, ისინი ვერ ივითარებენ წერით უნარებს, იყენებენ მწირ ლექსიკას სახეცვლილი ფორმებით, რასაც ჩემი ქალიშვილი ე.წ. შემოკლებებს უწოდებს. მაგალითი ინგლისურ ენაზე მოცემულია ქვემოთ:

შემოკლებული ვერსია:

hey sup?
nm hows skewl?
lol me 2 ill brb . . . back
so wats doin?
o kool wat u doin in the summer?
o well idk yet prob work btw wanna go 2 the park tom?
ur so mean!! jk go 4 me ok? ok w/e well neways
omg ppl are annoying me!! wats ur # again?
k well srry i gtg gn ttyl mb ill c u tom i dunno k bb oh b4 i go happy b-day!!! lol!

სრული ვერსია:

Hey what's up?
Nothing much. How's school?
(laughing out loud) Me too. I'll be right back . . . I'm back.
So what's doing?
Oh cool. What are you doing in the summer?
Oh, well, I don't know yet. I will probably work. By the way, want to go to the park tomorrow?
You're so mean! Just kidding. Go for me, OK? OK, whatever. Well, anyway.
Oh, my gosh, people are annoying me! What's your number again?
Okay. Well sorry, I have to go. Good night. Talk to you later. Maybe I'll see you tomorrow. I don't know. Okay, bye-bye. Oh, before I go, "Happy Birthday!"
(laughing out loud!)

რატომ არ უნდა გაგზავნოთ და მიიღოთ საშინაო დავალებები ელფოსტის საშუალებით? დაეხმარეთ მოსწავლეებს სხვადასხვა ჩვევის გამომუშავებაში, მაგალითად, როგორიცაა სრული წინადადებების წერა. ზოგადად, გამოიყენეთ ელფოსტა წერითი უნარების გაზრდისთვის (მგ. პუნქტუაცია, წინადადებების სტრუქტურა). მიუხედავად იმისა, რომ ელფოსტას წერის სტანდარტების გათვალისწინების გარეშე იყენებენ, ის შესაძლოა იდეალური მოტივატორად იქცეს მოსწავლეებისთვის. ასწავლეთ ფაილების მიმაგრებაც. შეგიძლიათ მოსთხოვოთ მოსწავლეებს, წარმოადგინონ დავალებები და ნამუშევრები მიმაგრებული ფაილის სახით ელფოსტის საშუალებით.

სანამ გაკვეთილს დაგეგმავდეთ, კარგი იქნება, თუ ინფორმაციულად მდიდარ ვებგვერდებს გადახედავთ. უბრალოდ დაგუგლეთ სასურველი ინფორმაციის სახელწოდება. ინტერნეტი შესაძლოა შეუფასებელი რესურსი აღმოჩნდეს სასწავლო აქტივობების დაგეგმვისათვის. უამრავი ვებგვერდი არსებობს.

ჩემი საყვარელი ვებგვერდებია:

ტექნოლოგიებისა და განათლების საერთაშორისო საზოგადოება (ISTE) http://www.iste.org/)

- დააწკაპუნეთ *educator resources* (რესურსები);
- დააწკაპუნეთ *curriculum* (სასწავლო გეგმა);
- აირჩიეთ შესაბამისი საგანი და სწავლის საფეხური ან დაკლიკეთ NETS.

წლების განმავლობაში კვლევის, მასალების შეგროვების, და მთელი მსოფლიოს მასშტაბით მასწავლებლებთან თანამშრომლობის გზით, ISTE-მ შეიმუშავა ტექნოლოგიის სტანდარტები მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის, და ადმინისტრატორებისთვის, საზოგადოების საჭიროებებიდან გამომდინარე. ეს სტანდარტები განათლების სფეროში მომუშავე პროფესიონალებს სთავაზობს ჩარჩოს და ორიენტირს, როგორ გაეცნონ და გამოიყენონ ტექნოლოგიები სასწავლო პროცესში, რადგან ეს გარდაუვალია 21-ე საუკუნეში.

"NETS for students: the next generation (NETS-ი მოსწავლეებისთვის: ახალი თაობა)" აღწერს რა უნდა იცოდნენ და შეეძლოთ მოსწავლეებს, რომ წარმატებით ისწავლონ და პროდუქტიულები იყვნენ ჩვენს ინფორმაციულ გრემოში.

"NETS for teachers (NETS.T) (NETS-ი მასწავლებლებისთვის)" 2008 წელს გახდა ცნობილი.

"NETS for administrators (NETS.A) (NETS-ი ადმინისტრატორებისთვის)" 2009 წელს გამოვიდა.



სხვა მაგალითები:

Microsoft Word-ის გამოყენება: Word, Excel, Access, PowerPoint, Publisher.



http://www.tammyworcester.com/Tips/Tammys_Technology_Tips_for_Teachers.html, მოცემულ ვებგვერდზე გაეცნობით შემდეგ კატეგორიებს: Ideas-Activities (იდეა-აქტივობები), Internet Resources (ინტერნეტ-რესურსები), Training Handouts (ტრენინგის ჰენდაუთები).

"Ideas-Activities (იდეები-აქტივობები)" კატეგორიაში იხილავთ:

All-About-Me Scavenger Hunt (ყველაფერი ჩემ შესახებ - სკავანჯერ ჰანტი);
Bar Graph—Pt. 1—Basics (დიაგრამა; ნაწილი 1 - საფუძვლები);
Bar Graph—Pt. 2—Pictogram (დიაგრამა; ნაწილი 2 - პიქტოგრამა);
Brochure—Tri-Fold (ბროშურა - სამი გვერდი);
Gift Bag—From an Envelope (სასაჩუქრე ჩანთა - კონვერტიდან);
Idiom (იდიომები);
Multiplication Chart (გამრავლების ტაბულა);
Name Tents (ბეიჯები);
Number Autobiography (ავტობიოგრაფიები);
Point of View (აზრები);
Pop-Up Greeting Card (Pop-Up - მისალოცი ბარათი);

Poster—How to Design and Print (პოსტერი - როგორ შევქმნათ და დავბეჭდოთ);
Sense Poetry (გრძნობის პოეზია);
Shape Poetry (ფორმის პოეზია);
Sticky Notes—How to Print (წებოვანი ფურცლები - როგორ დავბეჭდოთ);
TALL Tales (დაუჯერებელი ამბები);
Transformations (ტრანსფორმაციები);
Venn Diagram (ვენის დიაგრამა).

ინტერნეტრესურსებში იხილავთ:
Creativity Tools (შემოქმედებით ხელსაწყოებს);
Cool Tech Tools (ტექნიკურ ხელსაწყოებს);
K–2 Teachers & Students (K-2-ის მასწავლებლებს და მოსწავლეებს);
Internet Basics (ინტერნეტის საფუძვლებს);
Teacher Resources (მასწავლებლის რესურსებს);
Student Resources & Games (მოსწავლის რესურსებსა და თამაშებს);
Math Resources (მათემატიკის რესურსებს);
Science Resources (მეცნიერების რესურსებს);
Language Arts Resources (მეტყველების ხელოვნების რესურსებს);
Social Studies Resources (სოციალური მეცნიერებების რესურსებს);
Other Subjects (სხვა საგნებს).

ტრენინგის ჰენდაუთებში დაკლიკეთ ძველი ჰენდაუთების არქივზე და ნახავთ:
Building Integrated Technology Projects (ტექნოლოგიების გამოყენებით პროექტების შედგენა);
Cool Web Tools for Teaching and Learning (ვებხელსაწყოები სწავლებისა და სწავლისთვის);
Electronic Portfolios (ელექტრონული პორტფოლიოები);
EMTL Grant (EMTL გრანტი);
Galena Park ISD (გალენა პარკი ISD);
Inspiration & Kidspiration in the Classroom (ინსპირაცია და მოსწავლეების ინსპირაცია გაკვეთილზე);
Internet Resources for Teaching & Learning (ინტერნეტრესურსები სწავლისა და სწავლებისთვის);
Isle of Wight County Schools (აი ოფ უაიტის სკოლები);
Is This Really PowerPoint? (არის თუ არა ეს მართლა PowerPoint-ი?);
ITSC 2008—Portland (ITSC 2008—პორტლენდი);
K–2 Computer Activities (K-2-ის კომპიუტერული აქტივობები);

Language Arts Computer Activities (მეტყველების ხელოვნება კომპიუტერულ აქტივობებში);
Literacy & Technology Symposium 2008 (წიგნიერების და ტექნოლოგიების სიმპოზიუმი 2008);
MACE Manhattan 2008 (MACE მანჰეტენი 2008);
Math Computer Activities (კომპიუტერული აქტივობები მათემატიკაში);
Math + Technology = Learning (მათემატიკა+ტექნოლოგია=სწავლა);
MICCA 2008 (MICCA 2008);
Mitchell, SD Laptop Institute (მიტჩელი, SD ლეპტოპის ინსტიტუტი);
Multiple Intelligences and Technology (მრავალმხრივი ინტელექტი და ტექნოლოგია);
NCaect 2008 (NCaect 2008);
NCCE 2008 (NCCE 2008);
NCETC 2007 (NCETC 2007);
NECC 2007 (NECC 2007);
NECC 2008 (NECC 2008);
NWOET 2008 Wapakoneta, OH (NWOET 2008 ვაპაკონეტა, OH);
PowerPoint Basics (PowerPoint-ის საფუძვლები);
Quick & Easy Computer Activities (სწრაფი და ადვილი კომპიუტერული აქტივობები)
Rev Up Your Reading & Writing Classrooms! (შეცვალეთ თქვენი წერა-კითხვის კლასები!);
Riddle Mixup File (გამოცანები);
Science & Social Studies Computer Activities 2 (მეცნიერების და სოციალური კვლევების კომპიუტერული აქტივობები 2);
Tammy's Favorite Technology Tips, Tricks & Tools (თამის საყვარელი ტექნოლოგიური ნიმუშები, ხერხები და იარაღები);
TCEA 2008 (TCEA 2008);
Valley Center (ხეობის ცენტრი);
VSTE 2008 (VSTE 2008);
Walkertown (ვოლკერტაუნი);
Winchester Feb. 22, 2008 (ვინჩესტერი, თებერვალი 22, 2008).

ეწვიეთ http://www.education-world.com/a_tech/tech/tech176.shtml-ს რათა წაიკითხოთ *Technology Integration: Ideas That Work (ტექნოლოგიის გამოყენება: პრაქტიკული იდეები)* შესანიშნავი იდეებისთვის:


Education World® The Educator's Best Friend - Mozilla Firefox
http://www.education-world.com/
Lesson Planning
Professional Development
Administrator's Desk
Technology Integration
School Issues
Education World™
The Educator's Best Friend™
EdGate Personal Edition
"Super" SchoolNotes, with 1000s of resources tied to your state standards!
Advanced Search
Browse Topics
Search
EdWorld
Internet Topics
---- Thursday, February 14, 2008 ----
Lesson Planning
Teaching About Money: This Presidents' Day, cash in on your students' interest in George and Abe. Included: Hold a money bee, design a coin...
Black History Month: Dozens of activity ideas for all month long.
Bulletin Boards That Teach: Just in time for the Oscars, the Now Showing: Our Best Work bulletin board.
Learning Game of the Week: The "Number Line Game."
Valentine's Day: A "hearty" collection of activities.
Professional Development
Sponsored by Capella University
Reader's Theater: Penny finds a chat room for U.S. presidents and learns about the most important qualities in a president
Reading for Comprehension: Anticipation Guides help students focus on the most important concepts in content-area reading assignments.
Math on the Web: Discover more than a dozen great Web sites for teaching real world math.
Teachers Share Tips for Cooperative Learning: Included: Teacher tips, rubrics, and
Teachers College ONLINE
Capella University
Start Now!
Ads by Google
Media to Make Youth Think
Inspiring short-films for students. Respect, Honesty, Self-worth...
www.MakeYouThink.tv
Special Needs Math Course
Student overcome math problems with an engaging online review course.
www.learningupgrade.com
Meet Our Columnists
NEW!
Lesson of the Day A unique three-way matching activity teaches about famous African Americans. (Grades 4-12)
Cooking with Joy Tired of everything you cook
File zone
Done
Link Advisor


Bureau of Education and Research - Microsoft Internet Explorer
http://www.ber.org/
BER Bureau of Education & Research
Seminars and Conferences
NOW
On-Site Training
Video Training Resources
Audio Seminars
About BER
Contact Us
Mailing List
Driving Directions
The leading provider of staff development training for professional educators in the United States and Canada
Done
Internet

კვლევისა და განათლების ბიურო (BER) (http://www.ber.org/) გვთავაზობს შესანიშნავ სამუშაო შეხვედრებსა და სახელმძღვანელოებს, რომლებიც იმ მასწავლებლებს, ადმინისტრატორებს, კოორდინატორებს ეხმარებათ, რომელთაც სურთ, უფრო კვალიფიციურნი გახდნენ ტექნოლოგიების გამოყენების საკითხში.

როგორც კი BER-ის ვებგვერდს შეაფასებთ, დაკლიკეთ *seminars and conferences*-ს (სემინარები და კონფერენციები), ხოლო შემდეგ მონიშნეთ თქვენი შტატი რუკაზე. აირჩიეთ სწავლების საფეხური და დაკლიკეთ city/choose a workshop-ს (ქალაქი/აირჩიეთ ვორკშოპი).

იდეები ტექნოლოგიის გამოყენებისათვის #2: ვებგვერდის შეფასების კრიტერიუმები

იმდენად, რამდენადაც ინტერნეტიდან მიღებულ წყაროებს ჩვენთვის ან მოსწავლეთა სწავლისთვის ვიყენებთ, უნდა გვახსოვდეს ერთი ფაქტი, რომ ქსელიდან მიღებული ყველა ინფორმაცია არ არის სანდო და ზუსტი. კლასში მის გამოყენებამდე, მასწავლებელი აუცილებლად უნდა გაეცნოს ვებგვერდს.

მასწავლებლები კვლავ და კვლავ სტუმრობენ ვებგვერდებს კარგი მიზნებისთვის. ასეთი მიზნების უმრავლესობა შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდების შეფასების კრიტერიუმებში.

ცხრილი 9.1-ი შეიცავს ზოგიერთ მითითებას, რომელიც დაგეხმარებათ განსაზღვროთ საიტის ავთენტურობა და სარგებლიანობა.

ცხრილი 9.1-ი საერთაშორისო ვებგვერდების შეფასების კრიტერიუმი:

გავლენა	სუსტი	მნიშვნელოვანი	ძლიერი
ავტორები დარგის აღიარებული სპეციალისტები არიან.			
ავტორები მცოდნეები არიან.			
ავტორებს წარმოდგენილი აქვთ რეზიუმე ან მიღებული განათლების ჩამონათვალი.			
ავტორები სანდო და აღიარებულ ინსტიტუციებს და ორგანიზაციებს წარმოადგენენ.			
მოყვანილია სრული ინფორმაცია გამოყენებული ლიტერატურის (ან წყაროების) შესახებ.			
წარმოდგენილია ავტორებთან და ვებგვერდების დეველოპერებთან დადებული ხელშეკრულებები.			

ყოვლისმომცველობა			
მოიცავს ყველა თემას და საგანს.			
ვებგვერდზე მოცემულია საკმარისი რაოდენობის დეტალები.			
მოყვანილი ინფორმაცია ზუსტია.			
ინფორმაცია არ ეფუძნება პოლიტიკურ, იდეოლოგიურ ან სხვა საფუძველს.			
წარმოდგენა			
გრაფიკული გამოსახულებები ემსახურება საგანმანათლებლო და არა დეკორაციულ მიზნებს.			
წარმოდგენილია მსგავსი საიტების ბმულები			
წარმოდგენილი სურათების მიზანი ცხადი და სანდოა.			
ვებგვერდი სწრაფად ირთვება.			
ვებგვერდი სტაბილურია და იშვიათად, თუ არასდროს არა, არ ფუნქციონირებს.			
თაიმლაინი			
ვებგვერდის ორიგინალური ვერსია ახლახან შიქმნა.			
ვებგვერდი რეგულარულად მოწმდება.			
ვებგვერდზე მოცემული ბმულები სანდო და ახალია.			

წყარო: *Becoming a Teacher*, 5th ed., by F. W. Parkay and B. H. Stanford.
Copyright © 2000 by Pearson Education.

ინტერნეტუსაფრთხოება სკოლებში

ყველამ კარგად ვიცით, რომ ინტერნეტი არსად წავა. ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ ინტერნეტმა შეცვალა კომუნიკაციის, ძიების, ინფორმაციის მიღების, მისი გამოყენების და გადაცემის გზები. ადამიანთა უმრავლესობა ასევე თანხმდება, რომ არასწორი გამოყენების შემთხვევაში, ინტერნეტი შესაძლოა ძალიან სახიფათო სივრცედ იქცეს, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის.

როდესაც ინტერნეტისა და ახალგაზრდების ურთიერთკავშირზე ვფიქრობ, ხშირად წარმოვიდგენ ბავშვს, რომელიც ღამით ქუჩაში მარტოა. შესაბამისი ზედამხედველობისა და რისკების გააზრების შემთხვევაში, საშიში არაფერია. ყურადღების მოდუნების შემთხევევაში კი დიდი საფრთხეა მოსალოდნელი.

ამ თემას მივყავართ მთავარი პრობლემისკენ: როგორ დაიცვან სკოლებმა მოსწავლეები არასასურველი ინფორმაციის, ენის, უსარგებლო ვიზუალური მასალისა და ძალადობრივი თემებისგან?

გარდა ამისა, ანტივირუსის და გაცხრილვის პროგრამებმა შეიძლება თავიდან აგარიდოთ ენის შეუსაბამო გამოყენებისა და ინტერნეტ ძალადობის ფაქტები. ინტერნეტ ძალადობა ძალიან ხშირია და მოსწავლეები წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი მის შესახებ. მათ უნდა იცოდნენ, რომ შესაძლოა სხვის გრძნობებს შეურაცხყოფა მიაყენონ ან შეაშინონ ადამიანები ელფოსტის ან ელექტრონული მიმოწერის საშუალებით. მათ არ აქვთ უფლება მისწერონ სხვას რამე ისეთი, რის მოწერასაც სხვებისგან თვითონვე არ ისურვებდნენ. შესაძლოა ისინიც აღმოჩნდნენ შემაშინებელი და ძალადობრივი წერილების მსხვერპლნი. ასეთ შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა მიმართონ მშობელს ან უფროსს. მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ, რომ პატივი სცენ სხვების პირად სივრცეს ინტერნეტსამყაროში, რათა თავადაც ასე მოექცნენ - არ უნდა გაწევრიანდნენ სასაუბრო თემებში მხოლოდ გართობისთვის. ეწვიეთ ამ ვებგვერდებს დამატებითი ინფორმაციისთვის: Kids' Rules for Online Safety (წესები ბავშვებისთვის ინტერნეტ უსაფრთხოების შესახებ) (http://www.safekids.com/kidsrules.htm) The Ten Commandments of Computer Ethics (კომპიუტერული ეთიკის ათი მცნება) (http://www.tekmom.com/tencommand/index.html).

იდეები ტექნოლოგიის გამოყენებისთვის #3: კომპიუტერული პროგრამების შეფასების კრიტერიუმი

მას შემდეგ, რაც კარგად გავეცანით იდეებს სასარგებლო ტექნოლოგიების შესახებ, ვებგვერდებს, NET-ის სტანდარტებსა და ინტერნეტის უსაფრთხოების ნიმუშებს, მზად ვართ სერიოზულად მიმოვიხილოთ კომპიუტერული პროგრამები. საგანმანათლებლო პროგრამები CD ან DVD დისკზე დიდ სარგებელს გაგიწევთ სწავლებისას.

ბევრი მიზეზის გამო ერთი პროგრამა მეორესთან შედარებით უფრო პოპულარულია, და მოსწავლეებსა და მასწავლებლებს მისი გამოყენება ურჩევნიათ. აღნიშნული მიზეზები შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდების შეფასების კრიტერიუმში.

ცხრილი 9.2 კომპიუტერული პროგრამის შეფასების კრიტერიუმი

	სუსტი	მნიშვნელოვანი	ძლიერი
მოსახერხებელი			
რამდენად ადვილია პროგრამის ჩართვა?			

არსებობს თუ არა პროგრამის მიმოხილვა ან რუკა?			
შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს ადვილად აკონტროლონ პროგრამის სიჩქარე?			
შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს, ადვილად გამოვდინენ პროგრამიდან?			
შეუძლიათ მოსწავლეებს შექმნან საკუთარი გზა და დააკავშირონ ბმულები პროგრამის მიხედვით?			
პირველადი გამოყენების შემდეგ, შეუძლიათ მოსწავლეებს გვერდი აუარონ საორიენტაციო ან შესავალ მასალას?			
მოიცავს თუ არა პროგრამა საჭირო ბმულებს ინტერნეტ საიტებიდან?			
ინკლუზიურობა			
შეუძლიათ თუ არა სმენითი ან მხედველობითი პრობლემების მქონე მოსწავლეებს სრულყოფილად გამოიყენონ პროგრამა?			
შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს, ხელის მარტივი მოძრაობით მოახდინონ ნავიგაცია პროგრამაში?			
წარმოდგენილი მასალა არის თუ არა მგრძნობიარე რასობრივი, კულტურული და სქესობრივი განსხვავებებისამდი და ხომ არ შეიცავს სტერეოტიპულ ჩანაწერებს?			
ტექსტური მასალა			
რამდენად ზუსტი და ამომწურავია შინაარსი?			
არის თუ არა შინაარსი კარგად დალაგებული და ნათლად წარმოდგენილი?			
არის თუ არა ტექსტური მასალის მოძიება შესაძლებელი?			
შესაძლებელია თუ არა შინაარსის			

ინტეგრირება სასწავლო გეგმაში?			
სურათები			
არის თუ არა სურათების რეზოლუცია მაღალი?			
არის თუ არა პროგრამის გარეგნული სახე მიმზიდველი, მოსახერხებელი და დალაგებული?			
გრაფიკა და ფერები ხელს უწყობს თუ არა სწავლებას?			
რამდენად ნათელია ფერები სურათზე?			
არის თუ არა სურათები საკმარისად დიდი?			
აქვს თუ არა პროგრამას გადიდების ფუნქცია?			
წარმატებით იყენებს თუ არა პროგრამა ვიდეოსა და ანიმაციას?			
აუდიო			
არის თუ არა აუდიოკლიპები მაღალი ხარისხის?			
ხელს უწყობს თუ არა აუდიომასალა სწავლებას?			
ტექნიკური მხარე			
არის თუ არა პროგრამის ინსტალაცია მარტივი?			
არის თუ არა ინსტრუქციები ნათელი და მარტივად შესასრულებელი?			
არის თუ არა ონლაინდახმარება შესაძლებელი?			
ადვილია თუ არა ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტებთან დაკავშირება?არიან უ არა საქმის პროფესიონალები და თავაზიანები?			
მოტივაცია			
შეესაბამება და აღვივებს თუ არა კომპიუტერული პროგრამა მოსწავლეების ინტერესს?			
აქვთ თუ არა მოსწავლეებს სურვილი			

კვლავ გამოიყენონ პროგრამა?			
იძლევა თუ არა პროგრამა შესაბამისს სამოტივაციო უკუკავშირს?			
იძლევა თუ არა პროგრამა ბიძგს მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობად?			

წყარო: Becoming a Teacher, 5th ed., by E. W. Parkay and B. H. Stanford.

Copyright © 2000 Pearson Education.

კომპიუტერული პროგრამის შეფასების ზემოთ მოყვანილ კრიტერიუმზე დაყრდნობით, შევადგინე სია იმ სანდო კომპანიებისა, რომლებიც მასწავლებლის სასწავლო გეგმის და მოსწავლეთა პროგრამებს გვთავაზობენ. ასევე, ჩამოვწერე იმ პროგრამების სახელები, რომლებიც ხშირად გამოიყენება მასწავლებლების მიერ და მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენენ მათ მიმართ. ასეთ კომპანიებს ხშირად აქვთ რამდენიმედღიანი საცდელი ვერსიები, რომელთა ჩამოტვირთვაც ინტერნეტის საშუალებით უფასოდ შეგიძლიათ. დამატებით, ჩამოვწერე ვებგვერდები, რომლებიც უფასო პროგრამების გადმოწერას გვთავაზობენ.

Broderbund (http://www.broderbund.com/)—*The Print Shop, Kid Pix, Oregon Trail, Carmen San Diego, Cluefinders,* and *Reader Rabbit.*

Sunburst Technology (http://www.sunburst.com/)—*Type to Learn, Hyperstudio, Hot Dog Stand, Numbers Undercover, Learn About Science*.

> რას ფიქრობთ, როგორ იყენებენ აქ მოყვანილ რესურსებს მასწავლებლები სასწავლო პროცესში?
>
> სად გამოიყენებდით ჩამოთვლილ რესურსებს, სკოლაში თუ კლასში?

კომპიუტერული პროგრამების უფასო გადმოწერა:
Educational Freeware (http://www.educational-freeware.com/freeware/)
OpenOffice.org (http://www.openoffice.org/)
Owl & Mouse (http://www.yourchildlearns.com/owlmouse.htm)

იდეები ტექნოლოგიის გამოყენებისთვის #4: Microsoft Office-ის გამოყენების რამდენიმე პრაქტიკული მაგალითი

გაგაცნობთ იმ ტექნოლოგიების, ვებგვერდების და კომპიუტერული პროგრამების შესახებ შემოთავაზებებს, რომლებიც სწავლა-სწავლების პროცესს უჭერენ მხარს. ახლა კი მზად ვართ ვნახოთ, როგორ იყენებენ ხელმისაწვდომ რესურსებს მასწავლებლები პრაქტიკაში.

ინტეგრირებული პროექტების ქვემოთ მოყვანილი ნიმუშები წარმოადგენს სკოლის მასწავლებლების, სპეციალისტების, კომპიუტერის მასწავლებლის და ჩემი-სწავლებისას გამოყენებული ტექნოლოგიების კოორდინატორის, ერთობლივი დაგეგმვის და იმპლემენტაციის შედეგს.

პროექტი: Microsoft Word-ის გამოყენება
ებრაულ ენაზე კულინარიული წიგნის შესაქმნელად
ენა და ტექნოლოგია

ენის გაკვეთილზე საკვების თემის შესახებ დამაგვირგვინებელი აქტივობა.

- თითოეულმა მოსწავლემ მოიტანა რეცეპტი კლასში და მასწავლებლის დავალების შესაბამისად, ებრაულ ენაზე დაწერა კერძის სახელი, ინგრედიენტები და მომზადების წესი (ამის გაკეთება ნებისმიერ ენაზე შეიძლება).
- მოსწავლეებს ჩაუტარდათ გაკვეთილი კომპიუტერების ოთახში, სადაც ისწავლეს, როგორ დაბეჭდონ ებრაული შრიფტით. Microsoft Word-ს აქვს შესაძლებლობა ბეჭდოს ბევრ სხვადასხვა ენაზე. მოსწავლეებმა ასევე ისწავლეს word-ის ფაილში ცხრილების დამატება და გრამატიკული თუ ორთოგრაფიული შეცდომების შემოწმება.
- დაფასთან გასული მოსწავლე კითხულობს რეცეპტს ებრაულად სათაურის გარეშე; დანარჩენმა მოსწავლეებმა თავად უნდა გამოიცნონ მისი სახელი.
- საბოლოოდ, ყველა რეცეპტი შეიკრიბა და აიკინძა ერთ მთლიან კულინარიულ წიგნად.
- კულინარიული წიგნი თითოეულმა მოსწავლემ წაიღო სახლში.

პროექტი: Microsoft Excel-ის გამოყენება
ცხრილის შესაქმნელად
მათემატიკა და ტექნოლოგია

დავალების მიხედვით, ყველა მოსწავლეს უნდა ეპასუხა კითხვაზე სამიდან ხუთამდე ვარიანტით. ყველა მოსწავლეს ჰქონდა შესაძლებლობა გაეცა პასუხი. მაგალითად:

- რომელია შენი საყვარელი შოკოლადი? თეთრი? შავი? რძიანი? სხვა.
- ვიდეო თამაშების რომელი სისტემა მოგწონს ყველაზე მეტად? GameCube-ი, Xbox 360-ი, Nintendo DS-ი?

თითოეული მოსწავლე ვალდებული იყო, შეეგროვებინა ფურცლები პასუხებით.

- მოსწავლეები წაიყვანეს კომპიუტერების ოთახში, სადაც ასწავლეს, როგორ გამოიყენონ Excel-ის პროგრამა და როგორ გაუკეთონ ორგანიზება კლასში შეგროვილ მასალებს ცხრილის შესაქმნელად. ასევე ისწავლეს, როგორ დაამატონ გრაფიკები, დაარედაქტირონ და შეამოწმონ გრამატიკული შეცდომები.
- დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები წარმოადგენენ მათ მიერ შექმნილ ცხრილებს დიდ ეკრანზე, პროექტორის დახმარებით.
- საბოლოოდ ცხრილები შეგროვდა, აიკინძა და შეიქმნა „კლასის გამოკითხვის შედეგების წიგნი“ .

იხ. http://www.apples4theteacher.com/science.html ბმული მეცნიერების საგანში მარტივი ინტერაქტიული აქტივობებისთვის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის.

აქვე გთავაზობთ ჩემი მოსწავლის მიერ კლასში PowerPoint-ის პროგრამის გამოყენების ბრწყინვალე ნიმუშს:

პროექტი: Microsoft PowerPoint-ის გამოყენება
პრეზენტაციის შესაქმნელად

მეცნიერება და ტექნოლოგია - ინტერნეტზე დაფუძნებული კვლევითი პროექტი.

- ეს კი ნამდვილად ისეთი გაკვეთილი იყო, რომელშიც კომპიუტერი დიდ როლს თამაშობს. მთელი სასწავლო პროცესი კომპიუტერების

ოთახში მიმდინარეობდა. თემები მასწავლებელს წინასწარ არ განუსაზღვრია, მოსწავლეებს შეეძლოთ ერთობლივად თავად აერჩიათ. თემა: გეოგრაფიული არეალი და ბუნებრივი ავადმყოფობები. წყაროს წარმოადგენდა მასწავლებლის მიერ შექმნილი ორი ინფორმაციული ვებგვერდი.

- მოსწავლეებმა მანამდე არ იცოდნენ, რას წარმოადგენდა ინფორმაციული ვებსაიტი. შესაბამისად, მათ აუხსნეს, რა არის და როგორ გამოეყენებინათ იგი.
- მოსწავლეებმა კარგად იცოდნენ, როგორ ემუშავათ PowerPoint-ის პროგრამაში და, შესაბამისად, პირდაპირ დაიწყეს სლაიდების შექმნა თითოეული კითხვისა და პასუხისთვის.
- საინფორმაციო ვებგვერდებზე მუშაობა ეყრდნობა გუნდური მუშაობის პრინციპს. შესაბამისად, მოსწავლეები წყვილებში მუშაობდნენ. ინსტრუქციების მიხედვით, ისინი ერთი დავალებიდან მეორეზე გადადიოდნენ. ვებგვერდზე მოცემული იყო სასარგებლო ბმულები. მათ შეეძლოთ ეპასუხათ შეკითხვებზე და შეესრულებინათ დავალება. მაშინ, როცა ერთი მოსწავლე ინფორმაციას ეძებდა, ამ დროს მეორე პრეზენტაციაზე მუშაობდა PowerPoint-ის პროგრამაში.
- Powerpoint-ის პროგრამაში მომზადებული პრეზენტაციები ამოიბეჭდა და წარედგინა კლასს მოსწავლეების მიერ. საბოლოოდ, აიკინძა წიგნად.

იდეები ტექნოლოგიის გამოყენებისთვის #5: PowerPoint-ის გამოყენება კლასში

ავტორი: ენტონი ვავალო

აბსტრაქტი

აღნიშნული გეგმა წარმოადგენს ხუთნაბიჯიან სქემას მოსწავლეებისთვის PowerPoint-ის პროექტის შექმნის სწავლებისთვის. ეს ხუთი ნაბიჯია:

1. წერის უნარების განვითარება;
2. კომპიუტერული უნარ-ჩვევების განვითარება;
3. კლასში სოციალური ინტერაქციის ხელშეწყობა;

4. PowerPoint-ის პროექტის გაცნობა მოსწავლეებისთვის;
5. კლასში ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდა.

<u>გაკვეთილი 1</u>

მიზანი და ამოცანები:

- მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება შეადგინონ PowerPoint-ის პროექტი.
- ისინი მოამზადებენ მასალებს სლაიდებისთვის.

აქტივობები:

- მოსწავლეებს აჩვენებთ როგორ გამოიყურება PowerPoint-ის პროექტი.
- მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობა შექმნან რვა სლაიდისგან შემდგარი ნიმუში.

<u>გაკვეთილი 2</u>

პროექტი: Microsoft Access-ის გამოყენება ტელეფონების/მისამართების წიგნაკის შესაქმნელად

ეს პროექტი იყო სემესტრის ბოლო აქტივობა და მის მიზანს Acces-ის პროგრამის პირადი მიზნებისთვის გამოყენება წარმოადგენდა.

- მოსწავლეებს ჰქონდათ დავალება, რომლის მიხედვითაც უნდა შეედგინათ თანაკლასელების სახელებისა და გვარების სია, სახლის მისამართი და ტელეფონის ნომრები, იმ მიზნით, რომ მშობლებს და მეგობრებს ზაფხულის განმავლობაში მათთან ურთიერთობა არ გაეწყვიტათ.
- მოსწავლეები წავიდნენ კომპიუტერების ოთახში, სადაც მიიღეს მითითებები, როგორ შეექმნათ მარტივი მონაცემთა ბაზა Microsoft Access-ის გამოყენებით.
- დავალების ჩაბარებისას მოსწავლეებმა ამობეჭდეს სახელების ბაზა, რომელიც ანბანის მიხედვით იყო დალაგებული და სახლებში წაიღეს წიგნაკი.

მიზნები და ამოცანები:

- მოსწავლეებს ექნებათ რვა სლაიდისგან შემდგარი საბოლოო პროექტის ნიმუში.
- მოსწავლეები გააკრიტიკებენ ერთმანეთის ნამუშევრებს.

აქტივობები:

- მოსწავლეებს მოეთხოვებათ დაასრულონ რვა სლაიდისგან შემდგარი პროექტის საბოლოო ვერსია.
- მოსწავლეებს ასწავლით როგორ გამოყონ საკვანძო სიტყვა, ვრცელი წინადადადებების წერის ნაცვლად.
- მოსწავლეებს ასევე მიეცემათ საშუალება გააკრიტიკონ ერთმანეთის ნამუშევრები.

გაკვეთილი 3

მიზანი: სლაიდშოუს შექმნა PowerPoint-ის გამოყენებით

მიზნები და ამოცანები:

- მოსწავლეებს აუხსნიან როგორ დაბეჭდონ PowerPoint-ის პროექტი.
- მოსწავლეებს შეეძლებათ ნიმუშის გადატანა ორიგინალში.

აქტივობები:

- მოსწავლეებს მიეცემათ საკუთარი კომპიუტერები პროექტისთვის.
- მოსწავლეებს ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი როგორ შექმნან PowerPoint-ის მარტივი პროექტი.

გაკვეთილი 4

მიზანი: სლაიდშოუს ფორმატირება

მიზნები და ამოცანები:

- მოსწავლეები გაეცნობიან საკუთარი პროექტების გაუმჯობესების გზებს.
- მათ ექნებათ შესაძლებლობა შეცვალონ ფონტები, მისი ზომა, ფერი და სტილი.

აქტივობები:

- აჩვენეთ მათ, როგორ შეცვალონ ფონტი, მისი სტილი, ზომა, და ფერი.
- მიეცით შესაძლებლობა, დაამატონ სურათი PowerPoint-ის პროექტში.

გაკვეთილი 5

მიზნები და ამოცანები:

- მოსწავლეებს შეეძლებათ შეცვალონ სლაიდის ფორმატები თავიანთ პრეზენტაციებში.
- მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა დახვეწონ საკუთარი ნამუშევრები წარდგენამდე.

აქტივობები:

- აუხსენით და მიეცით შესაძლებლობა სხვა ფორმატში გადაიყვანონ სლაიდები.
- მიეცით საკმარისი დრო პროექტების დასრულებისთვის.

ქვემოთ მოცემულია მოსწავლის, ტექსტის ფაილი (PowerPoint-ის სლაიდების გარეშე), რომელმაც დავალება მისტერ ვავალოს გეგმის მიხედვით შეასრულა. შეგიძლიათ შეცვალოთ სლაიდები. მოსწავლემ სათაურების მიხედვით რვა სლაიდი შექმნა.

ჩემი წელიწადი ავტორი: ჯეკი იანი	**შინაარსი** ჩინური ახალი წლის აღნიშვნა ჩინური ზოდიაქო დრაკონის და ლომის ცეკვა კერძები სამოსი ავტორის შესახებ
ჩინური ახალი წლის აღნიშვნა ადამიანები აღნიშნავენ ჩინურ ახალ წელს, კარგით, ახალ წელს. ფულს აძლევენ ოჯახის წევრებს. ფული კარგი იღბლის სიმბოლოა. ახალი წლის დღესასწაულის დროს ყველაფერი წითლადაა მორთული. სწორედ ამიტომ წითელი იღბლიანი ფერია.	**ჩინური ზოდიაქო** ადამიანები განსხვავებულ წლებში იბადებიან. ცხოველები რიგის მიხედვით არიან დაწყობილი: ვირთხა, კურდღელი, ცხენი, მამალი, ხარი, დრაკონი, თხა, ვეფხვი, გველი, მაიმუნი, ღორი. თებერვალი 01.2003 თხის წელია. თხა არტისტული და მორცხვია.
დრაკონის და ლომის ცეკვა ადამიანებს სჯერათ, რომ დრაკონის და ლომის ცეკვა ბოროტ სულებს აფრთხობს. ზოგს სჯერა, რომ ფეირვერკი აფრთხობს ბოროტ სულებს. ადამიანები, სახლის თავზე ლოტოსს დგამენ ლომისთვის. ხანდახან ლოტოსს შიგნით წითელი კონვერტი აქვს. ამ ფულით გარემოს ეხმარებიან.	**კერძები** ადამიანები დიდ დღესასწაულს მართავენ უამრავი კერძით. ადამიანები მიირთმევენ კერძებს ახალი წლის აღსანიშნავად. ზოგიერთი კერძი ჩინური ახალი წლისთვის: თევზი, მაკარონი, იხვი, ქათამი, ღორი, ბრინჯი და ზღვის პროდუქტები.
სამოსი ადამიანებს აცვიათ წითელი ფერი ჩინეთის წარმოსადგენად.	**ავტორის შესახებ** გამარჯობა. ჩემი სახელია ჯეკი იანი.

ასევე აცვიათ წითელი იმიტომ, რომ იზეიმონ ახალი წელი. წითლის ტარება სათავეს წითელი კონვერტებისგან იღებს.	ჩემი საყვარელი წელია მამლის წელი. მე მამლის წელში დავიბადე. მე ათი წლის ვარ. მე მეოთხე კლასში ვარ. მე 1993 წელს დავიბადე. მე ვფიქრობ ახალი წელი მაგარია. მე ნიუ იორკში ვცხოვრობ.

PowerPoint-ის გამოყენების სწავლა საკმაოდ ადვილია. გირჩევთ გამოიყენოთ და შეუერთდეთ იმ ჯგუფს, რომელთაც წარმატებით დანერგეს მისი გამოყენება სასწავლო პროცესში. კვლევა აჩვენებს მოსწავლეების დიდ მონდომებას და სიხარულს სწავლებისას ამ პროგრამის გამოყენების გამო (და არა გადაჭარბებულად გამოყენებისას).

იდეები ტექნოლოგიების გამოყენებისთვის #6: ახალი ტექნოლოგიები

და უკვე მზად ვართ, გადავხედოთ, როგორია ახალი ტექნოლოგიები, რომლებსაც შესაძლოა არ იცნობთ, მაგრამ 21-ე საუკუნის საკლასო ოთახებში სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია.

სმარტბორდი წარმოადგენს ინტერაქტიულ დაფას. ის არის დიდი, სენსორული ეკრანი, რომელიც კომპიუტერისა და პროექტორის დახმარებით მუშაობს. პროექტორი ფოტოს, რომელიც კომპიუტერის ეკრანზეა, გზავნის დაფაზე. მომხმარებლებს შეუძლიათ დაწერონ ინტერაქტიულ დაფაზე, სპეციალური ჯოხის ან თითის მეშვეობით. კომპიუტერული აპლიკაციების სამართავად საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ კომპიუტერის მაუსით მონიშვნა, მოძრაობა და დაწკაპუნება. მომხმარებლებს ასევე შეუძლიათ დაწერონ ან აკრიფონ პრეზენტაციის ფაილში ეკრანზე. თქვენ შეგიძლიათ დაამატოთ კლიპარტი ან მოძრავი ობიექტები, რათა მოსწავლეები დააინტერესოთ ან გამოყოთ რომელიმე საკითხი. ნებისმიერი რამ, რისი გაკეთებაც კომპიუტერში შეგიძლიათ, შესაძლებელია ეკრანზეც. სმარტბორდები გამოიყენება

პრეზენტაციებისთვის (პერიფრაზი: www2.smarttech. com/st/enUS/Products/ SMART+Boards/).

ორი მაგალითი, როგორ ვასწავლოთ ბეჭდვა
სმარტბორდის გამოყენებით

1. ერთი კომპიუტერით კლასში
2. კომპიუტერების ოთახში

მიზანი: „მ“ და „ო“ ასოების აკრეფა კლავიატურის და ტექსტის პროცესორის გამოყენებით.

ამოცანები: მოსწავლეებს შეეძლებათ...

- გამოიყენონ ტექსტის პროცესორი;
- დამოუკიდებლად აკრიფონ „მ“ და „ო“ ასოები სხვა ასოებისგან ან სიტყვებისგან დამოუკიდებლად, დახრილი შრიფტით, ფრაზებში, ისეთ წინადადებებში, რომელიც მსგავსი ასოებისგან შედგება;
- შენახვა ან და დოკუმენტის ბეჭდვა.

გამეორება: სმარტბორდის, დოკუმენტის, კლავიატურის გამოყენება, საჭირო კლავიშების განლაგება და თითების სწორი პოზიცია.

პრეზენტაცია 1: კლავიატურაზე ახალი ასოების განლაგება და თითების სწორი მდებარეობის ჩვენება.

გამოყენება 1: მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ტექსტის პროცესორი, შეინახონ და დაბეჭდონ. მოსწავლეებს შეუძლიათ დააკვირდნენ სხვა მოსწავლეებს, როდესაც ისინი ბეჭდავენ. გაკვეთილი შესანიშნავია იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც ვიზუალური ან კინესთეტიკური ხერხებით უკეთ ითვისებენ მასალას.

მიზანი: „მ“ და „ო“ ასოების აკრეფა სმარტბორდის საშუალებით და ბეჭდვა პროგრამის ასათვისებლად.

ამოცანები: მოსწავლეებს შეეძლებათ...

- ბეჭდონ პროგრამის შესასწავლად;
- დაბეჭდონ „ო“ და „მ“ ასოები სხვა ასოებისგან დამოუკიდებლად ფრაზებში, ისეთ წინადადებებში, რომელიც მსგავსი ასოებისგან შედგება;
- შენახვა ან/და დოკუმენტის ბეჭდვა.

გამეორება: სმარტბორდის საშუალებით დოკუმენტის, კლავიატურის, გამოყენება და კლავიშების განლაგების და თითების სწორი პოზიციის გამეორება.
პრეზენტაცია 2: ბეჭდვის დემონსტრირება, პროგრამის შესწავლისთვის. პროგრამის ჩართვა და მოსწავლეებთან ერთად ყურება.
გამოყენება 2: მოსწავლეებს ამ პროგრამის გამოყენება დაეხმარებათ ახალი უნარების ათვისებაში.
კლასში მხოლოდ ერთი კომპიუტერია, მაგრამ კომპიუტერების ოთახში თითოეულ მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად იმუშაოს კომპიუტერთან.

ეწვიეთ საიტს: http://www.juliethompson.com/SMART.html რათა გაეცნოთ მასწავლებლების მიერ სმარტბორდის გამოყენების განსხვავებულ გზებს.

პრომეთეს დაფა არის ციფრული სისტემის მქონე გაუმჯობესებული დაფა. მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი დაფა მოსწავლეებს და მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, იხილონ განსხვავებული აპლიკაციები, ვებგვერდები, გააკეთონ ჩანიშვნები, ან დაამატონ კლიპარტები და მოძრავი ობიექტები, პრომეთეს დაფა მოსწავლეებთან ინტერაქციის საშუალებას იძლევა. მაგალითად, მოსწავლეებს დაურიგდებათ დისტანციური მართვის ხელსაწყო, რომელიც საშუალებას მისცემს უპასუხონ შეკითხვებს. პასუხები გაანალიზდება და მასწავლებელს მიეცემა შესაძლებლობა, განსაზღვროს, მიჰყვებიან თუ არა მოსწავლეები გაკვეთილს. პასუხები შესაძლოა შეინახოს ან გადატანილ იქნეს Excel-ის დოკუმენტში-სამომავლო ანალიზისთვის.

საკლასო ოთახში პრომეთეს დაფის გამოყენების ნიმუში

მეთორმეტე კლასი

ამერიკის ისტორია

თემა: ამერიკა კოლუმბამდე.

ამოცანები: მოსწავლეებს შეეძლებათ აღწერონ:

- სამხრეთის ცივილიზაციები;
- ჩრდილოეთის ცივილიზაციები;
- პირველი ინგლისური დასახლებები;
- ახსნან რატომ დამკვიდრდა ინგლისური ენა *ახალ სამყაროში.*

პრეზენტაცია: მოსწავლეები უყურებენ ვიდეოს, რომელიც ეხმიანება თემას ან უკავშირდება ვებგვერდს, როგორიცაა http://www.ibiblio.org/expo/1492.exhibit/Intro.html ან http://www.mcallen.lib.tx.us/library/child/homework/am1799.htm.

განხილვა და რეფლექსია/გამოყენება: მოსწავლეებს დაურიგდებათ ფურცლები, რომლებიც ვიდეოზე ან ვებგვერდზე რეფლექსიისთვისაა განკუთვნილი. ისინი უპასუხებენ თემასთან დაკავშირებულ, მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს.
სხვადასხვა დონის შეკითხვები სხვადასხვა საფეხურის აზროვნებას ამოწმებს.
პასუხების ფურცელი შექმნილია კომპიუტერში და გადაცემულია პრომეთეს დაფის პროგრამისათვის.
დასმულ შეკითხვებს მოსწავლეები სპეციალური პულტის საშუალებით სცემენ პასუხს, რომელიც პრომეთეს დაფას უკავშირდება.
პასუხები მოწმდება დაუყონებლივ და მოსწავლეებს და მასწავლებლებს აქვთ საშუალება გაეცნონ რამდენმა მოსწავლემ გაიაზრა გაკვეთილზე წარმოდგენილი მასალა.
ამის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილი შესაბამისად წარმართოს.
ეწვიეთ http://www.greenville.k12.sc.us/oakview/dept/media/teacher.asp და გაეცანით მასწავლებლების მიერ პრომეთეს დაფის გამოყენების განსხვავებულ გზებს.

Ipod-ი არის ხელისგულისხელა ხელსაწყო, რომელიც მუსიკის ჩაწერისა და მოსმენისთვის შეიქმნა.

სწავლებისას Ipod-ის გამოყენების ერთ-ერთი ხერხი
უცხო ენა - საშუალოდან მაღალ კლასებამდე

თემა: ებრაულად საუბარი.
ამოცანები: მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ ისაუბრონ ძირითადი ებრაული სიტყვების, ფრაზების და წინადადებების გამოყენებით.
გამეორება და პრეზენტაცია ჩაიწერება მიკროფონის გამოყენებით, რომელიც Ipod-ს უერთდება. ჩაწერილი მასალა შეიძლება დაკოპირდეს Ipod-ში ისე, რომ მისი მოსმენა იყოს შესაძლებელი. ასევე ჩაწერილი ხმები შესაძლოა შეტანილ იქნეს iTunes-ის პროგრამაში და გადატანილ იქნეს iPod-ში.

პრეზენტაცია: ძირითადი სიტყვების ხანმოკლე გამეორების შემდეგ, მასწავლებელი ებრაულად გაესაუბრება კლასს. ის თავიდან მარტივ შეკითხვებს დასვამს, სადაც გამოიყენებს ძირითად და ნაცნობ სიტყვებს. მოსწავლეებს გამოიძახებენ კითხვებზე საპასუხოდ.
როგორც კი ყველა მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას. დაიწყება ახალი აქტივობა: მასწავლებელი სვამს შეკითხვებს მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე. მოსწავლე პასუხობს და თანაკლასელები უსმენენ. ყველა მოსწავლეს შეეძლება იყოს ერთდროულად მსმენელიც და მოსაუბრეც.
გამოყენება: მოსწავლეები შექმნიან საკუთარ შეკითხვა-პასუხებს და გაუზიარებენ კლასს. კლასში გაიმართება კითხვა-პასუხი მოსწვალეებს შორის.
საშინაო დავალება/ გახსენება: მოსწავლეებს დაევალებათ, მოუსმინონ iPod-ში ჩაწერილ დიალოგს. ეს აქტივობა დაეხმარება მოსწავლეებს გამეორებასა და გახსენებაში.
ეწვიეთ საიტს: http://support.apple.com/kb/HT2396?viewlocale=en_US რათა მეტი შეიტყოთ iPod-ში ხმის ჩაწერის შესახებ. ეწვიეთ: http://www.apple.com/au/education/ipod/lessons/, რათა მეტი შეიტყოთ გაკვეთილზე iPod-ის გამოყენების შესახებ.

Youtube-ი და Microsoft Soapbox-ი მხოლოდ ორი მაგალითია ინტერნეტში არსებული ვიდეო პორტალებისა.

მას შემდეგ, რაც ადამიანები ძალიან გაიტაცა ვიდეოების შექმნამ ან ყურებამ, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ონლაინ ვიდეოები, როგორც სწავლა/სწავლების იარაღი? გაკვეთილის პროცესში ვიდეოები შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლების მხარდასაჭერად ნებისმიერ საგანში, სწავლის ნებისმიერ საფეხურზე. განსაკუთრებით წაადგებათ ეს მეთოდი ვიზუალური ან სმენითი აღქმის, ასევე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებს. მაგალითად, მოსწავლეებს, რომლებსაც უჭირთ ყურადღების გამახვილება დროის დიდ მონაკვეთში ან უჭირთ წერა. შეიძლება ვიდეობის შეჩერება, თავიდან ჩართვა, ან განსხვავებულ გარემოსა და დროის მონაკვეთში ხილვა. ასევე, მაგალითად, სახლში, რაც ნაკლებად სტრესული და უფრო მეტად სასარგებლო იქნება მოსწავლეებისთვის. შესაბამისად, მათი პროექტები შეიძლება აიტვირთოს Youtube-ზე ან Microsoft Soapbox-ზე და მიებას სკოლის ვებგვერდს. შენახული დოკუმენტები პორტფოლიოს ნაწილი გახდება.

Youtube-ისა და Microsoft Soapbox-ის გაკვეთილზე გამოყენების ერთი გზა
სოციალური მეცნიერებები/მიმდინარე მოვლენები/ საპრეზიდენტო დებატები-საშუალოდან მაღალ საფეხურებამდე

თემა: პრეზიდენტობის დემოკრატი კანდიდატების - ობამასა და კლინტონის დებატები.
ამოცანები: მოსწავლეებს შეეძლებათ აღწერონ ზოგიერთი საკითხი, რომელზეც კანდიდატები საუბრობენ და ქვეყანას აინტერესებს.
გამეორება: ვინ არის დემოკრატების საპრეზიდენტო კანდიდატი? რას ფიქრობთ რა აინტერესებთ ამერიკელებს?
პრეზენტაცია: მოსწავლეები მოუსმენენ პრეზიდენტობის ორ კანდიდატს, რომლებიც მნიშვნელოვან თემებზე საუბრობენ და ჩაინიშნავენ, მათთვის საინტერესო საკითხებს.
გამოყენება: მოსწავლეები ჩაერთვებიან დიალოგში წინასაარჩევნო კამპანიის შესახებ და გამოთქვამენ დამოუკიდებელ აზრს დებატებში კანდიდატების პასუხების შესახებ. განიხილავენ ვის მისცემდნენ ხმას, იმ შემთხვევაში თუ დემოკრატებისკენ იხრება მათი სიმპათია და რატომ.
იხ. ობამასა და კლინტონის დიალოგის ამსახველი ვიდეო: http://youtube.com/watch?v=MD9F1t9GQzA.

ელექტრონული პორტფოლიო, ცნობილია, როგორც ე-პორტფოლიო ან ციფრული პორტფოლიო. წარმოადგენს ელექტრონული დოკუმენტების კრებულს, რომელიც ვებ-სივრცეშია შეგროვებული და დალაგებული.

ელ. პორტფოლიო არის ონლაინ სივრცე მოსწავლისა და კლასის მუშაობის ჩვენებისათვის. ის საშუალებას აძლევს მასწავლებლებს და მოსწავლეებს გააზიარონ, რეფლექსია მოახდინონ და იმუშავონ ჯგუფურად კლასში და კლასის გარეთ.

ელ. პორტფოლიოები, ტრადიციული პორტფოლიოების მსგავსად, კურსის განმავლობაში გაწეული სამუშაოს და მიღწევების დოკუმენტირებას ახდენენ. ის წარმოადგენს მასწავლებლისთვის შეფასების, ხოლო მოსწავლისთვის თვითშეფასების ინსტრუმენტს.

Myspace-ი და Facebook-ი წარმოადგენს ვებგვერდებს, რომლებიც საწყის ეტაპზე სოციალური კავშირებისთვის შეიქმნა.

იმისათვის, რომ იხილოთ, როგორ გამოიყენებენ მასწავლებლები ელ. პორტფოლიოს იხილეთ ბმულები: *http://blog.wikispaces.com/2008/02/a-classroom-wiki-webquest.html; http://www.west.asu.edu/achristie/eportfolios/main.html*

Myspace-ი შეიქმნა 1999 წელს eUniverse-ის მიერ eUniverse-ის თანამშრომლებისთვის. კომპანიას შემდგომ Intermix Media ეწოდა.

Facebook-ი 2004 წელს შექმნა ჰარვარდის სტუდენტმა მარკ ცუკერბერგმა მხოლოდ ჰარვარდის სტუდენტებისთვის.

ამ ვებგვერდების მომხმარებლების მიერ გამოვლენილი უზარმაზარი ინტერესის გამო, ბიზნეს სტრატეგებმა, სტუდენტებმა, მასწავლებლებმა და სპეციალურმა ჯგუფებმა გააანალიზეს ის გავლენა, რომელიც facebook-ისა და MySpace-ის გამოყენებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. წარმოუდგენელი საჭიროების გამო უფრო მეტ ადამიანს დართეს ამ საიტებზე დარეგისტრირების საშუალება.

დღეს მილიონობით ადამიანი შედის აღნიშნულ ვებგვერდებზე და ნახულობს სიახლეებს, რომლებიც კედელზე ჩნდება. მომხმარებლები ესაუბრებიან მეგობრებს, კოლეგებს, ან თანამშრომლებს მესიჯების, ჯგუფში დამატების ან ფოტოებისა და კომენტარების საშუალებით. მომხმარებლები ხშირად ერთად უსმენენ საყვარელ მუსიკას და უყურებენ ვიდეოებს. იზიარებენ და ადარებენ ფილმების განხილვებს და ცვლიან ნებისმიერ სახის ინფორმაციას, რომელიც საერთო აქვთ.

MySpace	Facebook
ღიაა შესვლის ნებისმიერი მსურველისთვის. მომხმარებლებს საშუალება აქვთ, ათი ფოტო ატვირთონ კონფიდენციალურობა შეიძლება დაწესდეს ან შეიცვალოს. გვერდზე შესაძლებელია ვიდოების დამატება.	ხელმისაწვდომობა შეზღუდულია და მხოლოდ დარეგისტრირებულ მომხმარებლებს, რომელთა ელფოსტასაც „კედლის“ მფლობელი ირჩევს, უფლება აქვთ, შევიდნენ. მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ, გამოაქვეყნონ ფოტოები. კონფიდენციალურობა შეიძლება დაწესდეს ან შეიცვალოს.

როგორ შეიძლება Myspace-ის ან Facebook-ის გაკვეთილზე გამოყენება?

მასწავლებლები უფრო ხშირად Facebook-ს იყენებენ, რადგან შესაძლებელია ურთიერთობა უსაფრთხო გარემოში, მაგ. ჯგუფში ან წყვილებში. Facebook-ი შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლეებში ერთობის გრძნობის ჩამოსაყალიბებლად. ეს მათ საშუალებას მისცემს თავისუფლად გამოაქვეყნონ საკუთარი აზრი სხვადასხვა თემაზე.

სასწავლო წლის დასაწყიში დავალებები შესაძლოა ჯგუფის კედელზე გამოქვეყნდეს. მაგალითად:

„ვინ ხარ?“

„რომელია შენი საყვარელი საგნები?“

„რა ინტერესები გაქვს?“

„გამოხატეთ საკუთარი თავი შემოქმედებითი კუთხით“

კედელზე შეიძლება გამოაქვეყნოთ წლის განმავლობაში მიმდინარე მოვლენების შესახებ თემები. მაგალითად, არჩევნების დროს:

„რას ნიშნავს იყო რესპუბლიკელი?“

„რას ნიშნავს იყო დემოკრატი?“

„რესპუბლიკელად მიგაჩნიათ თავი თუ დემოკრატად? რატომ?“

“სხვა რომელ ჯგუფს მიაკუთვნებთ საკუთარ თავს?”

კლინტონის და ობამას პრეზიდენტობის კანდიდატობა ერთი კონკრეტული მაგალითია. შეკითხვები, როგორებიცაა „რომელი დემოკრატი კანდიდატი მოგწონთ?“ ან „რა საკითხები უნდა გავითვალისწინოთ საპრეზიდენტო დაპირებებზე საპასუხოდ და რატომ არის ჩვენი პასუხები მნიშვნელოვანი?“ - შესაძლოა შესასრულებელ დავალებად აიტვირთოს კედელზე; მოსწავლეები უპასუხებენ და შეეძლებათ გაეცნონ დანარჩენი მოსწავლეების პასუხებსაც. მეტი თვალსაჩინოებისათვის Youtube-ის ბმული ან ფოტოები შეიძლება დაურთოთ თან. მასწავლებელს შეეძლება ყოველდღიურად გააკეთოს კომენტარი მოსწავლეთა პროგრესის შესახებ. მასწავლებელს შეუძლია გამოაქვეყნოს ახალი სტატიები და მოსწავლეებს შესთავაზოს დამატებითი მასალები უფრო ღრმა ანალიზისთვის. არჩევნების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია დაწეროს შემდეგი შეკითხვა: „ვის მისცემთ ხმას ა.შ.შ.-ს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში?“ მას შეუძლია შექმნას ჩარტი, რომელიც ყველა მოსწავლის არჩევანს აჩვენებს.

რეფლექსია

ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი ტექნოლოგია გაგიწევთ პერსონალურ/პროფესიულ დახმარებას ყველაზე მეტად სწავლების პროცესში? როგორ გამოიყენებთ?

- სმარტბორდს;
- პრომეთეს დაფას;
- iPod-ს;
- Youtube-ს ან/და Soapbox-ს;
- ელ. პორტფოლიოს;
- Facebook-ს.

დასკვნა

შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ტექნოლოგიებს. ტექნოლოგიას ვიყენებთ როგორც ხელსაწყოს, რომელიც მოსწავლეთა სასწავლო გამოცდილებას ზრდის. როგორც პროფესიონალი მასწავლებელი, ვალდებული ხართ, იცნობდეთ ტექნოლოგიებს იმ დონეზე, რომ შეგეძლოთ მისი საშუალებით მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუმჯობესება. მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ შესაძლოა თქვენი მოსწავლეები თქვენზე სინათლის წლებით წინ იყვნენ ტექნოლოგიურად. მათ არ აფრთხობთ ახალი სმარტფონები, ციფრული კამერები, iPod-ები, windows-ის ან Mac-ის პლატფორმის ახალი პროგრამები. ისინი მთლიანად ეფლობიან მათში. მასწავლებლებს გვევალება ფეხი ავუწყოთ ჩვენს მოსწავლეებს, მაგრამ უნდა შეგვეძლოს ვისწავლოთ მოსწავლეებისგან, როდესაც ეს საჭირო და აუცილებელია, გავითვალისწინოთ ტექნოლოგიების გამოყენებაში არსებული საუკეთესო პრაქტიკები.

ტექნოლოგიების, როგორც სასწავლო ხელსაწყოს გამოყენებისთვის, პიცბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ბერნი პული მასწავლებელთა მიერ ექვსი უნარის ფლობას გამოყოფს:

1. Microsoft Office-ის ცოდნა;
2. მარტივი ტექნოლოგიური პრობლემები კლასში ხელს უშლის უნარების გამომუშავებას;
3. ტექნიკური დახმარების რესურსები;
4. საგანთან დაკავშირებული ვებგვერდების ცოდნა;
5. ინტერნეტში ძებნის უნარები;
6. ცვლილებებისადმი მოქნილი და ინტერესიანი დამოკიდებულება.

---

http://www.educationworld.com/a_tech/tech/tech227.shtml

მიუხედავად იმისა, რომ გირჩევთ გამოიყენოთ ტექნოლოგიები სწავლებისას, თქვენ მაინც გადამწყვეტი როლი გაკისრიათ ამ პროცესში. ტექნოლოგიას თავად არ შეუძლია შეცვალოს ცხოვრება. ეს მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ. ბელ ჰუკსი (1994) გვახსენებს: „მოსწავლეების სწავლება მათი ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება არის მთავარი, თუ გვსურს, უზრუნველყოთ ისინი საჭირო გარემო-პირობებით, სადაც სწავლა უფრო ღრმა და საფუძვლიანია“.

კითხვები / აქტივობები

1. გამოკითხეთ უფრო გამოცდილ მასწავლებელს, როგორ იყენებს ტექნოლოგიებს გაკვეთილზე, ან ეწვიეთ სკოლას, რომელიც ცნობილია გაკვეთილზე ტექნოლოგიების გამოყენებით (თუ ნადვილად დაინტერესებული ხართ, სთხოვეთ დირექტორს, ერთ დილას გაგათავისუფლოთ, რათა ასეთ სკოლას ეწვიოთ). გამოიკვლიეთ, რა ტექნოლოგიებს იყენებენ და როგორ უწყობენ ხელს სწავლებას.
2. შექმენით PowerPoint-ის პრეზენტაცია კონკრეტულ საგანში. დარწმუნდით, რომ ინტერნეტ ვებგვერდები არ გამოგრჩათ.
3. შეეცადეთ მოიძიოთ ინფორმაცია Youtube-იდან.
4. გახდით Facebook-ის წევრი.
5. ამ თავში წარმოდგენილი რომელი იდეები იყო ყველაზე ღირებული? ახსენით.

ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ რომელი სამომავლო აქტივობებით ხართ განსაკუთრებულად დაინტერესებული? რომელი მიგაჩნიათ ყველაზე სასარგებლოდ?

შეჯამება

გახსენება

როდესაც მიღწეულ წარმატებაზე ვფიქრობ, მახსენდება დოქტორ ჩარლზ გარფილდის მიერ მოყოლილი ერთი ამბავი. ჩარლზ გარფილდი არის წიგნ „მაქსიმუმის მიღწევის“ ავტორი. ეს წიგნი წარმოადგენს გამოხმაურებას ნაშრომზე „პრეზიდენტის მოხსენებების ავტორის წერილი“. ეს ამბავი და მისი ინტერპრეტაცია ჩვენი, როგორც პედაგოგების, პროფესიულ ვალდებულებას ეხება.

ერთმა ძალიან მდიდარმა კაცმა უზარმაზარი რანჩო იყიდა არიზონაში და მის სანახავად რამდენიმე ახლო პარტნიორი დაპატიჟა. მას შემდეგ, რაც შემოიარეს 1500 აკრის სიგრძის მთები, მდინარეები და მინდვრები, მან ყველა სახლში შეიპატიჟა. სახლი ლანდშაფტივით მშვენიერი იყო, ხოლო გარეთ, სახლის უკანა მხარეს უზარმაზარი საცურაო აუზი მოეწყოთ. თუმცა, ეს გიგანტური საცურაო აუზი სავსე იყო ნიანგებით. რანჩოს მდიდარმა მფლობელმა ეს შემდეგნაირად ახსნა: „ყველაზე მეტად გამბედაობას ვაფასებ. მე სწორედ გამბედაობამ გამხადა მილიარდერი. ვფიქრობ, გამბედაობა იმდენად მნიშვნელოვანი ფასეულობაა, რომ თუ რომელიმე თქვენგანს ექნება საკმარისი გამბედაობა, ჩახტეს ამ საცურაო აუზში, გაცუროს ნიანგებს შორის და გადავიდეს მეორე ნაპირზე, მზად ვარ, მივცე ყველაფერი, რასაც მოისურვებს: ჩემი სახლი, ჩემი მიწა, ჩემი ფული“. რა თქმა უნდა, ყველას გაეცინა ასეთ აბსურდულ გამოწვევაზე. ეს საკითხიც

დავიწყებას მიეცა, მას შემდეგ, რაც მასპინძელმა სტუმრები სახლში სადილზე მიიწვია... და უცებ მათ გაიგონეს დგაფუნის ხმა. ყველა შემობრუნდა. დაინახეს, რომ ბიჭი აუზში მიცურავდა, ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ცურვა იყო. მიაპობდა წყალს, ნიანგები მის უკან თავმოყრილნი მიცურავდნენ. რამდენიმე სასიკვდილო წუთის შემდეგ ბიჭმა შეძლო და აუზის მეორე ნაპირზე ამოვიდა. მასპინძელი გაოცებული იყო, თუმცა თავისი დანაპირებისათვის არ გადაუხვევია. „შენ ყველაზე გაბედული კაცი ხარ და ჩემს სიტყვას შევასრულებ. რა გინდა, რომ მოგცე? შენ შეგიძლია ისურვო რომელიმე ამათგან: ჩემი სახლი, ჩემი მიწა, ჩემი ფული- მხოლოდ მითხარი, რა გინდა და ის მაშინვე შენი გახდება“. მოცურავემ, რომელიც ჯერ კიდევ მძიმედ სუნთქავდა შეხედა მასპინძელს და თქვა: „მინდა ვიცოდე მხოლოდ ერთი, ვინ ჯანდაბამ გადამაგდო აუზში“?

არავინ აპირებს და არც შეუძლია „დაგაძალოს“ რაიმეს გაკეთება, თუ შენ ეს არ გინდა. მაგრამ, თითოეული ჩვენგანი ფლობს უზარმაზარ გამძლეობას, შეუპოვრობას, სიმტკიცეს, სიძლიერესა და გამბედაობას მიაღწიოს რაიმეს, მიუხედავად სირთულეებისა. ზემოხსენებული მოცურავის მსგავსად, შესაძლოა გჭირდებოდეთ დამატებითი ბიძგი ან გამხნევება, მაგრამ უნდა გაიაზროთ ერთი რამ: შეგიძლიათ მიაღწიოთ წარმატებას ყველაფერში, რასაც კი ჩაიფიქრებთ! სწავლება სავსეა გამოწვევებით, შესაძლოა ხანდახან თავი წარუმატებლად ან უიმედოდაც კი იგრძნოთ. მაგრამ ასეთი გრძნობები ხანმოკლეა, ვინაიდან სწავლებას ძალიან ბევრი დადებითი თვისებაც მოეპოვება. დაუჯერებლად ამაღელვებელია, როდესაც ხედავ, როგორ ითვისებს ახალგაზრდა გონება რაიმე ახალს. ახალგაზრდებთან მუშაობის სიხარული და მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება, უბრალოდ შეუდარებელი გრძნობაა. როგორც პროფესიონალები და ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება სწავლობენ, მასწავლებლებიც გამუდმებით იბრძვიან მიაღწიონ სრულყოფილებას და ისწრაფვიან პროფესიული ზრდისაკენ.

ყოველმა თქვენგანმა, რომელიც ისწრაფვის პროფესიული სრულყოფილებისაკენ და აქვს გარკვეული პედაგოგიური გამოცდილება, უნდა გაითავისოს, რომ სწავლების თეორიული და პრაქტიკული სფერო ერთად საკმაოდ რთული წამოწყებაა. ცოტაა კარგი მასწავლებელი. სწავლება ხელოვნებაცაა და მეცნიერებაც. უფრო მეტს ნიშნავს ეს წარმოიდგინო და განახორციელო, ვიდრე თვითონ ისწავლო. მაიკლ ფულანი (1995) ამის შესახებ ხაზგასმით ამბობს: „მოსწავლეების ხარისხიანი განათლება დამოკიდებულია პედაგოგების ხარისხიან განათლებაზე“(გვ.5). პედაგოგიური გამოცდილების მიღებასთან ერთად, თქვენ ასევე ისწავლით კრიტიკულ პედაგოგიკას, საგნის სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო ჯგუფების შექმნას, რეფლექსიურ პრაქტიკას, თანასწორ სწავლებას, კვლევას, ტრანსფორმაციული სწავლების პრაქტიკას, წერა-კითხვის უნარების ჩამოყალიბებას - ოჰ, იმდენი რამაა კიდევ სასწავლი და გასაკეთებელი... მაგრამ სწავლა არის სწორედ ის, რაც ამ სფეროს ასე მიმზიდველს და ზრდაზე ორიენტირებულს ხდის. ყოველი დღე ახალი და განსხვავებულია. ისინი, ვისთვისაც სწავლება ცხოვრებისეული ზრდის პროცესია, გაიუმჯობესებენ უნარებს და გამუდმებით ისწავლიან. საუკეთესო მასწავლებლები საუკეთესო მოსწავლეები არიან.

წიგნში „101 სწავლება“ ხაზგასმით გამოვყავი სწავლების თეორიული და პრაქტიკული ნაწილის მიმართ თქვენი, როგორც მასწავლებლების სერიოზული დამოკიდებულება და პროფესიული თვალსაზრისით თვითშეფასება. აუცილებელია, ისწავლოთ იმდენი, რამდენიც შეგიძლიათ თქვენს მიერ არჩეული სფეროს შესახებ. სწავლა პროფესიული თვალსაზრისით აგამაღლებთ. კარგი პედაგოგისათვის აუცილებელი მოთხოვნაა ფაქტობრივი ცოდნის, უნარებისა და სათანადო დამოკიდებულებების ქონა. არსებითად მნიშვნელოვანია იცოდეთ თქვენი მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებები, გესმოდეთ თუ როგორ სწავლობენ ისინი, პატივი სცეთ და ხელი შეუწყოთ მათ განსხვავებულ შესაძლებლობებს. კარგი პრაქტიკული სწავლების ფუნდამენტი ეფექტური გაკვეთილების ჩატარება და საკომუნიკაციო უნარების განვითარებაა. მნიშვნელოვანია, დაეხმაროთ თქვენს მოსწავლეებს სასწავლო უნარების გამომუშავების პერიოდში. არა აქვს მნიშვნელობა რამდენად მცოდნე ხართ და რა უნარებს ფლობთ, კლასში წარმატებას ვერ მიაღწევთ კლასის სისტემური მართვისა და მოსწავლეებთან ურთიერთთანამშრომლობის გარეშე. მოსწავლეთა შეფასების ამომწურავი სქემის შემუშავება, ტექნოლოგიების, როგორც სწავლების ინსტრუმენტის გამოყენება და სახელმწიფო და რეგიონალური სტანდარტების მიხედვით მუშაობა კიდევ უფრო მეტი გამოწვევაა მასწავლებლისათვის. თუმცა, მიუხედავად ყველა ზემოხსენებული გამოწვევისა, უნდა იამაყოთ თქვენი პროფესიით. შეიგრძენით მასწავლებლის უფლებამოსილება და ყოველთვის ეცადეთ, გახდეთ უფრო პროფესიონალი. წარმატებაც მუდამ თქვენთან იქნება...

დანართი ა

ანოტირებული ბიბლიოგრაფია

სწავლების შესახებ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა მოიპოვება. ქვემოთ ჩამოთვლილი დასახელებები, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ამომწურავ სიას. ჩემ მიერ შერჩეული დასახელებები არც ისე ბევრია, თუმცა, ჩემი აზრით, სწავლების საკითხთან დაკავშირებით ყველა მეტად სასარგებლო ლიტერატურაა. შესაძლებელია, რაიმე მნიშვნელოვანი გამომრჩა კიდეც. რაც უნდა იყოს, ქვემოთ ჩამოთვლილი ლიტერატურა ამ ეტაპისათვის კარგი დასაწყისია. არ დაივიწყოთ, რომ ცხოვრება უსასრულო სწავლაა. განივითარეთ სასწავლო უნარები კარგი წიგნებისა და სტატიების კითხვით. სრულყოფილი არავინაა და ყველას შეუძლია ისწავლოს რაიმე დასახელებული ლიტერატურიდან. წაკითხვის შემდეგ თქვენი აზრი გაუზიარეთ კოლეგებს.

დავალება

Gronlund, N. E. (2003). *Assessment of student achievement* (7th ed.). Boston: Allyn & Bacon.

სწავლებასთან დაკვშირებით ყველაზე ნათელი და მოკლე ნაშრომი.

როგორ გავხდე მასწავლებელი

Abbey, O. E, Jr. (2003). *A practical guide for new teachers: Getting started, surviving, and succeeding.* Norwood, MA: Christopher-Gordon.

მოკლე, პრაქტიკული დანიშნულების გზამკვლევი ახალბედა მასწავლებლებისათვის, რომელიც მოიცავს რჩევებს, როგორ შევეგუოთ მასწავლებლის პროფესიას, რას გულისხმობს სასკოლო ცხოვრება.

Armstrong, T. (1998). *How to awaken genius in the classroom.* Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development.

ზოგი მიიჩნევს, რომ ეს წიგნი „დაშორებულია რეალობას“, თუმცა მიმაჩნია, რომ მისი თეზისები სიმართლეს წარმოადგენს. ამ წიგნს ბევრი კითხულობს და მართლაც რომ ძალიან ლაკონური წიგნია.

Ayers, W. (2001). *To teach: The journey of a teacher.* New York: Teachers College Press.

მასწავლებლის პროფესიის შთამაგონებლად გაცნობა.

Feeney Jonson, K. (2001). *The new elementary teacher's handbook.* Thousand Oaks, CA: Corwin.

კარგი, ლაკონური, ადვილად გამოსაყენებელი სახელმძღვანელო და გზამკვლევი მასწავლებლებისათვის.

Kane, P. R. (Ed.). (1996). *My first year as a teacher*. New York: Signet

ლაკონური, პრაქტიკული ამბები დამწყები მასწავლებლებისათვის.

Kohl, H. (1989). *Growing minds: On becoming a teacher.* NewYork: Harper & Row.

ნამდვილი კლასიკა, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა პირადად ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაზე.

Kottler, J. A., & Zehm, S. J. (2000). *On being a teacher: The human dimension* (2nd Ed.). Thousand Oaks, CA: Corwin.

შთაგონებით აღსავსე, პრაქტიკული და თანამედროვე - შეგახსნებთ, რატომ აირჩიეთ პედაგოგობა.

Palmer, P. J. (2007). *The courage to teach: Exploring the inner landscape of a teacher's life.* San Francisco: Jossey-Bass.

მკაფიო, გამაცოცხლებელი ნამუშევარი თქვენთვის, როდესაც სწავლების სტიმული რაღაც პერიოდი არ გაქვთ.

რაციონალური განათლება

Sousa, D. A. (2006). *How the brain learns* (3rd ed.). Thousand Oaks, CA: Corwin.

პრაქტიკული დანიშნულების მქონე, ადვილად გასაგები გამოცემა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს გონებრივი სინთეზის კვლევაზე და ეხმარება პედაგოგებს მაქსიმალურად მიაწოდონ მოსწავლეებს სასწავლო იდეები.

Wolfe, P. (2001). *Brain matters: Translating research into classroom practice.* Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development.

პრაქტიკული საკლასო აპლიკაციები და რაციონალური სასწავლო სტრატეგიები.

კლასიკა

Anyon, J. (1981). Social class and school knowledge. *Curriculum Inquiry, 11*(1), 3–41.

მნიშვნელოვანია განათლების სფეროს წარმოამდგენელმა ყველა სტუდენტმა წაიკითხოს- მოიცავს პრეჯუდისებს, დისკრიმინაციისა და განსხვავებული მიდგომის საკითხებს.

Banks, J. A. (2008). *Teaching strategies for ethnic studies* (8th ed.). Boston: Allyn & Bacon.

პედაგოგის მიერ დაწერილი მნიშვნელოვანი და პოპულარული ნაშრომი.

Bloom, B. S. (Ed.). (1956). *Taxonomy of educational objectives: The classification of educational goals. Handbook I: Cognitive domain.* NewYork: David McKay.

ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საგანმანათლებლო წიგნი-კოგნიტური აზროვნებით განპირობებული ინტელექტუალური ქცევის ექვსი დონე, რომელსაც ბლუმი გამოყოფს.

Cremin, L. (1964). *The transformation of the school.* New York: Vantage.

მეოცე საუკუნის ცნობილი განათლების თეორეტიკოსების ნაშრომები.

Dewey, J. (1929). *The sources of a science of education.* New York: Liveright.

როგორ შეიძლება, ეს სია არ მოიცავდეს გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თეორეტიკოსის ნაშრომს? წიგნი არის ლაკონური და მკაფიო, სხვა ბევრი წიგნისაგან განსხვავებით.

Giroux, H. A. (2001). *Theory and resistance in education: A pedagogy for the oppression.* Hadley, MA: Bergin & Garvey.

არც ისე ადვილად წასაკითხი წიგნი. ავტორის ხედვები არის არაორდინალური და შორსმჭვრეტელი.

Goodlad, J. I. (2004). *A place called school.* New York: McGraw-Hill.

ცნობილი და ნაყოფიერი თეორეტიკოსი.

Greene, M. (1988). *The dialectic of freedom.* New York: Teachers College Press.

ჩვენი დროის ყველაზე დიდი განათლების ფოლოსოფოსი - მისმა კიდევ ერთმა ნაშრომმა *„მასწავლებელი, როგორც უცხო“,* სწავლებასთან დაკავშირებით ჩემი დამოკიდებულებები ჩამოაყალიბა.

hooks, b. (1994). *Teaching to transgress: Education as the practice of freedom.* New York: Routledge.

საოცრად კარგი საკითხავი.

Howard, J. (1991). *Getting smart: The social construction of intelligence.* The Efficacy Institute.

ინოვაციური ნაშრომი ინტელექტის სოციალურ სტრუქტურაზე - ეს ყველა მასწავლებელმა უნდა წაიკითხოს.

Hunter, M. (1982). *Mastery teaching.* Thousand Oaks, CA: Corwin.

როგორ შეიძლება ვინმემ არ წაიკითხოს მედელინ ჰანტერის ეს წიგნი? ავტორის, რომელმაც პრაქტიკულ სწავლებაზე ყველაზე დიდი გავლენა იქონია?

James,W. (1902). *Talks to teachers on psychology, and to students on some of life's ideals.* New York: Henry Holt.

ერთ-ერთი იმ წიგნთაგანი, რომელმაც სწავლებაზე უდიდესი გავლენა იქონია.

Katz, M. B. (1971). *Class, bureaucracy, and schools: The illusion of educational change in America.* New York: Praeger.

კლასიკური ტრაქტატი ამერიკულ განათლებაში არსებული ბიუროკრატიის შესახებ.

Kozol, J. (1991). *Savage inequalities: Children in America's schools.* New York: Crown.

კლასიკური ნაშრომი სასკოლო არასამართლიანობაზე.

Lortie, D. (1975). *Schoolteacher: A sociological study.* Chicago: University of Chicago Press.

თეორია იმის შესახებ, როგორ გავხდეთ მასწავლებელი.

Noddings, N. (1992). *The challenge to care in schools: An alternative approach to education.* New York: Teachers College Press.

განათლების ცნობილი ფილოსოფოსი - მისი „ზრუნვის ეთიკა“ აქსიომატური გახდა.

Oakes, J. (1995). *Keeping track: How schools structure inequality.* New Haven, CT: Yale University Press.

ნაშრომი, რომელიც რწმენებს შეგიცვლით-მან ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა.

Pyne, S. L. (1951). *The art of asking questions.* Princeton, NJ: Princeton University Press.

კარგი სწავლების რაობა - პრაქტიკული ხასიათის სახელმძღვანელო.

Rist, R. C. (1970). Student social class and teacher expectations: The self-fulfilling Prophecy in ghetto education. *Harvard Educational Review, 40*(3), 411–451.

კლასიკური სტატია მასწავლებლის მოლოდინების ზეგავლენის შესახებ.

Sadker, D., & Sadker, M. (1999). *Failing at fairness: How our schools cheat girls.* New York: Simon & Schuster.

გენდერული უთანასწორობის მხილება - ჩემზე ასევე ძალიან იმოქმედა.

Sarason, S. B. (1971). *The culture of the school and the problem of change.* Boston: Allyn & Bacon.

კლასიკური სტატია საგანმანათლებლო ცვლილებების შესახებ.

Schlechty, P. C. (1990). *Schools for the 21st century.* San Francisco: Jossey-Bass.

ეს ფუტურისტებმა უნდა წაიკითხონ.

Vygotsky, L. (1978). *Thought and language.* Cambridge: MIT Press.

ვიგოცკი, დიუისთან ერთად განათლების ხანდაზმულ მოღვაწეთა შორისაა.

Wong, H. K., & Wong, R. T. (1998). *How to be an effective teacher: The first days of school.* Mountain View, CA: Harry K. Wong.

ეროვნული ბესტსელერი - ვონგი საოცარი მოსაუბრეა და მისი ეს წიგნი ყველაზე მეტად კითხვადი წიგნია არა მხოლოდ დამწყებ მასწავლებელთა შორის, არამედ გამოცდილი მასწავლებლებისთვისაც. ეს წიგნი ახსენებს მათ ძირითადს და ავსებს შთაგონებით.

კლასის მართვა

Arnold, H. (2000). *Succeeding in the secondary classroom: Strategies for middle and high school teachers.* Thousand Oaks, CA: Corwin.

ერთ-ერთი კარგი რესურსი მაღალი საფეხურის მასწავლებლებისათვის. ეს პრაქტიკული წიგნი მეც გამომიყენებია. პრაქტიკულმა სტრატეგიებმა და ტექნიკებმა, რომელიც განსაკუთრებით განკუთვნილია მომავალი და დამწყები მასწავლებლებისათვის, წიგნი ყველაზე მეტად კითხვადი გახადა.

Belvel, P. S., & Jordan, M. M. (2002). *Rethinking classroom management: Strategies for prevention, intervention, and problem solving.* Thousand Oaks, CA: Corwin.

არც ისე ბევრი რესურსია დისციპლინის პრევენციული, დამხმარე და მაკორექტირებელი საფეხურების შესახებ - ამ წიგნმა ეს შეძლო. რეფლექსიური აზროვნების წახალისებით ეს სასარგებლო რესურსი აკეთებს ტექნიკების კარგად ინტერვენციასა და პრობლემების გადაჭრის სტრატეგიების მიმოხილვას.

Burden, P. R. (2000). *Powerful classroom management strategies: Motivating students to learn.* Thousand Oaks, CA: Corwin.

კლასის მართვის შესახებ პრაქტიკული და თეორიული სტრატეგიების კარგი კომბინაცია. განსაკუთრებით ამ წიგნის მარტივი სტილი მომწონს. მოტივაციის თეორიის მნიშვნელობის ხაზგასმით ეს კომპაქტური ნაშრომი ძალიან ეხმარება მკითხველს.

Canter, L. (2001). *Assertive discipline.* Santa Monica, CA: Canter & Associates.

საუკეთესო წიგნი მაკორექტირებელი დისციპლინის შესახებ. ეს ერთ-ერთია სამი წიგნიდან, რომელთა წაკითხვასაც ჩემს სტუდენტებს ვთხოვ. ისწავლეთ და იმუშავეთ დისციპლინის ამ სამ სტილზე. ეს წიგნი დისკუსიის საგანია! ზოგს სძულს სისტემა, ზოგისთვის კი ის საფიცარია. მე ამ უკანასკნელს ვემხრობი. გამოიყენეთ! ეს სირთულეებს აგარიდებთ!

Charles, C. M. (2001). *Building classroom discipline.* New York: Longman.

საუკეთესო სახელმძღვანელო კლასის მართვის შესახებ.

Curwin, R. L., & Mendler, A. N. (2008). *Discipline with dignity*. Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development.

კლასიკა - ყველაზე მეტად სასარგებლო. ეს ერთ-ერთი წიგნია იმ სამთაგან, რომლის წაკითხვასაც საკლასო მენეჯმენტის კურსის სტუდენტებისაგან მოვითხოვ. მათი კრეატიული იდეები სცდება ეროვნებას და ნაშრომები ფართოდ გამოიყენება ყველა საფეხურზე. ყველაზე მეტად კითხვადი წიგნი.

Gill, V. (2001). *The eleven commandments of good teaching: Creating classrooms where teachers can teach and students can learn* (2nd ed.). Thousand Oaks, CA: Corwin.

ლაკონური და სასარგებლო. არ მისცეთ უფლება მიმზიდველ, შესაძლოა მარტივ სათაურს, შეცდომაში შეგიყვანოთ - ეს წიგნი საუკეთესოა! მოიცავს სხვადასხვა ტაქტიკასა და სტრატეგიას. წიგნი დაწერილია ვეტერანი მასწავლებლის მიერ და გვათავაზობს პრაქტიკულ და ჭკვიანურ რჩევებს.

Ginott, H. G. (1972). *Between teacher and child.* New York: Macmillan.

მხოლოდ ერთი წიგნის რჩევის უფლება რომ მქონოდა, ამ წიგნს გირჩევდით! სენსიტიური, შთაგონებით აღსავსე, პრაქტიკული. განათლების სფეროში ეს წიგნი კლასიკაა! „ძველი მაგრამ კარგი“!

Gootman, M. E. (2000). *The caring teacher's guide to discipline: Helping young students learn self-control, responsibility, and respect* (2nd ed.). Thousand Oaks, CA: Corwin.

კორვინის გამოცემებიდან ჩემი კიდევ ერთი ფავორიტი წიგნი - მჯერა, რომ კლასის საუკეთესო ხელმძღვანელი ისაა, ვინც *ზრუნავს* ადამიანებზე. დამაფიქრებელი, პრაქტიკული და უკიდურესად სენსიტიური.

Rosenblum-Lowden. R. (2000). *You have to go to school . . . you're the teacher: 200 tips to make your job easier and more fun* (2nd ed.). Thousand Oaks, CA: Corwin.

კიდევ ერთი ჩემი ფავორიტი! ერთ დღეში წავიკითხე. სიბრძნითა და გონებამახვილობით აღსავსე, ეს მცირე რესურსი დაგეხმარებათ კარგად გაუგოთ მოსწავლეებს და გადაჭრათ ყოველდღიური სასკოლო პრობლემები.

კოგნიტური სწავლების სტრატეგია (კვლევითი უნარები)

Mangrum, C. T., II, Iannuzzi, P., & Strichart, S. S. (1998). *Teaching study skills and strategies in grades 4–8*. Needham, MA: Allyn & Bacon.

მარტივი და გამოსაყენებლად გამზადებული სტრატეგიები მოსწავლებისათვის კვლევითი უნარების განვითარების მიზნით.

Pressley, M., & Woloshyn, V. (1995). *Cognitive strategy instruction that really improves children's academic performance*. Brookline, MA: Brookline Books.

წიგნი, სადაც მიმოხილულია სხვადასხვა საგანში კვლევითი უნარების განმავითარებელი სტრატეგია. მოიცავს კონკრეტულ რჩევებს კოგნიტური სწავლების სტრატეგიებთან დაკავშირებით.

Scheid, K. (1993). *Helping students become strategic learners: Guidelines for teaching.* Brookline, MA: Brookline Books.

პრაქტიკული გზამკვლევი, რომელიც ეხმარება როგორც დამწყებ, ასევე გამოცდილ მასწავლებელს საბაზისო უნარების განვითარების პროცესში პრაქტიკული სასწავლო ინსტრუმენტების შერჩევაში.

კრიტიკული პედაგოგიკა

Freire, P. (1974). *Pedagogy of the oppressed.* New York: Seabury.

სწავლების კლასიკური და ინოვაციური ინსტრუქციები.

Freire, P. (1994). *The pedagogy of hope: Reliving pedagogy of the oppressed.* New York: Continuum.

წინა დასახელებული წიგნის კლასიკური გაგრძელება.

Kohl, H. (1998). *The discipline of hope: Learning from a lifetime of teaching.* New York: Simon & Schuster.

როგორ შეიძლება „საუკეთესო წიგნების“ სია არ მოიცავდეს ქოლის წიგნს?

McLaren, R (2006). *Life in schools: An introduction to critical pedagogy in the foundations of education* (5th ed.). New York: Longman.

კრიტიკული პედაგოგიკის გურუ.

Wink, J. (2004). *Critical pedagogy: Notes from the real world* (3rd ed.). New York: Addison Wesley Longman.

მძლავრი და ხელმისაწვდომი. ფართოდ და სიღრმისეულად წარმოგვიდგენს სწავლა-სწავლების პროცესს.

მრავალფეროვნება

Banks, J. A. (2007). *An introduction to multicultural education* (4th ed.). Needham Heights, MA: Allyn & Bacon.

მრავალფეროვნების საკითხის კლასიკური განხილვა.

Delpit, L. (2006). *Other people's children: Cultural conflict in the classroom.* New York: The New Press.

მრავალფეროვნების საკითხთან დაკავშირებული და ყველაზე ფართოდ გავრცელებული წიგნი.

Jelloun, T. B. (2006). *Racism explained to my daughter.* New York: The New Press.

პატარა წიგნი, რომელიც მოიცავს უილიამ აიერსის, ლიზა დელპის და ბილ გლოსბის შრომებს.

Nieto, S. (2007). *Affirming diversity: The sociopolitical context of multicultural education.* New York: Longman.

ასევე კლასიკაა!

Nieto, S. (1999). *The light in their eyes: Creating multicultural learning communities.* New York: Teachers College Press.

წინა წიგნის შესანიშნავი გაგრძელება.

Paley, V. (2000). *White teacher.* Cambridge, MA: Harvard University Press.

მისი, როგორც საბავშვო ბაღისა და დომინანტი თეთრიკანიანი მოსწავლებით ინტეგრირებული სკოლის მასწავლებლის, ცვალებადი პირადი გამოცდილების აღწერა.

Shapiro, A. (1999). *Everybody belongs: Changing negative attitudes toward classmates with disabilities.* New York: Routledge Falmer.

ჩემი კოლეგის საუკეთესო წიგნი პრაქტიკული რჩევებით.

Sleeter, C. E. (1996). *Multicultural education as social activism.* Albany: State University of New York Press.

ნათელი და სასარგებლო.

Stalvey, L.M. (1989). *The education of a wasp.*Madison: University ofWisconsin Press.

გულწრფელი და მგზნებარე, თეთრკანიანი ქალბატონის მიერ რასიზმის აღმოჩენის ქრონიკები. ემოციური.

Tatum, D. B. (2003). *Why are all the black kids sitting together in the cafeteria?* New York: Basic Books.

ფენომენალური, პრაქტიკული. ცვლის ცხოვრებას.

West, C. (2001). *Race matters.* New York: Vintage.

მრავალფეროვნების საკითხთან დაკავშირებით ეს წიგნი კლასიკური ტრაქტატია, რომელიც მოიცავს ჩვენი დროის ყველაზე მნიშვნელოვანი კონტროვერსიული მოაზროვნეების ნაშრომებს.

ზოგადი განათლება

Berliner, D., & Biddle, B. (1995). *The manufactured crisis: Myths, fraud, and the attack on America's public schools.* New York: Addison Wesley Longman.

დაიცავით საკუთარი თავი, როგორც მასწავლებელმა - წაიკითხეთ ეს წიგნი!

ზოგადი სწავლება

Brause, R. S., Donohue, C. P., & Ryan, A.W. (2002). *Succeeding at your interview: A practical guide for teachers.* Mahwah, NJ: Erlbaum.

ზოგადი სწავლების შესახებ ყველაზე პრაქტიკული და დეტალური წიგნი.

Jackson, P. (1968). *Life in classrooms.* New York: Holt, Rinehart & Winston.

საკლასო ცხოვრების კლასიკა.

Joyce, B., & Weil, M. (1996). *Models of teaching.* Boston: Allyn & Bacon.

კლასიკა სწავლების სტრატეგიების შესახებ.

Morrison, G. S. (2003). *Teaching in America* (3d ed.). Boston: Allyn & Bacon.

ამომწურავი სახელმძღვანელო - ერთ-ერთი საუკეთესო.

Nagel, G. (1994). *The Tao of teaching.* New York: Primus.

გარდა პრაქტიკულისა, ის ეზოთერულიცაა - რჩევები, როგორიცაა: „მიენდეთ თქვენს ინსტიქტებს", „გამოიჩინეთ თანაგრძნობა, პრაქტიკული ზომიერება, მისდიეთ კვალდაკვალ".

Parkay, F. W, & Hardcastle Stanford, B. (2007). *Becoming a teacher* (7th ed.). Boston: Allyn & Bacon.

აქვს კარგი დანართები, რომლებიც მოიცავს პროფესიონალი პედაგოგიური ორგანიზაციების სიას, რომელსაც უნდა გაეცნოთ.

Warner, J., & Bryan, C. (1995). *The unauthorized teacher's survival guide.* Indianapolis, IN: Park Avenue.

მოსახერხებელი, ადვილად წასაკითხი და ნამდვილად პრაქტიკული.

Warner, J., & Bryan, C. (1997). *Inside secrets of finding a teacher's job: The unauthorized teacher's survival guide.* Indianapolis, IN: Park Avenue.

ეს წიგნი ზოგადი სწავლების შესახებ არსებულ საუკეთესო წიგნებს შორისაა!

ინკლუზია

Peterson, J. M., & Hittie, M. M. (2003). *Inclusive teaching: Creating effective schools for all learners.* Boston: Allyn & Bacon.

ამომწურავი, თანამედროვე, პრაქტიკული.

Sapon-Shevin, M. (2007). Widening the circle: The power of inclusive classrooms. Boston: Beacon Press

Winebrenner, S. (1996). *Teaching kids with learning difficulties in the regular classroom: Strategies and techniques every teacher can use to challenge and motivate struggling students.* Minneapolis, MN: Free Spirit.

მოიცავს პრაქტიკულ რჩევებს. მასწავლებელთა წრეში ყველაზე მეტად კითხვადი წიგნია.

ინსპირაციული

Bluestein, J. (Comp.). (1995). *Mentors, masters and Mrs. MacGregor stories of teachers making a difference.* Deerfield Beach, FL: Health Communications.

სასიამოვნო წიგნი, რომელიც მახსენებს, თუ რატომ გავხდი მასწავლებელი. ღრმა და სერიოზული ზემოქმედება სხვების ცხოვრებაზე. ინსპირაციული.

Whitaker, T., & Whitaker, B. (2002). *Teaching matters: Motivating and inspiring yourself.* Larchmont, NY: Eye on Education.

ინსპირაციული - საკუთარ თავზე ზრუნვა.

ჟურნალები და გაზეთები

The Clearing House
The Educational Forum
Educational Leadership
Educational Studies
Education Week
The Elementary School Journal
Equity & Excellence in Education
Harvard Educational Review
Journal of Curriculum & Supervision
Kappan
Multicultural Education
Phi Delta Kappa Fastbacks
Teachers College Record

იურიდიული საკითხები

Imber, M., & van Geel, T. (2004). *A teacher's guide to education law* (3rd ed.). Mahwah, NJ: Erlbaum.

წიგნი მოსწავლეთა უფლებების, დისციპლინის, დისკრიმინაციის, სპეციალური განათლების, გულგრილობის, დაქირავების, საგადასახადო პროცესებისა და ფლობის უფლებების შესახებ.

წიგნიერება

Beaty, J. J., & Pratt, L. (2003). *Early literacy and preschool and kindergarten.* Columbus, OH; Upper Saddle River, NJ: Merrill/Prentice Hall.

შეუფასებელი სახელმძღვანელო ადრეული სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელთა პედაგოგებისათვის. კითხვის სპეციკიფიკური სტრატეგიების გამოყენების შესანიშნავი მიდგომები.

ეროვნული კომიტეტის სერტიფიციცირება

Berg, J. H. (2003). *Improving the quality of teaching through national board certification: Theory and practice.* Norwood, MA: Christopher-Gordon.

საფუძვლების სწავლა მომავალი ეროვნული კომიტეტის კანდიდატებისათვის.

პიროვნული განვითარება

Glanz, J. (2000). *Relax for success: An educator's guide to stress management.* Norwood, MA: Christopher-Gordon.

ჩემი რჩევები წარმატებული ცხოვრებისა და კარიერისთვის.

Whitaker, T., & Winkle, J. (2001). *Feeling great: The educator's guide for eating better, exercising smarter, and feeling your best.* Larchmont, NY: Eye on Education.

საუკეთესო რეკომენდაციების მომცემი ნაშრომი.

პრაქტიკული სტრატეგიები

Chuska, K. R. (1995). *Improving classroom questions: A teacher's guide to increasing student motivation, participation, and higher-level thinking.* Bloomington, IN: Phi Delta Kappa Educational Foundation.

ეფექტური სწავლების გასაღებია კარგი კითხვების დასმა- ეს წიგნი მოკლე, პრაქტიკული გზამკვლევია.

Gregory, G. H., & Chapman, C. (2002). *Differentiated instructional strategies: One size doesn't fit all.* Thousand Oaks, CA: Corwin.

პრაქტიკული სტრატეგიები და ტექნიკები.

Harmin, M. (1994). *Inspiring active learning: A handbook for teachers.* Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development.

პრაქტიკული სტრატეგიების შესახებ მე რომ მხოლოდ ერთი წიგნის შემოთავაზების საშუალება მქონოდა ამ წიგნს გირჩევდით! არ გამოტოვოთ! იხილეთ საიტი: http://www.inspiringonline.com/History.html

Raffini, J. P. (1996). *150 ways to increase intrinsic motivation in the classroom.* Boston: Allyn & Bacon.

აქტივობა ბრწყინავალე იდეებით.

Scruggs, T. E., & Mastropieri, M. A. (1992). *Teaching test-taking skills: Helping students show what they know.* Brookline, MA: Brookline Books.

ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და სასარგებლო წიგნი, რომელიც ასახავს მოსწავლეთა ტესტირებისათვის, ესეს დაწერისათვის, მოკლე პასუხის, ან სავარაუდო პასუხებიანი ტესტის შესასრულებლად აუცილებელი უანარების განვითარებისას დახმარების პრაქტიკულ საშუალებებს.

Silver, H. E, Strong, R. W, & Perini, M. J. (2000). *So each may learn: Integrating learning styles and multiple intelligences.* Alexandria, VA; Association for Supervision and Curriculum Development.

გასაოცარი და სასარგებლო.

Spreyer, L. (2000). *Teaching is an art: An A–Z handbook for successful teaching in middle and high schools.* Thousand Oaks, CA: Corwin.

პრაქტიკული წიგნი პრაქტიკული სწავლების სტრატეგიებითა და რესურსებით.

Tauber, R. T. (1997). *Self-fulfilling prophecy: A practical guide to its use in education.* Westport, CT: Praeger.

თვითრეალიზაციის პროგნოზირების ეფექტის შესახებ არსებული ვრცელი ლიტერატურის გაცნობისა და შეჯამების შეუფასებელი ინსტრუმენტი.

Tomlinson, C. A. (2004). *How to differentiate instruction in mixed-ability classrooms* (2nd ed.). Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development.

წარმოგვიდგენს ადვილად წასაკითხსა და სასარგებლო პრაქტიკულ სტრატეგიებს მრავალფეროვანი კლასის მართვისათვის. თუ გინდათ იცოდეთ, როგორ ასწავლოთ განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს ერთდროულად, წაიკითხეთ ეს წიგნი. წიგნში მოთხრობილია საკლასო შემთხვევების მაგალითების შესახებ სწავლების სხვადასხვა საფეხურზე, სადაც დიფერენცირებული სწავლება წარმატებით მიმდინარეობს.

Whitaker, T., & Fiore, D. J. (2001). *Dealing with difficult parents: And with parents in difficult situations.* Larchmont, NY: Eye on Education.

ძალიან კარგი რესურსი-პრაქტიკული.

პროფესიული განვითარება

Glickman, C. D. (2002). *Leadership for learning: How to help teachers succeed.* Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development.

მასწავლებლის პრაქტიკული გზამკვლევი კლასში სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის.

რეფლექსური აზროვნება

Schon, D. A. (1995). *The reflective practitioner: How professionals think in action.* New York: Basic.

მხარს უჭერს რეფლექსიას მასწავლებლის პრაქტიკაზე.

სპეციალური განათლება

Shelton, C. E, & Pollingue, A. B. (2000). *The exceptional teacher's handbook: The first-year special education guide for success.* Thousand Oaks, CA: Corwin.

პრაქტიკული გზამკვლევი ახალბედა სპეციალური განათლების მასწავლებლებისათვის - მოიცავს ასევე საკონტროლო სიებს, ფორმებს და სხვ.

სწავლების მახასიათებლები

McEwan, E. K. (2003). *10 traits of highly effective teachers.* Thousand Oaks, CA: Corwin.

ცნობილი ნაშრომი, სადაც გამოკვეთილია კარგი მასწავლებლის ათი მახასიათებელი: მომთმენი, დადებითი, ლიდერი, მოდური, მოტივაციური ექსპერტი, ეფექტური გადმოცემის უნარის მქონე, ნასწავლი, მიხვედრილი, რეფლექსიური.

Rosenshine, B. (1971). *Teaching behaviors and student achievement.* London: National Foundation for Education Research in England and Wales.

განათლების აღნიშნულ სფეროში ეს წიგნი კლასიკაა.

სწავლების ეფექტურობა

Danielson, C. (2007). *Enhancing professional practice: A framework for teaching.* Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development.

ავტორმა შეიმუშავა ჩარჩო ან მოდელი, რომელიც სწავლებას აანალიზებს აღნიშნულ დარგში ჩატარებული უახლესი კვლევების მიხედვით.

Marzano, R. J., Pickering, D. J., & Pollock, J. E. (2004). *Classroom instruction that works: Research-based strategies for increasing student achievement.* Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development.

ავტორები ამოწმებენ საკვლევ ჯგუფებს განათლების სფეროში არსებული 9 სასწავლო სტრატეგიის დადებით ზეგავლენას მოსწავლეთა სწავლაზე. ერთ-ერთი წიგნი, რომელსაც ყველაზე ხშირად კითხულობენ.

Stronge, J. H. (2002). *Qualities of effective teachers.*Alexandria,VA:Association for Supervision and Curriculum Development.

ძალიან თანამედროვე წიგნი ბოლო წლებში სწავლების ეფექტურობის შესახებ ჩატარებული კვლევების შეჯამებაზე.

ტექნოლოგიები სწავლების დროს

Bitter, G., & Pierson, M. (2008). *Using technology in the classroom* (7th ed.). Boston: Allyn & Bacon.

დამხმარე, ამომწურავი. მოიცავს პრაქტიკულ რჩევებს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ მასწავლებლებმა ტექნოლოგიები სწავლების პროცესში.

Jukes, I., Dosaj, A., & Macdonald, B. (2000). *NetSavvy: Building information literacy in the classroom.* Thousand Oaks, CA: Corwin.

მარტივი გზამკვლევი მოსწავლეების დასახმარებლად ინტერნეტის გამოყენების შესახებ.

Leu, D. J., Jr., & Leu, D. D. (2004). *Teaching with the Internet: Lessons from the classroom* (3rd ed.). Norwood, MA: Christopher-Gordon.

მარტივი გზამკვლევი სასწავლო პროცესში ინტერნეტის გამოყენების შესახებ. მოიცავს საგნებთან დაკავშირებულ ბევრ ვებგვერდს.

დანართი ბ

ვებგვერდები მასწავლებლებისთვის

ქვემოთ წარმოდგენილია ინტერნეტში არსებული საუკეთესო წყაროები. გთავაზობთ მხოლოდ შემოთავაზებებს, რადგან ვებსივრცეში არსებულმა წარმოუდგენელი რაოდენობის მასალამ შესაძლოა თავგზა აგირიოთ. დაიწყეთ ქვემოთ მოცემული ვებგვერდებით. თქვენთვის ამ ვებგვერდებს წარმოუდგენელი დამხარების გაწევა შეუძლიათ. საუკეთესო წიგნი ინტერნეტრესურსების შესახებ არის ე. პროვენზოს *„The Internet and the World Wide Web for Teachers“,* გამოცემული 2002 წელს Allyn & Bacon-ის მიერ - არ დაიჯერებთ, რამდენი ბრწყინვალე რესურსია თქვენს ხელთ!

ელფი კონის ვებგვერდი სასარგებლო ვებგვერდია საჯარო განათლების კრიტიკის შესახებ იდეებითა და პუბლიკაციებით (http://www.alfiekohn.org/).

ზედამხედველობისა და კურიკულუმის განვითარების ასოციაციის გვერდია (ASCD): (http://www.ascd.org/). გაეცანით საგანმანათლებლო ლიდერობას, ASCD-ის ჟურნალს, „ვებ საოცრებებს“-თემების ფართო სპექტრის შესანიშნავ კრებულს.

Corwin-ის ვებგვერდი - http://www.corwinpress.com. კორვინის პუბლიკაციების კატალოგი შეგიძლიათ გამოიწეროთ ნომერზე: 1-800-818-7243.

http://www.effectiveteachers.com/ - ჰარი ვონგის საიტია (იხ. დანართი ა), რომელიც სავსეა ინფორმაციით.

http://www.google.com/ - შესანიშნავი ხელსაწყო: გუგლის საძიებო ველში ჩაწერეთ *კლასის მართვა* - დაუთმეთ ერთი დღე საინტერესო მასალების მოძიებას (ასევე ჩაწერეთ *დისციპლინა*). რადგან ბევრი არასასკოლო დისციპლინის საიტებიცაა მოცემული, მოგიწევთ დაახარისხოთ. ამის გაკეთება ნამდვილად ღირს. Google-ი ყველაზე ხელმისაწვდომი, მარტივი და თანამედროვე საძიებო ქსელია.

http://www.inspiringteachers.com/ - ბრწყინვალე დინამიური ვებგვერდია, რომელიც მოიცავს ნიმუშებს მასწავლებლებისთვის, რესურსებს და კოლეგებთან ინტერაქციის შესაძლებლობებს.

http://www.masterteacher.com/ - სარგებელზე გათვლილი ვებგვერდია, რომელიც საგანმანათლებლო რესურსების (ზოგიერთი უფასოდ) ფენომენალურ ბაზას წარმოადგენს.

გვერდზე წარმოდგენილია ვიდეოები, წიგნები (მგ. ინკლუზია, ლიდერობა, ხელმძღვანელობა) - აუცილებლად გაეცანით და მიიღებთ უამრავ სასწავლო იდეას. გამოიწერეთ გვერდი უფასო მასალებისთვის შემდეგ ელფოსტაზე.

list@masterteacher.com, ან უფასო კატალოგი ნომერზე 1-800-669-9633.

ვებგვერდი http://www.newteachercenter.org/ ხელს უწყობს სკოლებში წარმატებასა და განსხვავებულობას-ძალიან გამოადგებათ მასწავლებლებს.

http://www.proteacher.com და http://www.innovativeclassroom.com/ - ორივე საიტი შეიცავს ბევრ სასარგებლო იდეასა და ხელსაწყოს (გაკვეთილის გეგმებისა და შინაარსობრივი მხარის ჩათვლით) სხვადასხვა საგანმანათლებლო საკითხზე - საიტზე ნავიგაცია მარტივია.

http://soupserver.com/ - ყოველდღიური გამონათქვამები, რომლებიც სულიერად აგამაღლებთ.

http://www.splcenter.org/ - ეხება ტოლერანტობასა და მრავალფეროვნების საკითხებს.

ვებგვერდი http://teachersnetwork.org/ - აკავშირებს ინოვატორ მასწავლებლებს. წარმოდგენილია უამრავი საინტერესო ინფორმაცია. დააკლიკეთ “for new teachers” (დამწყები მასწავლებლებისთვის), რათა დახმარების ბმულზე გადახვიდეთ. ის საშუალებას მოგცემთ დაუსვათ შეკითხვა ვეტერან მასწავლებლებს და პასუხს 72 საათის განმავლობაში მიიიღებთ.

http://honolulu.hawaii.edu/intranet/committees/FacDevCom/guidebk/teachtip/teachtip.htm - ერთ-ერთი ყველაზე ყოვლისმომცველი საიტია, რომელიც მოიცავს გამზადებულ მასალებს საგაკვეთილო პროცესისთვის.

აშშ-ს განათლების დეპარტამენტის ვებგვერდი (http://www.ed.gov/) გვთავაზობს მუდმივად განახლებად ინფორმაციას შტატსა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე განათლების სფეროში. ასევე პასუხებს ხშირად დასმულ შეკითხვებზე, მის საქმიანობასთან დაკავშირებული სამთავრობო უწყებების ვებგვერდების მისამართებს, საკანონმდებლო მასალას, ფედერალური გრანტების სააპლიკაციო ფორმებს, და ფედერალური ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული პუბლიკაციების შესახებ ბმულებს.

http://webquest.org/ - მაგარია. ჩაწერეთ Google-ის საძიებო სისტემაში webquest. იხილეთ ბმულები სორტირების მიხედვით: პოპულარული, მეორეხარისხოვანი, ახალი დამატებული.

დანართი გ

თვითშეფასების ინსტრუმენტი

შარლოტ დენიელსონი თავის ნაშრომში „*Enhancing Professional Practice: A Framework for Teaching*“, რომელიც 1996 წელს გამოიცა, ზედამხედველობისა და კურიკულუმის განვითარების ასოციაციის მიერ (იხ. დანართი ა), გვთავაზობს სწავლების მოდელს განათლების სფეროში არსებული უახლესი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. მან გამოყო კლასტერები, რომლებიც სწავლების ოთხ უმთავრეს პასუხისმგებლობას ეფუძნება: დაგეგმვა და მომზადება, საკლასო გარემო, სწავლება და პროფესიული პასუხისმგებლობა. გთავაზობთ კითხვარს, რომელიც ამ ჩარჩოს გათვალისწინებით შევიმუშავე. გთხოვთ უპასუხოთ კითხვარს, რადგან ის თვითრეფლექსიისთვის შესანიშნავი იარაღია. კითხვარის ბოლოს გაეცნობით მოკლე აქტივობას, რომელიც თქვენს მიერ გაცემულ პასუხებს შეაფასებს.

პასუხების ანალიზი

ყურადღება მიაქციეთ, რომ კვლევაში გამოყოფილი საკითხები ხაზს უსვამს სწავლების კარგ პრაქტიკას. განიხილეთ თქვენი პასუხები და შემოხაზეთ ის საკითხები, რომლებმაც თქვენი ყურადღება მიიპყრო. მაგალითად, შეკითხვაზე „ხშირად ბევრ კითხვას ვსვამ, რაც მოსწავლეებს აბნევთ“ თუ თქვენი პასუხია „აბსოლუტურად ვეთანხმები“ ჰკითხეთ საკუთარ თავს, რატომ არის ეს პრობლემა? როგორ შემიძლია სიტუაციის გამოსწორება? და რა დამხმარე რესურსები ან დახმარება დამჭირდება ამისთვის? თუ ეთანხმებით, გაუზიარეთ და შეადარეთ პასუხები სხვა მასწავლებლის პასუხებს. აღნიშნული დიალოგი დაგეხმარებათ უფრო ეფექტური სასწავლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

თვითშეფასების ინსტრუმენტი

მიმართულება: აირჩიეთ შესაბამისი უჯრა თითოეული პასუხისთვის.

ა=აბსოლუტურად ვეთანხმები

ბ=ვეთანხმები

გ=არ ვეთანხმები

დ=კატეგორიულად არ ვეთანხმები

დაგეგმვა და მომზადება	ა	ბ	გ	დ
1. სწავლებისას ბევრ შეცდომას ვუშვებ შინაარსობრივი კუთხით.				
2. ვავლენ საგნის სოლიდურ ცოდნას და ვაკავშირებ დისციპლინის ნაწილებს ან სხვადასხვა დისციპლინებს ერთმანეთთან.				
3. იშვიათად მაინტერესებს წინარე ცოდნა, როდესაც ახალ საკითხს ვხსნი.				
4. აქტიურად ვამყარებ მოსწავლეების წინარე ცოდნას და ვეძებ მოსწავლეების მიერ საკითხის არასწორი გაგების მიზეზებს.				
5. მიუხედავად საგნის კარგად ცოდნისა, მაინც მჭირდება დამატებითი დახმარება პედაგოგიკური სტრატეგიების და ტექნიკების დაუფლებისთვის.				
6. კარგად ვიცნობ პედაგოგიკურ სტრატეგიებს და მუდმივად ვეძებ ახალ, საუკეთესო ნიმუშებს მასწავლებელთა პრაქტიკებიდან, მათი სწავლების პროცესში გამოყენებისთვის.				
7. არცთუ ისე ბევრი ვიცი ჩემი მოსწავლეების განვითარების საჭიროებების შესახებ.				
8. ვიცნობ იმ ასაკის მოსწავლეთა, რომელსაც ვასწავლი, განვითარების საჭიროებების ბუნებას.				
9. არ ვიცნობ სწავლის სხვადასხვა სტილისა და მრავალმხრივი ინტელექტის შესახებ თეორიებს.				
10. მაქვს სოლიდური ცოდნა სწავლის სხვადასხვა სტილისა და მრავალმხრივი ინტელექტის თეორიების შესახებ და				

ხშირად ვიყენებ მათ სწავლებისას.				
11. მოსწავლეთა უნარებისა და ცოდნის გაგება არ წარმოადგენს ჩემს მიერ სწავლების საფუძველს.				
12. ვიაზრებ მოსწავლეთა უნარებისა და ცოდნის მნიშვნელობას. მათ შორის განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებისაც.				
13. არ მჯერა, რომ ჩემი კლასისთვის მიზნების დასახვა როდესმე დამეხმარება, რადგან მათ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ჩემს მოლოდინებზე მოსწავლეთა მიმართ პოტენციურად უარყოფითი გზით.				
14. კლასისთვის მიზნების დასახვა კრიტიკული მნიშვნელობისაა დაგეგმვისა მომზადებაში წარმატებისთვის.				
15. არ ვიცნობ სასწავლო რესურსებს, რომლებიც სწავლებისას დამეხმარებოდა.				
16. ძალიან კარგად ვიცნობ სასწავლო რესურსებს და ვცდილობ გამოვიყენო გაკვეთილების მომზადებისას.				
17. არ ვიყენებ მოსწავლეებისთვის შესაბამის სასწავლო აქტივობებს.				
18. ვგეგმავ სხვადასხვა მნიშვნელოვან სასწავლო აქტივობებს, რომლებიც ჩემს სასწავლო მიზნებს ეპასუხება.				
19. დროის უმეტეს ნაწილში ვასწავლი მოსწავლეებს სასწავლო ჯგუფების გამოყენების გარეშე.				
20. ვიყენებ მრავალფეროვან სასწავლო დაჯგუფებებს.				
21. ჩემს გაკვეთილებს, ზოგადად, არ აქვს ნათლად განსაზღვრული სტრუქტურა.				
22. ჩემი გაკვეთილები კარგადაა დაგეგმილი, ორგანიზებული, და ხშირ შემთხვევაში შესაბამისობაშია სწავლების მიზნებთან.				
23. ხშირად არ გამაჩნია სისტემური გეგმა მოსწავლეთა შეფასებისთვის.				
24. მაქვს კარგად განსაზღვრული შეხედულება იმის შესახებ, როგორ შევაფასებ მოსწავლეებს ერთი რომელიმე თემის ამოწურვის შემდეგ.				

საკლასო გარემო	ა	ბ	გ	დ
1. ხანდახან ვაანალიზებ, რომ ჩემს მოსწავლეებს უხეშად ან სარკასტულად მივმართავ.				
2. მოსწავლეებთან ზოგადად, მეგობრული დამოკიდებულება მაქვს და მათ მიმართ მზრუნველობასა და სითბოს ვიჩენ.				
3. ჩემს კლასში მოსწავლეები, ზოგადად, კარგად ვერ ეწყობიან ერთმანეთს და კონფლიქტებიც იშვიათობას არ წარმოადგენს.				
4. მოსწავლეთა ურთიერთობები, ზოგადად, თავაზიანი და მეგობრულია.				
5. უარყოფით დამოკიდებულებას ვავლენ, როდესაც მოსწავლეები ირჩევენ თემას გაკვეთილისთვის.				
6. ჩემს საგანს ენთუზიაზმით ვასწავლი.				
7. მოსწავლეები ჩემს კლასში ავლენენ სიამაყის ნაკლებობას ან არარსებობას და არ აკეთებენ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმს.				
8. მოსწავლეები ამართლებენ ჩემს მოლოდინებს დავალების მაღალ დონეზე შესრულებასთან დაკავშირებით.				
9. ყველა მოსწავლეს არ ვუყენებ მაღალ მოლოდინებს.				
10. ყველა მოსწავლეს მაღალ მოლოდინებს ვუყენებ.				
11. მოსწავლეები ჩემს გაკვეთილზე ხანდახან ჩართულნი არიან აქტივობებში, მაგრამ უმეტესად არა.				
12. მოსწავლეები ჩემს კლასში მონდომებულნი და ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში.				
13. სირთულეს ვაწყდები გადასვლების დროს. მგ. საგნების შეცვლისას.				
14. გადასვლების ჩემს გაკვეთილზე მსუბუქად ხდება და ნაკლებად იხარჯება სწავლებისთვის განკუთვნილი დრო.				
15. ჩემს კლასში სასწავლო მასალებისა და ხელსაწყოების გამოყენება არაა კარგად ორგანიზებული, რაც სასწავლო				

დროის კარგვას იწვევს.				
16. ჩემს კლასში სასწავლო მასალებისა და ხელსაწყოების გამოყენება კარგად ორგანიზებულია, რაც სასწავლო დროის სულ უმნიშვნელო კარგვას (ან საერთოდ არა) ითვალისწინებს.				
17. არ მაქვს წესებისა და პროცედურების კარგად განსაზღვრული სისტემა.				
18. ვამაყობ, რადგან მაქვს წესებისა და პროცედურების კარგად განსაზღვრული სისტემა.				
19. არ მაქვს მისაღები ყოფაქცევის სტანდარტები.				
20. ყოფაქცევის სტანდარტები გასაგებია ყველა მოსწავლისთვის.				
21. თვალყურს ვადევნებ მოსწავლეების ყოფაქცევას და ვიცი, რას აკეთებენ.				
22. ყოველთვის ფხიზლად ვარ მოსწვლეების ყოფაქცევასთან დაკავშირებით.				
23. მოსწავლეების ცუდ ყოფაქცევას წარმატებით ვერ ვუმკლავდები და შედეგად, მოსწავლეები გაკვეთილის მსვლელობას ხელს უშლიან.				
24. ცუდ ყოფაქცევაზე ჩემი პასუხი უმეტეს შემთხვევაში ადეკვატური და ეფექტურია.				
25. ჩემთვის მნიშვნელოვანი არ არის საკლასო გარემოს უსაფრთხოება.				
26. ჩემი საკლასო ოთახი უსაფრთხოა და ავეჯის განლაგება ხელს უწყობს უკეთეს სწავლას.				

სწავლება	ა	ბ	გ	დ
1. ჩემს მიერ ახსნილი გაკვეთილი არ არის გასაგები და მოსწავლეები ხშირად იბნევიან.				
2. ჩემს მიერ ახსნილი გაკვეთილი გასაგები და შესაბამისია.				
3. ჩემი საუბრის მანერა ხშირად დაუმუშავებელი და ძნელად მოსასმენია.				
4. მე ვსაუბრობ გარკვევით და მოსწავლეთა სწავლების				

საფეხურისთვის შესაბამისად.				
5. შეკითხვების დასმის ტექნიკას სათანადო დონეზე ვერ ვფლობ.				
6. ჩემს მიერ დასმული შეკითხვები მაღალი დონისაა.				
7. უმეტესად მოსწავლეებს, მათი ჩართულობის გარეშე ვესაუბრები.				
8. მოსწავლეებს ვუბიძგებ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა გაკვეთილში.				
9. მხოლოდ რამოდენიმე მოსწავლე ღებულობს გაკვეთილში აქტიურ მონაწილეობას.				
10. ვუზრუნველყოფ ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას დისკუსიებში.				
11. ჩემი საკომუნიკაციო უნარები მწირია.				
12. ჩემი საკომუნიკაციო უნარები ძლიერი და ადეკვატურია.				
13. დავალებები და აქტივობები არ არის შესაბამისი და არ მოითხოვს მოსწავლეებისგან გონებრივ ჩართულობას.				
14. დავალებები და აქტივობები მოსწავლეებისთვის შესაბამისია და აძლიერებს მოსწავლეების გაგების უნარს.				
15. არ ვიცი როგორ დავაჯგუფო მოსწავლეები შესაბამისად გაკვეთილისთვის.				
16. კარგად ვიცნობ დაჯგუფების სტრატეგიებს, რაც ხელს უწყობს სწავლების პროცესს.				
17. მე ვირჩევ შეუსაბამო და არაეფექტურ სასწავლო მასალას და რესურსებს.				
18. სწავლების მასალები და რესურსები შესაბამისია და მოსწავლეების გონებრივ ჩართულობას უზრუნველყოფს.				
19. ჩემს გაკვეთილებს არ გააჩნია სტრუქტურა და გაკვეთილის მიმდინარეობა ზედმეტად ნელი, სწრაფი ან ორივე ერთადაა.				
20. ჩემი გაკვეთილები ძალიან თანმიმდევრულია და ტემპი შესაბამისია.				
21. იშვიათად ვაწვდი მოსწავლეებს უკუკავშირს.				
22. უკუკავშირს მუდმივად ვაწვდი მოსწავლეებს და ის შესაბამისი და მაღალი დონისაა.				

23. როცა კი ვაწვდი მოსწავლეებს უკუკავშირს ის შეუსაბამო და არადროულია.				
24. უკუკავშირს ყოველთვის დროულად და მუდმივად ვაწვდი მოსწავლეებს.				
25. სწავლებისას ვიყენებ მასწავლებლის სახელმძღვანელოს.				
26. იშივიათად, ან საერთოდ არასდროს, ვიყენებ მასწავლებლის სახელმძღვანელოს, რადგან შემიძლია თავად მოვარგო გაკვეთილი ჩემი მოსწავლეების საფეხურის საჭიროებებს.				
27. ხშირად არ ვიღებ მხედველობაში ჩემი მოსწავლეების შეკითხვებსა და ინტერესებს.				
28. მოსწავლეებს ვუბიძგებ დასვან მეტი შეკითხვები.				
29. ხშირად ვადანაშაულებ მათ უნიჭობაში, რადგან ხაზს ვუსვამ წარუმატებლობას ან ინტერესისა და მოტივაციის ნაკლებობას.				
30. ათვისების სირთულის მქონე მოსწავლეებს არ ვაძლევ საშუალებას ჩამორჩნენ და მუდმივად ვამხნევებ.				
31. ხშირად სწორ გზას ვუხვევ.				
32. ხშირად რამდენიმე შეკითხვას ვსვამ, რაც მოსწავლეებს აბნევს.				
33. მოლოდინის დროს ეფექტურად ვიყენებ.				

პროფესიული პასუხისმგებლობა	ა	ბ	გ	დ
1. ვერ ვაფასებ ჩემს, როგორც მასწავლებლის, წარმატებულობას.				
2. ზუსტად შემიძლია შევაფასო, რამდენად კარგად ვმუშაობ გაკვეთილზე.				
3. არ ვიცი რა გავაკეთო, რომ წარმატებული მასწავლებელი გავხდე.				
4. ვიცი რა გავაკეთო, რომ წარმატებული მასწავლებელი გავხდე.				
5. არ მაქვს სისტემა, რომელიც მაწვდის ინფორმაციას მოსწავლის მიერ დავალებების შესრულების შესახებ.				

6. მაქვს წარმატებული სისტემა, რომელიც მაწვდის ინფორმაციას მოსწავლის მიერ დავალებების შესრულების შესახებ.				
7. არ მაქვს სისტემა, რომელიც მომაწვდის ინფორმაციას მოსწავლის წარმატების შესახებ.				
8. მაქვს მძლავრი სისტემა, რომელიც მაწვდის ინფორმაციას მოსწავლის წარმატების შესახებ.				
9. იშვიათად ვუჭერ მხარს მშობელთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.				
10. აქტიურად და მუდმივად ვუჭერ მხარს მშობელთა ჩართულობას.				
11. იშვიათად მივმართავ მშობლებს.				
12. მშობლებს ხშირად მივმართავ.				
13. კოლეგებს თბილი და პროფესიული მანერით ვერ მივმართავ.				
14. კოლეგებს გულთბილი და პროფესიული მანერით მივმართავ.				
15. იშვიათად ვმონაწილეობ სასკოლო ღონისძიებებში.				
16. ხშირად ვარ მოხალისე სასკოლო ღონისძიებებში.				
17. თავს ვარიდებ სასკოლო და რეგიონალურ პროექტებში მონაწილეობას.				
18. ხშირად ვარ მოხალისე სასკოლო და რეგიონალურ პროექტებში.				
19. იშივიათად ვმონაწილეობ პროფესიული განვითარების აქტივობებში.				
20. მუდმივად ვეძებ შესაძლებლობებს პედაგოგიური უნარების განვითარებისთვის.				
21. იშვიათად მაინტერესებს მოსწავლეთა საჭიროებები.				
22. მოსწავლეებს აქტიურად ვეხმარები.				
23. არ ვიცავ მოსწავლეთა უფლებებს.				
24. ვიცავ მოსწავლეთა უფლებებს.				
25. იშვიათად ვემსახურები სკოლაში არსებულ კომიტეტს.				
26. მოხალისე ვარ სკოლაში არსებულ კომიტეტებში.				

საბოლოოდ, გადახედეთ თქვენს პასუხებს ამ ოთხ კლასტერზე და შემოხაზეთ პასუხები:

ა, ბ, გ, დ.

უპასუხეთ:

1. **დაგეგმვა და მომზადება**

ეს კლასტერი თქვენს საგნობრივ და პედაგოგიკურ, მოსწავლეებისა და რესურსების ცოდნას, სწავლების მიზნების შერჩევის უნარს და მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ხარისხს ამოწმებს.

ა ბ გ დ

კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი ცოდნა და უნარები გაკვეთილის დაგეგმვისა და მომზადების შესახებ დამაკმაყოფილებელია.

2. **საკლასო გარემო**

ეს კლასტერი აფასებს რამდენად ქმნით პატივისცემით და მზრუნველობით სავსე გარემოს, აწესებთ სწავლის კულტურას, საკლასო პროცედურებს, მართავთ მოსწავლეების ყოფაქცევას და აწესრიგებთ ფიზიკურ სივრცეს.

ა ბ გ დ

კმაყოფილი ვარ, რადგან ჩემი ცოდნა და უნარები საკლასო გარემოს შესახებ დამაკმაყოფილებელია.

3. **სწავლება**

ეს კლასტერი აფასებს რამდენად გამართულად საუბრობთ, იყენებთ კითხვის დასმისა და დისკუსიის ტექნიკებს, უზრუნველყოფთ მოსწავლეთა ჩართულობას სწავლაში, აწვდით უკუკავშირს მოსწავლეებს, და ამჟღავნებთ მოქნილობასა და რეაგირებას მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებების მიმართ.

ა ბ გ დ

კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი ცოდნა და უნარები სწავლების შესახებ დამაკმაყოფილებელია.

4. პროფესიული პასუხისმგებლობა

ეს კლასტერი ამოწმებს სწავლებაზე რეფლექსიის, ზუსტი საჭიროებების, მშობლებთან კომუნიკაციის, სკოლის/რეგიონის განვითარებაში წვლილის შეტანის, პროფესიული ზრდისა და განვითარების და პროფესიონალიზმის ჩვენების დონეს.

ა ბ გ დ

კმაყოფილი ვარ, რომ მაქვს პროფესიული პასუხისმგებლობა.

დანართი დ

აზრთა გაცვლის ფორუმი მასწავლებლებისათვის

იმედი მაქვს, ისიამოვნეთ ამ წიგნის წაკითხვით. იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ კომუნიკაცია მკითხველთან შემდგომი რჩევებისა და უფრო მეტი სასწავლო ინფორმაციის მიწოდების მიზნით, წამოვიწყე ელ.ფოსტების გაცვლის ფორუმი. გთხოვთ, გამომიგზავნოთ ელექტრონული ფოსტით ნებისმიერი იდეა სწავლების შესახებ (მაგ. სასწავლო გეგმის მასალები, გაკვეთილის გეგმების ნიმუში, კარგი ვებგვერდის მისამართები, ციტატები, წიგნები, სტატიები, და სხვა მსგავსი რესურსი), რომლებიც, ფიქრობთ, რომ სხვა მასწავლებლებსაც შეიძლება გამოადგეთ. შესაძლოა ისინი ამ წიგნის სამომავლო გამოცემისათვის გამოვიყენო, თუმცა უპირველს ყოვლისა, სჯობს ჯერ მეილი გამოგვიგზავნოთ მითითებულ ელ-ფოსტის მისამართებზე.

ან მარტივად, გამომიზგავნეთ მეილი ჩემს პირად ელ.ფოსტაზე glanz@yu.edu, მიუთითეთ, რომ გსურთ გაწევრიანდეთ ჩვენს ელფოსტის ჯგუფში. როცა თქვენს მეილს მივიღებ, ჯგუფში გაწევრიანების დასტურს გამოგიგზავნით.